ონორე დე ბალზაკი
შუანები

ანუ ბრეტანი **1799** წელს

ბატონ ტეოდორ დაბლენს, ნეგოციანტს.

პირველ მეგობარს - პირველი ნაწარმოები.

ფრანგულიდან დარგმნა ლიანა დარაშვილმა

ნაწილი პირველი: საფარი

კარი I VIII წლის პირველ დღეებში, ვანდემიერის დამდეგს, ან ჩვეულებრივი კალენდრით 1799 წლის სექტემბრის ბოლოს, ასიოდე გლეხი და უამრავი ქალაქელი დილით ფუჟერიდან გამოვიდა, მაიენისკენ გაეშურა და ფუჟერიდან ერნემდე, შუა გზაზე, სადაც, ჩვეულებრივ, მგზავრები ისვენებდნენ ხოლმე, პელერინის მთის ფერდობს აუყვა.

სხვადასხვა რაოდენობის ჯგუფებად დაყოფილი ეს რაზმი იმდენნაირი საოცარი სამოსის, სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლის, სხვადასხვა ხელობის ადამიანის ისეთ ჯგროს წარმოადგენდა, რომ ზედმეტი არ იქნება, აღვნიშნოთ სხვადასხვა ნიშანი, რათა ჩვენს თხრობას შევძინოთ ის სიკაშკაშე ფერებისა, ახლა ასე რომ ფასობს, თუმცა, ამა თუ იმ კრიტიკოსის აზრით, გრძნობათა აღწერას ვნებს კიდევაც. ზოგიერთი გლეხი, და უმრავლესობა ასეთი იყო, ფეხშიშველი მიაბოტებდა. მათი ერთადერთი სამოსი თხის ტყავი იყო,

კისრიდან მუხლამდე რომ უფარავდათ სხეულს და შარვალი, ცუდად დაძახული თეთრი ხამი ტილოსი, იმ მხარეში რეწვის ჩამორჩენილობაზე რომ ღაღადებდა. გრძელი, გაფშეკილი ბუწუწები ისე ჰქონდათ გახლართული თხის ტყავის მატყლში და ისე უფარავდათ მიწისკენ წახრილ სახეებს, იფიქრებდით, ტყავი თხისა კი არა, მათიაო და, ერთი შეხედვით, ეს საცოდავები ის ცხოველები გეგონებოდათ, ვისი ტყავიც მათ სხეულს ფარავდა. მაგრამ თუ დააკვირდებოდით, თმის ბღუჯებს შორის, სქელ სიმწვანეში მობრჭყვიალე ცვარივით თვალებს დაინახავდით, რომელთა გამოხედვა, მართალია, ადამიანის გონიერებას ამჟღავნებდა, მაგრამ უფრო გაფრთხობდათ, ვიდრე გიზიდავდათ. თავზე ყველას წითელი შალის ჭუჭყიანი ქუდები ეფხატა, რაღაცით რესპუბლიკის მიერ იმხანად თავისუფლების ემბლემად შერჩეულ ფრიგიულ ჩაჩს რომ წააგავდა, მხარზე ყველას ნუჟრიანი კომბალი გაედო, რომელზეც ტილოს გძელი, თითქმის ცარიელი აბგა კონწიალობდა. ზოგიერთს ჩაჩზე ნაბდის ფართოფარფლებიანი, შალის ფერადი ძაფის ყაითანმოვლებული ქუდი ეხურა. ყველაფერი ხამისა ეცვათ, მათი თანამგზავრების შარვლებისა და აბგების მსგავსი და ახალ ცივილიზაციასთან შეხების მხოლოდ შეუმჩნეველ კვალს თუ დაინახავდით. მომრგვალებულკალთებიან, გვერდებზე კვადრატულ ჯიბეებიან ძლივს თეძოებამდე რომ სწვდებოდათ, ქურთუკების საყელოს გრძელი თმა ეფინა. ასეთი სამოსი დასავლეთის გლეხებისთვის იყო დამახასიათებელი. გულზე გადაღეღილი ქურთუკების ქვეშ იმავე ტილოს, დიდღილებიანი ჟილეტები მოუჩანდათ. ზოგიერთ მათგანს ფეხზე საბოები ეცვა, ზოგს კი, რომ არ გაჰფუჭებოდა, ხელში ეჭირა ტყავის ფეხსაცმელი. დიდი ხნის ხმარებისგან გაჭუჭყიანებული, ოფლისა და მტვრისაგან გაშავებული ეს კოსტიუმი ზემოთ აღწერილზე ნაკლებორიგინალური იყო, მაგრამ საკუთარი ისტორიული ღირებულება ჰქონდა, გარდამავალი საფეხურივით იყო ბრბოში აქა-იქ გაფანტული და ყვავილებივით მოელვარე რამდენიმე კაცის თითქმის მდიდრული სამოსისკენ. მართლაც, მა-თი ლურჯი შარვლები, წითელი ან ყვითელი ჟილეტები, სპილენძის ორ რიგად ჩამწკრივებული ღილებით კვადრატულ ფარს რომ მოგაგონებდათ, პურის ყანაში გაფანტული ღიღილოებისა და ყაყაჩოების მსგავსად ხვდებოდა თვალს, თეთრ და ბეწვის ტანსაცმელს შორის. ზოგიერთს ფეხზე თვითნაკეთი საბოები

ეცვა, ბრეტანელი გლეხები თვითონ რომ ჩორკნიან, მაგრამ უმრავლესობა უხეშ, ნალებდაკრულ ფეხსაცმელს და ძველ ყაიდაზე შეკერილ, ასეთი სასოებით რომ შემოინახეს ჩვენმა გლეხებმა, უხეში მაუდის ხიფთანივით სამოსს ატარებდა. პერანგის საყელო გულის ან ღუზის ფორმის ვერცხლის საკინძით იკვრებოდა. აბგებშიც მეტი რამ ელაგათ, ვიდრე მათ თანამგზავრებს. ამას გარდა, ბევრის სამგზავრო აღჭურვილობაში კისერზე კანაფით ჩამოკიდებული, ალბათ არყით სავსე მათარაც შედიოდა. რამდენიმე ქალაქელი ამ ნახევრად ველურებში უკანასკნელი მოდის ამა თუ იმ ნიშნით გამოირჩეოდა. ეხურათ ქვაბქუდა, დასაკეცი ქუდი-ცილინდრი ან კეპი. ეცვათ გადაკეცილი ჩექმა ან ფეხსაცმელი და გეტრები, მათაც, გლეხებისა არ იყოს, დიდად განსხვავებულად ეცვათ. მათ შორის ასე ათ კაცს ეცვა კარმანიოლის სახელით ცნობილი რესპუბლიკელთა ქურთუკი. სხვებს, უეჭველად მდიდარ ხელოსნებს, თავიდან ფეხებამდე ერთი ფერის მაუდის ტანსაცმელი ემოსათ. ყველაზე დახვეწილები გამოირჩეოდნენ მეტ-ნაკლებად გაქუცული, ლურჯი ან მწვანე მაუდის ფრაკებითა და რედინგოტებით. ეს უკანასკნელნი, სხვადასხვა ფორმის ჩექმებიანი, გამორჩეული პიროვნებები, სქელი ხელჯოხების ქნევით, ბედს შეგუებულებივით მიაბიჯებდნენ. ზოგნი, საგულდაგულოდ დაპუდრული თავებითა და გულმოდგინედ დაწნული ნაწნავით, ერთგვარ დახვეწილობასაც კი ამჟღავნებდნენ, რასაც ახალგამდიდრებულები ან განათლების გზას დამდგარნი იძენენ ხოლმე.

ყველანი, თითქოს გაკვირვებულები იმით, რომ შემთხვევით ასე ერთად აღმოჩნდნენ, შეიძლებოდა საკუთარი კერებიდან ხანძარს გამორიდებულებად ჩაგეთვალათ. მაგრამ დრო და ასეთი თავყრილობის ადგილი სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებდა ამ დუნდგოს. რაზმი თითქმის მთლიანად იმ ხალხისაგან შედგებოდა, ოთხი წლის წინ რესპუბლიკას რომ ებრძოდა და იმხანად საფრანგეთს რომ აღელვებდა, იმ სამოქალაქო დავებში გარკვეული დამკვირვებელი მაშინვე ამოიცნობდა მოქალაქეთა პატარა ჯგუფს, რომლის ერთგულების იმედიც შეიძლებოდა ქვეყანას ჰქონოდა. საკმაოდ შესამჩნევი უკანასკნელი ნიშანი ააშკარავებდა იმას, რომ ამ ერთად შეყრილ ხალხს განსხვავებული მრწამსი ჰქონდა. მხოლოდ რესპუბლიკელები მიაბიჯებდნენ

ხალისიანად. დანარჩენები, თუმცა სამოსით დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, გამომეტყველებასა და მოძრაობაში საერთო რაღაცას ინარჩუნებდნენ, რაც, უთუოდ, უბედურების კვალი იყო. ქალაქელებიცა და გლეხებიც, ყველა ერთნაირად მოეცვა ჭმუნვას. მათ მდუმარებაში შეურიგებლობა სჭვიოდა და თითქოს ერთი საფიქრალის სიმძიმეს გაეწყვიტა ყველა წელში, უეჭველად საშინელს, მაგრამ საგულდაგულოდ დამალულს, რადგან გულჩათხრობილი ადამიანების სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდით. მხოლოდ უჩვეულოდ ნელი სვლა გასცემდა მათ დაფარულ ზრახვებს. დროდადრო რამდენიმე მათგანი, გამორჩეული იმით, რომ ყელზე კრიალოსანი ეკიდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა უფრო გაუქმებული და ჩახშობილი, ვიდრე განადგურებული სარწმუნოების ამ სიმბოლოს ტარება, გაიქნევდა თავს, თმას გადაიყრიდა, ფრთხილად გაიხედავდა, მალულად ათვალიერებდა ტყეს, ბილიკებს, გზის მომიჯნავე კლდეებს, მონადირე ძაღლივით, რომელმაც მსხვერპლი იყნოსა. მერე, რაკი თავიანთი მდუმარე თანამგზავრების მონოტონური ფეხის ხმის მეტი არაფერი ისმოდა, ისევ ჩაქინდრავდნენ თავს და სახეზე ისეთი უსაშველო გარინდება ეფინებოდათ, იტყოდით, სწორედ ის დამნაშავეები არიან, კატორღაში რომ მიერეკებიან, სადაც სიკვდილამდე უნდა იცხოვრონო.

მაიენისკენ ამ კოლონის სვლა, მისი ჭრელი შემადგენლობა, ამ ხალხის განსხვავებული განწყობა სრულიად გასაგები და ბუნებრივი ხდებოდა სხვა რაზმის არსებობით, რომელიც კოლონას სათავეში ედგა. რაზმს წინ მიუძღოდა, დაახლოებით, ას ორმოცდაათი ჯარისკაცი, იარაღითა და აღჭურვილობით, პოლკის უფროსის, ნახევარბრიგადის მეთაურის ხელმძღვანელობით. მათთვის, ვინც რევოლუციის დრამატულ მოვლენებს არ შესწრებია, ზედმეტი და ინტერესმოკლებული არ იქნება იმის თქმა, რომ ამ სახელით შეიცვალა პოლკოვნიკის ჩინი, რომელიც პატრიოტებმა გააუქმეს, როგორც მეტისმეტად არისტოკრატული. ჯარისკაცები მიეკუთვნებოდნენ მაიენში დაბანაკებულ ქვეით ნახევარბრიგადას. ამბოხებებისა და განხეთქილებების პერიოდში, დასავლეთ საფრანგეთის მოსახლეობამ რესპუბლიკის ჯარისკაცებს ლურჯები შეარქვეს. ეს მეტსახელი შემორჩა იმ პირველი ლურჯი და წითელი

უნიფორმების გამო, რომლებიც ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ და მათი აღწერა უსარგებლოა. მაშასადამე, ლურჯების ქვედანაყოფი ესკორტად ახლდა ხალხის ამ თავყრილობას, სადაც თითქმის ყველა უკმაყოფილო იყო იმით, რომ მიემართებოდნენ მაიენში, სადაც სამხედრო დისციპლინას ერთი სულისკვეთება, ერთნაირი მხედრული გამართულობა უნდა ჩამოეყალიბებინათ მათთვის, რაც სრუ-ლებით არ გააჩნდათ და ერთნაირად უნდა გამოეწყოთ.

ამ კოლონისთვის ფუჟერის ოლქში ძლივს მოაგროვეს რიცხვობრივი შემადგენლობა, საფრანგეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი დირექტორის მიერ 10 მერიდორს მიღებული საყოველთაო გაწვევის შესახებ კანონის საფუძველზე.

მთავრობამ მოითხოვა ასი მილიონი ფულად და ასი ათასი ჯარისკაცი საფრანგეთის არმიის მისაშველებლად, რომელიც იმხანად ავსტრიელებმა იტალიაში დაამარცხეს, პრუსიელებმა - გერმანიაში. ამ არმიას შვეიცარიაში რუსები ემუქრებოდნენ, სუვოროვი ირწმუნებოდა, საფრანგეთს დავამარცხებთო. ვანდეის სახელით ცნობილმა დასავლეთის დეპარტამენტებმა, ბრეტანმა და ქვემო ნორმანდიის ნაწილმა, რომლებშიც ოთხწლიანი ომის შემდეგ, გენერალ ოშის დიდი მონდომებით, წესრიგი დამყარდა, ეტყობა, დრო იხელთეს და ბრძოლა განაახლეს. ამდენი მტრის პირისპირ რესპუბლიკამ თავდაპირველი ენერგია აღიდგინა. პირველ რიგში, ზომები მიიღო იმ დეპარტამენტების დასაცავად, რომლებსაც უფრო ესხმოდნენ თავს და, მერიდორის კანონის ერთ-ერთი მუხლით, ადგილობრივ მცხოვრებლებს გადააბარა ამაზე ზრუნვა. მართლაც, მთავრობამ, რომელსაც შინაურ მტრებთან საბრძოლველად არც ფული გააჩნდა და არც ჯარი, გაჭირვებიდან თავი გასკონური ეშმაკობით დაიძვრინა, ამბოხებულ დეპარტამენტებს ვეღარაფერი მიაშველა, სამაგიეროდ, ნდობა გამოუცხადა, იქნებ იმის იმედიც ჰქონდა, რომ ამ ღონისძიებით მოქალაქეთა ერთ ნაწილს მეორეს წაჰკიდებდა და ამით ამბოხებას ჩანასახშივე ჩაახშობდა. კანონის ეს მუხლი, სისხლიანი დაპირისპირების სათავე, შემდეგნაირად იყო შედგენილი: დასავლეთის დეპარტამენტებში შეიქმნას თავისუფალ მებრძოლთა რაზმები, რომლებიც რეგულარულ არმიაში არ ირიცხებიან. ეს არადიპლომატიური ღონისძიება საფრანგეთის დასავლეთში ისე მტრულად მიიღეს, რომ დირექტორიას მაშინვე გაუქრა

გამარჯვების იმედი და რამდენიმე დღის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოებს სთხოვა, განსაკუთრებული ზომები მიეღოთ იმ პატარა კონტიგენტების მიმართ, რომლებიც „თავისუფალ მებრძოლთა რაზმების“ ნებადამრთველი კანონის თანახმად უნდა მოეგროვებინათ. ზემოთ აღწერილი ამბების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა ახალი კანონი, მიღებული VII წლის მესამე დამატებით დღეს, რომლის თანახმადაც, ეს პატარ-პატარა რაზმები ლეგიონებად უნდა გაეერთიანებინათ. ლეგიონებს უნდა რქმეოდათ სარტის, ორნის, მაიენის, ილ-ე-ვილენის, მორბიანის, ქვემო ლუარის და მენ-ე-ლუარის დეპარტამენტების სახელები. ეს ლეგიონები, ნათქვამი იყო კანონში, განკუთვნილია მხოლოდ შუანების წინააღმდეგ საბრძოლველად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდნენ საფრანგეთის საზღვრებს. ამ მოსაბეზრებელი, ბევრისთვის უცნობი დეტალებით აიხსნება დირექტორიის სისუსტე და, ლურჯების თანხლებით, ამ ბრბოს ლაშქრობის მიზეზი. ალბათ ზედმეტი არ იქნება იმის დამატებაც, რომ დირექტორიის მშვენიერი და პატრიოტული დადგენილებები არასოდეს განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით, რომ ქვეყნდებოდა „კანონთა ბიულეტენში.“ რესპუბლიკის დეკრეტები უკვე აღარ ეყრდნობოდა დიდი მორალური ძალის მქონე იდეებს, პატრიოტიზმს ან ტეროინს, რომლებიც ოდესღაც მათ შესრულებას სავალდებულოს ხდიდნენ; ქაღალდზე იწერებოდა მილიონობით ფრანკი და ჯარისკაცი, მაგრამ არც ფული აღწევდა ხაზინამდე და არც ჯარისკაცები ხვდებოდნენ არმიაში. უმაქნის ხელში რევოლუციის ზამბარა მოდუნდა. კანონები კი, ნაცვლად იმისა, რომ გარემოებანი დაექვემდებარებინათ, პირიქით, თვითონ ეგუებოდნენ პირობებს.

მაიენისა და ილ-ე-ვილენის დეპარტამენტებს მართავდა ძველი ოფიცერი, რომელმაც ადგილზე გადაწყვიტა, რა ღონისძიებები უნდა განეხორციელებინა. გადაწყვიტა, გამოეგლიჯა რეკრუტები ბრეტანისთვის და, განსაკუთრებით, ფუჟერისთვის, რომელიც შუანების ამბოხების ყველაზე საშიში კერა იყო. იმედი ჰქონდა, რომ ასე დაასუსტებდა ოლქებს, რომლებიც რესპუბლიკისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. ერთგულმა მეომარმა ისარგებლა კანონის ილუზორული წინდახედულობით და გამოაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უზრუნველყოფდა მათ აღჭურვილობას, მოახერხებდა

მობილიზებულ ჯარისკაცთა ეკიპირებას და ამ განსაკუთრებულ სამხედრო დანაყოფებს მთავრობის დანაპირებ ერთი თვის ხელფასსაც მისცემდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრეტანი უარს ამბობდა ყოველგვარ სამხედრო სამსახურზე, ამ დაპირებების წყალობით, გაწვევა ძალიან წარმატებულად და ისე სწრაფად განხორციელდა, რომ ოფიცერი შეშფოთდა. მაგრამ ნაცად მეომარს ვერ გააცურებ. როგორც კი დაინახა, რომ გაწვეული ჯარისკაცების ნაწილი ოლქს მოაწყდა, რაღაც საიდუმლო მიზეზი იგუმანა და სწორადაც გამო-იცნო, ალბათ იარაღის ხელში ჩაგდება უნდათო. დაგვიანებულებისთვის აღარ დაუცდია და გადაწყვიტა, ალანსონისკენ დაეხია, მორჩილი ოლქებისკენ, რომელიც აჯანყების გამო სულ უფრო ფართოვდებოდა იმ მხარეში. ამ გეგმის წარმატება ძალიან სათუო გახდა. ეს ოფიცერი, ინსტრუქციის თანახმად, საიდუმლოდ ინახავდა საფრანგეთის არმიის წარუმატებლობასა და არცთუ დამამშვიდებელ ამბებს ვანდეიდან და იმ დილას, ჩვენი ამბავი რომ იწყება, ფორსირებული მარშით სცადა მაიენამდე მისვლა, სადაც კანონის თავისებურად გამოყენებას აპირებდა: ბრეტანელი ახალწვეულებით შეევსო ნახევარბრიგადის შემადგენლობა. სიტყვა „ახალწვეულმა“ კანონების ტექსტში პირველად შეცვალა „რეკრუტი“, რესპუბლიკის ჯარისკაცების ადრინდელი სახელი. ფუჟერიდან გასვლამდე, ნახევარბრიგადის წინამძღოლმა ბრძანა, ჩუმად აეღოთ მთელი რაზმისთვის სამყოფი ვაზნები და პური. ამით ახალწვეულებს დაუმალავდა, რომ წინ დიდი გზა ედოთ. ისიც გადაწყვიტა, არ შეჩერებულიყვნენ ერნეს საეტაპო პუნქტზე, სადაც გონს მოსული გაწვეულები შეიძლებოდა დაჰკავშირებოდნენ შუანებს, რომლებიც ქალაქის მიდამოებში ნამდვილად იქნებოდნენ გაფანტულნი. ძველი რესპუბლიკელის ოინი და მთაში ასეთი ნელი გადაადგილება პირქუშად მდუმარი ჯარისკაცების დიდ ეჭვსა და უნდობლობას იწვევდა ნახევარბრიგადის მეთაურის, გვარად იულოს მიმართ. ყველაზე თვალშისაცემი დეტალი ჩვენი ზემოთ მოყვანილი აღწერისა, მის ცხოველ ინტერესს იწვევდა და ამიტომაც უბრად მიდიოდა ხუთი ახალგაზრდა ოფიცრით გარშემორტყმული, რომელიც დიდ მოწიწებას გამოხატავდა შეფიქრიანებული შეფის მიმართ. როგორც კი პელერინის მწვერვალს დაადგა ფეხი, იულომ თითქოს ინსტინქტურად მიაბრუნა თავი მობილიზებულთა შეშფოთებული სახეების დასანახად და

თვითონ დაარღვია სიჩუმე. ბრეტანელები ფეხს ითრევდნენ და ისე ჩამორჩნენ, რომ მცველთა რაზმს, დაახლოებით, ორასი ნაბიჯით დასცილდნენ. იულო დაიჯღანა, როგორც იცოდა ხოლმე და დასჭყივლა: - რა ჯანდაბა სჭირთ მაგ კოხტაპრუწებს! ფეხის გადადგმა უჭირთ?

ამის გაგონებაზე თანხმლები ოფიცრები დიდი ხმაურით უცებ გაღვიძებულებივით შეტრიალდნენ. სერჟანტებმა და კაპრალებმაც მათ მიბაძეს და ასეული სასურველი სიტყვის - „სდექ!“- გაგონებამდე შედგა. ოფიცრებმა ჯერ გადახედეს რაზმს, გრძელი კუს მსგავსად ნელა რომ მობობღავდა პელერინის მთაზე, მერე კი, ეს ახალგაზრდები, რომლებიც სამშობლოს დაცვის მოვალეობამ, სხვა მრავალი ადამიანის მსგავსად, მოსწყვიტა ამაღლებულ საქმიანობას და რომლებშიც ომს ჯერ კიდევ არ ჩაეხშო მშვენიერების გრძნობა, გააოცა მათ თვალწინ გადაშლილმა სანახაობამ და ყური წაუყრუეს იულოს შენიშვნას, არ ესმოდათ, რამდენად საგულისხმო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფუჟერელები იყვნენ, საიდანაც იგივე სურათი იშლება, რაც აქ, ოღონდ იმ სხვაობით, რომ პერსპექტივაა სხვა, მაინც ვერ თქვეს უარი, უკანასკნელად დამტკბარიყვნენ, დილეტანტთა მსგავსად, რომლებიც, რაც უფრო დეტალურად იცნობენ, მით მეტ სიამოვნებას იღებენ მუსიკისგან. პელერინის მთის წვეროდან მგზავრებს თვალწინ გადაეშალათ კუენონის ველი, ყველაზე მაღალი წერტილი ჰორიზონტზე კი ქალაქი ფუჟერი იყო. მისი კლდის წვერზე აგებული ციხესიმაგრე სამ თუ ოთხ მნიშვნელოვან გზას დასცქერის, ამ პოზიციის გამო ბრეტანის ფორპოსტადაც თვლიდნენ. აქედან ოფიცრებმა მთელი სიგრძე-სიგანით დაინახეს ეს აუზი, შესანიშნავი, როგორც თავისი ნაყოფიერი მიწებით, ისე ნაირფერობით. ყველა მხრიდან ამფითეატრივით შემოსჯარვოდა ფიქლით ნაგები მთები. მათი მოწითალო ფერდობები მუხნარით, აქა-იქ ჩამალული, სიგრილეჩაბუდებული პატარა ხეობებით დაბურულა, კლდეები მომრგვალებული გალავანივით აღმართულან და შუაში მოუქცევიათ, იტყვი, ინგლისური ბაღიაო, მოლივლივე, უზარმაზარი მდელო. ცოცხალღობეშემოვლებული დიდ-პატარა, მამაპაპისეული ხეებიანი მამულები ამ მწვანე ხალიჩას საფრანგეთის პეიზაჟისთვის უჩვეულო ელფერს ანიჭებენ და მისი ხიბლის საიდუმლო იმ უამრავ კონტრასტშია, რომელიც ყველაზე გულგრილ ადამიანებსაც კი აჯადოებს. ამ მომენტში

მხარის მთელი პანორამა სულჩადგმული იყო იმ მოუხელთებელი ელვარებით, ბუნება ხანდახან რომ ამახვილებს ხოლმე ყურადღებას თავის სამარადისო ქმნილებებზე. სანამ რაზმი ველზე მიაბიჯებდა, ამომავალმა მზემ ნელ-ნელა გაფანტა თეთრი, მსუბუქი ნისლი, რომელიც სექტემბრის დილით დალივლივებს ხოლმე მდელოს თავზე. იმ დროს, როცა ოფიცრები შემობრუნდნენ, თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა ჩამოაცალა ბუნებას გამჭვირვალე დოლბანდი, როგორც ძვირფას სამკაულზე დაგდებული რიდე, რომელიც უფრო ამძაფრებს ცნობისმოყვარეობას. სადამდეც ოფიცრებს თვალი მიუწვდებოდათ, ჰორიზონტამდე ერთი ღრუბელიც კი არ იყო, რომელიც კაცს აფიქრებინებდა, რომ ეს უზარმაზარი ცისფერი გუმბათი მართლაც ცის თაღი იყო. უფრო სხვადასხვა სიმაღლის მთებზე დაყრდნობილი აბრეშუმის ჩარდახი გეგონებოდათ, დიდებული მინდვრების, მდელოების, ნაკადულებისა და ჭალების დასაცავად. ოფიცრები თვალს ვერ აცილებდნენ ამ სივრცეს, უცებ ამდენი სილამაზე რომ გადაშალა. ზოგი ყოყმანობდა, არ იცოდა, რომელ ჭალაკზე შეეჩერებინა მზერა, რადგან ყოველი მათგანი აოცებდა შეფერილობის მრავალფეროვნებით, უფრო მდიდრული რომ ჩანდა ხმელი ფოთლების ბრინჯაოსფერით, უთანაბროდ მოთიბული ზურმუხტისფერი მდელოების ფონზე, ზოგს მოწითალო მინდვრები უფრო იზიდავდა, სადაც მომკილი წიწიბურის ძნები კონუსებად იდგა, ჯარისკაცები იარაღს რომ დაახვავებენ ხოლმე დასასვენებლად დაცემულ ბანაკში, პირამიდისებურად, ისე, და თვალს სტაცებდა კონტრასტულად, ანეულად დატოვებული მიწის ოქროსფერი ნაკვეთები ჭვავის მომკის მერე.

აქა-იქ შიფრის მუქი სახურავი მოჩანდა, საიდანაც თეთრი ბოლი ამოდიოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაცდუნებელი ოპტიკური თამაშით თვალს იტაცებდნენ და რატომღაც სულში ბუნდოვან ოცნებებს აღძრავდნენ კუენონის დაკლაკნილი, ვერცხლისფერი, ცოცხალი შენაკადები. შემოდგომის ნიავის სურნელოვანი სიგრილე, ტყის მძაფრი სურნელი, საკმევლით გაჟღენთილი ღრუბელივით ნარნარად რომ მიმოჰქროდა და ათრობდა ამ მშვენიერი მიდამოთი დამტკბარ მაყურებლებს, აღფრთოვანებულები რომ შეჰყურებდნენ უცნობ ყვავილებს, თამამ მცენარეულს და ხასხასა სიმწვანეს, რითაც ბრეტანი ექიშპება ბრიტანეთს, თავის სეხნია ქვეყანას. პატარ-პატარა

ნახირი აცოცხლებდა სცენას, ასეთ შთამბეჭდავს. გალობდნენ ჩიტები და ველზე ჰაერში თრთოდა ნაზი მუსიკა. თუ მკითხველი მოისურვებს, დამხმარედ მოიხმოს წარმოსახვის უნარი, რომელიც მას წარმოუდგენს შუქისა და ჩრდილის საუცხოო თამაშს, მთათა ნისლიან ჰორიზონტებს, ფანტასტიურ პერსპექტივებს, იქიდან რომ იშლებოდა, სადაც ხეები არ ეფარებოდა და სადაც წყლის ნატბორი მოჩანდა, ან ჩუხჩუხა ნაკადულები მიხტოდნენ მკვირცხლად, თუ მოგონებები შეაფერადებენ, ასე ვთქვათ, ამ სურათს, ისეთსავე მსწრაფლწარმავალს, როგორიც ის წამი იყო, როცა დაინახეს, ხალხი, ვისთვისაც ასეთი სანახაობა სიმშვენიერეს მოკლებული არ არის, ვერ მიიღებს სრულ წარმოდგენას ჯადოსნურ სანახაობაზე, ოფიცრები რომ მონუსხა და ბოლომდე შეძრა მათი მგრძნობიარე, ახალგაზრდა სულები, როცა გაიფიქრეს, რომ საბრალო ახალწვეულებს უჭირთ მშობლიური მხარისა და შესისხლხორცებული ადათ-წესების მიტოვება. იქნებ იმის გამო, რომ უცხო მიწა-წყალზე დაიხოცნენ, აპატიეს უნებური სიზანტე, მაგრამ ჯარისკაცის ჩვეული დიდსულოვნებით არ გაამჟღავნეს შემწყნარებლური თანაგრძნობა და თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს ამ მშვენიერი კუთხის სამხედრო პოზიციების შესწავლა უნდოდათ. მაგრამ იულო, უკეთესია, „სარდალი“ ვუწოდოთ, ვიდრე ნაკლებჰარმონიული ნახევარბრიგადის უფროსი, იმ ჯარისკაცთაგანი იყო, რომლებიც საფრთხის წინაშე პეიზაჟს თავს არ მოახიბლვინებენ, თუნდაც მიწიერი სამოთხე იყოს. მან უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და შეჭმუხნა შავი წარბები, მის ფიზიონომიას მკაცრ გამომეტყველებას რომ ანიჭებდნენ.

- სად ეშმაკებში არიან? რატომ არ მოდიან? - ომებში ჩახლეჩილი ხმით მეორედ იკითხა, - თუ სოფელში შეხვდათ ვინმე კეთილი ღვთისმშობელი და ხელის ჩამოსართმევად შეჩერდნენ?

- შენ კითხულობ? რატომ? - გაისმა ხმა.

ამ ხმის გაგონებაზე, იმ ბუკის ხმას რომ ჰგავდა, რომლითაც ბრეტანის ველებზე გლეხები საქონელს აგროვებენ ხოლმე, სარდალი ელდანაკრავივით შებრუნდა, თითქოს ხმლის წვერით შეეხო ვინმე და ორ ნაბიჯში კიდევ უფრო უცნაური პიროვნება დაინახა, ვიდრე წვევამდელები, რომლებიც მაიენში მიჰყავდათ რესპუბლიკის სამსახურში მწყობრში ჩასაყენებლად. ამ ჯმუხ, ბეჭებგანიერ უცნობს თავი ხარისას

მიუგავდა, და არამხოლოდ ზომით; სქელი, ხორციანი ნესტოების გამო ცხვირი უფრო მოკლე უჩანდა, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა; სქელი ტუჩები ვერ უფარავდა თოვლივით თეთრ კბილებს, მუქარის გამომხატველ წარბებქვეშ მრგვალი, დიდი შავი თვალები, პარტყუნა ყურები და ჟღალი თმა ამკობდა. ამ ყველაფრით უფრო ნაკლებად შეესაბამებოდა ჩვენს მშვენიერ კავკასიურ რასას, ვიდრე ბალახისმჭამელთა სახეობას. დაბოლოს, ნატამალი არ გააჩნდა იმ ნიშნებისა, რომელიც ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ არსებას გამოარჩევს, რაც ამ თავს უფრო გამორჩეულს ხდიდა. მზისგან ბრინჯაოსფრად გარუჯული სახე, რომლის უხეში ნაკვთებიც მოგაგონებდათ გრანიტს, ბრეტანის ნიადაგს რომ შეადგენდა, ამ უცნაური არსების სხეულის ერთადერთი ხილული ნაწილი იყო. ყელამდე იყო გახვეული რაღაც ბალახონში, კიდევ უფრო უხეში, გამოუთეთრებელი ხამი ტილოსგან რომ იყო შეკერილი, ვიდრე ყველაზე ღარიბი წვევამდელის შარვალი. ბალახონი, რომელშიც ანტიკვარი ძველი გალების სეის(საგა) ან „სეიონს“ შეიცნობდა, წელამდე სწვდებოდა და თხის ტყავის ქვედატანივით სამოსზე ხისგან უხეშად გამოჩორკნილი ნაჭრებით იყო მიბმული, ზოგიერთზე ხის ქერქიც რომ შერჩენოდა. თხისავე ტყავი ჰქონდა შემოხვეული თეძოებზე და წვივებზე ისე, რომ ადამიანის სხეულის ფორმას ვერ მიხვდებოდით. უზარმაზარი საბოები უფარავდა ტერფებს. გრძელი, მბზინვარე თმა, ასე რომ ჰგავდა მის თხის ტყავის ბეწვს, სახის ორივე მხარეს ჰქონდა ჩამოშვებული, შუაზე გაყოფილი, რითაც შუასაუკუნეებისდროინდელ იმ ქანდაკებათა თმას ემსგავსებოდა, ახლაც რომ შეხვდებით ზოგიერთ ტაძარში. დაკოჟრილი კომბლის ნაცვლად, წვევამდელებს რომ ჰქონდათ მხარზე გადებული, მას თოფივით მკერდზე მიკრული, ტყავის თასმებისგან ოსტატურად დაწნული მათრახი ეჭირა, რომელიც ჩვეულებრივზე ალბათ ორჯერ გრძელი იყო. ამ უცნაური არსების გამოჩენა ადვილი ასახსნელი ჩანდა. მის დანახვაზე ზოგიერთმა ოფიცერმა იფიქრა, რომ უცნობი მობილიზებული ან ახალწვეული იყო (მაშინ ჯერ კიდევ ხმარობდნენ ამ სიტყვებს ერთმანეთის ნაცვლად) და შეფერხებულ კოლონას ელოდებოდა. სხვათაშორის, მისმა გამოჩენამ მეტად გააოცა სარდალი, შეშინებულს არ ჰგავდა, მაგრამ სახეზე შეშფოთებამ გადაურბინა, უცნობს ახედ-დახედა და მექანიკურად, უნებლიეთ, თითქოს მძიმე ფიქრებს თავს ვერ აღწევსო,

გაიმეორა: - ჰო, რატომ არ მოდიან? შენ რა, იცი?

- იმიტომ რომ, - უპასუხა მოქურუხებულმა თანამოსაუბრემ აქცენტით, რომელიც მოწმობდა, რომ ძალიან უჭირდა ფრანგულად ლაპარაკი, - იმიტომ რომ იქ, - და გაიშვირა ძლიერი, განიერი ხელი ერნესკენ, - მაიენი იწყება და ბრეტანი მთავრდება, - და სარდლის ფეხებთან ძლიერად დასცხო მიწას თავისი უზარმაზარი მათრახი. ამ სცენის შემსწრე მაყურებლებზე უცნობის ლაკონურმა და საზეიმო სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც, დავუშვათ, ტამტამის უადგილო გრუხუნს ექნებოდა მელოდიურ მუსიკაში. ეს მკვახე ნათქვამი ვერ გადმოსცემს იმ სიძულვილს, შურისძიების წყურვილს, რაც მისმა მედიდურმა ჟესტმა, მოკლე სიტყვამ და თავის დაჭერის მანერამ გამოხატა, რომელშიც შეურიგებელი, მძვინვარე და ცივი ენერგია სჭვიოდა. თითქოსდა, ცულით გამოთლილი ამ კაცის სიტლანქე, დაძარღვული იერი, მის სახეზე აღბეჭდილი უვიცობა უცნობს ბარბაროსთა რომელიღაც ნახევარღმერთს ამსგავსებდა. წინასწარმეტყველის პოზას ინარჩუნებდა და სამწლიანი ძილის შემდეგ გამოღვიძებული ბრეტანის სულივით გამოცხადდა ომის გასაახლებლად, სადაც ყოველ გამარჯვებას ორმხრივი ძაძა მოსდევდა.

- რა მაიმახია! - ჩაილაპარაკა იულომ, - იმ ხალხის გამოგზავნილს ჰგავს, ჩვენთან მოლაპარაკებას თოფით რომ აპირებენ. ეს სიტყვები სარდალმა კბილებში გამოსცრა და ამ კაციდან მზერა პეიზაჟზე გადაიტანა, პეიზაჟიდან რაზმზე, რაზმიდან ზემოთ, ბრეტანის კურდღლისცოცხათი დაფარულ გზისპირა ციცაბო ფერდობებზე. უცებ უცნობს შეხედა, მერე თითქოს უჩუმარი დაკითხვა მოუწყო, მკვეთრად ჰკითხა: - საიდან მოდიხარ? - და ცნობისმოყვარე, გამჭოლი მზერა მიაპყრო. ცდილობდა, გამოეცნო საიდუმლო ამ გაქვავებული სახისა, რომელსაც მოესწრო და აეკრა ბრიყვი, უტყვი გამომეტყველება, გლეხი რომ იღებს ხოლმე დასვენებისას.

- ვაჟკაცების ქვეყნიდან, - უპასუხა კაცმა ძალიან მშვიდად.

- შენი სახელი?

- იარე-მიწაზე.

- რატომ გაქვს შუანების მეტსახელი? კანონი ამას კრძალავს.

იარე-მიწაზემ, რაკი ასე გაეცნო, სარდალს ისეთი უსაზღვრო სიბრიყვით შეხედა, რომ სამხედრომ იფიქრა, ვერ გაიგოო.

- ფუჟერელი მობილიზებული ხარ?

ამ კითხვაზე იარე-მიწაზემ ისეთი უიმედო „არ ვიცი“ უთხრა, რომლის მერეც ყოველგვარი საუბრის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. მშვიდად ჩამოჯდა გზის პირას, უბიდან წიწიბურას კვერის რამდენიმე თხელი, შავი ნატეხი ამოიღო,- ნაციონალური საჭმელი, რომლის უბადრუკი სიამოვნება ბრეტონელების გარდა არავინ იცის და გამოთაყვანებული გულგრილობით დაიწყო ღრღნა. იმდენად დამაჯერებელი იყო მისი სრული უტვინობა, რომ ზოგ ოფიცერს საქონელი გაახსენა, ხეობის მსუყე იალაღებზე რომ სძოვდა, ზოგს - ამერიკელი ველური და ზოგს კი კეთილი იმედის კონცხის მკვიდრნი. მისი გარეგნობით გაბრიყვებულმა სარდალმა შემაშინებელი თითქოს ვერაფერი დაინახა და დამშვიდდა, მაგრამ მაინც ფრთხილად იყო. ერთხელაც შეხედა ამ ადამიანს, იეჭვა, ხოცვა-ჟლეტის მაუწყებელი არ იყოსო და თმაში, ბალახონზე, თხის ტყავებზე ეკლები, ფოთლების ნაგლეჯები, ჩინჩხვარი შეამჩნია, თითქოს ჯაგნარში დიდხანს ევლო. მაშინ იულომ მრავლისმთქმელად შეხედა თავის ადიუტანტს, ჟერარს, გვერდით რომ ედგა, ხელზე ხელი მოუჭირა და გადაულაპარაკა: - მატყლისთვის მივდიოდით და გაკრეჭილები დავბრუნდებით.

გაკვირვებულმა ოფიცრებმა ერთმანეთს ჩუმად გადახედეს.

აქ ცოტა უნდა გადავუხვიოთ, იულოს შფოთვა გასაგები რომ გახდეს ზოგიერთი შინაყუდასთვის, ყველაფერში რომ ეჭვი ეპარებათ, რადგან ვერაფერს ხედავენ და შეუძლიათ, იარე-მიწაზეს და დასავლეთ საფრანგეთის გლეხების არსებობაც კი, რომელთა ქცევა მაშინ საოცრად ამაღლებული იყო, საკამათო გახადონ. სიტყვა gars, ĝa (გა)კელტური ენის ნარჩენია. ქვემობრეტონულიდან გადავიდა ფრანგულში და ჩვენს ახლანდელ ენაში ის სიტყვაა, ყველაზე მეტი უძველესი მოგონება რომ შემოინახა. gais გაელების, ანუ გალების ძირითადი იარაღი იყო; gaiside შეიარაღებულს ნიშნავდა, gais - სიმამაცეს, gas - ძალას. ეს შეპირისპირება ამტკიცებს gars სიტყვის ნათესაობას ჩვენი წინაპრების ენაში არსებულ გამოთქმებთან. ამ სიტყვას ანალოგიაც აქვს ლათინურ სიტყვა vir-თან - „ქმარი“ „კაცი“, virtus-ის ფუძესთან - „ძალა, სიმამაცე“.

ამსიგრძე მსჯელობის გამართლება ნაციონალური გრძნობაა და იქნებ მოვახერხოთ კიდევაც ზოგიერთის თავში მოვახდინოთ შემდეგი სიტყვების რეაბილიტაცია: gars, garçon, garçonette, grace, gracette, რატომღაც ამოგდებული რომ არის ჩვენი მეტყველებიდან, როგორც ხეპრული, დაუხვეწელი, თუმცა წარმომავლობა მეომრულია, მებრძოლი და აქა-იქ ჩნდება ჩვენს ისტორიაშიც. - „C'est une fameuse grace!” - „ყოჩაღი დედაკაცი!“ ზოგიერთისთვის გაუგებარი საქებარი სიტყვა, მადამ დე სტალმა რომ მიიღო ვანდომელებისაგან პატარა კანტონში, სადაც გაძევებულმა რამდენიმე დღე გაატარა. ბრეტანი მთელ საფრანგეთში ის მხარეა, სადაც გალების ზნე-ჩვეულებებმა ყველაზე ძლიერი კვალი დატოვეს. ამ პროვინციის იმ ნაწილს, სადაც დღემდე აშკარადაა შემონახული ჩვენი გაუთლელი წინაპრების ცხოვრება და ცრუმორწმუნეობა, „le pays des gars“ ჰქვია - „ვაჟკაცების მხარე“. თუ რომელიმე კანტონში მრავლად ცხოვრობს იმის მსგავსი ველური, ჩვენს სცენაში რომ აღვწერეთ, ადგილობრივები ამბობენ: „ამა და ამ მრევლის ვაჟკაცი“. და ეს ფესვგადგმული სახელი ჯილდოდ ითვლება ენის ტრადიციებისა და გალური ადათ-წესების ერთგულებისთვის. მათმა ცხოვრებამ ძველი დროიდან შეინარჩუნა რწმენისა და ცრურწმენების ღრმა კვალი. იქ ფეოდალურ ჩვეულებებს ისევ იცავენ. სიძველის მოყვარულები ისევ შეხვდებიან დრუიდების საღსალამათ ძეგლებს. იქ თანამედროვე ცივილიზაციის გენიას ეშინია პირველყოფილ, უღრან ტყეებში შეღწევის. წარმოუდგენელი სისასტიკე, ბრიყვული სიჯიუტე, ფიცის ერთგულება, ჩვენი კანონების, წესების, ტანსაცმლის, ფულის, ენის სრული უგულებელყოფა და, ამასთან, პატრიარქალური სისადავე და გმირობა - ეს ყველაფერი იმას უწყობს ხელს, რომ აქაური მაცხოვრებლები ნაკლებად ინტელექტუალურები არიან, ვიდრე მოჰიკანები ან ჩრდილო-ამერიკის წითელკანიანები, მაგრამ მათსავით სულით გაუტეხლები, ცბიერები, მოხერხებულები და ამტანები. ბრეტანის მდებარეობა ევროპის ცენტრში, დამკვირვებლებისთვის მას უფრო საინტერესოს ხდის, ვიდრე კანადაა, თუმცა ცივილიზაციის შარავანდედი აკრავს, მაგრამ მისი კეთილისმყოფელი სითბო იქამდე არ აღწევს, ამიტომ ეს მხარე გაყინულ ნახშირს დაემგვანა, მოგიზგიზე კერაში ჩამქრალი და შავი რომ რჩება. ყველა მცდელობა ზოგიერთი დიდი მოაზროვნისა, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კეთილდღეობას საფრანგეთის ამ გამოუკვლეველ-ამოუცნობ,

საგანძურით მდიდარ მშვენიერ კუთხეში შეეღწია, მთავრობის ძალისხმევაც კი შუბლით ეჯახება მოსახლეობის ჩამორჩენილობას, რომელიც პროგრესის ხელის შემშლელი, დამამუხრუჭებელი, მომაკვდინებელი, უძველესი დროის ტრადიციების ერთგული რჩება. ამ უბედურებას ადვილად ხსნის ადგილობრივი მიწა-წყლის ბუნება, ხრამებით, ნიაღვრებით, ტბებითა და ჭაობებით დაღარული, ცოცხალი ღობეებით შემოჯარული ერთგვარი მიწის ბასტიონები, ყოველ მინდორს სიმაგრედ რომ აქცევს, არც გზებია და არც არხები, თანაც არ უნდა დავივიწყოთ უმეცარი ხალხის სული, მისი ფესვგამდგარი და სახიფათო ცრურწმენები, ჩვენს ისტორიაშიც რომ დავინახავთ და ამ ყველაფერს ემატება მიწის დამუშავების თანამედროვე საშუალებების მიუღებლობა.

თვალწარმტაცი მდებარეობა ამ მხარისა, მოსახლეობის ცრუმორწმუნეობა გამორიცხავს ხალხმრავალ დასახლებებს და, აქედან გამომდინარე, ურთიერთობისა და იდეათა გაცვლა-გამოცვლის კეთილისმყოფელ ზემოქმედებას. იქ არც სოფლებია. არამკვიდრი ნაგებობები, ბინას რომ უწოდებენ, თითო-თითოდ მიმოფანტულა. ყოველი ოჯახი, უდაბნოსავით, მხოლოდ თავის ეზოში ცხოვრობს. ერთადერთი, აქ ცნობილი ხანმოკლე თავყრილობა კვირაობით ან რელიგიურ დღესასწაულებზე მრევლის შეკრებებია. ეს უხმაურო კრებები, რექტორი, ბნელი ხალხის ერთადერთი მბრძანებელი რომ მართავს, ხანდახან რამდენიმე საათს გრძელდება. ამ მღვდლის მრისხანე ხმის მოსმენის შემდეგ გლეხი ერთი კვირით ისევ შეიკეტება ხოლმე ჯანმრთელობისთვის მავნე თავის სახლში, საიდანაც სამუშაოდ გამოდიან და დასაძინებლად შედიან. ვინმე თუ სტუმრობს, - ისევ მხოლოდ რექტორი[1] - იმ მხარის სული და გული. არც გასაკვირია, რომ მღვდლის მოწოდებით, ათასობით ადამიანი მოაწყდა რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად და ხუთი წლით ადრე იმ დრომდე, ჩვენი ამბავი რომ ხდება, ბრეტანის ამ ნაწილმა უამრავი ჯარისკაცი გამოიყვანა შუანების პირველი ამბოხებისას. ძმები კოტროები, მამაცი კონტრაბანდისტები, ამ ომს საკუთარი სახელი რომ მისცეს, სახიფათო ხელობას ეწეოდნენ ლავალიდან ფუჟერამდე. მაგრამ ამ სოფლების აჯანყებებში კეთილშობილური არაფერი ყოფილა და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თუ ვანდეამ ყაჩაღობა ომად აქცია, ბრეტანმა, პირიქით, ომი აქცია ავაზაკობად. სამეფო

ოჯახის განდევნა და რელიგიის განადგურება შუანებისთვის ძარცვა-გლეჯის საბაბად იქცა. ამ შიდა ომის მოვლენები საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა, რაც იმ მხარის ზნე-ჩვეულებებმა წარმოშვა. როცა მონარქიის ნამდვილი დამცველები ბრეტანში უბირი, მეომარი ჯარისკაცების მობილიზაციისთვის გამოცხადდნენ, ამაოდ ცდილობდნენ, თეთრი ბაირაღის გამოყენებით, სიდიადე, კეთილშობილება მიენიჭებინათ მეამბოხეთა ქმედებისთვის, რომლებმაც შუანობა სისაძაგლედ აქციეს და შუანები დარჩნენ ჭკუისსასწავლებელ მაგალითად იმისა, რამდენად სახიფათოა ქვეყნის ნაკლებად ცივილიზებული მასების აზავთება. მგზავრის თვალწინ გადაშლილი ბრეტანის ველი, ახალწვეულთა რიგებში შემავალი ხალხის აღწერა, პელერინის წვერზე გამოცხადებული ჯეელის პორტრეტი მოკლედ იძლევა პროვინციისა და მისი მცხოვრებლების ზუსტ სურათს. ამ დეტალების მიხედვით, გავარჯიშებულ წარმოსახვას არ გაუჭირდება, აღადგინოს თეატრი და საომარი ინსტრუმენტები - ყველა ელემენტი იყო წარმოდგენილი. ულამაზეს ხეობებსა და ყვავილებით დაფარულ ცოცხალ ღობეებს შეჰფარვოდნენ უხილავი, თავდასასხმელად გამზადებული მტრები. ყოველი ველი ციხე-სიმაგრე იყო, ყოველი ხე დაგაფიქრებდათ მზაკვრობასა და ხრიკზე, ყოველი ბებერი ძეწნის ფუღურო ეშმაკობას მალავდა. ყველგან ბრძოლის ველი იყო. გზის მოსახვევში შუანები უსაფრთებოდნენ ლურჯებს, მომღიმარი გოგონები რომ იტყუებდნენ და სულაც არ თვლიდნენ თავიანთ ქცევას ვერაგობად. მამებთან და ძმებთან ერთად წმინდა ადგილებში დადიოდნენ ხის ჭიანაჭამი ღვთისმშობლისთვის ახალი ეშმაკობების ნიჭის სათხოვნელად და ცოდვების მოსანანიებ-ლად. რელიგია, ან, უფრო სწორად, ფეტიშიზმი ამ უვიცი არსებისა, მკვლელს სინდისის ქენჯნის გრძნობას უკარგავდა. ამიტომაც, ასეთი ომის დაწყებისთანავე, ამ მხარეში ყველაფერი სახიფათო გახდა: ხმაური და სიჩუმე, წყალობა და ტერორი, ოჯახური კერა და შარაგზა, დამაჯერებლობითა და მრწამსით მართლდებოდა აქ ღალატი. ეს ველურები ღმერთსა და მეფეს ისევე ემსახურებოდნენ, როგორც მოჰიკანები ომობენ, მაგრამ ამ ბრძოლის სურათი ყოველმხრივ ზუსტი და ნამდვილი რომ იყოს, ისტორიკოსმა უნდა დაუმატოს, რომ როგორც კი ოშის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, მთელ მხარეში მხიარულებამ და მეგობრობამ დაისადგურა. ოჯახები, გუშინ რომ მზად იყვნენ, გაეგლიჯათ ერთმანეთი,

დღეს ერთ ჭერქვეშ მშვიდობიანად ვახშმობდნენ.

როგორც კი იულომ გამოიცნო იარე-მიწაზეს თხის ტყავებში დამალული ვერაგობა, დარწმუნდა, რომ ომის წყალობით მიღწეული კეთილისმყოფელი მშვიდობა დაირღვა და მისი შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ასე რომ, მთავრობის სამი წლის უმოქმედობის შედეგად, ომი, უფრო მძვინვარე, ვიდრე ადრე, განახლდა. 9 თერმიდორის მერე ჩაყუჩებული რევოლუცია ალბათ ტერორისტულ ხასიათს შეიძენდა, რაც საძულველს ხდიდა მას კეთილგანმზრახველი ხალხისთვის. როგორც ყოველთვის, საფრანგეთის განხეთქილებებს ინგლისის ოქრო უდგამდა სულს. რაც რესპუბლიკა მიატოვა მისმა მფარველმა ანგელოზმა, ახალგაზრდა ბონაპარტმა, ეტყობა, ვეღარ უმკლავდებოდა ამდენ მტერს, რომელთაგან ყველაზე სასტიკი უკანასკნელი ჩანდა. უამრავი წვრილ-წვრილი ამბოხებით ნასაზრდოები სამოქალაქო ომი ახალ, უჩვეულოდ სერიოზულ ხასიათს იღებდა, რაკი შუანებმა გადაწყვიტეს, ასეთ ძლიერ დაცვას დასხმოდნენ თავს. აი, ასეთი აზრები, ოღონდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოსდიოდა თავში იულოს, როცა მოეჩვენა, რომ იარე-მიწაზეს გამოჩენა მარჯვედ მომზადებული ჩასაფრების ნიშანი იყო. ჯერჯერობით, მარტო მან იგრძნო საშიშროების საიდუმლო.

სარდლის მიერ ჟერარისთვის ნათქვამმა წინასწარმეტყველურმა ფრაზამ, რომლითაც წინა სცენა დასრულდა, იულოს სიმშვიდე დაუბრუნა. ბებერი ჯარისკაცი კინაღამ დაიბნა. ვერ იშორებდა თავსმოხვეულ ფიქრებს იმაზე, რომ უკვე მის წინაშე იყო საშინელებები ომისა, რომლის სისასტიკე ალბათ კანიბალებსაც კი შეაცბუნებდა. კაპიტან მერლსა[2] და მაიორ ჟერარს, მის ორ მეგობარს, ვერ აეხსნა შიში, მათთვის უჩვეულო შეშფოთება შეფის სახეზე და თვალს არ აცილებდნენ იარე-მიწაზეს, გზის პირას თავის ხმიადს რომ ღრღნიდა, რადგან კავშირს ვერ პოულობდნენ ამ მხეცსა და მათი მამაცი სარდლის ძრწოლას შორის. მაგრამ მალე იულოს სახეზე ნათელი მოეფინა. რესპუბლიკის გასაჭირით ელდანაცემს, უხაროდა მისთვის ბრძოლა და თავის თავს ომახიანად მისცა პირობა, შუანებისთვის თავი არ გაებრიყვებინა, ამოეცნო განზრახვა პირქუში ეშმაკი კაცისა, პატივი რომ დასდეს და მიუგზავნეს. სანამ რამეს გადაწყვეტდა, დაიწყო ფიქრი იმ პოზიციაზე, სად შეიძლებოდა მტერი მოულოდნელად დასხმოდა თავს. როცა დაინახა, რომ

გზას ხეობის გასწვრივ მიუყვებოდნენ, რომელიც თუმცა ღრმა არ იყო, მაგრამ ტყე ეკრა და რამდენიმე ბილიკი მიიკლაკნებოდა ღრანტესკენ, შავი, ხშირი წარბები მაგრად შეჭმუხნა, ყრუ და ძალიან აღელვებული ხმით ჩუმად უთხრა მეგობრებს: - კრაზანის ბუდეში აღმოვჩნდით.

- მერე და, რისი გეშინიათ? - ჰკითხა ჟერარმა.

- მეშინია?... ჰო, მეშინია. ყოველთვის მეშინოდა მოსახვევში ტყიდან არავის მოვეკალი ძაღლივით ისე, რომ თქვენთვის დაყვირება ვერ მომესწრო: „ფრთხილად!“

მერლს გაეცინა.

- ფრთხილად? ეს უკვე მეტისმეტია.

- მართლა საფრთხეში ვართ? - ჰკითხა ჟერარმა, რომელიც ისევე გააკვირვა იულოს გულგრილობამ, როგორც ცოტახნის წინ მისმა შეკრთომამ.

- ჩუ! - თქვა სარდალმა, - მგლის ხახაში ვართ. ისე ბნელა, როგორც ღუმელში, სანთელი უნდა ავანთოთ. კიდევ კარგი, მთის წვერზე ამოვედით, - მთას მაგარი ეპითეტი მიაყოლა და დასძინა, აუცილებლად გავარკვევ რაშია საქმეო. მეთაურმა მოიხმო ორივე მეგობარი და სამი კაცი თავს დაადგა იარე-მიწაზეს. შუანი წა-მოხტა, თითქოს ეშინოდა, ხელი არ შეეშალა მათთვის.

- მანდ დაეტიე, უსაქმურო, - მიაძახა იულომ, უბიძგა და ისევ იმ ქანობზე დააგდო, საიდანაც წამოდგა. ამ წამიდან, ნახევარბრიგადის მეთაურს თვალი არ მოუშორებია უზრუნველი ბრეტანელისთვის.

- მეგობრებო, - ჩუმად მიმართა მან ორ ოფიცერს, - დრო დადგა, გითხრათ, რომ პარიზული დუქანი დაარბიეს. ნაციონალურ ასამბლეებში შეხლა-შემოხლის შემდეგ, დირექტორიამ ისევ გაცხრილა ჩვენი რიგები. ამ დოყლაპიებმა, თუ მარიონეტებმა - უფრო ფრანგულია, ეს-ეს არის, დაკარგეს კარგი ჯარისკაცი: ბერნადოტს მაგათთან საქმის დაჭერა აღარ უნდა.

- ვინ შეცვალა? - ცოცხლად იკითხა ჟერარმა.

- მილე-მიურომ, ძველი ყაიდის კაცია. ახლა ასეთი ყეყეჩების დრო არ არის. ჩვენს სანაპიროზე უკვე ინგლისურ რაკეტებს

უშვებენ. ყველა ქარაფშუტა ვანდეელმა და შუანებმა თავი წამოყო და ვინც ამ მარიონეტებს მართავს, კარგად შეარჩია დრო, ჩვენმა გემმა ჩაძირვა დაიწყო.

- როგორ! - წამოიძახა მერლმა.

- ჩვენი ჯარები ყველგან გაანადგურეს, - განაგრძო იულომ და კიდევ უფრო დაუწია ხმას. შუანებმა უკვე ორჯერ დაიჭირეს კურიერი. ბოლო დეპეშები და დეკრეტები ბერნადოტმა სამინისტროდან წასვლამდე საგანგებო შიკრიკის ხელით გამომიგზავნა. საბედნიეროდ, მეგობრებმა საიდუმლოდ მაცნობეს ამ დარბევის შესახებ. ფუშემ აღმოაჩინა, ტირანი, ლუი XVIII გაუფრთხილებიათ პარიზელ მოღალატეებს, რომ მოთავე უნდა გაეგზავნა საფრანგეთში თავისი დამქაშებისთვის. ვარაუდობენ, რომ ბარასი ღალატობს რესპუბლიკას. მოკლედ, პიტმა და უფლისწულებმა აქ გამოაგზავნეს ერთი „ყოფილი“, თავის გამტანი, ნიჭიერი კაცი, რომელსაც უნდა ვანდეელებისა და შუანების გაერთიანება, რომ რესპუბლიკის ფრიგიული ჩაჩი ჩამოაგდონ. ის გაიძვერა უკვე გადმოსვეს მორბიანში. მე პირველმა გავიგე და შევატყობინე პარიზელ ჭკუის კოლოფებს. Garsk დაირქვა სახელად, „ვაჟკაცი, კარგი ბიჭი“, ყველა ეს საქონელი, - თქვა იულომ და იარე-მიწაზეზე მიუთითა, - ისეთ მეტსახელებს ირქმევს, რომლისგანაც წესიერ პატრიოტს ჭვალი დაადგებოდა, ასეთი სახელი რომ ამოერჩია. მაშ ასე, „ვაჟკაცი“ ჩვენს ოლქშია. ამ მოგზავნილი შუანის გამოჩენა, - და ისევ იარე-მიწაზეზე მიუთითა, - აშკარად მოწმობს, რომ მას დასდევენ, მაგრამ ბებერ მაიმუნს მანჭვას არ ასწავლიან, თქვენ კი მომეხმარებით ჩემი ჭვინტების გალიაში ჩასმაში. თავი სადღა გამოვყო, დოყლა-პიასავით ეშმაკობაში მაჯობოს ამ ვიღაც ყოფილმა, რომელიც ლონდონიდან ჩამოდის, ქუდიდან მტვერი უნდა ჩამოგიბერტყოთო, ამ საბაბით!

როცა გაიგეს ეს საიდუმლო ამბები კრიტიკული მდგომარეობის შესახებ და რაკი იცოდნენ, რომ მათი მეთაური უმიზეზოდ არასოდეს შფოთავდა, ორივე ოფიცერი დასერიოზულდა, როგორც ჯარისკაცებს საფრთხის დროს ეგების, თუკი კარგი წრთობა აქვთ გამოვლილი და ადამიანთა საქმეებშიც კარგად ერკვევიან. ჟერარს, რომელიც თავისი ჩინით, მოგვიანებით რომ გააუქმეს, ყველაზე ახლოს იყო მეთაურთან, უნდოდა, ეკითხა იმ პოლიტიკურ ამბებზე, რომლებზეც იულომ განგებ არაფერი

თქვა, მაგრამ სარდალმა ანიშნა, გაჩუმებულიყო და სამივემ იარე-მიწაზეს შეხედა. ამ შუანს მღელვარება არაფრით გამოუხატავს, თუმცა ხედავდა, რომ ეს კაცები, როგორც ჭკუით, ისე ფიზიკური ძალით მისთვის საშიშნი იყვნენ. ორივე ოფიცრისთვის ასეთი ომი უჩვეულო იყო, ძალიან ააფორიაქა ასეთ საქმეში ჩაბმამ, რომელიც თითქმის რომანტიკულ ინტერესს აღუძრავდა. ხუმრობის ხასიათზეც კი დადგნენ, მაგრამ პირველივე ხუმრობაზე, რომელიც წამოსცდათ, იულომ მკაცრად შეხედა მეგობრებს და უთხრა: - დამლახვროს ეშმაკმა! დენთიან კასრზე არ ეწევიან, მოქალა-ქეებო. უდროო დროს გულადობა ცხრილით წყლის ზიდვას ჰგავს.

- ჟერარ, - თავისი ზემდეგისკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა, - მაიორო, შეუმჩნევლად მიუახლოვდით ამ ყაჩაღს და მზად იყავით, ოდნავ საეჭვო მოძრაობაც რომ შენიშნოთ, ხმალზე წამოაგეთ. მე კი ზომებს მივიღებ, თუ ჩვენი უცნობები დალაპარაკებას მოინდომებენ, საუბარს გავუბამ.

ჟერარმა მორჩილების ნიშნად ოდნავ დახარა თავი და დაიწყო შესწავლა გარემოსი, რომლისთვისაც უკვე თვალი ჰქონდა მიჩვეული, ეტყობა, კარგად უნდოდა, შეეთვალიერებინა და მიმოდიოდა, ყოველგვარი აფექტაციის გარეშე, თუმცა, ცხადია, ყველაზე ნაკლებად პეიზაჟი აინტერესებდა. თავის მხრივ, იარე-მიწაზე არაფრით ამჟღავნებდა, რომ ოფიცრის მანევრი მისთვის სახიფათო იყო. თავისი მათრახით თამაშობდა, თითქოს გზისპირა რუში თევზს იჭერდა.

სანამ ჟერარი ცდილობდა, შუანის მახლობლად დაეკავებინა პოზიცია, მეთაურმა ჩუმად გადაულაპარაკა მერლს: - რომელიმე სერჟანტს ათიოდე რჩეული ჯარისკაცი მიეცით და პირადად თქვენ დააყენეთ პოსტზე ჩვენ ზემოთ, ფერდობის ბოლოში, იქ, სადაც გზა ფართოვდება და პატარა პლატოს ქმნის, საიდანაც კარგად დაინახავთ ერნეს გზის დიდ მონაკვეთს. იპოვეთ ისეთი ადგილი, სადაც გზასთან ტყე არ იქნება, სერჟანტი მიდამოს რომ ხედავდეს. დაუძახეთ გულთამხილველს, ჭკვიანია, სახუმარო საქმე არ არის. ჩვენს ტყავში ათ სანტიმსაც არ მივცემ, თუ ფხიზლად არ ვიქნებით.

სანამ მერლი დიდი მონდომებით ასრულებდა ბრძანებას, რადგან მშვენივრად ესმოდა, რა დიდი საქმე იყო, მეთაურმა გაიქნია მარჯვენა ხელი, სრული სიჩუმე მოითხოვა მის ირგვლივ მდგომი ჯარისკაცებისა, მხიარულად რომ

ლაყბობდნენ და მეორე ჟესტით ბრძანა, იარაღი აეღოთ. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, იულომ გახედა გზას აქეთ-იქით, შეშფოთებულ-შეფიქრიანებულმა, თითქოს უნდოდა, დაეჭირა ყრუ ხმაური, იარაღის ჟღარუნი ან ფეხის ხმა, მოსალოდნელი ბრძოლის მაუწყებელი. მისი შავი და ფხიზელი თვალი თითქოს უღრან ტყეშიც აღწევდა, მაგრამ, როცა საეჭვო ვერაფერი შენიშნა, პირველყოფილების მსგავსად, გზაზე ქვიშის დაკვირვება დაიწყო, ცდილობდა უხილავი მტრის ნაფეხურები შეემჩნია, მტრისა, რომლის შეუპოვრობაშიც ეჭვი არ ეპარებოდა. იმედი რომ გადაეწურა და თავისი შიშის დამადასტურებელი ვერაფერი აღმოაჩინა, გზის პირას გავიდა და აბობღდა ბორცვის მწვერვალზე, ნელა გაიარ-გამოიარა და უცებ იგრძნო, რომ მისი გამოცდილება აუცილებელი იყო რაზმის გადასარჩენად და ჩავიდა. სახე კიდევ უფრო მოეღუშა, რადგან იმ ხანებში მეთაურები სინანულს გრძნობდნენ ხოლმე, რომ არ შეეძლოთ, ყველაზე სახიფათო ამოცანა თვითონ შეესრულებინათ. ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა რომ შენიშნეს ჭმუნვა მეთაურისა, ასე რომ უყვარდათ ხასიათის გამო და გულადობასაც უფასებდნენ, მიხვდნენ, რომ მისი ურვა საშიშროების მაუწყებელი იყო. მაგრამ რაკი ვერ ხვდებოდნენ, რამდენად სერი-ოზული იყო საფრთხე, სუნთქვაშეკრულნი იყვნენ, გარინდებულები, მეძებარი ძაღლებივით, რომლებიც ცდილობენ, მარჯვე მონადირის სურვილი გამოიცნონ, თუმცა ბრძანება გაუგებარია და ზუსტად ემორჩილებიან. ეს ჯარისკაცებიც ხან კუენონის ველს გაჰყურებდნენ, ხან გზისპირა ტყეებს, ხან კი მეთაურის მკაცრ სახეს, ცდილობდნენ, თავიანთი ბედი ამოეკითხათ. თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ხანდახან ღიმილი გადაურბენდათ ხოლმე სახეზე.

როცა იულოს ჩვეულებრივი გრიმასა შენიშნეს, ახალგაზრდა სერჟანტმა იფრინდამ, ასეულის ენაფხიანმა ხუმარამ ჩაილაპარაკა: - ეტყობა, ცუდ რამეში გავიხლართეთ, ამ ბებერ ჯარისკაცს ასე რომ ჩამოსტირის ცხვირ-პირი! გეგონება, სამხედრო საბჭოზე ვიყოთ!

იულომ მკაცრად შეხედა მაცნეს და მაშინვე სიჩუმე ჩამოვარ-და. ამ საზეიმო სიჩუმეში დაგვიანებული წვევამდელების ფეხის ხმა, მათ ფეხქვეშ ქვიშის ყრუ ხრაშუნი, რაღაცნაირ შეუცნობად მღელვარებას ჰმატებდა საერთო მოუსვენრობას. აუხსნელ მდგომარეობას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც

მაწამებელი, უბედურების მომლოდინე ღამის სიჩუმეში უგრძვნია, როგორ აჩქარებულ გულისცემას იწვევს რაიმე ბგერის მონოტონური გამეორება და როგორ იტანს ნელ-ნელა შიში. ისევ გზის შუაგულზე გასულმა მეთაურმა გაიფიქრა, „ხომ არ ვცდები?“ თვალებიდან ლამის ცეცხლებს ყრიდა განრისხებული, როცა დაინახა მშვიდი და გამოშტერებული იარე-მიწაზე, მაგრამ შუანის ჩამქრალ მზერაში გაელვებულმა მრისხანე ირონიამ აფიქრებინა, თავის გადარჩენაზე ზრუნვა ჯერ არ არის ზედმეტიო. ამ დროს კაპიტანი მერლიც დაბრუნდა, იულოს ბრძანებები შეესრულებინა. ამ სცენის უტყვი მონაწილენი, მსგავსად მრავალი სხვა სცენისა, ეს ომი ყველაზე დრამატულად რომ აქციეს, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი, მოთმინებით ელოდნენ ახალ შთაბეჭდილებებს და იმედი ჰქონდათ, რომ მეთაურის სხვა მანევრები ნათელს მოჰფენდნენ გაუგებარ სამხედრო ვითარებას.

- სწორად მოვიქეცით, კაპიტანო, - უთხრა იულომ, - რომ რაზმის ბოლოს ის პატრიოტები ჩავაყენეთ, ახალწვეულებში რომ ერივნენ. აიყვანეთ ათიოდე მკვირცხლი, ყოჩაღი ბიჭი ლეიტენანტ ლებრენის მეთაურობით და საჩქაროდ გადაიყვანეთ რაზმის ბოლოში, პატრიოტებს გაამაგრებენ და აიძულებენ, ცოცხლად გადაადგილდეს ეგ ბატების გუნდი, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოვაგროვოთ აი, იქ, სადაც ჩვენი ამხანაგები დგანან. გელოდებით.

კაპიტანი რაზმს შეერია. მეთაურმა რიგრიგობით გამოარჩია ოთხი შეუპოვარი ჯარისკაცი, რომელთა სიმარჯვე და სიმკვირცხლე შემჩნეული ჰქონდა და უჩუმრად, მეგობრული ჟესტით, თი-თით მოიხმო. ჯარისკაცები მიუახლოვდნენ.

- თქვენ ჩემთან ერთად მსახურობდით ოშთან, როცა ის გაიძვერები მოვიყვანეთ ჭკუაზე, თავს მეფის ეგერებს რომ ეძახდნენ. მშვენივრად გახსოვთ, როგორ იმალებოდნენ და სამალავიდან ესროდნენ ლურჯებს.

მათი სიჩაუქის შექებით კმაყოფილებმა ოთხივემ მრავლისმეტყველი გრიმასით დაუკრა თავი: მათი გმირული საბრძოლო სულისკვეთების გამომხატველი სახეები თითქოს უზრუნველი მორჩილებით ამბობდნენ, რომ რაც ომი გაჩაღდა საფრანგეთსა და ევროპას შორის, მათი ფიქრები არ გასცილებია უკან პატრონტაშს და წინ ხიშტს. ტუჩები ისე ჰქონდათ მოპრუწული, იტყოდი, კანაფით შეკრული ქისააო.

ყურადღებით და ცნობისწადილით შეჰყურებდნენ თავიანთ მეთაურს.

- მაშ ასე, თქვა იულომ, - ასე კარგად რომ იცოდა ჯარისკაცის ხატოვანი ენა,- თქვენნაირი არწივები შუანებს სისაძაგლის საშუალებას არ მისცემენ. შუანები კი, იულო არ ვიყო, თუ ვიტყუებოდე, აქ არიან. თქვენ, ოთხივე, გზის ორივე მხარეს დაზვერავთ. რაზმი მალე დაიძვრება, აბა, ფხიზლად იყავით. ეცადეთ, მიზანში არ ამოგიღონ და გამაგებინეთ, რა ხდება. ცოცხლად!

მერე ჯარისკაცებს გზისპირა სახიფათო სიმაღლეები აჩვენა.

ოთხივე, ნდობისთვის მადლობის ნიშნად, ხელით შეეხო თავის ძველ, სამკუთხა ქუდს. ერთ-ერთმა, ლაროზი რომ ერქვა, იულოს ნაცნობმა კაპრალმა, თოფი დააჩხაკუნა და შესძახა, ამ სალამურზე დაკრულს მოვასმენინებთ, მეთაუროო! და ორი მარჯვნივ წავიდა, ორი მარცხნივ. ასეულმა ფარული მღელვარებით გააყოლა თვალი გზის აქეთ-იქით გაუჩინარებულებს. მოუსვენრობა იულოსაც ეტყობოდა, დარწმუნებული იყო, მზვერავები ნაღდად სასიკვდილოდ გაუშვა. მათი ქუდის წვერებიც რომ გაუჩინარდა, უნებურად გააჟრჟოლა. ღრმად ჩაბუდებული და ამიტომ უფრო მტანჯველი დარდით გათანგული ოფიცრები და ჯარისკაცები ყურს უგდებდნენ, როგორ სუსტდებოდა ფეხის ხმა ხმელ ფოთლებში. ომში ასეც ხდება ხოლმე, ოთხი კაცის თავგანწირვა უფრო შემაძრწუნებელია, ვიდრე ათასობით დაცემულისა. მაშინ სახის გამომეტყველება ჯარისკაცებისა იმდენად სხვადასხვანაირია და მსწრაფლცვალებადი, რომ მხატვარს უხდება შეტაკებათა მონაწილეების მოგონებების გამოხმობა, მშვიდობიან მოაზროვნეებს კი - თვითონ წარმოიდგინონ ეს დრამატული სახეები, რადგან ომის ქარიშხლები, სადაც ამდენი დეტალია, შეიძლება დაუსრულებლად იყოს შესწავლის საგანი.

იმ მომენტში, როცა ოთხი ჯარისკაცის ხიშტები გაუჩინარდა, კაპიტანი მერლი დაბრუნდა, ელვის უსწრაფესად რომ შეესრულებინა მეთაურის ბრძანება. მაშინ იულომ ორი-სამი განკარგულებით გზაზე მწყობრში ჩააყენა ასეულის ნარჩენი, მერე უბრძანა, ასულიყვნენ პელერინის წვერზე, სადაც მათი მცირე ავანგარდი იდგა. თვითონ კი უკანასკნელი მიაბიჯებდა, რაზმისკენ ზურგით, რომ თვალი ედევნებინა უმცირესი წვრილმანისთვისაც კი, სცენაზე, რომელიც ბუნებას ასეთი

მშვენიერი შეექმნა, ადამიანს კი ასეთი საშინელი გაეხადა. რაზმი იქამდე მივიდა, სადაც ჟერარი იარე-მიწაზეს ყარაულობდა. უცებ შუანმა, რომელიც თითქოს გულგრილად უთვალთვალებდა მეთაურის მანევრებს, სინამდვილეში კი არაჩვეულებრივად აზრიანი თვალებით უყურებდა ორ ჯარისკაცს, გზის მარჯვნივ რომ შევიდნენ ტყეში, ორჯერ თუ სამჯერ დაუსტვინა, იკივლა ჭოტის მჟღერი, წკრიალა, გამკივანი ხმის მსგავსად. სამი ცნობილი კონტრაბანდისტი, რომელთა სახელები უკვე მოვიხსენიეთ, ღამე სხვადასხვა ინტონაციით ატყობინებდნენ ერთმანეთს ჩასაფრების, საფრთხის, ყველაფრის შესახებ, რაც აინტერესებდათ. აქედან იყო მათი მეტსახელიც Chiun, რაც ადგილობრივ კილოზე ბუკიოტს, ბუს ნიშნავს. დამახინჯებული გამოთქმით შეცვლილმა ამ სიტყვამ დასაბამი მისცა პირველი ამბოხების მონაწილეების სახელს, რომლებიც მიმოხვრითა და სიგნალებით სამ ძმას ბაძავდნენ. როგორც კი საეჭვო სტვენა მოესმა, მეთაური მაშინვე შეჩერდა და დაჟინებით შეხედა იარე-მიწაზეს. თავი მოისულელა, ვითომ შუანის სიბრიყვე სჯეროდა და ბარომეტრივით დაიტოვა მტრის მოძრაობის მიმართულების გამოსაცნობად. ამიტომ ხელი სტაცა ჟერარს, რომელმაც კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა შუანი. მერე ჯაშუშს ორი ჯარისკაცი მიუჩინა, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დააყენა და ხმამაღლა, მკაფიოდ უბრძანა, მის მიერ მიცემულ პირველივე საეჭვო ნიშანზე მაშინვე დაეხვრიტათ. მიუხედავად აშკარა საფრთხისა, იარე-მიწაზეს არავითარი ემოცია არ გაუმჟღავნებია, რაც მეთაურმა, რომელიც თვალს არ აშორებდა, კარგად შენიშნა.

- ყეყეჩმა გადაამლაშა, - გადაულაპარაკა ჟერარს, - ჰო, ჰო, შუანის სახეზე რამის ამოკითხვა არ არის ადვილი, მაგრამ ამან თავი იმით გასცა, რომ თავისი უშიშრობის ჩვენება მოისურვა. ხედავ, ჟერარ, შიში რომ გაეთამაშებინა, ბრიყვად ჩავთვლიდი და „ფერი ფერსა“ ვიქნებოდით, მაგრამ არც კი ვიცოდი, რა მეფიქრა. ახლა თავს დაგვესხმებიან, მაგრამ ერთი გაბედონ! ახლა უკვე მზად ვარ.

ძველმა ჯარისკაცმა ეს სიტყვები ძალიან ჩუმად თქვა და გამარჯვებულივით მოიფშვნიტა ხელები, დამცინავად გადახედა იარე-მიწაზეს, მერე გულხელი დაიკრიფა, შუა გზაზე გაჩერდა თავის საყვარელ ოფიცრებს შორის და მიღებული ზომების შედეგებს დაელოდა. დარწმუნებული იყო, ბრძოლა

ატყდებოდა და მშვიდად ათვალიერებდა თავის ჯარისკაცებს.

- ოო! შავი დღე დაგვადგება, მეთაური ხელებს იფშვნეტს,- ჩაილაპარაკა იფრინდამ.

იულო და მისი ასეული კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა სიცოცხლე მართლა საფრთხეშია და როცა ადამიანები ღირსების საქმედ მიიჩნევენ თავდაჭერილობისა და სიმშვიდის შენარჩუნებას. ასეთ წუთებში ადამიანებს მათი საქმეებით აფასებენ და საბოლოო განაჩენიც გამოაქვთ. ამიტომ იულოსთვის, რომელმაც თავის ოფიცრებზე უკეთ იცოდა, რა საფრთხე ელოდათ, თავმოყვარეობის საკითხიც კი იყო, ყველაზე მშვიდად ყოფილიყო. რიგრიგობით უყურებდა ხან იარე-მიწაზეს, ხან გზას, ტყეს და შეშფოთებული ელოდა, როდის გაისმებოდა შუშხუნების ზალპი, რომლებიც, როგორც ეგონა, ტყის სულებივით ირგვლივ იყვნენ ჩასაფრებულები. სახე ვნებადამცხრალი, აუღელვებელი ჰქონდა, რაკი იცოდა, რომ ჯარისკაცები თვალს არ აშორებდნენ. შეჭმუხნა შავგრემანი, ჩოფურა სახე, ტუჩის მარჯვენა კუთხე აჭიმა და თვალები მოჭუტა. მისი ეს გრიმასა ჯარისკაცებს ყოველთვის ღიმილი ეგონათ. მერე ჟერარს მხარზე ხელი დაჰკრა და თქვა: - ახალ უკვე მშვიდად ვართ. რა გინდოდათ გეკითხათ?

- რა ახალ ხიფათში გავეხვიეთ, მეთაურო?

- ახალი არაფერია, - უპასუხა ჩუმად, მთელი ევროპა ჩვენი წინააღმდეგია, ამჯერად არ გაუჭირდება. სანამ დირექტორიის წევრები ისე ებრძვიან ერთმანეთს, როგორც ცხენები თავლაში, სადაც შვრია გათავდა, მათი მთავრობა იშლება, არმიას არავინ ეხმარება. იტალიაში გაგვანადგურეს. დიახ, მეგობრებო, მანტუიდან წამოვედით ტრებიაში დამარცხების შემდეგ, ჟუბერმა კი ახლახან წააგო ბრძოლა ნოვიში. იმედი მაქვს, მასენა დაიბრუნებს შვეიცარიაში სუვოროვის მიერ ხელში ჩაგდებულ ვიწრო გასასვლელებს. რეინზე გვაჯობეს. დირექტორიამ იქ მორო გააგზავნა. მოახერხებს კი ეს გაბედული კაცი დაიცვას საზღვრები?.. დავუშვათ!

მაგრამ ბოლოს და ბოლოს კოალიცია გაგვსრესს და, საუბედუროდ, ერთადერთი გენერალი, ვისაც ჩვენი შველა შეუძლია, გადაკარგულშია, ჯანდაბაში, ეგვიპტეში! და მერე როგორ დაბრუნდება? ზღვაზე ინგლისი ბატონობს.

- ბონაპარტის არყოფნა არ მაწუხებს, სარდალო, - უპასუხა

ახალგაზრდა მაიორმა ჟერარმა, განათლებულმა და ძალიან ჭკვიანმა, - ჩვენს რევოლუციას ეგ ვერ შეაჩერებს. არა. ჩვენ მხოლოდ საფრანგეთის მიწა კი არ უნდა დავიცვათ, ჩვენ ორმაგი მისია გვაკისრია. ვალდებული ვართ, შევინარჩუნოთ ქვეყნის სული. თავისუფლების კეთილშობილური პრინციპები, დამოუკიდებლობა და ადამიანის გონება, ჩვენმა ნაციონალურმა ასამბლეებმა რომ გამოაღვიძა, იმედი მაქვს, სულ უფრო განივრცობა. საფრანგეთი მოგზაურივით არის, რომელსაც ლამპარი ჩააბარეს: ერთი ხელით უჭირავს, მეორეთი - იცავს; თუ თქვენი ცნობები უტყუარია, მაშინ ბოლო ათი წლის მანძილზე ამდენი მტერი არ დაგვხვევია, რომელსაც ამ ლამპრის ჩაქრობა უნდა. დოქტრინები და ქვეყანა - ყველაფერი დაღუპვის პირასაა.

- ვაგლახ, რომ ასეა! - ამოიოხრა იულომ, - ამ დირექტორიის მასხარებმა მოახერხეს ყველასთან წაკიდება, ვისაც კი ჭკვიანურად მართვა შეეძლო. ბერნადოტი, კარინო, მოქალაქე ტალეირანმაც კი მიგვატოვა. მოკლედ, ერთადერთი წესიერი პატრიოტი დაგვრჩა - ფუშე, რომელმაც თავისი პოლიციის დახმარებით, ყველაფერი ხელში აიღო. აი, მესმის თავი! სწორედ მან გამაფრთხილა დროულად ამ აჯანყების შესახებ. და მაინც, დარწმუნებული ვარ, ხაფანგში მოვექეცით.

- ჰო, არმია თუ არ ჩაერევა მთავრობის საქმეებში, - განაგრძო ჟერარმა, - ადვოკატები იმდენს იზამენ, რომ ყველაფერი უარესად იქნება, ვიდრე რევოლუციამდე იყო. ამ ცბიერმა ადამიანებმა მართვისა რა იციან!

- სულ იმის მეშინია, - განაგრძო იულომ, - ბურბონებს არ შეეკრან, ეშმაკმა დალახვროს! ისინი თუ შეთანხმდებიან, რა დღეში აღმოვჩნდებით?

- არა, არა, მეთაურო, იქამდე არ მივა, - შეეხმიანა ჟერარი, - არმია, როგორც ამბობთ, ხმას აიმაღლებს, ოღონდ პიშეგრიუს ლექსიკონით არ ისარგებლოს და აი, მაშინ, იმედი მაქვს, დავინახავთ, რომ ათი წელი იმისთვის არ გვჩეხეს, რომ ჩვენი დათესილი ბოლოს და ბოლოს სხვამ მოიმკას.

- ჰო, ასეა, - შესძახა მეთაურმა, - ძვირად დაგვიჯდა.

- მაშ, ასე, - თქვა კაპიტანმა მერლმა, - ძველებურად ვიმოქმედოთ, ნამდვილი პატრიოტებივით და ვეცადოთ, შუანებს საშუალება არ მივცეთ, დაუკავშირდნენ ვანდეას,

რადგან, თუ შეიკრნენ და თან ინგლისიც ჩაეჩხირა, პასუხს ვეღარ ვაგებ მთლიანი და განუყოფელი საფრანგეთის ფრიგიულ ჩაჩზე.

აქ საუბარი ბუს კივილმა შეაწყვეტინა, საკმაოდ შორიდან რომ გაისმა. მეთაური დაფრთხა, მაშინვე იარე-მიწაზეს შეხედა, მაგრამ მის უშფოთველ სახეს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. რეკრუტები, ოფიცერმა რომ მოაგროვა, საბრძოლველად მწყობრში მდგომი ასეულისგან ას ნაბიჯზე საქონლის ფარასავით შეჯგუფებულიყვნენ შუა გზაზე. მათ უკან, ათი ნაბიჯის დაშორებით იდგნენ ლეიტენანტ ლებრენის ჯარისკაცები და პატრიოტები. მეთაურმა თვალი მოავლო საბრძოლო შემადგენლობას და უკანასკნელად გადახედა გზაზე განლაგებულ პიკეტს. დისპოზიციით კმაყოფილი შემოტრიალდა და ის იყო, ადგილიდან დაძვრა უნდა ებრძანებინა, ტყის დაზვერვიდან მობრუნებული ორი ჯარისკაცის სამფეროვანი კოკარდა დაინახა გზის მარცხენა მხარეს. მეთაურს, რაკი მარჯვენა მხრის მზვერავები ჯერ არ ჩანდნენ, უნდოდა, მათთვის დაეცადა.

- იქნებ სწორედ იქიდან გამოვარდეს ყუმბარა, - უთხრა თავის ორ ოფიცერს და იქით მიახედა, სადაც ტყემ ორი შვილი ჩაუყლაპა.

სანამ მობრუნებული ქვეითი მსროლელები პატაკს აბარებდნენ, იულოს მხედველობის არედან გამორჩა იარე-მიწაზე. მაშინ შუანმა მაგრად დაუსტვინა, ისე ხმამაღლა, თითქოს ძალიან შორს უნდა გააგონოსო და სანამ მიჩენილი ყარაულები დამიზნებას მოასწრებდნენ, მათრახის დაკვრით ორივე მიყარ-მოყარა ვიწრო ბილიკზე, მიწაყრილსა და ორმოს შორის. იმ წამსვე რესპუბლიკელები გააყრუა ყვირილმა, უფრო სწორად, ველურმა ღრიანცელმა. სადაც შუანი იჯდა, იმ მიწაყრილს ზემოთ, ტყიდან ზალპი გაისმა და შვიდი-რვა ჯარისკაცი გააგორა. ხუთმა-ექვსმა ჯარისკაცმა ესროლა, მაგრამ ყველა ააცდინა იარე-მიწაზეს, რომელიც ველური კატის სისწრაფით აცოცდა ფერდობზე და ტყეს შეეფარა. საბოები გასძვრა ფეხიდან, თხრილში ჩაცვივდა და გამოუჩნდა ნალებდაკრული უხეში ფეხსაცმელი, როგორსაც მეფის ეგერები ატარებენ. შუანების პირველსავე ჭყივილზე ახალწვეულები მარჯვნივ, ტყეში შეცვივდნენ, იტყოდით, გამვლელმა ჩიტების გუნდი დააფრთხოო.

- ცეცხლი! ესროლეთ მაგ არამზადებს! - იყვირა მეთაურმა.

რაზმმა ისროლა, მაგრამ ახალწვეულები ტყვიებს დაემალნენ, ხეებს ამოეფარნენ და სანამ ჯარისკაცებმა ხელახლა დატენეს თოფები, თვალს მოეფარნენ.

- აბა! როგორ გინდა დეპარტამენტების ლეგიონების ჩამოყალიბების დეკრეტი შეასრულო, ჰა? - შესჩივლა იულომ ჟერარს, - ისეთი ყეყეჩი უნდა იყო, როგორც დირექტორიაა, რომ ამ მხარეში მობილიზაციის იმედი გქონდეს. უკეთესი იქნებოდა, ასამბლეები რომ კენჭს არ უყრიდნენ, რამდენი ტანისამოსი, რამდენი ფული თუ საომარი აღჭურვილობა უნდა გაიცეს... ჯობდა, მართლა მოეცათ.

- ეტყობა, მაგ გომბეშოებს კვერები ურჩევნიათ ჯარისკაცის ულუფის ხმიადებს, - ჩაერია იფრინდა, ასეულის ლაზღანდარა.

დეზერტირებს რესპუბლიკელების ყიჟინა და ხარხარი მიჰყვა, მაგრამ უცებ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჯარისკაცებმა დაინახეს ფერდობზე გაჭირვებით მომავალი ორი მსროლელი, მეთაურმა გზის მარჯვენა მხარეს რომ გააგზავნა დასაზვერად. ერთ-ერთს, მსუბუქად დაჭრილს, ამხანაგი მოჰყავდა, მიწას სისხლით რომ რწყავდა. საწყლებს ნახევარი გზა ჰქონდათ გავლილი, უცებ იარე-მიწაზეს საზიზღარი სახე რომ გამოჩნდა. ისე კარგად დაუმიზნა მზვერავებს, რომ ერთი გასროლით ორივეს მოუღო ბოლო და მძიმედ ჩააგორა თხრილში. მისი დიდი თავის გამოჩენისთანავე, ოცდაათმა ლულამ ამოიღო მიზანში, მაგრამ, ფანტასმაგორიული მოჩვენებასავით გაქრა კურდღლისცოცხას მუხანათურ ბუჩქებში. ეს ყველაფერი, აღწერას ამდენი სიტყვა რომ დასჭირდა, თვალის დახამხამებაში მოხდა და ერთ წამში პატრიოტები და არიერგარდის ჯარისკაცები მცველთა რაზმის დანარჩენ ნაწილს შეუერთდნენ.

- წინ! - დასჭყივლა იულომ.

ასეული გაიჭრა წინ, მაღლობზე ღია ადგილისკენ, სადაც პიკეტი იყო განლაგებული. იულომ საომარ პოზიციაში ჩააყენა ჯარისკაცები, მაგრამ, რაკი შუანების მხრიდან მტრული ვერაფერი შენიშნა, გადაწყვიტა, რომ ჩასაფრების ერთადერთი მიზანი ახალწვეულთა გათავისუფლება იყო.

- მათი ყვირილით თუ ვიმსჯელებთ, - უთხრა თავის ორ მეგობარს, - ბევრნი არ უნდა იყვნენ. სწრაფად ვიაროთ, იქნებ

ერნემდე ჩავაღწიოთ, სანამ წამოგვეწევიან.

ეს სიტყვები გაიგონა ერთმა პატრიოტმა ახალწვეულმა, მწკრივიდან გამოვიდა და იულოს დაუდგა წინ.

- ჩემო გენერალო, მე მიმიღია მონაწილეობა შუანების წინააღმდეგ ომში. შეიძლება, ორი სიტყვა გითხრათ?

- ეტყობა, ვექილია, - წასჩურჩულა იულომ მერლს, - მაგისნაირებს თავი ყოველთვის სასამართლო დარბაზში ჰგონიათ, აბა, სიტყვა შენია, დაიცავი საქმე, - უპასუხა ახალგაზრდა ფუჟერელს.

- მეთაურო, შუანებმა ნამდვილად გადაიბირეს ეს ხალხი და მათთვის იარაღი მოიტანეს. ფეხს თუ გავადგამთ, ერნეში ჩასვლამდე ყოველი ხის უკნიდან გვესვრიან და ყველას დაგვხოცავენ, საქმე უნდა დავიცვათ, როგორც თქვი, ოღონდ სიტყვით კი არა, ტყვიით. შეტაკებისას, რომელიც უფრო დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე გგონია, ერთ-ერთი ჩემი ამხანაგი წავა ფუჟერში და ნაციონალურ გვარდიას და თავისუფალ მებრძოლებს ჩამოიყვანს. მართალია, წვევამდელები ვართ, მაგრამ ნახავ, რომ ყვავების ჯიშისანი არა ვართ.

- მაშ, ფიქრობ, რომ შუანები ძალიან ბევრნი არიან?

- აბა, შენ თვითონ განსაჯე, მოქალაქე მეთაურო!

მან წაიყვანა იულო პლატოზე, იმ ადგილას, სადაც ფეხით იყო გადათხრილი. უჩვენა და ბილიკით კარგა მანძილი გაიარეს, სადაც მრავალი ადამიანის ნაფეხურები ჩანდა. ფოთლები ფეხით მიწაში იყო ჩატკეპნილი.

- აქ ვიტრეს ბიჭებმა გაიარეს, - თქვა ფუჟერელმა, - ქვემო-ნორმანდიელ შუანებთან შესაერთებლად წავიდნენ.

- რა გვარი ხარ, მოქალაქევ? - ჰკითხა იულომ.

- გიუდენი, მეთაურო.

- მაშ ასე, გიუდენ, შენი თანამოქალაქეების კაპრალად გნიშნავ. საიმედო კაცად მეჩვენები. გავალებ, აირჩიე შენს ამხანაგებს შორის ის, ვისაც ფუჟერში გავგზავნით. შენ ჩემთან დარჩები. მაგრამ ჯერ წაიყვანე შენი მოლაშქრეები და წამოიღეთ თოფები, სავაზნეები და ტანსაცმელი საბრალო ჩვენი ამხანაგებისა,

ყაჩაღმა შუანებმა გზაზე რომ მიაწვინეს. მაშინ არ მოგიხდებათ მტრის ტყვიების უპასუხოდ დატოვება.

გულადი ფუჟერელები გაემართნენ დახოცილების აღჭურვილობისთვის. მთელი რაზმი ცეცხლით იცავდა მათ და ისე მოახერხეს, წამოეღოთ მიცვალებულების ტანსაცმელი და იარაღი, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ.

- ეს ბრეტონელები, - უთხრა იულომ ადიუტანტს, - კარგი ქვეითები დადგებიან, თუ ჯარისკაცის კარდალას შეეჩვევიან.

გიუდენის შიკრიკი გზის მარცხენა მხარეს ტყის უმოკლეს ბილიკს სირბილით დაადგა. ჯარისკაცებმა შეიმოწმეს იარაღი და საბრძოლველად მოემზადნენ. მეთაურმა ჩამოუარა, გაუღიმა, მათ წინ გაჩერდა და თავის საყვარელ ოფიცრებს შორის ჩამდგარი მტკიცედ ელოდა შუანების შეტევას. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ხანმოკლე: სამასი შუანი, წვევამდელებივით რომ ეცვათ, გამოვარდა საშინელი ღრიანცელით, უწესრიგოდ, გზის მარჯვენა მხრიდან და წინ გადაუდგა ლურჯების მცირერიცხოვან რაზმს. მეთაურმა ორ ტოლ კოლონად გაყო ჯარისკაცები, მწკრივში ათ-ათ კაცად. ამ რაზმებს შორის ჩააყენა თორმეტი სახელდახელოდ შეიარაღებული წვევამდელი და თვითონ ჩაუდგა მათ სათავეში. გზის ორივე მხარეს მის პატარა არმიას იცავდა ორი ფრთა, ოცდახუთ-ოცდახუთი კაცი თითოში, ჟერარისა და მერლის მეთაურობით. ორივე ოფიცერს ევალებოდა, შეერჩია მომენტი, შეეტია ფლანგებიდან და არ მიეცა შუანებისთვის გაფანტვის საშუალება. ეს სიტყვა ადგილობრივ კილოზე ნიშნავს მთელ ბრძოლის ველზე გადანაწილებას ისე, რომ თითოეული შესძლებდა თავისი პოზიციიდან, თვითონ რომ უსაფრთხოდ ყოფილიყო, ესროლა ლურჯებისთვის. ასეთი მანევრის დროს რესპუბლიკელებმა აღარ იცოდნენ, სად ეძებნათ მტერი.

კარი II მეთაურის მიერ უსწრაფესად მიღებული ზომები, რაც ასე აუცილებელია მსგავს შემთხვევებში, ჯარისკაცებს გადასცემდა მის რწმენას და უხმოდ დაიძრნენ შუანებისკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა მოწინააღმდეგენი პირისპირ აღმოჩნდნენ, გაისმა ზალპი და სიკვდილმა მრავალი ჯარისკაცი გამოსტაცა ორივე მხარეს. ამ დროს რესპუბლიკელთა ორივე ფრთამ, რომელთაც შუანები ვერაფერს უპირისპირებდნენ, ორივე მხრიდან მოუარა და საარტილერიო ცეცხლისგან სიკვდილმა და ძრწოლამ დაისადგურა მტრის ბანაკში. ამ მანევრმა თითქმის აღადგინა რაოდენობრივი წონასწორობა ორივე მხარეს. მაგრამ შუანები გულადობასა და უდრეკობას ყველა განსაცდელში ინარჩუნებდნენ. არ შემდრკალან, არ შემკრთალან, შემჭიდროვდნენ და შეეცადნენ, შემოხვეოდნენ ლურჯების პატარა, შავ, მწყობრ რიგებად მდგომ რაზმს, რომელსაც ისეთი პატარა ადგილი ეჭირა, გეგონებოდათ ფუტკრის გუნდია დედა ფუტკრის ირგვლივო. ისეთი გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა, ხელჩართული ბრძოლა, როცა მუშკეტის იშვიათ გასროლას ცივი იარაღის წკრიალი ცვლის, როცა ბრძოლა ერთი ერთზე მიდის და, ერთნაირი შეუპოვრობის შემთხვევაში, გამარჯვება უფრო მრავალრიცხოვანს რჩება.

შუანები თავიდანვე მოიპოვებდნენ გამარჯვებას, რომ არა მერლისა და ჟერარის ხელქვეით რესპუბლიკელთა რაზმის ფრთების ჯვარედინი ცეცხლი, რომელმაც მტრის არიერგარდი დაამარცხა. ლურჯების ფლანგებს პოზიცია უნდა შეენარჩუნებინა და ზუსტი სროლით მარჯვედ გაენადგურებინა მოწინააღმდეგე, მაგრამ საფრთხემ, რომელიც ნათლად ჩანდა, გმირულ ბატალიონს, გარშემორტყმულს მეფის ეგერებით, ძალა შეჰმატა. ხიშტმომარჯვებულები გაშმაგებულები გამოცვივდნენ გზაზე და, რამდენიმე წამით, ძალები თითქოს გათანაბრდა. ორივე რაზმი გაშმაგებული იბრძოდა, სისასტიკე გაამძაფრა პოლიტიკური ბრძოლის სიმძაფრემ, რამაც ამ ომს განსაკუთრებული ხასიათი შესძინა. ყველა უჩუმრად იბრძოდა, გათანგული რეალური საფრთხით. ბრძოლა პირქუში და სიკვდილივით ცივი იყო. ამ სიჩუმეში, რომელსაც იარაღის ჩხაკუნი და ფეხქვეშ ქვიშის ღრაჭაღრუჭი არღვევდა მხოლოდ, ყრუ და სასოწარკვეთილი შეძახილები ისმოდა მძიმედ დაჭრილებისა თუ მომაკვდავებისა, მიწაზე რომ ეცემოდნენ.

რესპუბლიკელების რაზმის თორმეტი ახალწვეული ისეთი გააფთრებით იცავდა სარდალს, რომელიც ყველაფერს აკვირდებოდა და ბრძანებებს იძლეოდა, რომ ორმა-სამმა ჯარისკაცმა არაერთხელ შესძახა: - ბრავო, რეკრუტებო!

იულომ, რომელიც სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ყველაფერს აკვირდებოდა, შეამჩნია რჩეულ შუანებს შორის ჩამდგარი კაცი, როგორც ჩანს, მათი მეთაური. აუცილებლად მიიჩნია, კარგად დაენახა სახე ამ ოფიცრისა და რამდენჯერმე ეცადა კიდევაც, მაგრამ შუანების წინამძღოლს ჩაჩები და ფართოფარფლებიანი ქუდები ეფარებოდა. იულო მკაფიოდ ხედავდა მხოლოდ იარე-მიწაზეს, რომელიც თავისი გენერლის გვერდით იდგა, ხრინწიანი ხმით იმეორებდა მის ბრძანებებს და მისი კარაბინიც არ გაჩერებულა. იულო გააღიზიანა ამ წინააღმდეგობამ, იშიშვლა ხმალი, შეუძახა თავის ახალწვეულებს და ისე გაშმაგებით ეკვეთა მტერს და შევარდა ცენტრში, რომ გაარღვია შუანები და წამით დაინახა მათი წინამძღოლი, მაგრამ, საუბედუროდ, თეთრკოკარდიანი ქუდი ეფარებოდა. ასეთმა თავხედურმა შეტევამ გააოცა უცნობი, უკან დაიხია, ქუდი გადაიწია და მაშინ იულომ შეძლო, დაენახა ეს პიროვნება. ასე, ოცდახუთი წლისა იქნებოდა, მწვანე მაუდის სანადირო ქურთუკი ეცვა, თეთრ ქამარში პისტოლეტები ჰქონდა გარჭობილი, ფეხზე უხეში, ნალებიანი ფეხსაცმელი ეცვა, როგორიც ყველა შუანს. უხეში, მტკიცე ნაჭრის მოკლე შარვალზე მიმაგრებული მუხლამდე გეტრები ასრულებდა მის საშუალო სიმაღლის, კარგი აღნაგობის სხეულზე მორგებულ კოსტიუმს. როცა დაინახა, რომ ლურჯებმა მასთან მიახლოება შეძლეს, გაშმაგდა, ჩამოიფხატა ქუდი და გაექანა მათკენ. მაგრამ იმწამსვე შემოეხვივნენ იარე-მიწაზე და რამდენიმე შეშფოთებული სხვა შუანი. ამ ახალგაზრდის ირგვლივ შეყრილ ხალხთა თავებს შორის, იულოს მოეჩვენა, რომ შეამჩნია წითელი, განიერი ლენტი გაღეღილ ქურთუკზე. მეთაურს ყურადღება გაექცა ჯერ მეფის ამ ორდენისკენ, უკვე მივიწყებული რომ იყო, მერე მზერა გადაიტანა უცნობის სახეზე, რომელიც მალე თვალს მიეფარა. ძლივს შეამჩნია ქერა თმა და ნატიფი ნაკვთები, მოელვარე თვალები, მაგრამ თვალის ფერი ვერ დაინახა. იგი გააოცა შიშველი ყელის ქათქათა კანმა, რომელსაც კიდევ უფრო მკვეთრად უსვამდა ხაზს შავი, დაუდევრად შეკრული რბილი ყელსახვევი.

პოზა ამ ახალგაზრდა, ბობოქარი, აღფრთოვანებით აღსავსე კაცისა, საბრძოლო იყო, იმ ხალხივით, რომელიც ბრძოლაში ერთგვარ პოეზიას ეძებს. კარგად მორგებული ხელთათმანიანი ხელით მზეზე მოელვარე ხმალს იქნევდა. მოძრაობებში ელეგანტურობა და ძალა იგრძნობოდა. გულწრფელი

ეგზალტაცია, ახალგაზრდობის ხიბლი, დახვეწილი მანერები ამ ემიგრანტისა, მას ფრანგ კეთილშობილთა მშვენიერ წარმომადგენლად აქცევდა.

იქვე, ოთხ ნაბიჯში მდგომი იულო სრულიად საპირისპირო იყო - ბებერი ჯარისკაცი, თითქოს ცოცხალი სიმბოლო იყო ენერგიული რესპუბლიკისა, რომელსაც იცავდა: მკაცრი სახე, შელახული, წითელლაცკანებიანი ლურჯი ფორმა, ჩაშავებული, ზურგისკენ გადაქანებული ეპოლეტები აშკარად უჩვენებდა მის შეჭირვებულ ყოფასა და ხასიათს.

ახალგაზრდის მოხდენილობა და გამომეტყველება არ გამოჰპარ-ვია იულოს თვალს. თან მიახლოებას ცდილობდა და თან მიაძახა: - ეი, შენ, ოპერის მოცეკვავევ, გამოდი, გაგანადგურებ!

როიალისტების წინამძღოლი, ასეთი მიმართვით გამძვინვარებული, გაგულისებული გაექანა იულოსკენ, მაგრამ, როგორც კი მისმა ხალხმა დაინახა, თავს საფრთხეში იგდებსო, ეტაკნენ ლურჯებს. უცებ ბრძოლის ყიჟინა და ღრიანცელი მშვიდმა და მჟღერმა ხმამ დაფარა: - აქ წმინდა ლესკიური მოკვდა. ნუთუ შურს არ ძიებთ მისთვის?

ამ ჯადოსნურ სიტყვებზე შუანებმა აიწყვიტეს და რესპუბლიკის ჯარისკაცებს ძალიან გაუჭირდათ მათი შეჩერება ისე, რომ თავიანთი პატარა რაზმის საბრძოლო წყობა არ დაერღვიათ.

„ეს კაცი უფრო ხნიერი რომ იყოს, - გაიფიქრა იულომ და თან ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევდა, - თავს არ დაგვესხმებოდნენ. როდის ყოფილა, შუანებს ბრძოლა გაეჩაღებინოთ? მით უკეთესი! გზის პირებში ძაღლებივით არ დაგვხოცავენ.“

მერე ხმას აუწია და ისე, რომ გამოძახილმა ტყეს გადაურბინა: - აბა, ყოჩაღად, ჩემო ლომგულებო! ყაჩაღებს თავს ხომ არ დავაჩაგვრინებთ!

ზმნა, რომელიც მეთაურის ნათქვამში „ყოჩაღით“ შევცვალეთ, ცხადია, უფერული ანარეკლია, მაგრამ ბრძოლებში გამოჯეკილები ადვილად შეძლებენ ჯარისკაცური მაღალი სტილის მეტყველებიდან შესაბამისი სიტყვის პოვნას.

- ჟერარ, მერლ! - გასძახა მეთაურმა, - მოაგროვეთ თქვენი

ხალხი, დაალაგეთ ბატალიონებად. უკანიდან მოუარეთ, ესროლეთ ამ ძაღლებს და მოვრჩეთ!

იულოს ბრძანება გაჭირვებით შეასრულეს, რადგან შუანების ახალგაზრდა მეთაურმა მოწინააღმდეგის ხმის გაგონებაზე შესძახა: - წმინდა ანა ორეელის სახელით, ერთი არ გაუშვათ! აბა, ყოჩაღად, ჩემო მამაცებო!

როცა მერლისა და ჟერარის ორივე ფრთა გამოეყო გორგალს, გამოაღწია ხელჩართული ბრძოლიდან, პატარა რაზმებს ურიცხვი შეუპოვარი მტერი გამოეკიდა, თხისტყავიანები მერლისა და ჟერარის ჯარისკაცებს ავბედითი ღრიალით შემოეხვივნენ.

- ბატონებო, გაჩუმდით რა! თორემ ისე მოგკლავენ, ვერ გაიგებთ! - იფრინდას ამ ხუმრობამ ლურჯები გაახალისა. რესპუბლიკელები ახლა ერთგან კი არ იბრძოდნენ, პელერინის პლატოზე სამ ადგილას უხდებოდათ თავის დაცვა და ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ასეთი მშვიდი ველები თოფების ბათქა-ბუთქმა გამოაღვიძა. გამარჯვება საათების მანძილზე არც ერთ მხარეს იყო და არც მეორეს და ბრძოლა შეიძლება თავისთავად დამთავრებულიყო, როცა მებრძოლები აღარ დარჩებოდნენ. ლურჯები და შუანები ერთნაირი თავგანწირვით იბრძოდნენ. ორივე რაზმში მძვინვარება მატულობდა, როცა უცებ დოლის ყრუ ბაგუნი მოისმა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ სამხედრო დანაყოფი, რომელსაც ის ახლდა, კუენონის ველს კვეთდა.

- ეს ფუჟერის ნაციონალური გვარდიაა! - წამოიძახა გიუდენმა, - როგორც ჩანს, ვანიე შეხვდა მათ.

ამ შეძახილზე, ეტყობა შუანების ახალგაზრდა ბელადისა და მისი მძვინვარე ადიუტანტის ყურამდეც რომ მიაღწია, როიალისტებმა უკან დაიხიეს, მაგრამ იარე-მიწაზეს მხეცურმა ღრიალმა შეაჩერა. მეთაურის ჩუმად ნათქვამი ორი-სამი ბრძანება იარე-მიწაზემ ქვემობრეტონულ კილოზე გაუმეორა შუანებს და მათაც ძალიან მარჯვედ დაიხიეს, რითაც რესპუბლიკელი ჯარისკაცები და მათი მეთაურიც კი საგონებელში ჩააგდეს. პირველივე ბრძანებაზე ყველაზე მაგარი შუანები გამწკრივდნენ, მათ უკან დადგნენ დაჭრილი და დანარჩენი შუანები, რომ მათთვის თოფები დაეტენათ, მერე მოულოდნელი სიმკვირცხლით, რისი მაგალითიც ცოტა ხნის

წინ თავად იარე-მიწაზე იყო, დაჭრილები, მერე კი შუანების ნახევარი რაზმი გზის მარჯვნივ გორაკზე აცოცდა, ზემოთ დაიმალნენ და ლურჯები მათ ენერგიულ სახეებსღა ხედავდნენ. შუანები ხეებს ამოეფარნენ და რესპუბლიკელთა დაცვის დაბლა დარჩენილ ნაწილს, რომელიც იულოს ბრძანებით სასწრაფოდ გამწკრივდა გზაზე, ვითომ შუანებისთვის თანაბარი, შესაბამისი ფრონტის დასაპირისპირებლად, თოფები დაუმიზნეს. შუანები თავიანთი პოზიციიდან სროლით ნელ-ნელა იხევდნენ უკან იმგვარად, რომ საარტილერიო საფარველს იყვნენ ამოფარებულნი. გზისპირა თხრილს რომ მიაღწიეს, ფერდობზე დაიწყეს ასვლა, სადაც უკვე თანამოძმეები ელოდნენ და მათ შეუერთდნენ კიდეც, მიუხედავად დაუცდენლად მსროლელი რესპუბლიკელების მეცადინეობისა, რომლებმაც თხრილი გვამებით მოფინეს.

შუანები არანაკლები სიმარჯვით ისროდნენ ფერდობიდან, ამ დროს ფუჟერის ნაციონალურმა გვარდიამაც მოაღწია და მათმა გამოჩენამ ბრძოლა შეწყვიტა. რამდენიმე გაცხარებული ჯარისკაცი და გვარდიელი უკვე გადაახტა თხრილს და ტყეში შევარდნას აპირებდა, მეთაურმა რომ დასჭექა: - თქვენ რა, გინდათ, მანდ ამოგხოცონ?

მაშინ უკან დაბრუნდნენ, მიუხედავად დიდი დანაკარგისა, რესპუბლიკელების რაზმისკენ, ბრძოლის ველი რომ დარჩათ. ჯარისკაცებმა ხიშტებით ასწიეს თავიანთი სამკუთხა ქუდები, აიშვირეს თოფები და ორჯერ ერთხმად დასცხეს: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ გზის პირებში მსხდარი დაჭრილებიც კი შეუერთდნენ საერთო სიხარულს, იულომ კი ჟერარს ხელზე ხელი მოუჭირა და თქვა: - ჰა? აი, თავზეხელაღებულები! აი, ვაჟკაცები!

მერლს გზისპირა ხევში მკვდრების დამარხვა დაევალა. სხვა ჯარისკაცებს დაჭრილები გადაჰყავდათ, მეზობელ ფერმებში ცხენებისა და ფორნების რეკვიზიციის შემდეგ ფორნებში ჩაფენილ მოკლული ჯარისკაცების ტანსაცმელზე საჩქაროდ დააწვინეს დაჭრილები. წასვლამდე ფუჟერის ნაციონალურმა გვარდიამ იულოს გადასცა მძიმედ დაჭრილი შუანი, ციცაბო ფერდობის ძირას რომ იპოვეს, სადაც ეს საცოდავი ძალაგამოლეული ჩაგორდა.

- მადლობა, რომ ხელი შემაშველეთ, მოქალაქენო, - თქვა

მეთაურმა, - ეშმაკმა დალახვროს! უთქვენოდ შავი დღე დაგვადგებოდა. თქვენ ფრთხილად იყავით. ომი დაიწყო. მშვიდობით, ჩემო მამაცებო!

მერე ტყვეს მიუბრუნდა: - შენს მეთაურს რა ჰქვია?

- ვაჟკაცი.

- ეგ ვინ? იარე-მიწაზე?

- არა, ვაჟკაცი.

- საიდან გაჩნდა ეგ ვაჟკაცი?

ამ კითხვაზე მეფის ეგერმა, დაღვრემილი და მრისხანე სახე რომ დაეღრიჯა ტკივილისაგან, არაფერი უპასუხა, აიღო კრიალოსანი და ლოცვა დაიწყო.

- ვაჟკაცი ალბათ ის შავყელსახვევიანი არისტოკრატია, არა? ტირანმა და მისმა დამქაშებმა, პიტმა და კობურგმა გამოაგზავნეს?..

ამ სიტყვებზე შუანმა, რომელიც ეტყობა, პოლიტიკაში მთლად კარგად ვერ ერკვეოდა, ამაყად ასწია თავი: - ღმერთმა და მეფემ გამოაგზავნეს. ეს სიტყვები ისე ენერგიულად წარმოთქვა, რომ ძალა გამოელია. მეთაურმა დაინახა, რომ ძნელი იყო მომაკვდავი კაცის დაკითხვა, რომლის ქცევაც ბნელ ფანატიზმს ამჟღავნებდა. მან თავი მიაბრუნა და წარბები შეჭმუხნა. ორმა ჯარისკაცმა, იმ ორის მეგობრებმა, იარე-მიწაზემ ასე მხეცურად რომ დახოცა მათრახის ერთი დარტყმით, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და დაუმიზნა შუანს, რომელმაც დამიზნებულ ორ თოფს თვალი არ აარიდა. ორივემ მიჯრით ესროლა და ისიც დაეცა, მაგრამ როცა ჯარისკაცები მიცვალებულის ტანსაცმლის წასაღებად მიუახლოვდნენ, მან ჯერ ისევ მჟღერი ხმით, ძლიერად იყვირა: - გაუმარჯოს მეფეს!

- კარგი, კარგი, გაიძვერავ! - მიმართა გულთამხილავმა, - წადი, კვერებზე დაეწვიე შენს კეთილ ღვთისმშობელს!.. ტირანს გაუმარჯოსო, არ შემოგვძახა, როცა გვეგონა რომ მაგისი საქმე მორჩენილია?!

- დახეთ, მეთაურო, - დაიძახა იფრინდამ, - მაგ ყაჩაღის საბუთი.

- ოჰ, ოჰ, - თქვა გულთამხილველმა, - ერთი ამ ღვთის ქვეით ჯარისკაცს დამიხედეთ, რა ახატია ღიპზე. იულო და რამდენიმე

ჯარისკაცი შემოეხვივნენ შუანის შიშველ სხეულს და მკერდზე მოლურჯო სვირინგი შენიშნეს, - აგიზგიზებული გული. ეს იყო საკრე-კერის საძმოს წევრის პირობითი ნიშანი. გამოსახულების ქვემოთ იულომ სიტყვები გაარჩია: „მარი ლამბრეკენი“ - როგორც ჩანს, შუანის სახელი.

- აბა, გულთამხილველო, ნახე? - ისევ იფრინდა იყო, - ასი დეკადაც რომ იფიქრო, ვერ მიხვდები, რისთვისაა ეს სპეცაღჭურვილობა.

- აბა, პაპის მუნდირებისა მე რა გამეგება! - უპასუხა გულთამხილველმა.

- საცოდავო სალდათო, ვერასოდეს ვერაფერს ისწავლი! - გააგრძელა იფრინდამ, - როგორ ვერ ხვდები, ამ ბატს დაჰპირდნენ, რომ მკვდრეთით აღდგება და ამ ყეყეჩმაც ჩიჩახვი მოიხატა, რომ იცნონ.

ამ ხუმრობაზე, რომელიც საფუძველს მოკლებული არ იყო, იულოსაც კი გაეღიმა; საყოველთაო მხიარულებაში ჩაება. ამასობაში მერლმა დაამარხვინა მიცვალებულები და დაჭრილებიც ძლივს მოათავსეს ორ ფორანში. ჯარისკაცები თავისი ნებით გამწკრივდნენ ორ კოლონად ამ იმპროვიზებული სანიტარული საზიდრების გასწვრივ და რაზმი დაეშვა დაღმართზე, მენისკენ, საიდანაც კარგად ჩანს პელერინის ლამაზი ველი, კუენონის ველს რომ ექიშპება. იულო თავისი მეგობრების, მერლისა და ჟერარის თანხლებით, ნელა მისდევდა ჯარისკაცებს და ერთადერთი დარდი ჰქონდა, რამენაირად უფათერაკოდ მიეღწიათ ერნემდე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაჭრილების დახმარება. ამ ბრძოლას, რომელიც თითქმის უცნობი დარჩა იმ დიდი მოვლენების გვერდით, მაშინ რომ მწიფდებოდა საფრანგეთში, იმ ადგილის მიხედვით დაერქვა სახელი, სადაც მოხდა. თუმცა მას ყურადღება დასავლეთ საფრანგეთში მიაქციეს, შუანების ახალი ამბოხებით შეშფოთებულმა მოსახლეობამ შეამჩნია ცვლილებები მის სამხედრო ტაქტიკაში: წინათ ეს ხალხი ვერ გაბედავდა ასეთ მნიშვნელოვან რაზმზე თავდასხმას. იულო ვარაუდობდა, რომ ის ახალგაზრდა როიალისტი, მან რომ შენიშნა, უნდა ყოფილიყო ვაჟკაცი, შუანების ახალი წინამძღოლი, უფლისწულებმა საფრანგეთში რომ გამოგზავნეს და რომელიც, როიალისტებს როგორც სჩვეოდათ, სახელსა და ტიტულს საბრძოლო მეტსახელით ნიღბავდა.

სევდიანი გამარჯვების შემდეგ, რაღაც გარემოებამ ნახევარბრიგადის მეთაური ისევე შეაშფოთა, როგორც მაშინ, როცა გზაზე ჩასაფრება იეჭვა. რამდენჯერმე შეტრიალდა, გადახედა პელერინის პლატოს, უკან რომ რჩებოდა, საიდანაც ჯერ კიდევ შუალედებით მოისმოდა მოგუდული ბაგუნი ნაციონალური გვარდიის დოლებისა, გვარდიისა, კუენონის ხეობისკენ რომ ეშვებოდა.

- რომელიმეს შეგიძლიათ შუანების თავდასხმის მოტივის გამოცნობა? - უთხრა უცებ თავის ორ მეგობარს, - მათთვის თოფის სროლა კომერციაა და ჯერ არ ვიცი, ამით რა მოიგეს. ალბათ, სულ ცოტა, ასი კაცი დაკარგეს, ჩვენ - სამოცზე ნაკლები, - და ღიმილის გამოსახატავად ტუჩის მარჯვენა კუთხე აზიდა და მარ-ჯვენა თვალი მოჭუტა, - ეშმაკმა დამლახვროს! ასეთი გარიგებისა არაფერი გამეგება. სულელები! რაში სჭირდებოდათ ჩვენი თავდასხმა? შეუმჩნევლად გავივლიდით, როგორც წერილები ფოსტაში, არ მესმის რაში დასჭირდათ ჩვენი ხალხის დაცხრილვა. და ნაღვლიანი ჟესტით დაჭრილებიან ფორნებზე მიუთითა.

- იქნებ მხოლოდ მოსალმება უნდოდათ, - დაუმატა მან.

- კი მაგრამ, სარდალო, ასორმოცდაათი ჩვენი ყეყეჩი მოიგეს, - უპასუხა მერლმა.

- ახალწვეულები ბაყაყებივით რომ შემხტარიყვნენ ტყეში, ხომ არ დავიწყებდით მათ დევნას, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ზალპით გაგვიმასპინძლდნენ, - შეეპასუხა იულო, - არა, არა. მე მგონი აქ რაღაცაშია საქმე!.. კიდევ ერთხელ მიტრიალდა და პელერინს გახედა.

- სდექ! - იყვირა უცებ, - ხედავთ?

თუმცა სამივე ოფიცერი ფატალური ფლატოდან კარგა შორს იყო, გაწაფული თვალით შეამჩნიეს იარე-მიწაზე და რამდენიმე შუანი.

- ფეხს აუჩქარეთ! - გასძახა იულომ თავის რაზმს, - ჩქარა გადაადგით ფეხი და ცხენებიც ააჩქარეთ. ფეხები ხომ არ მიგეყინათ? ეს ჯაგლაგებიც პიტისა და კობურგისა ხომ არ არიან? - ამ სიტყვებმა პატარა რაზმი გამოაცოცხლა.

- ჰო, რაც შეეხება საიდუმლოს, რომლის წყვდიადსაც მგონი,

ვერ გავფანტავ, ღმერთმა ინებოს, მეგობრებო, ერნეში ისევ თოფებით არ დაგვჭირდეს ამოხსნა, - უთხრა იულომ თავის ოფიცრებს, - ძალიან მეშინია, მაიენის გზა ისევ მეფის ხალხმა არ გადაგვიჭრას.

სტრატეგიული ამოცანა, რომელმაც ბალანი აუშალა, ულვაშები აუბურძგნა მეთაურ იულოს, ამ დროს არანაკლებ აფიქრებდა ხალხს, პელერინის წვერზე რომ შენიშნა. როგორც კი შეწყდა ფუჟერის ნაციონალური გვარდიის დოლის ბრახუნი და იარე-მიწაზემ შეამჩნია, რომ ლურჯები უკვე ჩამოდიოდნენ დამრეც ფერდობზე, მხიარულად გამოსცა ბუს ხმა და შუანები ისევ გამოჩნდნენ, ოღონდ ნაკლები რაოდენობით. ბევრი მათგანი ალბათ იმით იყო დაკავებული, რომ დაჭრილებს აბინავებდა პელერინის სოფელში, მთის ფერდობზე, რომელიც კუენონის ხეობას გადაჰყურებს. მეფის ეგერების ორი-სამი მეთაური მიუახლოვდა იარე-მიწაზეს. იქვე ახლოს გრანიტის კლდეზე იჯდა ახალგაზრდა მეთაური და, ეტყობა, იმ სიძნელეებზე ფიქრობდა, რასაც მისმა საბრძოლო საქმიანობამ შეაჯახა. იარე-მიწაზემ ხელი აფრასავით მიიდო შუბლზე, თვალები მოიჩრდილა და ნაღვლიანად გახედა გზას, რომლითაც რესპუბლიკელები კვეთდნენ პელერინის ველს. პატარა, შავი, გამჭრიახი თვალებით ცდილობდა, დაენახა, რა ხდებოდა მეორე მხარეს, ხეობის ჰორიზონტზე.

- ლურჯები ფოსტას ჩაიგდებენ ხელში, - კუშტად თქვა ერთ-ერთმა მოთავემ, ყველაზე ახლოს რომ იდგა იარე-მიწაზესთან.

- წმინდა ანა ორეელს გაფიცებ, თქვი, რატომ გვაომე შენი ტყავის გადასარჩენად?

შემკითხველს იარე-მიწაზემ შხამიანი მზერა ესროლა და თავისი მძიმე კარაბინი მიწას დასცხო.

- მეთაური მე ვარ? - მერე ცოტა ხანს იყუჩა და დაუმატა, - ყველას ჩემსავით რომ გებრძოლათ, ვერცერთი ლურჯი ვერ გადაგირჩებოდათ, - და იულოს ასეულის ნარჩენებზე მიუთითა, - მაშინ შეიძლება დილიჟანსი აქამდეც მოსულიყო.

- შენ გგონია, - ჩაერთო მესამე, - ისინი დილიჟანსს გააჩერებდნენ და გააცილებდნენ წასვლის ნება რომ მიგვეცა? უბრალოდ, შენი საზიზღარი ტყავის გადარჩენა გინდოდა. ამ დინგიანის გამო შენ ხომ არ იცოდი, ლურჯები რომ გზაზე მოდიოდნენ, - გააგრძელა ორატორმა და სხვებს მიუბრუნდა,

სისხლი დავღვარეთ და კიდევ ოცი ათას ფრანკს დავკარგავთ სუფთა ოქროთი...

- შენ თვითონ ხარ ტახი! - იფეთქა იარე-მიწაზემ, სამი ნა-ბიჯით დაიხია და მწყენინებელს დაუმიზნა. ლურჯები კი არ გძულს, ოქრო გიყვარს. აღსარებასაც ვერ იტყვი, ისე უზიარებელი მოკვდები, წყეულო ცოდვილო, წელს ზიარებაც არ მიგიღია.

ამ შეურაცხყოფამ გააცეცხლა შუანი, გაფითრდა და გულიდან ამომავალი ყრუ ბრდღვინვით მიზანში ამოიღო იარე-მიწაზე. ახალგაზრდა წინამძღოლი შუაში ჩაუვარდა, მერე თავისი კარაბინის ლულის დარტყმით თოფები დააყრევინა და მოითხოვა, ჩხუბის მიზეზი აეხსნათ, რადგან მისთვის უცნობ ქვემო ბრეტონულ კილოზე ლაპარაკობდნენ.

- ბატონო მარკიზო, - თქვა იარე-მიწაზემ, - მით უარესი მათთვის, ჩემზე რომ ბრაზობენ, იქ მოიტაცე-დიდი-კვერი დავტოვე, იქნებ მოახერხოს, ავაზაკებს გამოსტაცოს კლანჭებიდან დილიჟანსი, - და ხელით ლურჯებზე მიუთითა: ეკლესიისა და მეფის ტახტის ერთგულთათვის ლურჯები ლუი XVI-ს მკვლელები და ყაჩაღები იყვნენ.

- როგორ? - წამოიძახა განრისხებულმა ახალგაზრდა კაცმა, - თქვენ აქ დილიჟანსის შესაჩერებლად გაჩერდით? მხდალებო, ჩემს პირველ ბრძოლაში ვერ გაიმარჯვეთ! თუმცა, ასეთი განზრახვის მქონე ხალხთან რა გამარჯვების იმედი უნდა გქონდეს! მაშ, ღმერთისა და მეფის დამცველები მძარცველები არიან? ანა ორეელს გეფიცებით, ჩვენი საქმე რესპუბლიკასთან ბრძოლაა და არა დილიჟანსებთან! ამიერიდან, ვინც ასეთ სამარცხვინო რბევაში მიიღებს მონაწილეობას, ვერც ცოდვების მონანიებას ეღირსება და ვერც მეფის ერთგული მსახურებისთვის განკუთვნილი წყალობით ისარგებლებს.

ხალხში ყრუ დრტვინვა გაისმა. ნათელი იყო ავტორიტეტი, ასე ძნელად რომ მოიპოვა ახალმა მეთაურმა ამ უდისციპლინო ურდოში, საცაა დაეცემოდა. ეს ბუზღუნი შეუმჩნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა კაცს. ის უკვე თავისი, როგორც წინამძღოლის ღირსების გადარჩენის გზას ეძებდა, როცა უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ცხენის თქარათქური გაისმა. ყველამ იქით გაიხედა, საიდანაც ხმაური ისმოდა. პატარა ბრეტონულ ცხენზე ვაჟურად ამხედრებული ახალგაზრდა ქალი იყო. მან შუანების ჯგუფთან მიაჭენა ცხენი.

- რა დაგემართათ? - რიგრიგობით შეხედა ქალმა შუანებს და მათ ბელადს.

- წარმოგიდგენიათ, მადამ, ესენი მაიენიდან ფუჟერში მიმავალ საფოსტო დილიჟანსს სდარაჯობენ გასაძარცვად. ჩვენ კი, ეს-ეს არის, ჩვენი ფუჟერელი ვაჟკაცების გასათავისუფლებლად შეტაკება მოგვიხდა, რამაც ბევრი ხალხი დაგვაკარგვინა, ლურჯების დამარცხება კი ვერ შევძელით.

- მერედა რა არის ამაში ცუდი? - იკითხა ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელმაც უტყუარი ალღოთი ამოხსნა სცენის საიდუმლო, - თქვენ ჯარისკაცები დაკარგეთ, მაგრამ ხალხი არასოდეს შემოგვაკლდება. ფოსტას მოაქვს ფული, რომელიც ყოველთვის გვჭირდება. დავმარხავთ ჩვენს კაცებს, რომლებიც ცაში მოხვდებიან, ავიღებთ ფულს, რომელიც ამ ყოჩაღი ხალხის ჯიბეებში მოხვდება. რა გაწუხებთ! შუანები ღიმილით ერთხმად დაეთანხმნენ ამ გამოსვლას.

- ნუთუ აქ ისეთი არაფერია, რომ გაგაწითლოთ? - ჩუმად ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა, - ფული ისე გჭირდებათ, რომ შარაგზაზე უნდა იშოვოთ?

- ისე ვარ ფულზე დახარბებული, მარკიზო, რომ ჩემს გულს მივცემდი გირაოდ, ერთ ვინმეს რომ არ მოეტაცა ჩემთვის! - კეკლუცად შეჰღიმა, - კი მაგრამ, საიდან ჩამოვარდით, რომ გგონიათ, შუანებს გამოიყენებთ ისე, რომ ზოგჯერ ლურჯების ძარცვის ნებას არ მისცემთ? არ გაგიგონიათ ანდაზა „ბუსავით ქურდბაცაცა“? შუანი კი ვინ არის? თანაც, - ხმას აუწია, - ეს ხომ სამართლიანი საქმეა? განა ლურჯებმა არ მიიტაცეს ეკლესიისა და ჩვენი ავლა-დიდება?

ეს სიტყვები კმაყოფილ გუგუნში ჩაიკარგა, რომელიც სულაც არ ჰგავდა იმ ბრდღვინვას, მარკიზს რომ შეაგებეს შუანებმა. ახალგაზრდა კაცს სახე მოექუფრა. ქალბატონი განზე გაიყვანა და აშკარად უკმაყოფილომ კარგად აღზრდილი კაცის ტონით უთხრა: - ეს ბატონები დანიშნულ დღეს ჩამოვლენ ვივეტიერში?

- დიახ, - უპასუხა ქალმა, - ყველანი ჩამოვლენ: მოპასუხეც, დიდი-ჟაკიც და შეიძლება ფერდინანდიც.

- ნება მომეცით, იქ დავბრუნდე, არ შემიძლია ასეთი ყაჩაღობა დავუშვა. დიახ, ქალბატონო, ყაჩაღობა ვთქვი. ქურდობის

მსხვერ-პლი რომ გახდე, არის ამაში რაღაც კეთილშობილური, კი, მაგრამ...

- კეთილი, - შეაწყვეტინა ქალმა, - თქვენს წილს მე ავიღებ, გმადლობთ, რომ დამითმეთ... ჩემს ნადავლს ესეც დაემატება და ძალიან გამომადგება. დედას იმდენი ხანია, ფული არ გამოუგზავნია, რომ სასოწარკვეთილი ვარ...

- მშვიდობით! - წამოიძახა მარკიზმა და საჩქაროდ გაერიდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალი სწრაფად დაეწია.

- რატომ არ გინდათ ჩემთან დარჩეთ? - ნახევრად მბრძანებლური და ნახევრად ალერსიანი თვალებით შეხედა, ისეთი მზერით, მამაკაცების პატივისცემას რომ იმსახურებენ, ქალებმა სურვილების გამოსახატავად ოსტატურად გამოყენება რომ იციან.

- დილიჟანსის გაძარცვას ხომ აპირებთ?

- გაძარცვას? - შეესიტყვა ქალი, - რა უცნაური სიტყვაა! ნება მომეცით, აგიხსნათ...

- არ არის საჭირო, - თქვა ახალგაზრდა კაცმა, აიღო მისი ხელები და კურტიზანის გულგრილი თავაზიანობით დაუკოცნა, - მომისმინეთ, - განაგრძო მცირე პაუზის შემდეგ, - თუ აქ ვიქნები დილიჟანსის ხელში ჩაგდების დროს, ჩვენი ხალხი მომკლავს, რადგან...

- თქვენ მათ არ დახოცავთ, - ცოცხლად შეაწყვეტინა, - რადგან ხელებს გაგიკრავენ, მიუხედავად თქვენდამი დიდი პატივისცემისა. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელებისგან აიღებენ აღჭურვილობას არსებობისთვის, დენთის საყიდლად საჭირო კონტრიბუციას, ამის მერე ბრმად დაგემორჩილებიან.

- და თქვენ გინდათ, აქ მე ვიუფროსო? თუ ჩემი სიცოცხლე სჭირდება იმ საქმეს, რასაც ვემსახურები, იმის ნება მაინც მიბოძეთ, ღირსება შევინარჩუნო. აქედან თუ წავალ, ამ სიმდაბლეზე შეიძლება არც არაფერი ვიცოდე. მოგვიანებით მოვალ და გაგაცილებთ.

და სწრაფად გაეცალა იქურობას. ახალგაზრდა ქალბატონმა აშკარად ნაღვლიანად მიუგდო ყური ფეხის ხმას. ხმელი ფოთლების შარიშური თანდათან მიჩუმდა. ერთხანს თითქოს საგონებელში ჩავარდა, მერე შუანებისკენ გაეშურა. უცებ

ირონიულ-დამცინავი ჟესტი გააკეთა და იარე-მიწაზეს, ცხენიდან ჩამოხდომაში რომ დაეხმარა, უთხრა: - ამ ახალგაზრდას რესპუბლიკასთან ომი წესისა და რიგის მიხედვით უნდა!.. არა უშავს, კიდევ რამდენიმე დღე და აზრს შეიცვლის!... როგორ მომექცა! - ჩაილაპარაკა თავისთვის.

ქალი კლდეზე ჩამოჯდა, მანამდე ახალგაზრდა კაცი რომ იჯდა და ჩუმად დაელოდა დილიჟანსის მოსვლას. ეპოქის საკმაოდ საგულისხმო ფენომენი იყო ეს ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი, რომელიც მძაფრმა ვნებებმა მონარქიების დროის წინააღმდეგ ომში ჩააბა, მგზნებარე გრძნობებმა კი სავალალო ქცევებისკენ უბიძგეს, თუმცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანამოაზრე არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით, ის იმ ქალებს ჰგავდა, რომლებიც, ეგზალტაციით ატაცებულნი, არცთუ იშვიათად საგმირო საქმეებს სჩადიოდნენ. მის მსგავსად, მოვლენების მორევში ჩათრეულმა ბევრმა ქალმა ითამაშა საგმირო თუ საძრახისი როლი. როიალისტებს არ ჰყავდათ უფრო ერთგული, უფრო აქტიური ემისრები, ვიდრე ეს ქალები, მაგრამ არცერთს არ მოუწია ერთგულების, შეცდომებისა და იმ დამღუპველი მდგომარეობის საფასურის გადახდა, რაც ქალთა სქესისთვის აკრძალულია, ისეთი სასოწარკვეთილებით გამოსყიდვა, რაც ამ ქალბატონმა განიცადა, როცა გზის პირას გრანიტის ლოდზე იჯდა და უნებურად აღფრთოვანებული იყო შუანების ახალგაზრდა ბელადის კეთილშობილური არადჩაგდებითა და პატიოსნებით. ნელ-ნელა ღრმა ფიქრებში ჩაიძირა. მწარე მოგონებებმა მოანატრეს სიყმაწვილის უბიწოება, გულუბრყვილობა და გული დასწყდა, რომ არ გახდა მსხვერპლი რევოლუციისა, რომლის მაშინდელი ძლევამოსილი მსვლელობაც ასეთმა სუსტმა ხელებმა ვერ შეაჩერეს.

დილიჟანსი, შუანების თავდასხმის ერთ-ერთი მიზეზი რომ იყო, ორი რაზმის შეტაკებამდე რამდენიმე წუთით ადრე გამოვიდა პატარა ქალაქ ერნედან. ნებისმიერ ქვეყანას ყველაზე კარგად მისი მატერიალური ყოფა აღწერს. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული დილიჟანსი განსაკუთრებულ მოხსენიებას იმსახურებს. თვითონ რევოლუციას ძალა არ ეყო, მოესპო იგი: დღესაც დაგრიალებს. როცა ტიურგომ გამოისყიდა ერთი კომპანიის, ჯერ კიდევ ლუი XIV-ის დროს მიღებული პრივილეგია, მონოპოლიური უფლება მოეპოვებინა მგზავრების ექსკლუზიური გადაყვანისა მთელს სამეფოში, მან დააარსა საწარმოები, ტიურგოტინები რომ დაარქვა, ხოლო

ბატონების, ვუჟის, შანტეკლერის და ლაკომბის ქვრივის ძველი მდიდრული კარეტები განდევნეს პროვინციაში. ერთ-ერთი ასეთი დიდი სამგზავრო ეტლი აკავშირებდა მაიენსა და ფუჟერს. ზოგიერთმა ჯიუტმა მას დაცინვით ტიურგოტინი შეარქვა, პარიზის გამოჯავრებით თუ იმ მინისტრის სიძულვილის გამო, სიახლეებისკენ რომ ისწრაფვოდა. ტიურგოტინი საძაგელი, ორ უზარმაზარბორბლიანი კაბრიოლეტი იყო, რომელშიც ორი ცოტა მსუქანი ადამიანი გაჭირვებით მოთავსდებოდა. ამ დანჯღრეული ეკიპაჟის სივიწროვე ბევრ ბარგს გამორიცხავდა; სკივრი, რომე-ლიც იგივე დასაჯდომი იყო, მხოლოდ ფოსტისთვის იყო განკუთვნილი. მგზავრს თუ ბარგი ჰქონდა, ფეხებს შუა უნდა ჩაედგა ისედაც ძალიან ვიწრო, სამჭედლოს საბერველის მსგავს ძარაში ჩაჭედილს. თავიდან რა ფერის იყო კარეტა ან ბორბლები, მგზა-ვრებისთვის ამოუხსნელი გამოცანა იყო. ტყავის ორ ფარდას, მიუხედავად სიძველისა, ძლივს რომ იდრიკებოდა, წამებული მგზავრები სიცივისა და წვიმისაგან უნდა დაეცვა. მეეტლე მაღალ, ყველაზე უხეირო პარიზული ძველებური ორთვალას კოფოს მსგავს მაღალ სკამზე იჯდა და უნებურად მონაწილეობდა ლაპარაკში, რადგან თავის ორფეხა და ოთხფეხა მსხვერპლებს შორის იჯდა. ეს ეკიპაჟი ფანტასტიურად ჰგავდა გადაბეხრეკებულ ბებრებს, უამრავი კატარი, აპოპლექსური დამბლა რომ გადაუტანიათ, მაგრამ სიკვდილს გადარჩენილან; გზაში ოხრავდა, კვნესოდა, დროდადრო თითქოს წამოიყვირებდა ხოლმე. ძილმორეული მგზავრივით, ხან წინ გადაიხრებოდა, ხან უკან, თითქოს უძალიანდებოდა პატარა, ბრეტონული ცხენების თავგანწირულ მცდელობას, ოღროჩოღრო გზაზე რომ მიათრევს. სხვა საუკუნის ამ ძეგლში სამი მგზავრი იყო. ერნედან გამოსვლის შემდეგ, სადაც ცხენები გამოუცვალეს, ისინი საფოსტო სადგურამდე დაწყებულ მასლაათს აგრძელებდნენ მეეტლესთან.

- რატომ გგონიათ, რომ აქ შუანები გამოჩნდებიან? - იკითხა მეეტლემ, - ერნეში ხალხმა მითხრა, მეთაური იულო ფუჟერიდან არ წასულაო.

- ეჰ, მეგობარო, - შეეხმიანა ერთ-ერთი სხვებზე ახალგაზრდა მგზავრი, - შენ მარტო შენს ტყავს უფრთხილდები, აი, ჩემსავით, თან სამასი ეკიუ რომ გქონდეს და თანაც პატიოსან პატრიოტად გიცნობდნენ, ვერ იქნებოდი მშვიდად.

- ცოტა არ იყოს, ყბედი ბრძანდებით, - მეეტლემ თავი გადააქნია.

- დათვლილი ცხვარი მგლის ნადავლია, - შეეხმიანა მეორე მგზავრი.

ეს, ასე ორმოცდაათი წლის შავად ჩაცმული კაცი, ალბათ ახლომახლო რექტორი იყო. სქელი ღაბაბი და ღაჟღაჟა ლოყები აშკარად მოწმობდნენ, რომ სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. ტანმორჩილი და ჩასკვნილი ცქვიტად ჩამოდიოდა ეტლიდან და ასევე მკვირცხლად ადიოდა.

- თქვენ ვინ ხართ, შუანები? - წამოიძახა სამასი ეკიუს პატრონმა, ჩაცმულობით შეძლებულმა გლეხმა, თხის საუცხოო ტყავი რომ უფარავდა ფარსაგი მაუდის შარვალს და ძალიან სუფთა ქურთუკიც ეცვა, - ვფიცავ წმინდა რობესპიერის სულს, შავი დღე დაგადგებათ, თუ... - მერე თვალი შეავლო მეეტლეს, მერე მგზავრს და ქამარში გარჭობილი ორი პისტოლეტი უჩვენა.

- ბრეტონელებს მაგით ვერ შეაშინებთ, - მედიდურად თქვა რექტორმა, - და მერე რა შეგვატყვეთ, რომ თქვენი ფული გვაინტერესებს?

სიტყვა „ფულის“ ხსენებაზე მეეტლე ჩუმდებოდა, რექტორი კი საკმაოდ ჭკვიანი იყო, რათა ეჭვი გასჩენოდა, რომ პატრიოტს ოქროს ეკიუები ჰქონდა და მეეტლეს მიჰქონდა ფული.

- დღეს ტვირთით ხარ, კუპიო? - იკითხა აბატმა.

- ეს, ბატონო გიუდენ, ჩათვალეთ რომ არაფერია, - უპასუხა მეეტლემ.

აბატმა გიუდენმა გამომცდელად შეხედა კუპიოს და პატრიოტს, მაგრამ ორივეს დარბაისლური, მშვიდი სახე ჰქონდა.

- მით უკეთესი შენთვის, შეეხმიანა პატრიოტი, თუ დამჭირდა, შევძლებ ჩემი ქონების დაცვას.

დიქტატურის ასეთმა დესპოტურმა ხელყოფამ აღაშფოთა კუპიო და უხეშად შეეპასუხა: - ჩემი ეკიპაჟის პატრონი მე ვარ და თუ კი მიმყავხართ...

- ვინ ხარ? პატრიოტი თუ შუანი? - გაცხარებულმა გააწყვეტინა სიტყვა მოწინააღმდეგემ.

- არც ერთი, არც მეორე, - უპასუხა კუპიომ, - მეეტლე ვარ და, რაც მთავარია, ბრეტონელი, მაშასადამე, არც ლურჯების მეშინია და არც დიდებულების.

- შენ ალბათ დიდწამგლეჯები გინდოდა გეთქვა, - შეაწყვეტინა პატრიოტმა ირონიულად.

- მათ მხოლოდ უკან მიაქვთ ის, რაც წაგლიჯეს, - თქვა გაგულისებულმა რექტორმა.

ორივე მგზავრი თვალებით ჭამდა ერთმანეთს, თუ დასაშვებია სალაპარაკო ენის ამ გამოთქმის ხმარება. ეტლის სიღრმეში მესამე მგზავრიც იჯდა, მთელი ამ ხნის მანძილზე ხმა რომ არ ამოუღია. მეეტლე, პატრიოტი და გიუდენიც კი არაფრად აგდებდნენ ამ უდრტვინველ მგზავრს. მართლაც, ეს იყო უხერხული და უკარება მგზავრი, იმ უტყვ ხბოს მოგაგონებდათ, ფეხებგაკრული რომ მიჰყავთ უახლოეს ბაზარზე. ჯერ საკუთარ ადგილზე თავისუფლად მოეწყობიან და მერე ამთავრებენ იმით, რომ ჩაძინებულები უცერემონიოდ ჩამოადებენ თავს მხარზე მეზობელს. პატრიოტმა, გიუდენმა და მეეტლემ თავი მიანებეს, რაკი მძინარედ ჩათვალეს და თანაც უსარგებლოდ მიიჩნიეს, ლაპარაკი გაებათ გაქვავებულსახიან კაცთან, რომელსაც მთელი ცხოვრება წყრთობით ტილოს აზომვა-გაყიდვაში გაუტარებია, ტვინი კი იმით ჰქონდა დაკავებული, უბრალოდ, მეტი წაეგლიჯა, ვიდრე ღირდა. ეს ჯმუხი პატარა კაცი, კუთხეში გორგალივით მოკუნტული, დროდადრო ახელდა პატარა, ცისფერ თვალებს, მთელი ამ საუბრის განმავლობაში რიგ-რიგობით უყურებდა მოსაუბრეებს შიშით, ეჭვით და უნდობლობლად, მაგრამ ისე, რომ გეგონებოდათ, თავისი თანამგზავრების ეშინია და არა შუანებისო. ამ დროს პელერინის მწვერვალზე სროლა ატყდა. კუპიომ შემკრთალმა შეაჩერა ეტლი.

- ოჰ! ოჰ! - შესძახა მღვდელმა, რომელიც ვითარებაში კარგად ერკვეოდა, - სერიოზული შეტაკებაა, ბევრი ხალხია.

- ჰო, ბატონო გიუდენ, მძიმე მდგომარეობაა, ნეტავი გაგვაგებინა, ვინ მოიგებს? - წამოიძახა კუპიომ.

ამჯერად სახეზე ყველას შეშფოთება ეწერა.

- შევიყვანოთ ეტლი ამ სამიკიტნოს ეზოში და ჩვენც იქ დავიმალოთ, სანამ ბრძოლის შედეგს გავიგებთ.

რჩევა ისეთი ბრძნული ეჩვენა, რომ კუპიომ დაუჯერა. პატრიოტმა მეეტლეს უშველა, ეკიპაჟი თვალისთვის მოეფარებინათ ფიჩხის გროვის უკან. გაწითლებულმა რექტორმა დრო შეარჩია და კუპიოს ჰკითხა: - მაგას მართლა აქვს ფული?

- ეეჰ, ბატონო გიუდენ, რაც მაგას აქვს, თუ თქვენი უწმინდესობის ჯიბეებში მოხვდება, არ დაგამძიმებთ.

რესპუბლიკელები, ერნეში რომ ეჩქარებოდათ, გასცდნენ დუქანს. მათი ბრაგაბრუგის გაგონებაზე გიუდენი და პატრიოტი ჭიშკრიდან გზაზე გავიდნენ დაინტერესებულები. უცებ სქელმა რექტორმა მიირბინა ჯარისკაცთან, კოლონიის ბოლოში რომ მიჩანჩალებდა: - გიუდენ, რა ხდება! ჯიუტო, მაშ, არ იშლი და ლურჯებთან მიდიხარ? შვილო ჩემო, კარგად დაფიქრდი?

- კი, ბიძაჩემო, - უპასუხა კაპრალმა, - დავიფიცე, რომ საფრანგეთს დავიცავ.

- ეჰ, შე უბედურო! სულს წაიწყმედ! - წამოიძახა აბატმა, ეგონა, ძმისწულის გულში რელიგიურ გრძნობას გააღვიძებდა, რაც ასე ძლიერია ბრეტონელებში.

- ბიძაჩემო, მეფე რომ ჩაუდგებოდეს სათავეში თავის არმიას, იმას კი არ ვამბობ, რომ...

- უჰ, შე ბრიყვო! მეფეზე ვინ გელაპარაკება? შენი რესპუბლიკა, რა, სააბატოებს არგებს? ყველაფერი აურია. რას მიაღწევ? დარჩი ჩვენთან, ადრე თუ გვიან გავიმარჯვებთ და სადმე პარლამენტის მრჩეველი გახდები.

- პარლამენტის? - დამცინავად ჩაეკითხა ახალგაზრდა გიუდენი, - მშვიდობით, ბიძაჩემო!

- ჩემგან სამ ლუიდორსაც ვერ მიიღებ! - გაცეცხლდა ბიძა, - მემკვიდრეობას ვერ ეღირსები, ჩამოგართმევ!

- მადლობელი ვარ! - უპასუხა რესპუბლიკელმა.

და წავიდ-წამოვიდნენ. სანამ ლურჯების პატარა დანაყოფი ჩაივლიდა, სიდრის ოხშივარმა, პატრიოტმა რომ დაალევინა კუპიოს, მეეტლეს გონება დაუბინდა. მაგრამ მაშინვე გამოფხიზლდა და გამხიარულდა, როცა მეფუნდუკემ გაიკითხ-

გამოიკითხა შეტაკების შედეგები და ამცნო, რომ ლურჯების მხარეს იყო გამარჯვება. კუპიო ისევ გავიდა დიდ გზაზე და მალე მისი ეტლი პელერინის ველზეც გამოჩნდა, სადაც მისი დანახვა მენის პლატოდანაც და ბრეტონის მხრიდანაც შეიძლებოდა, იტყოდი, ქარიშხალს გადარჩენილი გემის ნაწილია, ტალღებს რომ მიაქვსო.

როგორც კი ბორცვის წვერზე ავიდა, სადაც ლურჯები ადიოდნენ და საიდანაც შორს პელერინს დაინახავდით, იულო შემოტრიალდა, შუანები ისევ იქ არიან თუ არაო. მათი თოფების მზეზე მოელვარე ლულები ბრჭყვიალა წერტილებივით ჩანდა. კიდევ ერთხელ გადახედა ველს, საიდანაც, ეს-ეს არის, გამოვიდა, ერნეს ხეობას რომ დასდგომოდა. მოეჩვენა, რომ შარაგზაზე კუპიოს ეტლი დაინახა.

- ეს მაიენის დილიჟანსი არ არის? - ჰკითხა თავის ორ მეგობარს.

ოფიცრები დააკვირდნენ და იცნეს.

- ეჰე! როგორ არ შეგვხვდნენ?

უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს.

- აი, კიდევ ერთი გამოცანა! - წამოიძახა მეთაურმა, - მგონი უკვე ვხვდები.

ამ მომენტში იარე-მიწაზემ იცნო ტიურგოტონი და თავისიანებს შეატყობინა. საყოველთაო სიხარულმა ახალგაზრდა ქალი ფიქრებიდან გამოიყვანა, მიუახლოვდა შუანებს და დილიჟანსი დაინახა, რომელიც პელერინის აღმართისკენ მიისწრაფოდა. მალე ბედნავსი ტიურგოტინი პლატოზე ავიდა. შუანები, რომლებიც ისევ მიიმალ-მოიმალნენ, დამშეული მხეცის სისწრაფით დააცხრნენ. უტყვი მგზავრი ჩაცურდა, მოიკუნტა და ბარდანასავით მიიყუჟა.

- ეჰე! - შეჰყვირა კუპიომ კოფოდან და გლეხებზე მიუთითა, - იყნოსეთ? იგრძენით, რომ ამ პატრიოტს მთელი ტომარა ფული აქვს!

ამ სიტყვებს შუანების თავაწყვეტილი ხარხარი მოჰყვა და ყვირილი გაისმა: მოიტაცე-დიდი-კვერი! მოიტაცე-დიდი-კვერი!

ამ სიცილ-ხარხარში, ექოსავით რომ აჰყვა თვითონ მოიტაცე-

დიდი-კვერი, შემცბარი კუპიო კოფოდან ჩამოვიდა. როცა ყბადაღებულმა სიბომ, იგივე მოიტაცე-დიდი-კვერმა ხელი შეაშველა თა-ვის მეზობელს ეტლიდან გადმოსვლისას, მოწიწებულმა ჩურჩულმა გადაირბინა.

- ეს ხომ აბატი გიუდენია! - წამოიძახეს აქეთ-იქით.

ამ პატივცემული სახელის გაგონებაზე შუანებმა ქუდები მოიშვლიპეს, მუხლებზე დაეცნენ მღვდლის წინაშე და კურთხევა სთხოვეს. აბატმა დიდი ამბით დალოცა.

- ეს წმინდა პეტრესაც კი გააცურებდა და სამოთხის გასაღებს აწაპნიდა, - თქვა რექტორმა და მხარზე ხელი დაუტყაპუნა მოიტაცე-დიდ-კვერს, - ეს რომ არა, ლურჯები ჩაგვიგდებდნენ ხელში.

ახალგაზრდა ქალბატონის დანახვაზე აბატი გიუდენი მისკენ გაეშურა. იარე-მიწაზემ მარჯვედ გახსნა დილიჟანსის სკივრი, გიჟური სიხარულით აჩვენა ყველას ტომარა, აშკარად რომ ეტყობოდა, მონეტების რულონებით იყო სავსე. ნადავლის გაყოფაც აღარ დაუხანებია. ყოველმა შუანმა თავისი წილი მიიღო და ისე სამართლიანად და ზუსტად განაწილდა, რომ კინკლაობაც კი არ გამოუწვევია. მერე მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალბატონს და მღვდელს და ექვსი ათასამდე ფრანკი გაუწოდა.

- სუფთა სინდისით შემიძლია ავიღო, ბატონო გიუდენ? - იკითხა ქალმა, რადგან გრძნობდა ნებართვის აუცილებლობას.

- აბა, როგორ ქალბატონო? ოდესღაც ეკლესია არ იყო პროტესტანტების ქონების კონფისკაციაზე თანხმობა რომ მისცა? მითუმეტეს, ნებადართულია რევოლუციონერებთან, ღმერთის უარმყოფელებთან, ტაძრების დამანგრეველებთან და რელიგიის მდევნელებთან დაკავშირებით.

ეს ქადაგება აბატმა საკუთარი მაგალითით დაადასტურა - ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მიიღო ახალი ყაიდის დესეტინა, იარე-მიწაზემ რომ მიუტანა.

- თანაც ახლა ყველაფერი, რაც გამაჩნია, შემიძლია შევწირო ღმერთს და მეფეს: ჩემი ძმისწული ლურჯებთან წავიდა!

კუპიო მოთქვამდა, დავიღუპეო.

- მოდი ჩვენთან, - უთხრა იარე-მიწაზემ და შენი წილი გექნება.

- მაგრამ თუ თავდასხმის კვალი არ იქნება, ეგონებათ, ძალით გავაძარცვინე.

- სულ ეგ არის?.. - იარე-მიწაზემ ანიშნა და ზალპით დაცხრილეს ტიურგოტინი. ამ უცაბედი ბათქაბუთქისგან ძველი ეტლი ისე აჭრიალდა, რომ ბუნებით ცრუმორწმუნე შუანებმა უკან დაიხიეს. იარე-მიწაზემ კი შენიშნა ძარის კუთხეში როგორ გამოჩნდა და იქვე გაუჩინარდა უჩუმარი მგზავრის გაფითრებული სახე.

- შენს საქათმეში კიდევ ერთი ფრინველი გყოლია, - ჩაულაპარაკა იარე-მიწაზემ კუპიოს.

მოიტაცე-დიდი-კვერი მიხვდა შეკითხვას და მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი.

- ჰო, - უპასუხა მეეტლემ, - მაგრამ თუ ჩემი გადაბირება გინდათ, ნება მომეცით, ეს პატიოსანი კაცი საღსალამათი ჩავიყვანო ფუჟერში. წმინდა ანა ორეელს შევფიცე.

- ეგ ვინღაა? - იკითხა მოიტაცე-დიდი-კვერმა.

- მაგას ვერ გეტყვით, - უპასუხა კუპიომ.

- გაუშვი, წაიყვანოს, - იარე-მიწაზემ მუჯლუგუნი წაჰკრა მოიტაცე-დიდ-კვერს, - რაკი წმინდა ანა ორეელს შეჰფიცა, სიტყვა სიტყვაა.

- ოღონდ იცი, რა, - შუანმა კუპიოს მიმართა, - ძალიან სწრაფად ნუ დაეშვებით დაღმართზე, დაგეწევით. ასეა საჭირო. შენი მგზავრის სიფათი მინდა ვნახო და მერე მივცემთ საშვს.

ამ დროს ცხენის თქარათქური გაისმა, მთას უახლოვდებოდა. მალე ახალგაზრდა მეთაურიც გამოჩნდა. ქალმა საჩქაროდ დამალა ზურგსუკან პარკი, ხელში რომ ეჭირა.

- შეგიძლიათ, მშვიდად აიღოთ ეგ ფული, - უთხრა ახალგაზრდა კაცმა და ხელი გამოაწევინა, - აი, წერილი, ჩემს წერილებში რომ ვიპოვე ფოსტაში, ვივეტიერში რომ მელოდა, ქალბატონ დედათქვენის წერილი, - სათითაოდ შეხედა ყველა შუანს, ტყეს რომ აფარებდნენ თავს და ეტლს, კუენონის ველისკენ რომ ჩადიოდა და დაუმატა: - როგორ ვჩქარობდი, მაგრამ ვერ მოვუსწარი. ნეტავ ჩემი ეჭვები არ გამართლდეს!

- ეს საბრალო დედაჩემის ფულია, - შეჰყვირა ახალგაზრდა ქალბატონმა, წერილი რომ გახსნა და პირველი სტრიქონები წაიკითხა.

- ტყიდან მოგუდული სიცილი გაისმა. ახალგაზრდა მეთაურმაც, ქალის შემხედვარემ, ღიმილი ვერ შეიკავა. ჯერ კიდევ ხელში ეჭირა საკუთარი ფულის ნაძარცვის თავისი წილი. მანაც სიცილი დაიწყო.

- დიდება შენდა, ღმერთო! მარკიზო, ამჯერად მშრალად გამოვედი.

- რა არასერიოზული ხართ ყველაფერში, სინდისის ქენჯნაშიც კი... - უთხრა ახალგაზრდა კაცმა. ქალი გაწითლდა და მარკიზს ისე გულწრფელად დარცხვენილმა შეხედა, რომ განაიარაღა იგი. აბატმა თავაზიანად, მაგრამ ორჭოფული სახით დაუბრუნა თავისი ახლახან მიღებული დესეტინა და გაეშურა შემოსავლელი გზის-კენ, რითიც მოვიდა. სანამ მათ შეუერთდებოდა, ქალმა იარე-მიწაზეს ანიშნა. ისიც მიუახლოვდა.

- ახლა მორტანთან ჩაუსაფრდით, - უთხრა ჩუმად, - გავიგე, რომ ლურჯები დღეს-ხვალ გააგზავნიან ალანსონში ომისთვის მოსამზადებლად დიდძალ ფულს, ნაღდ ფულს. შენს ამხანაგებს დღევანდელ ნადავლს დავუტოვებ იმ პირობით, რომ ზარალს ამინაზღაურებენ. ოღონდ გაფრთხილდი, ვაჟკაცმა არ გაიგოს, რისთვის მიდიხართ იქ: შეიძლება წინააღმდეგობა გაგიწიოთ. მაგრამ თუ ასეთი რამე მოხდა, დავაწყნარებ.

- ქალბატონო, - უთხრა მარკიზმა ქალს, უკან რომ შემოისვა, რაკი მან თავისი ცხენი აბატს დაუტოვა, - ჩემი პარიზელი მეგობრები მწერენ, ფხიზლად ვიყო, რესპუბლიკა აპირებს ეშმაკობით და ღალატით გვებრძოლოს.

- არა უშავს, - უპასუხა ქალმა, - საკმაოდ კარგი აზრები ჰქონია მაგ ხალხს. შემიძლია მონაწილეობა მივიღო ომში და მოწინააღმდეგეებიც ვიპოვო.

- რა თქმა უნდა, - შესძახა მარკიზმა, - პეშეგრიუ მირჩევს, ზედმიწევნით ფრთხილად შევარჩიო მეგობრები.

- რესპუბლიკა დიდ ნდობას მიცხადებს, როცა თვლის, რომ ყველა ერთად აღებულ ვანდეელზე საშიში ვარ. ცდილობს, ჩემი

სისუსტეებით ისარგებლოს ხელში ჩასაგდებად.

- ნუთუ მეც არ მენდობით და მომერიდებით? - ჰკითხა ქალმა და, ჩაბღაუჭებულმა, მსუბუქად დაუტყაპუნა ხელი გულზე.

- ეგ როგორ გაიფიქრეთ, ქალბატონო? - შეესიტყვა და თავი მიაბრუნა. ქალმა შუბლზე აკოცა.

- მაშ, - წამოიწყო აბატმა, - ფუშეს პოლიცია ჩვენთვის უფრო სახიფათოა, ვიდრე კონტრ-შუანები და მობილური ბატალიონები?

- მართალს ბრძანებთ, თქვენო უწმინდესობავ.

- ახ, ასეა? - წამოიძახა ქალბატონმა, - მაშ, ფუშე ქალების მოგზავნას აპირებს თქვენთან?! - და მცირე პაუზის შემდეგ ღუღუნა ხმით დაუმატა, - დაველოდები.

ეს მოქმედება ვითარდებოდა დაცარიელებული პლატოდან სამ-ოთხ გასროლაზე, რაც არცთუ იშვიათი იყო იმხანად შარაგზაზე. პელერინის პატარა სოფლის სიბაკართან მოიტაცე-დიდი-კვერმა და იარე-მიწაზემ ისევ გააჩერეს დილიჟანსი პატარა ხევში. კუპიო უმნიშვნელო გაძალიანების შემდეგ ჩამოვიდა ეტლის კოფოდან. უტყვი მგზავრი, რომელიც ორმა შუანმა ეტლის კუთხიდან ამოაძვრინა, კურდღლისცოცხას ბუჩქნარში მუხლებზე დაჩოქილი აღმოჩნდა.

- ვინ ხარ? - ავისმომასწავებელი ხმით ჰკითხა იარე-მიწაზემ.

მგზავრი ხმას არ იღებდა. მაშინ მოიტაცე-დიდი-კვერმა თოფის კონდახი ჩასცხო და კითხვა გაუმეორა.

- ჟაკ პინო ვარ, ტილოთი მოვაჭრე საწყალი კაცი, - უპასუხა და კუპიოს შეხედა.

კუპიომ არაო, თავი გადააქნია, ეგონა, ამით არ არღვევდა მიცემულ სიტყვას. ამ ნიშანმა მოიტაცე-დიდ-კვერს სახე გაუნათა, მგზავრს თოფი მიუშვირა, იარე-მიწაზემ კი მრისხანედ და კატეგორიულად გამოუცხადა: - მეტისმეტად სქელი ხარ საწყალი კაცის კვალობაზე. თუ კიდევ ერთხელ გვაკითხინებ შენს ნამდვილ სახელს, აი, ჩემი მეგობარი მოიტაცე-დიდი-კვერი ერთი გასროლით მოიპოვებს შენი მემკვიდრეების პატივისცემასა და მადლიერებას. ვინ ხარ? - დაუმატა პაუზის მერე.

- დ’ორჟემონი ვარ ფუჟერიდან.

- ოჰო! - შესძახა ორივე შუანმა.

- მე არ მითქვამს თქვენი სახელი, მუსიე დ’ორჟემონ, - ხმა ამოიღო კუპიომ, - წმინდა ღვთისმშობელია მოწმე, პატიოსნად გიცავდით.

- აბა, რაკი დ’ორჟემონი ყოფილხართ ფუჟერიდან, - მოწიწებული ირონიული ხმით უთხრა იარე-მიწაზემ, - თავს დაგანებებთ. მაგრამ რაკი არც კაი ბიჭი შუანი ხართ და არც ნამდვილი ლურჯი, თუმცა ჟიუვინიის საბატოს მიწები იყიდეთ, მაინც გადაგვიხდით გამოსასყიდს, - დაუმატა შუანმა და თითქოს თითებზე გადაითვალა თავისი ამხანაგები, - გადაგვიხდით ექვსფრანკიან სამას ეკიუს. ნეიტრალიტეტი ნამდვილად ღირს ამად.

- სამასი ექვსფრანკიანი ეკიუ! - ერთბაშად აღმოხდა სამივეს: საცოდავ ბანკირს, მოიტანე-დიდ-კვერს და კუპიოს, მაგრამ ყველას სხვადასხვანაირად.

- ვაგლახ, ჩემო ძვირფასო ბატონო, - განაგრძო დ’ორჟემონმა, - გაკოტრებული ვარ. ამ ოხერმა რესპუბლიკამ გამოაცხადა ასი მილიონი ფრანკის იძულებითი სესხი; უზარმაზარი გადასახადი შემაწერა და მშრალზე დავრჩი.

- რამდენი მოგთხოვა შენმა რესპუბლიკამ?

- ათასი ეკიუ, ჩემო ძვირფასო ბატონო, - უპასუხა საცოდავი სახით ბანკირმა იმ იმედით, რომ ცოტას დაუკლებდნენ.

- შენი რესპუბლიკა თუ იძულებით სესხში ამოდენა ფულს გართმევს, ხომ ხედავ, ჩვენთან უფრო ხელსაყრელია: ჩვენი მთავრობა უფრო იაფია. სამასი ეკიუ შენი ტყავისთვის განა ბევრია?

- საიდან მოვიტანო?

- შენი სკივრიდან, - უთხრა მოიტაცე-დიდი-კვერმა, - და თან მიაქციე ყურადღება, ეკიუ სრული წონისა იყოს, თორემ კოცონზე შენ დაგიკლებთ წონას.

- სად უნდა გადაგიხადოთ?

- შენი სააგარაკო სახლი ფუჟერში ახლოს არის ჟიბარის

ფერმასთან, სადაც ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობს, დაასხი-კუტალი, იგივე დიდი სიბო, ფული მას გადაეცი, - უთხრა მოიტაცე-დიდი-კვერმა.

- ეს რა წესია, - წამოიწყო დ'ორჟემონმა.

- რა ჩვენი საქმეა! - უპასუხა იარე-მიწაზემ, - გახსოვდეს, თუ ორ კვირაში არ მიუტან ფულს დაასხი -კუტალს, შემოგივლით ცოტახნით და მოგირჩენთ პოდაგრას.

- შენ კი კუპიო, - მიმართა მეეტლეს, - დღეიდან გერქმევა წაიღე-დოვლათი.

ამ სიტყვების შემდეგ ორივე შუანი წავიდა. მგზავრი ისევ ჩაჯდა ეტლში, მეეტლის მათრახმა ფუჟერისკენ რომ გააქანა.

- იარაღი რომ გქონოდათ, - უთხრა კუპიომ, - ცოტა უკეთესად დავიცავდით თავს.

- ტუტუცო, აი, აქ ათი ათასი ფრანკი მაქვს, - დ'ორჟემონმა თავისი უხეში ფეხსაცმელები აჩვენა, - განა შეიძლება თავის დაცვა, როცა ასეთი თანხა გაქვს თან!

წაიღე-დოვლათმა ყური მოიფხანა და უკან მოიხედა, მაგრამ მისი ახალი ამხანაგები უკვე გამქრალიყვნენ.

იულოს რაზმი ცოტა ხანს ერნეში შეჩერდა, ავადმყოფების ლაზარეთში დასატოვებლად. მერე ისევ გააგრძელეს გზა და უფათერაკოდ ჩავიდნენ მაიენში. იქ მეორე დღეს მეთაურმა შეძლო, დაეზუსტებინა საფოსტო დილიჟანსის მარშუტი, რადგან მოსახლეობამ დილიჟანსის გაქურდვის შესახებ მეორე დღეს გაიგო. რამდენიმე დღის შემდეგ ხელისუფლებამ მაიენში ბლომად ახალწვეული პატრიოტი გააგზავნა, იულოს თავისი ნახევარბრიგადა რომ შეევსო. მალე ნაკლებად დამამშვიდებელი ხმები გავრცელდა: ამბოხებამ ისევ მოიცვა ყველა ის ადგილი, რომელიც ბოლო ხანებში შუანებმა და ვანდეელებმა ხანძრის ძირითად კერებად აქციეს. ბრეტანში როიალისტები დაეპატრონნენ პონტორსონს, ზღვისკენ გასასვლელი რომ ჰქონოდათ. პონტორსონსა და ფუჟერს შორის, ხელში ჩაიგდეს პატარა ქალაქი სენ-ჯემსიც და, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, დროებით თავიანთ პლაცდარმად ექციათ, საწყობების ცენტრად და სამხედრო ოპერაციების შუაგულად. იქიდან უსაფრთხოდ შეეძლოთ დაკავშირება ნორმანდიასთან

და მორბიანთან. მეორეხარისხოვანი უფროსობა ამ სამ პროვინციას უვლიდა გარს, ცდილობდნენ, აეჯანყებინათ მონარქიის მომხრეები. ეს ხრიკები ვანდეიდან მიღებულ ცნობებს ემთხვეოდა, იქაც მსგავსი ინტრიგები ამღვრევდა მთელ მხარეს, ხელმძღვანელი იყო ოთხი ცნობილი როიალისტი ბატონი: აბატი ვერნალი, გრაფი დე ფონტენი, დე შატილიონი და სიუზანე. ამბობდნენ, თითქოს შევალიე დე ვალუა, მარკიზი დ'ეგრინიონი და ტრუავილები გამხდარიყვნენ მათი მოკავშირეები ორნის დეპარტამენტში. შეფი ოპერაციების ფართო პლანისა, რომელიც ნელა, მაგრამ ძლიერად ვითარდებოდა, მართლაც ვაჟკაცი იყო, ასეთი მეტსახელი შეარქვეს შუანებმა მარკიზ დე მონტორანს, როგორც კი გემიდან საფრანგეთის მიწას დაადგა ფეხი. იულოს მიერ მინისტრებისთვის მიწოდებული ცნობები უტყუარი იყო, უცხოეთიდან გამოგზავნილი წინამძღოლის ავტორიტეტი აღიარეს. მარკიზმა დიდი ძალაუფლება მოიპოვა შუანებზე, ცდილობდა, ჩაეგონებინა, რომ მათი სისასტიკე არცხვენდა კეთილშობილურ საქმეს, რომელიც მათ წამოიწყეს. სიმამაცე, ვაჟკაცობა, ცივი გონება, ნიჭი ამ ახალგაზრდა სენიორისა რესპუბლიკის მტრების იმედს აღვიძებდა და ისე გააღვივა პირქუში ეგზალტაცია ამ ოლქებში, რომ ახლა ყველაზე ნაკლებად თავგამოდებულებიც კი ხელს უწყობდნენ იმ მოვლენათა მომზადებას, რომლებსაც დამხობილი მონარქიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. პარიზიდან იულოს თავის უამრავ შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ მიუღია. ეს უცნაური სიჩუმე, ცხადია, რევოლუციის კრიზისის მაუწყებელი იყო.

- იქნებ მათთან იქ, მთავრობაში, ისევე, როგორც ხაზინაში, სიცარიელეა და ყველა ჩვენი შუამდგომლობა ამაოა, - ეუბნებოდა ნახევარბრიგადის მოხუცი მეთაური თავის მეგობრებს.

მაგრამ მალე გავრცელდა ცნობები გენერალ ბონაპარტის მოულოდნელი დაბრუნებისა და 18 ბრიუმერის მოვლენებზე. მაშინ დასავლეთ საფრანგეთის მეთაურებისთვის მინისტრების მდუმარება გასაგები გახდა. ამან მხოლოდ გაამძაფრა ოფიცერთა მოუთმენელი სურვილი, გათავისუფლებულიყვნენ მათთვის სამძიმო პასუხისმგებლობისგან და ინტერესით ელოდნენ, რა ზომებს მიიღებდა ახალი მთავრობა.

როცა გაიგეს, რომ ბონაპარტი დაინიშნა რესპუბლიკის პირველ კონსულად, სამხედროებმა დიდად გაიხარეს! ისინი პირველად ხედავდნენ ერთ-ერთ თავისიანს სახელმწიფო საქმეების მესაჭედ. საფრანგეთი იმედმა შეაზანზარა, ახალგაზრდა გენერალი კერპად გაიხადა, ნაციას ენერგია გაუორმაგდა. პირქუში თავდაჭერით დაღლილი დედაქალაქი ზეიმებსა და სიამოვნებაში გადაეშვა, რაც ასე დიდხანს აკლდა. კონსულის პირველმა ღონისძიებებმა ვერც იმედი შეზღუდა და სულაც ვერ შეაშინა თავისუფლება. პირველმა კონსულმა განცხადებით მიმართა დასავლეთ საფრანგეთის მოსახლეობას. ამ ენაწყლიანმა პროკლამაციამ მასებისადმი, რომელიც, ასე ვთქვათ, ბონაპარტის გამოგონება იყო, პატრიოტიზმისა და სასწაულების იმ პერიოდში გასაოცარი ზეგავლენა იქონია. მისი ხმა წინასწარმეტყველის ხმასავით გაისმა მსოფლიოში, რადგან ყველა მისი მოწოდება დასტურდებოდა გამარჯვებით.

„მკვიდრნო, მკრეხელურმა, ბიწიერმა ომმა მეორედ მოიცვა დასავლეთის დეპარტამენტები.

ავტორები ამ ამბოხისა მოღალატეები არიან, სული რომ მიჰყიდეს ინგლისელებს ან ყაჩაღები, სამოქალაქო განხეთქილებას გამორჩენისა და თავიანთი ავკაცობის დაუსჯელობისთვის რომ იყენებენ. ასეთი ხალხის არც შებრალება ევალება მთავრობას და არც მათთვის თავისი პრინციპების განმარტება.

მაგრამ არიან მოქალაქენი, სამშობლოსთვის ძვირფასნი, რომლებიც მეამბოხეებმა ხრიკებით შეაცდინეს. ასეთი მოქალაქეები უნდა გავანათლოთ და ჭეშმარიტებაზე თვალი უნდა ავუხილოთ. გამოიცა და განხორციელდა უსამართლო კანონები. მოქალაქენი შეაშფოთა დესპოტურმა, ტირანულმა ქმედებებმა, მათი უსაფრთხოებისა და სინდისის თავისუფლებას რომ დაემუქრა. მრავალ მოქალაქეს მიაყენეს დარტყმა ემიგრანტთა სიაში შეყვანით, მოკლედ, დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგის დიადი საფუძვლები.

კონსულები აცხადებენ, რომ კონსტიტუციით, აღმსარებლობის თავისუფლების გარანტს რომ იძლევა, შესრულდება III წლის 11 პრერიალის კანონი, რაც მოსახლეობას უფლებას მისცემს, გამოიყენოს საკულტო-რელიგიური დანიშნულების ნაგებობები.

მთავრობა აპატიებს და შეიწყალებს მონანიეთ. შეწყალება იქნება სრული და უპირობო, მაგრამ დაისჯება ყოველი, ვინც ამ დეკლარაციის შემდეგ გაბედავს ნაციის უმაღლეს ხელისუფლებას წინააღმდეგობა გაუწიოს.“

- აბა, - ამბობდა იულო, როცა საჯაროდ წაიკითხეს კონსულის მოწოდება, - განა მამაშვილური არ არის? აი, ნახავთ, ვერცერთი ყაჩაღი როიალისტი თავის შეხედულებებს ვერ შეიცვლის.

მეთაური მართალი იყო. პროკლამაციის შედეგი ის იყო, რომ ყველას განუმტკიცდა თავისი შეხედულება. რამდენიმე დღის შემდეგ იულომ და მისმა კოლეგებმა მაშველი ჯარი მიიღეს. ახალმა სამხედრო მინისტრმა აცნობა, რომ მათთან ჩავიდოდა დასავლეთ საფრანგეთის ჯარების მეთაურად დანიშნული გენერალი ბრიუნი. თავისი გამოცდილებით ცნობილმა იულომ მიიღო დროებითი სარდლობა ორნისა და მაიენის დეპარტამენტებში. მალე უჩვეულო აქტივობამ გამოაცოცხლა მთავრობის ყველა უწყება. სამხედრო მინისტრისა და პოლიციის მინისტრის ცირკულარი ამცნობდა, რომ ამბოხების ჩასახშობად საფუძველშივე ენერგიულ ზომებს მიიღებდნენ და მათი განხორციელება დაევალებოდა ჯარის მეთაურობას. მაგრამ შუანებმა და ვანდეელებმა ისარგებლეს რესპუბლიკის უმოქმედობით, აამხედრეს სოფლები და სრულიად დაეპატრონნენ მათ, ამიტომ გამოქვეყნდა კონსულთა მეორე მოწოდება. ამჯერად ბონაპარტი მიმართავდა ჯარებს: „ჯარისკაცებო!

საფრანგეთის დასავლეთში დარჩნენ მხოლოდ ყაჩაღები, ემიგრანტები და ინგლისის დაქირავებული ჯარისკაცები.

ჩვენს არმიაში სამოცი ათასზე მეტი გულადი ადამიანია, მოკლე ხანში ველოდები შეტყობინებას, რომ ამბოხების მეთაურები ცოცხლები აღარ არიან. დიდება მძიმე შრომის საფასურია. რომ შეიძლებოდეს მისი მოპოვება შტაბში, დიდ ქალაქებში, ვის არ მოუნდებოდა?

ჯარისკაცებო, არმიის რომელ რანგსაც უნდა მიეკუთვნებოდეთ, ნაციის მადლიერება გელით, მისი ღირსნი რომ იყოთ, არაფრად უნდა ჩააგდოთ უამინდობა, ყინვა, თოვლი, ღამეული სასტიკი სიცივეები, გათენებისას თავს უნდა დაადგეთ მტერს და ამოწყვიტოთ „ფრანგის“ სახელის შემარცხვენელი არამზადები.

კამპანია აწარმოეთ სწრაფად და გაბედულად. შეურიგებელი

იყავით ყაჩაღების მიმართ, მაგრამ დაიცავით მკაცრი დისციპლინა.

ნაციონალური გვარდიის წევრებო, თქვენი ძალისხმევა შეუ-ერთეთ რეგულარულ ჯარებს.

თუ თქვენ ირგვლივ ყაჩაღების მომხრეები გეგულებათ, და-აპატიმრეთ! რომ ვერსად დაემალონ მდევარ ჯარისკაცებს და თუ აღმოჩნდებიან მოღალატეები, რომლებიც მათ შეიფარებენ და დაეხმარებიან, დაე, ისინიც ამბოხებულებთან ერთად დაიღუპონ!“

- რა გამჭრიახია! - აღმოხდა იულოს, - ზუსტად ისეა, როგორც იტალიის არმიაში: თვითონ სწირავს და ზარებსაც თვითონ არისხებს. მერე, როგორ ლაპარაკობს!

- ჰო, მაგრამ თვითონ ლაპარაკობს და მარტო თავისი სახელით, - შენიშნა ჟერარმა, რომელსაც უკვე აშინებდა თვრამეტი ბრიუმერის შედეგები.

- ეჰ, გულუბრყვილო! დიდი ამბავი! ის ხომ სამხედროა! - წამოიძახა მერლმა.

ოფიცრებისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით კედელზე გაკრულ მოწოდებასთან ჯარისკაცები შეკრებილიყვნენ, მაგრამ რაკი კითხვა არც ერთმა არ იცოდა, მხოლოდ მიშტერებოდნენ განცხადებას, ზოგი უზრუნველად, ზოგი - ინტერესით. ორნი თუ სამნი გამვლელებს აკვირდებოდნენ, იქნებ ვინმე წიგნიერი ეპოვათ.

- აბა, გულთამხილავო, ერთი შეხედე, ეგ რა ქაღალდი გაუკრავთ მანდ, - დამცინავი ღიმილით უთხრა იფრინდამ თავის ამხანაგს.

- რა ძნელი მისახვედრია, - უპასუხა გულთამხილავმა, ყველამ ამ ორ მეგობარს შეხედა, ყოველთვის მზად რომ იყვნენ სამასხარაოდ.

- აჰა, ხედავ? - განაგრძო გულთამხილავმა და უჩვენა უშნო ვინიეტი განცხადების სათაურთან, სადაც, დიდი ხანი არ იყო, ფარგალმა[3] შეცვალა 1793 წლის ნიველირი - ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ძმა ჯარისკაცს ბევრი აქვს სასიარულო. ხედავ? ფარგალი გაშლილია. ამას „ემბლემა“ ჰქვია.

- ჩემო ბიჭო, არ გიხდება სწავლულის განსახიერება, ამას

„პრობლემა“ ჰქვია. მე ჯერ არტილერიაში ვმსახურობდი, - ჩაერია იფრინდა, - ასე რომ, პრობლემა რა ხილია, ჩვენმა ოფიცრებმა კარგად იციან.

- ემბლემაა.

- არა, პრობლემაა.

- დავნაძლევდეთ.

- რაზე?

- შენს გერმანულ ჩიბუხზე.

- დაჰკა ხელი.

- უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მოქალაქე მაიორო, ხომ მართალია, რომ ეს ემბლემაა და არა პრობლემა? - ჰკითხა გულთამხილავმა ჟერარს, რომელიც დაფიქრებული მიჰყვებოდა იულოს და მერლს.

- ისიც და ისიც, - სერიოზულად უპასუხა ჟერარმა.

- მაიორმა დაგვცინა, - განაგრძო იფრინდამ, - ეს ქაღალდი ნიშნავს, რომ ჩვენი გენერალი, იტალიაში ჯარის სარდალი რომ იყო, ახლა კონსული გახდა, ძალიან დიდი ჩინია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაზრებიც გვექნება და ფეხსაცმელიც.

ნაწილი მეორე: ფუშეს იდეა

კარი I ბრიუმერის ბოლო დღეებში, ერთ დილით, როცა იულო, ზემდგომთა ბრძანებით, მაიენში თავმოყრილ თავის ნახევარბრიგადას ავარჯიშებდა, ალანსონიდან მოსულმა კურიერმა დეპეშები გადასცა. კითხვისას იულოს დიდი უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე.

- აბა, წინ! - შესძახა გაბრაზებულმა და დეპეშები ქუდში ჩაიჩურთა, - ორი ასეული ჩემთან ერთად წამოვა მორტანისკენ. იქ შუანები არიან. თქვენც ჩემთან ერთად წამოხვალთ, - უთხრა მერლს და ჟერარს, დიდგვაროვანი გამხადონ, თუ ერთი სიტყვა მაინც მესმოდეს ამ დეპეშისა. იქნებ ჭკუა გამომელია, თუმცა, რა სხვაობაა, წინ! დასაკარგი დრო არა გვაქვს.

- მეთაურო, რა ჩიტი იყო მაგ მონადირის ჩანთაში? - ჰკითხა მერლმა და ჩექმის ცხვირით სამინისტროს კონვერტს წაჰკრა.

- ეშმაკმა დალახვროს! დიდი არაფერი, ისევ გულს აწყალებენ.

თუ სარდალს ის ჯარისკაცული გამოთქმა წამოსცდებოდა ხოლმე, რომელსაც ასე შერბილებულად გადმოგცემთ, ყველამ იცოდა, ქარიშხალი ახლოვდებოდა. ამ ფრაზის სხვადასხვა ინტონაცია კი ნახევარბრიგადისთვის გრადუსებივით იყო მეთაურის მოთმინების თერმომეტრზე და ძველი ჯარისკაცური გულწრფელობა ამ შკალაში ისე ადვილად გარკვევის საშუალებას იძლეოდა, რომ უკანასკნელმა მედოლემაც კი ზეპირად იცოდა, მისი გრიმასის ყველა ვარიაციით, როცა ლოყას აჭიმავდა და თვალებს მოჭუტავდა ხოლმე. ამჯერად, იმ ტონში, რომლითაც ეს სიტყვები ითქვა, ფარული რისხვა იგრძნობოდა და ორივე მეგობარი ჩაჩუმდა და გაფაციცდა. ნაყვავილარიც კი თითქოს უფრო ჩაღრმავდა სარდლის შავგრემან, ვაჟკაცურ სახეზე, უფრო გაუმუქდა. როცა სამკუთხა ქუდი დაიხურა, ნაწნავებჩატანებული[4] კუდივით შეკრული ხშირი თმა ერთ-ერთ ეპოლეტზე გამოედო და ისეთი ბრაზით გადაიგდო ზურგისკენ, რომ ნაწნავები გაეშალა და ულვაშები აებურძგნა, გულხელდაკრეფილი, შეკრული მუშტებით დიდხანს იდგა გაუნძრევლად. ჟერარმა ბოლოს გაბედა და ჰკითხა: - ახლა გავდივართ?

- დიახ, თუ სავაზნეები სავსეა, - კბილებში გამოსცრა მეთაურმა.

- სავსეა.

- სწორდით! ნაბიჯით იარ! - უბრძანა ჟერარმა მეთაურის ნიშანზე. მედოლეები წინ გამოვიდნენ. ჩაუდგნენ ასეულებს თავში. ბარაბნის ხმაზე ფიქრებში წასული სარდალი თითქოს გამოერკვა და ორი მეგობრის თანხლებით ისე გავიდა ქალაქიდან, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს მათთვის. მერლმა და ჟერარმა უბრად გადახედეს ერთმანეთს, თითქოს ეკითხებოდნენ, დიდხანს იქნება ასე გაბრაზებულიო? გზადაც

უთვალთვალებდნენ იულოს, რაღაცას რომ ბუტბუტებდა, რამდენჯერმე ჯარისკაცების ყურამდე მიღწეული სიტყვები წყევლა-კრულვად მოეჩვენათ, მაგრამ ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ბედავდა, რადგან, როცა საჭირო იყო, ყველა იცავდა მკაცრ დისციპლინას, რასაც მიჩვეულნი იყვნენ იტალიაში, ბონაპარტის მეთაურობით ნაბრძოლი ჯარისკაცები. მათი უმრავლესობა იულოსავით იმ სახელგანთქმული ბატალიონების დარჩენილ ნაწილს წარმოადგენდნენ, რომლებიც კაპიტულაციის მერე მაიენიდან იმ პირობით გამოუშვეს, რომ საზღვრებზე არ იბრძოლებდნენ და არმიაშიც მაიენელები შეარქვეს. ძნელი იყო ჯარისკაცებისა და მეთაურის პოვნა, ასე რომ გაუგებდნენ ერთმანეთს.

სალაშქროდ წასვლის მეორე დღეს იულო და მისი ორივე მეგობარი დილაადრიან უკვე ალანსონის გზას ადგნენ, ერთი ლიეს მანძილზე, მორტანის მახლობელ უკანასკნელ ქალაქამდე, გზის იმ ნაწილში, სარტის წყლით მორწყულ საძოვრებს რომ მიუყვება. მარცხენა მხარეს გადაჭიმულია მშვენიერი მდელოები, მარჯვნივ კი ხშირი ტყის ზოლია. მენილ-ბრუს ტყის მასივამდე და თუ მხატვრებს დავესესხები ტერმინს - კონტრასტულ ფონს ქმნის შესანიშნავი სამდინარო პეიზაჟებისთვის. გზას ნაპირებზე ღრმა თხრილები გასდევს და მიწა, რომელსაც გამუდმებით იღებენ ამ თხრილებიდან, მინდორზე მაღალ ფერდობს ქმნის, ჯოჯოთი რომ დაფარულა - ასე უწოდებენ დასავლეთ საფრანგეთში ეკლიან კურდღლისცოცხას. ეს ხშირი ბუჩქნარი ზამთარში ცხენისა და სხვა ცხოველების მშვენიერი საკვებია, ჯერჯერობით კი, სანამ ხშირი, დიდებული, მუქი მწვანე ღერები ჯერ არ მოუჭრიათ, მის უკან შუანები იმალებიან. ამიტომ ფერდობები და ჯოჯოს ბარდები, ბრეტანის სიახლოვეს რომ მოასწავებდნენ, იმხანად გზის ამ ნაწილში ძალიან სახიფათო იყო და თან ძალიან ლამაზიც. სწორედ ამ საფრთხის გამო, რაც მგზავრებს მორტანიდან ალანსონამდე და ალანსონიდან მაიენამდე ელოდათ, გამოიძახეს იულოს ექსპედიცია; აქ გაცხადდა ბოლოს და ბოლოს მისი მრისხანების მიზეზი: მოუხდა თანხლება ეტლისა, რომლის ფოსტის ცხენებიც ნელა მისდევდნენ დაღლილ ჯარისკაცებს. მორტანის გარნიზონის ორმა ასეულმა, ახლა რომ ორი შავი წერტილივით მოჩანდა შორს, ეს უსახური ეტლი თავისი ეტაპის ბოლომდე მიაცილა და უკან დაბრუნდა. ისინი იულომ შეცვალა, იმავე დავალებით, რასაც ჯარისკაცებმა

სამართლიანად შეარქვეს გულისგამაწვრილებელი პატრიოტული მოვალეობა. ძველი რესპუბლიკელის ერთი ასეული რამდენიმე ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა ეტლს, მეორე კი წინ მიუძღოდა. იულო მერლსა და ჟერარს შორის, ავანგარდიდან ეკიპაჟამდე ნახევარ გზაზე მიაბიჯებდა. უცებ იფეთქა: - ეშმაკმა დალახვროს! წარმოგიდგენიათ! გენერალმა მაიენიდან მხოლოდ იმისთვის გამოგვაგზავნა, რომ ვახლდეთ ორ ქარაფშუტა ქალს, ამ დანჯღრეული ეტლით რომ მიემგზავრებიან!

- თუმცა, ჩემო სარდალო, მოქალაქე ქალბატონის მცველთა პოზიცია რომ დავიკავეთ ამ ცოტა ხნის წინ, თქვენ მიესალმეთ და ძალიან მოხდენილადაც!

- ეჰ, თავლაფის დასხმა სწორედ ეგ არის! პარიზელი ფრანგების მითითებით, გვევალება, უდიდესი პატივისცემა გამოვიჩინოთ მათი წყეული დედაკაცების მიმართ, განა შეიძლება ასე დაამცირო ჩვენნაირი პატიოსანი და მამაცი პატრიოტები, აქციო ვიღაც ქალების ამალად. მე გზაზე პირდაპირ მივდივარ და სხვებისაც არ მიყვარს მიხვეულ-მოხვეული. როცა დავინახე, რამდენი საყვარელი ჰყავდა დანტონს და რამდენი - ბარასს, ვუთხარი: „მოქალაქენო, რესპუბლიკამ მისი მართვა იმიტომ კი არ ჩაგაბარათ, რომ ძველი რეჟიმის დროსტარება გეგრძელებინათ-მეთქი.“ ამაზე მეტყვით, რომ ქალები... ქალები ყველას ჰყავს, ყველანი ცოდვილები ვართ... მართალია. სახელოვან ვაჟკაცებს სჭირდებათ ქალები და თან კარგი ქალები. მაგრამ როცა საფრთხე ახლოვდება, რა დროს ქალებია. რისთვის მოვსპეთ ძველი სისაძაგლეები, თუკი იგივე განმეორდება? შეხედეთ პირველ კონსულს, - აი, კაცი! არავითარი ქალები, მხოლოდ საქმე. მზად ვარ, მარცხენა ულვაშზე დაგენაძლევოთ, რომ მან არ იცის, რა სულელურ საქმეს გვაკეთებინებენ აქ.

- ღმერთმანი, მეთაურო, - სიცილით უპასუხა მერლმა, - იმ ახალგაზრდა ქალის ცხვირის წვერს მოვკარი თვალი, ეტლში რომ იმალება და ვაღიარებ, ნებისმიერს მოუნდებოდა, საკუთარი ღირსების შელახვის გარეშე, ჩემსავით ეტრიალა ამ ეტლის გარშემო, რომ ნაცნობობა გაება და ცოტა ხნით მაინც დალაპარაკებოდა მოგზაურებს.

- ფრთხილად იყავი, მერლ, - უთხრა ჟერარმა, - ამ შლიაპიან გაიძვერებს ვიღაც მოქალაქე ახლავს და ეტყობა, საკმაოდ

ეშმაკია, მახეში არ გაგაბას.

- ვინ? ის კოხტაპრუწა, თვალები გზის აქეთ-იქით რომ დაურბის, თითქოს შუანები დაინახა სადმეო? ეს ფრანტი, როცა ფეხები არ უჩანს და არც ეტლის ძარის იქით ცხენი მოჩანს, გეგონება ნამცხვრიდან თავამოყოფილი იხვიაო, მაგრამ თუ ეგ ბენტერა ოდესმე ხელს შემიშლის, მოვეფერო მის ლამაზ გულწითელას...

- იხვი, გულწითელა! ეჰ, შე საწყალო მერლ, მეტისმეტად ხარ გატაცებული ფრინველებით! მაგრამ იხვს ნუ ენდობი! მისი მწვანე თვალები გველგესლასავით ვერაგული მეჩვენება და იმ ქალივით ეშმაკი, ქმარს რომ ყველაფერს აპატიებს. შუანების ნაკლებად მეშინია, ვიდრე ასეთი დამცველებისა, სიფათი ლიმონათის გრაფინს რომ მიუგავს.

- ეჰე! - მხიარულად შესძახა მერლმა, - მეთაურის ნებართვით გაბედავ! ამ ქალს თვალები ვარსკვლავებივით აქვს! რისკზე წახვალ, ოღონდ დაინახო!

- ჩვენი ამხანაგი გაება, - უთხრა ჟერარმა მეთაურს, - სისულელეებს როშავს.

იულო დაიმანჭა, მხრები აიჩეჩა და უპასუხა: - სანამ წვნიანის ჭამას დაიწყებდე, გირჩევ დაყნოსო.

- კაი ბიჭია ჩვენი მერლი, ოხუნჯი! - განაგრძო ჟერარმა, როცა შენიშნა, რომ მერლმა ფეხი შეანელა, რათა ეტლი წამოსწეოდა, - ერთადერთი კაცია, რომელსაც შეუძლია, ამხანაგის სიკვდილზეც იხუმროს და თან უგულობას ვერავინ დასწამებს.

- ნამდვილი ფრანგი ჯარისკაცი! - სერიოზულად უპასუხა იულომ.

- ოჰო, უყურეთ, ეპოლეტები გაისწორა მხრებზე, კარგად უნდა გამოაჩინოს, რომ კაპიტანია! - წამოიძახა სიცილით ჟერარმა, - ვითომ ამ საქმეში ჩინს რამე მნიშვნელობა აქვს!

ეკიპაჟით, რომელთან მიახლოებასაც მერლი ცდილობდა, მართლაც ორი ქალი მიემგზავრებოდა: ეტყობოდა, ერთი მოახლე იყო, მეორე - ქალბატონი.

- ასეთი ქალები ყოველთვის ორ-ორი დადიან, - თქვა იულომ.

პატარა, ხმელ-ხმელი, გამხდარი კაცი ხან მინავარდობდა

ცხენით, ხან უკანიდან მოუვლიდა ეტლს, მართალია, ამ საპატიო მგზავრებს ახლდა, მაგრამ მათთან დალაპარაკებული არავის დაუნახავს. ეს ქედმაღლობისა და მოწიწების დამადასტურებელი მდუმარება, უამრავი ბარგი, მისი ქუდის კოლოფები, იულო პრინცესად რომ მოიხსენიებდა, ყველაფერი, მისი კავალერი-მსახურის კოსტიუმიც კი აღიზიანებდა იულოს. უცნობის კოსტიუმი ზუსტი ნიმუში იყო იმდროინდელი მოდისა, რომელზეც „წარმოუდგენლების“[5] უამრავი კარიკატურა შეიქმნა. იფიქრებდით, ეს უცნაური, ახირებული კოსტიუმი განგებ იყო მოგონილი, რათა ბუნებრივი გრაციისთვის მოეწყოთ გამოცდა და დაემტკიცებინათ, რომ რაც უნდა სასაცილო იყოს რაიმე, მოდას შეუძლია მისი დაკანონება. მხედარი ოცდაათი წლისა გეგონებოდათ, თუმცა სულ ახლახან გახდა ოცდაორის. მის გარეგნობას შეიძლება დროსტარებამ დაასვა დაღი, შეიძლება იმ ეპოქის ხიფათებმა. მიუხედავად მასხარის სამოსელისა, გარკვეული ელეგანტურობა მაინც ეტყობოდა მის მიმოხრას, ზრდილ ადამიანს, რომ ახასიათებს. როცა კაპიტანი კარეტასთან აღმოჩნდა, ელეგანტურმა ყმაწვილმა, ეტყობა, გამოიცნო მისი განზრახვა, ვითომ მისი დახმარება უნდოდა, შეაყოვნა ცხენი, მერლი წააწყდა გაქვავებულ, უმეტყველო სახეს ადამიანისას, რომელიც მიჩვეული იყო, რევოლუციის არასტაბილურობის გამო, დაემალა ყველა გრძნობა, სულ მცირეც კი. ქალებმა ძველი სამკუთხა ქუდის გადმოკეცილი კუთხე და კაპიტნის ეპოლეტები შენიშნეს თუ არა, ანგელოზის ნაზი, წკრიალა ხმა გაისმა: - ბატონო ოფიცერო, გამოიჩინეთ სიკეთე და გვითხარით, სად ვართ?

რაღაც ამოუცნობი ხიბლი აქვს უცნობი მოგზაური ქალის მიერ დასმულ კითხვას, როცა სულ უმნიშვნელო სიტყვაც კი თითქოს მთელ თავგადასავალს მოიცავს; მაგრამ თუ ქალი, ქალური სისუსტიდან გამომდინარე, ან რამის არცოდნის გამო, რაიმენაირ მფარ-ველობას გთხოვთ, განა ნებისმიერი მამაკაცი არ შეთხზავს მაშინვე აუხდენელ ზღაპარს, რომელშიც მას ბედნიერის როლი ხვდება წილად? ამიტომაც უბრალო სიტყვებმა „ბატონო ოფიცერო“ და შეკითხვის თავაზიანმა ფორმამ გული აუჩქროლა კაპიტანს. სცადა, ქალის სახე დაენახა, მაგრამ ძალიან გაუცრუვდა იმედი, რადგან ვუალი უფარავდა ნაკვთებს. გამჭვირვალე პირბადის უკან ოდნავ გაარჩია მოელვარე თვალები, მზეზე გაბრწყინებული ორი

ონიქსივით.

- ალანსონამდე ერთი ლიეა, ქალბატონო.

- ალანსონი? უკვე? - და უცნობი ქალბატონი უსიტყვოდ უკან გადაქანდა ან, უფრო ზუსტად, ეტლის ზურგისკენ გადაიწია.

- ალანსონი, - გაიმეორა მეორე ქალმა, ეტყობა, გამოღვიძებულმა, - ისევ ნახავთ მშობლიურ მხარეს... - შეხედა კაპიტანს და გაჩუმდა. იმედგაცრუებულმა მერლმა მშვენიერი უცნობი ქალის თანამგზავრი შეათვალიერა. ასე, ოცდაექვსი წლის იქნებოდა, ქერა, ლამაზი აღნაგობის, ქორფა, მშვენიერი სახის ფერით, ასე რომ გამოარჩევს ვალონის, ბეიესა და ალანსონის მიდამოების ქალებს. მის ცისფერ თვალებში დიდი ჭკუა არა, მაგრამ მტკიცე ხასიათი და სულის სინაზე კი ჩანდა. მუქი ქსოვილის კაბა ეცვა. როგორც ნორმანდიაშია მიღებული, თმა პატარა ჩაჩის ქვეშ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე ჰქონდა აწეული, რაც მის სახეს მშვენიერ სისადავეს ანიჭებდა. მისი გარეგნობა არ გამოირჩეოდა პირობითი სალონური არისტოკრატულობით, მაგრამ არც ბუნებრივი ღირსება აკლდა თავდაჭერილი ახალგაზრდა ქალისა, რომელსაც წარსულზე თვალის გადავლება ისე შეეძლება, რომ მოსანანიებელი სრულებით არაფერი ჰქონდეს. კაპიტანმა მერლმა თვალის ერთი შევლებით გამოიცნო, რომ ეს იყო მინდვრის ყვავილი, პარიზის სათბურში გადატანილი, სადაც უამრავი დამჭკნობი სხივია თავმოყრილი, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს არც ფერების სიხასხასე და არც სოფლური გულწრფელობა. მისი გულუბრყვილო და მორიდებული გამოხედვა ღაღადებდა, რომ მოსაუბრეს არ ეძებს. მართლაც, როგორც კი ოფიცერი ეტლს გაერიდა, უცნობმა ქალებმა საუბარი გააბეს და მათი ჩურჩული ძლივს აღწევდა მის ყურამდე.

- ისე საჩქაროდ გამოემგზავრეთ, - თქვა ახალგაზრდა ქალმა, - წესიერად ჩაცმაც ვერ მოასწარით. კარგი სანახავი ხართ! თუ ალანსონის იქით მივდივართ, აუცილებლად დაგჭირდებათ გამოცვლა...

- ოჰ, ოჰ, ფრანსინ, - წამოიძახა უცნობმა.

- რას მიბრძანებთ?

- აი, უკვე მესამედ ცდილობ, გაიგო, სად და რატომ მივდივართ.

- განა რამე გითხარით, ეს საყვედური რომ დავიმსახურე?

- მშვენივრად მივხვდი შენს ხრიკებს! ახლა ისეთი გულუბრყვილო და მიამიტი აღარ ხარ, ჩემი სკოლა გაიარე და ცოტა გაეშმაკდი. პირდაპირი შეკითხვები უაზროდ მიგაჩნია და მართალიც ხარ, შვილო ჩემო. ვინმეს გამოტეხვის არსებული ხერხებიდან ეს ყველაზე სულელურია, ჩემი აზრით.

- რა გაეწყობა, - განაგრძო ფრანსინმა, - რაკი ვერაფერს გამოგაპარებთ, მაგრამ აღიარეთ, მარი, რომ თქვენი ქცევა წმინდანსაც კი დააინტერესებდა. გუშინ დილას უფულოდ იყავით, დღეს ხელები ოქროთი გაქვთ სავსე. მორტინში გაძლევენ გაძარცვულ საფოსტო კარეტას, მოკლული მეეტლის ნაცვლად - სხვას, მთავრობის ჯარი გიცავთ, გაცილებთ ადამიანი, რომელსაც თქვენს ბოროტ სულად ვთვლი.

- ვინ? კორანტენი? - იკითხა ახალგაზრდა უცნობმა ქალმა და ხელით მხედარზე მიუთითა. ეს ორი სიტყვა ისეთი ზიზღით თქვა, რომ ჟესტზეც დაეტყო, მხედარზე რომ უთითებდა. მისმინე, ფრანსინ, - განაგრძო ისევ, - გახსოვს პატრიოტი, ჩემი მაიმუნი, დანტონის გამოჯავრება რომ ვასწავლე, ასე რომ გვართობდა.

- დიახ, მადმუაზელ.

- მერე მისი გეშინოდა?

- დაბმული იყო.

- კორანტენს კი ალიკაპი აქვს.

- ვიცი, საათობით ვერთობოდით პატრიოტით, მაგრამ ბოლოს მაინც ახერხებდა, ოინი ექნა.

ამ სიტყვებზე ფრანსინი სწრაფად გადაიწია ეტლის ზურგისკენ, თავისი ქალბატონისკენ, ხელები ხელებში ჩასჭიდა, ნაზად მოეფერა და ლაქუცა ღიმილით უთხრა: - თქვენ მიმიხვდით, მარი, მაგრამ პასუხი არ გაგიციათ!.. რა მოხდა? ისეთი ნაღვლიანი იყავით, ისე შემტკიოდა გული, ო, ისე ვდარდობდი, ოცდაოთხი საათის მერე კი ასეთი გიჟური მხიარულება, როგორც მაშინ, თავის მოკვლაზე რომ ლაპარაკობდით... საიდან ასეთი ცვლილება? ცოტა მაინც ხომ მაქვს უფლება, თქვენი სულიერი მდგომარეობა ვიცოდე. ის ჯერ მე მეკუთვნის და მერე სხვას, ვინმეს, რადგან ჩემზე

მეტად არავის ეყვარებით. მითხარით, მარი...

- კარგი, ფრანსინ, ნუთუ გარშემო ვერ ხედავ ჩემი მხიარულების მიზეზს? შეხედე, იქ შორს ხეების შეყვითლებულ ჯიღებს, ხედავ, ორი ერთნაირი არ არის. დიდი მანძილიდან რომ უყურებ, გეგონება, რომელიმე სასახლის გობელენია. შეხედე ამ ცოცხალ ღობეებს, მათ უკან ყველგან შეიძლება შუანები იყვნენ ჩასაფრებული, როცა ამ ხშირ ბუჩქნარს ვუყურებ, თოფის ლულები მელანდება. რა კარგია, ჩვენ ირგვლივ ამდენი ხიფათი რომ არის, სულ უფრო და უფრო მეტი. გზის ყველა დაბურულ მონაკვეთში ველოდები, რომ სროლა ატყდება და გული სწრაფად მიწყებს ფეთქვას, მანამდე განუცდელი გრძნობა მაღელვებს და ეს არც შიშისგან თრთოლაა, არც სიამოვნების განცდა. არა, ეს სხვაა, ეს უფრო მეტია, ეს ყველა ის ემოციაა ერთად, რაც მამოძრავებს - ეს ჩემი სიცოცხლეა! როგორ არ უნდა მიხაროდეს, ცოტა რომ გამოვაცოცხლე ჩემი არსებობა.

- ოჰ, რა სასტიკი ხართ, არაფერს მეუბნებით. წმინდაო ღვთისმშობელო, - დაუმატა ფრანსინმა და ცისკენ აღაპყრო ნაღვლიანი თვალები, - გულს ვის გადაუშლის, თუ მე არაფერს მეუბნება?

- ფრანსინ, - სერიოზულად უთხრა უცნობმა ქალმა, - არ შემიძლია გაგანდო ჩემი ზრახვები. ამჯერად საშინელია.

- ბოროტება განგებ რატომ უნდა ჩაიდინო?

- რას იზამ? ხშირად ვიჭერ ჩემს თავს იმაში, რომ ისე ვფიქრობ, თითქოს ორმოცდაათი წლის ვიყო და თხუთმეტი წლის გოგოსავით კი ვიქცევი. შენ ყოველთვის ჩემი გონება იყავი, საბრალო ფრანსინ, მაგრამ ამ საქმეში სინდისი უნდა ჩავაჩუმო, - და მცირე პაუზის შემდეგ ოხვრით დაუმატა, - არ გამომდის. მაშ, როგორ გინდა, შენისთანა მკაცრ აღმსარებელს გავენდო? - და მოფერებით დაუტყაპუნა ხელზე ხელი.

- განა ოდესმე მისაყვედურია თქვენი საქციელის გამო? თქვენი ბოროტებაც კი საყვარელია. წმინდა ანა ორეელი, ამდენს რომ ვევედრები თქვენზე, ალბათ ყველაფერს შეგინდობდათ. ამ გზაზეც ხომ თქვენ გვერდით ვარ, თუმცა არ ვიცი, სად მიდიხართ? - და მხურვალედ დაუკოცნა ხელები.

- შეგიძლია დამტოვო, თუ შენი სინდისი...

- კარგი, გაჩერდით, მადამ, - და ნაწყენი სახე მიიღო, - მაგრამ, ნუთუ არ მეტყვით?

- არაფერს გეტყვი, - მტკიცედ უპასუხა ქალიშვილმა, - მაგრამ იცოდე, ეს განზრახვა უფრო მეტად მძულს, ვიდრე ის ადამიანი, დათაფლული ენით რომ ამიხსნა ეგ საქმე. გულახდილად გეტყვი, მათ სურვილს არ დავთანხმდებოდი, ამ საზიზღარ ფარსში საშინელება და სიყვარული ერთად რომ არ დამენახა, სწორედ ამან მაცდუნა. და მერე, ამ ქვეყნიდან ისე არ მინდა წასვლა, ყვავილების მოკრეფას არ ვეცადო. ახლა იმედი მაქვს, ეს მოხდება, თუნდაც ჩემი სიცოცხლის ფასად. მაგრამ არ დაგავიწყდეს, ჩემი ხსოვნის პატივსაცემად, ბედნიერი რომ ვყოფილიყავი, გილიოტინის ჩემს თავზე ჩამოსავარდნად გამზადებული მძიმე დანაც კი ვერ მაიძულებდა, ამ ტრაგედიაში როლი მქონოდა, რადგან ეს ტრაგედიაა... ახლა კი, - განაგრძო მან და უნებურად ზიზღით აიქნია ხელი, - რომ გაეუქმებინათ, იმ წამში სარტში გადავვარდებოდი და ეს თვითმკვლელობაც არ იქნებოდა, რადგან ჯერ არ მიცხოვრია.

- ოო, ორეის წმინდა ღვთისმშობელო, შეუნდე!

- რისი შეგეშინდა? ხომ იცი, უმნიშვნელო ოჯახური უბედურებები ჩემში დიდი ვნებებს არ აღძრავს. ეს ქალისთვის ცუდია, მაგრამ ჩემი სული მომწიფდა უფრო მაღალი გრძნობებისთვის და უფრო მძიმე განცდებისთვის. იქნებ მეც შენსავით თვინიერი არსება გავმხდარიყავი, უწყინარი. რატომ ავმაღლდი, თუ დავეშვი იმ დონეზე დაბლა, რაც ჩემი სქესისთვის არის განკუთვნილი? რა ბედნიერია გენერალ ბონაპარტის ცოლი! მე, ეტყობა, ახალგაზრდა მოვკვდები, რაკი არ მაშინებს ეს მხიარული გასეირნება, სადაც სისხლის სმაა მოსალოდნელი, როგორც ამბობდა საბრალო დანტონი. თუმცა დაივიწყე ყველაფერი, რაც გითხარი, ამას ორმოცდაათი წლის ბებერი ლაპარაკობდა. მადლობა ღმერთს, მალე ისევ გამოჩნდება თხუთმეტი წლის გოგო.

ახალგაზრდა სოფლელი გოგო ათრთოლდა, მხოლოდ ის იცნობდა თავისი ქალბატონის მგზნებარე და ფიცხ ხასიათს, მხოლოდ ის იცნობდა მისი მდიდარი, ეგზალტირებული სულის საიდუმლოებს, ფარულ გრძნობებს ამ არსებისას, რომელიც აქამდე მხოლოდ ხედავდა, როგორ მოუხელთებელი ჩრდილივით მილივლივებდა სიცოცხლე იქვე, ახლოს და ყოველთვის უნდოდა, დაეჭირა. ბარაქიანი ხელით უხვად

თესავდა, მაგრამ ვერაფერს იმკიდა, გული უბიწო, სუფთა რჩებოდა, მაგრამ გაღიზიანებული. მრავალჯერ ხელის მოცარვის გამო, უმეტოქეო ბრძოლაში დაღლილი, სასოწარკვეთილი იქამდე მივიდა, რომ სიკეთეს ამჯობინებდა ბოროტებას, როცა სიკეთე სიამოვნება იყო და ბოროტებას - სიკეთეს, როცა ბოროტება პოეტურ სახეს იძენდა, სიღატაკეს - საშუალო, უფერულ ცხოვრებას, როგორც უფრო ამაღლებულ რამეს და სიკვდილის ბნელით მოცულ და იდუმალ მომავალს - იმედშემოძარცვულ ან ტანჯულ სიცოცხლეს. ნაპერწკლის მომლოდინე ამდენი თოფისწამალი არასოდეს მოუგროვებიათ, სიყვარულის ალს არასდროს შთაუნთქავს ამდენი განძი, მოკლედ, ევას არც ერთი ქალიშვილი არ ყოფილა გამოძერწილი თიხისგან, სადაც ამდენი ოქრო იმალებოდა. ფრანსინი მიწიერი ანგელოზივით იცავდა ამ არსებას, ქედს იხრიდა მის წინაშე, სრულყოფილებად მიაჩნდა, ეგონა, რომ ციურ ნებას შეასრულებდა, თუ დაიცავდა ამ სულს სერაფიმთა გუნდისთვის, საიდანაც თითქოს განდევნილი იყო სიამაყის ცოდვის მოსანანიებლად.

- აი, ალანსონის სამრეკლო, - აცნობა მხედარმა და ეტლს მიუახლოვდა.

- ვხედავ, - მშრალად უპასუხა ქალბატონმა.

- კეთილი, - თქვა მხედარმა, მიუხედავად გულგატეხილობისა, მონური მორჩილებით და მოერიდა.

- მიდით, უფრო ჩქარა გააჭენეთ, - უთხრა ქალბატონმა მეეტლეს, - ახლა საშიში აღარაფერია. მიდით ჩორთით, ან თუ შეგიძლიათ, ჭენებით, უკვე ალანსონის ქვაფენილზე ვართ.

მეთაურთან ჩავლისას, ნაზი ხმით გასძახა: - ნახვამდის, მეთაურო! ფუნდუკში შევხვდებით. მოდით, მინახულეთ.

- ეგღა მაკლია! - აღშფოთდა იულო, - „ფუნდუკში! მოდით, მინახულეთ!“ როგორ ელაპარაკება ნახევარბრიგადის მეთაურს!..

და მუშტი მოუღერა ეტლს, რომელიც სწრაფად მიგრიალებდა გზაზე.

- არ გეწყინოთ, მეთაურო. თქვენი გენერლობა მაგის ხელშია, - სიცილით უთხრა კორანტენმა და თან ცხენის გაჭენებას

ცდილობდა, ეტლს რომ დასწეოდა.

- ოხ, ყველა ვიგინდარას თავს არ გავაბრიყვებინებ, - წაიბუზღუნა იულომ, - მირჩევნია, თხრილში გადავაგდო გენერლის მუნდირი, ვიდრე ლოგინში მოვიპოვო იგი. ეგ რა ჩიტები არიან და რა უნდათ? რამეს ხვდებით?

- როგორ არა! - თქვა მერლმა, - ის ვიცი, რომ არასოდეს მინახავს ასეთი ლამაზი ქალი. და ისიც მგონია, რომ ქარაგმა არ გესმით. იქნებ ეს პირველი კონსულის ცოლია?

- კარგი ერთი! პირველი კონსულის ცოლი ბებერია, ეს კი ახალგაზრდაა, - განაგრძო იულომ, - თანაც ბრძანებაში, მე რომ მივიღე მინისტრისგან, მწერენ, რომ მას ჰქვია მადმუაზელ დე ვერნეი. ეტყობა, ერთ-ერთი ყოფილია... განა მაგნაირებს არ ვიცნობ! რევოლუციამდე ყველანი მაგ ხელობას მისდევდნენ. მაშინ ნახევარბრიგადის ხელმძღვანელობა შეიძლება მიგეღო, ერთი-ორი და მორჩა, ხელის ერთი მოსმით, ექვსი მოძრაობით და ორ-სამჯერ ტკბილად თქმით: ჩემო კარგო, საყვარელო!

სანამ ჯარისკაცები მიალაჯებდნენ, დანჯღრეული კარეტა, იგივე საფოსტო ეტლი სწრაფად მივიდა სასტუმრო „სამ მავრამდე“, ალანსონის მთავარი ქუჩის შუაში. ამ უფორმო ეტლის გრიალ-ღრჭიალის გაგონებაზე, ზღურბლზე სასტუმროს მეპატრონე გამოჩნდა. ალანსონელებისთვის მოულოდნელი იყო საფოსტო ეტლის სასტუმრო „სამ მავრთან“ გაჩერება. მაგრამ საშინელმა შემთხვევამ მორტანთან ეტლი ყურადღების ცენტრში მოაქცია, იმდენი ყბაღია მოსდევდა, რომ მოგზაური ქალები, ცნობისმოყვარეებისთვის რომ აერიდებინათ თავი, უცებ შევიდნენ სამზარეულოში, რომელიც დასავლეთ საფრანგეთში ყველა ფუნდუკის წინკარს წარმოადგენს. ეტლის დათვალიერების შემდეგ მეფუნდუკე აპირებდა, მათ გაჰყოლოდა, მაგრამ მეეტლემ შეაჩერა, მკლავზე სტაცა ხელი.

- მისმინე, მოქალაქე ბრუტუს, ჩვენ მოგვდევდა ლურჯების ესკორტი. რაკი არც მეეტლეა და არც დეპეშები, ეს მოქალაქეები მე მოგიყვანე. ნამდვილად გადაგიხდიან ყოფილი პრინცესებივით, ასე რომ...

- ასე რომ ჩვენ თითო ჭიქას დავლევთ, ჩემო ბიჭო, - უპასუხა მეპატრონემ.

გამჭვარტლულ სამზარეულოში სისხლით დასვრილი მაგიდის

დანახვაზე მადმუაზელ ვერნეი ჩიტივით გაფრთხიალდა მეზობელ ოთახში, რადგან შეეშინდა სამზარეულოში ნანახისა და სუნისა და არანაკლებ ტურტლიანი მეფუნდუკისა და მისი სქელი ცოლისა, რომლებიც თვალს არ აშორებდნენ.

- როგორ მოვიქცეთ, ჩემო ცოლო? ვინ ეშმაკი იფიქრებდა, ასეთ დროს ამდენი ხალხი რომ გვეყოლებოდა? სანამ შესაფერის საუზმეს მოვამზადებთ, ამ ქალს მოთმინება დაეკარგება. გეფიცები, კარგი იდეა მომივიდა! რაკი კეთილშობილი ხალხია, შევთავაზებ, იმ ქალთან ერთად ისაუზმონ, ჩვენთან ზემოთ რომ არის, ჰა?

მეპატრონე წავიდა ახალმოსულებთან დასალაპარაკებლად, მაგრამ მხოლოდ ფრანსინი დაინახა. სამზარეულოს სიღრმეში შეიყვანა, ეზოს მხარეს, ყური რომ არავის დაეგდო და ჩუმად უთხრა: - თუ ქალბატონებს სურთ, ცალკე მივართვა საჭმელი, რაშიც ეჭვი არ მეპარება, ძალიან დახვეწილი კერძები მაქვს მომზადებული ერთი ქალბატონისა და მისი ვაჟისთვის. ისინი, დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგნი არ იქნებიან თქვენთან ერთად საუზმობისა, - დაუმატა იდუმალი გამომეტყველებით, - მაღალი წარმოშობის ხალხია.

ბოლო წინადადება დასრულებული არ ჰქონდა, მეპატრონემ ზურგზე მათრახის ტარის შეხება იგრძნო. მკვირცხლად შემობრუნდა! უკან მეზობელი პატარა ოთახიდან უხმოდ გამოსული პატარა ჯმუხი კაცი ედგა. მისმა დანახვამ სქელ ქალს, მზარეულსა და მის შეგირდს თავზარი დასცა. გაფითრებულმა მეპატრონემ თავი მიაბრუნა. პატარა კაცმა თავი გადაიქნია, თმა გადაიყარა, შუბლს და თვალებს მთლიანად რომ უფარავდა, ფეხის წვერებზე აიწია, მეფუნდუკის ყურს რომ მისწვდომოდა და უთხრა: იცით, რა ღირს გაუფრთხილებლობა, დასმენა და რა ფერია ფული, ჩვენ რომ მაგაში ვიხდით? გულუხვები ვართ.

სიტყვებს ჟესტიც დაუმატა, ამ სიტყვების მრისხანე კომენტარი. მართალია, ფრანსინს მეპატრონის ბურთივით სხეული ეფარებოდა და ვერ ხედავდა ამ პიროვნებას, მაგრამ ბრეტონულ კილოზე ნათქვამი რამდენიმე სიტყვა დაიჭირა და მეხდაცემულივით იდგა. ამ საერთო გაოგნებულობაში გამოენთო პატარა კაცისკენ, რომელიც გარეული ცხოველის სიცქვიტით უკვე ეზოში გამავალ კარში გადიოდა. ფრანსინს ეგონა, შეეშალა, საშუალო ზომის დათვისოდენა მოწითალო

შავბეწვიანი ვიღაც დაინახა მხოლოდ. გაკვირვებული ფანჯარას მივარდა და ბოლისგან გაყვითლებულ მინებს იქით საჯინიბოსკენ მიმავალი ფეხარეული უცნობი დაინახა. შესვლამდე შავი თვალები მიაპყრო სასტუმროს მეორე სართულს, მერე ეტლს ისე დააკვირდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა აღმოეჩინა და მეგობრისთვის ამბავი წაეღო. თხის ტყავებითა და თავის აქნევის მანერით, სახის დანახვის საშუალება რომ მისცა, ფრანსინმა იცნო მისი უზარმაზარი მათრახი და მიპარვით, ფეხაკრეფით, მაგრამ სწრაფად მოსიარულე შუანი, იარე-მიწაზეს მეტსახელით რომ იყო ცნობილი. დააკვირდა, მაგრამ თავლის სიბნელეში, სადაც ჩალაზე ისე დაწვა, რომ არაფერი გამოჰპარვოდა, რაც სასტუმროში მოხდებოდა, ბუნდოვნად ჩანდა. იარე-მიწაზე ის იყო მოკუნტული, რომ ყველაზე დაკვირვებული ჯაშუშიც კი ახლოდან თუ შორიდან მეფორნის მძინარე ძაღლად ჩათვლიდა, გორგალივით დახვეულს, თათებზე რომ უდევს თავი. იარე-მიწაზეს ქცევით, ფრანსინი მიხვდა, რომ ვერ იცნო. იმ დელიკატური მდგომარეობის გამო, რომელშიც მისი ქალბატონი იყო ჩავარდნილი, გოგონამ არ იცოდა, ეს უნდა გაჰხარებოდა თუ სწყენოდა. მისი ცნობისწადილი იმანაც გაამძაფრა, რომ რაღაც იდუმალი კავშირი იგრძნო შუანის მუქარასა და მეფუნდუკის ჩვეულებრივ შეთავაზებაში, რაც ასე ხშირია მედუქნეებში, ერთი ტომრიდან ორჯერ აეღო მინდი.

მოშორდა ტურტლიან ფანჯარას, საიდანაც შავ, უფორმო მასას ხედავდა, იარე-მიწაზეს ყოფნის ადგილს, მიუბრუნდა მეფუნდუკეს და მისი შემხედვარე მიხვდა, რომ იაღლიში მოუვიდა და აღარ იცოდა, როგორ გამომძვრალიყო. საბრალო, შუანის ჟესტისგან გაქვავებული იყო. დასავლეთ საფრანგეთში ყველამ მშვენივრად იცოდა, რა დახვეწილი სისასტიკით სჯიდნენ მეფის ეგერები იმ ხალხსაც კი, ზედმეტს რომ წამოაყრანტალებდნენ და მეფუნდუკე ყელზე მიბჯენილ დანას გრძნობდა უკვე. შეძრწუნებული შეჰყურებდა მოგიზგიზე კერიას, სადაც, როგორც ამბობდნენ, ფეხებს უთბობდნენ ხოლმე დამსმენებს. სქელი პატარა ქალი, ცალ ხელში დანა რომ ეჭირა და მეორეში შუაზე გაჭრილი კარტოფილი, გამოთაყვანებული შეჰყურებდა თავის ქმარს. და ბოლოს, შეგირდს ვერაფრით აეხსნა ამ უმძრახი გაშეშების მიზეზი.

ბუნებრივია, ფრანსინის ცნობისმოყვარეობა გააცხოველა ამ

მუნჯმა სცენამ, რომლის მთავარი მოქმედი პირი, მართალია, ყველამ დაინახა, მაგრამ არ ჩანდა! ახალგაზრდა ქალს მოსწონდა შუანის საშინელი გავლენა და, თუმცა ჯერ არ ჰქონდა შესისხლხორცებული მოახლე ქალების ეშმაკობები, ისე ძალიან მოუნდა, ამოეცნო ეს საიდუმლო, რომ გადაწყვიტა, ესარგებლა თავისი ხელსაყრელი უპირატესობით.

- კეთილი, ჩემი ქალბატონი თანახმაა თქვენს წინადადებაზე, - მედიდურად უთხრა მეფუნდუკეს, რომელიც ამ სიტყვებზე ახალგამოღვიძებულივით შეხტა.

- რომელზე? - ჰკითხა გულწრფელად გაკვირვებულმა.

- რომელზე? - იკითხა მოულოდნელად შემოსულმა კორანტენმა.

- რომელზე? - იკითხა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

- რომელზე? - იკითხა მეოთხე პერსონაჟმა, კიბის უკანასკნელი საფეხურიდან მსუბუქად რომ ჩამოხტა სამზარეულოში.

- რომელზე და თქვენს დიდებულ სტუმრებთან ერთად საუზმობაზე, - მოუთმენლად უპასუხა ფრანსინმა.

- დიდებულებთან? - გამქირდავად, გესლიანი დაცინვით იკითხა კიბეზე ჩამოსულმა ადამიანმა, - ეს, ჩემო კეთილო, მედუქნის უშნო ხუმრობაა. მაგრამ თუ ეს ახალგაზრდა მოქალაქე გინდა, რომ საუზმეზე დაგვეწვიოს, გიჟი უნდა იყო, უარი რომ თქვა, - განაც-ხადა და მადმუაზელ დე ვერნეის გადახედა, - რაკი დედაჩემი აქ არ არის, მე თანახმა ვარ, - და მხარზე ხელი დაჰკრა საგონებელში ჩავარდნილ მეფუნდუკეს.

სიყმაწვილის თავქარიანი გრაციოზულობით შენიღბულმა უტიფა-რი მედიდურობით ნათქვამმა ამ სიტყვებმა, ბუნებრივია, ამ სცენის ყველა მონაწილის ყურადღება მიაპყრო ამ ახალ პერსონაჟს. მეფუნდუკემ თავი პილატესავით დაიჭირა, ხელები რომ დაიბანა, ქრისტეს სიკვდილში არაფერ შუაში ვარო, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და თავის ცოლს ჩასჩურჩულა: - მოწმე ხარ, რამე უბედურება რომ მოხდეს, ჩემი ბრალი არ იქნება. და, რაც მთავარია, დაამატა კიდევ უფრო ჩუმად, ახლავე წადი და იარე-მიწაზე გააფრთხილე, ყველაფერი უთხარი.

მოგზაურს, საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა კაცს დიდი, შავი გეტრები მუხლზემოთამდე სწვდებოდა, ლურჯი სერთუკი

ეცვა, მაუდის მოკლე, მუხლამდე შარვალი, ისიც ლურჯი. ასეთი სადა, ეპოლეტების გარეშე უნიფორმა პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტებს ეცვათ. მადმუაზელ დე ვერნეიმ ამ მუქი კოსტიუმის ქვეშ თვალის ერთი შევლებით შეამჩნია მოხდენილი აღნაგობა და კიდევ, არ ვიცი რა, რაღაც, რაც მის კეთილშობილ წარმოშობას ამჟღავნებდა. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სახე მერე და მერე გხიბლავდათ, მისი ნაკვთები გაფიქრებინებდათ, მისი სული დიად საქმეებს შეეჭიდებაო. მზემოკიდებული სახე ჰქონდა, ქერა, ხვეული თმა, სხივიანი ცისფერი თვალები, თხელი ცხვირი, დახვეწილი მიმოხრა. მასში ყველაფერი გამოსჭვიოდა, ისიც, რომ მის ცხოვრებას მაღალი გრძნობები მართავდნენ და ისიც, რომ მბრძანებლობას იყო მიჩვეული, მაგრამ გარეგნობაში ყველაზე დამახასიათებელი იყო ნიკაპი, ბონაპარტისას რომ ჰგავდა და ქვედა ტუჩი, რომელიც ზედას გრაციოზულად მოხრილი, კორინთული კაპიტელის აკანთოს ფოთოლივით, ხაზით უერთდებოდა. ბუნებამ ამ ნაკვთებს მომხიბვლელი მიმზიდველობა მიანიჭა.

- რესპუბლიკელისთვის მეტისმეტად ნატიფია, - გაიფიქრა მადმუაზელ დე ვერნეიმ. ამ ყველაფრის შემჩნევას, სურვილის გაჩენას, რომ თავი მოეწონებინა მისთვის, თავის ნაზად გვერდზე გადახრას, კეკლუც გაღიმებას, ხავერდოვან მზერას, რომელიც სიყვარულისთვის კარდახშულ გულსაც გააცოცხლებს, შავი ნუშისებური თვალების მძიმე ქუთუთოებით დაბინდვას, გრძელი ხშირი წამწამებით ლოყებზე მუქი ჩრდილის მოფენას, საკუთარ ხმაში ყველაზე მელოდიური ბგერების პოვნას, რომ ბანალური ფრაზისთვის „დიდად დამავალებთ, ბატონო“ გულშიჩამწვდომი ხიბლი შეემატებინა, ყველა ამ ფანდს ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე ჩვენ - მის აღსაწერად. მერე მადმუაზელ დე ვერნეიმ მეპატრონეს მიმართა, თავისი ოთახი იკითხა, კიბე დაინახა და ფრანსინთან ერთად გაუჩინარდა, უცნობს კი თავსატეხი დაუტოვა, ეს პასუხი თანხმობა იყო თუ უარი.

კარი II - ვინ არის ეს ქალი? - მკვირცხლად ჰკითხა პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტმა გახევებულ,

გაოგნებულ მეფუნდუკეს.

- მოქალაქე დე ვერნეია, ერთ-ერთი ყოფილთაგანი, - გესლიანად უპასუხა კორანტენმა და ეჭვიანი თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა, - რაში გაინტერესებს?

უცნობმა რესპუბლიკელთა სიმღერა წაიღიღინა, ამაყად ასწია თავი და კორანტენს შეხედა. ერთხანს ახალგაზრდები მოჩხუბარი ყვინჩილებივით უყურებდნენ ერთმანეთს. ამ მზერამ სამუდამო სიძულვილი წარმოშვა მათ შორის, რამდენადაც უცნობის ცისფერი თვალები პირდაპირობას გამოხატავდნენ, იმდენადაც კორანტენის მწვანე თვალებში გაიძვერობა და ფლიდობა ჩანდა. ერთს თანდაყოლილი კეთილშობილური მანერები ჰქონდა, მეორეს - შემპარავი. ერთი ზემოთ მიილტვოდა, მეორე იდრიკებოდა. ერთი პატივისცემას აღგიძრავდათ, მეორე ცდილობდა, მოეპოვებინა. ერთი თითქოს ამბობდა: „დავიპყროთ!“ მეორე - „გავიყოთ!“

- მოქალაქე დიუ გა-სენ-სირი აქ არის? - იკითხა შემოსულმა გლეხმა.

- რაში გაინტერესებს? - ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა და წინ გამოვიდა.

- გლეხმა მდაბლად დაუკრა თავი და წერილი გადასცა, რომელიც სტუდენტმა წაკითხვისთანავე ცეცხლში შეაგდო. პასუხის ნაცვლად თავი დახარა და გლეხი წავიდა.

- ალბათ პარიზიდან ხარ, არა, მოქალაქევ? - ჰკითხა მაშინ კორანტენმა და უცნობისკენ გაემართა მოურიდებლად, თავისუფალი, პირმოთნე თავაზიანობით, რაც მოქალაქე დიუ გას აუტანლად ეჩვენა.

- დიახ, - უპასუხა მშრალად.

- და, უეჭველია, რამე ჩინი გექნება არტილერიაში?

- არა, მოქალაქევ, ფლოტში.

- აა, ბრესტში მიდიხარ? - უზრუნველი ტონით ჩაეკითხა კორანტენი, მაგრამ ახალგაზრდა მეზღვაურმა პასუხი არ მოინდომა, მსუბუქად შეტრიალდა ქუსლებზე და გააბათილა ის საამო იმედები, მისი სახის მიხედვით რომ ააგო მადმუაზელ დე ვერნეიმ. ბავშვური უზრუნველობით გადასანსლა საუზმე,

მზარეულსა და დიასახლისს გამოჰკითხა, როგორ მოამზადეთო, გაიკვირვა პროვინციული ჩვევები, როგორც საკუთარი ჯადოსნური ნიჟარიდან ამოგდებულმა ნამდვილმა პარიზელმა და გულზიზღი გამოხატა განებივრებული გოგოსავით, დაბოლოს, სრულიად არ აღმოაჩნდა ის თვისებები, როგორიც უნდა ჰქონოდა მისი მანერებისა და სახის პატრონს. კორანტენს სიბრალულით გაეღიმა, როცა დაინახა, როგორ დაიმანჭა ნორმანდიის საუკეთესო სიდრის გასინჯვისას.

- აუფ! - წამოიძახა, - ამის დალევა როგორ შეიძლება? სასმელია თუ საჭმელი? რესპუბლიკელები მართალნი არიან, რომ არ ენდობიან იმ პროვინციებს, სადაც ყურძენს კეტით აყრევინებენ და სადაც მოგზაურებს ჩუმ-ჩუმად ხოცავენ გზებზე. ეგ წამალი სუფრაზე არ დაგვიდგათ, მოგვიტანეთ კარგი ბორდო, თეთრი და წითელი, ჰო, მართლა, წადით, ნახეთ, ზემოთ ცეცხლი კარგად თუ ანთია ბუხარში. მეჩვენება, რომ ეს ხალხი ცივილიზაციას მაგრად ჩამორჩა, ეჰ, - ამოიოხრა და განაგრძო, - ერთი პარიზია ქვეყანაზე და რა დასანანია, რომ ზღვაში თან ვერ წავიღებ! აუ, შე ფინაჩო! - უთხრა მზარეულს, - ამ ქათმის ფრიკასეში ძმარი როგორ ჩაასხი, როცა ლიმონი გაქვს მანდ!..

- თქვენ კი, ქალბატონო დიასახლისო, ისეთი უხეში ზეწრები მომეცით, რომ წუხელ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

მერე სქელი ხელჯოხით დაიწყო თამაში, ბავშვური გულმოდგინებით აკეთებდა სხვადასხვა მოძრაობას, აქეთ-იქით ატრიალებდა და მეტი თუ ნაკლები გაწაფულობა, მოხერხებულობა, შესრულების ხარისხი მაჩვენებელი იყო იმისა, თუ რამდენად საპატიო წევრი იყო ახალგაზრდა კაცი „წარმოუდგენლების“ კლასში.

- ასეთი თავქარიანებით აპირებენ რესპუბლიკის ფლოტის აღორძინებას? - ეჩურჩულებოდა კორანტენი მეფუნდუკეს და თვალს არ აშორებდა.

- ეს კაცი, - ეუბნებოდა ახალგაზრდა მეზღვაური სასტუმროს დიასახლისს, - ფუშეს ჯაშუშია, სიფათზე აწერია, პოლიციიდან უნდა იყოს. დავიფიცავ, ნიკაპზე რომ ლაქა აქვს, პარიზის ტალახია. მაგრამ დამაცადე, მოვიდა სეტყვა, დახვდა...

ამ დროს სასტუმროს სამზარეულოში შემოვიდა ერთი ქალბატონი, რომლისკენაც დიდი მოჩვენებითი პატივისცემით გაექანა მეზღვაური.

- ძვირფასო დედა, მობრძანდით. თქვენი არყოფნისას სტუმრები მოვაგროვე.

- სტუმრები, რა სიგიჟეა!

- მადმუაზელ დე ვერნეია, - ჩუმად განაგრძო ვაჟმა.

- ის ეშაფოტზე დაიღუპა სავენეის საქმის შემდეგ. იგი მანში ჩამოვიდა ძმის, პრინც ლუდონის გადასარჩენად, - მკვახედ უპასუხა დედამისმა.

- ცდებით, მადამ, - რბილად შეესიტყვა კორანტენი, - ორი მადმუაზელ ვერნეი არსებობს, ძველ გვარში ყოველთვის მრავალი საგვარეულო შტოა.

ასეთი ფამილარობით გაოცებულმა უცნობმა ქალმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, თითქოს მოულოდნელი თანამოსაუბრის კარგად დასანახად: ქალებისთვის დამახასიათებელი გამჭრიახობით აღსავსე შავი თვალები მიაპყრო, ეტყობა, ფიქრობდა, რა ინტერესი აქვს, მადმუაზელ ვერნეის არსებობას ამტკიცებდესო. ამ დროს კორანტენიც მალულად აკვირდებოდა ქალბატონს, დედობის სიხარულის ვერანაირი კვალი ვერ იპოვა, მხოლოდ სიყვარულისა. ოცი წლის ვაჟის ყოლის ბედნიერებაც კი საეჭვოდ მიიჩნია ამ ქალისთვის, დამაბრმავებელი კანი რომ ჰქონდა, მორკალული, ჯერ ისევ ხშირი წარბები, ხშირი წამწამები, ასე რომ აღაფრთოვანა იგი და ხშირი, შუაზე გაყოფილი, გადატკეცილი შავი თმა, რაც ხაზს უსვამდა აზრიანი სახის ახალგაზრდობას. ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები შუბლზე განვლილი ხანგრძლივი წლების კვალი კი არ იყო, არამედ ახალგაზრდული ვნებებისა. დაბოლოს, გამგმირავი, ოდნავ დაბინდული თვალები, ძნელი სათქმელი იყო, მგზავრობით იყო დაღლილი თუ სიამოვნების მეტისმეტად ხშირი განცდით. დასასრულ, კორანტენმა შენიშნა, რომ უცნობი ქალის უსახელო, გრძელი მოსასხამი ინგლისური ქსოვილისა იყო და მისი ქუდის ფორმაც უცხო ჩანდა და არ იყო ე.წ ბერძნული ფასონისა, იმ ხანად ჯერ კიდევ დიდი მოწონებით რომ სარგებლობდა პარიზულ ტუალეტებში.

კორანტენი ხასიათით იმ ტიპის ხალხს ეკუთვნოდა, ყოველთვის ცუდს უფრო რომ ეჭვობენ, ვიდრე კარგს და მაშინვე დაეჭვდა ორივე მოგზაურის კეთილსაიმედოობაში. ქალბატონმაც, თავის მხრივ, ასეთივე სისწრაფით შეაფასა კორანტენის პერსონა, მრავალმნიშვნელოვნად შეხედა თავის

ვაჟს, რაც ზუსტად გამოიხატებოდა სიტყვებით: „ეს ახირებული ტიპი ვინ არის? ჩვენიანია?“ ამ მდუმარე შეკითხვას ახალგაზრდა მეზღვაურმა ისეთი პოზით, მზერითა და ჟესტით უპასუხა, რაც ნიშნავდა: ღმერთმანი, არაფერი ვიცი და მე თქვენზე მეტად ვარ დაეჭვებულიო. მერე ეს გამოცანა დედას შეატოვა, სასტუმროს დიასახლისს მიუბრუნდა და ყურში ჩასჩურჩულა: ერთი გამიგეთ, ეს გაიძვერა ვინ ბრძანდება. მართლა ახლავს იმ ქალს და რატომ?

- მაშ, - თქვა მადამ დიუ გამ და დაჟინებით ჩააცქერდა კორანტენს, - დარწმუნებული ხარ, რომ მადმუაზელ დე ვერნეი არსებობს?

- ისევე არსებობს, მადამ, როგორც მოქალაქე დიუ გა-სენ-სირი.

ამ პასუხში ჩამალული ირონია მშვენივრად იგრძნო უცნობმა ქალმა და მის ადგილზე ნებისმიერი ქალი უხერხულად იგრძნობდა თავს. მისმა ვაჟმა გამომცდელად შეხედა კორანტენს, მაგრამ მან გულგრილად ამოიღო საათი, თითქოს მისი პასუხით გამოწვეული შეცბუნება არც შეუმჩნევია. ქალბატონს, შეშფოთებულსა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს, ახლავე უნდოდა, გაეგო, ეს ფრაზა ვერაგობით ითქვა თუ შემთხვევით გამოუვიდა კორანტენს, და რაც შეიძლება ბუნებრივად თქვა: - ღმერთო ჩემო, რა სახიფათოა ახლა გზები! მორტანთან ახლოს შუანები დაგვესხნენ, ჩემი დაცვისას ჩემს ვაჟს ორი ტყვია მოხვდა ქუდში, კინაღამ მოკლეს.

- როგორ, მადამ, თქვენ იმ სახიფათო ეტლში ისხედით, ყაჩაღებმა რომ გაძარცვეს, მიუხედავად იმისა, რომ დაცვა ახლდა? წარმოიდგინეთ, ჩვენც იმ ეტლით ჩამოვედით! მაშ, იმ ეტლს ალბათ იცნობთ! მორტანზე გავლისას გავიგე, შუანები ორიათასამდე ყოფილან და რომ ყველა დაიღუპა, მგზავრებიც კი. ხედავთ, როგორ წერენ ისტორიას! - თავქარიანი ტონით და მოსულელო გამომეტყველებით ამ წუთში პატარა პროვანსის მაცხოვრებელს ჰგავდა, გულისტკივილით რომ იგებს, რომ ახალი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბავი მცდარი იყო.

- რას ბრძანებთ, მადამ, - განაგრძო მან, - თუ პარიზთან ახლოს ასე ხოცავენ მგზავრებს, წარმოიდგინეთ, ბრეტანის გზები რამდენად სახიფათო უნდა იყოს. ღმერთმანი, უკან, პარიზში დაბრუნება მირჩევნია, ვიდრე გზის გაგრძელება.

- მადმუაზელ დე ვერნეი ახალგაზრდა და ლამაზია? - ჰკითხა ქალბატონმა სასტუმროს დიასახლისს, - ეტყობა, უცებ რაღაც იდეა დაებადა.

პასუხის გაგონება ვერ მოასწრო, რადგან საუზმე მზად არისო, მეფუნდუკემ შეაწყვეტინა საუბარი, რომელიც სამივე მგზავრისთვის შემაწუხებელი გახდა. ახალგაზრდა მეზღვაურმა დედას ყასიდი ფამილარობით შესთავაზა ხელი, რამაც ეჭვი განუმტკიცა კორანტენს, რომელსაც კიბისკენ მიმავალმა ხმამაღლა უთხრა: - მოქალაქევ, თუ შენ მოქალაქე ვერნეის თანმხლები ხარ და თუ ის თანახმაა მეფუნდუკის წინადადებაზე, ნუ მოგერიდება...

ეს სიტყვები ცოტა აგდებულად და სწრაფად ითქვა. კორანტენი კიბისკენ გაეშურა. ახალგაზრდა მეზღვაურმა მაგრად მოუჭირა ხელი ქალბატონს და როცა პარიზელისგან შვიდი-რვა საფეხური აშორებდათ, ჩუმად უთხრა: - აი, რა უსახელო საფრთხეში გვაგდებს თქვენი გაუაზრებელი საქციელი. თუ გაიგეს, ვინ ვართ, როგორ დავიხსნათ თავი? და რა როლის თამაშს მაიძულებთ!

სამივე საკმაოდ დიდ ოთახში შევიდა. ვისაც ბევრი არ უმოგზაურია დასავლეთ საფრანგეთში, ისიც კი შეამჩნევდა, რომ მეფუნდუკეს ცდა არ დაუკლია, დიდებულად რომ მიეღო სტუმრები. მაგიდა საგანგებოდ იყო გაშლილი. ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს ოთახიდან ნესტი გაეძევებინა, სუფრა, ხელსაწმენდები, ჭურჭელი, სკამები ძალიან ჭუჭყიანი არ იყო. კორანტენი მიხვდა, რომ მეპატრონე, სტუმრებისთვის რომ ესიამოვნებინა, ტყავში ძვრებოდა (ვიხმაროთ ეს ხალხური გამოთქმა).

„ესე იგი, ეს ის ხალხი არ არის, ვინც უნდათ, რომ გვეგონოს, - გაიფიქრა მან, - ახალგაზრდა კაცი ეშმაკია. ბრიყვი მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ მოხერხებულობით არ ჩამომრჩება.“

ახალგაზრდა მეზღვაური, დედამისი და კორანტენი მადმუაზელ ვერნეის ელოდნენ, მეფუნდუკე დასაძახებლად რომ წავიდა. მშვენიერი მოგზაური ქალი არ ჩანდა. პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტმა იფიქრა, იპრანჭებაო, წამოდგა და პატრიოტული სიმღერის „გადავარჩინოთ ჩვენი სახელმწიფო“ ღიღინით გაეშურა მადმუაზელ დე ვერნეის ოთახისაკენ, დიდი სურვილით, გაემხნევებინა და წამოეყვანა.

შეიძლება თავისი ეჭვების გაფანტვაც უნდოდა, ან იქნებ თავისი ძალაუფლების გამოცდა სურდა, ყველა მამაკაცს რომ უნდოდა, ლამაზ ქალთან შეხვედრისას წარმოაჩინოს.

„- ეგ თუ რესპუბლიკელია, თანახმა ვარ, ჩამომახრჩონ! მხრებს ისე მიათამაშებს, როგორც დიდებულებს სჩვევიათ. ეგ თუ დედამისია, - გაიფიქრა და მადამ დიუ გას შეხედა, - მაშ, მე პაპი ვარ! შუანები ჩავიგდე ხელში. უნდა დადგინდეს, რომელი რანგისანი არიან?“

მალე კარი გაიღო და ოთახში მეზღვაური შემოვიდა, თვითკმაყოფილი გალანტურობით, ხელმკლავით მიიყვანა მადმუაზელ დე ვერნეი მაგიდასთან. განვლილი საათი ეშმაკს არ გაუცდენია. ფრანსინის დახმარებით, მადმუაზელ დე ვერნეი კარგად შეიარაღდა: მისი სამგზავრო კოსტიუმი ალბათ სამეჯლისო მორთულობაზე საშიში იყო. მის სისადავეს განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა, ეს ხიბლი კი შედეგი იყო დიდი ხელოვნებისა, რომლითაც ქალს, საკმაოდ ლამაზს, შეუძლია უარი თქვას მოსართავებზე და სამოსი მეორეხარისხოვნად აქციოს.

მწვანე კაბა ეცვა, უნაკლოდ შეკერილი, რომლის კოფთა, სირმით ნაქარგი, ხაზს უსვამდა მის ფორმებს, რაც ცოტა უხერხული იყო ახალგაზრდა გოგოსთვის. კარგად გამოკვეთდა მის წერწეტ წელს, ელეგანტურ კორსაჟს და გრაციოზულ მოძრაობებს.

ოთახში ღიმილით შემოვიდა, თავაზიანობით, იმ ქალებისთვის რომ არის ბუნებრივი, რომელთაც შეუძლიათ, თავი მოიწონონ პირში ფაიფურივით გამჭვირვალე ჩაწიკწიკებული კბილებით და ქორფა ლოყებზე ბავშვის ფოსოებივით ლამაზი ღრმულებით. უკვე მოეხადა ქუდი, რომელიც თითქმის მთლიანად უფარავდა სახეს ახალგაზრდა მეზღვაურის მზერისგან და ახლა არაფერი უშლიდა ხელს, გამოეყენებინა წვრილ-წვრილი და თითქმის გულუბრყვილო ეშმაკობები, რითაც ქალს თავისი სახის სილამაზისა და თავისი სინატიფის ჩვენება შეუძლია. რაღაცნაირი ჰარმონია მისი მანერებისა და ტუალეტისა, მას ისე აახალგაზრდავებდა, რომ მადამ დიუ გას ეგონა, ოცი წლისაც არ არისო. ამ სამოსის ელეგანტურობა იმისთვის იყო, ქალს რომ თავი მოეწონებინა, ახალგაზრდა კაცისთვის კი იმედი ჩაესახა; მაგრამ მადმუაზელ დე ვერნეიმ მსუბუქი თავის დაკვრით გადაუხადა მადლობა ისე, რომ არც

კი შეუხედავს და განზე გადგა ანცი უზრუნველობით, რამაც ახალგაზრდა მეზღვაურს თავგზა აუბნია. ასეთ თავდაჭერილობას გარეშე ადამიანები ვერც სიფრთხილედ ჩათვლიან და ვერც კეკლუცობად, უფრო გულგრილობას ჰგავდა, ბუნებრივს ან მოჩვენებითს. ახალგაზრდა მოგზაურმა ქალმა გულწრფელი, ალალ-მართალი გამომეტყველების მიღება შესძლო, რამაც მისი სახე უმეტყველო გახადა. არავითარი მცდელობა არ გაუმჟღავნებია, ვისიმე გული მოეგო, მაგრამ, ეტყობა, ბუნებამ დაამადლა სიყვარული, მომაჯადოებელი მანერები, რამაც მოატყუა ახალგაზრდა მეზღვაურის თავმოყვარეობა. იგი ცოტა გულდაწყვეტილი დაბრუნდა თავის ადგილზე.

მადმუაზელ დე ვერნეიმ ხელი ჩაჰკიდა ფრანსინს და ქალბატონ დიუ გას მიმართა ნაზი, ალერსიანი ხმით: - მადამ, გამოიჩინეთ სიკეთე და ნება მიეცით ამ გოგონას, უფრო ჩემს მეგობარს, ვიდრე მოახლეს, ისაუზმოს ჩვენთან ერთად. ამ ფათერაკიან, მშფოთვარე დროში ერთგულებას მხოლოდ გულით შეიძლება სამაგიერო გადაეხადოს... მხოლოდ ესღა დაგვრჩენია!

მადამ დიუ გამ ამ ჩუმად ნათქვამ ფრაზას ცერემონიული მსუბუქი რევერანსით უპასუხა, რაც ასეთ ლამაზ ქალთან შეხვედრით მის უკმაყოფილებას გამოხატავდა. მერე შვილს მიუბრუნდა და წასჩურჩულა: - ოჰო, „მშფოთვარე დრო“, მადამ, ერთგულება და მოახლე! ეს მადმუაზელ ვერნეი კი არა, ფუშეს გამოგზავნილი გოგო უნდა იყოს.

სტუმრები დასხდომას პირებდნენ, როცა მადმუაზელ დე ვერნეიმ შეამჩნია კორანტენი, ისევ დიდი გულისყურით რომ ათვალიერებდა ორივე უცნობს, რომელთაც უკვე აშფოთებდა მისი დაჟინებული მზერა.

- მოქალაქევ, - უთხრა მან კორანტენს, - შენ ალბათ იმდენად კარგად ხარ აღზრდილი, რომ კუდში დევნას არ დამიწყებ. რესპუბლიკამ ჩემი მშობლები ეშაფოტზე აიყვანა, მაგრამ სულგრძელობა არ გამოუჩენია, ჩემთვის მეურვე დაენიშნა. თუ გაუგონარი რაინდული გალანტურობით ჩემი ნებართვის გარეშე გამომყევი (აქ ცოტა ამოიოხრა), მაინც არ შემიძლია დავუშვა, რომ მფარველობამ და მზრუნველობამ, ასე გულუხვად რომ იჩენ ჩემ მიმართ, შეგაწუხოს. აქ უსაფრთხოდ ვარ, შეგიძლია მშვიდად დამტოვო.

დაჟინებით, აგდებულად, დამცინავად შეხედა. კორანტენი მიხვდა, ჩაიხშო ღიმილი, ეშმაკურად რომ უთამაშებდა ტუჩების კუთხეებში, მოწიწებით დაუკრა თავი.

- მოქალაქევ, ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იქნება შენი მორჩილება, მშვენიერება ერთადერთი დედოფალია, რომელსაც ნამდვილი რესპუბლიკელი ნებაყოფლობით ემსახურება.

როცა მადმუაზელ დე ვერნეიმ დაინახა, კორანტენი მიდისო, თვალები ისეთი გულწრფელი სიხარულით აუციმციმდა, ფრანსინს ისე მრავლისმეტყველად და ბედნიერი ღიმილით შეხედა, რომ მადამ დიუ გა, რომელიც ეჭვიანობისგან მეტისმეტად ფრთხილი გახდა, მზად იყო, გაებათილებინა ეჭვები, მადმუაზელ დე ვერნეის სრულყოფილმა სილამაზემ რომ გამოიწვია.

- იქნებ ეს მართლა მადმუაზელ დე ვერნეია? - წასჩურჩულა ვაჟს.

- მერე, დაცვა? - უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, თავმოყვარეობის შელახვამ რომ დააჭკვიანა, - ტყვეა თუ იცავენ? მთავრობის მტერია თუ მოყვარე?

მადამ დიუ გამ თვალები მოჭუტა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, მაგ საიდუმლოს ამოვხსნიო. თუმცა, კორანტენის წასვლით, ახალგაზრდა მეზღვაურის ეჭვები თითქოს გაიფანტა, სახეს კი მკაცრი გამომეტყველება ჩამოშორდა და მადმუაზელ დე ვერნეის ისეთი მზერა ესროლა, რომელიც ქალების უზომო სიყვარულს გამოხატავდა, და არა ახლადგაჩენილი გატაცების მორიდებულ სიმძაფრეს. ახალგაზრდა ქალი, უფრო წინდახედულად, მხოლოდ მადამ დიუ გას მიმართავდა ალერსიანად. მეზღვაური ჩუმ-ჩუმად ბრაზობდა და მწარე იმედგაცრუებას მალავდა, ისიც ეცადა, გულგრილობა გაეთამაშებინა. მადმუაზელ დე ვერნეი თითქოს ვერ ამჩნევდა ოინს და თავი სადად ეჭირა, თავშეკავებულად, ოღონდ არა დარცხვენილად, შეშინებულსაც არ ჰგავდა. ამ შეხვედრას, რომელიც როგორც ჩანს, ბედისწერას არ უნდოდა, მჭიდრო ნაცნობობად გადაზრდილიყო, ვერ აღეძრა ძლიერი სიმპათია ვერავის გულში. თავიდან ჩვეულებრივი უხერხულობა სუფევდა, სიმორცხვე, ყველა სიამოვნება რომ ჩაშალა, რომელსაც ერთი წუთის წინ მადმუაზელ დე ვერნეიც და ახალგაზრდა მეზღვაურიც ერთობლივი ტრაპეზისგან

მოელოდნენ. მაგრამ ქალები საზოგადოებაში ისეთ გასაოცარ ტაქტს და თავდაჭერის წესების ცოდნას ამჟღავნებენ, მათ ისე აახლოებს ურთიერთგაგება ან მღელვარების მძაფრი სურვილი, რომ მსგავს შემთხვევებში ყოველთვის შეუძლიათ ყინულის დამსხვრევა. უცებ ორივე მშვენიერ მოსაუბრეს ერთი და იგივე აზრი დაებადა, დაიწყეს უწყინარი ხუმრობა ერთადერთი კავალერის მისამართით, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პატარ-პატარა საყვარელი დაცინვების გამოგონებაში, ყურადღებისა და მზრუნველობის გამოვლინებაში. ასეთმა ერთსულოვნებამ დაძაბულობა მოხსნა. შეხედვა ან სიტყვა, რომელიც ღრმა აზრს იძენდა, შემთხვევით რომ აღმოხდებოდათ უხერხულობისგან, ახლა მნიშვნელობას კარგავდა. მოკლედ, ნახევარი საათის შემდეგ ეს ორი ქალი, საიდუმლოდ მტრები რომ იყვნენ, თითქოს ამქვეყნად საუკეთესო მეგობრებად იქცნენ. ახალგაზრდა მეზღვაურმა თავისი თავი დაიჭირა იმაში, რომ მადმუაზელ დე ვერნეის უზრუნველი არასერიოზულობა ისევე სწყვეტდა გულს, როგორც ადრინდელი თავშეკავებულობა. ძლივს იკავებდა ყრუ მრისხანებას და ნანობდა, ერთად რომ საუზმობდნენ.

- მადამ, - უთხრა მადმუაზელ დე ვერნეიმ მადამ დიუ გას, - ბატონი თქვენი ვაჟი ყოველთვის ასეთი მოწყენილია?

- მადმუაზელ, - უპასუხა სტუდენტმა, - ახლა ვფიქრობდი, რატომ გვიგზავნის ბედისწერა ბედნიერებას, თუ ერთ წამში უნდა გაქრეს. ჩემი ნაღველის საიდუმლო უდიდეს სიამოვნებაშია.

- აი, მესმის მადრიგალები, - განაგრძო ახალგაზრდა ქალმა სიცილით, - მაგრამ სამეფო კარის სუნი უფრო უდის, ვიდრე პოლიტექნიკური სკოლისა.

- მადმუაზელ, ჩემმა ვაჟმა სრულიად ბუნებრივი აზრი გამოთქვა, - თქვა მადამ დიუ გამ, რომელსაც უცნობი ქალის მოთვინიერება გადაეწყვიტა.

- აბა, გაიღიმეთ, - განაგრძო მადმუაზელ დე ვერნეიმ და გაუღიმა ყმაწვილ კაცს, - საინტერესოა, როგორი ხართ, როცა სატირლად გაქვთ საქმე, თუ ის, რისი „ბედნიერებად“ მოხსენიებაც ინებეთ, ასე გადარდიანებთ.

ამ ღიმილმა და გამომწვევმა გამოხედვამ, რამაც დაანგრია მოჩვენებით-გულუბრყვილო ჰარმონია მისი ნიღბისა,

ახალგაზრდა მეზღვაურის თამამი იმედი გამოაცოცხლა. მაგრამ მორჩილს თავისი ქალური ბუნებისას, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ქალს მეტისმეტად ბევრს ან მეტისმეტად ცოტას შეაძლებინებს, მადმუაზელ დე ვერნეის ხან თითქოს უნდოდა, ხელში ჩაეგდო ეს ყმაწვილი და სიყვარულის გულუხვი დაპირებებით მოელვარე მზერას სტყორცნიდა, ხან მის თავაზიან ფრაზებზე პასუხად მკაცრი მოკრძალებულობის სიცივეს შეაგებებდა, ჩვეულებრივი ფანდია, რითაც ქალები ჭეშმარიტ გრძნობებს ნიღბავენ. და მხოლოდ ერთადერთხელ, ერთი წამით, როცა ორივეს ეგონა, მეორეს თვალები დახრილი აქვსო, მზერით გადასცეს ერთმანეთს თავიანთი აზრები, მაგრამ იმ წამსვე ჩააქრეს ამ მზერის ელვარება, რომელმაც ორივეს გული გაუნათა და გადაუქანა. მეტი ვეღარ გაბედეს ერთმანეთისთვის შეეხედათ, დარცხვენილებმა, რომ ერთი შეხედვით ამდენი თქვეს. მადმუაზელ ვერნეიმ გადაწყვიტა, უცნობის იმედები მოეტყუებინა და გულგრილი თავაზიანობით მოუთმენლად ელოდა საუზმის დამთავრებას.

- მადმუაზელ, ალბათ ძალიან იტანჯებოდით ციხეში? - შეეკითხა მადამ დიუ გა.

- ვაგლახ, ქალბატონო, მეჩვენება, რომ ისევ იქ ვარ.

- თქვენს ესკორტს თქვენი დაცვა ევალებოდა, მადმუაზელ, თუ თქვენი თვალთვალი? რესპუბლიკისთვის ძვირფასი ხართ თუ საეჭვო?

მადმუაზელ დე ვერნეი ინსტიქტურად მიხვდა, რომ მადამ დიუ გა ცუდად იყო მის მიმართ განწყობილი და მისმა ამ კითხვებმა გააბრაზა.

- მადამ, - დანამდვილებით არ ვიცი, როგორია ჩემი დამოკიდებულება რევოლუციასთან.

- იქნებ თრთოლას იწვევს? - ირონიულად ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

- მოურიდებლად რატომ ეხებით მადმუაზელ დე ვერნეის საიდუმლოებებს?

- ო, მადამ, რა უნდა იყოს საინტერესო ახალგაზრდა გოგონას საიდუმლოებებში, ცხოვრებაში აქამდე მხოლოდ უბედურება რომ გამოუვლია.

-კი მაგრამ, - უპასუხა მადამ დიუ გამ, საუბრის გასაგრძელებლად, საიდანაც შეიძლებოდა გაეგო ის, რისი გაგებაც უნდოდა, - პირველ კონსულს, როგორც ჩანს, შესანიშნავი ზრახვები აქვს. ამბობენ, ემიგრანტების წინააღმდეგ კანონის მოქმედების შეჩერება უნდაო.

- ეგ მართალია, მადამ, - უპასუხა მადმუაზელ დე ვერნეიმ, იქნებ ცოტა ზედმეტი გულმხურვალებით, - მაგრამ მაშინ რისთვის გვინდა ამბოხება ვანდეასა და ბრეტანში? რისთვის ვაღვივებთ ხანძარს საფრანგეთში?..

ამ დიდსულოვანი სიტყვებისგან, რომლითაც თითქოს თავისთავს უფრო უსაყვედურებდა, მეზღვაური შეკრთა. ძალიან ყურადღებით შეხედა მადმუაზელ დე ვერნეის, მაგრამ მის სახეზე ვერც ზიზღი ამოიკითხა და ვერც სიყვარული. მშვენიერი ფერის უნაზესი სახე უმეტყველო იყო. დაუძლეველმა ცნობისმოყვარეობამ მიაჯაჭვა უცებ ამ უცნაურ არსებას, რომლისკენაც უკვე ეწეოდა მგზნებარე ჟინი.

- მაშ, - განაგრძო ახალგაზრდა ქალმა მცირე პაუზის შემდეგ, - მადამ, მაიენში მიდიხართ?

- დიახ, მადმუაზელ, - უპასუხა ახალგაზრდა კაცმა და თვალებში კითხვა ჩაუდგა.

- იცით, მადამ, - განაგრძო მადმუაზელ ვერნეიმ, - რაკი ბატონი თქვენი ვაჟი რესპუბლიკას ემსახურება... - თითქოს ინდიფერენტულად თქვა ეს სიტყვები, მაგრამ ისე მალულად გადახედა ორივე უცნობს, მხოლოდ ქალებმა და დიპლომატებმა რომ იციან, - შუანების უნდა გეშინოდეთ და დაცვის თანხლება ზედმეტად არ უნდა ჩათვალოთ. თითქმის თანამგზავრები ვართ, მაიენამდე ერთად წავიდეთ.

დედა-შვილი ორჭოფობდა, თითქოს თვალებით ლაპარაკობდნენ, თანხმდებოდნენ.

- მადმუაზელ, - უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, - შეიძლება ჩემი მხრივ წინდაუხედაობაა ამის თქმა, მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საქმეების გამო აუცილებელია ჩვენი ყოფნა ფუჟერის მიდამოებში და ჯერ ტრანსპორტი არ მოგვიგვარებია. მაგრამ ქალები ბუნებით ისეთი დიდსულოვანნი ხართ, რომ შემრცხვებოდა, თქვენ რომ არ გენდობოდეთ. მიუხედავად ამისა, სანამ თქვენ ხელში

ჩაგიგდებთ თავს, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, აქედან თუ შევძლებთ საღსალამათად გასვლას, თქვენი რესპუბლიკური ესკორტის დედოფალი ხართ თუ მონა? ახალგაზრდა მეზღვაურს გულახდილობა უნდა აპატიოთ, თქვენი მდგომარეობა რატომღაც არაბუნებრივად მეჩვენება...

- ჩვენ იმ პერიოდში ვცხოვრობთ, ბატონო, როცა ჩვენს თავს და ჩვენ ირგვლივ ყველაფერი არაბუნებრივია. ასე რომ, ჩემი შემოთავაზების მშვიდად მიღება შეგიძლიათ და, რაც მთავარია, - დაუმატა მან ხაზგასმით, - ღალატის ნუ შეგეშინდებათ. წინადადება გულწრფელია და თანაც ადამიანისგან, ვინც შორს არის პოლიტიკისგან.

- ასეთი მგზავრობა უსაფრთხო არ იქნება, - განაგრძო ყმაწვილმა და ისეთი ეშმაკური სინატიფით შეხედა, რომ ამ ბანალურ პასუხს აზრი მიეცა.

- კიდევ რისი გეშინიათ? - ჰკითხა ქალმა დამცინავი ღიმილით, - ვერავისთვის ვხედავ საფრთხეს.

- ნუთუ ეს იმ ქალის სიტყვებია, რომლის მზერაც იმავე სურვილს გამოხატავდა, მე რომ მწვავდა? - გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა, - როგორი ხმა აქვს! უეჭველად მახეს მიგებს!

ამ დროს ბუს მკაფიო და გამკივანი, ავისმომასწავებელივით კივილი გაისმა, თითქოს აქვე, ბუხრის საკვამურზე იჯდა.

- ეს რა არის? ცუდის ნიშანია, - თქვა მადმუაზელ დე ვერნეიმ, გზა დაგვეთარსება, - სად გაგონილა დღისით-მზისით ბუს კივილი? - შეკითხვას გაკვირვებული ჟესტიც დაურთო.

- ხანდახან ხდება ხოლმე, - ცივად უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, - მადმუაზელ, ვაითუ უბედურება მოგიტანოთ? თქვენც ეს გაიფიქრეთ, არა? მაშინ ნუ წავალთ ერთად.

ეს სიტყვები ძალიან მშვიდად და თავშეკავებულად ითქვა, რამაც მადმუაზელ დე ვერნეი გააკვირვა.

- ბატონო, - სუფთა არისტოკრატული მედიდურობით განაგრძო ქალმა, - სრულებითაც არ მინდა, ძალა დაგატანოთ. შევინარჩუნოთ თავისუფლების ნამცეცები, რესპუბლიკამ რომ დაგვიტოვა. ქალბატონი მარტო რომ იყოს, დაჟინებით მოვითხოვდი...

დერეფანში ჯარისკაცის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და მალე მეთაური იულოს კოპებშეკრული სახე გამოჩნდა.

- აქ მობრძანდით, პოლკოვნიკო, - მიიწვია ღიმილით მადმუაზელ დე ვერნეიმ და ხელით თავის გვერდით, სკამზე მიუთითა. მივხედოთ სახელმწიფო საქმეებს, რაკი საჭიროა. გაიღიმეთ! რა დაგემართათ, აქაც შუანები ხომ არ არიან!

მეთაურს პირი ღია დარჩა ახალგაზრდა უცნობის დანახვაზე და დიდი ყურადღებით დააკვირდა.

- დედა, კიდევ ხომ არ გნებავთ ცოტა კურდღლის ხორცი? მადმუაზელ, თქვენ არაფერს ჭამთ, - მიმართა მეზღვაურმა ფრანსინს, თავაზიანად მასპინძლობდა.

იულოს გაოცებასა და მადმუაზელ დე ვერნეის დაძაბულ გაფაციცებულობაში მკაცრი სერიოზულობა გამოსჭვიოდა, რის უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლებოდა, სახიფათო იყო.

- რა მოგივიდა, მეთაურო, მიცნობ? - ცოტა მკვახედ ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

- შესაძლოა, - უპასუხა რესპუბლიკელმა.

- მართლაც, მე მგონი სკოლაში მინახიხარ.

- სკოლაში არასოდეს ვყოფილვარ, - ცივად მიუგო მეთაურმა, - რომელი სკოლიდან ხარ?

- პოლიტექნიკურიდან.

- აი, თურმე საიდან! ყაზარმა, სადაც ჯარისკაცებს დორტუარებში წვრთნიან, - აღმოხდა იულოს, რომელსაც დაუძლეველი სიძულვილი ჰქონდა ამ სამეცნიერო სანერგიდან გამოსული ოფიცრების მიმართ, - მერე, სად მსახურობ?

- ფლოტში.

- რას მეუბნები! - გესლიანად გაიცინა იულომ, - ბევრი შეგხვედრია ფლოტში თქვენი სკოლელი? პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, - მკაცრად გააგრძელა, - მხოლოდ არტილერიის ოფიცრები და საინჟინრო სამხედრო ნაწილების ოფიცრები გამოდიან.

ახალგაზრდა კაცს წარბი არ შესტოკებია.

- ჩემთვის გამონაკლისი დაუშვეს ჩემი გვარის გამო. ჩვენს გვარში ყველანი მეზღვაურები იყვნენ.

- ოჰო, - გაიკვირვა იულომ, - განა რა გვარი ხარ, მოქალაქევ?

- დიუ გა სენ-სირი.

- შენ მორტანში არ მოგკლეს?

- ოჰ, კინაღამ მოკლეს, - მკვირცხლად ჩაერია მადამ დიუ გა, - ჩემს ვაჟს ორი ტყვია მოხვდა.

- საბუთები თუ გაქვს? - განაგრძო იულომ, დედას არ აცალა.

- წაკითხვა ხომ არ გნებავთ? - უტიფრად ჰკითხა ახალგაზრდა მეზღვაურმა და თავისი ცისფერი თვალებით რიგრიგობით დამცინავად შეათვალიერა მეთაურის დაღვრემილი სახე და მადმუაზელ დე ვერნეი.

- შე ცხვირმოუხოცავო, წინააღმდეგობის გაწევას ხომ არ აპირებ? ან საბუთები მაჩვენე, ან წავედით!..

- ოჰ, ოჰ, ჩემო მამაცო, არც მე ვარ გულუბრყვილო ყეყეჩი. რატომ უნდა გიპასუხო? ვინა ხარ?

- დეპარტამენტის ჯარების უფროსი, - უპასუხა იულომ.

- ოჰო, ჩემი საქმე შეიძლება ცუდად წავიდეს, იარაღით ხელში დამიჭერთ, - და ოფიცერს ჭიქით ბორდო მიაწოდა.

- არ მწყურია, - უპასუხა იულომ, - აბა, მაჩვენე შენი საბუთები.

ამ დროს ქუჩაში იარაღის ჟღარუნი და რამდენიმე ჯარისკაცის ფეხის ხმა გაისმა, იულო ფანჯარას მიუახლოვდა და სახეზე კმაყოფილება დაეწერა, რამაც შეაკრთო მადმუაზელ დე ვერნეი. თანაგრძნობის ასეთმა გამოხატულებამ გული გაუკეთა ახალგაზრდა კაცს, სახეზე კი გულგრილობა და სიამაყე გამოეხატა. კოსტიუმის ჯიბე მოიქექა, ელეგანტური საფულე ამოიღო და პოლკოვნიკს საბუთები მიაწოდა. იულომ ნელა დაიწყო კითხვა, პასპორტის მონაცემები საეჭვო მგზავრის სახეს შეადარა. ამ დროს ისევ გაისმა ბუს კივილი, მაგრამ ამჯერად ადამიანის ხმის ინტონაცია და რაკრაკი აშკარად ისმოდა. მეთაურმა დამცინავი სახით დაუბრუნა საბუთები ახალგაზრდა კაცს.

- ეს ყველაფერი კეთილი და პატიოსანი, მაგრამ განყოფილებაში მაინც უნდა გამომყვეთ. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ!

- ოლქში რატომ მიგყავთ? - ჰკითხა მადმუაზელ დე ვერნეიმ ათრთოლებული ხმით.

- ჩემო პატარა გოგო, ეს უკვე თქვენი საქმე არ არის, - უპასუხა მეთაურმა თავისი ჩვეული გრიმასით.

ტონით, მოხუცი სამხედროს სიტყვებით და უფრო იმით, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს იმ კაცის წინაშე, რომელსაც მოსწონს, აღშფოთებული მადმუაზელ დე ვერნეი ადგა, მკვეთრად მოიშორა გულუბრყვილო, გულწრფელი მოკრძალებულობის ნიღაბი, აქამდე რომ ამშვენებდა, ლოყები აუწითლდა, თვალები აუელვარდა.

- ერთი ეს მითხარით, ამ ახალგაზრდის საბუთები კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს? - ჰკითხა ჩუმად, მაგრამ ხმის კანკალით.

- ერთი შეხედვით, კი.

- მაშ ასე, ველოდები, რომ ერთი შეხედვით გაანებოთ თავი, - განაგრძო ახალგაზრდა ქალმა, - გეშინიათ, რომ გაგექცევათ? ჩემთან ერთად ესკორტით წამოიყვანეთ მაიენში. ქალბატონ დედამისთან ერთად საფოსტო ეტლით წამოვა. არ შემედავოთ, ასე მსურს. აბა?.. რას ფიქრობთ, - განაგრძო მადმუაზელ დე ვერნეიმ, იულოს უგემური გრიმასა რომ შენიშნა, - ისევ საეჭვოდ მიგაჩნიათ?

- მე მგონი კი, ცოტა.

- მერე, რა გინდათ, რომ უქნათ?

- დიდი არაფერი. შუბლს გავუგრილებთ პატარა ტყვიით მაგ ქარაფშუტას, - ირონიულად უპასუხა მეთაურმა.

- ხუმრობთ, პოლკოვნიკო? - წამოიძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

- აბა, ამხანაგო, - უთხრა მეთაურმა და თავით ანიშნა მეზღვაურს, - აბა, დაუჩქარეთ!

იულოს ამ თავხედობაზე მადმუაზელ დე ვერნეის სიმშვიდე დაუბრუნდა, გაეღიმა.

- ფეხი არ მოიცვალოთ, - უთხრა ახალგაზრდა კაცს და ღირსეული ჟესტით თითქოს მფარველობა გამოხატა.

- ოჰ, რა მშვენიერია! - წასჩურჩულა მეზღვაურმა ყურში დედამისს, რომელმაც წარბები შეჭმუხნა.

თავმოყვარეობის შელახვამ, ათასნაირმა დაუოკებელმა გაბრაზებამ პარიზელი ქალის მშვენიერ სახეს ახლებური ხიბლი შესძინა. ფრანსინი, მადამ დიუ გა და მისი ვაჟი, ყველანი წამოდგნენ. მადმუაზელ დე ვერნეი ცოცხლად ჩადგა მათსა და მომღიმარე მეთაურს შორის და მარჯვედ გაიხსნა კოფთის სირმით მოქარგული ორი ღილკილო, დაუფიქრებლად, როგორც თავმოყვარეობაშელახულ ქალებს სჩვევიათ, როცა იციან, რომ შეუძლიათ, დაუყოვნებლივ გამოხატონ საკუთარი ძალაუფლება, როგორც ბავშვს არ ჰყოფნის ხოლმე მოთმინება და ეჩქარება ახლადნაჩუქარი სათამაშოს ნახვა, კორსაჟიდან სწრაფად ამოიძრო და მეთაურს გახსნილი წერილი გადასცა.

- წაიკითხეთ, - გესლიანი ღიმილით უთხრა.

მიუბრუნდა ახალგაზრდა კაცს და ტრიუმფით მთვრალმა ეშმაკურად, სიყვარულით შეხედა. ორივეს სახე გაუნათდა, სიხარულმა აუვარდისფრა აღელვებული სახეები და ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა წამოიშალა მათ სულებში. მადამ დიუ გამ ერთი შეხედვით გამოიცნო, რომ მადმუაზელ დე ვერნეის დიდსულოვნება სიყვარულით უფრო იყო ნასაზრდოები, ვიდრე გულმოწყალებით და, ცხადია, მართალი იყო. ახალგაზრდა მოგზაური ქალი ჯერ გაწითლდა და მორცხვად დახარა თვალები, რაკი მიხვდა ქალის ფიქრებს. მერე, ამ უჩუმარი მუქარანარევი ბრალდების პასუხად, ამაყად ასწია თავი და ყველას თვალი მოავლო. გაოგნებულმა მეთაურმა დაუბრუნა მინისტრების მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყველა ხელისუფალი უნდა დამორჩილებოდა ამ იდუმალი პიროვნების ბრძანებებს. მერე ქარქაშიდან ამოიღო ხმალი, მუხლზე გადაიმტვრია და ნატეხები მიუყარა.

- მადმუაზელ, თქვენ ალბათ კარგად იცით, რაც გასაკეთებელი გაქვთ, მაგრამ რესპუბლიკელს თავისი მოსაზრებები და სიამაყე გააჩნია. მე ვერ ვიმსახურებ იქ, სადაც ლამაზი გოგოები მბრძა-ნებლობენ. პირველ კონსულს დღესვე ექნება ჩემი თადარიგში გასვლის რაპორტი და ვისაც უნდა,

დაგემორჩილოთ, ოღონდ არა იულო. როცა ჩემთვის გაუგებარია რაიმე, ვჩერდები, თუ, მითუმეტეს ისეთი რამაა, რაც უნდა მესმოდეს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ახალგაზრდა პარიზელმა ქალმა დაარღვია, მიუახლოვდა იულოს და ხელი გაუწოდა: - პოლკოვნიკო, მართალია, წვერი გაქვთ მოშვებული, მაგრამ მაინც შეგიძლიათ მაკოცოთ. კაცი ყოფილხართ.

- და მე მაგით ვამაყობ, მადმუაზელ, - და საკმაოდ მოუქნელად ეამბორა ხელზე ამ უცნაურ გოგოს, - შენ კი, ამხანაგო, მუქარით დაუქნია თითი ახალგაზრდა კაცს, დიდ შარს გადარჩი.

- მეთაურო, - სიცილით უპასუხა მეზღვაურმა, - გვეყოფა ხუმრობა. თუ გინდა, შენთან ერთად წამოვალ ოლქში.

კარი III - იქ შენს უხილავ სტვენიასთან ერთად წამოხვალ? იარე-მიწაზე...

- ვინ? იარე-მიწაზე?.. - წრფელი გაკვირვებით იკითხა მეზღვაურმა.

- ამ წუთში არ უსტვენდა განა ვიღაც?

- მერე რა? ამ სტვენას ჩემთან რა კავშირი აქვს? გეკითხები! მე მეგონა, ჩემს დასაჭერად დაბარებული ჯარისკაცები იყვნენ, გატყობინებდნენ, მოვედითო.

- ასე გეგონა? მართლა?

- აბა, ღმერთმანი, მართლა! დალიე, რაღა შენი ბორდო. შესანიშნავია.

მეზღვაურის გულწრფელმა გაკვირვებამ, მისი მანერების წარმოუდგენელმა სილაღემ, ძალდაუტანებლობამ, მისმა ნორჩმა სახემ, ბავშვურივით რომ ჩანდა ოქროსფერ, დახუჭუჭებულ კულულებს შორის, მეთაურს უამრავი ეჭვი აღუძრა, შეამჩნია, მადამ დიუ გა ცდილობდა, ამოეცნო, მისი ვაჟის მზერაში რა საიდუმლო იმალებოდა, როცა მადმუაზელ

დე ვერნეის უყურებდა და უცებ ჰკითხა: - თქვენი ასაკი, მოქალაქე!

- ოჰ, ბატონო ოფიცერო, რა სასტიკი გახდა ჩვენი რესპუბლიკის კანონები! ოცდათერთმეტი წლის გახლავართ.

- ვერ დავიჯერებ, თუნდაც დამხვრიტონ! იარე-მიწაზე სადღაც აქ არის, ის კიოდა ბუსავით. თქვენ გადაცმული შუანები ხართ. ეშმაკმა დამლახვროს! ვუბრძანებ სასტუმროს ალყა შემოარტყან და გაჩხრიკონ!

უცებ სასტუმროს ეზოში გაისმა წყვეტილი სტვენა, მსგავსი იმისა, ცოტა ხნის წინ რომ გაიგეს და მეთაურს სიტყვა გააწყვეტინა. იულო დერეფნისკენ გაეშურა და, საბედნიეროდ, ვერ შენიშნა, როგორ გაფითრდა მადამ დიუ გა მისი მუქარის გაგონებაზე. იულომ დაინახა, მეეტლე უსტვენდა, ცხენს რომ აბამდა ეტლში, ეჭვები გაეფანტა, იმდენად შეუძლებლად მოეჩვენა, რომ შუანებს გაებედათ საქმიანობა შუა ალანსონში და დარცხვენილივით შებრუნდა ოთახში.

- ვაპატიებ, მაგრამ მერე ძვირი დაუჯდება ასეთი ნერვიულობა რომ შეგვახვედრა, - პირქუშად უჩურჩულა დედამ თავის ვაჟს იმ დროს, იულო ოთახში რომ შედიოდა. გულად ოფიცერს შეცბუნებულ სახეზე ეტყობოდა, როგორი მძაფრი ბრძოლა იყო მის გულში, მისი მოვალეობის სიმკაცრესა და ბუნებრივ სიკეთეს შორის. ჯერ კიდევ იბღვირებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ შეცდა, მაინც აიღო ბორდოს ჭიქა და უთხრა: - ამხანაგო, მაპატიე, მაგრამ შენი სკოლა არმიაში ისეთ ახალგაზრდა ოფიცრებს აგზავნის...

- ყაჩაღებს რა, კიდევ უფრო ახალგაზრდები ჰყავთ? - სიცილით ჰკითხა ვითომ მეზღვაურმა.

- ჩემი ვაჟი ვინ გეგონათ? - ჩაერია მადამ დიუ გა.

- ვაჟკაცი, ლონდონის კაბინეტმა რომ გაუგზავნა შუანებსა და ვანდეელებს და მარკიზ დე მონტორანს რომ ეძახიან.

მეთაურმა ყურადღებით, გამომცდელად შეხედა ორივე საეჭვო მოგზაურს, მაგრამ მათ ისეთი ფიზიონომია ჰქონდათ, ქედმაღალ უვიცებს რომ ახასიათებთ და შემდეგ დიალოგს რომ უნდა ნიშნავდეს: - შენ გესმის, რაშია საქმე? - არა, და შენ? - წარმოდგენა არა მაქვს. - ნეტავ რაზე გველაპარაკება? - ბოდავს.

მერე ეს დამცინავი და შეურაცხმყოფელი სიცილი ბრიყვებისა, რომ ჰგონიათ, გაიმარჯვეს!

როგორ უცებ შეეცვალა სახე და თითქოს გაუქვავდაო მარი დე ვერნეის, როიალისტი გენერლის გვარის გაგონებაზე, მხოლოდ ფრანსინმა შეამჩნია, ერთადერთმა, რომლისთვისაც ნაცნობი იყო ამ ახალგაზრდა სახის მოუხელთებელი ნიუანსებიც. საგონებელში ჩავარდნილმა პოლკოვნიკმა შეფიქრიანებულმა აიღო თავისი ხმლის ორი ნატეხი, შეხედა მადმუაზელ დე ვერნეის, გაახსენდა, როგორ აუჩუყა გული თავისი გულმხურვალებით, უთხრა: - თქვენთან დაკავშირებით კი, მადმუაზელ, მე ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვს. ჩემი ხმლის ნატეხები ხვალვე ბონაპარტთან იქნება, თუ...

- ეე! რაში მაინტერესებს ბონაპარტი, თქვენი რესპუბლიკა, შუანები, მეფე და ვაჟკაცი! - წამოიძახა ქალმა, ძლივს რომ იკავებდა ცუდი ტონის აპილპილებას.

რაღაც იდუმალი ახირება და ჟინი უნათებდა სახეს და ეტყობოდა, ამ ახალგაზრდა ქალისთვის მთელი მსოფლიო არაფერი იყო მას შემდეგ, რაც მასში ერთადერთი არსება გამოარჩია. მაგრამ უცებ ისევ დაიბრუნა იძულებითი სიმშვიდე, რადგან დიდი აქტიორივით შეამჩნია, რომ ყველა მაყურებელი მას უცქერს. პოლკოვნიკი წამოხტა. შეშფოთებული და აღელვებული მადმუაზელ დე ვერნეი გამოეკიდა, შეაჩერა დერეფანში და საზეიმო ტონით ჰკითხა: - მითხარით, სერიოზული საფუძველი გქონდათ დაეჭვებულიყავით, რომ ეს ახალგაზრდა კაცი „ვაჟკაცია“?

- ეშმაკმა წამიღოს! მადმუაზელ, ის ქვეითი ჯარისკაცი, თქვენ რომ გახლდათ, მოვიდა და გამაფრთხილა, რომ მგზავრები და კურიერი გაანადგურეს შუანებმა, ეგ ისედაც ვიცოდი, აი, ის კი არ ვიცოდი, რა გვარები იყვნენ დახოცილები. მათი გვარია დიუ გა სენ-სირი!

- თუ მაგ საქმეში კორანტენია გარეული, აღარაფერი გამიკვირდება! - ზიზღით წამოიძახა ქალმა.

პოლკოვნიკი გაერიდა ისე, რომ შეხედვა ვერ გაბედა, რადგან მადმუაზელ დე ვერნეის საშიში სილამაზე უკვე უფორიაქებდა გულს.

- კიდევ ორ წუთს რომ დავრჩენილიყავი, სისულელეს

ჩავიდენდი, ავიღებდი ჩემს ხმალს და მცველად გავყვებოდი, - ფიქრობდა იულო კიბეზე ჩასვლისას.

როცა დაინახა, რომ ახალგაზრდა კაცი თვალს არ აცილებდა კარს, რომელსაც მადმუაზელ დე ვერნეი მიეფარა, მადამ დიუ გამ ყურში უთხრა: - არ იცვლებით! ქალები დაგღუპავენ! თოჯინასავით ქალი ყველაფერს გავიწყებთ, რატომ დაიჟინეთ, რომ ჩვენთან ერთად ესაუზმა, ეგ რანაირი მადამ დე ვერნეია, უცხო ხალხთან საუზმობას რომ თანხმდება, ლურჯების ესკორტი აცილებს და ამ ესკორტს სპენსერის უბიდან სასიყვარულო ბარათივით ამოღებული წერილით განაიარაღებს? ის ერთ-ერთი იმ საზიზღარი არსებათაგანია, რომლის დახმარებითაც ფუშეს თქვენი ხელში ჩაგდება უნდა, წე-რილი კი ლურჯების თქვენ წინააღმდეგ ასამხედრებლად ჰქონდა.

- ეჰ, მადამ, - უპასუხა ახალგაზრდა კაცმა ისეთი გამქირდავი ტონით, რომ ქალბატონს გულში მოხვდა და გაფითრდა, - თქვენს ვარაუდს აბათილებს მისი დიდსულოვნება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მხოლოდ მეფის ინტერესები გვაერთიანებს. მას შემდეგ, რაც შარეტი თქვენს ფეხებთან იხილეთ, განა სამყარო არ დაცარიელდა თქვენთვის? თქვენს არსებობას განა მასზე შურისძიების გარდა სხვა აზრი აქვს?

ჩაფიქრებული ქალი იმ კაცივით იდგა, ნაპირიდან რომ გასცქერის, როგორ იძირება ზღვაში მისი განძი და დაკარგული ქონების ფლობის სურვილი უმძაფრდება. მადმუაზელ დე ვერნეი დაბრუნდა, მეზღვაურმა და მან ერთმანეთს გაუცინეს. სახეზე ორივეს ოდნავ დამცინავი ღიმილი ეფინა. რაც უნდა ბუნდოვნად სჩვენებოდათ მომავალი, რაც უნდა ეფემერული ყოფილიყო მათი კავშირის იმედი, დაპირებები მაინც სინაზითა და სიხარულით აღავსებდათ. ეს წამიერი შეხედვა არ გამოჰპარვია მადამ დიუ გას ჩასაფრებულ თვალს, მიხვდა ყველაფერს, შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა. მისმა ფიზიონომიამ ვერ დაფარა ეჭვიანი ფიქრები.ფრანსინი თვალს არ აშორებდა ამ ქალს. დაინახა, როგორ გაუკრთა თვალებში ელვა, ლოყები წამოენთო. მოეჩვენა, რომ წამით სახეზე ჯოჯოხეთური მრისხანება გამოეხატა საშინელი ელდისგან. ამ გამომეტყველებამ ელვის უსწრაფესად, უეცარ სიკვდილზე უფრო ჩქარა გადაურბინა. მადამ დიუ გამ ისეთი მხიარული და თავდაჯერებული იერი მიიღო, ფრანსინს ეგონა, ყველაფერი

მომეჩვენაო. ამ ქალში ამოიცნო ბობოქარი ბუნება, უფრო მეტი თუ არა, არანაკლები, ვიდრე მადმუაზელ დე ვერნეისა, შეაჟრჟოლა, როცა წარმოიდგინა როგორი საშინელი შეჯახება შეიძლება მომხდარიყო ორ ასეთ ადამიანს შორის. გული გადაუქანდა, როცა დაინახა, რომ მადმუაზელ დე ვერნეი ახალგაზრდა ოფიცერს მიუახლოვდა, ხელები ხელებში ჩაავლო, მიიზიდა, სინათლისკენ შეატრიალა და ეშმაკური სიკეკლუცით უთხრა: - ახლა გულახდილად მითხარით, - და თან თვალი თვალში გაუყარა, - რა, თქვენ არ ხართ მოქალაქე დიუ გა სენ-სირი?

- გახლავართ, მადმუაზელ.

- მაგრამ ის და დედამისი გუშინწინ დახოცეს.

- ძალიან ვწუხვარ, - უპასუხა სიცილით, - ასე თუ ისე, თქვენგან ძალიან დავალებული ვარ. სამუდამოდ თქვენი მადლიერი ვიქნები და გამიხარდება, თუ ამის დამტკიცების საშუალება მომეცემა.

- მეგონა, ემიგრანტი გადავარჩინე, მაგრამ მიხარია, რომ რესპუბლიკელი აღმოჩნდით, - ამ სიტყვებზე, თითქოს უნებურად რომ წამოსცდა, დაიმორცხვა, ალმური მოედო და მთელ მის გარეგნობაში მომაჯადოებელი გულუბრყვილობა გამოჩნდა. სათუთად გაუშვა ხელები ოფიცერს, იმიტომ კი არა, რომ შერცხვა, მისი ხელები რომ ეჭირა, არა, რაღაც მძიმე საფიქრალის გამო, გულზე რომ აწვა და გაერიდა იმედისგან მთვრალს. მაგრამ უცებ, თითქოს თავის თავზე გაჯავრდა ასეთი სითამამისთვის, რაც მოგზაურობისას იქნებ დასაშვებიც კია, ისევ მედიდური, ყალბი სახე მიიღო, თვალი დაუკრა ორივე თანამგზავრს და ფრანსინთან ერთად თვალს მიეფარა. როგორც კი ოთახში შევიდნენ, ფრანსინმა გადააჭდო თითები, ხელები გაჭიმა, ხელისგულები გადააბრუნა და თავის ქალბატონს შეხედა: ოჰ, მარი, რამდენი რამ მოხდა ასე ცოტა ხანში! მხოლოდ თქვენ შეიძლება ეს გადაგხდენოდათ!

მადმუაზელ დე ვერნეი კისერზე ჩამოეკიდა ფრანსინს.

- აი, ეს არის სიცოცხლე! მეცხრე ცაზე ვარ!

- ან იქნებ ჯოჯოხეთში! - შეეპასუხა ფრანსინი.

- თუნდაც ჯოჯოხეთში! - მხიარულად შესძახა მადმუაზელ დე

ვერნეიმ. - ცეცხლი მიკიდია. ხელი მომეცი, ნახე, როგორ მიცემს გული. რაში მენაღვლება ახლა მთელი მსოფლიო! ოცნებებში რამდენჯერ მინახავს ეს კაცი. ნახე, რა ლამაზია, როგორ უელავს თვალები.

- ეყვარებით კი? - ჩამქრალი ხმით ჰკითხა გულუბრყვილო გლეხის გოგომ და სახე მოეღრუბლა.

- მაგას შენ მეკითხები? - დაუბრუნა კითხვა მადმუაზელ დე ვერნეიმ, ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით, - განა ასე ძნელია?

- კი მაგრამ, სულ მუდამ ეყვარებით?

ერთ წამს დაბნეულებივით უყურებდნენ ერთმანეთს, ფრანსინი გაკვირვებული თავისი გამოცდილებით, მარი კი იმით, რომ პირველად დაინახა სიყვარულში ბედნიერი მომავალი, თითქოს უფსკრულის პირად იდგა და უდარდელად ჩაგდებული ქვის დაცემის ხმით სიღრმის გამოცნობა უნდოდა.

- ეგ უკვე ჩემზეა დამოკიდებული! - აზარტული მოთამაშის ტონით უპასუხა, - არასოდეს შემეცოდება მიტოვებული ქალი. ასე თუ მოხდა, მისი ბრალია. თუ მამაკაცის გული ჩემი იქნება, ცოცხალს თუ მკვდარს ყოველთვის შევინარჩუნებ, - კი მაგრამ, ფრანსინ, საიდან გაქვს ასეთი გამოცდილება?..

- მადმუაზელ, - სწრაფად უპასუხა გლეხის ქალმა, - დერეფანში ფეხის ხმა მესმის.

ქალმა ყური მიუგდო.

- ეს ის არ არის, ჩემს კითხვას ასე პასუხობ? ან შენს პასუხს დაველოდები, ან გამოვიცნობ.

ფრანსინი მართალი აღმოჩნდა. კარზე სამჯერ დაკაკუნებამ საუბარი შეაწყვეტინათ. მას შემდეგ, რაც მადმუაზელ დე ვერნეიმ შესვლის ნება მისცა, გამოჩნდა კაპიტანი მერლი.

სამხედრო წესით მისალმების შემდეგ გაბედა და შეხედა. მისი მშვენიერებით დაბრმავებულმა სხვა ვერაფერი მოახერხა და უთხრა: - თქვენს განკარგულებაში მიგულეთ, მადმუაზელ.

- მაშ, ახლა თქვენ ხართ ჩემი დამცველი? თქვენი ნახევარ-ბრიგადის პოლკოვნიკი თადარიგში გავიდა? თქვენ ნაწილს ასე არ ჰქვია?

- ჩემი ზემდეგი მაიორი ჟერარია, მან გამომგზავნა.

- ესე იგი, თქვენს სარდალს ჩემი ძალიან ეშინია?

- ბოდიშს გიხდით, მადმუაზელ, იულოს არ ეშინია, უბრალოდ, ქალები მისი საქმე არ არის, არ...

- აღიზიანებს ჩაჩიანი გენერლის ხელქვეითობა.

- მიუხედავად იმისა, რომ მისი მოვალეობაა, ჩინით უფროსს დაემორჩილოს. გაფრთხილებთ, მიყვარს სუბორდინაცია და არ მინდა, ვინმე მეწინააღმდეგებოდეს.

- ეგ ძნელი უნდა იყოს.

- მოვითათბიროთ, - განაგრძო მადმუაზელ დე ვერნეიმ, - თქვენ აქ დასვენებული ჯარი გყავთ. აქედან გამაცილებთ მაიენში, სადაც შეიძლება ამ საღამოს წავიდე. მაიენში იქნება ახალი ნაწილი, გზა რომ შეუსვენებლად გავაგრძელოთ? შუანებმა ჩვენი პატარა ექსპედიციის შესახებ არაფერი იციან. მეეჭვება, ღამე მგზავრობისას იმდენნი შეგვხვდნენ, რომ შეტევა გაბედონ. აბა, როგორ გგონიათ, ასე შესაძლებელია?

- დიახ, მადმუაზელ.

- როგორია გზა მაიენიდან ფუჟერამდე?

- ძნელი, სულ აღმართ-დაღმართებია, ნამდვილი ციყვების ქვეყანაა.

- წავიდეთ, წავიდეთ და რადგან ალანსონიდან გასვლისას სახიფათო არაფერია, წადით და დაგეწევით.

- ერთი ამას დამიხედეთ, გეგონებათ, ათი წელია, ოფიცრის ჩინი ჰქონდეს, - გაიფიქრა მერლმა ოთახიდან გასვლისას, - იულო ცდება. ეს ის ქალი არ უნდა იყოს, რენტას დოშაქიდან აუდგომლად იღებდეს. ჯანდაბა! ჯანდაბა, თუ კაპიტან მერლს მაიორობა უნდა, მთავარანგელოზი მიქაელი ეშმაკში არ უნდა აერიოს.

მადმუაზელ დე ვერნეის თათბირის დროს ფრანსინი დერეფნის ფანჯარასთან მივიდა, ეზოს იმ კუთხის დასაზვერად, სასტუმროში მისვლის წუთიდან დაუძლეველი ცნობისმოყვარეობა რომ ეწეოდა. თავლაში ჩალას ისეთი დაძაბული გულისყურით შესცქეროდა, იტყოდით,

ღვთისმშობლის წინაშე ლოცულობსო. მალე შეამჩნია, მადამ დიუ გა იარე-მიწაზესკენ ისე ფრთხილად, ფეხაკრეფით მიდიოდა, გეგონებათ, კატაა, თითების დასველებას ერიდებაო. ქალბატონის დანახვაზე შუანი წამოდგა და უდიდესი მოწიწებით გაჩერდა მის წინ. ამ უცნაურმა ამბავმა ფრანსინის ცნობისმოყვარეობა გაამძაფრა. გავარდა ეზოში, გასრიალდა კედლის გასწვრივ, მადამ დიუ გას რომ არ დაენახა და სცადა, თავლის კარს უკან დამალულიყო. სუნთქვაშეკრული ფეხისწვერებზე დადიოდა, ოდნავი ხმაური რომ არ გამოეწვია. სულ ახლოს მოახერხა იარე-მიწაზესთან მისვლა ისე, რომ მისი ყურადღება არ მიუპყრია.

- და თუ ყველა შეკრებილი ცნობით, ეს მისი სახელი არ არის, - ეუბნებოდა უცნობი ქალბატონი შუანს, - შეუბრალებლად ესვრი ცოფიანი ძაღლივით.

- შევთანხმდით.

ქალბატონი წავიდა. შუანმა თავი მოიფხანა, ისევ დაიხურა შალის წითელი ჩაჩი, ცოტა ხანს დაბნეული იდგა. უცებ, რაღაც ჯადოქრობით, ფრანსინი გამოეცხადა.

- წმინდაო ანა ორეელო! - მათრახი ხელიდან გაუვარდა. ხელები შეატყუპა, ექსტაზში ჩავარდა, გაირინდა. ტლანქი სახე აელანძა, თვალები ტალახში ჩაფლული ბრილიანტებივით გაუბრწყინდა.

- ნუთუ ეს კოტენის გოგოა! - ისე ჩუმად ჩაილაპარაკა, მხოლოდ თვითონ თუ გაიგებდა, - რა რიგიანი ხართ! - განაგრძო მცირე პაუზის მერე.

ეს უცნაური სიტყვა - რიგიანი - ამ მხარეში აღმატებული ფორმაა. შეყვარებულები სილამაზეს და კარგად ჩაცმულობას რომ აერთიანებენ.

- ხელის შეხებასაც კი ვერ გაგიბედავთ, - დაუმატა იარე-მიწაზემ და მაინც გაიწოდა ტორი ფრანსინისკენ, თითქოს ყელზე ჩამოკიდებული ოქროს ჯაჭვის წონა უნდა ენახა.

- კარგადაც მოიქცევით, პიერ! - იმ ქალური ინსტინქტით შთაგონებულმა, ქალს, თუ დამონებული არ არის, დესპოტად რომ აქცევს, მედიდურად დაიხია ერთი ნაბიჯით, ნაზი, ალერსიანი მზერით ცოტა შეარბილა თავისი სიტყვები, დატკბა შუანის უხერხულობით და ისევ მუახლოვდა.

- პიერ, ის ქალბატონი იმ ახალგაზრდა ქალზე გელაპარაკა, მე რომ ვემსახურები, არა?

იარე-მიწაზე უჩუმრად იდგა და მის სახეზე თითქოს გარიჟრაჟივით ებრძოდა ერთმანეთს ბნელი ნათელს. ჯერ ფრანსინს შეხედა, მერე სქელ მათრახს, ხელიდან რომ ჩამოუვარდა, ოქროს ჯაჭვს, რომელიც, ეტყობოდა, ისევე ნუსხავდა, როგორც ახალგაზრდა ბრეტონელი. მერე, თითქოს ამით თავის შფოთვას ბოლოს მოუღებდა, მათრახი აიღო, ხმა კი არ ამოუღია.

- ძნელი მისახვედრი სულაც არ არის, რომ იმ ქალმა ჩემი ქალბატონის მოკვლა გიბრძანა, - ფრანსინმა იცოდა შუანის უსიტყვო ერთგულება და უნდოდა, მისი ყოყმანისთვის ბოლო მოეღო.

იარე-მიწაზემ მრავალმნიშვნელოვნად დახარა თავი. კოტენის გოგოსთვის ეს პასუხი იყო.

- მაშ, ასე, პიერ, თუ ოდნავ მაინც რამე შეემთხვევა, ერთი თმაც რომ ჩამოუვარდეს თავიდან, ჩვენი ეს შეხვედრა უკანასკნელი იქნება, სამუდამოდ დავშორდებით, რადგან მე სამოთხეში ვიქნები, შენ კი - ჯოჯოხეთში.

ეკლესია რომ განდევნის შეპყრობილთაგან ბოროტ სულს დიდის ამბით, თითქმის ისევე იყო აფორიაქებული იარე-მიწაზე ამ წინასწარმეტყველებით, რადგან ღრმა რწმენა მას უცილობლად მიაჩნევინებდა. მისი მზერა, ჯერ ველური სინაზით აღსავსე, მერე ფანატიზმით დათრგუნული, საყვარელზე არანაკლებ მომთხოვნი რომ იყო, უცებ მძვინვარე გახდა, როცა შუანმა შენიშნა მბრძა-ნებლური იერი იმ უმანკო, გულუბრყვილო სატრფოსი, ოდესღაც რომ აირჩია. შუანის სიჩუმე ფრანსინმა სხვაგვარად ახსნა.

- მაშ, ჩემთვის არაფრის გაკეთება არ გინდა? - საყვედურიანი ტონით ჰკითხა. ამ სიტყვებზე შუანმა ყორნისფერი თვალები მიანათა.

- თავისუფალი ხარ? - წაიბუზღუნა მარტო ფრანსინის გასაგონად.

- ასე რომ არ იყოს, აქ ვიქნებოდი? - მიუგო შეურაცხყოფილმა ფრანსინმა, - მაგრამ შენ? შენ აქ რას აკეთებ? ისევ შუანებს

შეეკარი? გზებზე სიკვდილის მაძებარი ცოფიანი ცხოველივით დაძრწი. პიერ, ჭკუა რომ გქონდეს, ჩემთან ერთად წამოხვიდოდი. ეს ლამაზი გოგო, შემიძლია გაგანდო, ჩვენთან ცხოვრობდა წინათ, ახლა ჩემზე ზრუნავს, ორასი ლივრი ნაღდი რენტა მაქვს. ამას გარდა, მადმუაზელმა ხუთას ეკიუდ მიჰყიდა ბიძაჩემ ტომასს დიდი სახლი და მეც ორი ათასი ლივრი მოვაგროვე.

ვერც მისმა ღიმილმა და ვერც ჩამოთვლილმა ქონებამ გული ვერ მოულბო იარე-მიწაზეს, ისეთივე უმეტყველო, გაქვავებული სახე ჰქონდა.

- რექტორებმა თქვეს, ომში ჩავბმულიყავით, ყოველი მოკლული ლურჯი ერთი ინდულგენციაა.

- ლურჯებმა რომ მოგკლან?

მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა და უმწეოდ გაშალა მკლავები, თითქოს ასეთი მსხვერპლი ეცოტავებოდა ღმერთისა და მეფისთვის.

- მე რაღა მეშველება? - უთხრა გულდათუთქულმა ახალგაზრდა ქალმა.

იარე-მიწაზემ გაოგნებულმა შეხედა ფრანსინს, თვალები თითქოს გაუფართოვდა, ორი დიდი ცრემლი ჩამოუგორდა ბანჯგვლიან ლოყებზე და ჩაიკარგა თხის ტყავში, ტანთ რომ ეცვა. გულიდან ოხვრა აღმოხდა.

- წმინდა ანა ორეელო!.. პიერ, მხოლოდ ამის თქმა შეგიძლია შვიდი წლის განშორების შემდეგ? ძალიან შეცვლილხარ.

- ისევ მიყვარხარ, - მკვეთრად თქვა შუანმა.

- არა, - ყურში ჩასჩურჩულა ქალმა, - ჩემზე წინ მეფეს აყენებ.

- ასე ნუ მიყურებ, თორემ წავალ.

- რა გაეწყობა, მაშინ მშვიდობით, - ნაღვლიანად უთხრა ქალმა.

- მშვიდობით, - იარე-მიწაზემ ხელი სტაცა ფრანსინის ხელს, მოუჭირა, აკოცა, პირჯვარი გადასახა და სირბილით შევარდა თავლაში, ძვალდაპატრონებული ძაღლივით.

- მოიტაცე-დიდი-კვერი, - უთხრა ამხანაგს, - ვერაფერს ვხედავ,

რქა გაქვს?

- ეშმაკმა წაიღოს, რა ჯაჭვი ჰქონდა! - თქვა მოიტაცე-დიდმა-კვერმა და ჯიბეები მოიქექა, ტყავს უკუღმა რომ ეკერა. იარე-მიწაზეს ხარის რქისგან გაკეთებული კონუსი გაუწოდა, რომელშიც ბრეტონელები ბურნუთს ინახავდნენ, თვითონ რომ ფქვავდნენ ზამთრის გრძელ ღამეებში. შუანმა ცერი აბზიკა, მარცხენა მტევანზე ღრმული გაუკეთდა, სადაც ინვალიდები ერთ შესუნთქვა ბურნუთს იყრიან ხოლმე, მაგრად შეანჯღრია რქა, რომლის წვერიდან საცობი უკვე მოეხრახნა მოიტაცე-დიდ-კვერს. უწმინდესი მტვერი ნელ-ნელა ჩამოედინა პატარა ნახვრეტიდან. იარე-მიწაზემ შვიდ-რვაჯერ გაიმეორა უჩუმრად, თითქოს ამ პუდრს შეეძლო, შეეცვალა მისი აზრების მდინარება. უცებ უიმედოდ ჩაიქნია ხელი, რქა მოიტაცე-დიდ-კვერს გადაუგდო, ჩალაში დამალული კარაბინი ამოაძრო.

- ასე ზედიზედ შვიდი-რვა შესუნთქვა რას ჰგავს! - ჩაიბურტყუნა ძუნწმა მოიტაცე-დიდი-კვერმა.

- წავედით! - წამოიძახა იარე-მიწაზემ ხრინწიანი ხმით, - საქმე გვაქვს.

ოცდაათიოდე შუანმა წამოყო თავი, ბაგის ქვეშ თივაში რომ ეძინათ. დაინახეს თავზე წამომდგარი იარე-მიწაზე, გაცვივდნენ ბაღში გამავალ კარში, საიდანაც მინდორზე შეეძლოთ გასვლა. ფრანსინმა, საჯინიბოდან გამოსვლისას, დაინახა გასამგზავრებლად გამოსული ეტლი. მადმუაზელ დე ვერნეი და მისი ორი თანამგზავრი უკვე ჩამსხდარიყვნენ. ბრეტონელი ქალი შეკრთა, უკანა სკამზე, მადმუაზელ დე ვერნეის გვერდით ის ქალი რომ დაინახა, რომელმაც მისი მოკვლა ბრძანა. საეჭვო უცნობი მარის წინ მოთავსდა. როგორც კი ფრანსინი ჩაჯდა, მძიმე ეტლი დაიძრა და ცხენები ჩორთით გაემართნენ.

მზემ გაფანტა შემოდგომის ლეგა ღრუბლები და დაღვრემილ მინდვრებს საზეიმო და ახალგაზრდული ელფერი მისცა. შეყვარებულები ხშირად კარგ ნიშნად მიიჩნევენ ცაში ასეთ მოულოდნელ ცვლილებებს. ფრანსინს უცნაურად მოეჩვენა ეტლში გამეფებული სიჩუმე. მადმუაზელ დე ვერნეიმ დაიბრუნა გულგრილი იერი, თვალები დახრილი ჰქონდა. ხელები მოსასხამში შეემალა, რომელშიც თავიდან ფეხებამდე იყო გახვეული. თავს მხოლოდ იმისთვის სწევდა, რომ დაენახა,

გარეთ პეიზაჟი თითქოს გამალებული ტრიალით როგორ მიჰქონდა უკან.

დარწმუნებული იყო, რომ აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ სულაც არ სურდა ეს აღტაცება, თუმცა მოჩვენებითი გულგრილობა უფრო კეკლუცობით იყო გამოწვეული, ვიდრე გულუბრყვილობით. გულისამაჩუყებელი სიწმინდე, ნატიფ ჰარმონიას რომ ანიჭებდა ქალის სახის გამომეტყველებას, სუსტი სულის სარკეს, ეტყობა, თავის ხიბლს მთლიანად ვერ სძენდა არსებას, რომელსაც გძნობათა სიმძაფრე სიცოცხლის ქარიშხლებს უმზადებდა. უცნობი, დატყვევებული იმ სიამოვნებით, რასაც ინტრიგის დასაწყისი ჰპირდებოდა, ჯერ კიდევ არ ცდილობდა, აეხსნა ის შეუსაბამობა, ამ უცნაური გოგონას კეკლუცობასა და ეგზალტაციას შორის რომ არსებობდა. ეს ყასიდი გულგრილობა მას საშუალებას აძლევდა, აშკარად დამტკბარიყო მისი სახით, ერთნაირად მშვენიერი რომ იყო მშვიდიც და მღელვარეც! არასოდეს ვძრახავთ ჩვენი სიხარულის წყაროს.

საფოსტო ეტლში ლამაზი ქალი ვერ დაემალება თანამგზავრთა ცნობისმოყვარეობას, ყველა თვალმოუშორებლად უყურებს, თითქოს მგზავრობის მონოტონურობის გასახალისებლად მიზეზს დაეძებენ.

და აი, ახალგაზრდა ოფიცერი, გათამამებული იმით, რომ ახალგაზრდა ქალი მის მზერას არ ემალება და მის დაჟინებაზეც არ ბრაზობს, დიდად კმაყოფილი იყო, რომ შეეძლო, დაეკმაყოფილე-ბინა ხარბი ცნობისმოყვარეობა ახლადჩასახული ვნებისა და სიამოვნებით აკვირდებოდა მისი სახის სუფთა, მშვენიერ ნაკვთებს. ეს სახე მისთვის სურათივით იყო, სინათლეზე ხან თხელი ნესტოების ვარდისფერი გამჭვირვალობა იკვეთებოდა, ხან ორი წვრილი ხაზი ცხვირიდან ზედა ტუჩამდე, ხან მზის მკრთალი სხივი აჩენდა მის ნიუანსებს, სადაფისფერი თვალებისა და ტუჩების ირგვლივ, ვარდისფერ ლოყებზე, მქრქალ საფეთქლებისკენ და კისერზე. ტკბებოდა შუქ-ჩრდილის დაპირისპირებით, რაც მისი შავი დაგრაგნილი თმის კულულებისგან ეფინებოდა სახეს და ჰაეროვან, ეფემერულ სიუხვეს ანიჭებდა: ქალთან ხომ ყველაფერი წამიერად ცვალებადია. მისი დღევანდელი სილამაზე ის არ არის, რაც გუშინ იყო, ალბათ მისთვის საბედნიეროდ. ეს, ვითომდა მეზღვაური, ჯერ ისევ იმ ასაკის

იყო, როცა კაცი უმნიშვნელო რაღაცით შეიძლება აღფრთოვანდეს, რაც ასე მნიშვნელოვანია სიყვარულში. ბედნიერი შესცქეროდა, როგორ უთრთოდა ქუთუთოები, ან როგორ ირხეოდა მისი კორსაჟი სუნთქვისგან. ზოგჯერ ცდილობდა, გონებაში დაე-კავშირებინა, როგორ შეესაბამებოდა თვალების გამომეტყველებას ოდნავ შესამჩნევი ნაკეცი ტუჩებთან. ყოველი ჟესტი მის სულს გადაუშლიდა, ყოველი მოძრაობა - ახალ წახნაგს ამ ახალგაზრდა ქალისას. თუ მისი ცოცხალი ნაკვთები თრთოდნენ რაიმე ელდის გაელვებისას, თუ უცებ გადაურბენდა ვარდისფერი ღიმილი, უზომო ნეტარებას გრძნობდა და ცდილობდა, გამოეცნო ამ იდუმალი ქალის საიდუმლოებანი. ყველაფერი ამ ქალისა, მახე იყო სულისთვის, ხაფანგი გრძნობებისთვის და თანაც სიჩუმე გულების დაკავშირებას კი არ უშლიდა ხელს, პირიქით, აახლოებდა აზრებს. უკვე რამდენჯერმე შეხვდა მათი მზერა ერთმანეთს, და როცა დაინახა, როგორი თვალებით უყურებდა ახალგაზრდა მეზღვაური, მარი დე ვერნეი მიხვდა, რომ სიჩუმე სახიფათო ხდებოდა მისთვის, მაშინ მადამ დიუ გას მიმართა რაღაც უმნიშვნელო კითხვით, ისე, საუბრის წამოსაწყებად, რომელიც უნებურად მის შვილს შეეხო.

- მადამ, როგორ გადაწყვიტეთ ბატონი თქვენი ვაჟი ფლოტში მიგეცათ? ამით ხომ სამუდამო სადარდელი გაიჩინეთ.

- მადმუაზელ, ქალის, ანუ მინდოდა მეთქვა, დედის ხვედრია, მუდამ უთრთოდეს გული თავისი ყველაზე ძვირფასი განძისთვის.

- თქვენი ვაჟი ძალიან გგავთ.

- ასე ფიქრობთ, მადმუაზელ?

- მადამ დიუ გას ასაკის უწყინარმა დაკანონებამ ახალგაზრდა კაცის ღიმილი გამოიწვია და ვითომ დედისა კი - გულისწყომა. ქალის ბოღმა იზრდებოდა ყოველ ვნებიან მზერაზე, მისი ვაჟი რომ მარის სტყორცნიდა. მათი სიჩუმე, მათი საუბარი - ყველაფერი მძვინვარე სიძულვილს აღვივებდა მასში და იძულებული კი იყო, გულითადი, ალერსიანი მანერებით შეენიღბა.

- ცდებით, მადმუაზელ, - ჩაერია უცნობი, - მეზღვაურები სხვა სამხედროებზე მეტ საფრთხეში არ არიან. ქალებს კი არ უნდა სძულდეთ ფლოტი, რადგან მეზღვაურებს უდიდესი

უპირატესობა აქვთ სახმელეთო ჯარებთან შედარებით - მათი ერთგულნი ვრჩებით.

- იძულებით, - სიცილით შეეხმიანა მადმუაზელ დე ვერნეი.

- მაგრამ მაინც ერთგულებაა, შეესიტყვა დაღვრემილი მადამ დიუ გა.

საუბარი გაცხოველდა, შეეხო თემებს, რომლებიც საინტერესო მხოლოდ სამი მგზავრისთვის იყო, რადგან მსგავს შემთხვევაში ჭკვიანი ადამიანები ყველაზე ბანალურ ფრაზებსაც კი ახალ შინაარსს შესძენენ. მაგრამ გარეგნულად არასერიოზული, ზერელე საუბარი, რომლითაც უცნობები თავს აწონებენ ერთმანეთს, რათა სურთ, რაიმე გაიგონ თანამოსაუბრეზე, ფარავს მათ ამაფორიაქებელ სურვილებს, ვნებებსა და იმედებს. მადმუაზელ დე ვერნეის დახვეწილობამ და ეშმაკობამ, სულ ფხიზლად რომ იყო, მადამ დიუ გას უჩვენა, რომ მხოლოდ ცილისწამებითა და ღალატით შეიძლებოდა მოეპოვებინა გამარჯვება თავის მეტოქეზე, რომელიც მისთვის საშიში იყო როგორც სილამაზის, ასევე, ჭკუის გამო. მოგზაურები დაცვას წამოეწივნენ და ეტლმა სვლა შეანელა.

ახალგაზრდა მეზღვაურმა შენიშნა, რომ გრძელი ფერდობი ჰქონდათ ასავლელი და მადმუაზელ დე ვერნეის შესთავაზა, ფეხით ასულიყვნენ. ახალგაზრდა კაცის კარგმა გემოვნებამ, თავაზიანობამ, ზრდილობამ გადააწყვეტინა პარიზელ ქალს, დათანხმებოდა, რამაც სიამაყითა და კმაყოფილებით აღავსო კაცი.

- მადამ, იზიარებთ ჩვენს განზრახვას? ხომ არ გნებავთ გასეირნება? - ჰკითხა მარიმ მადამ დიუ გას.

- მოარშიყე! - გამოსცრა კბილებში ქალბატონმა ეტლიდან ჩამოსვლისას.

მარი და უცნობი გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ცოტა შორი შორს. მეზღვაური თვალთმაქცად თვლიდა ახალაზრდა ქალის თავშეკავებულობას და ერთი სული ჰქონდა, გადაელახა ზღვარი, რომელიც აბრკოლებდა აბობოქრებულ სურვილს, უკვე რომ მოეცვა ყმაწვილი. მიზნის მისაღწევად სახუმარო კილო აირჩია, ყველაფერი ჩართო, სუფთა ფრანგული თავაზიანობა, გონებამახვილობა, რაინდული დახვეწილი აზროვნება, ზოგჯერ დამცინავი, რაც გამორჩეულ ადამიანებს განდევნილი

არისტოკრატიისგან განასხვავებდა. მარიმ, სიცილის, ხუმრობის მოყვარულმა პარიზელმა ქალმა, ისე ეშმაკურად გაამხნევა ახალგაზრდა, ისე ამრეზით უსაყვედურა ფრივოლურობა, აგრძნობინა, უპირატესობას ამაღლებულ აზრებსა და გრძნობებს ანიჭებდა, რაც, უნებურად გაიელვებდა ხოლმე ახალგაზრდა მეზღვაურის ლაპარაკში, რომ სულ ადვილად მიაგნო ხერხს, თავი მოეწონებინა. მაშინ მათი საუბრის ხასიათი შეიცვალა, ყმაწვილმა გაამართლა იმედები, მისი მეტყველი სახე რომ ავლენდა. მაგრამ სულ ახალ-ახალ სიძნელეებს აწყდებოდა ამ სირინოზის, მაცდუნებელი ქალის ამოცნობისას, რომელიც სულ უფრო მეტად მოსწონდა. იძულებული იყო, შეეცვალა ზოგიერთი შეხედულება, რომელსაც თამაშ-თამაშით უბათილებდა. ჯერ მისმა მშვენიერებამ მოხიბლა, მერე მისმა ამოუცნობმა სულმა მიიზიდა, ცნობისმოყვარეობა გაუძლიერდა, მარის კი ართობდა ამ ცნობისმოყვარეობის წაქეზება. საუბარი ნელ-ნელა პირადულისკენ იხრებოდა, რაც დიდად განსხვავდებოდა იმ გულგრილი ტონისგან, საითაც მარის ძალიან უნდოდა, გადაეხვია. მადამ დიუ გა შეყვარებულებს ფეხდაფეხ მისდევდა. მათ, თავისდაუნებურად, ფეხს აუჩქარეს და მალე ასიოდე ნაბიჯით ჩამორჩა. ეს ორი მომხიბვლელი არსება ბავშვური აღტყინებით მიუყვებოდა ქვიშიან გზას. ფეხაწყობილი სიარული, თითქოს გაზაფხულის მზის თბილი მოლამუნე სხივები, ნიავის ოდნავი ქროლვით ატანილი შემჭკნარი მცენარეების ბლანტი სურნელის ერთად შეგრძნება, ეს ყველაფერი ახლადგამოკვირტული სიყვარულის მსუბუქ ნაღველს ასაზრდოებდა. თუმცა ეს წამიერი სიახლოვე ორივეს ჩვეულებრივი სასიყვარულო ინტრიგა ეგონა, ცა, პეიზაჟი და შემოდგომა კი მათ გრძნობას მკაცრ შეფერილობას აძლევდა და ვნებას ამსგავსებდა. ჯერ შესანიშნავ ამინდს აქებდნენ, ლამაზ ხედებს, მერე თავიანთ უცნაურ შეხვედრაზე ილაპარაკეს, იმაზე, რომ მალე შეწყდება ასეთი სასიამოვნო ნაცნობობა; იმაზეც, რომ გზაში ასე ადვილია, გული გადაუშალო თანამგზავრს, პირველად და უკანასკნელად რომ ხედავ. ამ ბოლო წინადადებამ ახალგაზრდა კაცს თითქოს უსიტყვო თანხმობა მისცა, მსგავს სიტუაციებს მიჩვეული კაცივით, ტკბილი ოცნებისა და გულახდილობის გამომჟღავნება სცადა.

- ატყობთ, მადმუაზელ, რა განსხვავებული გზით ვითარდება გრძნობები ჩვენს შფოთიან დროში? ჩვენს დროში ყველაფერს

აუხსნელი მოულოდნელობის კვალი ატყვია. დღეს ერთი შეხედვით გვიყვარდება და გვძულდება, ადამიანები სამუდამოდ ერთდებიან სიცოცხლის ბოლომდე და შორდებიან ისევე სწრაფად, როგორც მიისწრაფიან სიკვდილისკენ, ყველაფერი ეჩქარებათ. ირგვლივ არსებული საფრთხის დროს ხვევნა-ალერსი უფრო მხურვალე და სწრაფი უნდა იყოს, ვიდრე ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარებისას. პარიზში სულ ცოტა ხნის წინ გაიგო ყველამ, როგორც ბრძოლის ველზე, რამდენი რამის გამოხატვა შეიძლება ხელის ჩამორთმევით.

- ხალხს მოთხოვნილება ჰქონდა, სწრაფად ეცხოვრა და ბევრი განეცადა, - ახალგაზრდა კაცს ისე შეხედა, თითქოს აგრძნობინებდა, რომ მათი ხანმოკლე მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა და ეშმაკურად დაუმატა, - სკოლიდან ახლადგამოჩეკილი ყმაწვილისთვის ცხოვრებისეულ საქმეებში დიდი გამოცდილება გაქვს.

- ჩემზე რას ფიქრობთ? - წამიერი სიჩუმის მერე ჰკითხა ჭაბუკმა, - პირდაპირ მითხარით, ნუ მოგერიდებათ.

- ამ გზით გსურთ, ჩემზე ლაპარაკის უფლება მოიპოვოთ?.. - სიცილით უპასუხა ქალმა.

- არა, არ მპასუხობთ, - ცოტა ხანს აცალა და უთხრა, - ფრთხილად იყავით, ხშირად სიჩუმე პასუხია.

- განა ყველაფერი არ გამოვიცანი, რის თქმაც გინდოდათ ჩემთვის? ღმერთო ჩემო, უკვე ისედაც ძალიან ბევრი ვთქვით...

- თუკი ერთმანეთს გავუგეთ, - გაეცინა ყმაწვილს, - მეტი მოვახერხე, ვიდრე მეგონა.

მარიმ ისე მოხდენილად გაიღიმა, თითქოს გალანტური ორთაბრძოლის გამოწვევა მიიღო, რომელში ჩათრევაც ყველა მამაკაცს უხარია. და დაიწყეს ერთმანეთისთვის იმის მტკიცება, რომ მათი ურთიერთობა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს, როგორიც ახლაა. ახალგაზრდა კაცს ნება ეძლეოდა, გადაშვებულიყო სიყვარულში, რომელსაც მომავალი არ ჰქონდა, მარის კი - ამაზე ეცინა. როგორც კი ეს წარმოსახვითი წინაღობა აღმართეს, ორივეს დაეუფლა ძლიერი სურვილი, ესარგებლათ ამ სახიფათო თავისუფლებით, რისი ნებაც საკუთარ თავს მისცეს. უცებ მარიმ ქვას ფეხი წამოკრა და გადაუბრუნდა.

- მკლავზე დამეყრდენით, - შესთავაზა ყმაწვილმა.

- სხვა გზა არ მაქვს, აბა, რა ვქნა, ქარაფშუტავ. გაყოყოჩდებით, უარი რომ ვთქვა. ხომ გეგონებათ, რომ შემეშინდა?

- მადმუაზელ, - მკერდზე მიიჭირა მისი ხელი, გულის ცემა რომ გაეგო, - მართლაც რომ მეამაყება ეს წყალობა.

- ისე იოლად მოიპოვეთ, რომ ილუზიებს გაგიქარწყლებთ.

- უკვე გინდათ, დამიცვათ იმ სახიფათო ღელვისგან, უნებურად რომ აღძრავთ ჩვენში?

- გთხოვთ, შეწყვიტეთ ჩემი სალონური თავაზიანობითა და ბუდუარის ლოგოგრიფებით მახეში გაბმა. არ მსიამოვნებს, როცა თქვენი ყაიდის კაცი ცდილობს, გაიბრწყინოს ისეთი გონებამა-ხვილობით, სულელსაც რომ შეუძლია. შეხედეთ, ჩვენს თავზე მშვენიერი ცაა, ტრიალ მინდორში ვართ. ჩვენ წინ, ჩვენ ზემოთ ყველაფერი დიდებულია. გინდათ, მითხრათ, რომ ლამაზი ვარ, არა? კი, მაგრამ თქვენმა თვალებმა უკვე მითხრეს და თვითონაც ვიცი, მე ის ქალი არ ვარ, ქათინაურზე რომ გადაირევა. თქვენს გრძნობებზეც ხომ არ გინდათ, მელაპარაკოთ? - გამქირდავი ღიმილით დაუმატა ქალმა, - ნუთუ გგონიათ, ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ დავიჯერებ იმდენად ძლიერ უცაბედ კეთილგანწყობას, რომ მთელი ცხოვრება მახსოვდეს ერთი დილა.

კარი IV

- ერთი დილა არა, მაგრამ ლამაზი, დიდსულოვანი ქალი - კი.

- გავიწყდებათ ყველაზე მიმზიდველი რამ: უცნობი ქალი, რომლის ყველაფერი არაჩვეულებრივი უნდა იყოს, სახელი, წოდება, მდგომარეობა, თავისუფალი აზროვნება და მანერები.

- სრულებითაც არ ხართ ჩემთვის უცნობი, - წამოიძახა ვაჟმა, - ამოგიცანით და თქვენს სრულყოფილებას ვეღარაფერს დავუმატებ, გარდა სიყვარულის ოდნავი იმედისა, დანახვისთანავე რომ აღძარით.

- ჩემო საბრალო, ჩვიდმეტი წლის ბავშვო, უკვე სიყვარულზე ლაპარაკობთ, - გაეღიმა მარის. ძალიან კარგი. რატომ არ შეუძლია ორ ადამიანს ამ თემაზე ისევე ისაუბროს, როგორც სხვა დანარჩენზე? ვილაპარაკოთ! არც მოჩვენებითი მორცხვობა მახასიათებს და არც პრანჭვა-გრეხა. მაგ სიტყვის მოსმენა გაუწითლებლად შემიძლია, იმდენჯერ მომისმენია გულს გარეთ ნათქვამი, რომ ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგა. თეატრში, წიგნებში, საზოგადოებაში, ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ამ შესანიშნავი გრძნობის მსგავსი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

- ეძებდით კი?

- დიახ.

ეს „დიახ“ ისე ბუნებრივად ითქვა, რომ ახალგაზრდა კაცმა უნებური ჟესტით გაკვირვება გამოხატა და მარის ისე დაჟინებით შეხედა, თითქოს სულ შეეცვალა შეხედულება მის ხასიათსა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

- მადმუაზელ, - დაუფარავი მღელვარებით მიმართა ყმაწვილმა, - ვინ ხართ? ქალიშვილი თუ ქალი? ანგელოზი თუ დემონი?

- ერთიც ვარ და მეორეც, - სიცილით უპასუხა მარიმ, - განა ყოველთვის არ არის რაღაც დემონურიცა და ანგელოზურიც ახალგაზრდა გოგონაში, რომელსაც არ ჰყვარებია, არ უყვარს და იქნებ არც არასოდეს შეუყვარდეს?

- და ასე თავს ბედნიერად გრძნობთ?.. - თითქოს შებოჭილობა მოეხსნა, გეგონებოდათ, რომ პატივისცემაც გაუნელდა თავისი მხსნელის მიმართ.

- ბედნიერი? არა! როცა ვფიქრობ, რომ მარტოხელა ვარ, საზოგადოებრივი პირობითობების მორჩილი, ეს, ცხადია, ცოტა არაბუნებრივს მხდის, მამაკაცების პრივილეგიები მეხმარება ხოლმე. მაგრამ რომ მაგონდება, თქვენს მოსაჯადოებლად რა საშუალებები მოგვცა ბუნებამ, რა უხილავი ბადე გვაქვს თქვენს გასახვევად, რა ძალა, რომელსაც ვერც ერთი თქვენგანი ვერ უსხლტება, მაშინ მომწონს ჩემი როლი ამქვეყნად. მერე უცბად კნინდება, პატარა მეჩვენება და ვგრძნობ, რომ შემძულდებოდა მამაკაცი, ბანალური, გაცვეთილი ცდუნების მსხვერპლი. მოკლედ, ზოგჯერ ვგრძნობ ჩვენს უღელს და მომწონს, ზოგჯერ საშინლად მეჩვენება და ხელს ვკრავ.

დროდადრო ვგრძნობ ვინმესთვის თავგანწირვის სურვილს, რაც ქალს კეთილშობილ მშვენიერებად აქცევს, მერე მთანგავს ბატონობის წადილი. იქნებ ეს კეთილისა და ბოროტის ბუნებრივი ბრძოლაა, დედამიწაზე ყველა სულიერის სიცოცხლის საწყისი ეშმაკი და დემონი... როგორ თქვით? მხოლოდ დღეს კი არ ვგრძნობ ჩემს ორმაგ ბუნებას. მაგრამ ჩვენ, ქალები, თქვენზე უკეთ ვგრძნობთ ჩვენს არასრულყოფილებას. ჩვენ გვაქვს ინსტინქტი ყველაფერში სრულყოფილების ძებნისა, ცხადია, მიუწვდომელი სრულყოფილებისა, მაგრამ, ჩვენ, - ოხვრით შეხედა ცას, - ჩვენ სხვა რამეც გვაქვს, რაც თქვენს თვალში აღგვამაღლებს...

- ეს არის...

- ეს არის ის, რომ მეტ-ნაკლებად ჩვენ ყველანი ვებრძვით ბედისწერის უსამართლობას.

- მადმუაზელ, დღეს საღამოს რატომ უნდა დავშორდეთ?

- ჩავსხდეთ ეტლში, - ქალმა ღიმილი შეაგება ვაჟის ვნებიან მზერას, - ღია ცის ქვეშ ყოფნა არაფერს გვარგებს, - და მკვეთრად შეტრიალდა, ვაჟი წამოეწია და მკლავზე არცთუ მოწიწებით წა-ეტანა, რითაც დაუძლეველი ჟინი და აღფრთოანება გაამჟღავნა. ქალმა ფეხი ააჩქარა, მეზღვაური მიხვდა, რომ უნდოდა, თავი აერიდებინა გულის გადაშლისთვის. ამან უფრო გაამძაფრა მისი ვნება. სასწორზე შეაგდო ყველაფერი, მისი კეთილგანწყობა რომ მოეპოვებინა, გრძნობამორეულმა შეხედა და: - გინდათ, ერთი საიდუმლო გაგანდოთ?

- ჩქარა თქვით, თუ თქვენ გეხებათ.

- რესპუბლიკას არ ვემსახურები, სად მიდიხართ? გამოგყვებით, - ამის გაგონებაზე მარი მთელი ტანით შეკრთა, მკლავი გამოგლიჯა, ორივე ხელი სახეზე აიფარა, რომ სიწითლით თუ სიფერმკრთალით შეცვლილი სახე დაემალა; მერე ხელები მოიშორა და გრძნობამორეულმა უთხრა: - მაშ, ისევე დაიწყეთ, როგორც დამთავრებას აპირებდით? მომატყუეთ?

- დიახ.

ამის გაგონებაზე ზურგი შეაქცია დიდ ეტლს, რომლისკენაც მიდიოდნენ და თითქმის გაიქცა.

- სუფთა ჰაერზე ხომ არ გინდოდათ ყოფნა?

- შეიცვალა ჰაერი, - სერიოზული ხმით უპასუხა ქალმა, ბობოქარი აზრებით აფორიაქებულს ფეხი არ შეუნელებია.

- რატომ არაფერს ამბობთ, - ჰკითხა ვაჟმა, გული სავსე რომ ჰქონდა იმ ნეტარი ჭმუნვით, სიამოვნების მოლოდინი რომ ჰბადებს.

- აჰ, ტრაგედია ძალიან მალე დაიწყო, - ხმა ჩაუწყდა მარის.

- რომელ ტრაგედიაზე ლაპარაკობთ?

ქალი გაჩერდა. ცნობისწადილშერეული შიშით შეხედა, მაგრამ მალევე მოახერხა გულჩათხრობილი ადამიანის ნეიტრალური ნიღბის ქვეშ დაემალა ასე აზვირთებული გრძნობები. უნდოდა, ეჩვენებინა, ცხოვრების დიდი გამოცდილება მაქვსო.

- ვინ ხართ? თუმცა, ვიცი. როგორც კი დაგინახეთ, ვიეჭვე, როიალისტების წინამძღოლი, მეტსახელად „ვაჟკაცი“. არა? ოტენის ყოფილი ეპისკოპოსი ტყუილად კი არ მეუბნებოდა, უბედურების წინათგრძნობას უნდა ენდოთო.

- რაში გაინტერესებთ მაგ ბიჭის ცნობა?

- რაში უნდა აინტერესებდეს, დამემალოს, თუკი სიკვდილს გადავარჩინე, - და ნაძალადევად გაიცინა, - რა გონივრულად მოვიქეცი, რომ არ გათქმევინეთ, რომ გიყვარვართ. კარგად დაიხსომეთ, ბატონო, მძულხართ. მე რესპუბლიკელი ვარ, თქვენ - როიალისტი. დაგასმენდით, სიტყვა რომ არ მომეცა, ერთხელ რომ არ გადამერჩინეთ და რომ... - გაჩერდა. ამ უეცარმა ცვლილებამ, ამ შინაგანმა ბრძოლამ, რომლის დაფარვასაც აღარ ცდილობდა, შეაფიქრიანა მეზღვაური. ამაოდ ცდილოდა მის გაგებას.

- ახლავე დავშორდეთ. ასე მინდა. მშვიდობით, - სწრაფად შეტრილდა და წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და დაბრუნდა, - თუმცა, არა, ძალიან მაინტერესებს, უნდა გავიგო, ვინ ხართ. ნურაფერს დამიმალავთ. სიმართლე მითხარით. ვინ ხართ. აღარც პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტი ხართ და არც ჩვიდმეტი წლის ხართ...

- მეზღვაური ვარ, მაგრამ მზად ვარ, ოკეანეს დავემშვიდობო და გამოგყვეთ, საითაც მოგესურვებათ. თუ, ჩემდა საბედნიეროდ,

თქვენთვის რაიმე გამოცანას წარმოვადგენ, ვეცდები, არ გავაწბილო თქვენი ინტერესი. ნუ აურევთ ერთმანეთში რეალური ცხოვრების მნიშვნელოვან საქმეებს და ჩვენი გულის სწრაფვას, რაშიც ასე კარგად მიგვდიოდა საქმე, გვესმოდა ერთმანეთის.

- ჩვენი სულები შეიძლება შეეწყოს კიდევაც ერთმანეთს, - მკაცრად განაგრძო ქალმა, - მაგრამ თქვენგან ნდობა მოვითხოვო? ამის უფლება არ მაქვს, ვერასოდეს გაიგებთ, რამდენად ხართ ჩემგან დავალებული: მე ჩუმად ვიქნები.

რამდენიმე ნაბიჯი ისე გაიარეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია.

- ჩემი ცხოვრება ასე რატომ გაინტერესებთ?

- ბატონო, გთხოვთ, ან თქვენი სახელი მითხარით, ან იყუჩეთ. ბავშვი ხართ და მებრალებით, - დაუმატა მხრების აჩეჩვით.

ეგრეთ წოდებული მეზღვაური ხედავდა ახალგაზრდა მოგზაური ქალის დაჟინებას, გაეგო მისი საიდუმლო. მის გულში ძლიერდებოდა ჭიდილი საფრთხესა და სურვილს შორის. სასურველი ქალის გულისწყომა ძლიერია. ცდუნებაა. მისი მორჩილებაც და მისი გულისწყრომაც ისეთი ძლიერია, მამაკაცის გულის იმდენ სიმს ათრთოლებს, ისე ღრმად აღწევს მასში და ისე იპყრობს... ნეტავ მადმუაზელ დე ვერნეის მრისხანება კეკლუცობის ახალი ფანდი ხომ არ იყო. მიუხედავად ხიბლისა და მოჯადოებულობისა, ყმაწვილი ახერხებდა, ფრთხილად ყოფილიყო ქალთან, რომელიც ცდილობდა, ეთქმევინებინა საიდუმლო, რომელიც მისი სიკვდილ-სიცოცხლის საქმე იყო.

- ჩემმა გაუფრთხილებლობამ, დაუკვირვებლობამ რატომ დაამსხვრია ხიბლი იმ დღისა, ბედნიერებას რომ მპირდება? - ჩაილაპარაკა ყმაწვილმა და ხელი ჩაჰკიდა. ფიქრებში წასულმა მარიმ ვერ შეამჩნია. ხმას არ იღებდა. სახეზე ტანჯვა ეწერა.

- რითი გატკინეთ გული? რითი შემიძლია დაგიამოთ?

- თქვენი სახელი მითხარით.

ვაჟიც უხმოდ მიდიოდა. რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს. უცებ მადმუაზელ დე ვერნეი გაჩერდა მტკიცეგადაწყვეტილებამიღებული ადამინივით.

- ბატონო მარკიზ დე მონტორან, - თქვა იმ ადამიანის ხმით, საკუთარი თავის ყადრი რომ იცის, თუმცა ვერ იოკებდა მღელვარებას, სახე უთრთოდა, - რადაც არ უნდა დამიჯდეს, ბედნიერი ვარ, სამსახური გაგიწიოთ. აქ დავშორდებით ერთმანეთს. ესკორტიცა და ეტლიც თქვენი უსაფრთხოებისთვისაა აუცილებელი, უნდა ისარგებლოთ. რესპუბლიკელებისა ნუ შეგეშინდებათ: ყველა ჯარისკაცი ღირსეული ადამიანია, როგორც ხედავთ. მაიორს განკარგულებებს მივცემ და ყველაფერს შეასრულებს. მე კი ალანსინამდე ფეხითაც შემიძლია დავბრუნდე, ჩემს მოახლესთან ერთად, რამდენიმე ჯარისკაცი გაგვაცილებს. მისმინეთ, საქმე თქვენს თავს ეხება.

- სანამ სამშვიდობოს გახვალთ, თუ იმ საშინელ პეწენიკს გადაეყარეთ, სასტუმროში რომ ნახეთ, გაიქეცით, აუცილებლად დაგასმენთ. მე კი, - შეყოვნდა, - მე ამაყად გადავეშვები ცხოვრების მორევში, - ცრემლს ძლივს იკავებდა, - მშვიდობით, ბატონო. ბედნიერი იყავით! მშვიდობით.

მარიმ ნიშანი მისცა კაპიტან მერლს, ბორცვის მწვერვალზე რომ მოჩანდა. ახალგაზრდა კაცი საქმის ასე სწრაფად დამთავრებას არ ელოდა.

- მოითმინეთ! - საკმაოდ კარგად გათამაშებული სასოწარკვეთილებით შესძახა. იმ ქალის უცნაურმა ახირებამ, რომლის გულისთვისაც მზად იყო, სიცოცხლე გაეწირა, ისე გააოგნა ახალგზრდა კაცი, რომ ცუდი ხუმრობა მოიგონა, თან თავის სახელს დამალავდა და თან მადმუაზელ დე ვერნეის ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებდა.

- თითქმის გამოიცანით, ემიგრანტი ვარ, სიკვდილმისჯილი და ვიკონტ დე ბოვანი მქვია. სამშობლოს სიყვარულმა საფრანგეთში ჩამომიყვანა. იმედი მაქვს, სიკვდილმისჯილთა სიიდან ამომშლიან, მადამ დე ბოვარნეს, პირველი კონსულის ამჟამინდელი მეუღლის გავლენით. მაგრამ თუ ბედი მიმტყუნებს, ჩემს მიწაზე მინდა სიკვდილი, ჩემი მეგობრის, მონტორანის გვერდით, ბრძოლის ველზე. ახლა ფარულად სხვისი პასპორტით მივდივარ ბრეტანში, იმის გასაგებად, რამე მამულები დამრჩა თუ არა.

სანამ ყმაწვილი ლაპარაკობდა, მადმუაზელ დე ვერნეი გამჭოლ მზერას არ აცილებდა. ცდილობდა, მისი სიტყვების

სიმართლეში ეჭვი შეეტანა, მაგრამ მიმნდობსა და გულუბრყვილოს ნელ-ნელა სიმშვიდე დაუბრუნდა და წამოიძახა.

- რასაც ახლა მეუბნებით, სიმართლეა?

- აბსოლუტური სიმართლეა, - გაიმეორა ახალგაზრდამ, რომელიც ქალებთან ურთიერთობაში დიდ პატიოსნებას არ იჩენდა.

მადმუაზელ დე ვერნეიმ ისე ღრმად ამოიოხრა, გრძნობადაკარგული სიცოცხლეს რომ უბრუნდება.

- ოო, რა ბედნიერი ვარ!

- ესე იგი, ჩემი საბრალო მონტორანი ძალიან გძულთ?

- რა, თქვენ ვერ გაიგეთ? არ მინდა, ის საფრთხე გემუქრებოდეთ, რომლისგანაც ვეცდები, დავიცვა, რადგან თქვენი მეგობარია.

- ვინ გითხრათ, რომ მონტორანს საფრთხე ემუქრება?

- ოო, ბატონო, პარიზიდან რომ არ მოვდიოდე, სადაც მხოლოდ მის განზრახვებზე ლაპარაკობენ, მე მგონი ალიანსის მეთაურმა უკვე საკმაო რამ გვითხრა მასზე.

- მაშინ, ნება მომეცით, გკითხოთ, როგორ შეგიძლიათ მისი დაცვა?

- და თუ არ მოვისურვებ პასუხს? - უთხრა აგდებული ტონით, რითიც ქალები ხშირად ასე ოსტატურად ნიღბავენ თავიანთ ემოციებს, - რა უფლებით გინდათ, ჩემი საიდუმლო გაიგოთ?

- იმ ადამიანის უფლებით, თქვენ რომ უყვარხართ.

- უკვე? - ჰკითხა ქალმა, - არა, თქვენ არ გიყვარვართ... თქვენი წარმავალი სამიჯნურო თავგადასავლის ობიექტი ვარ მხოლოდ, ეს არის და ეს. ხომ მაშინვე გამოვიცანი? ნუთუ ქალს, რომელიც, ასე თუ ისე, მიჩვეულია კარგ საზოგადოებას, იცის ახლანდელი ზნეობა, ცხოვრების ნირი, ნუთუ ასეთ ქალს შეაცდენს პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტის დახვეწილი ფრაზები და ასე ცუდად დაფარული დიდებულის მანერები, რესპუბლიკელის იერით. მაგრამ თქვენს თმას პუდრის კვალი ეტყობა, მაღალი წრის სურნელს აფრქვევთ და დახვეწილი საზოგადოების ქალს ეს არ გამოეპარება. ამიტომაც, სასწრაფოდ

დავითხოვე ჩემი მეთვალყურე, ქალივით ეშმაკია და თქვენზე გული მიკანკალებდა, არ ეცნეთ. ბატონო, ნამდვილი რესპუბლიკელი ოფიცერი, რომელმაც პოლიტექნიკური სკოლა დაამთავრა, არ იფიქრებს, რომ ჩემს კეთილგანწყობას ადვილად მოიპოვებდა და ლამაზ ინტრიგნად არ ჩამთვლიდა. ნება მომეცით, ბატონო დე ბოვენ, ამასთან დაკავშირებით ქალის მოსაზრება მოგახსენოთ. თქვენ იმდენად ახალგაზრდა ხართ, არ იცით, რომ ჩვენი სქესის არსებათაგან ყველაზე ძნელია იმათი დამორჩილება, ვისი ღირსებაც ციფრებით გამოიხატება და სიამოვნება მოჰყირჭებია. როგორც მითხრეს, ამ ტიპის ქალები მოითხოვენ მოხიბვლას, მოსყიდვას, მათი ახირებების შესრულებას და მამაკაცის პრეტენზია, მოეწონოს ასეთ ქალს, მისი ფუქსავატობის მაჩვენებელია. ცალკე გადადოს ასეთი ქალები, რომელთა რიცხვს თავაზიანად მეც მიმაკუთვნეთ, რადგან ისინი ყველანი უნდა იყვნენ ლამაზები, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ კეთილშობილი, ლამაზი, ჭკვიანი (თქვენ ამ თვისებებს ხომ მანიჭებთ?) ქალი არ იყიდება და მისი დაპყრობა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება - სიყვარულით. ხომ გესმით, რასაც ვამბობ? ასეთ ქალს თუ შეუყვარდა და მზად იქნება, სისულელე ჩაიდინოს, რაღაც დიდი გამართლება უნდა ჰქონდეს, მაპატიეთ ასეთი მჭევრმეტყველება, ქალებში რომ იშვიათია, მაგრამ თქვენს პატივსაცემად და... ჩემი პატივისცემისთვისაც, - და მსუბუქად დაუკრა თავი, - არ მინდა, ძალიან თავდაჯერებული იყოთ და იფიქროთ, რომ მადმუაზელ დე ვერნეი - ანგელოზი თუ დემონი, გოგონა თუ ქალი, შეიძლება წამოეგოს ასეთი ბანალური ქათინაურების სატყუარას.

- მადმუაზელ, - ძლივს მოახერხა უკიდურესი გაოცების დამალვა მარკიზმა და ისევ მაღალი საზოგადოების კაცად გადაიქცა, - გემუდარებით, დამიჯერეთ, მზად ვარ, ჩაგთვალოთ უაღრესად კეთილშობილად, ღირსეულად და მაღალი გრძნობების მატარებლად, ან... კარგ გოგოდ, თვითონ აირჩიეთ.

- ამდენს არ მოვითხოვ თქვენგან, მესიე, - სიცილით უპასუხა მარიმ, - ინკოგნიტოდ დავრჩები. თანაც ნიღაბი უკეთ მაქვს მორგებული, ვიდრე თქვენ და სულაც არ ვაპირებ ჩამოხსნას თუნდაც იმისთვის, რომ გავიგო, რამდენად გულწრფელნი არიან ადამიანები, სიყვარულს რომ მეფიცებიან... ასე რომ, ჩემთან ძალიან ნუ გათამამდებით. მესიე, მისმინეთ, - და ხელი მაგრად ჩაავლო მკლავში, - რომ შეგეძლოთ ნამდვილი

სიყვარულის დამტკიცება, ვერავითარი ძალა ვერ გაგვყრიდა. დიახ, მინდა ჩემი სიცოცხლე ვინმე გამორჩეულ ადამიანს დავუკავშირო, გავიზიარო მისი ამბიციური გეგმები, მაღალი იდეალები... კეთილშობილი, დიდსულოვანი ადამიანი არ შეიძლება, ერთგული არ იყოს, რადგან ძლიერ ნატურას სიმტკიცე და ურყეობა ახასიათებს და, მაშასადამე, ყოველთვის ვეყვარებოდი და ყოველთვის ბედნიერი ვიქნებოდი. მაგრამ მეც ხომ ყოველთვის მზად ვიქნებოდი, ვყოფილიყავი საფეხური აღმასვლისთვის ადამიანისა, რომელიც მეყვარებოდა, მსხვერპლად შევწირავდი თავს, ყველაფერს ავიტანდი და მეყვარებოდა მუდამ, მაშინაც კი, როცა გადავუყვარდებოდი... არასოდეს არავისთვის გამიბედავს, გამენდო ჩემი გულისწადილი, ჩემი ლამაზი აღმაფრენა, მაგრამ თქვენ კი შემიძლია გითხრათ ცოტა რამ, რადგან, როგორც კი სამშვიდობოს იქნებით, დავშორდებით.

- დავშორდებით?.. არასოდეს! - შესძახა ელდანაცემივით, დამუხტულმა სიტყვებით, ძალა რომ იგრძნობოდა სულისა, რომელიც ცდილობდა, რაღაც უზარმაზარი საფიქრალი დაეთრგუნა.

- თქვენ? თქვენ თავისუფალი ხართ? - მზერა ისეთი ამპარტავნული ჰქონდა მარის, რომ ვაჟი თითქოს დაპატარავდა.

- ოო, თავისუფალი? კი, თუ არ ჩავთვლით სასიკვდილო განაჩენს.

მაშინ ქალმა მწარე სინანულით უთხრა: - ეს ყველაფერი სიზმარი რომ არ იყოს, რა მშვენიერი იქნებოდა თქვენი ცხოვრება! თუმცა უამრავი სისულელე ვთქვი, სისულელეს ნუ ჩავიდენთ. როცა ვფიქრობ, ვინ უნდა იყოთ, ზუსტად რომ შემაფასოთ, ყველაფერში ეჭვი მეპარება.

- მე კი ეჭვი არაფერში შემეპარებოდა, რომ ისურვებდეთ, მე მეკუთვ...

- ჩუ! - წამოიძახა მარიმ ამ ნამდვილი ჟინით გაჟღენთილი სიტყვების გაგონებაზე. ღია ცის ქვეშ ყოფნა ნამდვილად აღარ გვრგებს, დავუბრუნდეთ ჩვენს მეურვეებს.

მალე ეტლი წამოეწიათ. ჩასხდნენ და რამდენიმე ლიე უსიტყვოდ გაიარეს. საფიქრალი ძალიან ბევრი ჰქონდათ,

მაგრამ ერთმანეთს უკვე თვალს აღარ არიდებდნენ. ორივე ერთნაირი ინტერესით აკვირდებოდა ერთმანეთს, რაღაც მნიშვნელოვან საიდუმლოს უმალავდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ერთნაირად ძლიერ სწრაფვასაც გრძნობდნენ ერთმანეთისაკენ, რაც ლტოლვაში გადადიოდა. საუბრის შემდეგ ერთურთში აღმოაჩინეს თვისებები, რომლებიც ამძაფრებდნენ იმ სიამოვნებას, რასაც ჰპირდებოდა ბრძოლა ან კავშირი. შესაძლებელია, თითოეული მათგანი გადაეშვა ცხოვრებისეულ ავანტიურაში და იმ განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას მიაღწია, როცა დაღლილობის გამო ან ბედისწერის ჯიბრზე უარს ამბობენ სერიოზულად ფიქრზე და შემთხვევითობას მიენდობიან, იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ის, რაზეც ფიქრობენ, უიმედოა. ან ზნეობრივ ბუნებას, ფიზიკური ბუნების მსგავსად, არა აქვს თავისი უფსკრულები, ქვესკნელები, სადაც ძლიერი სულის ადამიანებს უყვართ გადაშვება სიცოცხლის რისკის ფასად, როგორც მოთამაშეს, მთელ ქონებას რომ გარისკავს ხოლმე?

ახალგაზრდა დიდებულს და მადმუაზელ დე ვერნეის ეს აზრები გამოცხადებასავით მოეახლნენ ცოტახნისწინანდელი საუბრის შემდეგ და დიდი ნაბიჯით მიაახლოვეს ერთმანეთს, რადგან გრძნობათა სიახლოვე სულთა სიახლოვეს იწვევს. და რაც უფრო გრძნობდნენ ერთმანეთისკენ ფატალურ მიზიდულობას, მით უფრო აინტერესებდათ ერთმანეთი, იქნებ იმიტომ რომ უნებური გამოთვლებით მომავალი ნეტარება გაემძაფრებინათ. ახალგაზრდა კაცის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა ამ უცნაური ყმაწვილი ქალის აზრების სიღრმით. ფიქრობდა, საიდან ჰქონდა ამდენი ცოდნა ასეთ ნორჩს. მაშინ მოეჩვენა, რომ მარის უბიწოების გამოხატვის დიდი სურვილი ჰქონდა და ცდილობდა, უმანკო ყოფილიყო მისი ჟესტები. ეჭვი შეეპარა, ვაითუ, მოჩვენებითობაა და თავის თავზე გაბრაზდა კიდეც, ასე რომ აღფრთოვანდა ამ უცნობი ქალით და იფიქრა, ალბათ მარჯვე კომედიანტიაო. მართალიც იყო.

როგორც მაღალი საზოგადოების ყველა გოგონა, მადმუაზელ დე ვერნეიც, რაც უფრო მგზნებარე იყო გატაცება, მით უფრო მოკრძალებული ხდებოდა და, სრულიად ბუნებრივად, ისეთ სიმორცხვეს იფარებდა, რის ქვეშაც ქალები ასე მალავენ მოგიზგიზე გრძნობებს. ყველა ქალის სურვილია, უმძაფრეს ვნებას ქალწულად შეხვდეს და თუ ეს ყოველთვის ასე არ ხერხდება, თავის მოკატუნება ის ხარკია, სიყვარულს რომ

უხდიან. ამ მოსაზრებებმა გაიელვეს ახალგაზრდა დიდებულის თავში და სიამოვნება მოჰგვარეს. მართლაც, ორივეს იტაცებდა ეს ანალიზი და მალე ახალგაზრდა კაცის გატაცებამ იმ ფაზას მიაღწია, როცა შეყვარებული მამაკაცი თვლის, რომ საყვარელ ქალს მისი პატარ-პატარა ნაკლი უფრო საყვარელს ხდის.

მადმუაზელ დე ვერნეი ფიქრებში ჩაიძირა. დიდხანს იყო გარინდებული, იქნებ წარმოსახვაში შორეულ მომავალს ხედავდა. ახალგაზრდა კაცი ალბათ ათასიდან ერთ-ერთი წარმავალი გატაცების ტყვეობაში იყო, რომელიც თავის მამაკაცურ ცხოვრებაში არაერთხელ განეცადა. ყმაწვილ ქალს კი მთელი ცხოვრება დაუდგა თვალწინ, დიდ იმედებს ამყარებდა და წარმოედგინა მშვენიერი, ბედნიერი, კეთილშობილური გრძნობებით გამსჭვალული. ოცნებებით გატაცებული ტკბებოდა ქიმერებითა და რეალობით, აწმყოთი და მომავლით. მარი ინსტინქტურად მოქმედებდა, როგორც ყველა ქალი და გადაწყვიტა, ოდნავ უკან დაეხია, რომ განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება ამ ყმაწვილის გულზე. გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, გულით და სულით მინდობოდა, მაგრამ უნდოდა, ასე ვთქვათ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა დაეთბო. ისე ძალიან უნდოდა შესძლებოდა, შეეცვალა წარსულში თავისი ქცევები, სიტყვები, შეხედულებები, რომ ყველაფერი ყოფილიყო სიყვარულის აღმძვრელი ქალის ღირსების შესაბამისი, ზოგჯერ თვალები შიშით ევსებოდა, ცოტახნის წინანდელი საუბარი რომ ახსენდებოდა, ასეთი უკმეხი სითამამე რომ გამოამჟღავნა, მაგრამ ახალგაზრდა კაცის სახეზე აღბეჭდილი შინაგანი ძალის შემყურე ფიქრობდა, რომ ასეთი ძლიერი ადამიანი დიდსულოვანი უნდა ყოფილიყო და გახარებული ფიქრობდა, რომ ბევრ სხვა ქალზე მეტად გაუღიმა ბედმა, რათა შეახვედრა ასეთი მტკიცე ხასიათის ადამიანს, სიკვდილმისჯილს, თავი საფრთხეში რომ ჩაიგდო და რესპუბლიკას დაუპირისპირდა. იმის გაფიქრებამ, რომ ასეთი სულის ადამიანი შეიძლებოდა განუყოფლად მისი ყოფილიყო, ყველაფერს ფერი შეუცვალა. იმ მომენტიდან, როცა ხუთი საათის წინ ყასიდი სახითა და ყალბი ხმით ცდილობდა, გაეღიზიანებინა ეს წარჩინებული კაცი და ამ მომენტამდე, როცა ერთი შეხედვით შეეძლო მისი აფორიაქება, ისეთივე განსხვავება იყო, როგორიც არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებას შორის. წკრიალა კისკისი და მხიარული კეკლუცობა მალავდა დიდ ვნებას, რომელიც უბედურებასავით ღიმილით

წარმოჩინდა. ასეთი სულიერი მდგომარეობის დროს მადმუაზელ დე ვერნეისთვის გარეშე ცხოვრებამ ფანტასმაგორიული ხასიათი მიიღო. ეტლმა გაიარა სოფლები, ველები, მთები, არაფერი აღბეჭდილა მის მეხსიერებაში. ჩავიდა მაიენში. ესკორტის ჯარისკაცები შეიცვალნენ, მერლი დაელაპარაკა, მანაც უპასუხა, მთელი ქალაქი გადაჭრეს და ისევ გზას გაუდგნენ, მაგრამ სახეები, სახლები, ქუჩები, პეიზაჟები, ადამიანები - სიზმრის ბუნდოვანი თელებივით გაქრნენ. დაღამდა. ეტლი ალმასებით მოჭედილი ცის ქვეშ მიგრიალებდა, რბილი შუქი ეცემოდა ფუჟერის გზაზე, ცა სხვანაირი გახდა ისე, რომ მარის არაფერი შეუმჩნევია, არ ახსოვდა, რა იყო მაიენი და ფუჟერი, არ ახსოვდა, სად მიდიოდა. ფიქრადაც კი არ უნდოდა გავლება, რომ რამდენიმე საათის შემდეგ უნდა განშორებოდა ადამიანს, რომელიც მისი რჩეული გახდა და რომლისთვისაც, როგორც ეგონა, ისიც ერთადერთი იყო. სიყვარული ერთადერთი გატაცებაა, რომელსაც არც წარსული აქვს და არც მომავალი და თუ მარი ხანდახან სიტყვებით გამოხატავდა რაიმე აზრს, თითქმის უაზრო ფიქრები აღმოხდებოდა ხოლმე, რომლებიც მისი რჩეულის გულში სიყვარულის დაპირებასავით ჟღერდნენ. ორი უტყვი, მოწმე ქალის თვალქვეშ ახლადჩასახული ვნება ელვის სისწრაფით იზრდებოდა. ფრანსინი ისევე კარგად იცნობდა მარის, როგორც უცნობი ქალი - ახალგაზრდა კაცს და, წარსულის გამოცდილებით, ორივე საშინელი კვანძის გახსნას ელოდა. მართლაც, მათ თვალწინ გათამაშდა ამ დრამის დასასრული, რომელსაც მადმუაზელ დე ვერნეიმ ასე ნაღვლიანად, იქნებ უნებურადაც, ტრაგედია უწოდა.

როცა ოთხი მგზავრი, დაახლოებით, ერთი ლიეთი დაშორდა მაიენს, მოესმათ ცხენის თქარათქური, ვიღაც ძალიან სწრაფად მოაჭენებდა მათკენ: ეტლს რომ გაუსწორდა, მხედარი დაიხარა მარის დასანახად და მანაც კორანტენი იცნო. ამ ავსულმა თავს ნება მისცა, მისთვის მრავალმნიშვნელოვნად ჩაეკრა თვალი და ცხენი გააჭენა. ეს ფამილარობა, თავისი სიბილწით, ისეთი შეურაცხმყოფელი იყო ახალგაზრდა ქალისთვის, რომ სისხლი გაეყინა. ამ ფაქტმა ემიგრანტზეც უსიამოვნოდ იმოქმედა, რაც ვითომდა დედასაც არ გამორჩენია. მარი ოდნავ შეეხო ყმაწვილს მკლავზე და ისე შეხედა, თითქოს მის გულში თავშესაფარს ეძებდა, ერთადერთს დედამიწაზე. ყმაწვილს სახე გაუბრწყინდა. გაახარა და ააჩოჩქოლა სატრფოს ვითომ

უნებურმა შეხებამ, რაც სიყვარულის გამოხატულებად ჩათვალა. აუხსნელმა შიშმა კეკლუცობის სურვილი გაუნელა და სიყვარულსაც რიდე ჩამოხსნა. ორივე ჩუმად იყო, თითქოს ამ მომენტის გასახანგრძლივებლად. სამწუხაროდ, მადამ დიუ გა ყველაფერს ხედავდა, ყველაფერს მიხვდა და ძუნწივით, რომელიც სტუმრებს ლუკმას უთვლის, მათ სიცოცხლის დარჩენილ საათებს უთვლიდა. ბედნიერებისგან თვალისჩინდაკარგულებმა ვერ შეამჩნიეს, რა გზა გაიარეს, ვერ ხედავდნენ, რომ გზა უკვე ერნეს ღრმა ხეობას მიუყვებოდა - მდინარის სამიდან ერთ-ერთ აუზს, სადაც ამ ისტორიის წინა ამბები გათამაშდა. იქ ფრანსინმა შეამჩნია და ყურადღება გაამახვილა უცნაურ ფიგურებზე, რომლებიც ჩრდილებივით გადაადგილდებოდნენ ხეებს შორის და მინდვრებს ირგვლივ ბუჩქნარებში. როცა ეტლი ამ ჩრდილებს მიუახლოვდა, ზალპი მისცეს, ტყვიებმა მგზავრებს თავზე გადაუზუზუნეს და ჩრდილების რეალობაში დაარწმუნეს. ბადრაგი საფარში მოხვდა, ამ ტყვიების ზუზუნში კაპიტანმა მერლმა ძალიან ინანა, რომ გაიზიარა მადმუაზელ დე ვერნეის მცდარი გადაწყვეტილება, ღამით სწრაფად, უსაფრთხოდ ვივლითო და სამოც კაცზე მეტი არ წამოიყვანა. ჟერარის ბრძანებით, გზის ორივე მხარის გასაკონტროლებლად პატარა რაზმი ორ კოლონად გაიყო. ოფიცრებმა ჯოჯოსა და კურდღლისცოცხას ბუჩქებით დაფარული მინდვრები მტრის თავდასხმის მოსაგერიებლად ისე გადაირბინეს, რომ მტერი არ დაუთვლიათ.

ლურჯებმა, თავზეხელაღებული სიმამაცით, შუანების თავდასხმის საპასუხოდ, მარჯვნივ და მარცხნივ ხშირ ბუჩქნარებს, საიდანაც გამალებით ისროდნენ, ტყვია დააყარეს. პირველი, რაც შეშინებულმა მადმუაზელ დე ვერნეიმ გააკეთა, ეტლიდან გადმოხტა და კარგა მანძილზე უკან გაიქცა. მაგრამ შერცხვა თავისი სიმხდალისა, დაემორჩილა საყვარელი ადამიანისთვის თავის მოწონების სურვილს, შეჩერდა და ეცადა, გულგრილად ედევნებინა თვალი ბრძოლისთვის.

ემიგრანტი მიუახლოვდა, აიღო მისი ხელი და გულზე დაიდო.

- შემეშინდა, - გაუღიმა მარიმ, - ახლა კი...

ამ დროს შეშინებულმა მოახლემ შესძახა: ფრთხილად, მარი! თვითონაც უნდოდა ეტლიდან ჩამოსვლა, მაგრამ ძლიერმა ხელმა შეაჩერა. ხელი ისეთი მძიმე იყო, რომ ქალმა იკივლა,

შეტრიალდა და გაჩუმდა, იარე-მიწაზე იცნო.

- თქვენი შიშის მადლიერი უნდა ვიყო, - უთხრა ვაჟმა მადმუაზელ დე ვერნეის, - ზოგიერთი საიდუმლო რომ გამჟღავნდა. ფრანსინის წყალობით, ახლა ვიცი, რომ მშვენიერი სახელი გქვიათ - მარი. მარიამს წარმოვთქვამდი ყოველთვის წუხილის დროს! მარი - ამიერიდან სიხარულით წარმოვთქვამ. ახლა ყოველთვის მკრეხელობა გამომივა, შეერევა ერთმანეთს რელიგია და სიყვარული. მაგრამ განა დანაშაულია, ლოცულობდე და გიყვარდეს ერთდროულად?

ამ სიტყვებზე მაგრად მოუჭირეს ხელი ერთმანეთს. გრძნობების მოზღვავებამ სიტყვებით გამოხატვის ძალა და საშუალება ორივეს წაართვა.

- თქვენთვის არც არაფერია საშიში! - მკვახედ უთხრა იარე-მიწაზემ ფრანსინს და ხრინწიან, ჩახლეჩილ ხმას ისეთი ავისმომასწავებელი საყვედურის ტონი შეურია, რომ საბრალო გლეხის გოგო გაოგნდა.

გოგომ მის გამოხედვაში მძვინვარე სისასტიკე პირველად შეამჩნია. მთვარის შუქი თითქოს ერთადერთი განათება იყო, მას რომ უხდებოდა. ფერმკრთალ შუქზე, ყველაფერს რომ უჩვეულო იერს აძლევდა, ეს ველური ბრეტონელი, ცალ ხელში ჩაჩით და მეორეში მძიმე კარაბინით, ჩასკვნილი გნომივით, უფრო ფეერიულს ჰგავდა, ვიდრე რეალურს. ამ გამოჩენასა და საყვედურში მოჩვენების რაღაცნაირი სწრაფწარმავლობა იგრძნობოდა. მკვეთრად შეტრიალდა მადამ დიუ გასკენ, სწრაფად უთხრეს ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ფრანსინს ქვემობრეტონული დავიწყებოდა, ვერაფერი გაიგო. ქალბატონი, როგორც ჩანს, რაღაც მითითებებს აძლევდა იარე-მიწაზეს. ეს მოკლე საუბარი ქალის მბრძანებლური ჟესტით დასრულდა, შუანს შეყვარებულებისკენ რომ მიუთითებდა. სანამ ბრძანების შესასრულებლად წავიდოდა, იარე-მიწაზემ ფრანსინს უკანასკნელად შეხედა და ქალს მოეჩვენა, რომ მის თვალებში სინანული შენიშნა, ეტყობოდა, შუანს მასთან დალაპარაკება უნდოდა, მაგრამ გოგონამ იცოდა, რომ მის მიჯნურს სიჩუმე ჰქონდა ნაბრძანები. ხეშეში, მოთრიმლულივით კანი შუბლზე ნაოჭებად შეეჭმუხნა, წარბები მკაცრად შეეკრა. იქნებ მეორე ბრძანებას უძალიანდებოდა, მადმუაზელ დე ვერნეის მოკვლას რომ აიძულებდა? ამ გრიმასამ მისი სახე მადამ დიუ გასთვის კიდევ

უფრო მახინჯი გახადა, ფრანსინმა კი მის თვალებში თითქმის სინაზე შენიშნა, რამაც აფიქრებინა, რომ ამ ველურის ენერგიას თავისი ქალური ნებით მოდრეკდა და იმედი გაუჩნდა, რომ ღმერთის შემდეგ მეორე ადგილს დაიკავებდა, მის ბნელ გულში იმეფებდა.

მადამ დიუ გამ ყვირილით მიირბინა მარისთან, სასიამოვნო საუბარი შეაწყვეტინა, თითქოს რაღაც საფრთხე ელოდა, სტაცა ხელი და გააქცია, სინამდვილეში კი ალანსონის როიალისტთა კომიტეტის ერთ-ერთ წევრს, საშუალება მისცა, ემიგრანტს დალაპარაკებოდა.

- უფრთხილდით გოგოს, სასტუმრო „სამ - მავრში“ რომ შეხვდით, - როგორც კი ახალგაზრდა კაცს ეს სიტყვები ჩასჩურჩულა, პატარა, ბრეტონულ ცხენზე ამხედრებული შევალიე დე ვალუა კურდღლისცოცხას ბუჩქნარებში მიიმალა, საიდანაც ის-ის იყო, გამოვიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე სროლა ორივე მხრიდან გაისმოდა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში არ ჩაბმულან.

- მეთაურო, იქნებ ყალბი თავდასხმა იყო, მგზავრების მოსატაცებლად და გამოსასყიდის მოსათხოვნად? - იკითხა გულთამხილველმა.

- ეშმაკმა დალახვროს, მე მგონი, მართალი უნდა იყო! - შესძახა ჟერარმა და გზისკენ გაენთო.

ამასობაში შუანების მხრიდან სროლა ჩაწყნარდა, რადგან შევალიე დე ვალუასგან ემიგრანტისთვის რამდენიმე სიტყვის თქმა იყო ამ შეხლა-შემოხლის ერთადერთი მიზანი. მერლმა დაინახა, როგორ გარბოდნენ შუანები აქეთ-იქით, უწესრიგოდ და სახიფათო ბრძოლაში ჩაბმა უსარგებლოდ, ზედმეტად ჩათვალა. ჟერარმა, ერთი-ორი სიტყვით, ესკორტს პირვანდელი პოზიცია დააკავებინა და უდანაკარგოდ გასწიეს წინ. კაპიტანმა მადმუაზელ დე ვერნეის ხელი შეაშველა ეტლში ასვლისას, რადგან მისი დიდგვაროვანი თანამგზავრი მეხდაცემულივით იდგა. გაკვირვებულ პარიზელ ქალს რესპუბლიკელის თავაზიანობით არ უსარგებლია. გახედა თავის მიჯნურს, გახევებით რომ იდგა და გააოცა იმ უცნაურმა ცვლილებამ, მხედრის ნათქვამმა იდუმალმა სიტყვებმა რომ გამო-იწვია. ახალგაზრდა ემიგრანტი ნელა წავიდა ეტლისკენ. სახეზე სიძულვილი ეწერა.

- აბა, განა მართალი არ ვიყავი? - ჩასჩურჩულა მადამ დიუ გამ, ეტლამდე რომ მიაცილა, - ეჭვი არ არის, ამ თავაშვებული ქალის ხელში ვართ, თქვენი თავის ფასზე წინასწარ რომ არის მორიგებული, მაგრამ რაკი ეგ გოგო იმდენად სულელია, რომ შეუყვარდით, იმის მაგივრად, რომ თავის ხელობას მიხედოს, თავს ნუ გააბრიყვებინებთ და ვივეტიერში ჩასვლამდე თავი შეყვარებულად მოაჩვენეთ... მაგრამ, როგორც კი ჩახვალთ!..

- ვაი თუ უკვე მართლა შეუყვარდა?.. - გაიფიქრა ქალმა და შეხედა ახალგაზრდა კაცს, მძინარესავით გარინდებული რომ იჯდა. ეტლი ყრუდ მიგორავდა ქვიშიან გზაზე. მადმუაზელ დე ვერნეის, თვალის ერთი შევლებით, ირგვლივ ყველაფერი შეცვლილი ეჩვენა. მის სიყვარულში სიკვდილი შეიპარა უკვე. ეს ალბათ მხოლოდ ნიუანსები იყო ჯერ, მაგრამ შეყვარებულ ქალს შეპარული ფერიც მკვეთრად, კაშკაშად ეჩვენება. ფრანსინი იარე-მიწაზეს მზერით მიხვდა, რომ მადმუაზელ დე ვერნეის ბედი, რომლის დაცვაც სთხოვა, უკვე მის ხელთ აღარ იყო და გაფითრებული ცრემლს ვერ იკავებდა, ქალბატონი რომ შეხედავდა ხოლმე. მადამ დიუ გა ყასიდი ღიმილით ვერ ფარავდა ქალური შურისძიების ვერაგობას და მისი დამოკიდებულების შეცვლა მადმუაზელ დე ვერნეის მიმართ, შემპარავი ალერსიანობა მანერებში, ხმაში, სახეზე - დაკვირვებულ ადამიანს უთუოდ შეაფიქრიანებდა. მადმუაზელ დე ვერნეი ინსტინქტურად შეკრთა, მაგრამ გაიფიქრა, „რამ შემაძრწუნა? ის ხომ დედამისია?“ ამის გაფიქრებაზე მთელი სხე-ულით ათრთოლდა, „დედამისია კი?“ უფსკრული დაინახა, რომლის სიღრმეც ქალის წამიერმა შეხედვამ გაუნათა.

- ამ ქალს უყვარს!!! - გაიფიქრა მარიმ, - მაგრამ ასე რატომ დამიტკბა? სულ ახლახან არ იყო ასეთი გულცივი და თავშეკავებული? დავიღუპე? ან იქნებ ჩემი ეშინია?

ყმაწვილი კი ამასობაში ფითრდებოდა, წითლდებოდა, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნდებდა და თვალდახრილი იჯდა, რათა დაეფარა ის დიდი მღელვარება, რომელსაც ვერ ერეოდა. მაგრად მოკუმულ პირს გრაციოზული მოხაზულობა დაეკარგა. სახეზე მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა მშფოთვარე ფიქრებისგან. მადმუაზელ დე ვერნეი სიყვარულის კვალსაც კი ვეღარ ამჩნევდა. გზა ტყეში შევიდა, დაბნელდა და უჩუმარ აქტიორებს თვალებით ლაპარაკიც აღარ შეეძლოთ. ქარის

ჩურჩული, ხშირი ფოთლების შრიალი, ესკორტის მოზომილი ფეხის ხმა ამ სცენას რაღაცნაირ ზეიმურობას ანიჭებდა, რაც გულს აჩქროლებდა. მადმუაზელ დე ვერნეი თითქოს მიხვდა ამ ცვლილების მიზეზს. კორანტენმა გაიელვა მის გონებაში და თვალწინ დაუდგა თავისი ბედის სურათი. დილიდან თავის მდგომარეობაზე ერთხელაც არ დაფიქრებულა სერიოზულად. დაუფიქრებლად გადაეშვა სიყვარულის მორევში და არც თავის თავზე ფიქრობდა, არც მომავალზე. შემოწოლილ ნაღველს ვეღარ უძალიანდებოდა, დაეძებდა, ელოდა, სიყვარულით ნასაზრდოები მშვიდი მოთმინებით ელოდა, როდის შეხედავდა, ისე გულმხურვალედ ევედრებოდა, მისი სიფითრე და თრთოლვა ისეთი სულშიჩამწვდომი იყო, რომ ყმაწვილი შეტოკდა, შეყოყმანდა, მაგრამ კიდევ უფრო ატკინა გული.

- ცუდად ხართ, მადმუაზელ? - ხმას სირბილე გაჰქრობოდა, თვითონ კითხვა, შეხედვა, ჟესტი, ყველაფერი აფიქრებინებდა საბრალო გოგონას, რომ იმდღევანდელი მოვლენები მხოლოდ მირაჟი იყო, რომელიც გაქრა, როგორც მსუბუქ, რბილი მოხაზულობის ღრუბლებს წაიღებს ხოლმე ქარი.

- ცუდად? - ნაძალადევად გაიცინა, - ამ წუთში მე ვაპირებდი ამის კითხვას.

- მე კი მომეჩვენა, რომ ერთმანეთს მშვენივრად გაუგეთ, - ყალბი გულთბილობით თქვა მადამ დიუ გამ. არც დიდებულს და არც მადმუაზელ დე ვერნეის პასუხი არ გაუციათ, ახალგაზრდა ქალი კიდევ უფრო შეურაცხყოფილი, გულდაწყვეტილი იყო იმით, რომ მისმა ყოვლისშემძლე სილამაზემ ძალა დაკარგა. იცოდა, როგორც კი მოინდომებდა, გაიგებდა ამ ცვლილების მიზეზს, მაგრამ არც უცდია. ალბათ პირველად თქვა ქალმა უარი საიდუმლოს ამოხსნაზე. ადამიანის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ხშირია მდგომარეობა, როცა ან ღრმა მედიტაციის შედეგად, ან კატასტროფის გამო ჩვენი აზრები არაფერს გამოეკვანძება, საფუძველს კარგავენ, ამოსავალი წერტილი არა აქვთ და მაშინ ჩვენი აწმყო აღარ ებმის არც წარსულს, არც მომავალს. სწორედ ასეთი იყო მადმუაზელ დე ვერნეის სულიერი მდგომარეობა. ეტლის კუთხეში მიიყუჟა და ფესვიანად ამოგლეჯილი ნერგივით მოიწყინა. დამუნჯებული და გულდამძიმებული აღარავის უყურებდა. ჩაბრუნდა თავის დარდში და იმდენად არ უნდოდა ამ უხილავი სამყაროდან თავის დაღწევა, მიტოვება, სადაც

უბედურები პოულობენ თავშესაფარს, რომ ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა. ყვავებმა ყრანტალით გადაუფრინეს ეტლს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ყველა ძლიერ ნატურას მასაც ჰქონდა გულში ცრუმორწმუნეობისთვის დათმობილი კუნჭული, მარის ყურადღება არ მიუქცევია. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ.

- უკვე უცხოები გავხდით ერთმანეთისთვის, - ფიქრობდა მადმუაზელ დე ვერნეი, - ნეტავ რა მოხდა? ჩემ ირგვლივ არავის არაფერი უთქვამს. ნუთუ კორანტენი? მაგრამ ხელს რაში აძლევს? ვის შეეძლო ჩემთვის რამეში ბრალი დაედო? როგორც კი სიყვარული მესტუმრა, მაშინვე მიმატოვეს. სიყვარულს ვთეს და სიძულვილს ვიმკი. ნუთუ ასეთი იქნება ჩემი ბედი? - ვხედავდე ბედნიერებას და ყოველთვის ხელიდან მისხლტებოდეს!

და მაშინ ახალგაზრდა ქალმა იგრძნო ჯერ განუცდელი შფოთვა, ბორგვა, რადგან მართლა პირველად შეუყვარდა ცხოვრებაში, მაგრამ იმდენად არ გაუხსნა გული, რომ გულისტკივილი სიამაყით ვერ დაეამებინა, სიამაყით, რასაც ბუნება ახალგაზრდა ლამაზ ქალს ანიჭებს. თავისი სიყვარულის საიდუმლო ჯერ არ გაუმჟღავნებია, საიდუმლო, რომელსაც ზოგჯერ წამებითაც ვერ ამოგლეჯ. გასწორდა, იმით შეშინებულმა, რომ ჩუმი ტანჯვით გასცემდა თავისი გატაცების სიძლიერეს, თავი აიქნია, მომღიმარი სახე, ან, უფრო სწორად, მომღიმარი ნიღაბი უჩვენა თანამგზავრებს, მერე ეცადა, ხმა არ აჰკანკალებოდა და წუხილი შენიღბა.

კარი V

- სად ვართ? - ჰკითხა ქალმა კაპიტან მერლს, რომელიც ახლოს მიჰყვებოდა ეტლს.

- ფუჟერამდე სამნახევარი ლიეა, მადმუაზელ.

- მაშ, მალე ჩავალთ? - ლაპარაკის გასაგრძელებლად უფრო ჰკითხა და იმისთვისაც, ცოტა ყურადღება რომ გამოეჩინა მის მიმართ.

- სამი ლიე დიდი მანძილი არ არის, - სიხარულით აჰყვა საუბარში მერლი, - მაგრამ ამ ადგილებში უსასრულოა. როცა ამ ფერდობზე ავალთ და პლატოზე აღმოვჩნდებით, შეამჩნევთ ისეთსავე ხეობას, როგორიც გამოვიარეთ და ჰორიზონტზე დაინახავთ პელერინის მწვერვალს. ღმერთმა ინებოს, შუანებმა არ მოინდომონ რევანშის აღება! ხომ გესმით, გაუთავებელი ასვლა-ჩამოსვლით შორს ვერ წავალთ. პელერინიდან დაინახავთ კიდევ...

პელერინის გაგონებაზე ემიგრანტი მეორეჯერ შეკრთა, მაგრამ ისე მსუბუქად, რომ მხოლოდ მადმუაზელ დე ვერნეიმ შეამჩნია.

- ეს პელერინი რა არის? - მკვირცხლად ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა და კაპიტანს ბრეტონულ ტოპოგრაფიაზე მსჯელობა შეაწყვეტინა.

- ეს მთა გახლავთ, რომლის სახელიც დაერქვა მენის ველს, სადაც ახლა შევალთ და რომელიც ამ პროვინციას კუენონისგან ჰყოფს, რომლის ბოლოშიც ფუჟერია, ბრეტანის პირველი ქალაქი. ვანდემიერის ბოლოს პელერინის მახლობლად შევებრძოლეთ ვაჟკაცს და მის ყაჩაღებს. ახალწვეულები მიგვყავდა, მათ კი ისე არ უნდოდათ, თავიანთი მხარე მიეტოვებინათ, რომ საზღვარზე გადაწყვიტეს ჩვენი დახოცვა; მაგრამ იულო მაგარი ვინმეა, შავი დღე აყარა!..

- მაშ, ალბათ ვაჟკაციც ნახეთ, როგორია? - მარი ეშმაკურ მზერას არ აშორებდა ვითომ ვიკონტ დე ბოვანს.

- ოჰ! ღმერთო ჩემო! მადმუაზელ, - შესძახა მერლმა, მადმუაზელ დე ვერნეი წამდაუწუმ რომ აწყვეტინებდა სიტყვას, - ის ისე ჰგავს მოქალაქე დიუ გას, რომ პოლიტექნიკური სკოლის უნიფორმა რომ არ ეცვას, ნაძლევს დავდებდი, რომ ის არის.

მადმუაზელ დე ვერნეი დაჟინებით დააცქერდა ახალგაზრდა კაცის ცივ, უძრავ სახეს, არად რომ აგდებდა მას, მაგრამ შიშის ნატამალი ვერ შენიშნა. გესლიანი ღიმილით აგრძნობინა, რომ ამოხსნა საიდუმლო, ასე რომ უმალავდა. მერე თავი გვერდზე გადააგდო ისე, რომ დიდებულიც დაენახა და მერლიც და დამცინავად უთხრა რესპუბლიკელს: - კაპიტანო, ამბობენ, ეგ შუანების მეთაური ბევრ თავსატეხს უჩენს პირველ კონსულს. ამბობენ, რომ გულადია, მაგრამ წინდაუხედავი და

მოუფიქრებელი ყოფილა საქმეში და, განსაკუთრებით, ქალებთან.

- სწორედ მაგის იმედი გვაქვს, რომ ანგარიში გავუსწოროთ. სულ ორი საათით რომ ჩაგვაგდებინა ხელში, თავში ტყვიას ჩავაჭედებდით. რომ შეგვხვედროდა, ეგ კობლენცის ემისარი ჩვენც ასე მოგვექცეოდა და საიქიოს გაგვისტუმრებდა. ასე რომ, თვალი თვალის წილ, par pari...

- მაგ შეხვედრის ჩვენ არ გვეშინია! თქვენი ჯარისკაცები პელერინამდე ვერ მივლენ, დაღლილები არიან, - თქვა ემიგრანტმა, - და თუ თანახმა იქნებით, აქედან ორ ნაბიჯში შეძლებენ და-სვენებას. დედაჩემი ვივეტიერში ჩადის, აი, ამ გზით, რამდენიმე გასროლის მანძილზე. ეს ორი ქალბატონიც მოინდომებს ალბათ დასვენებას, დაღლილები არიან, შეუსვენებლად მოდიან ალანსონიდან. და რაკი მადმუაზელის დიდსულოვნების წყალობით, ჩვენი მგზავრობა ასეთი უსაფრთხოც იყო და სასიამოვნოც, - ნაძა-ლადევი თავაზიანობით მიუბრუნდა მადმუაზელ დე ვერნეის, - იქნებ მოისურვოს ივახშმოს დედაჩემთან. და თანაც, კაპიტანო, - მიმართა მერლს, - არც ისე ცუდად არის საქმე ვივეტიერში, ალბათ ერთი კასრი სიდრი თქვენი ხალხისთვისაც მოიძებნება. ყველაფერი არ წაურთმევია ჩვენთვის ვაჟკაცს, ყოველ შემთხვევაში, დედაჩემი ასე ფიქრობს...

- დედათქვენი? - ირონიულად შესძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ და ამ უცნაურ დაპატიჟებაზე არაფერი უპასუხა.

- როგორ, ამ საღამოს ჩემი ასაკი სარწმუნო აღარ გეჩვენებათ, მადმუაზელ? - უპასუხა მადამ დიუ გამ, - საუბედუროდ, ძალიან ახალგაზრდა გავთხოვდი, თხუთმეტი წლისას უკვე ვაჟი მყავდა...

- ხომ არ გეშლებათ, მადამ, ოცდაათისას ხომ არა?

მადამ დიუ გა გაფითრდა, მაგრამ უსიტყვოდ გადაყლაპა ეს სარკაზმი. ძალიან უნდოდა, შური ეძია, მაგრამ იძულებული იყო, გაეღიმა, რადგან რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ყველაზე სასტიკ დაცინვასაც კი აიტანდა, ოღონდ გაეგო, რა გრძნობები ამოძრავებდა ახალგაზრდა ქალს და თავი მოაჩვენა, ვითომ ვერ გაიგო, რა უთხრა.

- შუანებს ამაზე სასტიკი მეთაური არ ჰყოლიათ, თუ ჭორებს

დავუჯერებთ, - მიმართა ფრანსინს და მის ქალბატონს.

- ო, სასტიკი არა მგონია, - უპასუხა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - მაგრამ ტყუილები უყვარს და მეტისმეტად გულუბრყვილო და უეშმაკოა. პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი არავისი სათამაშო არ უნდა იყოს.

- იცნობთ? - ცივად ჰკითხა ახალგაზრდა ემიგრანტმა.

- არა, - უპასუხა ქალმა და სიძულვილით შეხედა, - მეგონა ვიცნობდი, მაგრამ...

- ო, მადმუაზელ, ნამდვილად ცბიერია, - კაპიტანმა თავი დაიქნია, - ძველ ოჯახებში ზოგჯერ გამოერევიან ხოლმე ასეთი მაგარი ნაშიერები, ის იმ ქვეყნიდან დაბრუნდა, სადაც ყოფილები, როგორც ამბობენ, მაინცდამაინც ტკბილად ვერ ცხოვრობენ და კაცები ზოგჯერ ზღმარტლივით არიან, ჩალაზე მწიფდებიან. თუ მარჯვე ბიჭია, დიდხანს გვარბენინებს. ჩვენს თავისუფალ მებრძოლებს მფრინავი რაზმი დაუპირისპირა და მთავრობის მცდელობა გაანეიტრალა. თუ როიალისტებს ერთ სოფელს დაუწვავენ, ის ორს აწვევინებს. დიდ ტერიტორიაზე მოქმედებს და იძულებულები ვართ, მნიშვნელოვანი ძალები გამოვიყვანოთ მის წინააღმდეგ, ჩვენ კი სწორედ ახლა არ გვყავს ზედმეტი ჯარები!.. ოო, საქმეში კარგად ერკვევა.

- სამშობლოს ღუპავს, - ხმამაღლა თქვა ჟერარმა და კაპიტანს სიტყვა შეაწყვეტინა.

- თუ მისი სიკვდილი სამშობლოს ხსნაა, - შეესიტყვა დიდებული, - მაშინ დახვრიტეთ, რაც შეიძლება მალე.

მერე ისე შეხედა მადმუაზელ დე ვერნეის, იტყოდით, სულის სიღრმემდე უნდა შეღწევაო და მათ შორის მუნჯი სცენა გათამაშდა, რომლის სიტყვებით გადმოცემაც შეუძლებელია, იმდენად მძაფრია დრამატიზმი და მოუხელთებელია დახვეწილობა. საფრთხე ინტერესს ჰმატებს, როცა სიკვდილზეა ლაპარაკი, ყველაზე საზიზღარი ბოროტმოქმედიც კი რაღაც სიბრალულს იწვევს. თუმცა მადმუაზელ დე ვერნეი დარწმუნებული იყო, რომ მისი მიჯნური, რომელმაც ხელი ჰკრა, შუანების საშიში ბელადი იყო, მაინც არ უნდოდა, რომ ეს სიკვდილით დასჯას დაედასტურებინა. სულ სხვა ცნობისწადილი აღეძრა. დაეჯერებინა თუ ეჭვი შეჰპარვოდა, ერჩია, მის გრძნობაზე ყოფილიყო დამოკიდებული და

საფრთხესთან თამაში დაიწყო.

მზერით, რომელშიც ვერაგული დაცინვა და ზეიმი ერთად ჩაბუდებულიყო, ამბოხებულთა ახალგაზრდა ბელადს ჯარისკაცებზე მიუთითებდა, როგორც საფრთხეზე, მას რომ უქმნიდნენ. მოსწონდა, ასე სასტიკად რომ ახსენებდა, რომ მისი სიცოცხლე ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული და თითქოს ტუჩებს აცმაცუნებდა უკვე ამ სიტყვის სათქმელად. ამერიკელი ველურების მსგავსად, ბოძზე მიბმული მტრის სახეზე ყოველ ძარღვს აკვირდებოდა, მოხდენილად ამოძრავებდა საჯირგველას, ტკბებოდა უვნებელი შურისძიებით, რომლითაც სჯიდა შეურაცხმყოფელს იმ ქალივით, რომელსაც ჯერ კიდევ უყვარს.

- ასეთი ვაჟი რომ მყავდეს, მადამ, - აშკარად შეშინებულ ქალს მიმართა მარიმ, - ძაძას ჩავიცვამდი იმ დღიდან, როცა საშიში ბედისწერის ანაბარა დავტოვებდი.

პასუხი არ მიუღია. ოცჯერ მაინც მიბრუნდებოდა ოფიცრებისკენ და მერე უცებ შეხედავდა მადამ დიუ გას, მაგრამ ერთხელაც ვერ დაიჭირა, ამ ქალს და ვაჟკაცს რაიმე ენიშნებინათ ერთმანეთისთვის, რაც მათ ინტიმურ სიახლოვეს დაამტკიცებდა. რის ეჭვიც ჰქონდა და რაც ახლახან უნდოდა, რომ მხოლოდ ეჭვი ყოფილიყო. ქალს უყვარს ყოყმანი, როცა ბრძოლა მოწინააღმდეგის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება და გადაწყვეტილება კი მისი მისაღებია. ახალგაზრდა მეთაური მშვიდად იღიმებოდა და აუღელვებლად იტანდა წამებას, რასაც მადმუაზელ დე ვერნეი უწყობდა. თავისი მანერებითა და გამომეტყველებით ადასტურებდა, რომ არ ეშინოდა ხიფათის, რომელშიც ჩავარდა და თითქოს მზერით იმასაც კი ეუბნებოდა, „აი, მოგეცათ შემთხვევა, თქვენი თავმოყვარეობის შელახვისთვის შური იძიოთ, ისარგებლეთო! ძალიან მეწყინება, თქვენს აბუჩად აგდებაზე უარის თქმა თუ მომიხდებაო.“

მადმუაზელ დე ვერნეიმ ისარგებლა ხელსაყრელი მდგომარეობით და უტიფრად, ამპარტავნულად და საკუთარი ყადრის აშკარა ხაზგასმით თვალს არ აშორებდა შუანების მეთაურს, რადგან გულის სიღმეში აღფრთოვანებული იყო მისი გულადობითა და სიმშვიდით. უხაროდა, რომ მისი მიჯნური ძველ დიდგვაროვან ოჯახს ეკუთვნოდა, ეს პრივილეგია ყველა ქალს მოსწონს. სიამოვნებდა, რომ ისეთ სიტუაციაში შეხვდა, როცა უბედურებით გაკეთილშობილებული საქმის დაცვას

ლამობდა და ებრძოდა ამდენ გამარჯვების მომპოვებელ რესპუბლიკელს, არ ეპუებოდა საფრთხეს, რაც ასე იზიდავს ქალის გულს. ოცჯერ მაინც მოუწყო გამოცდა ალბათ იმ ინსტინქტის ძალით, რომლის ზეგავლენითაც ქალი ისე ეთამაშება თავის მსხვერპლს, როგორც კატა აწვალებს დაჭერილ თაგვს.

- რომელი კანონის ძალით გამოგაქვთ შუანებისთვის სასიკვდილო განაჩენი? - ჰკითხა მადმუაზელ დე ვერნეიმ მერლს.

- წლევანდელი 14 ფრუქტიფდორის დეკრეტით, რითაც ამბოხებული დეპარტამენტები კანონგარეშედ გამოცხადდა და დაფუძნდა სამხედრო საბჭოები, - უპასუხა რესპუბლიკელმა.

- რას უნდა ვუმადლოდე თქვენს ყურადღებას? - ჰკითხა მარიმ ახალგაზრდა მეთაურს, დაჟინებით რომ უყურებდა.

- იმ გრძნობას, რომელსაც ვერც ერთი ზრდილობიანი ადამიანი ვერ ეტყვის ქალს, ვინც არ უნდა იყოს, - ჩუმად უთხრა მარკიზმა დე მონტორანმა და მისკენ გადაიხარა, - რა დროში მოგვიხდა ცხოვრება! - განაგრძო ხმამაღლა, - როცა გოგოები ასრულებენ ჯალათის საქმეს და ხანდახან სჯობნიან კიდევაც ცულის ხმარებაში...

ქალმა დაჟინებით შეხედა მონტორანს, მერე მისი გამბედაობით აღტაცებულმა, რომ შესძლო ქალის შეურაცხყოფა მაშინ, როცა მის ხელთ იყო, ნაზად, ეშმაკური ღიმილით უჩურჩულა ყურში: - მეტისმეტად ჯიუტი თავი გაქვთ, ჯალათებს არ მოეწონებათ, ჩემთვის დავიტოვებ.

გაოცებულმა მარკიზმა თვალი ვერ მოაშორა ამ ახირებულ, უცნაურ ქალიშვილს, რომლის სიყვარულიც ყველაფერზე მაღლა იდგა, უმძიმეს შეურაცხყოფაზეც კი, გულისმომკვლელ წყენაზე, რომელსაც ქალი ვერ ივიწყებს და შურს პატიებით იძიებდა. ვაჟს მზერაში სისასტიკე და სიცივე შეურბილდა, სახეზე ნაღველმაც კი გადაურბინა. მისი ვნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. მადმუაზელ დე ვერნეიმ, სანატრელი შერიგების ამ უმცირესი გამოვლინებით კმაყოფილმა, ნაზად შეხედა წინამძღოლს, რაც კოცნის ტოლფასი იყო. მერე ეტლის სიღრმეში მიიყუჟა და აღარ უნდოდა ამ დრამის ბედნიერი მომავლის საფრთხეში ჩაგდება, დარწმუნებულს, რომ მისმა ღიმილმა კვანძი შეკრა. ისეთი ლამაზი იყო! ისე კარგად იცოდა

სიყვარულში წინააღმდეგობების დაძლევა, ისე იყო ყველაფრის თამაშ-თამაშ კეთებას მიჩვეული, ალალბედზე თამამად წინსვლას! ისე უყვარდა ყველაფერი მოულოდნელი, უჩვეულო, ცხოვრების ქარიშხლები!

მალე, მარკიზის ბრძანებით, ეტლმა მთავარი გზიდან გადაუხვია და ვივეტიერისკენ გაემართა ოღროჩოღრო, ვაშლის ხეებით დაფარული, მაღალ ფერდობებს შორის მოქცეული უფრო თხრილებით, ვიდრე გზით. მგზავრებმა უკან ჩამოიტოვეს ლურჯები, მცველთა რაზმი ნელა გაჰყვა ეტლს ციხე-დარბაზისკენ, რომლის რუხი სახურავი ჩნდებოდა და იკარგებოდა გზისპირა ხეებს უკან, რამდენიმე ჯარისკაცი ძლივს აძრობდა ტალახიდან დამძიმებულ ფეხსაცმელებს.

- რა მაგრად ჰგავს ეს გზა სამოთხისას! - წამოიძახა იფრინდამ.

გამოცდილი მეეტლის წყალობით, მადმუაზელ დე ვერნეიმ ვივეტიერის ციხე-დარბაზის სახურავი მალე დაინახა. სახლი კონცხისმაგვარ კლდეზე იდგა, ორი ღრმა წყალსაცავი ემიჯნებოდა, რის გამოც სახლთან მისვლა მხოლოდ ვიწრო ქვაფენილით შეიძლებოდა. ამ ნახევარკუნძულის ნაწილი, საცხოვრებლები და ბაღები ციხე-დარბაზის უკანა მხრიდან რაღაც მანძილზე დაცული იყო განიერი თხრილით, სადაც წყალსაცავებიდან ზედმეტ წყალს უშვებდნენ ხოლმე და, ფაქტობრივად, კუნძული მიუდგომელი ხდებოდა, შესანიშნავი თავშესაფარი მეთაურისთვის, რომელსაც თუ არა ღალატით, ვერავინ მოიხელთებდა. გაისმა კარის დაჟანგული ანჯამების ღრჭიალი და მგზავრებმა წინა ომის დროს დანგრეული პორტალის ისრული კამარის ქვეშ გაიარეს, მადმუაზელ დე ვერნეიმ თავი გაყო ეტლის ფანჯრიდან. მის თვალწინ გადაშლილი სურათის პირქუშმა ფერებმა თითქმის გააქრო ფიქრები სიყვარულსა და კეკლუცობაზე, რომლებიც ნანასავით ამშვიდებდნენ. ეტლი შევიდა დიდ, თითქმის კვადრატულ, წყალსატევების დამრეცი ნაპირებით ჩაკეტილ ეზოში. ამ გაუდაბურებული, დიდი მწვანე ლაქებით დაფარული წყლით შემოსაზღვრულ სივრცეს ერთადერთ სამკაულად კოჟრებიანი, ფოთლებგაცვენილი ხეები ჰქონდა, უზარმაზარი ვარჯით ლელქაშსა და ბუჩქნარს რომ დაჰყურებდნენ ხის გროტესკული ფიგურებივით. ეს უსახური ღობე თითქოს გაცოცხლდა, ახმაურდა, როცა ბაყაყები ყიყინით ჩაცვივდნენ წყალში და რამდენიმე, ეტლის ხმაურისაგან გაღვიძებული, შეშინებული

კუ აფართხალდა წყლის ზედაპირზე. მაღალი, დამჭკნარი ბალახით, ჯოჯოთი, ჯუჯა ბუჩქებითა და პარაბიტებით გარშემორტყმული ეზო გამორიცხავდა რაიმე წესრიგს ან დიდებულებას. ციხე-დარბაზი დიდი ხნის მიტოვებულს ჰგავდა. სახურავები ზედ ამოსული მცენარეულობისაგან დაწეულივით იყო. კედლები, მართალია, ფიქლისა იყო, იქვე რომ მოიპოვებოდა, მაგრამ დამსკდარი, ზედ აცოცებული სუროთი, ჯავებით კედლის ბზარებზე რომ ებღაუჭებოდა. შენობის მართობულად განლაგებული, მაღალი კოშკით შეერთებული ორი ფრთა ფასადით წყალსაცავისკენ იყო მიბრუნებული. დამპალი, აქა-იქ ანჯამებმოშლილი კარი და დარაბები, დაჟანგული ბალუსტრადები, დაძველებული ფანჯრები თითქოს პირველივე ქარიშხლის დროს უნდა ჩამოქცეულიყო. ქარი სისინებდა ფარღალალა შენობაში, რომელსაც მთვარის მქრქალი შუქი უზარმაზარ მოჩვენებას ამსგავსებდა. მხოლოდ თქვენი თვალით თუ ნახავთ რუხ და მოლურჯო გრანიტის ლოდებს, შერეულს შავ და მოწითლო ფიქალთან, მაშინ მიხვდებით, რა შთაბეჭდილება დარჩებოდა მნახველს ამ ცარიელი, ჩაშავებული ჩონჩხისგან. დაცილებული ქვები, უმინებო ფანჯრები, ქონგურებიანი კოშკები, დაცხრილული სახურავები მართლა ჩონჩხს ამსგავსებდა ამ ნაგებობას. გნიასით წამოშლილი მტაცებელი ფრინველები ამ მსგავსებას თავის შტრიხს უმატებდნენ. სახლის უკან დარგული მაღალი ნაძვები სახურავებს ზემოთ არწევდნენ მძიმე მუქ ტოტებს. რამდენიმე ოდესღაც გასხლული ურთხელი, შენობის კუთხეებს რომ ალამაზებდა, ახლა უსახური სუდარის ნაპირებს ჩამოყოლებულ კუწუბებს ჰგავდა. დაბოლოს, კარის ფორმა, გამოჩორკნილი ორნამენტები, კონსტრუქციების ანსამბლურობის უგლებელყოფა, ყველაფერი მიუთითებდა, რომ ეს ერთ-ერთი იმ ფეოდალურ ციხე-კოშკთაგანი იყო, ასე რომ ეამაყება ბრეტანს და, ალბათ, სამართლიანადაც, რადგან იმ ბურუსით დაფარული დროის მონუმენტურ ისტორიას შეადგენდნენ, მონარქიის დაფუძნებას რომ უსწრებდა. სიტყვა ციხე-დარბაზს მადმუაზელ დე ვერნეის წარმოსახვაში გარკვეული ფორმა გააჩნდა, ტრადიციული და ახლა ეტლიდან მსუბუქად რომ გადმოხტა და მიიხედ-მოიხედა, დაზაფრული მარტო უყურებდა ამ დამთრგუნველ სანახაობას და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. ფრანსინმა გაიგონა, როგორი შვებით ამოისუნთქა მადამ დიუ გამ, ლურჯებს რომ დაეღწია. საბრალო

გოგონამ უნებურად შეჰკივლა, ჭიშკარი რომ ჩაიკეტა და ამ ბუნებრივ ციხე-სიმაგრეში აღმოჩნდა. მონტორანი მადმუაზელ დე ვერნეისკენ გაეშურა, მიხვდა, რა ფიქრებიც აწუხებდა.

- ეს ციხე-დარბაზი ომმა დაანგრია, - მსუბუქი ნაღველი შეურია ხმაში, - როგორც თქვენ დამინგრიეთ ჩვენი ბედნიერებისთვის ნაშენები ოცნების კოშკი.

- ეგ როგორ? - გაუკვირდა მარის.

- თქვენ, მართალია, „ახალგაზრდა, ლამაზი, კეთილშობილი და ჭკვიანი ქალი ხართ“, - ოდნავი ირონიით გაიმეორა სიტყვები, ასე კეკლუცად რომ უთხრა ქალმა გზაში საუბრისას.

- ვინ გითხრათ, რომ ასე არ არის?

- მეგობრებმა. სანდო ადამიანებმა, ჩემს უსაფრთხოებაზე რომ ზრუნავენ და ღალატისგან მიცავენ.

- ღალატისგან? - დამცინავი ღიმილით ჰკითხა ქალმა, - განა ალანსონი და იულო მაშ უკვე ასე შორს არიან? მეხსიერება გღალატობთ! პოლიტიკური პარტიის ლიდერისთვის სახიფათო ნაკლია! მაგრამ რაკი მეგობრები ასე ძლიერად მეფობენ თქვენს გულში, - განსკუთრებული კადნიერებით დაუმატა, - გიყვარდეთ თქვენი მეგობრები. ვერაფერი შეედრება მეგობრობის სიხარულს. მშვიდობით. არც მე და არც რესპუბლიკის ჯარისკაცები აქ არ შემოვალთ.

შელახული სიამაყითა და დაცინვით ბრაზმორეული ჭიშკრისკენ გაქანდა და მთელი მისი გარეგნობა ისეთ კეთილშობილებასა და სასოწარკვეთას გამოხატავდა, რომ მარკიზმა აზრი შეიცვალა. თანაც ისე უჭირდა თავის სურვილებზე უარის თქმა, რომ ისევ იძალა მასში გაუფრთხილებლობამ და გულუბრყვილობამ. მასაც ხომ უკვე უყვარდა. შეყვარებულებს კი დიდხანს კინკლაობის სურვილი არ ჰქონდათ.

- მხოლოდ ერთი სიტყვა დაუმატეთ და დაგიჯერებთ, - შეევედრა ვაჟი.

- ერთი სიტყვა? - ირონიულად გაიმეორა და ტუჩები მოკუმა, - სიტყვა? ჟესტიც კი არა!

- გამიჯავრდით მაინც, - შეეხვეწა და ხელზე ხელის მოკიდება

სცადა. მარიმ გამოგლიჯა ხელი. - თუ მოინდომებთ ამბოხებულთა ბელადზე გაჯავრებას, რადგან ისეთივე უნდო და გულჩათხრობილი გახდა, როგორი მხიარული და მიმნდობიც იყო ცოტა ხნის წინ... მარის მზერაში მრისხანება გამქრალიყო და ვაჟმა დაუმატა: - თქვენ იცით ჩემი საიდუმლო, მე კი თქვენი არ ვიცი.

ამ სიტყვებზე ქათქათა სახე მოექუფრა, კუშტად შეხედა მეთაურს და უპასუხა: - ჩემი საიდუმლო? არასოდეს!

სიყვარულში ყოველი სიტყვა, ყოველი მზერა განსაკუთრებით მჭევრმეტყველია; მადმუაზელ დე ვერნეის თავისი პასუხით არაფერი გაუმხელია და, მიუხედავად გამჭრიახობისა, მონტორანმა ვერაფერი ამოიცნო, თუმცა გოგონას ხმაში დაჭერილმა მღელვარებამ გამოაფხიზლა მისი ცნობისმოყვარეობა.

- ეჭვების გაფანტვის უცნაური მანერა გაქვს.

- თქვენ რა, კიდევ დაგრჩათ ეჭვები? - და ისე ახედ-დახედა, თითქოს ეუბნებოდა, ჩემზე რამე უფლება გაქვთო?

- მადმუაზელ, - მორჩილად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა, - თქვენი ძალაუფლება რესპუბლიკელთა ჯარზე, ეს ესკორტი...

- ჰო, მართლა, გამახსენეთ! მითხარით, ჩემი მხლებლები და მე თვითონ, ანუ თქვენი დამცველები, - ხმაში ირონია გაისმა, - აქ უსაფრთხოდ ვიქნებით?

- დიახ, გაძლევთ კეთილშობილი კაცის სიტყვას! ვინც უნდა იყოთ, მადმუაზელ, თქვენ და თქვენს ხალხს ჩემს სახლში საფრთხე არ გემუქრებათ.

ეს საზეიმო დაპირება ისე გულწრფელად და დიდსულოვნად ჟღერდა, რომ მადმუაზელ დე ვერნეის რესპუბლიკელთა ბედი აღარ აშფოთებდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა; სწორედ ამ დროს მადამ დიუ გა მიუახლოვდა. ამ ქალმა გაიგო თუ გამოიცნო შეყვარებულთა საუბრის ნაწილი და აფორიაქდა, მიხვდა, მათ შორის მტრობას ბოლო მოეღო. ამ ქალის დანახვისთანავე, მარკიზმა ხელი შესთავაზა მადმუაზელ დე ვერნეის და სახლისკენ გაეშურნენ, თითქოს უსიამოვნო მხლებლისგან უნდოდა თავის არიდება.

- ხელს ვუშლი, - გაიფიქრა მადამ დიუ გამ და ადგილზე

გაშეშდა. უყურებდა, შერიგებული მიჯნურები როგორ მიდიოდნენ პარმაღისკენ და როგორც კი საკმაო მანძილით დაშორდნენ, სასაუბროდ შეჩერდნენ.

- ჰო, მე მათ ხელს ვუშლი, - გაიმეორა ქალბატონმა, - მაგრამ სულ მალე ეს ქნილება მე ვეღარ შემიშლის, ვფიცავ, ეს ტბორი გახდება მისი საფლავი! შენს „კეთილშობილი კაცის სიტყვას“ მე თვითონ შევასრულებ. განა უსაფრთხოდ არ იქნება წყალქვეშ?

გარინდებული მადამ დიუ გა თვალს არ აშორებდა ციხე-დარბაზის მარჯვნივ პატარა ტბის სარკესავით მშვიდ ზედაპირს. უცებ ნაპირზე ძეძვნარში ხმაური მოესმა და მთვარის შუქზე დაინახა იარე-მიწაზე, ბებერი, დაკოჟრილი ძეწნის უკნიდან რომ გამოვიდა. კარგად უნდა გცნობოდა შუანი, შიშველ, დაგრეხილ ხეთა კორომში რომ შეგემჩნია, მისი სხეული ხეებს ერწყმოდა. ქალბატონმა უნდობლად მოატარა თვალი ირგვლივ, დაინახა მეეტლე, ცხენები რომ შეჰყავდა საჯინიბოში ციხე-დარბაზის იმ ფრთისკენ, წყლისკენ, იმ ადგილისკენ რომ იყო, სადაც იარე-მიწაზე იყო დამალული. ფრანსინი შეყვარებულებისკენ მიდიოდა, დედამიწაზე აღარაფერი რომ არ ახსოვდათ. ქალბატონმა წაიწია წინ, ტუჩებზე მიიდო თითი, შუანს რომ არ ეხმაურა. შუანი უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგო სიტყვები: - აქ რამდენნი ხართ?

- ოთხმოცდაშვიდნი.

- ისინი სამოცდახუთნი არიან, დავთვალე.

- კარგი, - უპასუხა ველურმა ავი კმაყოფილებით.

შუანს ფრანსინის არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია და როგორც კი დაინახა, რომ შემობრუნდა და თვალით ეძებდა ქალბატონს, ინსტინქტურად თავის მტრად რომ მიიჩნევდა, ძეწნის უკან მიიმალა.

მთავარი კარის პარმაღზე შვიდი-რვა კაცი გამოჩნდა. შეძახილი გაისმა.

- ეს ვაჟკაცია! ის არის, აი, ისიც! - ამ ხმაურზე სხვებმაც მიირბინეს და მათმა გამოჩენამ საუბარი შეაწყვეტინა მიჯნურებს.

მარკიზი დე მონტორანი სწრაფად მიუახლოვდა დიდებულებს,

ჟესტით ანიშნა, გაჩუმებულიყვნენ და ხეივნის ბოლოსკენ მიუთითა, სადაც უკვე მოაბიჯებდნენ რესპუბლიკელი ჯარისკაცები. ლურჯი მუნდირებისა და ბჭყვიალა ხიშტების დანახვაზე გაოცებულმა შეთქმულება შესძახეს: - მაშ, იმისთვის მოხვედით, რომ ჩვენთვის გეღალატათ?

- ასე რომ იყოს, საფრთხეზე არ მიგანიშნებდით? - სინანულიანი ღიმილით უპასუხა მარკიზმა, - ეს ლურჯები, - მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო მან, - მცველთა რაზმია ამ ახალგაზრდა ქალბატონისა, რომლის დიდსულოვნებამაც სასწაულებრივად გადაგვარჩინა დღეს დაღუპვას ალანსონის სასტუმროში. ამას მერე გიამბობთ. მადმუაზელი და მისი დაცვა აქ იმიტომ არიან, რომ დავპირდი, მეგობრებივით მივიღებდით.

მადამ დიუ გა და ფრანსინიც მიუახლოვდნენ პარმაღს. მარკიზმა თავაზიანად შესთავაზა ხელი მადმუაზელ დე ვერნეის. დიდებულები ორად გაიყვნენ და გზაზე გადავიდნენ მათ გასატარებლად. ყველანი ცდილობდნენ, უცნობი ქალის სახე დაენახათ, რადგან მადამ დიუ გამ უკვე მოასწრო, მალულად რაღაცები ენიშნებინა და მათი ცნობისმოყვარეობა გაეღვიძებინა. პირველ ოთახში მადმუაზელ დე ვერნეიმ ოციოდე სტუმრისთვის შეს-ანიშნავად გაშლილი სუფრა დაინახა. სასადილო ოთახი დიდ მისაღებ ოთახს უკავშირდებოდა, სადაც მალე ყველამ მოიყარა თავი. ორივე ოთახი, თავისი მოწყობილობით, სრულიად ეხამებოდა იმ რღვევას, რაც ციხე-კოშკს გარედან ეტყობოდა. კაკლის ხის, მაგრამ ნაჩორკნი, ცუდად დამუშავებული, ერთმანეთს დაცილებუ-ლი პანელები გეგონებოდათ, საცაა, ჩამოცვივდებაო. მათი სიმუქე კიდევ უფრო პირქუშს ხდიდა უსარკო და უფარდებო დარბაზებს, სადაც ძველი, დანჯღრეული ავეჯი ჰარმონიულ მთლიანობაში იყო ამ ჟამგადასულ ნაგებობასთან. მარიმ შეამჩნია დიდ მაგიდაზე გაშლილი გეოგრაფიული რუკები და გეგმები. კუთხეში დახვავებული ხმლები და კარაბინები. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ შუანებისა და ვანდეელების მეთაურებს მნიშვნელოვანი თათბირი ჰქონდათ. მარკიზმა მადმუაზელ დე ვერნეი უზარმაზარ, ჭიანაჭამ სავარძლამდე მიიყვანა, ბუხართან ახლოს. ფრანსინი ქალბატონის უკან მოთავსდა, ძველისძველი სავარძლის საზურგეს ჩამოეყრდნო.

- ნება მომეცით, ერთი წამით მასპინძლის მოვალეობა

შევასრულო, - უთხრა მარკიზმა და ჯგუფ-ჯგუფად მდგომი სტუმრებისკენ გაეშურა.

ფრანსინმა შეამჩნია, რომ მონტორანის რამდენიმე სიტყვის გაგონებაზე ჯარის წინამძღოლებმა საჩქაროდ დამალეს იარაღი, აკეცეს რუკები და გეგმები, ყველაფერი, რასაც რესპუბლიკელ ოფიცერთა ეჭვის გამოწვევა შეეძლო. ზოგიერთმა პისტოლეტებიანი და სანადირო დანებიანი ტყავის ქამარიც კი მოიხსნა. მარკიზმა სთხოვა, ძალიან ფრთხილად ყოფილიყვნენ, ბოდიში მოუხადა, შემთხვევით მოსულ უსიამოვნო სტუმრებს უნდა მივხედო აუცილებლადო და გავიდა. მადმუაზელ დე ვერნეის ფეხები მიეშვირა ცეცხლისთვის და ითბობდა. და როცა მონტორანი გავიდა, თავიც არ მიუბრუნებია, რითაც დამსწრეებს იმედი გაუცრუა, მისი სახის დანახვა რომ უნდოდათ. მხოლოდ ფრანსინმა შენიშნა, როგორი ცვლილება გამოიწვია სტუმრების ქცევაში ახალგაზრდა მეთაურის წასვლამ. დიდგვაროვნები შემოეხვივნენ მადამ დიუ გას, ჩუმად რომ უამბობდა რაღაცას და მსმენელები წამდაუწუმ უყურებდნენ ორ უცნობ ქალს.

- მონტორანს ხომ იცნობთ? - ეუბნებოდა მადამ დიუ გა, - დანახვისთანავე გადაირია ამ გოგონაზე და, ცხადია, გესმით ჩემი ნათქვამი ყველაფერი, გონივრული რჩევებიც საეჭვოდ ეჩვენებოდა. ჩვენი პარიზელი მეგობრები, ბატონები დე ვალუა და დ'ეგრინიონი ალანსონიდან - ყველანი აფრთხილებდნენ, რომ მახეს უგებენ, მიუგზავნიდნენ უწესო ქალს და მასაც პირველი შემხვედრი შეუყვარდა, ეგ გომბიო, რომელმაც, დანამდვილებით გავიგე, კეთილშობილი სახელი დაირქვა, მის თავლაფდასასხმელად და რომელიც, და ა.შ. და ა.შ.

ამ ქალბატონში მკითხველმა იცნო ის ქალი, რომელმაც ტურგოტინაზე თავდასხმა გადაწყვიტა და ჩვენს თხრობაში შეინარჩუნებს სახელს, რომელმაც ალანსონში გავლისას საფრთხეს აარიდა. მისი ნამდვილი გვარის ხსენებით შეურაცხყოფას მივაყენებდით კეთილშობილ ოჯახს, უამისოდაც ძალიან გულნატკენს მისი ბობოქარი ცხოვრებით. თანაც ამ ახალგაზრდა ქალის ბედი სხვა სცენის სიუჟეტი იყო. მალე მადამ დიუ გას მსმენელების ცნობისმოყვარეობა უტიფარი, თითქმის მტრული გახდა. ფრანსინის ყურამდე რამდენიმე გამქირდავმა შენიშვნამ მიაღწია. მან მოკლედ გააფრთხილა თავისი ქალბატონი, მოშორდა სავარძელს და

ფანჯრის ამბრაზურა შეეფარა. მარი ადგა, მიუბრუნდა იმ რამდენიმე კადნიერ ადამიანს და შეხედა. მისი მზერა ღირსებასა და ზიზღს გამოხატავდა. მისმა მშვენიერებამ, ელეგანტურობამ, მანერებმა და სიამაყემ უცებ შეცვალა მტრების მისდამი დამოკიდებულება. აღფრთოვანებული მოწონების გამომხატველი ჩურჩული გაისმა. ორი-სამი კაცი, გაჟღენთილი დახვეწილი თავაზიანობით, მხოლოდ მეფის კარზე მოტრიალეს რომ გააჩნია, მოკრძალებით მიეახლა. მისმა თავშეკავებულმა კდემამოსილებამ მოწიწება გამოიწვია. ვერავინ ბედავდა დალაპარაკებას, მით უმეტეს, ბრალდებას. პირიქით, თითქოს თვითონ იყო მათი მსაჯული. ღმერთისა და მეფისთვის გაჩაღებული ომის მეთაურები სულაც არ ჰგავდნენ იმ პორტრეტებს, მარი წარმოსახვაში რომ ხატავდა ხოლმე. ეს მართლაც დიადი ბრძოლა მის თვალში უცებ დაკნინდა, როცა ორი-სამი ენერგიული სახის გვერდით დაინახა ყოველგვარ ექსპრესიასა და სიცოცხლეს მოკლებული ეს პროვინციელი დიდებულები. პოეზიის მწვერვალებიდან მარი რეალობაში ჩამოვარდა. ის სახეები თითქოს ინტრიგისკენ მიდრეკილებას უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე დიდების სიყვარულს, და მართლაც, რეალურად, ანგარებამ ააღებინა ამ დიდებულებს ხელში იარაღი. და თუ ბრძოლაში გმირობასაც სჩადიოდნენ, აქ შეულამაზებლად, რაც იყვნენ, ის იყვნენ. ილუზიების გაცრუებამ მადმუაზელ დე ვერნეი მიკერძოებული და უსამართლო გახადა და ვერ ამოიცნო ნამდვილი ერთგულება, თავდადება, რამაც ბევრი მათგანი ასეთი შესანიშნავი გახადა. სტუმრების უმრავლესობას ვულგარული მანერები ჰქონდა. რამდენიმე ადამიანი გამოირჩეოდა სხვებისგან, მაგრამ ისინიც კნინდებოდნენ არისტოკრატული ეტიკეტისა და პირობითობის გამო. მარიმ აღიარა ამ ხალხის აზროვნების დახვეწილობა და ურთიერთობის სინატიფე, სამაგიეროდ, ვერ შეამჩნია ის სისადავე, ის დიდებულება, რასაც რესპუბლიკის გამარჯვებებმა და რესპუბლიკელებმა მიაჩვიეს. იმ ღამეულმა თავყრილობამ, დანგრეულმა კოშკმა, დაზიანებული, რთული ორნამენტებით, ასე რომ ეხამებოდა სტუმრებს, მარის ღიმილი მოჰგვარა და მონარქიის სიმბოლური სურათი წარმოუდგა. სიხარული მოჰგვარა იმ აზრმა, რომ ამ ხალხში მარკიზი პირველ როლს მაინც თამაშობდა, რომელთა ერთადერთი ღირსებაც მის თვალში განწირული საქმის ერთგულება იყო. ამ მასაში სიამოვნებით გამოკვეთა თავისი მიჯნურის სახე, ხოლო ეს გამხდარი, გასაცოდავებული ხალხი კი მისი კეთილშობილური

მიზნების ინსტრუმენტად ჩათვალა. ამ დროს მეზობელ ოთახში მარკიზის ფეხის ხმა გაისმა. შეთქმულები იმწამს ჯგუფებად დაიშალნენ და ჩურჩულიც შეწყდა. იტყოდით, სკოლის მოწაფეები არიან, მასწავლებლის არყოფნაში რაღაც ეშმაკობას რომ აპირებდნენ და ახლა სანიმუშო წესრიგითა და სიჩუმით ჩქმა-ლავენო. მონტორანი შემოვიდა. ქალი აღტაცებული შეჰყურებდა ამ ხალხს შორის ყველაზე ახალგაზრდას, ყველაზე ლამაზსა და ყველაზე მთავარს. როგორც მეფე თავის კარზე, ჯგუფიდან ჯგუ-ფთან გადადიოდა, ზოგს თავს უკრავდა, ზოგს ხელს ართმევდა, ზოგს მხოლოდ შეხედავდა, ზოგს უწონებდა რაღაცას, ზოგს საყვედურობდა და წინამძღოლის მოვალეობას ისეთი გრაციითა და თავდაჭერილობით ასრულებდა, რაც ძნელი წარმოსადგენი და მოულოდნელი იყო ყმაწვილისაგან, სულ ცოტა ხნის წინ მარი თავქარიანობას რომ საყვედურობდა. მარკიზის შემოსვლამ ბოლო მოუღო მადმუაზელ და ვერნეის მიმართ ცნობისმოყვარეობას, მაგრამ მადამ დიუ გას ბოროტებამ და ვერაგობამ შედეგი გამოიღო. ბარონ დიუ გენიკს, მეტსახელად „მოპასუხეს“, იმ ხალხს შორის, ვინც იქ იყო შეკრებილი, ერთადერთს ჰქონდა თავისი გვარიშვილობითა და მდგომარეობით, მნიშვნელოვან საქმეზე მარკიზთან შინაურული ლაპარაკის უფლება. ხელმკლავით განზე გაიყვანა და უთხრა: - მისმინე, ძვირფასო მარკიზო, ყველას ძალიან გვწყდება გული, დიდი სისულელის ჩადენას რომ აპირებ.

- რას გულისხმობ?

- კარგად იცი, საიდან გაჩნდა ეს გოგო, ვინ არის სინამდვილეში და რას გიპირებს?

- ჩემო ძვირფასო მოპასუხე, ჩვენ შორის დარჩეს და ხვალ დილას ჩემს ახირებას ბოლო მოეღება.

- კი, ბატონო, მაგრამ, ხვალ დილამდე თუ გაგცემს?

- გიპასუხებ, თუ მეტყვი, აქამდე რატომ არ მოიქცა ასე, - გაეხუმრა მონტორანი და თვითკმაყოფილი გამომეტყველება მიიღო.

- იქნებ მოსწონხარ და შენი გაცემა არ უნდა, სანამ მის ახირებას არ დაესმება წერტილი?

- ძვირფასო მეგობარო, შეხედე ამ მშვენიერ ქალიშვილს,

დააკვირდი მის მანერებს და თუ გაბედავ იმის თქმას, რომ მაღალი წრის არ არის? შენთვის კეთილგანწყობილად რომ შემოეხედა, გულის კუნჭულში მის მიმართ პატივისცემას არ იგრძნობდი? ერთმა ქალბატონმა უკვე განგაწყოთ ამ პიროვნების საწინააღმდეგოდ; მაგრამ მას შემდეგ, რაც ითქვა, რაც ერთმანეთს ვუთხარით, ეს რომ აღმოჩნდეს იმ დაღუპულ ქმნილებათაგანი, ჩვენმა მეგობრებმა რომ გვითხრეს, მოვკლავ...

- თქვენ გგონიათ, - ჩაერია მადამ დიუ გა, - ფუშე ისეთი სულელია, ქუჩის კუთხეში ნაპოვნ გოგოს გამოგიგზავნიდათ? მან უთუოდ შეუხამა მისი ცდუნების ძალა თქვენს ღირსებებს. მაგრამ თქვენ თუ ბრმა ხართ, თქვენი მეგობრები არიან თვალხილულნი თქვენს დასაცავად.

- მადამ, - უპასუხა ვაჟკაცმა და მრისხანება დააკვესა, - ამ ადამიანის ან მისი ამალის წინააღმდეგ არაფერი მოიმოქმედოთ, თორემ ჩემს შურისძიებას ვერ ასცდებით. მინდა, რომ მადმუაზელს ღირსეულად მოექცნენ, როგორც ჩემს ახლობელს და თანაც დე ვერნეის გვარი ხომ გვენათესავება?

მარკიზისთვის გაწეულმა წინააღმდეგობამ ჩვეულებრივი ეფექტი გამოიწვია, როგორც რეაგირებენ ხოლმე ახალგაზრდები მსგავს დაბრკოლებაზე. დასანახად, თითქოს არასერიოზულად ეპყრობოდა მადმუაზელ დე ვერნეის და ცდილობდა, თვითონაც დაეჯერებინა და სხვებიც დაერწმუნებინა, რომ მისი გატაცება მხოლოდ კაპრიზი იყო, სიამაყემ მაინც ღრმად ჩაითრია. ამ ქალისადმი დამოკიდებულების გაცხადებით, თავის ღირსების საქმედ თვლიდა მისდამი სხვების პატივისცემას. ერთი ჯგუფისაგან მეორისკენ ინაცვლებდა და ყველას არწმუნებდა, რომ ეს უცნობი ქალი ნამდვილად მადმუაზელ დე ვერნეი იყო. ცხადი ხდებოდა, მითქმა-მოთქმა უნდა ჩამცხრალიყო. როცა მონტორანმა ერთგვარი ჰარმონია დაამყარა და ყველას მოთხოვნა დააკმაყოფილა, თავის სატრფოს მიუახლოვდა და უჩურჩულა: - ამ ხალხმა ბედნიერების წუთები წამართვა.

- ძალიან მიხარია, ჩემ გვერდით რომ ხართ, - გაუცინა, - გაფრთხილებთ, ცნობისმოყვარე ვარ, ასე რომ, ბევრ კითხვას დაგისვამთ; ჯერ ის მითხარით, ვინ არის ეს ბერიკაცი, მწვანე მაუდის ქურთუკით?

- ეს სახელგანთქმული მაიორი ბრიგოა. მარეს[6] კაცი, ცხონებული მერსიეს თანამებრძოლი, ვანდეას რომ ეძახდნენ.

- აი, ის ლოყაწითელი მსუქანი სასაცილო პირი, ჩემზე რომ ელაპარკება?

- გსურთ, იცოდეთ, რაზე ლაპარაკობენ?

- მინდა თუ არა? რა თქმა უნდა?!

- არა, ვერ გეტყვით, გეწყინებათ, შეურაცხგყოფთ.

- ოჰ, ასე არა? ნებას აძლევთ, თქვენს სახლში შეურაცხყოფა მომაყენონ? მშვიდობით, მარკიზო. ერთ წუთსაც აღარ დავრჩები. ისედაც სინდისი მაწუხებს, რომ საბრალო რესპუბლიკელებს ვატყუებ, ამ პატიოსან და მიმნდობ ხალხს.

მარიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისკენ, მარკიზი გაჰყვა.

- მარი, ძვირფასო, ყური დამიგდეთ, პატიოსნებას გეფიცებით, თქვენზე ენამწარე ლაპარაკი შევაწყვეტინე, არც კი ვიცოდი, მართალი იყო თუ არა. მეგობრებმა პარიზის სამინისტროებიდან გამაფრთხილეს, მოვრიდებოდი ყველა ლამაზ ქალს, გზაზე ვისაც გადავეყრებოდი: მაცნობეს, რომ ფუშეს უნდოდა, გამოეგზავნა ქუჩის რომელიმე ივდითი და ჩემს საუკეთესო მეგობრებს ვერ ავუკრძალავ, იფიქრონ, რომ პატიოსანი ქალისთვის მეტისმეტად ლამაზი ხართ...

მარკიზმა თვალი თვალში გაუყარა მარის. მადმუაზელ დე ვერნეი გაწითლდა და ცრემლი ვერ შეიკავა.

- ახია ჩემზე ეს შეურაცხყოფა, მინდოდა, დარწმუნებული ყოფილიყავით, რომ უღირსი არსება ვარ და მაინც გყვარებოდით... მაშინ თქვენში ეჭვი აღარ შემეპარებოდა. მე მჯეროდა თქვენი, როცა მატყუებდით, თქვენ კი არ გჯერათ, როცა სიმართლეს გე-უბნებით! საკმარისია. მოვრჩეთ! - წარბები შეიჭმუხნა და მკვდა-რივით გაფითრდა, - მშვიდობით! - სასოწარკვეთილი გაიქცა სასადილო ოთახიდან.

- მარი, ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელშია, - ყურში უთხრა ახალგაზრდა მარკიზმა.

ქალიშვილი გაჩერდა, შეხედა.

- არა, არა, დიდსულოვანი ვიქნები. მშვიდობით. როცა

გამოგყევით, არც ჩემს წარსულზე ვფიქრობდი, არც თქვენს მომავალზე. გადარეული ვიყავი.

- როგორ, იმ დროს მტოვებთ, როცა ჩემს სიცოცხლეს გთავაზობთ!..

- მთავაზობთ ჟინით და სურვილით შეპყრობილი.

- სიყვარულით და სამუდამოდ.

მარი დაბრუნდა. თავისი ემოციების დასაფარავად, მარკიზმა საუბარი გააგრძელა.

- ის მსუქანი კაცი, სახელი რომ მკითხეთ, საშიში კაცია, აბატი გიუდენი, ერთ-ერთი ჯიუტი და თავგამოდებული იეზუიტთაგანი, მიუხედავად 1763 წლის ედიქტისა, გასახლება რომ გადაწყვიტა მათი და მაინც საფრანგეთში რომ დარჩა. ამ მხარეში ომის წამომწყებია და საკრე-კერის სახელით ცნობილი რელიგიური საძმოს მისიონერი. მიჩვეულია იმას, რომ რელიგიას ბრძოლის იარაღად იყენებს, თავის მიმდევრებს არწმუნებს, რომ აღსდგებიან და ქადაგებით მათში ოსტატურად აღვივებს ფანატიზმს. როგორც ხედავთ, თითოეულის კერძო ინტერესები უნდა გამოიყენო დიდი მიზნის მისაღწევად. სწორედ მაგაშია პოლიტიკის საიდუმლო.

კარი VI - და ეს ჯერ კიდევ ყოჩაღი, დაკუნთული, უსიამოვნოსახიანი მოხუცი? ის, ადვოკატის დაგლეჯილი მანტიით.

- ადვოკატის? რას ამბობთ. გენერალ-მაიორის ჩინს უმიზნებს. ლონგი არ გაგიგონიათ?

- ნუთუ ის არის? - შეშინებულმა შესძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ. ამისთანა ხალხს იყენებთ?

- ჩუ! შეიძლება გაიგოს. აი, იმ კაცს თუ ხედავთ, როგორც ჩანს, ცუდ რაღაცას რომ ეუბნება მადამ დიუ გას...

- შავები რომ აცვია და მოსამართლეს რომ ჰგავს.

- ეს ჩვენი ერთ-ერთი შუამავალია, ლა ბილარდიერი, ბრეტანის პარლამენტის მრჩევლის ვაჟი. მისი გვარი ფლამეა, თუ რაღაც ამის მაგვარი, უფლისწულების ნდობით სარგებლობს.

- და მის გვერდით, ჯიბეში რომ ინახავს თიხის ჩიბუხს და მთელი მარჯვენა ხელით მდაბიოსავით რომ ეყრდნობა პანოს? - გაიცინა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

- ღმერთმანი, გამოიცანით, ამ ქალბატონის გარდაცვლილი ქმრის ყოფილი ეგერია. ერთ-ერთი ასეულის მეთაურია, მე რომ ვუპირისპირებ მობილურ ბატალიონებს. ეგ და იარე-მიწაზე ალბათ მეფის ყველაზე კეთილსინდისიერი მსახურები არიან მათ შორის, ვისაც აქ ხედავთ.

- და ის ქალი? ის ვინღაა?

- შარეტას უკანასკნელი საყვარელი, დიდი გავლენა აქვს ამ ხალხზე.

- მისი ერთგული დარჩა?

პასუხის ნაცვლად მარკიზი ორჭოფულად დაიჭყანა.

- და, თქვენ მას პატივს სცემთ?

- მართლაც რომ ძალიან ცნობისმოყვარე ხართ!

- ის ჩემი მტერია, რადგან მეტოქე ვეღარ იქნება, - სიცილით თქვა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - თუმცა ძველ ცოდვებს ვაპატიებ. აი, ეს ულვაშებიანი ოფიცერი?

- ნება მომეცით, მისი გვარი არ გითხრათ. პირველი კონსულის თავდასხმას აპირებს იარაღით. გამოუვა თუ არა, მის გვარს მაინც გაიგებთ, ცნობილი გახდება.

- აი, თქვენ ასეთი ხალხის მეთაურად მოხვდით?.. - შეშინებულმა წამოიძახა მარიმ, - ნუთუ ესენი მეფის დამცველები არიან? სად არიან დიდებულები და სენიორები?

- გაფანტულები არიან ევროპის ყველა სამეფო კარზე, - უკმეხად უპასუხა მარკიზმა, - ვინ შეიძლება მოაგროვოს მეფეები, მათი კაბინეტები, მათი ჯარები, ბურბონთა კარის სამსახურად და რეპუბლიკის დასაპირისპირებლად, რომელიც სიკვდილით ემუქრება ყველა მონარქს და სოციალურ წყობას კი სრული ნგრევით?..

- ო, - დიდი მღელვარებით შესძახა მარიმ, - ამიერიდან ჩემთვის იქნებით წმინდა წყარო, საიდანაც იმ იდეებს მოვიპოვებ, რომლებიც ჯერ კიდევ მჭირდება... თანახმა ვარ. მაგრამ ნება მომეცით, ვირწმუნო, რომ თქვენ ერთადერთი კეთილშობილი ხართ, ვინც საფრანგეთს ფრანგებით ებრძვის, და არა უცხოელების დახმარებით. მე ქალი ვარ და ვგრძნობ, რომ თუ ჩემი შვილი დამარტყამს გაბრაზებული, ვაპატიებ, მაგრამ, გულგრილად რომ უყუროს, სხვა როგორ მაწვალებს, მონსტრად ჩავთვლიდი.

- ყოველთვის რესპუბლიკელად დარჩებით, - უთხრა მარის ამ დიდსულოვანი სიტყვებით ტკბილად გაბრუებულმა მარკიზმა, მის თავმოყვარე აზრებს რომ ადასტურებდა.

- რესპუბლიკელად? არა. აღარ ვარ. თქვენ ჩემს პატივისცემას დაკარგავდით, პირველ კონსულს რომ დაქვემდებარებოდით. მაგრამ არც იმ ხალხის მეთაურად მინდა თქვენი ნახვა, საფრანგეთის ერთ კუთხეს რომ ძარცვავენ, ნაცვლად მთელ რესპუბლიკასთან ბრძოლისა. ვისთვის იბრძვით? რას მოელით მეფისგან, თქვენი ხელშეწყობით რომ აღდგება ტახტზე? ოდესღაც ერთმა ქალმა ჩაიდინა ასეთი გმირობა, მაგრამ მისმა გათავისუფლებულმა მეფემ დაუშვა, რომ იგი ცოცხლად დაწვეს კოცონზე... ეს ხალხი ღმერთის მიერაა მირონცხებული, სიწმინდის ხელყოფა კი სახიფათოა. აცალეთ ღმერთს, დასხას ისინი მეწამულ ტახტზე, ჩამოაგდოს, ისევ აღამაღლოს. თუ წინასწარ აწონ-დაწონით, რა ჯილდო გელით, ჩემს თვალში ათჯერ უფრო ამაღლდებით. და მაშინ ფეხით შემდექით, გამთელეთ, ბედნიერი ვიქნები!

- მომხიბლავი ხართ! ოღონდ ამ ბატონების დამოძღვრას ნუ შეეცდებით, უჯარისკაცებოდ დავრჩები.

- ნებას რომ მომცემდეთ, მოგაქციოთ, აქედან ათას ლიეზე წავიდოდით.

- ეს ხალხი, თქვენ რომ გძულთ, როგორც ჩანს, ბრძოლაში დაიღუპება, - შეესიტყვა მარკიზი უფრო სერიოზული ტონით, - მათი ბრალი დავიწყებას მიეცემა. თუმცა, ჩემს საქმიანობას თუ წარმატება ექნება, დიდების დაფნის გვირგვინი განა ყველაფერს არ დამალავს?

- როგორც ვხედავ, აქ მხოლოდ თქვენ რისკავთ!

- მხოლოდ მე არა, - გულწრფელი თავმდაბლობით უპასუხა მარკიზმა, - აი, ვანდეის ორი ახალი წინამძღოლი. პირველი, თქვენც ხომ გაიგეთ, დიდ ჟაკს რომ ეძახიან, გრაფი დე ფონტენია, მეორე კი ლა ბილარდიერი, რომელიც უკვე გაჩვენეთ.

- კიბერონი დაგავიწყდათ? აი, ბილარდიერმა იქ ძალიან უცნაური როლი შეასრულა... - უპასუხა ერთი მოგონებით გაკვირვებულმა მარიმ.

- ლა ბილარდიერმა ბევრი აიღო თავის თავზე, დამიჯერეთ. უფლისწულების სამსახური ადვილი საქმე არ არის...

- გულს მიხეთქავთ, - წამოიძახა მარიმ, - მარკიზო, - ისეთი ტონით განაგრძო, თითქოს ვერ ბედავდა, გაეთქვა საიდუმლო, მხოლოდ მან რომ იცოდა, - წამია საკმარისი ილუზიების დასამსხვრევად და საიდუმლოს ფარდის ასახდელად, რომელზეც ბევრი ხალხის სიცოცხლე და ბედნიერებაა დამოკიდებული, - მარი გაჩუმდა, თითქოს შეშინდა, ზედმეტი ხომ არ ვთქვიო და დაუმატა, - მინდა ვიცოდე, რომ რესპუბლიკის ჯარისკაცები აქ უსაფრთხოდ არიან.

- ფრთხილად ვიქნები, - თქვა მარკიზმა და ეცადა, ღიმილით დაეფარა მღელვარება, - გეყოფათ თქვენს ჯარისკაცებზე ლაპარაკი, მე ხომ პატიოსანი ჯარისკაცის სიტყვა მივეცი.

- თუმცა, რა ნება მაქვს მიგითითოთ? ჩვენს ურთიერთობაში ყოველთვის თქვენ იქნებით უფროსი. განა არ გითხარით, მონაზე ბატონობა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებდა.

- ბატონო მარკიზო, - მორიდებით შეაწყვეტინა ლაპარაკი მაიორმა ბრიგომ, - ლურჯები აქ დიდხანს დარჩებიან?

- წავლენ, როგორც კი დაისვენებენ, - უპასუხა მარიმ.

მარკიზმა გამომცდელი თვალით შეხედა შეკრებილებს, რაღაც მღელვარება შენიშნა და მათკენ წავიდა. მისი ადგილი მაშინვე მადამ დიუ გამ დაიკავა. მისი სახე - მომღიმარი ვერაგი ნიღაბი - ახალგაზრდა წინამძღოლის გესლიანი ირონიის შემხედვარე, სულაც არ შეცვლილა. ამ დროს ფრანსინის მოგუდული ყვირილი გაისმა. მადმუაზელ დე ვერნეიმ გაკვირვებულმა დაინახა, რომ მისი ერთგული თანამგზავრი სასადილო ოთახისკენ გაიქცა და მადამ დიუ გას შეხედა. გაკვირვება

გაუძლიერდა, როცა მტრის გაფითრებული სახე დაინახა. ფრანსინის უეცარი გაქცევის მიზეზის გასაგებად, ფანჯრის ამბროზურასთან მივიდა, სადაც მეტოქეც მიჰყვა, რომ გაეფანტა ეჭვი, ვინმეს წინდაუხედობას რომ შეიძლებოდა გამოეწვია და ამოუხსნელი ბოროტებით გაუღიმა. ორივე ქალმა გადახედა ტბას და ბუხართან შემობრუნდა - მარიმ ისეთი ვერაფერი შეამჩნია, რაც ფრანსინის გაქცევას გაამართლებდა, მადამ დიუ გა დაკმაყოფილდა იმით, რომ მის ბრძანებას დაემორჩილნენ. ტბა, რომლის ნაპირთანაც ამ ქალის მოთხოვნით იარე-მიწაზე გამოჩნდა, უკავშირდებოდა ღრმა თხრილს, ციხე-დარბაზს რომ იცავდა და თავისი ფოშფოშგადაფენილი ხან წყალსატევებივით განიერი, ხან კი პარკის ხელოვნური მდინარეებივით ვიწრო საქცევებით ბაღს ესაზღვრებოდა. მაღალი, დაქანებული ნაპირი, კამკამა წყლის პირას ფანჯრიდან რამდენიმე ტუაზით[7] იყო დაშორებული. ფრანსინი დიდხანს უყურებდა, წყლის ზედაპირზე შავი ხაზებით როგორ იხატებოდა ბებერი ძეწნების ჩრდილები და საკმაოდ უდარდელად ადევნებდა თვალს მსუბუქი ნიავისგან როგორ ერთნაირად იხრებოდა მათი ტოტები. უცებ მოეჩვენა, ერთ-ერთი ჩრდილი ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ცოცხალი არსებასავით ბიძგებით მიიწევდა წინ, სარკესავით ზედაპირზე. ადამიანის თავს მიამგვანა. ჯერ ეგონა, მთვარის შუქის ლიცლიცის ბრალი იყო, ფოთლებში რომ ატანდა. მალე მეორე თავიც გამოჩნდა, მერე შორის კიდევ და კიდევ. სანაპიროს ბუჩქები დაიზნიქა, მერე მკვეთრად გასწორდა. აი, მაშინ დაინახა ფრანსინმა, რომ ცოცხალი ღობე ზღაპრული ფორმის უზარმაზარი ინდიელი გველივით იკლაკნებოდა. მერე მაღალ ძეძვნარში და კურდღლისცოცხას ბუჩქში აბრჭყვიალდნენ, ამოძრავდნენ მანათობელი წერტილები. იარე-მიწაზეს სატრფომ ყურადღება გაამახვილა და მოეჩვენა, რომ მოძრავი ცოცხალი ღობის პირველი შავი სახე იცნო. მართალია, ძალიან ბუნდოვნად ხედავდა, მაგრამ აჩქარებულმა გულის ფანცქალმა მიახვედრა, რომ იარე-მიწაზეს ხედავდა, ერთმა მისმა ჟესტმაც დაარწმუნა. მოთმინება ელეოდა, გაეგო, ამ იდუმალ გადაადგილებაში რაიმე ვერაგობა ხომ არ იმალებოდა და ეზოში გავარდა. მწვანე მდელოს შუამდე მისული შემობრუნდა, შეხედა შენობის ორივე ფრთას, ორივე მხარეს ნაპირს და დაუსახლებელი ნაწილის პირდაპირ სანაპიროზე კვალიც კი ვერ აღმოაჩინა იდუმალი მოძრაობისა. ყურები ცქვიტა, გაინაბა და მოესმა შარიშური, ტყეში მტაცებელი ცხოველის უხმაურო სიარულს რომ მიამგვანა.

შეკრთა, მაგრამ არ აკანკალებულა. ახალგაზრდობისა და გულუბრყვილობის მიუხედავად, ცნობისმოყვარეობამ მყისიერად უკარნახა ეშმაკური გეგმა. ეტლი დაინახა, გაიქცა მისკენ, შიშნეულად მოიკრუნჩხა, ფრთხილად წამოსწია თავი კურდღელივით, შორიდან ნადირობის ხმა რომ მოესმის.

დაინახა, საჯინიბოდან როგორ გამოვიდა მოიტაცე-დიდი-კვერი, უკან ორი გლეხი მოჰყვებოდა. ყველას თითო იღლია ჩალა მოჰქონდა. ჩალა შენობის ცარიელი ნაწილის კედლის ძირში, ნაპირის პარალელურად გაშალეს, სადაც ბუჩქნარი და დაბალი ხეები იყო, ცოტა ხნის წინ შუანები ისე ჩუმად რომ მოძრაობდნენ, აშკარად საშინელი სამხედრო ეშმაკობის სამზადისში.

- იმდენ ჩალას უფენ, გეგონება, მართლა უნდა დაიძინონ. გეყოფა, მოიტაცე-დიდო-კვერო, საკმარისია, - გაისმა ჩახრინწული ყრუ ხმა, ფრანსინს რომ ეცნო.

- არ დაიძინებენ? - განაგრძო მოიტაცე-დიდ-კვერმა და ბრიყვულად გაიცინა, - არ გეშინია, რომ ვაჟკაცი გაჯავრდება? - ისე ჩუმად იკითხა, რომ ფრანსინმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო.

- გაჯავრდება და გაჯავრდეს, - უჩუმრად უპასუხა იარე-მიწაზემ, - ლურჯები უკვე დახოცილები გვეყოლებიან, დახე, ეტლი. მოდი, დავმალოთ. მოიტაცე-დიდი-კვერმა ხელნაში ჩაავლო ხელი, იარე-მიწაზემ კი ერთ-ერთ უკანა თვალს ისეთი ძალით უბიძგა, რომ ფრანსინი, სანამ რამეს მოისაზრებდა, სათივეში აღმოჩნდა, სადაც კინაღამ ჩაკეტეს კიდევაც. მოიტაცე-დიდი-კვერი გავიდა, რათა სიდრის კასრის მოტანაში დახმარებოდა, მარკიზმა ესკორტის ჯარისკაცებისთვის მიცემა რომ უბრძანა. იარე-მიწაზემ ეტლის გასწვრივ გაიარა, რომ გასულიყო და კარი ჩაეკეტა, ვიღაცამ ხელი სტაცა თხის ტყავის გრძელ ბეწვს და შეაჩერა. მაშინვე იცნო თვალები, რომელთა სინაზე მასზე მაგნიტის ძალით მოქმედებდა და ერთი წუთი მოჯადოებულივით იდგა. ფრანსინი მკვირცხლად გადმოხტა ეტლიდან და მბრძანებლური ტონით, ასე რომ უხდება გაცეცხლებულ ქალს, უთხრა: - პიერ, გზაზე რა შეატყობინე იმ ქალბატონს და მის ვაჟს? აქ რა ხდება? რატომ იმალები? ყველაფერი უნდა ვიცოდე.

ამ სიტყვებზე შუანმა ისეთი გამომეტყველება მიიღო,

ფრანსინს მანამდე რომ არ ენახა. ბრეტონელმა თავისი მიამიტი სატრფო კასრთან მიიყვანა, სახით მთვარის შუქისკენ შეაბრუნა. საშინელი თვალებით შეხედა და უთხრა: - ჯანდაბას ჩემი თავი! ფრანსინ, სული წამიწყდეს, ყველაფერს გეტყვი, ოღონდ ჯერ ამ კრიალოსანზე დაიფიცე... და თხის ტყავის ქვეშიდან ამოაძვრინა ძველი კრიალოსანი. - ხომ გახსოვს ეს სიწმინდე? დაიფიცე, რომ ჩემს კითხვაზე სიმართლეს მეტყვი, მხოლოდ ერთ კითხვაზე.

ფრანსინი გაწითლდა ამ კრიალოსნის დანახვაზე - მათი სიყვარულის საწინდარი იყო.

- ამ კრიალოსანზე შემომფიცე მაშინ... - თქვა აღელვებულმა შუანმა. სათქმელი არ დაუმთავრებია. გლეხის ქალმა ხელი დააფარა ტუჩებზე თავის ველურ შეყვარებულს.

- უნდა დავიფიცო?

მან ნაზად ჩაავლო ხელი ხელში. ერთხანს უყურა. მერე უთხრა: - ქალიშვილი, შენ რომ ემსახურები, მართლა მადმუაზელ დე ვერნეია?

ფრანსინი გაფითრდა. თავი დაღუნა და უხმოდ იდგა მის წინ მკლავებდაშვებული.

- კახპაა! - მრისხანე ხმით თქვა იარე-მიწაზემ.

ამ სიტყვებზე ლამაზმა ხელმა ისევ დაუხურა პირი, მაგრამ ამჯერად შუანმა უკან დაიხია, პირი უბრუნა. პატარა ბრეტონელმა ქალმა მიჯნური კი არა, გამძვინვარებული მხეცი დაინახა, მისი ველური ბუნება. შუანს წარბები შეკრული ჰქონდა, ტუჩები მაგრად მოკუმული და კბილები დაკრეჭილი, იტყოდით, გააფთრებული ძაღლია, პატრონს იცავსო.

- ყვავილი იყავი და ნეხვი გახდი. ოჰ! რატომ გაგიშვი! რისთვის ჩამოხვედით? უნდა გაგვცეთ, ვაჟკაცი უნდა დაასმინოთ?

ეს სიტყვები ღრენას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის მეტყველებას. ფრანსინს შეეშინდა, მაგრამ ამ უკანასკნელ სიტყვებზე, ამ საყვედურზე, გაბედა, შეეხედა გამძვინვარებული შუანისთვის სახეში. ანგელოზის თვალები მიაპყრო და მშვიდად უპასუხა: - სული წამიწყდეს, ტყუილია. ეგ ყველაფერი შენმა ქალბატონმა მოიგონა...

ახლა მან ჩაღუნა თავი, გოგონა მიუახლოვდა და უთხრა: - პიერ, რატომ უნდა ჩავერიოთ მე და შენ ამ საქმეში? მისმინე, არ ვიცი, როგორ შეგიძლია რამეში გაერკვიო, რაკი მე არაფერი მესმის! გახსოვდეს, რომ ეს ლამაზი და კეთილშობილი ქალიშვილი ჩვენი კეთილისმყოფელია, ჩემი და შენი, ჩემთვის დასავით არის. და რაკი ჩვენ მის გვერდით ვართ, მას ცუდი არაფერი უნდა შეემთხვას, ყოველ შემთხვევაში, სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ. შემომფიცე! მე აქ მხოლოდ შენ გენდობი.

- აქ ბრძანებებს მე არ ვიძლევი, - წაიბურტყუნა.

სახე ჩაუმუქდა - გოგონამ პანტურა ყურებში ჩაჰკიდა ხელი, ოდნავ მოუსრისა, იტყოდი, კატას ეფერებაო.

- გთხოვ, დამპირდი, - რაკი შეატყო ცოტა მორბილება, - ჩვენი კეთილდღეობისთვის ყველაფერი იღონო, რაც შეგიძლია.

მან თავი გააქნია, თითქოს უნდოდა ეთქვა, წარმატებაში ეჭვი მეპარებაო. ახალგაზრდა ბრეტონელი ქალი აცახცახდა. ამ კრიტიკულ მომენტში მცველთა რაზმი გამოვიდა ქვაფენილზე. ჯარისკაცების ნაბიჯებისა და იარაღის ჟღარუნის ხმა გაისმა ეზოში და, როგორც ჩანს, იარე-მიწაზეს ყოყმანსაც მოუღო ბოლო.

- იქნებ მოვახერხო კიდევაც მისი გადარჩენა, თუ შეძლებ მის სახლში გაჩერებას. რაც უნდა მოხდეს, დარჩი იქ მასთან და ენას კბილი დააჭირე. სხვანაირად არაფერი გამოვა.

- გპირდები, - უპასუხა გულგახეთქილმა ქალმა.

- ჰო, კარგი, დაბრუნდი. დაბრუნდი ახლავე და შიში არავინ შეგამჩნიოს, არც შენმა ქალბატონმა.

- ჰო.

მან ხელი ჩამოართვა შუანს, რომელიც მამასავით უყურებდა, როგორ გაფრთხიალდა ჩიტივით მსუბუქად კიბისკენ, მერე თვითონაც გაძვრა ღობეში, როგორც მსახიობი, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბის სცენიდან ტრაგედიის ფარდის გახსნისას.

- იცი, მერლი, მე მგონი, ეს ნამდვილი სათაგურია, - უთხრა ჟერარმა ციხე-დარბაზში მისვლისას.

- მგონი ასეა, - თქვა შეფიქრიანებულმა კაპიტანმა.

ოფიცრებმა საჩქაროდ გუშაგები დააყენეს კაშხლისა და ჭიშ-კრის დასაცავად და ეჭვის თვალით შეხედეს ნაპირებსა და ციხე-კოშკის მისადგომებს.

- კარგი ერთი! - თქვა მერლმა, - ან სრული ნდობით უნდა შევიდეთ ამ ნაგებობაში, ან სულაც ნუ შევალთ.

- შევიდეთ! - უპასუხა ჟერარმა.

მეთაურის ბრძანებაზე ჯარისკაცები დაიშალნენ, თოფები ჯოჯგინად დადგეს და მოგროვდნენ დაგებულ ჩალასთან, შუაგულში დადგმული სიდრის კასრთან. ჯგუფ-ჯგუფად დადგნენ. ორმა გლეხმა ჭვავის პური და კარაქი დაურიგა. მარკიზი ოფიცრების შესახვედრად გამოვიდა და სახლში შეიყვანა. ჟერარმა ფეხი შედგა საფეხურზე. შენობის ორივე ფრთას გახედა, თბილწიწვოვანების შავი ტოტები რომ ებჯინებოდა და იფრინდას და გულთამხილველს დაუძახა.

- თქვენ ორნი დაზვერავთ ბაღს და ცოცხალ ღობეს, გასაგებია? მერე გუშაგს დააყენებთ ჯოჯგინებთან...

- შეიძლება ნადირობამდე ცოტა შევხურდეთ, მაიორო? - იკითხა გულთამხილველმა.

ჟერარმა თავი დაუქნია.

- ხედავ, - გულთამხილველმა იფრანდას მიმართა, - მაიორი შეცდა, ამ კრაზანის ბუდეში რომ ჩაეჩხირა. აი, იულო რომ ყოფილიყო, აქ არასოდეს შემოეტენებოდა. ქვაბში ჩაყრილებივით ვართ.

- რა ბრიყვი ხარ! - უთხრა გულთამხილავმა, - შენ, გაიძვერე-ბის მეფე, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს ქოხი იმ ტურფა ქალისაა, ჩვენი მხიარული შაშვი, რომ უსტვენს, ყველაზე ყოჩაღი კაპიტანი, და ცოლადაც მოიყვანს, გაპრიალებული ხიშტივით ცხადია. ასეთი ქალი - ნახევარბრიგადისთვის დიდი პატივია.

- სწორია! - უპასუხა იფრინდამ, - ისიც შეგიძლია დაუმატო, რომ აქაური სიდრი სულაც არ არის ცუდი, მაგრამ ამ წყეულ ღობესთან რატომღაც არ მინდა დალევა. სულ ის მაგონდება, ლაროზი და ვიე-შაპი როგორ ჩაგორდნენ.

- პელერინიდან თხრილში და საცოდავ ლაროზს კარზე საკაკუნებელი ჩაქუჩივით როგორ უხტოდა ნაწლავი.

- იფრინდა, ჯარისკაცის კვალობაზე მეტისმეტად მდიდარი წარმოსახვა გაქვს. შენ სიმღერებს უნდა წერდე ნაციონალურ ინსტიტუტში.

- მე თუ მდიდარი მაქვს, შენ საერთოდ არა გაქვს. კონსულობამდე კაი დრო დაგჭირდება.

ჯარისკაცების ხარხარმა მოუღო ბოლო ამ კინკლაობას, გულთამხილავმა პასუხი ვერ იპოვა თავის სავაზნეში.

- აბა, დასაზვერად მოდიხარ? მე მარჯვნივ წავალ.

- კარგი, მაშინ, მე - მარცხნივ. ოღონდ, ცოტა დაიცადე, ერთ ჭიქა სიდრს დავლევ. ენა ისე მაქვს მიკრული სასაზე, როგორც იულოს წებოვანი თავი მშვენიერ ქუდზე.

ბაღის მარცხენა მხარე, გულთამხილველი ფეხს რომ ითრევდა წასასვლელად, სამწუხაროდ, სწორედ ის სახიფათო ნაწილი იყო, ფრანსინმა ხალხის მიმოსვლა რომ შენიშნა. ომში ყველაფერი იღბალზეა.

სასტუმრო ოთახში შესულმა ჟერარმა საერთო სალმის მერე ყურადღებით მოავლო თვალი იქ მყოფებს და ეჭვი გაუძლიერდა. პირდაპირ მადმუაზელ დე ვერნეისკენ წავიდა და ჩუმად უთხრა: - მე მგონი, საჩქაროდ უნდა წავიდეთ აქედან, აქ უსაფრთხოდ არ ვართ.

- ჩემს სახლში რამის შეგეშინდებოდათ? - გაეცინა მარის, - აქ უფრო უსაფრთხოდ ხართ, ვიდრე მაიენში.

ქალი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ თავდებად შეუძლია დაუდგეს სატრფოს. ორივე ოფიცერი დამშვიდდა. ამ დროს ყველამ სასადილო ოთახში გადაინაცვლა, თუმცა რაღაც ითქვა ვიღაც მნიშვნელოვან სტუმარზე, ამდენი ხალხი რომ ელოდა. ყველა ჩუმად იყო, როგორც ხდება ხოლმე წვეულების დასაწყისში. მარიმ ამით ისარგებლა, საშუალება ჰქონდა, დაჰკვირვებოდა ამ საინტერესო საზოგადოებას ასეთ გარემოში და რომლის თავშეყრის მიზეზიც, არ უფიქრია, თვითონ რომ იყო. იმ ქალებივით, ყველაფერში სახალისოს რომ ეძებენ, ისიც უდარდელ უზრუნველობას იჩენდა ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში. უცებ ერთი რამ მოხვდა თვალში. ორივე რესპუბლიკელი ოფიცერი გაცილებით მაღლა იდგა იქ დამსწრეებზე. საფეთქლებიდანვე გადატკეცილი, კისერზე

კუდად შეკრული გრძელი თმა ხაზს უსვამდა შუბლს, რაც ასეთ სისადავესა და კეთილშობილებას ანიჭებს ახალგაზრდა სახეებს. გაქუცული ლურჯი უნიფორმა, გადახეხილი წითელი ლაცკანები, ყველაფერი, სიარულისგან უკან გადაქანებული ეპოლეტები, რაც მოწმობდა იმას, რომ მთელ ჯარს, ოფიცრებსაც კი, ფარაჯები არ ჰქონდათ, გამოარჩევდა ამ ორ ჯარისკაცს იმ კაცებისგან, რომელთა შორისაც ისხდნენ.

- ოო, აი, ეს ნაციაა, თავისუფლებაა, - გაიფიქრა მან, მერე როიალისტებს გადახედა - იქ კი, მხოლოდ ერთი კაცია, მეფე, პრივილეგიები.

მადმუაზელ დე ვერნეიმ თვალი ვერ მოსწყვიტა მერლს. ეს მხიარული ჯარისკაცი ყველა იმ დიდებული თვისების მატარებელი იყო, რაც ფრანგ მეომარს შეიძლება ჰქონდეს. ტყვიების ზუზუნში მელოდიას რომ უსტვენს და ამხანაგის „გაშაყირების“ შემთხვევასაც არ გაუშვებს ხელიდან. ჟერარი პატივისცემას იმსახურებდა. სერიოზული, თავდაჭერილი, ნამდვილი რესპუბლიკის სულით გამსჭვალული, როგორებიც ბლომად იყვნენ ფრანგულ არმიაში და რომელთაც კეთილშობილურად მიმალული თავმდაბლობა და ერთგულება მანამდე უცნობი ენერგიით აღავსებდა. აი, ასეთი, ფართო თვალსაწიერის ხალხი მომწონს, - გაიფიქრა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - აწმყოს ეყრდნობიან, მასზე ბატონობენ, წარსულს ანგრევენ, ოღონდ მომავლის საკეთილდღეოდ... ამ მოსაზრებამ ცოტა დააღონა, არ ეხებოდა მის სატრფოს. სასწრაფოდ შეტრიალდა მისკენ, რომ სხვანაირი აღფრთოვანებით ეძია შური რესპუბლიკაზე, რომელიც უკვე სძულდა. მარკიზი დაინახა მამაცი, ისეთი ფანატიკოსებით გარშემორტყმული, იმედი რომ ჰქონდათ მომავლისა, რომ ბედავდნენ, შებრძოლებოდნენ მოზეიმე რესპუბლიკას იმ იმედით, რომ აღადგენდნენ უკვე მკვდარ სისტემას, აკრძალულ რელიგიას, გაფანტულ უფლისწულებს და მოსპობილ პრივილეგიებს. სხვაზე ნაკლები ნებისყოფა კი არ აქვს, წარსულის ნანგრევებისგან მომავლის შექმნა უნდა. მისი წარმოსახვით გამდიდრებული გონება ორჭოფობდა წარსულსა და ახლის ნანგრევებს შორის. გონება უკიჟინებდა, რომ ერთი ერთი კაცისთვის იბრძოდა, მეორე - ქვეყნისთვის და გრძნობით მიაღწია იმას, რასაც მსჯელობით აღწევენ - აღიარებას, იმის ცნობას, რომ მეფე - ქვეყანაა.

სასტუმრო ოთახში კაცის ფეხის ხმა გაისმა. მარკიზი ადგა და შესახვედრად გავიდა. იცნო სტუმარი, რომელსაც ელოდნენ. ხალხმრავლობით გაკვირვებულს, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვაჟკაცმა, რესპუბლიკელებისგან ჩუმად, რაღაც ანიშნა და სუფრასთან მიიწვია.

რაც უფრო ღრმად გააანალიზა ორმა რესპუბლიკელმა ოფიცერმა სტუმრების ფიზიონომია, ადრინდელი ეჭვები მით უფრო განუახლდათ. აბატ გიუდენის სასულიერო შესამოსელმა და შუანების უცნაურმა კოსტიუმებმა სიფრთხილე გაუძლიერეს. გაორმაგებული ყურადღებით გაფაციცებულებმა უცნაური კონტრასტები აღმოაჩინეს სტუმრების მანერებსა და მეტყველებას შორის, რამდენადაც ზოგიერთის ლაპარაკში გაზვიადებული რესპუბლიკანიზმი იგრძნობოდა, იმდენად აკვირვებდნენ სხვები მანერების არისტოკრატულობით. რამდენჯერმე შემჩნეულმა თვალებით ლაპარაკმა მარკიზსა და სტუმრებს შორის, რამდენიმე გაუფრთხი-ლებლად ნათქვამმა ორაზროვანმა სიტყვამ და, რაც მთავარია, მაღალი საყელოებით ცუდად დამალულმა ვიწრო წვერებმა, ორივეს ერთდროულად აუხილა თვალი. ერთი და იგივე აზრი მოუვიდა ორივეს თავში და ერთმანეთს თვალებით აცნობეს, რადგან წინდახედულმა მადამ დიუ გამ ცალ-ცალკე დასხა და მხოლოდ მზერით შეეძლოთ საუბარი. მათი მდგომარეობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა: რესპუბლიკელებმა არ იცოდნენ, ამ ციხე-დარბაზში მათ ხელში იყო უპირატესობა თუ ხაფანგში შეიტყუეს, მადმუაზელ დე ვერნეი მსხვერპლი იყო თუ თანამოაზრე ამ ამოუხსნელ ავანტიურაში. მაგრამ მოულოდნელმა მოვლენამ დააჩქარა კვანძის გახსნა, სანამ მთელ მის მნიშვნელობას გაიაზრებდნენ. შემოსწრებული სტუმარი ჩასკვნილი, ღაჟღაჟა კაცი იყო, ერთ-ერთი იმათგანი, უკან გადაზნექილები რომ დადიან, თითქოს გზიდან რაც შეიძლება მეტი ჰაერი უნდა განდევნონ და ჰგონიათ, რომ ყველა გაფაციცებულია მათ დასანახად. მიუხედავად დიდგვაროვნობისა, ცხოვრება გართობად მიაჩნდა, რაც შეიძლება მეტად რომ უნდა ისარგებლო. და თუმცა საკუთარი თავით მუხლმოდრეკილი ტკბებოდა, კეთილი იყო, ზრდილი და გონებამახვილი, მსგავსად იმ დიდებულებისა, მეფის კარზე აღზრდის დასრულების შემდეგ თავიანთ მამულში დაბრუნებულებს აზრადაც რომ არ მოსდით, რომ ოცი წელი იქ ცხოვრების შემდეგ შეიძლება დაჩლუნგდნენ,

ჟანგი მოედოთ. ასეთი ადამიანები ადვილად სჩადიან უტაქტობებს, გონებამახვილურად ამბობენ სისულელეს, არაფრის დიდებით არ სჯერათ კარგი არაფერი და დიდი გულმოდგინებით თვითონ იგდებენ თავს საფრთხეში. ჩანგალს კარგი სმა-ჭამის მოყვარული კაცის სიმარჯვით ხმარობდა და როცა დაკარგული დრო აანაზღაურა, მაშინღა ასწია თავი და გადახედა საზოგადოებას. დიდად გააოცა ოფიცრების დანახვამ და მადამ დიუ გას შეხედა, მანაც, უსიტყვოდ, მადმუაზელ დე ვერნეიზე მიუთითა. ამ სირინოზის დანახვაზე, რომლის სილამაზემაც ყველას დაავიწყა მადამ დიუ გას დიდი მონდომებით სტუმრებში გამოწვეული გრძნობები, უცნობმა მსუქანამ უტიფრად და დამცინავად გაიღიმა, რაც, ეტყობა, რაღაც უწმაწურმა მოგონებამ გამოიწვია, მეზობლისკენ გადაიხარა და ორი-სამი სიტყვა წასჩურჩულა, რაც ოფიცრებისა და მარისთვის საიდუმლოდ დარჩა, ეს სიტყვები კაციდან კაცს გადაეცემოდა, ყველამ გაიგო და ბოლოს იმ ადამიანამდე მიაღწიეს, გულში სასიკვდილოდ რომ უნდა დაეკოდათ. ვანდეელებისა და შუანების წინამძღოლები სასტიკი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ მარკიზ დე მონტორანს. მადამ დიუ გა თვალებს აელვარებდა, ხან მარკიზს უყურებდა, ხან მადმუაზელ დე ვერნეის. შეშფოთებულმა ოფიცრებმა რაღაც მოითათბირეს ამ უცნაური სცენის დასასრულის მოლოდინში, სტუმრებს ხელში შეეყინათ ჩანგალი, სიჩუმე გამეფდა დარბაზში და ყველამ ვაჟკაცს შეხედა. შემაძრწუნებელმა მრისხანებამ სახე აუჭარხლა, მერე სანთლის ფერი დაედო; ახალ-გაზრდა მეთაური მიუბრუნდა სტუმარს, ვისგანაც ეს შხამიანი გველი გამოსრიალდა და დარდიანმა მწუხარე ხმით ჰკითხა: - დალახვროს ეშმაკმა! რაფო, მართალია?

- სინდისს გეფიცებით! - დიდის ამბით დაუკრა თავი.

მარკიზმა თვალები დახარა, მერე უცებ ყურადღებით რომ უსმენდა საუბარს, მარის დააკვირდა, ქალმა მის თვალებში მომაკვდინებელი ზიზღი ამოიკითხა. - თავს დავდებდი, - ჩუმად თქვა მარკიზმა, - ამწუთში რომ შემეძლოს შურისძიება.

მადამ დიუ გამ ტუჩების მოძრაობით გაიგო ვაჟის ნათქვამი და გაუღიმა, თითქოს მეგობარს ანუგეშებს, შენი წუხილი მალე დამთავრდებაო. მადმუაზელ დე ვერნეისადმი საყოველთაო სიძულვილმა აღაშფოთა რესპუბლიკელები, უცებ წამოხტნენ: -

რა გნებავთ, მოქალაქენო? - ჰკითხა მადამ დიუ გამ.

- ჩვენი ხმლები, მოქალაქევ - ირონიულად უპასუხა ჟერარმა.

- სუფრასთან ხმლები არ გჭირდებათ, - ცივად ჩაერია მარკიზი.

- არა, მაგრამ ახლა ერთ თამაშს შემოგთავაზებთ, თქვენთვის კარგად ნაცნობს და აქ უფრო ახლოს დავინახავთ ერთმანეთს, ვიდრე პელერინთან.

ყველა გაოგნდა. ამ დროს ეზოში ერთხმად გაისმა ზალპი, ოფიცრები რომ შეაძრწუნა, გაცვივდნენ პარმაღზე, საიდანაც დაინახეს ასიოდე შუანი. პირველი ზალპის მერე გადარჩენილ ჯარისკაცებს რომ უმიზნებდა თოფს, იტყოდი, კურდღლებზე ნადირობენო. ბრეტონელები ნაპირიდან გამოჩნდნენ, სადაც იარე-მიწაზეს ბრძანებით იმალებოდნენ და თავს საფრთხეში იგდებდნენ. უკანასკნელი სროლის ხმა რომ ჩაწყნარდა, მომაკვდავთა ყვირილსა და კვნესასთან ერთად შემზარავი ხმები გაისმა, რამდენიმე შუანს ფეხი დაუცურდა და წყალში ჩაცვივდნენ, ისეთი ხმა იყო, გეგონებოდათ, ქვები ჩაცვივდაო უფსკრულში. მოიტაცე-დიდი-კვერი ჟერარს უმიზნებდა, იარე-მიწაზე მერლს ემუქრებოდა.

- კაპიტანო, - ცივად დაიწყო მარკიზმა და გაიმეორა ცოტა ხნის წინ მასზე ნათქვამი სიტყვები, - ხალხი იცით, ზღმარტლივით არის, ჩალაზე მწიფდება.

და ხელით ანიშნა ჯარისკაცებზე: ლურჯები იწვნენ დასისხლიანებულ ჩალაზე. შუანები ხოცავდნენ დაჭრილებს და ძალიან მარჯვედ ხდიდნენ მიცვალებულებს.

- მართალი ვიყავი, რომ გითხარით, თქვენი ჯარისკაცები პელერინამდე ვერ ჩავლენ-მეთქი, - დაუმატა მარკიზმა, - ისიც ვიფიქრე, ალბათ თქვენს თავს ტყვიით ჩემსაზე ადრე დატენიან, რას იტყვით?

მონტორანი საშინელ მოთხოვნილებას გრძნობდა, ბოღმა ამოენთხია. დამარცხებული მტრის მასხარად აგდებას, ულმობლობას, ვერაგობასა და სისაძაგლესაც კი ამ დახვრეტისა, მისი ბრძანების გარეშე რომ მოხდა, თითქოს იწონებდა და მის გულისწადილს ემთხვეოდა. გაცოფებული მზად იყო, მთელი საფრანგეთი გაენადგურებინა. ყელგამოჭრილი ლურჯები, ორი გადარჩენილი ოფიცერი,

ყველანი უდანაშაულონი იმაში, რაზეც შურისძიებას ითხოვდა, მის ხელში ბანქოს ჰგავდა, დამარცხებული მოთამაშე სასოწარკვეთილი რომ ხევს ხოლმე.

- ჯობს მოვკვდე, ვიდრე თქვენსავით გავიმარჯვო, - თქვა ჟერარმა და ჯარისკაცების შიშველ, დასისხლიანებულ გვამებზე მიუთითა.

- ასე ლაჩრულად, გულგრილად დახოცვა!

- როგორც ლუი XVI, - უპასუხა მარკიზმა.

- ბატონო, - საკუთარი ღირსების გრძნობით უპასუხა ჟერარმა, - მეფის პროცესთან დაკავშირებით, უამრავი იდუმალებაა, ბევრი ამოუცნობი რამ, რასაც თქვენ ვერასოდეს გაიგებთ.

- მეფის ბრალდება? - წონასწორობა დაკარგა მარკიზმა.

- საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაა! - ზიზღით წარმოთქვა ჟერარმა.

- სიბრიყვე, - თქვა მარკიზმა.

- მამის მკვლელები! - ჟერარმა.

- მეფის მკვლელები!

- ჰო, მე მგონი, სიკვდილის წინ ჩხუბი გინდა, - მხიარულად შესძახა მერლმა.

- მართალია, - ცივად თქვა ჟერარმა და მარკიზისკენ შებრუნდა, - ბატონო, თუ ჩვენი სიკვდილია თქვენი განზრახვა, მოიღეთ მოწყალება და ახლავე დაგვხვრიტეთ.

- აი, თურმე როგორი ხარ! - განაგრძო კაპიტანმა, - სულ გეჩქარება. მაგრამ როცა წინ შორი გზაა და იცი, რომ დილით ვეღარ ისაუზმებ, უნდა ივახშმო.

ჟერარი ამაყად გაემართა კედლისკენ და უსიტყვოდ დადგა კედელთან. მოიტაცე-დიდი-კვერმა მიზანში ამოიღო, შეხედა გაუნძრევლად მდგომ მარკიზს, მისი სიჩუმე ბრძანებად ჩათვალა და მაიორი მოჭრილი ხესავით დაეცა. იარე-მიწაზემ მიირბინა მოიტაცე-დიდი-კვერთან ნადავლის გასაყოფად. ორი დამშეული ყვავივით ძიძგილაობდნენ, კამათობდნენ და ბუზღუნებდნენ ჯერ კიდევ თბილ გვამთან.

- კაპიტანო, თუ ვახშმის დასრულება გსურთ, წამობრძანდით, - უთხრა მარკიზმა მერლს, რომელიც ტყვეების გასაცვლელად დაიტოვა.

კაპიტანი მექანიკურად დაბრუნდა მარკიზთან ერთად და საყვედურით ჩაილაპარაკა: - ყველაფრის მიზეზი ეს ვერაგი გოგოა, იულო რას იტყვის?

- ეს გოგო, - შესძახა მარკიზმა, - მაშ მართლა გომბიოა?

კაპიტნის სიტყვებმა, როგორც ჩანს, მთლად მოუღო ბოლო მონტორანს: ფეხარეული, გაფითრებული, დამარცხებული, უკუგდებული მიდიოდა.

ამასობაში სასადილო ოთახში სხვა სცენა გათამაშდა, რომელმაც მარკიზის არყოფნის გამო ისეთი ავის მომასწავებელი ხასიათი მიიღო, რომ მფარველის გარეშე დარჩენილმა მარიმ მეტოქის თვალებში თავისი სასიკვდილო განაჩენი დაინახა. ზალპის ხმაზე მადამ დიუ გას გარდა ყველა სტუმარი წამოდგა სუფრიდან.

- დაბრძანდით, არაფერია, - თქვა მან, - ჩვენები ხოცავენ ლურჯებს. როგორც კი მარკიზი გარეთ დაიგულა, წამოდგა. - აი, ეს ქალიშვილი აპირებდა ჩვენთვის მარკიზი წაერთმია, - წამოიძახა მშვიდად, დაოკებული მრისხანებით, - რესპუბლიკისთვის აპირებდა მის გადაცემას.

- დღეს დილიდან ოცჯერ შემეძლო მისი გაცემა, მე კი სიკვდილს გადავარჩინე, - შეეპასუხა მადმუაზელ დე ვერნეი.

მადამ დიუ გა ელვის სისწრაფით გაცხარებული მივარდა მის მეტოქეს, დაუგლიჯა კოფთის სირმით მოქარგული ღილკილოები. გაოცებულ გოგონას უხეში ხელით წაუბილწა წერილის წმინდა სამალავი, შემოახია ქსოვილი, მაქმანი, კორსეტი, პერანგი, მერე ეჭვიანობის ჟინის მოსაკლავად, მეტოქის მფეთქავ მკერდს ისეთი გააფთრებით და მარჯვედ დაუწყო ჯაჯგური, ვითომდა ძებნას განაგრძობდა, რომ ფრჩხილებით ნაკაწრებიდან სისხლი ადინა, ჯოჯოხეთურ სიამოვნებას გრძნობდა მისი შეურაცხმყოფელის დამცირებისგან. ამ გამძვინვარებული ქალის წინააღმდეგ უნიათო ბრძოლაში ქუდის შესაკრავი გაეხსნა, ჩაუვარდა, თმა ჩამოეღვარა და დატალღულ კულულებად ჩამოეშალა. უმწიკვლო სახე უღვიოდა და ორი ცრემლი, თვალები კიდევ

უფრო რომ აუწყლიანა, ჩამოუგორდა ლოყებზე და სველი, მწველი კვალი დაუტოვა. სირცხვილისგან ათრთოლებული, აცახცახებული იდგა სტუმრების თვალწინ. მისი ტკივილის შემყურე, ყველაზე გულქვა მსაჯულნიც კი დაიჯერებდნენ, რომ უდანაშაულო იყო.

სიძულვილი ისე უბნევს თავგზას ადამიანს, რომ მადამ დიუ გამ ვერც კი შენიშნა, რომ არავინ უსმენდა, გაბრწყინებული, მოზეიმე რომ ყვიროდა: - აბა, განა დავწამე ცილი ამ ამაზრზენ გოგოს?

- არც ისეთ ამაზრზენს, - ჩუმად თქვა სქელმა სტუმარმა, მთელი ამ კატასტროფის სათავემ, - მე პირადად, ასეთი ამაზრზენი რამეები მიყვარს კიდევაც.

- აი, - განაგრძო სასტიკმა ვანდეელმა, - ლაპლასის ხელმოწერილი და დიუბუას ხელმოწერილი განმტკიცებული ბრძანება.

ამ გვარების გაგონებაზე აქა-იქ თავები ასწიეს. - აი, რა წერია, - დაიწყო მადამ დიუ გამ: - „ყველა ჩინის მოქალაქე სამხედრო მოსამსახურენი, ოლქების ადმინისტრატორები, პროკურორ-სინდიკები[8] და ამბოხებულ დეპარტამენტთა სხვა მეთაურები, და განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც გამოჩნდება ყოფილი მარკიზი დე მონტორანი, მეტსახელად ვაჟკაცი, ყაჩაღების წინამძღოლი, მოვალენი არიან, ყოველგვარი დახმარება და თანადგომა აღმოუჩინონ მოქალაქე მა-რი დე ვერნეის და შეასრულონ, თუ საჭირო იქნება, ყველა მისი ბრძანება და ა.შ.“ - ქუჩის ქალმა გაბედა და მიითვისა სახელოვანი გვარი, ასეთი სისაძაგლით რომ შეურაცხყოს! - დაუმატა მადამ დიუ გამ.

გაკვირვებულმა ჩურჩულმა გადაურბინა საზოგადოებას.

- ბრძოლა უთანასწოროა, თუ რესპუბლიკა ასეთ ლამაზ ქალებს იყენებს ჩვენს წინააღმდეგ, - მხიარულად თქვა ბარონმა დიუ გენიკმა.

- მით უმეტეს, გოგოებს, არაფერს რომ არ კარგავენ ამ თამაშში, - აჰყვა მადამ დიუ გა.

- არაფერს? - ჩაერია შევალიე დიუ ვისარი, - მადმუაზელს ისეთი ქონება აქვს, ეტყობა კარგ შემოსავალს აძლევს.

- რესპუბლიკას, მაშ, თავის შექცევა უყვარს, რაკი ელჩებად სიხარულის მომგვრელ გოგოებს გვიგზავნის! - წამოიძახა აბატმა გიუდენმა.

- სამწუხაროდ, მადმუაზელს ისეთი სიამოვნება უყვარს, სადაც ხოცავენ, - ისევ მადამ დიუ გა ალაპარაკდა, მისი გაბრწყინებული სახე ამ ხუმრობის არსს მიუთითებდა.

- აბა, მაშ თქვენ ცოცხალი როგორ გადარჩით, მადამ? - შეეპასუხა მსხვერპლი, მოიწესრიგა სამოსი და წამოდგა.

ამ სისხლიანმა ეპიგრამამ ერთგვარი პატივისცემა აღუძრა ასეთი ამაყი მსხვერპლის მიმართ და გააჩუმა საზოგადოება. მადამ დიუ გა გააცეცხლა ირონიამ, წინამძღოლთა გადარბენილ ღიმილში რომ შეამჩნია. და მაშინ, ისე, რომ არ დაუნახავს კაპიტანთან ერთად ოთახში შემოსული მარკიზი, მოიტაცე-დიდი-კვერს მიმართა: - ეს აქედან მოაშორე, - და ხელით მადმუაზელ დე ვერნეიზე მიუთითა შუანს, - ეს ნადავლის ჩემი წილია. გითმობ, რაც გინდა ის უქენი.

კარი VII ამ სიტყვებზე, ქალმა რომ წარმოთქვა, ყველა შეკრთა, რადგან მარკიზის უკან იარე-მიწაზეს და მოიტაცე-დიდი-კვერის მახინჯი თავები გამოჩნდა. წამების ყველა საშუალება წარმოიდგინეს იქ მყოფებმა. ხელებშეტყუპებული, თვალცრემლიანი ფრანსინი მეხდაცემულივით იდგა. მადმუაზელ დე ვერნეიმ საფრთხეს თვალი გაუსწორა, აღიდგინა თავდაჭერილობა, ზიზღით შეხედა დამსწრე საზოგადოებას, ხელიდან გამოსტაცა წერილი მადამ დიუ გას, თავი ასწია, მოელვარე, უცრემლო თვალებმა ერთხელაც გაიბრწყინეს და იმ კარისკენ გავარდა, სადაც მერლის ხმალი ეგულებოდა. იქ ქანდაკებასავით ცივ და გაშეშებულ მარკიზს გადაეყარა. ოდნავი თანაგრძნობაც კი ვერ შეამჩნია გაქვავებულნაკვთებიან სახეზე, მხოლოდ სიმტკიცე. გულმოკლულ მარის სიცოცხლე მოსძულდა. იმ ადამიანმა, რომელიც სულ ახლახან სიყვარულს ეფიცებოდა, ცხადია, გაიგო, როგორ აიგდეს აბუჩად, გულგრილ მოწმედ დარჩა გაქირდვისა, რომელსაც გაუძლო, გადაიტანა, როცა

გაუშიშვლეს განძი სილამაზისა, რომელსაც ქალი სიყვარულს უნახავს და საქვეყნო გახადეს! იქნებ ეპატიებინა კიდევაც მონტორანისთვის უგულებელყოფა, მაგრამ შესძულდა იმის გამო, რომ მისი დამცირების მოწმე გახდა. ველური, ზიზღით სავსე მზერა ესროლა, გრძნობდა, როგორ ჩნდებოდა მის გულში შურისძიების გაუსაძლისი სურვილი. უსასოობა ახრჩობდა და სიკვდილის აჩრდილიც სდევდა. სიგიჟის ქარიშხალს გრძნობდა, სისხლი უდუღდა და ეჩვენებოდა, რომ სამყაროს ცეცხლი ეკიდებოდა. მაშინ, თავის მოკვლის ნაცვლად, დასტაცა ხელი ხმალს, ეკვეთა მარკიზს და ვადამდე გაუყარა ხმალი, მაგრამ წვერი ასცდა და მკლავსა და ფერდს შორის შესრიალდა. ვაჟკაცმა მაჯაში წაავლო ხელი და დარბაზიდან გაათრია მოიტაცე-დიდი-კვერის დახმარებით, რომე-ლიც ამ სცენის შემსწრე, მივარდა მარის, მარკიზის მოკვლა რომ დააპირა. ფრანსინი აკივლდა. პიერ! პიერ! პიერ! - საცოდავად ყვიროდა და თავის ქალბატონს მისდევდა.

მარკიზმა გაოცებული სტუმრები მიატოვა, გავიდა და კარი გაიხურა. პარმაღზე რომ გავიდა, კონვულსიური მოძრაობით მარის მაჯაში ჰქონდა ხელი ისევ ჩავლებული. მოიტაცე-დიდი-კვერმა კინაღამ მხრის ძვალი ჩაუმსხვრია, ისე ჩააფრინდა დაგრეხილი თითებით, მაგრამ მარი მხოლოდ ახალგაზრდა წინამძღოლის გავარვარებულ ხელს გრძნობდა და ცივად შეხედა.

- მტკენთ, მესიე!

პასუხის ნაცვლად, მარკიზმა დაჟინებით შეხედა თავის სატრფოს.

- მითხარით, რისთვის გინდათ, ისევე მდაბლად იძიოთ შური, როგორც იმ ქალმა? - და უცებ გვამები შენიშნა ჩალაზე და აკანკალებულმა წამოიძახა: - კეთილშობილი კაცის პატიოსანი სიტყვა! ჰა! ჰა! ჰა! - შემზარავად გადაიხარხარა და დაუმატა: - მშვენიერი დღეა.

- დიახ, მშვენიერი. დღე, რომელსაც ხვალინდელი დილა არა აქვს.

მან ხელი გაუშვა მადმუაზელ დე ვერნეის, უკანასკნელად, დიდხანს შეხედა მომაჯადოებელ არსებას, რომელზე უარის თქმაც მეტისმეტად უჭირდა. ამ ორი ამაყი სულიდან არც ერთს არ უნდოდა თავი მოედრიკა. მარკიზი იქნებ ცრემლსაც ელოდა,

მაგრამ ახალგაზრდა ქალის თვალები კრიალა და ამაყი იყო. სწრაფად მიტრიალდა და მოიტაცე-დიდ-კვერს შეატოვა მსხვერპლი.

- ღმერთი შეისმენს ჩემს ხმას, მარკიზო, თქვენთვისაც ვთხოვ დღეს, ხვალინდელი დღე რომ არ ექნება!

ასეთი მშვენიერი ნადავლით შეცბუნებულმა მოიტაცე-დიდი-კვერმა ფრთხილად წაიყვანა თან მადმუაზელ დე ვერნეი, მზერა კი ირონიასა და ერთგვარ მოწიწებას გამოხატავდა. მარკიზმა ამოიოხრა და სტუმრებთან დაბრუნდა. სტუმრებმა თვალღიადარჩენილი მიცვალებულის სახე დაინახეს.

ამ ტრაგედიის მონაწილეებს კაპიტან მერლის დაბრუნება ვერაფრით აეხსნათ. მას გაკვირვებულები უყურებდნენ და ერთმანეთს თვალებით ეკითხებოდნენ. მერლმა შეიამჩნია შუანების გაკვირვება, მაგრამ თავისი ხასიათისთვის არ უღალატია და ნაღვლიანმა ღიმილით თქვა: - არა მგონია, ბატონებო, უარი უთხრათ ერთ ჭიქა ღვინოზე კაცს, წინ გრძელი გზა რომ უდევს.

ვანდეელებს მოეწონათ სუფთა ფრანგული თავქარიანობით ნათქვამი ეს ფრაზა, იქ მყოფი საზოგადოება რომ დაამშვიდა. სწორედ ამ დროს შემოვიდა მონტორანი. მისმა გაფითრებულმა სახემ და გაყინულმა თვალებმა სისხლი გაუყინა სტუმრებს.

- ახლა ნახავთ, - თქვა კაპიტანმა, - როგორ გაამხიარულებს მიცვალებული ცოცხლებს.

- აჰ, აქ ხართ? - თქვა მარკიზმა და ახალგამოღვიძებულის ჟესტი გააკეთა, - თქვენ აქ ხართ, ჩემო ძვირფასო სამხედრო პროკურორო!

და მარკიზმა გაუწოდა ღვინის ბოთლი, თითქოს დასხმას უპირებდა.

- მადლობელი ვარ, მოქალაქე მარკიზო, იცით, შეიძლება დავთვრე.

ამ ხუმრობის გაგონებაზე მადამ დიუ გამ სტუმრებს გაუღიმა.

- რაკი ასეა, ჩვენს დესერტს ვერ მიიღებთ.

- შურს ძალიან სასტიკად იძიებთ, მადამ, - უპასუხა კაპიტანმა, - გავიწყდებათ ჩემი მოკლული მეგობარი. მელოდება. მე კი

პაემანზე არასოდეს ვაგვიანებ.

- კაპიტანო, - უთხრა მარკიზმა და თავისი ხელთათმანი ესროლა, - თავისუფალი ხართ! აი, თქვენი საშვი. მეფის ეგერებმა იციან, რომ მთელი ნადირ-ფრინველის მოსპობა არ შეიძლება.

- ასე იყოს! ვიღებ სიცოცხლეს. მაგრამ სანანებელი არ გაგიხდეთ: მე თვითონ ვინადირებ თქვენზე და შებრალების იმედი ნუ გექნებათ. თქვენ შეიძლება ძალიანაც ჭკვიანი ხართ, მაგრამ ჟერარის ფასი არ იცით. მართალია, თქვენი თავი არასაკმარისი საფასურია მისი სიცოცხლისთვის, მაგრამ მე ეს მჭირდება და მექნება.

- მეტისმეტად აჩქარდა, - შეეპასუხა მარკიზი.

- მშვიდობით! შეიძლება ჩემი ჯალათებისთვის მიმეჭახუნებინა ჭიქა, მაგრამ ჩემი მეგობრის მკვლელებთან ვერ დავრჩები, - თქვა კაპიტანმა მერლმა, გავიდა და ყველა გააოგნა.

- აბა, ბატონებო, რას იტყვით ეშევენებზე[9], ქირურგებზე და ადვოკატებზე, რესპუბლიკას რომ მართავენ? - ცივად იკითხა ვაჟკაცმა.

- ღმერთს გეფიცებით, მარკიზო, - უპასუხა გრაფმა დე ბოვერმა, - ყოველთვის ძალიან ცუდად აღზრდილები არიან, ეს კი, მე მგონი, თავხედურად მოიქცა.

კაპიტნის უეცარ წასვლას საიდუმლო მიზეზები ჰქონდა. ქალიშვილი, ასე რომ დაამცირეს, იქნებ ახლა საფრთხეშია, მერლს კი თვალწინ უდგას ცოტა ხნის წინ აღწერილ სცენაში, რა დაუვიწყარი მშვენიერება იხილა. გასვლისას ფიქრობდა: თუ ეს გოგო კალთამადლიანია, მთლად ჩვეულებრივი ნაძრახი არ არის და მზად ვარ ცოლად მოვიყვანო...

იმედი ჰქონდა, რომ ამ ველურებისგან დაიხსნიდა, როგორც კი სიცოცხლე აჩუქეს, მისი პირველი ფიქრი იყო, ამიერიდან თვითონ ეკისრა მისი მფარველობა. სამწუხაროდ, პარმაღზე გამოსულს ეზო ცარიელი დახვდა. მიმოიხედა, ყური მიუგდო და შორს შუანების სიცილი მოესმა მხოლოდ, ნადავლის გაყოფისას რომ სვამდნენ. გაბედა და უნდა შეეხვია ციხე-დარბაზის იმ ფრთისკენ, სადაც მისი ჯარისკაცები დახოცეს და კუთხესთან მისულმა დაინახა შორს, რამდენიმე სანთლის

შუქზე მეფის ეგერები, ჯგუფ-ჯგუფად რომ იდგნენ. არც იარე-მიწაზე, არც მოიტაცე-დიდი-კვერი და არც ახალგაზრდა ქალი იქ არ იყვნენ. უცებ იგრძნო, მისი უნიფორმის კალთას ვიღაც შეეხო. შეტრიალდა და დაჩოქილი ფრანსინი დაინახა.

- სად არის? - სწრაფად შეეკითხა.

- არ ვიცი. პიერმა გამომაგდო და მიბრძანა, ფეხი არ მოვიცვალო.

- სად წავიდნენ?

- იქით, - უპასუხა გოგონამ და კაშხლისკენ მიუთითა.

კაპიტანმა და ფრანსინმა მთვარის შუქით კარგად განათებულ წყლის ზედაპირზე ჩრდილები შენიშნეს, ერთ-ერთი ტანწერწეტა ქალი იყო, გული აუჩქროლდათ, თუმცა გაურკვევლად ჩანდა.

- ის არის, - წამოიძახა ბრეტონელმა ქალმა.

მადმუაზელ დე ვერნეი, როგორც ჩანს, მორჩილად იდგა რამდენიმე კაცს შორის, რომელიც, მათი ჟესტებით თუ ვიმსჯელებთ, კამათობდა.

- ბევრნი არიან! მაინც წავიდეთ! - თქვა კაპიტანმა.

- უსარგებლოდ მოაკვლევინებთ თავს, - უთხრა ფრანსინმა.

- დღეს ერთხელ უკვე მოვკვდი, - მხიარულად უპასუხა კაპიტანმა.

და ორივენი წავიდნენ ჭიშკრის თაღისკენ, რომლის უკანაც ხდებოდა ეს სცენა. შუა გზაზე ფრანსინი გაჩერდა.

- არა, მე აღარ წამოვალ, - ჩუმად უთხრა კაპიტანს, - პიერმა მითხრა, არ ჩაერიოო. ვიცნობ. ჩვენ ყველაფერს გავაფუჭებთ. რაც გინდათ, გააკეთეთ, ბატონო ოფიცერო, მაგრამ გამეცალეთ. პიერმა თქვენთან რომ დამინახოს, მოგკლავთ.

ამ დროს მოიტაცე-დიდი-კვერი შემოვიდა ჭიშკარში. საჯინიბოში დარჩენილი მეეტლის დასაძახებლად, შეამჩნია კაპიტანი, თოფი დაუმიზნა და წამოიძახა: - წმინდაო ანა ორეელო! ანტრენის რექტორი მართალი იყო, ლურჯებმა სული ეშმაკს მიჰყიდესო. მოიცა, მოიცა! ვეღარ აღსდგები!

- დაიცადე! მე მაჩუქეს სიცოცხლე! - შესძახა მერლმა, მიხვდა

ხიფათი ელოდა, - აი, შენი მეთაურის ხელთათმანი.

- რა ეშმაკები არიან ეს მოჩვენებები! მე არ გაჩუქებ სიცოცხლეს... ავე მარია!

შუანმა გაისროლა. ტყვია თავში მოხვდა კაპიტანს. დაეცა. როცა ფრანსინი მიუახლოვდა მერლს, გაუგებარი სიტყვები მოესმა: - მათთან დარჩენა მირჩევნია, მათ გარეშე დაბრუნებას.

შუანი მივარდა, დაიწყო მისი გახდა და თან ბუტბუტებდა: - მოჩვენებებს კარგი ის აქვთ, რომ ტანსაცმლიანად აღსდგებიან.

კაპიტანმა ხელი გაანძრია, თითქოს ვაჟკაცის ხელთათმანი უნდოდა ეჩვენებინა. შუანმა ეს დამცავი ნიშანი რომ დაინახა, გაშეშდა.

- ეჰ, როგორ არ მინდა, მე - მე ვიყო! - წამოიძახა და ჩიტის სისწრაფით გაქრა.

კაპიტნისთვის ეს ფატალური შეხვედრა გასაგები რომ გახდეს, მივადევნოთ თვალი მადმუაზელ დე ვერნეის მას შემდეგ, რაც გაცოფებულმა და სასოწარკვეთილმა მარკიზმა მიატოვა და მოიტაცე-დიდი-კვერს გადაულოცა. მაშინ ფრანსინი იარე-მიწაზეს ჩააფრინდა მკლავში და თვალცრემლიანმა გაახსენა დაპირება.მოიტაცე-დიდი-კვერი კი, მათგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, თავის მსხვერპლს უხეში ტვირთივით მიათრევდა. თმაგაშლილი, თავდაღუნული მარი დროდადრო თვალს აპარებდა ტბისკენ, მაგრამ ფოლადის ხელს მაგრად ეჭირა და ისიც იძულებული იყო, გაჰყოლოდა შუანს, რომელიც მის დასანახად ან ფეხის ასაჩქარებად ხშირად იყურებოდა უკან და ყოველ მობრუნებაზე რაღაც მხიარული აზრი ამაზრზენ ღიმილს ჰფენდა სახეზე.

- ვა, რა ლამაზია! - აღმოხდა უხამსი აღფრთოვანებით.

ამ სიტყვებზე ფრანსინს ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა.

- პიერ?

- ჰო, რა?

- მოკლავს?

- ცოტა მერე, - უპასუხა იარე-მიწაზემ.

თავს არ მოაკვლევინებს, მაგრამ თუ მოკვდა, მეც მოვკვდები.

- ოჰო, რა მაგრად გიყვარს, მოკვდეს! - თქვა იარე-მიწაზემ.

- ჩვენ თუ მდიდრები და ბედნიერები ვიქნებით, მას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს ბედნიერებას. თუმცა რა, შენ არ დამპირდი, ყველა უბედურებას ავაცილებო?

- ვეცდები. აქ დარჩი და არ გაინძრე.

ფრანსინმა მაშინვე შეუშვა ხელი იარე-მიწაზეს და საშინლად აღელვებული ეზოში დარჩა. იარე-მიწაზე მეგობარს მაშინ წამოადგა თავს, ქალს რომ აიძულებდა, ეტლში ჩამჯდარიყო. მოიტაცე-დიდი-კვერმა მეგობარს სთხოვა, ეტლი ეზოში გამაგორებინეო.

- რას აპირებ?

- დიდმა ფეხმსუბუქამ მომცა ეს ქალი და მთელი მისი ქონება ახლა ჩემია.

- აი, ეტლით ფულს გააკეთებ, მაგრამ ქალი? კატასავით ჩაგაფრინდება სახეში.

მოიტაცე-დიდი-კვერმა გადაიხარხარა და უთხრა: - მერე რა? წავიყვან ჩემთან და დავაბამ.

- ჰო, კაი, შეაბი ცხენები.

ერთი წუთის შემდეგ იარე-მიწაზემ მეგობარი თავისი ნადავლის ყარაულად დატოვა, თვითონ კი გააგორა ეტლი ეზოში. მოიტაცე-დიდი-კვერი მადმუაზელ დე ვერნეის გვერდით იჯდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა, რომ ტბორში გადასახტომად, თავის დასახ-რჩობად ემზადებოდა.

- ეი! მოიტაცე-დიდი-კვერი! - დაუძახა იარე-მიწაზემ.

- რა?

- შენს ნადავლს მე ვიყიდი.

- რაა? ხუმრობ? - ჰკითხა შუანმა და კალთაში სტაცა ხელი თავის ტყვეს, ყასაბი რომ დაიჭერს ხოლმე გასაქცევად გამზადებულ ხბოს.

- აბა ერთი შემახედე, მერე ფასს გეტყვი.

საბრალო გოგონა იძულებული იყო გადმოსულიყო ეტლიდან და მათ შორის ჩამდგარიყო. შუანებმა აქეთ-იქიდან ჩაავლეს ხელები ხელებში და ისეთი თვალებით უყურებდნენ, როგორც ალბათ ბიბლიური ორი მოხუცი უყურებდა მობანავე სუსანას.

- არ გინდა? - და იარე-მიწაზემ ამოიოხრა, - არ გინდა ოცდაათი ლივრი სუფთა რენტა?

- არ მატყუებ?

- დაჰკა ხელი! - უთხრა იარე-მიწაზემ და ხელი გაუწოდა.

- დაკა ხელი, მოსულა. მაგ ფულად ბრეტონელ ქალებს კიდე ვიშოვი და თან რა კოხტებს! მაგრამ ეტლი? ეგ ვიღასია? - გაახსენდა უცებ მოიტაცე-დიდ-კვერს.

- ჩემი, - ისეთი საშინელი ხმით დაიძახა იარე-მიწაზემ, ცხადი გახდა, სასტიკი ხასიათის გამო რომ ჰქონდა უპირატესობა ყველა თავის ამხანაგზე.

- ეტლი ოქრო თუა?

- დაჰკარი ხელი?

- დავკარი.

- ჰოდა, წადი, მეეტლე მოიყვანე, გათოკილია თავლაში.

- მაგრამ, ოქრო რომ იყოს... ?

- არის იქ რამე? - უხეშად ჰკითხა იარე-მიწაზემ მარის და მკლავზე ხელი შეუშვა.

- ას ეკიუმდე მაქვს, - უპასუხა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

ამ სიტყვებზე შუანებმა ერთმანეთს გადახედეს.

- ე, ძმაო, ლურჯების ქალისთვის ხო არ ვიჩხუბებთ? - უჩურჩულა მოიტაცე-დიდი-კვერმა იარე-მიწაზეს. ერთი კაი ქვა კისერზე, ტბაში გადავუძახოთ და ასი ეკიუც გავიყოთ.

- დ'ორჟემონის გამოსასყიდის ჩემი წილიდან მოგცემ ას ეკიუს, - იარე-მიწაზე ასეთი მსხვერპლით გამოწვეულ გმინვას ძლივს იკავებდა.

მოიტაცე-დიდი-კვერმა ხრინწიანად ამოიხრიალა, წავიდა მეეტლის მოსაყვანად და მისმა სიხარულმა უბედურება

მოუტანა კაპიტანს, გზად რომ გადაეყარა. სროლის ხმაზე იარე-მიწაზე გაექანა იქით, სადაც ფრანსინი საცოდავ კაპიტანთან დაჩოქილი ხელებშეტყუპებული ლოცულობდა, მკვდრების ნახვით ჯერ ისევ გულგახეთქილი.

- გაიქეცი შენს ქალბატონთან, - უცებ გადაულაპარაკა შუანმა, - გადარჩენილია!

თვითონ წავიდა მეეტლის მოსაყვანად, ელვის სისწრაფით დაბრუნდა და მერლის გვამთან ჩარბენისას შეამჩნია ვაჟკაცის ხელთათმანი, მიცვალებულს ჯერ ისევ ჩაბღუჯული რომ ჰქონდა.

- ო! ო! შეგშლია, ძმობილო. ისე ვატყობ, თავისი რენტით ვერ ისარგებლებს.

გამოჰგლიჯა ხელთათმანი და მადმუაზელ და ვერნეის უთხრა, ფრანსინთან ერთად უკვე ეტლში რომ იჯდა; - დაიჭით ეს ხელთათმანი. გზაზე ჩვენი ხალხი თუ შემოგეყარათ, დაუყვირეთ თავდამსხმელებს „ვაჟკაცი“! აჩვენეთ ეს საბუთი და ცუდი არაფერი შეგემთხვევათ.

- ფრანსინ, - მიუბრუნდა და მაგრად ჩასჭიდა ხელი, - ამ ქალთან ბარი-ბარში ვართ, წამოდი და ეშმაკსაც წაუღია.

- ასეთ დროს გინდა, მივატოვო? - გულნატკენმა უპასუხა ფრანსინმა.

იარე-მიწაზემ ყური მოიფხანა, მერე თავი ასწია და თვალებში სისასტიკემ გაიელვა: - სწორია. შეგიძლია ამასთან დარჩე ერთი კვირა. ამ ხნის შემდეგ თუ არ წამოხვალ ჩემთან... - არ დაასრულა, მაგრამ მაგრად დასცხო ხელისგული კარაბინის ლულას, მერე ვითომ დაუმიზნა თავის საყვარელს და გაქრა, პასუხისთვის არ დაუცდია.

როგორც კი შუანი თვალს მოეფარა, ყრუ ხმა შემოესმათ, თითქოს ტბიდან: - ქალბატონო! ქალბატონო!...

მეეტლეც და ქალებიც შიშისგან შეხტნენ, ტბაში რამდენიმე გვამი ტივტივებდა. ხის უკან დამალული ლურჯი გამოჩნდა.

- ნება მომეცით, თქვენი ეტლის ძარის უკან სატერფულზე დავდგე, თუ არა, ჩემი საქმე წასულია. გულთამხილავმა სიდრის დალევა მოინდომა და ეს ერთი ჭიქა არაერთი სისხლის

ფასი დაჯდა! ჩემთვის რომ მოებაძა და შემოვლაზე წამოსულიყო, საწყალი ამხანაგები იქ, წყალში არ ეყრებოდნენ ახლა.

სანამ გარეთ ეს ამბები ხდებოდა, ვანდეიდან გამოგზავნილი მეამბოხეები და შუანების წინამძღოლები ჭიქებით ხელში, მარკიზ დე მონტორანის თავმჯდომარეობით, თათბირობდნენ. ბორდოს ღვინის უხვად მიღებამ გამოაცოცხლა საუბარი, ვახშმის დასასრულს მნიშვნელოვანი, სერიოზული ხასიათი რომ მიიღო.

დესერტის დროს ერთობლივი სამხედრო გეგმა შეიმუშავეს და როიალისტებმა ბურბონების სადღეგრძელო შესთავაზეს. და სწორედ ამ დროს მოიტაცე-დიდი-კვერის გასროლის ხმა გაისმა, როგორც ექო დამღუპველი ომისა, რომელსაც ეს მხიარული და დიდგვაროვანი შეთქმულები რესპუბლიკის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. მადამ დიუ გა შეკრთა და მის უნებურ ჟესტზე, მეტოქისგან გათავისუფლების სიამოვნებამ რომ გამოიწვია, სტუმრებმა ჩუმად გადახედეს ერთმანეთს. მარკიზი ადგა სუფრიდან და გავიდა.

- მაინც უყვარდა, - ირონიულად შენიშნა მადამ დიუ გამ, - წადით, მესიე დე ფონტენ, კომპანია გაუწიეთ, თორემ შემოდგომის ბუზივით გულის გამაწვრილებელი იქნება, თუ დიდხანს დატოვებთ ასე.

ფანჯრისკენ წავიდა, ეზოში მარის გვამის დანახვა უნდოდა. ჩამავალი მთვარის უკანასკნელი სხივების შუქზე შენიშნა, ვაშლის ხეებჩარიგებულ გზაზე წარმოუდგენელი სისწრაფით მიჰქროდა ეტლი. ქარი მადმუაზელ დე ვერნეის გრძელ ვუალს მიაფრიალებდა. გამძვინვარებულმა მადამ დიუ გამ შეკრება დატოვა. პარმაღზე მიყრდნობილი, ღრმა ფიქრებში ჩაძირული მარკიზი უყურებდა ასორმოცდაათ შუანს, ბაღში ნადავლის გაყოფის შემდეგ ეზოში რომ დაბრუნდნენ, კასრი სიდრისა და ლურჯებისთვის დაპირებული პურის დასამთავრებლად. ეს ახალი ჯურის ჯარისკაცები, მონარქის იმედი - ნაპირზე ჯგუფ-ჯგუფად მიმსხდარნი სვამდნენ, პარმაღის პირდაპირ კი ნაპირზე შვიდი თუ რვა მათგანი ყელზე გამობმული ქვით ლურჯების გვამების წყალში ჩაყრით ერთობოდა. ეს სპექტაკლი, უცნაურ კოსტიუმებთან, უზრუნველ და ველურ ჯელთა ბრიყვულ გამომეტყველებასთან ერთად, ისეთი არაორდინალური და ახალი იყო მესიე დე ფონტენისათვის,

რომლისთვისაც ვანდეის ჯარები ერთგვარი კეთილშობილებისა და წესრიგის მიმანიშნებელი იყო, რომ გადაწყვიტა, შემთხვევით ესარგებლა და მარკიზ დე მონტორანს უთხრა: - ამ საქონელთან ერთად, რისი გაკეთების იმედი გაქვთ?

- დიდი არაფრის, მართალი ხართ, ბატონო გრაფო, - უპასუხა ვაჟკაცმა.

- განა ოდესმე მოახერხებენ მანევრირებას, რესპუბლიკელებს თუ შეხვდებიან?

- ვერასოდეს.

- თქვენს ბრძანებებს კი გაიგონებენ და შეასრულებენ?

- ვერასოდეს.

- აბა, რაში გამოგადგებიან?

- ჩემი მახვილის რესპუბლიკის მუცელში გასაყრელად, - შესძახა მარკიზმა მგრგვინავი ხმით, - სამ დღეში ფუჟერის დაპყრობაში და ათ დღეში მთელი ბრეტანის!.. გაემგზავრეთ, მესიე, - უფრო რბილად უთხრა, - წადით ვანდეაში: დ'ოტიშანმა, სიუზანემ და აბატმა ბერნიემ ჩემსავით სწრაფად იარონ, არც კი იფიქრონ პირველ კონსულთან პირის შეკვრაზე, რისაც უკვე მეშინია, - მან მაგრად ჩამოართვა ხელი ვანდეელს, - და მაშინ სამ კვირაში პარიზიდან ოცდაათი ლიეს დაშორებით ვიქნებით.

- მაგრამ რესპუბლიკა ჩვენს წინააღმდეგ სამოცი ათას ადამიანს და გენერალ ბრიუნს აგზავნის.

- სამოცი ათას ადამიანს! მართლა? - შეეხმიანა მარკიზი დამცინავი სიცილით, - აბა, ბონაპარტი იტალიის კამპანიას რითი აპირებს? რაც შეეხება გენერალ ბრიუნს, არ ჩამოვა, ბონაპარტმა გააგზავნა ჰოლანდიაში ინგლისელების წინააღმდეგ და გენერალი ედუვილი, ჩვენი მეგობარი ბარასის მეგობარი შეცვლის აქ. გასაგებია?

ამ სიტყვებზე ფონტენმა გამჭოლი და ჭკვიანური მზერა მიაპყრო მარკიზ დე მონტორანს, თითქოს საყვედურობდა, რომ მარკიზს თვითონაც არ ესმოდა თავისი იდუმალი სიტყვების შინაარსი. ორივე დიდგვაროვანმა მშვენივრად გაუგო ერთმანეთს, მაგრამ ახალგაზრდა წინამძღოლმა ძნელად

ასახსნელი ღიმილით გასცა პასუხი იმ აზრებს, თვალებით რომ გამოხატავდნენ.

- მესიე დე ფონტენ, ჩემი გერბი იცით როგორია? ჩემი დევიზია „შეუპოვრობა საფლავამდე“.

გრაფმა დე ფონტენმა დე მონტორანის ხელი აიღო, ჩამოართვა და უთხრა: - ბრძოლის ველზე დამტოვეს კატრ-შმენთან, მოკლულად ჩამთვალეს. მაშასადამე, ჩემში ეჭვი არ შეგეპაროთ, მაგრამ ჩემს გამოცდილებას ენდეთ, დროება შეიცვალა...

- ო, დიახ, - თქვა შემოსწრებულმა ლა ბილარდიერმა, - თქვენ ახალგაზრდა ხართ, მარკიზო. მისმინეთ, თქვენი მიწები ბოლომდე არ არის გაყიდული...

- დასაშვებად მიგაჩნიათ ერთგულება მსხვერპლის გარეშე?! - ჰკითხა მონტორანმა.

- მეფეს კარგად იცნობთ? - კითხვა დაუბრუნა ლა ბილარდიერმა.

- დიახ!

- თქვენით აღფრთოვანებული ვარ.

- მეფე, - უპასუხა ახალგაზრდა წინამძღოლმა, - მირონცხებულია, მე კი რწმენისთვის ვიბრძვი!

ერთმანეთს დაშორდნენ, ვანდეელი დარწმუნებული იმაში, რომ აუცილებელია გარემოებებთან შერიგება; ლა ბილარდიერი - ინგლისში დაბრუნების განზრახვით; მონტორანი - გადაწყვეტილებით, დაჟინებით იბრძოლოს და თავისი მომავალი გამარჯვებებით, რომლებზეც ოცნებობდა, აიძულოს ვანდეელები, ხელი შეუწყონ მის გეგმებს.

ამ მოვლენებმა იმდენი ემოცია გამოიწვია მადმუაზელ დე ვერნეის სულში, რომ ფუჟერში წასვლა ბრძანა და არაქათგამოცლილი, ცოცხალმკვდარი გადაესვენა ეტლის საზურგეზე. ფრანსინიც თავისი ქალბატონივით დუმდა. მეეტელე, იმის შიშით, კიდევ რაიმე შარს არ გადაჰყროდა, ისე მიაქროლებდა, რომ მალე დიდ გზაზე გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ პელერინის მწვერვალზე იყო. მარი დე ვერნეიმ დილის სქელ, მოთეთრო ნისლში გადაკვეთა კოენონის მშვენიერი, განიერი ველი, სადაც ეს ამბავი დაიწყო და პელერინის

თხემიდან შორს ძლივს გაარჩია ფიქლის კლდე, რომელზეც ქალაქი ფუჟერია გაშენებული. სამი მგზავრი, დაახლოებით, ორი ლიეთი იყო ჯერ კიდევ დაშორებული. გათოშილ მადმუაზელ დე ვერნეის გაახსენდა საბრალო ქვეითი, ეტლის უკანა სატერფულზე შეყინული და, მიუხედავად მისი დიდი წინააღმდეგობისა, აიძულა, ფრანსინის გვერდით დამჯდარიყო. ფუჟერის დანახვამ წამით დაავიწყა თავისი საფიქრალი, თანაც სენ-ლეონარის კარიბჭესთან დაყენებულმა გუშაგმა უარი უთხრა უცნობების ქალაქში შეშვებაზე და მარი იძულებული გახდა, ეჩვენებინა მინისტრების წერილი. აქ მოხვედრისას, თუმცა მხოლოდ მაცხოვრებლები იყვნენ მისი დამცველები, მარიმ ყოველგვარი მტრებისაგან დაცულად იგრძნო თავი. მეეტლემ სხვა თავშესაფარი ვერ უპოვა და საფოსტო სასტუმროში მიიყვანა.

- მადამ, - მიმართა მისმა გადარჩენილმა ლურჯმა, - თუ დაგჭირდებათ ხმლით რამის მოგვარება, ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელშია. მაგ საქმეში ვვარგივარ. ჟან ფალკონი მქვია, მეტსახელად იფრინდა, იულოს არწივების ასეულის სერჟანტი სამოცდამეთორმეტე ნახევარბრიგადისა, მაიანსისას რომ ეძახიან. ბოდიშს ვიხდი, იქნებ ზედმეტი თავმდაბლობა და პატივმოყვარეობაა, მაგრამ მხოლოდ ერთი საწყალი სერჟანტის სული შემიძლია შემოგთავაზოთ, სხვა არაფერი გამაჩნია ამჟამად თქვენს სამსახურად, - ქუსლებზე შეტრიალდა და სტვენით წავიდა.

- რაც უფრო დაბლა ჩადიხარ საზოგადოების კიბეზე, მით მეტია გულწრფელი, კეთილშობილი გრძნობა. მარკიზმა თავისი სიცოცხლის საფასურად სიკვდილი შემომთავაზა, ვიღაც სერჟანტმა კი ... თუმცა გვეყოფა ამაზე...

მშვენიერი პარიზელი ქალი ჩაწვა თბილ ლოგინში, მისი ერთგული ფრანსინი კი ამაოდ ელოდა მისგან ჩევულებრივ თბილ სიტყვებს. მადმუაზელ დე ვერნეიმ შეამჩნია, შეწუხებული რომ იდგა და ნაღვლიანად დაუქნია თავი.

- ამასაც დღე ჰქვია, ფრანსინ! ათი წლით დავბერდი.

მეორე დღეს, როგორც კი ადგა, კორანტენი გამოეცხადა სანახავად, მარიმ შესვლის ნება მისცა.

- ფრანსინ, ეტყობა ძალიან უბედური ვარ, რაკი კორანტენის ნახვა არ მეზიზღება.

და მაინც, ამ კაცის დანახვაზე ის ინსტინქტური ზიზღი იგრძნო, რომელიც ორი წლის ნაცნობობამ ვერ შეარბილა.

- აბა? - თქვა სტუმარმა ღიმილით, - მე კი წარმატებას ველოდი. თქვენს ხელში არ იყო განა?

- კორანტენ, - უპასუხა ნელა და დარდიანად, - ამაზე ნუ დამელაპარაკებით, სანამ მე თვითონ არ ვიტყვი რამეს.

კაცმა გაიარ-გამოიარა ოთახში, თან თვალს აპარებდა მადმუაზელ დე ვერნეისკენ, ცდილობდა, გამოეცნო აზრები ამ არაჩვეულებრივი ქალიშვილისა, რომელიც თავისი გამჭრიახობით ყველაზე მარჯვე კაცებსაც კი თავგზას უბნევდა.

- ეს მარცხი ვივარაუდე, - ერთი წუთი სიჩუმის მერე განაგრძო კორანტენმა, - თუ ისურვებთ, თქვენი შტაბ-ბინა ამ ქალაქში მოაწყოთ, ინფორმაცია მოვაგროვე უკვე. ამბოხებული შუანების შუაგულში ვართ. აქ აპირებთ დარჩენას?

თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

- თქვენთვის ვიქირავე სახლი - სახელმწიფოს ქონება, ჯერ კიდევ რომ არ გაყიდულა. ამ მხარეში ხალხი ჩამორჩენილია, ვერავინ ბედავს ამ ულაზათო სახლის ყიდვას, პატრონი ემიგრანტი ყოფილა, ამბობენ, უხეში კაციაო. სენ-ლეონარის ეკლესიასთან არის, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, შესანიშნავი ხედია იქიდან. ეგ ძაღლის ბუდრუგანასავით სახლი საცხოვრებლად გამოდგება. გინდათ იქ გადასვლა?

- დაუყოვნებლივ! - შესძახა მარიმ.

- მაგრამ კიდევ რამდენიმე საათი დამჭირდება, რომ გავასუფთაო და მოვაწესრიგო, ყველაფერი თქვენი მოსაწონი რომ იყოს.

- რა მნიშვნელობა აქვს! მზად ვარ ვიცხოვრო მონასტერში, თუნდაც ციხეში. ოღონდ მოახერხეთ, რომ დღეს საღამოსვე შემეძლოს, სრულიად მარტომ დავისვენო. წადით. დამტოვეთ. თქვენი აქ ყოფნა ჩემთვის აუტანელია. მარტო მინდა დავრჩე ფრანსინთან ერთად, მას ალბათ უფრო ვუგებ, ვიდრე ჩემს თავს... მშვიდობით! წადით! წადით, რაღას უცდით!

სხაპასხუპით ნათქვამმა ამ სიტყვებმა, ხან კეკლუცობით, ხან დესპოტიზმით თუ გატაცებით ნათქვამმა, დაადასტურა, რომ

უკვე მშვიდად იყო. ეტყობა, ძილში ყველაფერი დალანდა, რაც წინა დღეს მოხდა, მსჯელობამ კი მადმუაზელ დე ვერნეი შურისძიებამდე მიიყვანა. თუ ხანდახან პირქუში უხდებოდა სახე, ეს მიუთითებდა იმ გულჩახვეულ ხასიათზე, ზოგიერთ ქალს რომ აქვს და უნარზე, არ გაამჟღავნოს და ჩაიმარხოს გულში ბობოქარი გრძნობები და მშვიდი ღიმილით იფიქროს, თავის მსხვერპლს როგორ მოუღოს ბოლო. მარტო დარჩენილი ფიქრობდა, როგორ ჩაეგდო ხელში ცოცხალი მარკიზი. სიცოცხლეში პირველად ცხოვრობდა ეს ქალი ისე, როგორც უნდოდა, მაგრამ ასეთი ცხოვრების ერთი დღის შემდეგ მხოლოდ შურისძიება დარჩა, უსაზღვრო და უსასრულო შურისძიება. მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და მხოლოდ ამით არსებობდა. ფრანსინის სიტყვები, ზრუნვა მარის მყუდროებას ვერ არღვევდა, თითქოს თვალხილულს ეძინა, არ ამჟღავნებდა გონების იდუმალ, გაცხარებულ, დაძაბულ მუშაობას. სკამებისა და ბალიშებისგან გაკეთებულ იმპროვიზირებულ ოტომანზე იწვა. მხოლოდ საღამოს, დაუდევარი ტონით უთხრა ფრანსინს:
- პატარავ, გუშინ გავიგე, რომ სიყვარულისთვის ვცოცხლობთ, დღეს კი მესმის, რომ შეიძლება შურისძიებისთვის მოვკვდე. ჰო, იმისათვის, რომ ვიპოვო იქ, სადაც თავს აფარებს, კიდევ ვნახო, მოვხიბლო, ხელში ჩავიგდო - სიცოცხლეს მივცემდი. მაგრამ თუ რამდენიმე დღეში ეს კაცი, ასე რომ დამამცირა და აბუჩად ამიგდო, ფერხთით არ მეყოლება, ჩემს ლაქიად თუ არ ვაქცევ, მაშინ მე ყველაზე საცოდავი არსება ვიქნები, მე - მე არ ვიქნები!..

სახლი, კორანტენმა რომ შესთავაზა მადმუაზელ დე ვერნეის, დიდ გასაქანს აძლევდა, დაეკმაყოფილებინა ამ გოგონას თანდაყოლილი სწრაფვა ფუფუნებისკენ და სინატიფისკენ - მოაგროვა ყველაფერი, რაც, მისი აზრით, შეიძლებოდა მოსწონებოდა. საზრუნავს შეყვარებული კაცის სული და გული ჩააქსოვა, თავი რომ მოეწონებინა ან, უფრო ზუსტად, გული მოეგო როგორც ძალაუფლების მქონეს თავისი ქვეშევრდომისა, რომელიც სჭირდება. მეორე დღეს კორანტენი მოვიდა და მადმუაზელ დე ვერნეის შესთავაზა, ამ იმპროვიზებულ სასახლეში გადასახლებულიყო.

თავნება პარიზელი ქალი მოუხერხებელი ოტომანიდან ძველებურ სოფაზე გადაწვა, კორანტენმა სადღაც რომ მოიპოვა მისთვის და სახლს ისე დაეპატრონა, იტყოდით, კანონიერი მესაკუთრეაო. ყველაფერს, რაც იქ დახვდა, მეფური

უზრუნველობით და უცაბედი მოწონებით უყურებდა, თითქოს ყველა ნივთი მას ეკუთვნოდა, ყველაზე უმნიშვნელოსაც კი დიდი ხანია იცნობდა. ეს ყოველდღიური წვრილმანები, ასეთი განსაკუთრებული ხასიათის ჩვენებისათვის, აუცილებლად დასჭირდებოდა პორტრეტისტს, გეგონებოდათ, სიზმარში წინასწარ შეეგუა ამ სახლს და ახლა თავისი სიძულვილით ცხოვრობდა ისე, როგორც სიყვარულითაც შეეძლო ეცხოვრა.

- ყოველ შემთხვევაში, - ფიქრობდა მარი, - მე მასში ეს მომაკვდინებელი, შეურაცხმყოფელი სიბრალული არ გამომიწვევია და სიცოცხლესაც მას არ ვუმადლი. ოო, ჩემო პირველო, ერთადერთო და უკანასკნელო სიყვარულო! როგორი კვანძის გახსნაა!

და უცებ, ერთი ნახტომით მივარდა გულგახეთქილ ფრანსინს.

- გიყვარს? ო, გიყვარს, მახსოვს. რა კარგია, ჩემ გვერდით ისეთი ქალი რომ იქნება, რომელიც გამიგებს. აბა, ჩემო საბრალო ფრანსინეტ, არ გეჩვენება, რომ მამაკაცები საშინელი არსებები არიან? წარმოიდგინე! აბა, მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი და ყველაზე იოლ გამოცდასაც კი ვერ გაუძლო. მაგრამ მთელ ქვეყანას რომ ხელი ეკრა მისთვის, ჩემს სულში იპოვნიდა თავშესაფარს, მთელ სამყაროს რომ დაედო მისთვის ბრალი, მე დავიცავდი. ოდესღაც მეგონა, ქვეყანა სავსე იყო ხალხით, არსებებით, რომლებიც მიდი-მოდიოდნენ, ყველა სულერთი იყო ჩემთვის. სამყარო მოშავბნელებული იყო, დაღვრემილი, ოღონდ არა მრისხანე. ახლა კი რა? რაში მჭირდება სამყარო მის გარეშე? ის კი იცოცხლებს ისე, რომ გვერდში არ ვეყოლები, ვერ დავინახავ, ვერ დაველაპარაკები, ვერ შევიგრძნობ, ხელს ვერ მოვკიდებ, ვერ მოვეხვევი... მირჩევნია, ჩემი ხელით მოვკლა მძინარე.

შეშინებული ფრანსინი ერთხანს უხმოდ უყურებდა.

- მოკლავდი იმას, ვინც გიყვარს?.. - მშვიდად ჰკითხა.

- ჰო, აბა რა, თუ აღარ ვუყვარვარ!

ამ შემზარავი სიტყვების მერე სახეზე ხელები აიფარა. ისევ დაჯდა და გაჩუმდა.

მეორე დღეს მოულოდნელად, გაუფრთხილებლად ვიღაც კაცი

გამოეცხადა. მკაცრი სახე ჰქონდა, იულო იყო. კორანტენი ახლდა. მადმუაზელ დე ვერნეიმ თვალები ასწია და შეკრთა.

- მოხვედით, თქვენი მეგობრების ხვედრის გამო ანგარიში რომ ჩაგაბაროთ? - დაიღუპნენ.

- ვიცი. და დაიღუპნენ არა რესპუბლიკისთვის.

- ჩემთვის და ჩემ გამო. ახლა სამშობლოზე დამიწყებთ ლაპარაკს. სამშობლო! განა სამშობლო სიცოცხლეს უბრუნებს მისთვის დახოცილებს? შურს იძიებს მათთვის? მე კი ვიძიებ, - წამოიძახა მარიმ.

კატასტროფის მწუხარე სურათები, სადაც თვითონაც მსხვერპლი იყო, თვალწინ დაუდგა და ეს გრაციოზული გოგონა, მორცხვობა ქალის მთავარ ხელოვნებად, ეშმაკობად რომ მიაჩნდა, გიჟივით, არეული ნაბიჯით მივარდა განცვიფრებულ იულოს და იყვირა: - რამდენიმე მოკლული ჯარისკაცისთვის გილიოტინაზე მივიყვან ადამიანს, რომლის თავიც მრავალი ათასი თავის ფასია. ქალები იშვიათად ომობენ, მაგრამ თქვენ, მიუხედავად თქვენი დიდი გამოცდილებისა, ჩემს სკოლაში შეგიძლიათ ისწავლოთ სამხედრო ხრიკები. თქვენს ხიშტებზე წამოვაგებ მთელ ოჯახს: მას და მის წინაპრებს, მის წარსულსა და მომავალს. რამდენადაც მართალი და გულწრფელი ვიყავი მის მიმართ, იმდენად ვერაგი და მატყუარა ვიქნები. დიახ, პოლკოვნიკო, მინდა ჩემს სარეცელში შევიტყუო ეს არისტოკრატი, საიდანაც სიკვდილის გზას გაუდგება. ასეა... არასოდეს მეყოლება მეტოქე... უბედურმა განაჩენი თვითონ გამოუტანა თავის თავს: დღე - მეორე დღის გარეშე! ეს იქნება შურისძიება თქვენი რესპუბლიკისთვის და ჩემთვის! რესპუბლიკა! - ისეთი ხმით შესძახა ქალმა, რომ უცნაურმა ინტონაციამ შეაშინა იულო, - მაშ, გამოდის, რომ მეამბოხეს სიკვდილით სჯიან, რადგან იარაღი აღმართა სამშობლოს წინააღმდეგ? მაშ, გამოდის, რომ საფრანგეთი ჩემს შურისძიებას მოიპარავს? ოჰ, რა ცოტას ნიშნავს სიცოცხლე! სიკვდილით ხომ მხოლოდ მის ერთ ბოროტმოქმედებას გამოისყიდის. მაგრამ თუ ამ მესიეს მხოლოდ ერთი თავი აქვს დასაკარგავი და სხვა არაფერი, მე მთელი ღამე მექნება და ვაიძულებ, მიხვდეს, რომ სიცოცხლეზე მეტს კარგავს და თქვენ მას მოკლავთ, მეთაურო (სიტყვებს ოხვრა ამოატანა), მაგრამ რადაც უნდა დაგიჯდეთ, გააკეთეთ ისე, რომ ჩემი ღალატის საიდუმლო არავინ უთხრას და მოკვდეს ისე, რომ

დარწმუნებული იყოს ჩემს ერთგულებაში. მხოლოდ ამას გთხოვთ. მხოლოდ მე მხედავდეს, მე და ჩემს ალერსს!

და დადუმდა. მაგრამ სახე ვარდისფრად უღუოდა და იულომ და კორანტენმა თითქოს დაინახეს, მრისხანებამ და სიგიჟის ბოდვამ ვერ ჩაახშო მისი სიმორცხვე ბოლომდე. ამ უკანასკნელ სიტყვებზე ათრთოლდა, თითქოს ისევ მიუგდო მათ ყური, გეგონე-ბოდათ, ეჭვი ეპარება, რომ შეძლო მათი წარმოთქმა და შემკრთალმა მიამიტურად გააკეთა ის უნებური ჟესტი, რასაც ქალი აკეთებს, რიდე რომ უსხლტება ხელიდან.

- კი მაგრამ, თქვენს ხელში არ იყო? - შეეკითხა კორანტენი.

- შესაძლოა, მწარედ ჩაილაპარაკა.

- რატომ გამაშვებინეთ, როცა ხელთ მყავდა? - ჰკითხა იულომ.

- ეჰ, სარდალო, რა ვიცოდით, რომ ის იყო?

უცებ ეს აფორიაქებული ქალი, ჩქარი ნაბიჯით რომ მიმოდიოდა და გადარეული თვალებით უცქერდა ამ ქარიშხლის ორ მაყურებელს, დამშვიდდა. ჩემს თავს ვერ ვცნობ, - თქვა კაცივით მტკიცე ტონით. ლაპარაკი რას უშველის, საძებნელად უნდა წასვლა.

- მის საძებნელად? - ჩაილაპარაკა იულომ, - ჩემო ძვირფასო ბავშვო, ფრთხილად! ახლომახლო სოფლები ჩვენს ხელში არ არის და თუ გაბედავთ ქალაქიდან გასვლას, დაგიჭერენ ან მოგკლავენ ციხე-დარბაზიდან ას ნაბიჯში.

- ვისაც შურისძიება უნდა, საფრთხე არ არსებობს! - მედიდური ჟესტით გაისტუმრა ორივე სტუმარი, - რცხვენოდა მათი შეხედვის.

- რა ქალია! - აღმოხდა კორანტენთან ერთად მიმავალ იულოს, - ეს რა მოიფიქრეს პარიზში პოლიციელებმა! არასოდეს გასცემს, - დაუმატა სინანულით.

- ოჰ, რატომაც არა!

- ვერ ხედავ, რომ უყვარს?

- სწორედ მაგიტომ გასცემს, - თქვა კორანტენმა და გაკვირვებულ პოლკოვნიკს შეხედა, - თანაც, მეც აქ ვარ. სისულელეების ნებას არ მივცემ, რადგან, მე მგონია, ამხანაგო,

არ არსებობს სიყვარული, სამასი ათასი ფრანკი რომ ღირდეს.

როცა პოლიციის დეპარტამენტის ეს დიპლომატი გამოემშვიდობა ჯარისკაცს, ამ უკანასკნელმა დიდხანს გააყოლა თვალი და ფეხის ხმა რომ მიწყდა, ამოიოხრა და გაიფიქრა: - ხანდახან რა ბედნიერებაა, ადამიანი ჩემნაირი ჩერჩეტი რომ იქნება... ეშმაკმა დალახვროს, ვაჟკაცს რომ შევხვდებოდე, ხმალდახმალ ვიბრძოლებთ, იულო არ ვიყო! და თუ ეს მელა გასასამართლებლად მომიყვანს ახლა, როცა სამხედრო სასამართლოებია შექმნილი, მეგონება, რომ სინდისი ისე მაქვს დასვრილი, როგორც ახალგაზრდა ქვეითს, ცხოვრებაში პირველად რომ გაიგებს გასროლას.

ვივეტიერის ხოცვა-ჟლეტამ და ორი დაკარგული მეგობრის შურისძიების სურვილმა გადააწყვეტინეს იულოს, ისევ ჩასდგომოდა სათავეში ნახევარბრიგადას. თანაც ახლანდელმა სამხედრო მინისტრმა ბერტიემ თადარიგში გასვლის რაპორტზე უპასუხა, რომ არსებულ პირობებში ვერ დააკმაყოფილებდა. მინისტრის დეპეშას ერთვოდა კონფიდენციალური წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, იმის აღნიშვნის გარეშე, რა დავალება ეკისრებოდა მადმუაზელ დე ვერნეის, რომ აღნიშნული შემთხვევა სამხედრო საქმიანობას არ უკავშირდება და არ უნდა შეაწყვეტინონ. სამხედრო მეთაურების მონაწილეობა უნდა შემოიფარგლოს ამ პატივცემული მოქალაქისთვის დახმარების აღმოჩენით, თუკი საჭირო იქნება. როცა გაიგო, რომ შუანების მოძრაობა მოწმობდა ძალების კონცენტრირებას ფუჟერთან, იულომ საიდუმლოდ დარაზმა თავისი ნახევარიბრიგადის ორი ბატალიონი და ამ მნიშვნელოვანი ადგილისკენ წამოიყვანა. სამშობლოს საფრთხემ, სიძულვილმა არისტოკრატიისა, რომელსაც შეეძლო, მნიშვნელოვან ტერიტორიას დამუქრებოდა, მეგობრობამ, ყველაფერმა ერთად, მოხუც ჯარისკაცს ახალგაზრდული ცეცხლი დაუბრუნა.

- აი, ამ ცხოვრებაზე ვოცნებობდი, - წამოიძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ, როცა მარტო დარჩა ფრანსინთან, - რა ჩქარა მიჰქრიან საათები, ჩემთვის კი ფიქრიანი საუკუნეებივით არის!

აიღო ფრანსინის ხელი და ქარიშხლის შემდეგ პირველი გულწითელას გალობის მსგავსი ხმით თქვა: - ტყუილად ვცდილობ, დავივიწყო, ყველაფერი თვალწინ მაქვს: მშვენიერი ტუჩები, მოკლე ნიკაპი, მოელვარე თვალები; ისევ მესმის

მეეტლის შეძახილი, თითქოს სიზმრად ვხედავ... მაშ, ამდენი სიძულვილი რატომღაა, როცა მეღვიძება? - ღრმად ამოიოხრა, ადგა, მერე პირველად გახედა ამ სასტიკი დიდგვაროვნის მიერ სამოქალაქო ომისთვის გაწირულ მხარეს, რომლის დატყვევებასაც მარტო აპირებდა. პეიზაჟმა მოაჯადოვა და სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ გავიდა. ალალბედზე მიდიოდა და ბულვარისკენ გაემართა, ეს იყო ჩვენი სულის ჯადოსნური თვისება, შეუძლებელშიც კი იმედი ეძებოს. ასეთი გრძნობით ნასაზრდოები იმედი არცთუ იშვიათად ხორციელდება. მაგრამ მაშინ ამ წინასწარ ჭვრეტას წინათგრძნობას მიაწერენ - ძალას, ჯერ კიდევ აუხსნელს, მაგრამ რეალურს, ჩვენს ჟინს რომ აქეზებს, მლიქვნელობის მსგავსად, რომელსაც უამრავ ყალბ სიტყვას შორის, მართლაც წამოსცდება ხოლმე რაღაც.

ნაწილი მესამე: დღე ხვალინდელი დილის გარეშე

კარი I მოვლენები, რომლებსაც ჩვენი ამბის ბოლოს გიამბობთ, იმ მხრის თავისებურებებზე იყო დამოკიდებული, სადაც ვითარდებოდა და აუცილებელია, დაწვრილებით აგიწეროთ, თორემ ამ დრამის კვანძის გახსნა მთლად გასაგები არ იქნება.

ქალაქ ფუჟერის ნაწილი ფიქლის კლდეზეა შეფენილი, თითქოს ქედებს მოწყვეტილი, დასავლეთით კუენონის ვრცელ ველს რომ კეტავს - სხვადასხვა სახელიც ჰქვიათ, ადგილმდებარეობის მიხედვით. აქეთ ფუჟერი მთებისგან ღრმა ხეობით არის გამოყოფილი, სადაც პატარა მდინარე ნანსონი მიედინება. მაგრამ ამ კლდეზე ისეთი ადგილიც არის, საიდანაც შეიძლება თვალი ჰკიდოთ კუენონის ველის რკალის ნაწილს და ყველა ლამაზ ხვეულს, ალანსონის პატარა ველიდან რომ ემიჯნება. ეს ფუჟერელების უსაყვარლესი სასეირნო ადგილია, ბულვარი, საითაც მადმუაზელ დე ვერნეი გაემართა და რომელიც სწორედ ის თეატრი აღმოჩნდა, სადაც ვივეტიერში

დაწყებული დრამის დასასრული გათამაშდა. ამიტომ, შეიძლება ქალაქის დანარჩენი ნაწილები უფრო ლამაზია, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მხოლოდ იმ არემარეზე, იმ მიდამოზე შევაჩერებთ, ქალაქის ბულვარიდან რომ ჩანს.

წარმოდგენა რომ გქონდეთ, როგორია ამ მხრიდან ფუჟერის კლდე, შეიძლება შევადაროთ სარკინოზების მიერ აგებულ ერთ-ერთ უზარმაზარ კოშკს, რომლის ირგვლივაც ხუროთმოძღვარმა ხვეული კიბით ერთმანეთთან შეერთებული განიერი აივნები ააგო საფეხურებად. სინამდვილეში კლდე მთავრდება გოთიკური ტაძრით, რომელიც ეკლესიის წვრილი შპილეებით, სამრეკლოთი და კონტრფორსებით ზუსტად შაქრის თავს ემსგავსება. სენ-ლეონარის ძველი ეკლესიის პორტალის წინ პატარა, არასწორი მოხაზულობის მოედანია, ჩამოქცევისგან ბალუსტრადიანი კედელი რომ იცავს - იქიდან კი დამრეცი გზა ჩადის ბულვარისკენ - თვითონ ესპლანადა - ხეებჩარიგებული მიწის ფართო ზოლი, მეორე ლავგარდანივით რომ გასდევს კლდეს ირგვლივ, სენ-ლეონარის მოედნიდან რამდენიმე ტუაზით ქვემოთ არის და ქალაქის გალავანს უერთდება. კლდეებსა და კლდის შვერილებზე ათი ტუაზით დაბლა, ეს ტერასა რომ ებჯინება, ტერასაა, რომელიც ფიქლის ქანების ხელსაყრელი განლაგებითა და ადამიანის დაუღალავი შრომით გაჩნდა, მოიკლაკნება დედოფლის - ანა ბრეტონელის კიბე - მდინარე ნანსონზე გადებული ხიდისკენ ჩასასვლელი, ანა ბრეტონელმა რომ ააშენა. ეს გზა მესამე კარნიზია, მის ქვეშ კი, მდინარის საფეხურებივით, ტერასებად ეშვება ყვავილებით მორთული ბაღები.

ბულვარის პარალელურად, მდინარის გასწვრივ გაჭიმულია მაღალი კლდეების ჯაჭვი, სენ-სიულპისის მთები რომ ჰქვია, იმ გარეუბნის სახელის მიხედვით, რომლის უკანაც არის აღმართული. ეს კლდეები თანდათან დაბლდება, დამრეცად ეშვება კუენონის განიერი ველისკენ და მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისკენ, შორიდან გეგონება ეს ციცაბო, ველური და პირქუში კლდეები ფიქლის შვერილებს უერთდებაო, ბულვარი რომ ებჯინება. ხანდახან ბულვარს თოფის ერთი გასროლის მანძილით სცდება. კლდეები ჩრდილოეთის ქარებისაგან იცავს ასი ტუაზის სიღრმის ვიწრო ხეობას, სადაც ნანსონი სამ ტოტად იყოფა და რწყავს მდელოს, სადაც ლამაზად მიმოფანტულა ხეები და ნაგებობები.

სამხრეთისაკენ, იქ, სადაც ქალაქი მთავრდება და სენ-ლეონარის გარეუბანი იწყება, ფუჟერის კლდე ნაკეცივით უხვევს, მისი მკვეთრი კონტურები რბილდება, დაბლდება და, ნინსონის გაყოლებით, კუენონის განიერი დაბლობისკენ უხვევს, რითაც მას სენ-სიულპისის მთებისკენ ტოვებს და ქმნის ხეობას, საიდანაც მდინარე ორ აქაფებულ ნაკადულად გამოვარდება, მიხტის კუენონისკენ და დაბლობზე უერთდება კიდევაც მას. მთელ ამ ლამაზ კლდოვან ბორცვებს საერთო სახელი აქვს, ეკლიანი ბუდე, ხოლო ველს, მათ რომ ებჯინება, ჟიბარის ღარტაფს ეძახიან, მისი ნოყიერი საძოვრებიდან მიიღება უმეტესი ნაწილი კარაქისა, გურმანები „მდელობისას“ რომ ეძახიან - „Pree - Valaye“.

იმ ადგილას, სადაც ბულვარი ქალაქის სიმაგრეს უერთდება, აღმართულია კოშკი, „თუთიყუშის კოშკად“ წოდებული. ოთხკუთხედი ნაგებობით დაწყებული, რომელზეც ის სახლი იყო აშენებული, მადმუაზელ დე ვერნეი რომ დასახლდა, აღმართულია კედელი, თუ კედელივით შვეული კლდე და ქალაქის ნაწილი, ამ მაღალ, მიუდგომელ პიედესტალზე განლაგებული განიერი ნახევარმთვარის ფორმისა, რომლის ბოლოშიც კლდეები დაბლდება, იშლება და გზას უთმობს ნანსონს. აქვეა სენ-სიულპისის კარიბჭე, მის იქით კი იმავე წმინდანის სახელის მქონე გარეუბანი. უფრო იქით, გრანიტის მომრგვალებულ ბორცვზე, სამ ხევს რომ გადმოჰყურებს, სადაც სამი გზა იყრის თავს, ჩანს სათოფურებიანი, ქონგურებიანი კლდეები და ფუჟერის ციხის ფეოდალური კოშკები, ბრეტანელი ჰერცოგების ერთ-ერთი ყველაზე გიგანტური ნაგებობა: კლდეების სიმაღლე - ორმოცდაათი ტუაზი, სისქე კი - თხუთმეტი ტუაზი. აღმოსავლეთის მხრიდან ციხე-კოშკს ემიჯნება ტბა, საიდა-ნაც ნანსონი გამოედინება, ციხე-სიმაგრის თხრილებს რომ ავსებს წყლით და სენ-სიულპისის კარიბჭესა და ციხის ასაწევ ხიდებს შორის წყლის წისქვილის ბორბლებს ატრიალებს. დასავლეთის მხარეს ციხე დაცულია გრანიტის ფრიალო კლდით.

ბულვარიდან შუა საუკუნეების სუროს მწვანე საფარიან ამ დიდებულ ნაშთამდე ოთხკუთხა თუ მრგვალი იმდენი კოშკი ადგას, რომ მთელი პოლკი შეიძლება განთავსდეს, ციხე-სიმაგრე, ქალაქი და კლდე დაცული სიმაგრის სქელი კლდეებით ან კლდის ციცაბო ფლატეებით განიერი ნალივით არის განლაგებული და უფსკრულები აკრავს, რომლის

ნაპირზეც ბრეტონელებმა რამდენიმე ბილიკი გაკვალეს. აქა-იქ არქიტექტურული ორნამენტებივით ამოშვერილია გრანიტის ლოდები, ზოგან წყალი მოჟონავს და უძლური ხეებიც ამოსულა. მოშორებით უფრო დამრეცი გრანიტის ფერდობები ბალახსაც კვებავენ, თხებს რომ მიიზიდავენ და ყველგან, ნესტიანი ნაპრალებიდან ამოყრილა ერიკა, ვარდისფერ გირლანდებად რომ მოსდებია მუქი კლდეების ხვეულებს. ციხე-კოშკის ძირში, ამ უზარმაზარი ძაბრის სიღრმეში, რბილი ხალიჩასავით რომ ფარავს მწვანე მდელო, პატარა მდინარე მიიკლაკნება. გრანიტის კლდეებს შორის აღმართულია სენ-სიულპისის ეკლესია, რომლის სახელიც ჰქვია გარეუბანს, მდინარე ნანსონის გაღმა რომ გადაშლილა. გარეუბანი კი, ლამაზად რომ ეკვრის ნანსონის შენაკადები, ხეებით დაჩრდილულა, ხეხილით მორთული, თითქოს უფსკრულში ჩაუგდიათო და მისი ეკლესიის წვეტიანი სამრეკლოს შპილი ვერ სწვდება მახლობელი კლდეების სიმაღლეს, რომლებიც, გეგონება, ეკლესიაზე და მის ირგვლივ ქოხმახებზე უნდა ჩამოიქცესო. ეს დასახლება უთანასწორო ნაწილებად ჰყოფს ბულვარით, ქალაქითა და ციხე-სიმაგრით შემოსაზღვრულ ნახევარმთავრეს და უპირისპირდება მთების ამფითეატრის მკაცრ სურათს. დაბოლოს, მთელი ფუჟერი, მისი გარეუბნები, ეკლესიები და სენ-სიულპისის მთები ჩარჩოსავითაა გარშემორტყმული რიიეს სიმაღლეებით, რომელიც იმ მთათა ჯაჭვის ნაწილს წარმოადგენს, კუენონის გადაშლილ ველს რომ ზღუდავს.

ასეთია ბუნება ამ მხარეში. მისი მთავარი ნიშანი ველური სიმკაცრეა, რომელსაც არბილებს ხალისიანი ხედები, არაჩვეულებრივი შეხამება ადამიანის შრომით შექმნილი შესანიშნავი ნაგებობებისა და მიწის ოღროჩოღრო ზედაპირისა, უჩვეულო, მოულოდნელი დაპირისპირებულობა გაკვირვებთ, გაოცებთ, გაოგნებთ. საფრანგეთის ვერც ერთ ნაწილში მოგზაური ვერ შეხვდება ისეთ გრანდიოზულ კონტრასტებს, როგორიც კუენონის ამ ვრცელ აუზში და ველებზეა, ფუჟერის კლდეებსა და რიიეს მაღლობებს შორის რომ ჩაკარგულან. აუწერელი სილამაზეა, რადგან აქ შემთხვევა ზეობს და თანაც აღსავსეა ბუნებრივი ჰარმონიით. აქ არის კამკამა, გამჭვირვალე წყლები და ბრეტანის ხშირი მცენარეულით დაფარული მთები, პირქუში ფრიალო კლდეები და კოხტა ეკლესიები, ბუნების ხელით შექმნილი სიმაგრეები და ადამიანის ნახელავი

გრანიტის კოშკები, შუქისა და ჩრდილის მიმზიდველი თამაში, ფოთოლთა შეფერილობის კონტრასტული მრავალფეროვნება, ასე რომ აფასებენ ფერმწერები. ჯგუფ-ჯგუფად მდგომი სახლები, სადაც შრომისმოყვარე ადამიანები ფუსფუსებენ და უკაცრიელი სიმაღლეები, სადაც გრანიტი თეთრ ხავსსაც კი არ იკარებს, ქვებს რომ ებღაუჭება. მოკლედ, აქ თავმოყრილია ყველაფერი, რასაც პეიზაჟისგან მოვითხოვთ: გრაცია და პირქუში ძალა, პოეზია, ახალ-ახალი გრძნებითა და ჯადოთი, დიდებული სურათებითა და სოფლური სისადავის ხიბლით. ბრეტანი აქ მთელი თავისი მშვენიერებით წარმოგიდგებათ. საძირკველი „თუთიყუშის კოშკად“ წოდებული კოშკისა, რომელზეც მადმუაზელ დე ვერნეის სახლია აგებული, უფსკრულის ძირამდე ჩადის, ზემოთ კი ესპლანადე სენ-ლეონარის ეკლესიის წინ ლავგარდანივით იშლება. ამ სახლიდან, სამი მხრიდან იზოლირებული რომ არის სხვა საცხოვრებლებისგან, ნალივით გადაშლილი მთელი ქალაქის დანახვა შეიძლება, კოშკიდან რომ იწყება, ნანსონის დაკლაკნილი ველისა და სენ-ლეონარის მოედნის ჩათვლით. ის შედის ხის სახლების იმ რიგში, სამას წელს რომ ითვლის, ეკლესიის ჩრდილი კედლის პარალელურადაა გადაჭიმული და მასთან ჩიხს ქმნის, რომელიც დამრეც ქუჩაზე, ეკლესიიდან სენ-ლეონარის ჭიშკრამდე გადის. სწორედ ამ გზით მიდიოდა მადმუაზელ დე ვერნეი.

რასაკვირველია, მარის არც უფიქრია ეკლესიის მოედნისკენ წასვლა, ქვემოთ ჩაუხვია, ბულვარისკენ. როგორც კი გასცდა დაბალ, მწვანე შლაგბაუმს, იმხანად სენ-ლეონარის ჭიშკართან კოშკში განთავსებულ საგუშაგოსთან რომ იყო მოწყობილი, მის წინ ისეთი დიდებული სანახაობა გადაიშალა, რომ წამით გაანელა მისი ვნებათაღელვა. თვალი ვერ მოსწყვიტა კუენონის ველის უკიდეგანო რკალს, პელერინის მთიდან იმ ზეგნამდე, ვიტრეს გზა რომ გადის. მერე მზერა ეკლიან ბუდესა და ჟიბარის დაკლაკნილ დაბალ ველიანზე შეაჩერა, რომლის ირგვლივაც მთათა თხემებს ჩამავალი მზის დაბინდული შუქი ანათებდა. ნანსონის ველის სიღრმემ გააკვირვა. ყველაზე მაღალი ალვის ხეები ძლივს სწვდებოდნენ დედოფლის კიბის ქვემოთ ხეხილის ბაღების კედლებს. მარი გაოცებას ვერ მალავდა ახალ-ახალი ხედების აღმოჩენით. ბულვარზე იმ ადგილამდე მივიდა, საიდანაც ჩანდა კუენონის დიდი ველი, ჟიბარის ღარტაფის გადაღმა და მშვენიერი პეიზაჟი, ქალაქის

ნალისებური ფორმით, სენ-სიულპისის კლდეებით და რიიეს მაღლობებით შემოფარგლული. მწუხრის პირზე გარეუბნებისა და ველის სახლებიდან ამოსული ბოლი ღრუბლად იშლებოდა და ყველაფერი ბუნდოვნად ჩანდა ამ მოცისფრო გამჭვირვალე ბალდახინის ქვეშ. დღის კაშკაშა ფერები მქრქალდებოდა, ცას მონაცრისფრო მარგალიტისფერი დაედო. მთვარის შუქი მოეფინა მშვენიერ უფსკრულს. მოკლედ, ყველაფერი საოცნებოდ განაწყობდა და ძვირფას არსებებს ახსენებდა. უცებ სენ-სიულპისის გარეუბნის ხის სახურავებმა, ეკლესიამ ველის მუქ სიღრმეში ჩაკარგული შპილით, საუკუნოვანმა სურომ და თეთრმა უსურვაზმა, ძველისძველი ციხე-კოშკის კედლებს რომ შეჰფენოდა, წყლის წისქვილის ბორბლებქვეშ აქაფებული ნანსენის შორიახლო, პეიზაჟის ყველა წვრილმანმა ინტერესი დაკარგა. ამაოდ აფრქვევდა მზე ოქროს მტვერს და მეწამული ნისლიც ტყუილად გადააფარა კლდეებს შორის მიმობნეულ თვალწარმტაც ქოხებს, მდელოებსა და წყალს. უძრავად იდგა და თვალს ვერ აშორებდა სენ-სიულპისის მთებს. სასწაულმა აუსრულა წარმოუდგენელი იმედი, რომელმაც ბულვარზე მიიყვანა. ძეძვისა და კურდღლისცოცხას ბუჩქებს მიღმა, მთის წვერებს რომ ფარავდა, ზუსტად თავის პირისპირ, რამდენიმე ადამიანი შეამჩნია და, მიუხედავად თხის ტყავის სამოსისა, იცნო ვივეტიერში ნანახი სტუმრები, მათ შორის აშკარად გამოარჩია ვაჟკაცი: სულ მცირე მოძრაობასაც კი ამჩნევდა ჩამავალი მზის სინათლეში. მთავარი ჯგუფის უკან კი ყველაზე საშიში მოძულე - მადამ დიუ გა. ჯერ სიზმარი ეგონა, მაგრამ მეტოქის სიძულვილმა თვალები აუხილა, ყველა ცოცხალი იყო ამ სიზმარში. სანამ დიდი ყურადღებით აკვირდებოდა მარკიზის მოძრაობას, ვერ შენიშნა, რომ მადამ დიუ გა გულდაგულ უმიზნებდა გრძელი თოფის ლულას. უცაბედმა გასროლამ მთებში ექო გააღვიძა და მარისთან სულ ახლოს გაზუზუნებულმა ტყვიამ დაუმტკიცა მეტოქის სიზუსტე.

- თავისი სავიზიტო ბარათი გამომიგზავნა, - გაეღიმა მარის.

იმწამსვე გაისმა მრავალხმიანი შეძახილი „ვინ მოდის?“ გუშაგმა გუშაგს გასძახა, ციხე-კოშკიდან სენ-ლეონარის კარიბჭემდე, რითაც შუანებს აგრძნობინეს ფუჟერის მცხოვრებთა სიფხიზლე, ასე კარგად რომ იცავენ ქალაქის სიმაგრის ყველაზე ნაკლებად საშიშ ადგილსაც კი.

„ეს ის ქალია, ეს - ეს ის არის“ - გაიფიქრა მარიმ.

ელვისუსწრაფესად გაუჩნდა სურვილი, მარკიზის კვალს მიჰყოლოდა და ანაზდეულად ჩაეგდო ხელში.

- იარაღი რომ არ მაქვს? - წამოიძახა.

გაახსენდა, რომ პარიზიდან წამოსვლისას ქუდის მუყაოს ყუთში ჩააგდო რომელიღაც სულთნის ცოლის ნაქონი პატარა კოხტა სატევარი. მაგრამ მაშინ ვინმეს სისხლის დაღვრის პერსპექტივა იმდენად არ ხიბლავდა, რამდენადაც ეს ნატიფი ნივთი მოსწონდა. ხანჯალი ძვირფასი ქვებით მოოჭვილი და პრიალა პირიანი იყო, სამი დღის წინ, როცა თავის მოკვლა უნდოდა, საშინლად ინანა, იარაღი მუყაოს ყუთში რომ დატოვა. ახლა სასწრაფოდ დაბრუნდა სახლში, მოძებნა ხანჯალი, გაირჭო ქამარში, მოიხვია გრძელი შალი, მაქმანით აიწია თმა, დაიხურა მისი სახლის ერთ-ერთი მსახურის ფართოფარფლებიანი შუანური ქუდი, იმ გამჭრიახობით, ზოგჯერ ჯინი რომ ბადებს ადამიანის გონებაში, დასტაცა ხელი მარკიზის ხელთათმანს, იარე-მიწაზემ რომ მისცა თავის დასაცავად, მერე გულგახეთქილ ფრანსინს უთხრა: „რას ვიზამ, მის საპოვნელად ჯოჯოხეთშიც კი წავიდოდიო,“ და ისევ ბულვარზე წავიდა.

ვაჟკაცი ისევ იქ იდგა, ოღონდ მარტო. ჭოგრიტით ეტყობა ნანსონზე გადასასვლელ ფონს ეძებდა მეთაურის ზედმიწევნითი ყურადღებით, ათვალიერებდა დედოფლის კიბესა და იმ გზას, სენ-სიულპისის კარიბჭიდან ეკლესიისკენ რომ მიდის და რომ შეუხვევს, დიდ გზას უერთდება, რომელსაც დიდი ზარბაზნები იცავენ. მადმუაზელ დე ვერნეიმ ჩაირბინა მწყემსებისა და თხების გაკვალული ვიწრო ბილიკებით, გავიდა დედოფლის კიბეზე, ჩავიდა ხეობის ფსკერამდე, გავიდა ნანსონზე და გარეუბანზეც გადაიარა. როგორც ჩიტმა უდაბნოში, ინსტინქტურად იპოვა გზა სენ-სიულპისის კლდეების სახიფათო ფლატეებს შორის, მალე მიაღწია სრიალა გზას, გრანიტის საფეხურებს და, მიუხედავად კურდღლისცოცხასა და ძეძვის ეკლიანი ბუჩქებისა, ფეხქვეშ წვრილი, ჩხვლეტია კენჭებისა, დაქანებულ ფერდობზე ისე ენერგიულად დაიწყო ასვლა, კაცსაც რომ შეშურდება. მარის იმ დროს მოუსწრო ღამემ, როცა მწვერვალზე ავიდა და მთვარის მკრთალ შუქზე ცდილობდა, გამოეცნო, საით წავიდა მარკიზი. დაჟინებულ ძებნას ნაყოფი არ გამოუღია, ირგვლივ გამეფებული სიჩუმე კი მიუთითებდა, რომ შუანები და მათი

წინამძღოლი გაუჩინარდნენ, მგზნებარე სწრაფვა მაშინვე გაქრა და გაიყოლა მისი იმედებიც. უცნობ ადგილას მარტო დარჩენილმა მარიმ მსჯელობა დაიწყო, იულოს დარიგებები გაახსენდა, მადამ დიუ გას გასროლა და შიშისგან შეკრთა. ღამის სიჩუმეში, ასეთი ღრმა რომ არის მთებში, გრანიტზე დაცურებული ფოთლის შრიალიც კი ისმოდა. ეს მსუბუქი ხმაური აქ გამეფებულ მყუდროებასა და მდუმარებას უფრო უსვამდა ხაზს. ამოვარდნილი ქარი ღრუბლებს მიერეკებოდა, შუქ-ჩრდილის მონაცვლეობა ყველაზე უვნებელ საგნებსაც კი ფანტასტიკურ და მრისხანე იერს ანიჭებდა და მარის შიშს ამძაფრებდა. მზერა ფუჟერზე გადაიტანა, სადაც სახლებში სინათლე მიწიერი ვარსკვლავებივით ციმციმებდა და უცებ მკაფიოდ დაინახა თუთიყუშის კოშკი. საკმარისი იყო, სულ პატარა მანძილი გაევლო და სახლში იქნებოდა, მაგრამ ეს პატარა მანძილი უფსკრული იყო. მარის გაახსენდა, იმ ვიწრო ბილიკებიდან, სადაც გაიარა, როგორი უფსკრულები ჩანდა და მიხვდა, რომ ფუჟერში დაბრუნება უფრო სახიფათო იყო, ვიდრე გზის გაგრძელება. გაიფიქრა, რომ მარკიზის ხელთათმანი ყველა ხიფათს აარიდებდა ღამე სეირნობისას, თუნდაც შუანებს ქალაქის შემოგარენი ჰქონოდათ დაპყრობილი. მხოლოდ მადამ დიუ გას შიში უნდა ჰქონოდა. ამის გაფიქრებაზე, მარიმ ჩაბღუჯა ხანჯლის ვადა და გასწია წინ, ცდილობდა, იმ სახლის მიმართულებით ევლო, ხეებს შორის სახურავი რომ შეამჩნია, როცა სენ-სიულპისის კლდეებზე ავიდა. მაგრამ ნელა მიდიოდა, რადგან ჯერ არ იცოდა, რომ ღამის უკუნი დიდებულება თრგუნავს ველურ ბუნებაში მარტოსულ არსებას, სადაც ყველა მხრიდან მაღალი მთები თავდახრილი შეჯგუფებული გოლიათებივით დგანან. რამდენჯერმე შეკრთა ეკალზე გამოდებული საკუთარი კაბის შარიშურით, რამდენჯერმე ფეხს აუჩქარა, რამდენჯერმე შეანელა, ეგონა, აღსასრული მოვიდა, მაგრამ მალე საქმე ისე შეტრიალდა, რომ ყველაზე მამაცი მამაკაცებიც კი უკან დაიხევდნენ, მადმუაზელ დე ვერნეის კი თავზარი დაეცა - ის ელდა იყო, რომელიც იმდენად ჭიმავს სიცოცხლის ზამბარებს, რომ ადამიანში ყველაფერი ზღვრამდე მიდის, ძალაც და სისუსტეც. ყველაზე გაუბედავმა ადამიანმა შეიძლება გაუგონარი გმირობა ჩაიდინოს, ლომგულმა კი შიშისგან გონება დაკარგოს. იქვე ახლოს მარის უცნაური ხმები მოესმა, ხან ბუნდოვანი, ხან მკაფიო, ღამესავით, ხან უფრო ნათელი რომ იყო, ხან ბნელი; ეს ხმაური რაღაც შფოთვას, განგაშს

ამჟღავნებდა, რომელიღაც ურდოს არეულ-დარეულ სვლას, ყურს უჭირდა გარჩევა; თითქოს მიწისქვეშეთიდან მოისმოდა. მიწა ზანზარებდა უთვალავი ადამიანის ფეხქვეშ. წამით მთვარემ გამოანათა და მადმუაზელ დე ვერნეიმ, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, დაინახა საშინელი ფიგურების გრძელი მწკრივი. მოქანაობდნენ, როგორც თავთავები ყანაში და მოჩვენებებივით მოსრიალებდნენ. მაგრამ, როგორც კი შეამჩნია, ისევ სიბნელე ჩამოწვა შავი ფარდასავით და თვალს მოეფარა ეს ავის მომასწავებელი სურათი და მოელვარე თვალები. მარიმ სწრაფად უკან დაიხია და ფერდობი აირბინა, სამი საშინელი ფიგურისგან თავის დასაღწევად, მას რომ უახლოვდებოდა.

- დაინახე? - იკითხა ვიღაცამ.

- არა, მხოლოდ ცივი ნიავი ვიგრძენი, გვერდში რომ ჩამიარა, - უპასუხა მეორე, ხრინწიანმა ხმამ.

- მე კი ნესტისა და საფლავის სუნი ვიგრძენი, - თქვა მესამემ.

- როგორია, თეთრი? - ისევ პირველის ხმა იყო.

- არა, რატომ, მარტო ეს დაბრუნდა იმათგან, ვინც პელერინთან მოკვდა?

- როგორ თუ რატომ? - საძმო საკრე-კერის ხალხს ყველა-ფერში შეღავათი აქვს და მაინც, იცი, მგონია, ჯობს მოუნანიე-ბელი მოკვდე, ვიდრე მაგასავით ღამე მოჩვენებასავით დაეხეტებოდე, უჭმელი, უსმელი, ძარღვებში უსისხლოდ, უხორცო.

- უუჰ!

ეს შეძახილი ან, უფრო ზუსტად, ღმუილი აღმოხდა სამივე შუანს, როცა ერთ-ერთმა მიუთითა ტანწერწეტა, გაფითრებულ მადმუაზელ დე ვერნეიზე, რომელიც წარმოუდგენელი სიჩქარით, უხმოდ მიჰქროდა ისე, რომ მისი ფეხის ხმაც არ ესმოდათ.

- აი, ის! - აი, იქ! - სად? - იქ! - არა, აი, იქ! - წავიდა? - არა! - კი! ხედავ?

ეს სიტყვები ზღვის ქვიშიან სანაპიროზე წყლის შხუილივით ისმოდა.

მადმუაზელ დე ვერნეი თამამად მიაბიჯებდა სახლისკენ და ბუნდოვნად ხედავდა ხალხის ჯგროს, სხვადასხვა მხარეს რომ გარბოდნენ, როცა მათ უახლოვდებოდა და აშკარად პანიკური შიშით იყვნენ შეპყრობილი. მარის კი თითქოს რაღაც იდუმალი ძალა მიაქანებდა. თვითონაც ვერ ხვდებოდა, ასე რამ აამჩატა და შიში კიდევ უფრო უმძაფრდებოდა. გზად მის წინ, ხან აქ, ხან იქ ჩნდებოდნენ შავი ფიგურები, თითქოს იმ მიწიდან ამოიზრდებოდნენ ხოლმე, სადაც განისვენებდნენ და თან მათი არაადამიანური გოდება ესმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაჭირვებით მიაღწია დაცარიელებულ ბაღამდე. გუშაგმა გააჩერა, მარიმ ხელთათმანი აჩვენა. ამ დროს ღამემ გამოაშუქა და სახე გაუნათა. შუანს უკვე დამიზნებული თოფი ხელიდან გაეშვა, ხრინწიანი ყვირილი აღმოხდა, გუგუნივით რომ გადაუარა მინდვრებს. ბაღის სიღრმეში მარიმ დიდი ნაგებობა შენიშნა, რამდენიმე განათებული ფანჯრით, - რაც იმის ნიშანი იყო, რომ ცხოვრობდა ვიღაც. კედელთან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მივიდა და შეიხედა. პირველ ფანჯარაში დაინახა მადამ დიუ გა და ვივეტიერში რომ იყვნენ, მეამბოხეთა ის მეთაურები. ამ სანახაობითა და საფრთხით შეძრწუნებული განზე გახტა, პატარა, სქელი რკინის გისოსებიანი სარკმლისკენ და გრძელ, თაღოვან დარბაზში მარკიზი დაინახა. მისგან ორ ნაბიჯზე, განმარტოებული, ნაღვლიანი. უხეშ სკამზე იჯდა კერასთან და მოწითალო მოციალე ალის ათინათი სახეს უნათებდა, რაც ამ სცენას მოჩვენებით იერს აძლევდა. მთელი სხეულით ათრთოლებული მარი გაუნძრევლად იდგა რკინის გისოსებზე მიკრული, იმ იმედით, რომ თუ მარკიზი დაილაპარაკებდა, სამარისებურ სიჩუმეში გაიგებდა მის სიტყვებს. ხედავდა, რომ დამწუხრებული, გაწამებული და გაფითრებული იყო და უხაროდა, რომ მისი დარდის ერთ-ერთი მიზეზი თვითონ იყო. მერე მრისხანება თანაგრძნობამ შეცვალა, თანაგრძნობა სინაზეში გადაიზარდა და მარი მიხვდა, რომ აქ მხოლოდ შურისძიების წყურვილს არ მოუყვანია. მარკიზი ადგა, თავი მოაბრუნა და გაშრა, თითქოს ნისლში მადმუაზელ დე ვერნეის სახე რომ დაინახა. მოუთმენლობისა და ზიზღის გამომხატველი ჟესტით ხმამაღლა თქვა: - რა ხდება? ყველგან და ყოველთვის ამ ალქაჯს ვხედავ, ახლა ცხადშიც!

ამ აშკარა სიძულვილმა ნერვული სიცილი მოჰგვარა უბედურ ქალიშვილს. მარკიზი შეკრთა და ფანჯარას მივარდა. მადმუაზელ დე ვერნეი საჩქაროდ მოსწყდა კედელს.

შორიახლოს კაცის ფეხის ხმა გაიგო, ეგონა, მონტორანი იყო და მოკურცხლა. ამ მომენტში მისთვის დაბრკოლება არ არსებობდა, კედელშიც კი გაატანდა, ჰაერში აფრინდებოდა, ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას იპოვიდა, ოღონდ კიდევ ერთხელ არ ამოეკითხა სიტყვები „მეზიზღები“ - ამ კაცს სახეზე რომ ეწერა, სიტყვები, შინაგანი ხმა რომ ყვიროდა, აყრუებდა ბუკის ხმასავით. ალალბედზე მირბოდა, არ იცოდა, სად მიდიოდა და ანაზდად გაჩერდა, იგრძნო, რომ ძვლებამდე რომ ატანს, ისეთმა ნესტიანმა სიცივემ აიტანა. უკან რამდენიმე კაცის ფეხების ბრაგუნი მოესმა და საჩქაროდ ჩაირბინა ღრმა სარდაფში. უკანასკნელ საფეხურზე მარი გაჩერდა და ყური მიუგდო, ცდილობდა, გაეგო მისი მდევრები რომელ მხარეს გაიქცნენ. მიუხედავად გარედან შემოსული ხმაურისა, სარდაფში ადამიანის შესაბრალი კვნესა მოესმა და კიდევ უფრო შეეშინდა. ზედა საფეხურზე სინათლის სხივმა გადაირბინა და მარის საშინელმა აზრმა გაუელვა, ეგონა, მდევრებმა მისი სამალავი აღმოაჩინეს და მათგან თავის დაღწევის სურვილმა ახალი ძალა შეჰმატა. რამდენიმე წუთის შემდეგ, თავადაც ვერ მიხვდა, როგორ შეძლო დაბალ კედელზე აძრომა და იქ დამალვა. თავიდან ვერც კი შეამჩნია, როგორ მოუხერხებელ მდგომარეობაში იყო მისი სხეული, მაგრამ მალე აუტანელი გახდა ეს პოზა. კამარის თაღქვეშ მიყუჟული ქანდაკება „ჩამომჯდარ ვენერას“ მოგაგონებდათ, რომელიც თითქოს ხელოვნების მოყვარულმა ძალიან დაბალ ნიშაში მოათავსა. ეს გრანიტის საკმაოდ განიერი კედელი კიბეს სარდაფისგან გამოყოფდა, საიდანაც ისევ ისმოდა გმინვა. მალე მარიმ დაინახა ვიღაც, თხის ტყავით შემოსილი კაცი ჩამოვიდა კიბეზე და თაღქვეშ გაუჩინარდა. მოძრაობაზე ოდნავაც არ ეტყობოდა, რომ ჩქარობდა. მადმუაზელ დე ვერნეი გაფაციცებული ეძებდა თავის დახსნის გზას და შიშით ელოდა იმ წუთს, უცნობის მოტანილი ცეცხლი რომ გაანათებდა სარდაფს. ბუნდოვნად ხედავდა მიწაზე უფორმო, ცოცხალ მასას, სწრაფი, მკვეთრი მოძრაობით რომ ცდილობდა, კედლამდე მიეღწია და გამწარებული იკლაკნებოდა, წყლიდან ამოყვანილი ჭანარივით ფართხალებდა.

ფისის პატარა ჩირაღდანმა მალე მოლიცლიცე მოლურჯო შუქით გაანათა სარდაფის კედლები. მიუხედავად შავბნელი პოეზიისა, მადმუაზელ დე ვერნეის წარმოსახვამ რომ შეამკო ეს თაღები, ყრუდ რომ ირეკლავდნენ გულისმომკვლელ

ვედრებას, დარწმუნდა, რომ მიწისქვეშეთი - დიდი ხნის წინ მიტოვებული მიწისქვეშა სამზარეული იყო. ჩირაღდნის შუქზე უფორმო ცოცხალი მასა დაბალი, ძალიან მსუქანი ადამიანი აღმოჩნდა, მაგრად ხელფეხშეკრული. ეტყობა, ვინც დაატყვევა, მსხვერპლი ქვის იატაკის ნესტიან ფილებზე მიაგდო და აღარც დაინტერესებულა მისი ბედით. როგორც კი ტყვემ დაინახა უცნობი ცალ ხელში ჩირაღდნითა და მეორეში ფიჩხის კონით, ისე გულსაკლავად დაიწყო კვნესა, რომ მადმუაზელ დე ვერნეის მგრძნობიარე გული ააჩვილა. შიშიც დაავიწყდა და სასოწარკვეთილებაც, მტანჯველი უხერხული პოზაც, მთელი სხეული რომ დაუბუჟა. ცდილობდა, არ შერხეულიყო. შუანმა მოტანილი ფიჩხი ცეცხლს შეუკეთა, მანამდე ძველი თუჯის მაღალი ღუმლის წინ ჯაჭვებს ჩამოკიდებული კავის სიმაგრე შეამოწმა და ჩირაღდნით ცეცხლი დაანთო. აი, მაშინ იცნო მადმუაზელ დე ვერნეიმ, რომ ეს მზაკვარი მოიტაცე-დიდი-კვერი იყო, რომელსაც მეტოქემ მარი მისცა. აბრიალებულ ალზე დაინახა მისი სახე, ცულით გამოჩორკნილი ხის კაცუნას კომიკური ნაკვთები რომ გაახსენა, გერმანიაში რომ კვეთენ ბზისგან. ტყვის შესაბრალის კვნესაზე ნაოჭებით დაღარულ და მზით დახრუკულ სახეზე კმაყოფილი ღიმილი დაეფინა.

- ხედავ, - მიმართა თავის მსხვერპლს, - ჩვენ, ქრისტიანები სიტყვას არ ვტეხთ, თქვენსავით კი არ ვართ. აი, ახლა ცეცხლი გაგიხსნის ხელებსაც, ფეხებსაც და კანსაც ... ოჰ, რა საწყენია! სად ვიშოვო იმოდენა ტაფა, ფეხქვეშ რომ შეგიდგა, თორემ ისეთი სქელი ხარ, რომ დადნები, ქონი ცეცხლს ჩააქრობს. ეს რა უწესრიგობაა? მასპინძელს გათბობა უნდა, მაგრამ არავითარი პირობები არ არის ამ საქმისთვის.

ტყვემ ცივი ხმით იკივლა, ალბათ იმედი ჰქონდა, მისი ხმა გაატანდა თაღებში და მხსნელი გამოჩნდებოდა ვინმე.

- რამდენიც გინდათ, იგალობეთ, ბატონო დ'ორჟემონ. ზემოთ ყველას სძინავს, ახლა იარე-მიწაზე მოვა და კარს ჩაკეტავს.

მოიტაცე-დიდი-კვერი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და თან კარაბინის კონდახს უკაკუნებდა კერიის ჩარდახს, ქვის ფილებს, ღუმელს, ეძებდა სამალავს, სადაც ძუნწმა თავისი ოქროები შეინახა. ეს ძებნა ისე მარჯვედ მიდიოდა, დ'ორჟემონი უცებ გაჩუმდა, ვაითუ, რომელიმე შეშინებულმა მსახურმა გამცაო, თუმცა თავის საიდუმლოს არავის ანდობდა, მის გამომეტყველებას შეიძლება ეჭვი აღეძრა და მტერს სწორი

დასკვნები გაეკეთებინებინა. ხანდახან მოიტაცე-დიდი-კვერი მკვეთრად შებრუნდებოდა ხოლმე და გამომცდელად უყურებდა თავის მსხვერპლს, როგორც ერთ საბავშვო თამაშშია. რაღაცას მალავენ და პარტნიორის გულუბრყვილო სახის მიხედვით ხვდებიან, დამალულ ნივთს უახლოვდებიან თუ შორდებიან. დ'ორჟემონს სახეზე ელდა გამოეხატა, როცა შუანი სამზარეულოს ღუმელს უკაკუნებდა, სიცარიელის ყრუ ხმას რომ გამოსცემდა. როგორც ჩანს, ასე უნდოდა გზა-კვალი აებნია ხარბი მოიტაცე-დიდი-კვერისათვის. უცებ სამზარეულოში ქალიშხალივით შემოიჭრა სამი შუანი, ერთ-ერთი იარე-მიწაზე იყო. მოიტაცე-დიდმა-კვერმა შეწყვიტა ძიება და დ'ორჟემონს მრისხანებით შეხედა.

- მარი - ლამბრეკენი აღსდგა! - იყვირა იარე-მიწაზემ და მთელი მისი არსება ამბობდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის მერე ყველა ინტერესი ფერმკრთალდებოდა.

- რა გასაკვირია, - გამოეხმაურა მოიტაცე-დიდი-კვერი, - ტყუილად კი არ ეზიარებოდა ასე ხშირად. შეიძლება ითქვას, მამაზეციერს დაეპატრონა.

- ეგ ისე გამოადგა, როგორც ვირს ყურანი, - დაუმატა წაიღე-დოვლათმა, - ჯერ იყო და, გოგელიუს გოგო შეაცდინა, პელერინის ამბების დაწყებამდე კი ცოდვები ვერ მოინანია, ე.ი. მომაკვდინებელი ცოდვა ვერ ჩამოირეცხა. მამა გიუდენი ამბობს, კიდევ ორ თვეს იხეტიალებს ქვეყანაზე მოჩვენებად და მერე მთლად აღსდგებაო. სამივემ დავინახეთ. ეს წუთია, გვერდზე ჩაგვიარა. გაფითრებული, ცივი, მსუბუქი იყო და საფლავის სუნს აფრქვევდა.

- მისმა უწმინდესობამ ისიც თქვა, თუ მოჩვენება ვინმეს ხელს სტაცებს, ისიც მასთან ერთად იბორიალებსო, - დაუმატა მეოთხე შუანმა.

ამ ახალი თანამოსაუბრის მახინჯმა და სასაცილო სახემ იარე-მიწაზე აღდგომას მომხდარი სასწაულის შესახებ ღვთისმოშიში ფიქრებიდან გამოარკვია, ეს შეიძლება რელიგიისა და მეფის ნებისმიერ თავგადაკლულ ღვთისმოსავ დამცველს მოუვიდესო, აბატმა გიუდენმა.

- ხედავ, დაასხი-კუტალო, - ცოტა მედიდურად უთხრა ნეოფიტს იარე-მიწაზემ, - ხედავ, სადამდე მივყავართ სულ მცირე დაუდევრობას მოვალეობის შესრულებისას, წმინდა

რელიგია რომ გვავალებს. აქ წმინდა ანა ორეელიც გვაფრთხილებს, რომ სულ მცირე დანაშაულისთვისაც კი შეუბრალებელნი უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ. შენმა ბიძაშვილმა მოიტაცე-დიდი-კვერმა დიდი ხვეწნით დაითანხმა ვაჟკაცი, შენთვის რომ დაევალებინათ ფუჟერის მეთვალყურეობა და კარგად გადაგიხდიან. მაგრამ ხომ იცი, მოღალატისთვის პურს რომელი ფქვილისგან ვაცხობთ?

- ვიცი, ბატონო იარე-მიწაზე.

- და იცი, ამას რატომ გეუბნები. ხალხში ლაპარაკობენ, სიდრი და ფული ძალიან უყვარსო. იცოდე, არ ითაღლითო, მარტო ჩვენ უნდა გვემსახურო.

- ნუ გაწყრებით, ბატონო, სიდრი და ფული კარგი რამეა და სულის გადარჩენას ხელს სულაც არ უშლის.

- თუ ბიძაშვილი რამე სისულელეს ჩაიდენს, მხოლოდ სიბრიყვით, - ჩაერია მოიტაცე-დიდი-კვერი.

- განსაცდელი რომელი კარიბჭედანაც უნდა შემოვიდეს, არ დავინდობ, არ შევარჩენ, - ისე დაიგრგვინა იარე-მიწაზემ, რომ კედლები შეზანზარდა, - მაგაზე პასუხს შენ აგებ, - მიუბრუნდა მოიტაცე-დიდი-კვერს, - თხის ტყავის ქვეშ შენს ტყავსაც ვიპოვი!

- არ გეწყინოთ, ბატონო, მაგრამ თქვენ თვითონ კონტრშუანები შუანები არასოდეს გგონებიათ? - ჩაილაპარაკა დაასხი-კუტალამ.

- ძმობილო, - მშრალად უთხრა იარე-მიწაზემ, - ჭკუით იყავი, მასე არასოდეს მოგივიდეს, თორემ თალგამივით შუაზე გადაგჭრი. თუ ვაჟკაცი ვინმეს გამოაგზავნის, მისი ხელთათმანიც ექნებათ. ოღონდ ვივეტიერის საქმის მერე მთავარი ვარიკა ზედ მწვანე ლენტს ამაგრებს.

მოიტაცე-დიდი-კვერმა მუჯლუგუნი წაჰკრა თავის ამხანაგს და თვალით დ'ორჟემონზე ანიშნა, თავს რომ იმძინარებდა. იარე-მიწაზემ და მოიტაცე-დიდი-კვერმა კი გამოცდილებით იცოდნენ, რომ მათ ბუხართან, მათ გვერდით ვერავინ ჩათვლემდა. დაასხი-კუტალთან ლაპარაკისას, ბოლო ფრაზა ჩუმად თქვა შუანმა, გამომცდელად შეხედა მას და გადაწყვიტეს, რომ შიშისგან გონება დაკარგა. უცებ იარე-

მიწაზეს ოდნავ შესამჩნევ ნიშანზე მოიტაცე-დიდი-კვერმა დ'ორჟემონს წაღები და წინდები გახადა. დაასხი-კუტალმა და წაიღე-დოვლათმა დასტაცეს ხელი და კერასთან მიიყვანეს. მერე ფიჩხს რომ შემოხსნეს, იმ თოკით ფეხებით მიაბეს თუჯის კაუჭზე. მათი შეთანხმებული და მარჯვე მუშაობის დანახვაზე მსხვერპლს ყვირილი აღმოხდა, მერე კი გულშემზარავი ღრიალი, როცა მოიტაცე-დიდი-კვერმა ფეხქვეშ ნაკვერჩხლები მიუხვეტა.

- მეგობრებო, ჩემო კარგო მეგობრებო, - ყვიროდა დ'ორჟე-მონი, - მე ხომ მეტკინება! მეც ხომ თქვენნაირი ქრისტიანი ვარ!..

- მოკეტე, ტყუი, - უპასუხა იარე-მიწაზემ, - შენი ღვიძლი ძმა ღმერთს განუდგა, შენ კი ჟიუვინიის სააბატო იყიდე. აბატმა გიუდენმა გვითხრა, რომ ღვთის განდგომილი შეიძლება სინდისის ქენჯნის გარეშე შებრაწო.

- ჩემო ქრისტესმიერო ძმებო, მოიცადეთ! გადახდაზე უარს ხომ არ გეუბნებით.

- ჩვენ ორი კვირა მოგეცით ვადა. ორი თვე გავიდა, დაასხი-კუტალას ჯერაც არაფერი მიუღია.

- შენ განა არაფერი მიგიღია დაასხი-კუტალა? - სასოწარკვეთილი ხმით იკითხა ძუნწმა.

- არაფერი, სულ არაფერი, მესიე დ'ორჟემონ, - შეშინებულმა უპასუხა.

ყვირილი, განუწყვეტელი ღმუილი, მომაკვდავის ხრიალს რომ ჰგავდა, უცებ საშინელი ძალით განახლდა. ოთხი შუანი, რომლისთვისაც ეს სანახაობა ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორც ძაღლები უწაღებოდ რომ დარბიან, სრული სიმშვიდით უყურებდა, როგორ იკლაკნებოდა და კიოდა დ'ორჟემონი. მოგზაურებს ჰგავდნენ, სასტუმროში კერასთან რომ ელიან, როდის შეიბრაწება ხორცი, რომ შეჭამონ.

- ვკვდები! ვკვდები!.. - ყვიროდა დ'ორჟემონი, - და ჩემს ფულს ვერ ეღირსებით.

მიუხედავად ყურთასმენის წამღები ყვირილისა, მოიტაცე-დიდი-კვერმა შენიშნა, რომ ცეცხლს ჯერ არ აელანძა დ'ორჟემონისთვის კანი. ოსტატურად გაჩხრიკა, ნაკვერჩხალი რომ გაეღვივებინა და მაშინ ძუნწმა იმედდაკარგული ხმით

უთხრა: - მეგობრებო, გამიხსენით ხელ-ფეხი... რამდენი გინდათ? ასი ეკიუ? ათასი? ათი ათასი? ასი ათასი? გთავაზობთ ორას ეკიუს.

მისი ხმა ისეთი შესაბრალისი იყო, მადმუაზელ დე ვერნეის დაავიწყდა, რომ თვითონაც საფრთხეში იყო და შეჰყვირა.

- ვისი ხმა იყო? - იკითხა იარე-მიწაზემ.

შეშინებულმა შუანებმა მიმოიხედეს. ამ ხალხს, ასეთი ლომგულები რომ იყვნენ ზარბაზნის სიკვდილის მთესველი პირის წინაშე, სულების ეშინოდა. მხოლოდ მოიტაცე-დიდი-კვერი ცდილობდა, ყურადღება სხვა რამეზე არ გადაეტანა და ყურს უგდებდა აღიარებას, გაძლიერებული ტკივილი რომ აიძულებდა.

- ხუთასი ეკიუ! ჰო... გაძლევთ ხუთასს!

- კარგი. მერე და სად არის? - მშვიდად ჰკითხა მოიტაცე-დიდი-კვერმა.

- სად? პირველი ვაშლის ხის ქვეშ. ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო!.. ბაღის ბოლოში მარცხნივ!.. ყაჩაღებო!.. ქურდებო... ოოჰ, ვკვდები!.. ათი ათას ფრანკს მოგცემთ.

- ფრანკები არ გვინდა, - იარე-მიწაზემ, - ლივრები მოგვეცი. შენი რესპუბლიკის ფრანკებზე წარმართული კერპებია. მასეთი ფული არასოდეს გამოდგება.

- იქ, ლივრებია, წონასრული ლუიდორები. ოღონდ გამხსენით, ახლა ხომ იცით, სად არის ჩემი განძი... ჩემი სიცოცხლე!..

შუანებმა გადახედ-გადმოხედეს ერთმანეთს, ფიქრობდნენ, ვისთვის დაევალებინათ, ვინ გაეგზავნათ ფულის ამოსათხრელად. მათმა სისასტიკემ ისე შეაშინა მადმუაზელ დე ვერნეი, რომ არც კი იცოდა, ნებისმიერი საფრთხისგან დაიცავდა თუ არა მოჩვენების როლი, გაფითრებული სახის გამო რომ შეეძლო ეთამაშა. ბოხი ხმით თამამად დაიყვირა: - ნუთუ ღვთის რისხვისა არ გეშინიათ? გახსენით, ბარბაროსებო!

შუანებმა ასწიეს თავები, ზემოთ ვარსკვლავებივით მოელვარე თვალები შენიშნეს და გულგახეთქილებმა მოკურცხლეს. მადმუაზელ დე ვერნეი ჩახტა სამზარეულოში, მიირბინა დ'ორჟემონთან და ისე მაგრად გასწია ერთბაშად უკან, რომ

კანაფი გაწყდა, ხანჯლით გადაჭრა თოკები, მთელ ტანზე რომ ჰქონდა შემოხვეული. ძუნწმა როგორც კი იგრძნო თავისუფლება, წამოხტა, სახეზე ტანჯული გამომეტყველებითა და გესლიანი დაცინვით: - წადით, წადით ვაშლის ხესთან, ყაჩაღებო! ოხ! ორჯერ უკვე გავაბრიყვე, მესამედ კი ვეღარ დამიჭერენ.

ამ დროს ეზოში ქალის ხმამაღალი ყვირილი გაისმა.

- მოჩვენება! მოჩვენება! - ყვიროდა მადამ დიუ გა, - ჩერჩეტებო, ის არის! ათასი ეკიუ იმას, მაგ კახპის თავს ვინც მომიტანს! - მადმუაზელ დე ვერნეი გაფითრდა. ძუნწმა ღიმილით ჩაავლო ხელი, კერიის ჩარდახქვეშ შეიყვანა, ისე გაატარა, რომ არავითარი კვალი არ დარჩენილა, არც ცეცხლს გამოსდებიან, პატარა სივრცე რომ ეჭირა. მერე რაღაც ზამბარას დააჭირა ხელი, თუჯის ფილა ასწია და როცა მათი საერთო მტრები სარდაფში დაბრუნდნენ, სამალავის მძიმე კარი უკვე უხმაუროდ იყო დაბრუნებული თავის ადგილზე. ახლა კი მიხვდა პარიზელი ქალი, რას ნიშნავდა ის თევზის ცეკვა, ცოტა ხნის წინ რომ ფართხალებდა უბედური ბანკირი.

- აი, ხედავთ, ქალბატონო! - დაიძახა იარე-მიწაზემ, - მოჩვენებამ ამხანაგად ლურჯი წაიყვანა.

ეტყობა ამ სიტყვებმა საშინელი შიში გამოიწვიეს, რადგან ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დ'ორჟემონმა და მისმა თანამგზავრმაც გაიგონეს შუანების ბუტბუტი.

- Ave sancta Anna Auriaca, gratia plena, Dominus tecum...[10]

- ლოცულობენ... გამოთაყვანებულები! - წამოიძახა დ'ორჟემონმა.

- ჩუმად, - შეაწყვეტინა თანამგზავრს მადმუაზელ დე ვერნეიმ, - არ გეშინიათ, რომ აღმოაჩინონ ჩვენი...

ბებერი ძუნწის სიცილმა ახალგაზრდა პარიზელი ქალის შიში გაფანტა.

- თუჯის ფილა ჩასმულია ათი დიუიმის სისქის გრანიტის ფილაში. ჩვენ გვესმის მათი ხმა, მათ კი ჩვენი - არა.

დ'ორჟემონმა ფრთხილად აიღო თავისი გამათავისუფლებლის ხელი და რაღაც ნაპრალს მიადო, საიდანაც დროდადრო გრილი

ნიავი უბერავდა. გოგონა მიხვდა, ქურის მილში გაკეთებული სასულე იყო.

- ოოხ! - ამოიკვნესა დ'ორჟემონმა, - ეშმაკმა დალახვროს, ფეხები მაინც მეწვის. ეს ფაშატი შარეტი, როგორც ნანტში ეძახიან, ჭკვიანი ქალია, თავისი ერთგული მომხრეებისა და მიმდევრების გადარწმუნებას არ დაიწყებს. კარგად იცის, ასეთი ბრიყვები რომ არ ყოფილიყვნენ, არ დაიწყებდნენ თავიანთი ინტერესების საწინააღმდეგოდ ბრძოლას. გესმით, ისიც ლოცულობს. ნეტავ მაჩვენა, როგორ უკითხავს ანა ორეელს აკაფისტს. ჯობდა, ერთი დილიჟანსი კიდევ გაეძარცვა და ჩემი ვალი მოეცა, ოთხი ათასი ფრანკი გამომართვა. პროცენტებითა და სხვადასხვა ხარჯით ოთხი ათას შვიდასოთხმოცი ფრანკი და რამდენიმე სანტიმია...

ლოცვის დამთავრების შემდეგ დაჩოქილი შუანები წამოდგნენ და წავიდნენ. მოხუცმა დ'ორჟემონმა ხელზე ხელი მოუჭირა მადმუაზელ დე ვერნეის, თითქოს ანიშნა, საფრთხეს ჯერ არ გადაუვლიაო.

- არა, ქალბატონო, - გაისმა რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ მოიტაცე-დიდი-კვერის ხმა, - თუ გინდათ, ათი წელი უცადეთ, აქ აღარ დაბრუნდებიან.

- ის გომბიო არც გამოსულა, აქ უნდა იყოს, - ჯიუტად თქვა „ფაშატმა შარეტმა."

- არა, ქალბატონო, არა. კედელში გავიდოდნენ და გაფრინდებოდნენ... გახსოვთ, ეშმაკმა აქედან როგორ წაათრია ის აბატი, ფიცი რომ დადო.

- მოიტაცე-დიდო-კვერო, შენც ხომ ისეთივე ძუნწი ხარ, როგორც დ'ორჟემონია. ნუთუ ვერ ხვდები?.. ამ ბებერ ქვაწვიას თავისუფლად შეეძლო დაეხარჯა რამდენიმე ათასი ლივრი და აქ, თაღების საძირკველში გაეკეთებინა კუნჭული საიდუმლო კარით.

ძუნწმა და ქალიშვილმა მოიტაცე-დიდი-კვერის რიხიანი ხარხარი გაიგეს.

- მართალი ხარ!

- შენ აქ დარჩი, ისევ მადამ დიუ გა ალაპარაკდა, - დაიცადე, როდის გავლენ. ერთი ზუსტი გასროლისთვის ყველაფერს

მოგცემ, რასაც ჩვენი მევახშის სამალავში იპოვი. დამიჯერე, თუ გინდა, რომ გაპატიო, ეგ გომბიო რომ გაყიდე მოკვლის მაგივრად, როგორც დაგავალე.

- მევახშეო? - აღშფოთდა დ'ორჟემონი, - მე კი ფული ცხრა პროცენტით ვასესხე. მართალია, გირავნობის სიგელი გამოვართვი, მაგრამ მაინც, ნახეთ, რა უმადურობაა! იცით, ქალბატონო, თუ ღმერთი ბოროტი საქმეებისთვის გვსჯის, ეშმაკი არ დააყოვნებს კეთილი საქმისთვის დასჯას, ადამიანი კი ამ ორ ზღვარს შუაა, არაფერი იცის მომავალზე და ეს ყველაფერი სამუცნობიანი ამოცანასავით არის, სადაც X-ის პოვნის არავითარი საშუალება არ არის.

ღრმად და რაღაც უცნაურად ამოიოხრა, - თითქოს ხორხში გავლისას ჰაერი მოდუნებულმა სიმებმა ააჟღერა. უცებ ისევ გაისმა კაკუნი! მოიტაცე-დიდი-კვერმა და მადამ დიუ გამ კედლების, თაღებისა და ქვის იატაკის შესწავლა დაიწყეს. ეს ხმაური თითქოს გულს უკეთებდა, ამხნევებდა დ'ორჟემონს: თავის მხსნელს ჩაავლო ხელი და მოეხმარა გრანიტის სქელ კედელში გამოჭრილი ვიწრო, ხვეული კიბით ასვლაში. როცა ასე ოცი კიბე აიარეს, მათი თავები ლამპის შუქმა ოდნავ გაანათა. ძუნწი გაჩერდა, მიუბრუნდა თავის მხსნელს, დაჟინებით დააცქერდა მის სახეს, თითქოს აღრიცხვისთვის მიღებული არასაიმედო თამასუქი ყოფილიყოს. მერე ისევ საზარლად ამოიოხრა.

- აქ მოგიყვანეთ, - ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო დ'ორჟემონმა, - და ამით გულუხვად გადაგიხადეთ თქვენი სამსახურისთვის და მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ უნდა გადაგიხადოთ კიდევ ფუ...

- ბატონო, აქ დამტოვეთ! და არც არაფერს გთხოვთ! - სიტყვა გააწყვეტინა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

ამ სიტყვებმა და შეიძლება ზიზღმაც, მშვენიერ სახეზე რომ გადაურბინა მარის, მოხუცი დაამშვიდა, ისევ ამოიოხრა და დაუმატა: - აქ რომ მოგიყვანეთ, ამით იმდენი გავაკეთე თქვენთვის, რომ უნდა გავაგრძელოთ...

ის თავაზიანად მიეხმარა მარის საკმაოდ უჩვეულოდ განლაგებულ საფეხურებზე ასვლაში და ნახევრად თავაზიანად, ნახევრად გაბრაზებულმა შეიყვანა არაუმეტეს ოთხი კვადრატული ფუტის პაწაწინა ოთახში, თაღოვან ჭერზე

ჩამოკიდებული ლამპა რომ ანათებდა. ძნელი შესამჩნევი არ იყო, რომ ძუნწმა სიფრთხილის ყველა ზომა დაიცვა იმისთვის, რომ შესძლებოდა, თუკი საჭირო იქნებოდა, არაერთი დღე გაეტარებინა ამ თავშესაფარში, თუ სამოქლაქო ომის მოვლენები აიძულებდნენ, იქ დამალულიყო.

- კედელთან ნუ მიხვალთ, კირით დაისვრებით, - უცებ უთხრა დ'ორჟემონმა და საჩქაროდ შეაცურა ხელი ქალიშვილის ზურგსა და, ეტყობა, ახლადშელესილ კედელს შორის. მაგრამ ამ ჟესტმა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ძუნწი ბებერი ელოდა. მადმუაზელ დე ვერნეიმ სწრაფად მიმოიხედა და კუთხეში უცნაური რამ შენიშნა, რომლის ფორმის გამოც შეძრწუნებულმა წამოიყვირა, მიხვდა, იქ კირის ფენით დაფარული ადამიანის სხეული იდგა. დ'ორჟემონმა მრისხანე ჟესტით გააჩუმა და მის პატარა, თითქოს ქაშანურისაგან გაკეთებულ პატარა ცისფერ თვალებში ისეთივე შიში იდგა, როგორიც მისი თანამგზავრის თვალებში.

- სულელო, გგონიათ მე მოვკალი!.. ეს ჩემი ძმაა, - ამჯერად მის ოხვრაში დარდიანი ნოტები გაისმა, - ჩემი ძმა ადგილობრივ მღვდლებს შორის პირველი იყო, ფიცი რომ დადო და ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლებოდა სხვა მღვდლებისა და შუანების გააფთრებას დამალვოდა. წარმოგიდგენიათ, ასეთი ღირსეული ადამიანის დევნა! ისე უყვარდა ყველაფერში წესრიგი! ჩემი უფროსი ძმაა. მხოლოდ მას ეყო მოთმინება, ჩემთვის ათწილადები ესწავლებინა. ოჰ, როგორი მღვდელი იყო! ხელმომჭირნე, ფულის მოგროვება იცოდა. აი, უკვე ოთხი წელია, რაც მოკვდა, ნამდვილად არ ვიცი, რა დაავადებით. მაგრამ იცით, როცა მღვდლები ლოცულობენ, მიჩვეულნი არიან მუხლის მოყრას. მისთვის იქნებ ძნელი იყო ყოველთვის ფეხზე დგომა ჩემსავით... აქ დავტოვე: სხვაგან ისინი საფლავიდან ამოთხრიდნენ. ვეცდები, ოდესმე დავმარხო ნაკურთხ მიწაზე, როგორც თვითონ ამბობდა, საცოდავი. ფიციც ხომ მხოლოდ შიშისგან დადო.

პატარა, გამშრალ თვალებზე ცრემლი მოადგა მოხუცს და ამ წუთში მისი ჟღალი პარიკიც ისეთი უშნო და უმსგავსი არ ეჩვენა მარის. მისი დარდისადმი დაფარული თანაგრძნობით აარიდა თვალი. მიუხედავად გრძნობის მორევისა და გულისაჩუყებისა, დ'ორჟემონმა გაიმეორა: - ნუ მიუახლოვდებით კედელს, დაისვ...

თვალის მოუშორებლად, თვალებში უყურებდა მადმუაზელ დე ვერნეის, თითქოს უნდოდა, ხელი შეეშალა ამ პაწაწინა ოთახის კედლების ყურადღებით დათვალიერებაში, სენაკისა, სადაც ფილ-ტვებს ჰაერი არ ჰყოფნიდა. მარიმ თავისი არგუსისგან მალულად მაინც მოახერხა კედლების შეხედვა და უცნაურად ოღროჩოღრო ეჩვენა, იფიქრა, ალბათ თვითონ ააშენა ოქროთი და ვერცხლით სავსე ტომრებისგანო. ამასობაში დ'ორჟემონს რაღაც კომიკური აღტაცება იპყრობდა, თუმცა ბებერი წუწურაქის ყოველ ნაოჭში შეიძლებოდა ამოგეკითხათ ტკივილი ფეხისგულებისა და მის საგანძურში ცოცხალი არსების გამოჩენის შიში. მაგრამ მშრალი თვალები მისი გადამრჩენლის სახიფათო მეზობლობით მღელვარების უჩვეულო ცეცხლით უელავდა, ქალის თეთრყირმიზი ლოყა საკოცნელად იზიდავდა, შავი, ხავერდოვანი თვალების შემოხედვისას კი გულს სისხლის ისეთი ცხელი ტალღები აწყდებოდა, რომ აღარ იცოდა, სიცოცხლის ნიშანი იყო თუ სიკვდილისა.

- გათხოვილი ხართ? - ათრთოლებული ხმით ჰკითხა.

- არა, - ღიმილით უპასუხა

- რაღაც-რაღაცები მაქვს, - განაგრძო და ისევ გაისმა უცნაური ოხვრა, - მაგრამ, რასაკვირველია, ისეთი მდიდარი არ ვარ, როგორც ყველანი ამბობენ. ასეთ მშვენიერ ახალგაზრდას ალბათ გიყვართ ბრილიანტები, ძვირფასეულობა, ეტლები, ოქრო, - დაუმატა და შეშინებულმა მიმოიხედა, - მე შემიძლია ეს ყველაფერი მოგცეთ... ჩემი სიკვდილის შემდეგ... და თუკი თქვენ ისურვებდით...

მოხუცის მზერა ამ ეფემერული სიყვარულისთვისაც კი ისეთ ანგარიშიანობას გამოხატავდა, რომ მადმუაზელ დე ვერნეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია, გაფიქრებაც კი არ შეეძლო, რომ ძუნწი მის ცოლად მოყვანას მხოლოდ იმიტომ აპირებდა, რომ საიდუმლო თავისი მეორე „მეს“ გულში დაემარხა.

- ფული! - თქვა მარიმ და ირონიულად შეხედად'ორჟემონს, რომელიც ამ მზერამ თან გააბედნიერა და თან გაანაწყენა, - ფული ჩემთვის არაფერია. სამჯერ უფრო მდიდარი იქნებოდით, აქ რომ მომეგროვებინა მთელი ოქრო, რომელზეც უარი ვთქვი.

- არ მიუახლოვდეთ კე...

- და, სხვათაშორის, სამაგიეროდ ერთ მზერას მთხოვდნენ, - უზომო სიამაყით დაუმატა.

- ტყუილად თქვით უარი. შესანიშნავი გარიგება იქნებოდა, მაგრამ თქვენ მაინც მოიფიქრეთ...

- თქვენ, „მოიფიქრეთ“, - შეაწყვეტინა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - ის, რომ მესმის ხმა, რომლის ერთი ბგერაც კი ჩემთვის თქვენს მთელ სიმდიდრეს მირჩევნია.

- თქვენ არ იცით...

დ’ორჟემონი სანამ შეაჩერებდა, გოგონამ თითი მიადო პატარა გაფერადებულ გრავიურას, ცხენზე ამხედრებულ ლუი XV-ს რომ გამოსახავდა, განზე გასწია და ქვემოთ მარკიზი დაინახა, მუშკეტონს ტენიდა. პატარა, ფიცარაფარებული ჭუჭრუტანა, ამ ფირფიტაზე დაწებებული გრავიურით, როგორც ჩანს, რომელიღაც ორნამენტს შეესაბამებოდა თაღოვან ჭერზე ოთახში, შუანების წინამძღოლის საძინებელი ოთახი რომ უნდა ყოფილიყო. დ’ორჟემონმა დიდი სიფრხილით დააბრუნა ძველი ესტამპი თავის ადგილზე და მკაცრად შეხედა ქალიშვილს.

- ხმა არ ამოიღოთ, თუ სიცოცხლე გინდათ! - წაიჩურჩულა მან და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ყურში უთხრა: - კარგა მოზრდილი გემის აყვანა განგიზრახავთ აბორდაჟზე. იცით, რომ მარკიზ დე მონტორანს იჯარით გაცემული მიწებიდან ასი ათასი ლივრი აქვს შემოსავალი? ეს მიწები ჯერ არ გაუყიდიათ! ამ დღეებში წავიკითხე ილ-ე-ელენის კონსულების დეკრეტი, რომლის ძალითაც სეკვესტრები შეჩერებულია. ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, თქვენს თვალში ეგ ვაჟბატონი ახლა უფრო გალამაზდა! ხომ ასეა? თვალები ორი ახალი ლუიდორივით გიბრწყინავთ!

მადმუაზელ დე ვერნეის თვალები გაუბრწყინდა, როგორც კი კარგად ნაცნობი ხმა გაიგო. აქ გატარებული დროის მანძილზე, სანამ აკლდამაში დამარხულივით იყო, მოვლენათა სიმძიმისგან შეკუმშული მისი ნებისყოფის ზამბარა თითქოს გაიმართა. გეგონებოდათ, უცებ რაღაც საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო და ფიქრობდა, როგორ განეხორციელებინა.

კარი II „ასეთი არადჩაგდებისგან უკანდასახევი გზა არ არის, - გაიფიქრა მარიმ, - და თუ ჩემი სიყვარული აღარ შეუძლია, მოვკლავ... არც ერთ ქალს არ ერგება“.

უცებ ახალგაზრდა მეთაურის ხმა გაისმა.

- არა, აბატო, არა! - ხმამაღლა თქვა მან, - ეს სწორედ ასე უნდა გაკეთდეს.

- მარკიზო, - ქედმაღლურად უთხრა აბატმა გიუდანმა, - მთელ ბრეტანში თავი მოგეჭრებათ, ამ მეჯლისს თუ სენ-ჯემსში გამართავთ. მოცეკვავეები კი არა, მქადაგებლები გამოაფხიზლებენ ჩვენს სოფლებს, თოფები გჭირდებათ, ვიოლინოები კი არა.

- აბატო, ჭკვიანი კაცი ხართ და უნდა გაიგოთ, რომ როცა თავს მოვუყრით ჩვენს მომხრეებს, დავინახავ, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ. ჩემი აზრით, სადილობისას უკეთ შეიძლება მათი სახეების შესწავლა და განზრახვის გაგება, ვიდრე ნებისმიერი შპიონაჟით, რაც, ამასთანავე, მეზიზღება კიდევაც. ჭიქით ხელში ალაპარაკდებიან, - მარის ამ სიტყვებზე გული აუჩქროლდა. აზრად მოუვიდა ამ მეჯლისზე შურის საძიებლად მოხვედრა.

- აბატო, როგორც ჩანს, იდიოტად მიგაჩნივართ, თუ ქადაგებას აპირებთ ცეკვების ცოდვიანობაზე. რა, თქვენ თვითონ სიამოვნებით არ იცეკვებთ ჩაკონას ან რამეს, ოღონდ თქვენი ორდენი აღადგინონ ახალი სახელწოდებით, მაგალითად „რწმენის მამები“? თანაც, განა არ იცით, რომ ბრეტონელები მესის მერე პირდაპირ საცეკვაოდ მიდიან? არ იცით, განა, რომ ხუთი დღის წინ ილ დე ნევილი და დ’ანდინიე პირველ კონსულთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ ტახტზე მეფე ლუი მეთვრამეტის დაბრუნების შესახებ? და ახლა თუ ასეთ თამამ სვლას ვაპირებ, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენმა ნალდაკრულმა ფეხსაცმელმა წონა შემატოს ამ მოლაპარაკებებს. თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ ვანდეის ყველა წინამძღოლი, ფონტენიც კი, დროდადრო დამორჩილებაზე ლაპარაკობს. ოჰ, აბატო გიუდენ! როგორც ჩანს, უფლისწულები[11] მოატყუეს, არასწორად განუმარტეს საქმის ვითარება საფრანგეთში. ერთგულება, მათ რომ უკიჟინებენ, აუცი-ლებლობით არის გამოწვეული. აბატო, მე

უკვე ფეხი გასვრილი მაქვს სისხლში სიარულით და მხოლოდ ყველაფრის აწონ-დაწონის შემდეგ დავთანხმდები წელამდე ჩავეფლო. მე მეფის ერთგული ვარ, და არა ოთხი თავზე ხელაღებულისა, არა ვალებში ჩაფლული რიფოელის მსგავსი მოთამაშეებისა, არა ყაჩაღებისა, ადამიანებს ცეცხლით რომ აწამებენ, არა...

- განაგრძეთ, განაგრძეთ: „არა აბატებისა, შარაგზაზე ომისთვის საჭირო კონტრიბუციას რომ ართმევენ!“ - შეაწყვეტინა აბატმა გიუდანმა.

- და რატომ არ უნდა ვთქვა! - გესლიანად შეეპასუხა მარკიზი, - მეტსაც გეტყვით, ვანდეის გმირობის დრო წავიდა.

- რა გაეწყობა, მარკიზო, სასწაულს უთქვენოდაც მოვახდენთ.

- მარი ლამბრეკენის სასწაულის მსგავსს, არა? - სიცილით აჰყვა მარკიზი, - გეყოფათ, აბატო, ნუ ბრაზობთ! ვიცი, რომ თავს არ ზოგავთ და ლურჯებს ისევე კარგად ესვრით, როგორც „Ozemus“[12]-ს კითხულობთ. იმედი მაქვს, ღვთის წყალობით გავიმარჯვებთ და გნახავთ ეპისკოპოსის მიტრით, მისი უდიდებულესობის კურთხევის მონაწილედ.

ამ ფრაზამ ეტყობა აბატზე მაგიური ზეგავლენა მოახდინა. გაისმა, როგორ გააჩხაკუნა კარაბინი და შესძახა: - ჯიბეებში ორმოცდაათი ვაზნა მაქვს, მარკიზო, ჩემი სიცოცხლე კი მეფეს ეკუთვნის!

- აი, კიდევ ერთი ჩემი მოვალე, - უთხრა ქვაწვიამ მადმუაზელ დე ვერნეის, - ბევრი არ უსესხია, რაღაც საცოდავი ხუთასი-ექვსასი ფრანკი, ამაზე არ ვლაპარაკობ, სისხლი მართებს და იმედი მაქვს, გავუსწორდები. ეგ სატანა იეზუიტი, როგორც გინდა აწამო, მაინც ცოტა იქნება. დაიფიცა, რომ სიკვდილით დასჯიდა ჩემს ძმას და მთელი ჩვენი მხარე აამხედრა. რისთვის? იმისთვის, რომ საბრალოს ახალი კანონებისა შეეშინდა...

მერე ყური მიუგდო რაღაც შეუმჩნეველ მოწყობილობას თავის სამალავში, უსმინა და თქვა: როგორც იქნა, მიეთრევიან ეს ყაჩაღები. წავლენ და კიდევ რაღაც სასწაულს მოახდენენ! ნეტავ მაშინდელივით არ მოეპრიანოთ წასვლისას სახლის გადაწვა.

დაახლოებით, ნახევარი საათი კიდევ დარჩნენ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ მადმუაზელ დე ვერნეი და დ'ორჟემონი, უცებ დაასხი-კუტალის უხეში, ბოხი ხმა მოესმათ, ჩუმად რომ დაუძახა: - ბატონო დ'ორჟემონ, საფრთხე აღარ არის! აი, ამჯერად ნამდვილად დავიმსახურე ჩემი ოცდაათი ეკიუ!

- შვილო ჩემო, სიტყვა მომეცით, რომ თვალებს დახუჭავთ.

მადმუაზელ დე ვერნეიმ თვალები დახუჭა და ხელიც მიიფარა, მაგრამ დარწმუნებული რომ ყოფილიყო, დ'ორჟემონმა ლამპა ჩააქრო, ხელი ჩაჰკიდა თავის მხსნელს, მოეხმარა მიხვეულ-მოხვეულ გასასვლელში ექვსი-შვიდი ნაბიჯი გადაედგა, რამდენიმე წუთის შემდეგ ნელა მოაშორებინა ხელი სახიდან და მარიმ დაინახა, რომ იმ ოთახში იყო, სადაც ცოტა ხნის წინ მარკიზ დე მონტორანი დაინახა. დ'ორჟემონის საძინებელი ოთახი აღმოჩნდა.

- ჩემო ძვირფასო ბავშვო, - უთხრა ძუნწმა, - ახლა შეგიძლიათ, წახვიდეთ. ასე ნუ იყურებით აქეთ-იქით, ალბათ ფული არ გაქვთ. აი, ათი ეკიუ. ზოგიერთი მონეტა ცოტა დაზიანებულია, მაგრამ არაფერია, აიღებენ. როგორც კი ბაღიდან გახვალთ, ბილიკს დაინახავთ - ქალაქისკენ მიდის, ან, როგორც ახლა ამბობენ, ოლქში. მაგრამ ფუჟერთან ახლა შუანები არიან. ძნელი წარმოსადგენია, რომ მალე მოხვდებით იქ და მაშასადამე, სანდო თავშესაფარი დაგჭირდებათ. კარგად მომისმინეთ, რასაც გეტყვით, მაგრამ ამ სახიზნავით მხოლოდ უკიდურს შემთხვევაში ისარგებლეთ. ჟიბარის ღარტაფის გადაჭრით, ეკლიან ბუდემდე მიმავალ გზაზე დაინახავთ ფერმას, იქ დიდი სიბო, იგივე დაასხი-კუტალი ცხოვრობს. შედით და უთხარით მის ცოლს, „გამარჯობა, ყანჩა," - და ბარბეტა დაგმალავთ. დაასხი-კუტალი თუ დაგინახავთ, ღამე მოჩვენება ეგონებით, დღისით კი შეიძლება გული მოუგოთ ათი ეკიუთი... მშვიდობით. ბარი-ბარში ვართ... ოხ, თქვენ რომ მოგესურვებინათ, ეს ყველაფერი თქვენი იქნებოდა, - და ხელით სახლის გარშემო ველებზე მიუთითა.

მადმუაზელ დე ვერნეიმ მადლიერებით შეხედა ამ უცნაურ მოხუცს, მან კი განსხვავებული ხმით ამოიოხრა.

- თქვენ, რა თქმა უნდა, ამ ათ ეკიუს მერე მომცემთ (მიაქციეთ ყურადღება, პროცენტებზე არაფერს ვამბობ), მიუტანეთ, გეთაყვა, ჩემს კრედიტზე ფუჟერელ ნოტარიუსს - მეტრ

პატრას. თქვენი სურვილიც რომ ყოფილიყო, ის შეადგენდა ჩვენს საქორწინო კონტრაქტსაც, ჩემო მშვენიერო საუნჯევ!.. მშვიდობით!..

- მშვიდობით, - უპასუხა მარიმ და ხელი დაუქნია.

- და თუ ფული დაგჭირდებათ, - მიაძახა მიმავალ მარის დ'ორჟემონმა, - გასესხებთ ხუთი პროცენტით. ჰო, მხოლოდ ხუთი! ნუთუ „ხუთი" ვთქვი?

მარი იქ აღარ იყო.

„ერთი შეხედვით, კარგი გოგო ჩანს, - ფიქრობდა დ'ორჟემონი, - ქურიდან საიდუმლო გასასვლელი მაინც უნდა გადავაკეთო."

მერე აიღო თორმეტგირვანქიანი პური, ღორის ბარკალი და დაბრუნდა თავის თავშესაფარში.

როგორც კი მადმუაზელ დე ვერნეი მონდორში გავიდა, თითქოს გამოცოცხლდა. განთიადის ნიავმა სახე გაუგრილა, რომელიც რამდენიმე საათი თითქოს ხორშაკიანი ჰაერით ეტკიცებოდა. ეცადა, ბილიკი ეპოვა, მაგრამ მთვარე უკვე თვალს მიეფარა და ისე ჩამობნელდა, რომ ალალბედზე მიდიოდა. მაგრამ უცებ შიშისგან გული შეუქანდა, უფსკრულში გადავარდნის შეეშინდა და გაჩერდა, რადგან იგრძნო, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი და მიწა გამოეცლებოდა ფეხქვეშ. ცივმა ნიავმა, თმას რომ უჩეჩდა, წყლის ჩხრიალმა, ინსტინქტმა - ყველაფერმა აფიქრებინა, რომ სენ-სიულპისის კლდეების ნაპირთან მისულიყო, რომელიღაც ხეს მოეხვია და განთიადს დაელოდა ზარდაცემული, რადგან სადღაც იქვე ისმოდა იარაღის ჟღარუნი, ცხენების ფლოქვების ცემა და ადამიანების ხმა. ღამის სიბნელის მადლობელი იყო, შუანების ხელში ჩავარდნას რომ გადაარჩინა, თუ მართლა გარს ერტყნენ ფუჟერს, როგორც ბებერმა წუწურაქმა თქვა.

გეგონებოდათ, ღამეული კოცონების ცეცხლიაო, თავისუფლებისთვის ბრძოლის სიგნალი, - ისე იფეთქა მთების წვერებზე მეწამულმა შუქმა, მთების მოლურჯო ძირები კი ჯერ არ განათებულიყო და კონტრასტს ქმნიდა დაცვარული ველების თავზე მოლივლივე მოთეთრო თხელ ნისლთან. მალე ჰორიზონტზე ნელა ამოგორდა ლალისფერი დისკო. ბნელიდან გამოჩნდა მთების ბუნდოვანი მოხაზულობა, სენ-ლეონარის სამრეკლო, კლდეები, ნისლში შებურული მდელოები და

ახლადგამოღვიძებული დღის ავარდნილ ალში მთის წვერებზე ხეები გამოიძერწა. ქაოსიდან ლამაზად ამობრიალდა მზე, ცეცხლისფერი, ნარინჯისფერი და საფირონის ღრუბლებიდან კაშკაშა ნათელი თანაბარ ჰარმონიულ ზოლებად დაეფინა მთებს და წალეკა ველები. ბნელი გაიფანტა, დღემ დაიპყრო ბუნება. ცივი ნიავი ამოვარდა, ჩიტებმა სტვენა დაიწყეს, ყველგან გაიღვიძა სიცოცხლემ. მადმუაზელ დე ვერნეიმ ძლივს მოასწრო ქვემოთ მშვენიერი სანახაობის თვალის შევლება, რომ ნისლი, ამ გრილ მხარეში ძალიან ხშირად რომ არის ხოლმე, საბურველივით გაიშალა, ამოავსო ველი, ამოვიდა ყველაზე მაღალ გორებამდე და თოვლის საფარივით დაედო კუენონის მთელ მდიდარ აუზს. მალე მადმუაზელ დე ვერნეის მოეჩვენა, რომ ერთ-ერთ მყინვარს ხედავდა, ალპების მწვერვალს რომ ფარავენ. მერე ჯანღის ამ ღრუბლებზე, იტყოდი, ოკეანეაო, ტალღებმა იწყეს გადაგორება, ხან ამოფუვდებოდნენ მაღალ ზვირთებად, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ტრიალებდნენ, რბილად ლივლივებდნენ და ცხრებოდნენ. მზის სხივები კაშკაშა ვარდისფრად აელვარებდნენ, ზოგგან აშუქებდნენ გამჭვირვალე ბრჭყვიალით, თხევადი ვერცხლის ტბა გეგონებოდათ. უცებ ამ ფანტასმაგორიას ჩრდილოეთის ქარმა წამოუბერა და ნისლი ოზონით გაჯერებულ ცვრად გაიფანტა ბალახზე. აი, მაშინ შენიშნა მადმუაზელ დე ვერნეიმ ფუჟერის კლდეებზე უზარმაზარი მუქი მასა. შვიდასი-რვაასი შეიარაღებული შუანი ფუთფუთებდა სენ-სიულპისის გარეუბანში, როგორც ჭიანჭველები დანგრეულ ბუდესთან. შუანების სამიათასიანი ურდო რაღაც ჯადოქრობით გაჩნდა, დაიკავა მიდამოები ციხე-კოშკთან და გაშმაგებულ შტურმზე გადავიდა. ამწვანებული სანგრებისა და ძველი რუხი კოშკების მიუხედავად, მძინარე ქალაქი იერიშს ვერ გაუმკლავდებოდა, რომ არა იულოს სიფხიზლე. მიწაყრილებს შორის წარმოქმნილი ღრმულის შუაგულიდან თვალს მოფარებულმა ბატარეამ, შუანების პირველი სროლის პასუხად, ციხე-კოშკისკენ მიმავალ გზას დასცხო. კარტეჩმა მოცელა თავდამსხმელები და გზა გაათავისუფლა. ამის შემდეგ სენ-სიულპისის კარიბჭიდან ჯარისკაცების ასეული გამოვიდა, ისარგებლა შუანების არევ-დარევით, ჯარების საბრძოლო წესის მიხედვით განლაგდა გზაზე და მომაკვდინებელი ცეცხლი გახსნა. როცა დაინახეს, რომ ციხის მიწაყრილებზე ერთბაშად გამოჩნდა ჯარისკაცების მწკრივები, თითქოს თეატრის დახელოვნებულმა დეკორატორმა უცებ გაავლო ლურჯი ზოლები, და

დარწმუნდნენ, რომ რესპუბლიკელ მსროლელებს ციხიდან იცავენ, შუანებს არც კი უცდიათ წინააღმდეგობის გაწევა. სხვა შუანებმა დაიკავეს ნანსონის ვიწრო ხეობა, კლდის კარნიზებით აცოცდნენ ბულვარამდე და იქ განლაგდნენ. მთელი ბულვარი დაიფარა თხის ტყავებით და დროისგან ჩაშავებულ ჩალის სახურავებს დაემსგავსა. ამ დროს ქალაქის სხვა ნაწილში, კუენონის ველისკენ გადარეული ზალპები გაისმა. როგორც ჩანს, ფუჟერს წრედ შემოერტყნენ და შეტევაც ყველა მხრიდან ხორციელდებოდა. კლდის აღმოსავლეთის ფერდობიდან ავარდნილმა ალმა გააგებინა, რომ შუანებმა გარეუბანს წაუკიდეს ცეცხლი. თუმცა ცეცხლის ენები, კურდღლისცოცხათი დახურული სახურავებიდან რომ ავარდა, მალე გაქრა და მათ ნაცვლად შავი ბოლის სვეტი აღიმართა - ხანძარი, როგორც ჩანს, ქრებოდა. დენთის ბოლის თეთრმა და მურა ბოლქვებმა მადმუაზელ დე ვერნეის თვალს მოაფარეს ეს სცენა, მაგრამ მალე ქარმა გაფანტა ბოლი. რესპუბლიკელების მეთაური ფრიალო კლდიდან, ბულვარს რომ წამოსდგომოდა, უთვალთვალებდა სცენას; დაინახა, რომ მისი პირველი ბრძანებები შესანიშნავად შესრულდა და უბრძანა, ბატარეის ქვემეხები შეებრუნებინათ, რომ შესძლებოდათ ნანსონის ველის, დედოფლის ბილიკისა და კლდისთვის სროლა. სენ-ლეონარის საგუშაგოსთან დადგმულმა ორმა ზარბაზანმა მიმოფანტა ჭიანჭველებივით მოდებული შუანები, ეს პოზიცია რომ ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. ფუჟერის ნაციონალურმა გვარდიელებმა საბოლოოდ გააქციეს მოწინააღმდეგენი. შეტაკება სულ ნახევარი საათი გაგრძელდა, ლურჯებმა ას კაცზე ნაკლები დაკარგეს. შუანები გაანადგურეს, უკუაგდეს და ისინიც ყველა მიმართულებით უკან იხევდნენ, ვაჟკაცის არაერთი დაჟინებული ბრძანებით. ის ხედავდა, რომ მისი გაბედული ოპერაცია ჩაფლავდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ეს ვივეტიერის ჟლეტის შედეგი იყო, რამაც იულო აიძულა, ფუჟერში დაბრუნებულიყო. არტილერია ქალაქში მხოლოდ იმ ღამეს მივიდა, რადგან ვაჟკაცს რომ გაეგო ჭურვების გადატანის შესახებ, ნამდვილად უარს იტყოდა თავის განზრახვაზე, იცოდა, რომ თავდასხმაზე ჭორები აუცილებლად სავალალო შედეგს გამოიღებდა. მართლაც, რამდენადაც იულოს უნდოდა, ვაჟკაცისთვის ჭკუა ესწავლებინა, იმდენადვე ვაჟკაცი ცდილობდა, მისი იერიში წარმატებული ყოფილიყო, პირველი კონსულის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად. ზარბაზნის პირველივე გასროლაზე მარკიზი მიხვდა, რომ

წარუმატებელი შტურმის მხოლოდ თავმოყვარეობის გამო გაგრძელება სიგიჟეა და უაზროდ რომ არ დაეკარგა თავისი შუანები, საჩქაროდ გაგზავნა შვიდი-რვა შიკრიკი ბრძანებით, სასწრაფოდ უკან დაეხიათ ყველა პუნქტში. იულომ შენიშნა სენ-სიულპისის კლდეებზე დიდი სამხედრო საბჭოთი გარშემორტყმული მოწინააღმდეგე მადამ დიუ გაც და ზალპი მისცა. მაგრამ პოზიცია ოსტატურად აღმოჩნდა შერჩეული, ახალგაზრდა მეთაური უსაფრთხოდ იყო, მაშინ იულომ შეცვალა პოზიცია, თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა. შუანების პირველსავე მოძრაობაზე, რამაც მარკიზის განზრახვა გააგებინა, ციხე-სიმაგრესთან მდგომმა ასეულმა ბრძანება მიიღო, უკანდასახევი გზა მოეჭრა მტრისთვის და ნანსონის ველის ზედა გასასვლელების დასაკავებლად წავიდა.

მიუხედავად სიძულვილისა, მადმუაზელ დე ვერნეი შეაშინა იმ ხალხის ბედმა, მარკიზი რომ მეთაურობდა. სწრაფად შეტრიალდა, რომ ენახა, მეორე გასასვლელი თავისუფალი იყო თუ არა, მაგრამ იქაც ლურჯები დაინახა. ეტყობოდა, ფუჟერის სხვა მისადგომებთან გამარჯვება მოეპოვებინათ და ახლა კუენონის ველიდან ბრუნდებოდნენ, ჟიბარის ღარტაფის გამოვლით, ეკლიანი ბუდის და სენ-სიულპისის კლდეების იმ ნაწილის დასაპყრობად, სადაც ველისკენ ქვემოთა გასავლელი იყო. მაშ, ასე, შუანები მოამწყვდიეს ხეობაში, ვიწრო მდელოზე და თითქოს ყველა იქ უნდა ჩახოცილიყო, იმდენად სწორად გაითვალისწინა რესპუბლიკელთა ბებერმა მეთაურმა და იმდენად ოსტატურად მიიღო ზომები, მაგრამ ზარბაზნები, ასე კარგად რომ ემსახურნენ იულოს, უძლურნი იყვნენ ამ ორი პუნქტის წინააღმდეგ, სადაც გააფთრებული ბრძოლა დაიწყო და როგორც კი ფუჟერს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ბრძოლამ შუანებისთვის ჩვეული შეტაკების ხასიათი მიიღო. მადმუაზელ დე ვერნეი ახლა მიხვდა, ხალხის რა გროვა იყო ფუჟერის მიდამოებში რომ დაინახა და რატომ შეიკრიბნენ შუანების წინამძღოლები დ'ორჟემონის სახლში. გასაგები გახდა იმ ღამის ყველა მოვლენა, მხოლოდ ის არ ესმოდა, როგორ აარიდა თავი ამდენ ხიფათს. სასოწარკვეთილებით ნაკარნახევმა ბრძოლამ ისე გაიტაცა მარი, რომ გაქვავებულივით იდგა და თვალს არ აშორებდა მის წინაშე გათამაშებულ დრამატულ სურათებს.

მალე სენ-სიულპისის მთებში მიმდინარე ბრძოლამ მისი განსაკუთრეული ინტერესი გამოიწვია. როცა დაინახეს, რომ ლურჯები სჯობდნენ, მარკიზი და მისი მეგობრები შუანების

დასახმარებლად ნანსონის ველისკენ გაეშურნენ. კლდეებთან მისადგომები სავსე იყო გამძვინვარებული მებრძოლების ჯგუფებით. სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება იყო, მაგრამ არენა და იარაღი შუანებს ანიჭებდა უპირატესობას. ბრძოლის ველი გაფართოვდა: შუანები გაიფანტნენ და კლდეებზე აცოცდნენ, ბუჩქნარებს ჩაბღაუჭებულები. მადმუაზელ დე ვერნეი შეძრწუნდა, ცოტა გვიან დაინახა, რომ მისი მტრები უკვე მწვერვალებამდე ასულიყვნენ და გააფთრებით იცავდნენ იქით მიმავალ სახიფათო ბილიკებს. ყველა გასასვლელი მებრძოლებს ეჭირათ და მარი შეშინდა, რომ მათ შორის მოექცეოდა. მოშორდა ხეს და გაიქცა, გადაწყვიტა, ბებერი ძუნწის რჩევით ესარგებლა. დიდხანს მირბოდა ფერდობზე, კუენონის ველს რომ გადასცქერის, შორს რაღაც გომური დაინახა და მიხვდა, ის დაასხი-კუტალის ფერმაში იყო, სადაც შეტაკების დროს ალბათ მხოლოდ მისი ცოლი იყო შინ. ამ ვარაუდმა გაამხნევა მადმუაზელ დე ვერნეი: იმედი ჰქონდა, გულთბილად მიიღებდნენ და ფუჟერში უხიფათოდ დაბრუნების დრომდე რამდენიმე საათით შეიფარებდნენ. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ გამარჯვება იულოს უნდა ეზეიმა. შუანები ისე სწრაფად იხევდნენ უკან, რომ მარის სულ ახლოს ესმოდა სროლა. შეშინებულმა, ბრმა ტყვიის მსხვერპლი არ გამხდარიყო, გომურისკენ მოკურცხლა, სანიშნად საკვამლე მილი ჰქონდა. როგორც იქნა, ბილიკმა ქერქგაუცლელ ოთხ მორზე შემდგარ, გამხმარ კურდღლისცოცხას სახურავიან ჩარდახთან მიიყვანა. ფარდულის სიღრმეში ერთადერთ თიხატკეპნილ კედელთან სიდრის დასამზადებელი წნეხი იდგა, აქვე იყო წიწიბურას სალეწი პატარა კალო და სამიწათმოქმედო იარაღი. მადმუაზელ დე ვერნეი ფარდულის ერთ-ერთ ბოძთან გაჩერდა, ვერ ბედავდა, გადასულიყო ამ პატარა ქოხის, რომელიც ნამდვილმა პარიზელმა გომურად ჩათვალა, ჭაობზე, ეზო რომ რომ ერქვა.

ქოხი კლდეზე იყო მიკრული. ჩრდილოეთის ქარისგან რომ იცავდა და პოეტურად გამოიყურებოდა, სახურავზე გადმოკიდულ თელისა და ერიკას ყლორტების გირლანდებითა და მთის ყვავილებით. კლდეში გამოკვეთილი კიბით ქოხის ბინადართ კლდის წვერზე, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ასვლა შეეძლოთ. ქოხის მარცხნივ მთა მკვეთრად დაბლდებოდა და ნათესების რიგი ჩანდა, რომელთაგან პირველი უეჭველად სახლის პატრონს ეკუთვნოდა. ხეებიანი მიწაყრილები

თვალსაჩარ წარაფებად ერტყა ყველა მინდორს და უახლოესი ცოცხალი ღობე ეზოს ყორეს ემიჯნებოდა. მინდვრამდე ბილიკს სქელი, ჭიანაჭამი ხე იცავდა, - თავისებური ბრეტონული შლაგბაუმი (ეს სახელი, მოგვიანებით, გადახვევის საბაბი იქნება ამ მხარის დასახასიათებლად). ფიქლის ფერდობზე გამოთლილ კიბესა და მორით გადახერგილ ბილიკს შორის, ჭუჭყიანი ეზოს სიღრმეში, კლდის შვერილის ქვეშ ქოხის ოთხკუთხივ უხეშად ნათალი გრანიტის ნაჭრები ელაგა ზედიზედ - თიხის, ფიცრებისა და წვრილი ქვებისაგან შეკოწიწებული კედლების საყრდენად. ნახევარი სახურავი გამხმარი კურდღლისცოცხასი იყო, ჩალის მაგივრად რომ დაეხურათ, მეორე ნახევარი კი მუხის, კრამიტივით დაჭრილი ნაფოტებისგან რომ გაეკეთებინათ. ეს იმის მიმანიშნებელი იყო, რომ სახლი შიგნითაც ორად იყო გაყოფილი, მართლაც, ერთი ნახევარი უშნო ღობით გამოყოფილი გომური იყო, მეორე ნახევარში კი პატრონები ცხოვრობდნენ. თუმცა ამ ქოხში, ქალაქთან სიახლოვის გამო, რაღაც სიახლეები იყო, ფუჟერიდან ორი კილომეტრის დაშორებით რომ ვერ შეხვდებით, მაგრამ მაინც ნათლად ჩანდა ცხოვრების არამდგრადი, ცვალებადი ყაიდა, რაც ყმებს ომებმა და ფეოდალურმა წეს-ჩვეულებებმა დაუტოვეს და დაუქვემდებარეს. ბევრი გლეხი ციხე-კოშკს, სადაც მათი სენიორები ცხოვრობდნენ, დღემდე დარბაზს, დიდ სახლს უწოდებს. მადმუაზელ დე ვერნეი გასაგები გაკვირვებით ათვალიერებდა ამ კუნჭულს და ბოლოს შეამჩნია, რომ ეზოს ლაფში არც თუ საიმედო ბილიკად გრანიტის ნატეხები ეყარა. როცა სროლის ხმა საგრძნობლად მოახლოვდა, ქალიშვილმა გადაწყვიტა, თავშესაფარი ეთხოვა და ქვიდან ქვაზე სკუპ-სკუპით გადავიდა წუმპეზე. სახლში კარი ორნაწილიანი იყო: ქვედა ნაწილი მთლიანი მასიური ქვისა იყო, ზედას კი დარაბა ჰქონდა და ფანჯრის მაგივრობას სწევდა. ასეთი კარი საფრანგეთის ზოგიერთი პატარა ქალაქის სავაჭროებში გვხვდება, ოღონდ იქ ლამაზად მორთულ-გაწყობილია და ქვედა ნაწილში ზანზალაკი აქვს. ამ ქოხში კარი ხის რაზით იკეტებოდა, ზედა ნაწილს კი დარაბით მხოლოდ ღამე კეტავდნენ, რადგან სინათლე ოთახში მხოლოდ აქედან შედიოდა. მართალია, ქოხში უშნოდ გამოჩორკნილი სარკმელიც იყო, მაგრამ მისი პატარა მინები ბოთლის ძირს წააგავდა, სქელ, ტყვიის კალათას კი იმდენი ადგილი ეჭირა, თითქოს უფრო ეფარებოდა შუქს, ვიდრე ატარებდა. როცა მადმუაზელ დე ვერნეიმ ჟანგიანი ანჯამების ღრჭიალით გააღო კარი, ამიაკის

აუტანელი სუნი ეცა. გომურის ოთხფეხა ბინადრებს ჩლიქების ცემით ტიხარი დაენგრიათ, საცხოვრებლისგან რომ ყოფდა. ასე რომ, ფერმა, - და ეს ფერმა იყო, შიგნიდან უკეთესი არ იყო, ვიდრე გარედან. მადმუაზელ დე ვერნეი ფიქრობდა: ნუთუ ამ პირველყოფილ ჭუჭყში შეიძლება ადამიანი ცხოვრობდეს? და უცებ მის წინ აღმოჩნდა რვა-ცხრა წლის ბიჭი და მარიმ თვალი ვერ მოსწყვიტა: ქორფა, ყირმიზა სახე, მსუქანი ლოყები, ცოცხალი თვალები, კბილები სპილოს ძვლისა გეგონებოდათ და ნახევრად შიშველ მხრებზე დაყრილი აბურდული ქერა თმა. მის პატარა სხეულში ჩაბუდებული ძალა იგრძნობოდა, პოზა კი იმ ველურ მიამიტობას, მშვენიერ გაოცებას გამოხატავდა, რომლისგანაც ასე ფართოდ ახელენ ბავშვები თვალებს. ბიჭი გამაოგნებლად ლამაზი იყო.

- დედაშენი სად არის? - ალერსიანად ჰკითხა მარიმ, დაიხარა და თვალები დაუკოცნა.

კოცნა შეიფერა, გასრიალდა და ბორცვზე ნაკელის გროვას მოეფარა, სახლსა და ბილიკს შორის. სიტყვამ მოიტანა და დაასხი-კუტალი, სხვა მრავალი მხვნელ-მთესველის მსგავსად, იმ მხარეში მიწათმოქმედების თავისებური სისტემის თანახმად, ნაკელს ყოველთვის შემაღლებულ ადგილზე აგროვებდა და როცა ნიადაგის გასანაყოფიერებლად მისი გამოყენების დრო დგებოდა, წვიმას უკვე გამორეცხილი ჰქონდა ყველა სასარგებლო თვისება. რამდენიმე წუთი მარი ქოხის დიასახლისად დარჩა და სახლი - ერთადერთი ოთახი, სადაც ბარბეტას ელოდა, მიათვალიერ-მოათვალიერა. ყველაზე შესამჩნევი და დიდებული რამ ლურჯი გრანიტის ბალდახინიანი უზარმაზარი კერა იყო. ამ სახელწოდების ეტიმოლოგიას ადასტურებდა გრანიტის ფილიდან გადმოკიდებული ნახევარწრის ფორმის მწვანე სარჟის ნაჭერი, ნაპირზე მოვლებული ბაცი-მწვანე ლენტით. „ბალდახინის“ შუაში იდგა ღვთისმშობლის გაფერადებული თაბაშირის პატარა ქანდაკება. მადმუაზელ დე ვერნეიმ სტატუეტის ცოკოლზე ამოიკითხა ამ პროვინციაში ძალიან გავრცელებული სასულიერო ლექსის ორი სტრიქონი: მე ვარ დედა ღმერთისა, მფარველი ამ ადგილისა.

ღვთისმშობლის უკან სურათი ჩანდა - ლურჯი და წითელი ლაქებით ნათითხნი საშინელება. აკლდამის ფორმის საწოლს მწვა-ნე სარჟის მიჩიგდანი ეფარა. ბავშვის უშნოდ შეკრული,

ნაჩორკნი საწოლი, სართავი ჯარა, ტლანქი, ულაზათო სკამები, ამონაკვეთი, ჩუქურთმიანი, განიერი, დაბალი კარადა ცოტაოდენი ჭურჭლით - სულ ეს იყო ამ ქოხის მოწყობილობა. ფანჯარასთან წაბლის ხის გრძელი მაგიდა იდგა, იმავე ხის ორი მერხით. დაბურული პატარა მინებიდან შემოსული სინათლე ძველებური წითელი ხის ელფერს აძლევდა. კუთხეში იდგა უზარმაზარი კასრი, მის ქვეშ მადმუაზელ დე ვერნეიმ შეამჩნია მოყვითალო სიბინძურე, რომელსაც ნესტით ამოეჭამა იატაკი - თიხით შეწებებული გრანიტის ნაჭრები. როგორც ჩანს, ოჯახის უფროსს შუანური მეტსახელი დამსახურებულად ჰქონდა შერქმეული. მადმუაზელ დე ვერნეიმ თვალი აარიდა ამ უსახურ გარემოს და ზემოთ აიხედა. და მაშინ მოეჩვენა, რომ ჭერქვეშ მთელი მსოფლიოს ღამურებს მოეყარათ თავი - იმდენი მუქი აბლაბუდა იყო კოჭებიდან ჩამოკონწიალებული. გრძელ მაგიდაზე ორი უზარმაზარი სიდრით სავსე კუტალი იდგა. თიხის ასეთი ჭურჭელი საფრანგეთის ბევრ ოლქშია და პარიზელებისთვის ძნელი წარმოსადგენი არ არის. ისინი პირგანიერი ტოლჩებივით არის, რომლითაც გურმანებს სუფრაზე ბრეტონულ კარაქს მიართმევენ ხოლმე. მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ უფრო ღიპიანი, უსწორმასწოროდ მოჭიქული, მოწითალო ლაქებით ზღვის ზოგიერთი ნიჟარასავით მოელვარე. ასეთ კუტალს სატუჩეც აქვს, წყლიდან ჰაერის ჩასაყლაპად თავამოწეულ ბაყაყს რომ მოაგავს. მარის ყურადღება ამ ორმა კუტალმა მიიქცია, მაგრამ ბრძოლის ხმა ისე მკაფიოდ შემოესმა, რომ თვალის ცეცება დაიწყო, ბარბეტას მოსვლამდე დასამალი ადგილის საპოვნელად. ამ დროს დიასახლისიც მოვიდა.

- გამარჯობა, ყანჩა, - მიმართა მარიმ და ძლივს შეიკავა უნებური ღიმილი. ამ ქალს სახე საოცრად უგავდა ქვის ნიღაბს, არქიტექტურულ ორნამენტად რომ ათავსებენ ხოლმე ფანჯრის თაღის შუაში.

- აა! დ’ორჟემონისგან ხართ? - არც თუ ალერსიანად ჰკითხა ბარბეტამ.

- სად დამმალავთ? შუანები უკვე ახლოს არიან.

- იქ!.. - უთხრა იმ არსების სილამაზითა და უცნაური ჩაცმულობით გაკვირვებულმა ბარბეტამ, ვერაფრით რომ ვერ აკავშირებდა თავისი სქესის წარმომადგენლებთან, - აი, იქ, სამალავში.

მან მარი საწოლის თავთან მიიყვანა და საწოლსა და კედელს შორის დატოვებულ პატარა სივრცეში მოათავსა. მაგრამ უცებ ერთმანეთს გადახედეს, გაიგონეს ეზოში როგორ ჩახტა ვიღაც წუმპეში. ძლივს მოასწრო ბარბეტამ საწოლის ფარდის ჩამოფარება, მარიც ქვეშ მოაქცია და გამოქცეული შუანის პირისპირ აღმოჩნდა.

- აბა, აქ სად დავიმალო, ბებერო? გრაფი დე ბოვანი ვარ.

მადმუაზელ დე ვერნეი შეკრთა, იმ სტუმრის ხმა იცნო, ვისაც მისთვის გამოცანად დარჩენილი სიტყვები ეკუთვნოდა, ვივეტიერის ტრაგედია რომ გამოიწვიეს.

- საუბედუროდ, მონსენიორ, ხომ ხედავთ, აქ დასამალი ადგილი არ არის! უკეთესია, ეზოში გავალ და იქ დავიჭერ თვალყურს. ლურჯები თუ მოვლენ, გაგაგებინებთ. აქ რომ დავრჩე და იმათ გიპოვონ, სახლს გადაბუგავენ.

და ბარბეტა გავიდა. ვერ მოესაზრებინა, როგორ მოქცეულიყო ორი მტრის ინტერესების დასაცავად, ერთნაირი უფლება რომ ჰქონდათ აქ დამალვისა, რადგან ქმარმა უბრძანა ორმაგი თამაში.

- მხოლოდ ორი ჭურვი დაგრჩა! - სასოწარკვეთილმა ჩაილაპარაკა გრაფმა. - მაგრამ ლურჯები უკვე გაგცდნენ. ეე, არაფერია! ნუთუ უკან დაბრუნებისას, ჩემდა საუბედუროდ, ისევ ამ სახლთან ჩაივლიან და აზრად მოუვათ საწოლის ქვეშ შეხედვა?

დაუფიქრებლად მიაყუდა თოფი კუთხეში, სადაც მარი იდგა, სარჟის მწვანე ფარდაში შეხვეული. მერე დაიხარა, რომ ენახა, შეეტეოდა თუ არა საწოლის ქვეშ. უეჭველია, უნდა დაენახა მიყუჟული ქალის ფეხები, მაგრამ ამ სახიფათო მომენტში ქალმა ხელი სტაცა თოფს, გადახტა შუა ოთახში და დაუმიზნა გრაფს. მან იცნო ქალი და გადაიხარხარა. სამალავში შესვლისას, მარიმ მოიხადა ფართოფარფლებიანი შუანური ქუდი. მის ფაფუკ დალალებს მაქმანის შავი ბადე ვერ იჭერდა.

- ნუ იცინით, გრაფო, ჩემი ტყვე ხართ... გაინძრევით თუ არა, გაიგებთ, რა შეუძლია შეურაცხყოფილ ქალს, - სწორედ იმ წუთში, როცა გრაფი და მარი, თავიანთი აზრებით აფორიაქებულნი, დაჟინებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, კლდიდან ყვირილი შემოისმა.

- გადაარჩინეთ ვაჟკაცი! გაიფანტეთ! გადაარჩინეთ ვაჟკაცი! გაიფანტეთ!

ბარბეტას მჭექარე ხმა გაისმა, შეწყობილი ყვირილი რომ გადაფარა. ქოხში მომწყვდეული მტრები ყურს უგდებდნენ ძალიან განსხვავებული, მღელვარე გრძნობებით შეპყრობილნი. მშვენი-ვრად ხვდებოდნენ, რომ უფრო მათ გასაგონად ამბობდა, ვიდრე შვილის.

- შენ რა, ლურჯებს ვერ ხედავ? - გაბრაზებული ჭყიოდა ბარბეტა, - აქ მოდი, დაუდეგარო, თორემ მე თვითონ მოგათრევ! თუ გინდა, რომ ტყვია მოგხვდეს? აბა, ცოცხლად, გამოიქეცი!..

ამ დროს, ეს სწრაფმდინარი წვრილ-წვრილი ამბები რომ ხდებოდა, ეზოში საიდანღაც იფრინდა ჩამოხდა.

- იფრინდა!.. - დაუძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

იფრინდამ მოირბინა მის ხმაზე და უფრო მარჯვედ, მოსხეპილად დაუმიზნა გრაფს, ვიდრე მისმა მხსნელმა.

- არისტოკრატო, - დამცინავად მიმართა ქვეითმა, - არ გაინძრე, თორემ ბასტილიასავით ხელად მოგსპობ.

- იფრინდა, - ალერსიანად წაიღუღუნა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - ამ ტყვეზე თქვენ აგებთ პასუხს. რაც გინდათ, ქენით, ოღონდ ფუჟერში საღ-სალამათი უნდა მიიყვანოთ.

- გასაგებია, ქალიშვილო!

- ფუჟერის გზა უკვე თავისუფალია?

- თავისუფალია და სრულიად უსაფრთხო, თუ შუანები არ აღსდგებიან მკვდრეთით!

მადმუაზელ დე ვერნეი გრაფის მსუბუქ სანადირო თოფს დაეპატრონა და ირონიული ღიმილით უთხრა თავის ტყვეს: - მშვიდობით, გრაფო! არა, ნახვამდის! - დაიხურა თავისი ფართოფარფლებიანი ქუდი და სწრაფად გაუყვა ბილიკს.

- გვიან მივხვდი, რომ ღირსება და სახელდაკარგულ ქალს ღირსებაზე არ უნდა ეხუმრო, - მწარედ ჩაილაპარაკა გრაფმა დე ბოვანმა.

- არისტოკრატო, - კუშტად გასძახა იფრინდამ, თუ არ გინდა, თქვენს ყოფილ სამოთხეში გაგისტუმრო, ცუდის თქმა არ გაბედო ამ ლამაზ ქალბატონზე!

მადმუაზელ დე ვერნეი სენ-სიულპისის კლდეებისა და ეკლიანი ბუდის შემაერთებელი ბილიკებით გაემართა ქალაქისკენ. მივიდა იმ მაღლობამდე, სწრაფად გაიარა გრანიტის კლდეების შვერილებზე დაკლაკნილი გზა და აღფრთოვანებულმა თვალი ვერ მოსწყვიტა ნანსონის მშვენიერ ვიწრო ველს, სულ ახლახან ასეთ ხმაურიანს, ახლა კი სრულიად მშვიდსა და წყნარს. მთების სიმაღლიდან ეს ღარტაფი მწვანე ქუჩას ჰგავდა. გზამ მადმუაზელ დე ვერნეი სენ-ლეონარის კარიბჭესთან მიიყვანა და ფუჟერში შევიდა. ქალაქის მოსახლეობა ისევ ღელავდა, როგორ დამთვარდებოდა ბრძოლა, რომელიც, თუ კანტიკუნტი სროლებით იმსჯელებდით, შეიძლებოდა მთელი დღე გაგრძელებულიყო. კარიბჭესთან დიდი ჯგრო ელოდა ნაციონალური მეომრების დაბრუნებას, რომ გაეგოთ, როგორი იყო მსხვერპლი. მადმუაზელ დე ვერნეის უცნაურმა კოსტიუმმა, გაშლილმა თმამ, თოფმა, კირით გასვრილმა მიშხეფებულმა ტალახმა, ცვრისგან დანესტიანებულმა შალმა და კაბამ ფუჟერის მოსახლეობის ცნობისმოყვარეობა გამოიწვია, მით უმეტეს, რომ ქალაქში უკვე ლაპარაკობდნენ ამ პარიზელი ქალის ძალაუფლებაზე, სილამაზესა და უცნაურობაზე.

მთელი ღამე ელოდა ფრანსინი თავის ქალბატონს და ბოლოს და ბოლოს რომ დაინახა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მარიმ მეგობრული ჟესტით გააჩერა.

- ხომ ხედავ, ცოცხალი ვარ, ჩემო პატარავ, - უთხრა მარიმ, - პარიზიდან წამოსვლისას როგორ მინდოდა ფათერაკები!.. - და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა, - ახლა ყველაფერი გამოვცადე!..

ფრანსინი გასვლას აპირებდა, რათა საუზმე მოერთმიათ მისი ქალბატონისთვის, ალბათ ძალიან მოგშივდათო, უთხრა.

- ოო, აბაზანა, აბაზანა!.. პირველ რიგში, დაბანა მინდა! - შესძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ. ფრანსინს ძალიან გაუკვირდა, მისმა ქალბატონმა სამგზავრო სკივრით ჩამოტანილი სამოსიდან ყველაზე ელეგანტური ტანსაცმელი რომ მოითხოვა. საუზმის შემდეგ მარიმ საგულდაგულოდ დახვეწილად ჩაიცვა, ისეთი

მონდომებით, ქალი რომ მეჯლისზე წასასვლელად, საყვარელ მამაკაცთან შესახვედრად რომ იპრანჭება. ფრანსინს ვერაფრით აეხსნა თავისი ქალბატონის ირონიული მხიარულება. ეს სიყვარულის სიხარული არ იყო, - ქალები ამას უშეცდომოდ გამოიცნობენ სახის გამომეტყველებით, - რაღაც თავშეკავებული ღვარძლი, ნიშნის მოგება იყო, რაღაც ავისმომასწავებელი, არასასიკეთო. მარიმ თვითონ, საკუთარი ხელით გაასწორა ფარდები ფანჯრებზე, საიდანაც შესანიშნავი პანორამა იშლებოდა, მერე სავარძელი ისე მიიდგა ბუხართან, რომ შუქი სახეზე მოხვედროდა. ფრანსინს უბრძანა, ყვავილები ეშოვნა, უნდოდა, ოთახი საზეიმოდ ყოფილიყო მორთული. როცა მოიტანა, უთხრა, ლამაზად როგორ განელაგებინა, მერე ოთახს კმაყოფილი თვალი მოავლო და ფრანსინს მიმართა, ვინმე გაეგზავნა იულოსთან და მისი ტყვე მოეყვანათ. თვითონ სავარძელზე მიწვა დასასვენებლად და თანაც მიიღო პოზა, რომლითაც ხაზს გაუსვამდა გრაციასა და სისუსტეს, თვალწარმტაცად, მომაჯადოებლად რომ გამოსდის ზოგიერთ ქალს. ეს მაცდუნებელი პოზის მიბნედილი მინაზებულობა, კაბის ნაკეცებიდან ოდნავ გამოჩენილი ინტერესის აღმძვრელი პატარა ფეხი, მოღერებული ყელი, ბალიშზე დასვენებული ხელი, ლამაზი თლილი თითები, ჟასმინის მტევნის თეთრი ზანზალაკებივით ბალიშის ნაპირზე გადმოკიდული, - ყველაფერი ჰარმონიულად ეხამებოდა მისი თვალების გამომეტყველებას. ყველაფერი აცდუნებდა და სურვილებს აღძრავდა. ბრძანა, საკმეველიც მოეტანათ, ჰაერი ნაზი არომატით რომ გაჯერებულიყო, ასე რომ აღელვებს მამაკაცის გულს და არც თუ იშვიათად ამზადებს იმ გამარჯვებას, რომლის შეუმჩნეველად მოპოვებაც განუზრახავს ქალს. რამდენიმე წუთის შემდეგ საძინებლის მომიჯნავე სასტუმრო ოთახში ბებერი მებრძოლის მძიმე ფეხის ხმა გასმა.

- აბა, მეთაურო, სად არის ჩემი ტყვე?

- ამ წუთში ვბრძანე თორმეტკაციანი პიკეტის დაყენება იარაღით ხელში, დაჭერილი მტრის დასახვედრად.

- როგორ, თქვენ გაეცით განკარგულება ჩემს ტყვესთან დაკავშირებით? - წამოიძახა მარიმ, - მისმინეთ, სარდალო, თქვენი სახის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდ სიამოვნებას არ უნდა გგვრიდეთ ადამიანის მოკვლა ბრძოლის ველის გარეთ. ასე რომ, დამიბრუნეთ ჩემი შუანი. მისი სიკვდილის

გადავადებას ჩემს თავზე ვიღებ. გიცხადებთ, რომ ეგ არისტოკრატი აუცილებლად მჭირდება ჩვენი გეგმების განსახორციელებლად. და თანაც ამ მოყვარული შუანის დახვრეტა ისეთივე უაზრობაა, როგორც საჰაერო ბურთისთვის სროლა. საკმარისია, ქინძისთავი ჩაარჭოთ და - ჩვრად იქცევა. თუ ღმერთი გწამთ, ეგ სისასტიკეები არისტოკრატებს დაუტოვეთ. რესპუბლიკა დიდსულოვანი უნდა იყოს.განა არ მიუტევებდით კიბერონის მსხვერპლებს და მრავალ სხვას?.. აი, რა, თქვენი პიკეტი დაზვერვაზე გაუშვით, თქვენ კი, ჩემს ტყვესთან ერთად მოდით ჩემთან სადილად. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, ერთ საათში დაღამდება, - დაუმატა ცბიერი ღიმილით, - და თუ დააგვიანებთ, ჩემი მოკაზმულობის მთელი ეფექტი დაიკარგება.

- კი მაგრამ, მადმუაზელ, როგორ?.. - ჩაილაპარაკა გაოგნებულმა იულომ.

- აბა, კიდევ რა? ა, მესმის!.. ნუ გეშინიათ, გრაფი არსად წაგივათ. ადრე თუ გვიან, თქვენი თოფების ცეცხლი ფრთებს შეუტრუსავს ამ სქელ პეპელას.

იულომ ოდნავ აიჩეჩა მხრები იმ კაცივით, იძულებული რომ არის, უნდა თუ არა, დაემორჩილოს ლამაზი ქალის ახირებას და ნახევარი საათის შემდეგ გრაფ დე ბოვანთან ერთად დაბრუნდა.

მადმუაზელ დე ვერნეიმ თავი მოაჩვენა, თითქოს სტუმრები მოულოდნელად დაადგნენ თავზე, თითქოს ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, გრაფმა დაუდევრად წამოწოლილი რომ დაინახა, მაგრამ როგორც კი გრაფის თვალებში ამოიკითხა, რომ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა, ადგა და უზადო გრაციით, დახვეწილი თავაზიანობით მიიღო სტუმრები. მის ჟესტსა და პოზებში, ღიმილსა და სიარულში, ინტონაციაში - არაფერი იყო ყასიდი, დასწავლილი, არაფერი ამჟღავნებდა დამალულ ზრახვებსა და აზრებს. ყველაფერი ჰარმონიული იყო, ვულგარულობის ნასახიც კი არ ჩანდა არაფერში, რაიმე საეჭვოდ რომ სჩვენებოდათ. რომ ჰგონებოდათ, რომ ბაძავდა იმ საზოგადოების მანერებს, რომელსაც არ ეკუთვნოდა. როცა როიალისტი და რესპუბლიკელი დასხდნენ, ქალმა მკაცრად შეხედა გრაფს. დიდგვაროვანი ქალებს კარგად იცნობდა და იცოდა, რომ ამ ქალისთვის მიყენებული შეურაცხყოფა შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ასეთი

ვარაუდის მიუხედავად, არც განზრახ მხიარულება დასტყობია და არც გულისტკივილი; თავი იმ ადამიანივით ეჭირა, ასეთ სწრაფ კვანძის გახსნას რომ არ ელოდა. მალე სასაცილოდ მოეჩვენა, ასეთი ლამაზი ქალის საზოგადოებაში სიკვდილის შინებოდა და თანაც, მარის მკაცრმა გამომეტყველებამ სხვა აზრები აუშალა.

„აჰა! ვინ იცის, იქნებ გრაფის გვირგვინი უფრო ხიბლავს, ვიდრე ხელიდან გაშვებული მარკიზისა? მონტორანი ნაფოტივით გამხმარია, მე კი... - და კმაყოფილმა შეათვალიერა თავისი თავი, - ასეა თუ ისე, თავს მაინც გადავირჩენ!“

ეს დიპლომატიური მსჯელობები სრულიად უსარგებლოდ ეჩვენა. მოჩვენებითი გატაცება, გრაფს რომ უნდა განესახიერებინა, მოულოდნელად, ვნების მგზნებარე კაპრიზად შემოუბრუნდა და სახიფათო, მაცდუნებელი სიამოვნებით ეცადა, გაეღვივებინა იგი.

- გრაფო, - უთხრა მარიმ, - ჩემი ტყვე ხართ. უფლება მაქვს, ჩემს ხელთ იყოთ. თქვენი სიკვდილით დასჯას ჩემი თანხმობა სჭირდება... მაგრამ ძალიან ცნობისმოყვარე ვარ და ნებას არ მივცემ, ახლა დაგხვრიტონ.

- თუ გავჯიუტდები და არაფერს ვიტყვი? - მხიარულად ჰკითხა.

- წესიერ ქალთან ეგ შეიძლება, მაგრამ გომბიოსთან!.. კარგი ერთი, გრაფო, ეგ უაზრობაა.

მწარე ირონიით ნათქვამი ეს სიტყვები მარიმ წაისისინა, როგორც იულომ თქვა გრაფინია დე ბოფორზე ლაპარაკისას, და ისეთ ენამწარობას მოწმობდნენ, რომ გრაფმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაკვირვებით შეხედა თავის სასტიკ მოწინააღმდეგეს.

- მომისმინეთ, - დაუმატა დამცინავი ღიმილით, - თქვენი სიტყვები რომ არ დავარღვიო, კარგი გოგო ვიქნები, როგორც ყველა ეგ არსება. პირველ რიგში, აი, თქვენი თოფი... - და რბილად, ხუმრობანარევი ჟესტით მიართვა კარაბინი.

- აზნაურის პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მადმუაზელ, თქვენ ისე იქცევით...

- ოჰ! - შესძახა მარიმ და შეაწყვეტინა, - არ მჯერა მე აზნაურის პატიოსანი სიტყვის! ვენდე აზნაურს და ჩამოვედი ვივეტიერში.

თქვენმა წინამძღოლმა შემომფიცა, რომ მეც და ჩემი ხალხიც იქ უსაფრთხოდ ვიქნებოდით.

- რა უნამუსობაა! - შესძახა შუბლშეჭმუხნულმა იულომ.

- ამაში დამნაშავე გრაფია, - თქვა მარიმ და მიუთითა აზნაურზე, - ეჭვი არ მეპარება, ვაჟკაცს გულით უნდოდა, შეესრულებინა სიტყვა, მაგრამ გრფმა დე ბოვანმა ჩემზე რაღაც ცილისწამება გაავრცელა და კვერი დაუკრა „ფაშატ შარეტს“ ჩემზე სისაძაგლეები რომ თქვა...

- მადმუაზელ, - თქვა სრულიად შეცბუნებულმა გრაფმა, - ჯალათის ცულისაც არ შემეშინდება, დავამტკიცებ, რომ მხოლოდ სიმართლე ვთქვი.

- რა თქვით?

- რომ იყავით...

- თქვით, თქვით, ნუ გრცხვენიათ, რომ საყვარელი ვიყავი...

- დიახ, მარკიზის საყვარელი, ახლა კი ჰერცოგ დე ლენონკურისა, ერთ-ერთი ჩემი მეგობრის, - განაცხადა გრაფმა.

- ახლა კი მშვიდად შემეძლო თქვენი დასახვრეტად გაშვება, - წარმოთქვა მარიმ, სულაც რომ არ ეტყობოდა დარცხვენა, გრაფი კი გაოცებული იყო მისი მოჩვენებითი თუ ნამდვილი უზრუნველობით ასეთი ბრალდების შემდეგ, - მაგრამ, - სიცილით გააგრძელა მარიმ, - სამუდამოდ მოიშორეთ შავბნელი აზრები სასიკვდილო ტყვიის შესახებ, თქვენ მე უფრო მეტად არ შეურაცხმყავით, ვიდრე თქვენი მეგობარი, როცა განაცხადეთ, რომ მე ვიყავი მისი... ფუჰ! რა სისაძაგლეა!.. მისმინეთ, გრაფო, თქვენ განა არ ყოფილხართ მამაჩემის, ჰერცოგ დე ვერნეის სახლში?

რაკი უნდოდა, იულოს არ გაეგო ასეთი მნიშვნელოვანი აღიარება, რის თქმასაც აპირებდა, მადმუაზელ დე ვერნეიმ თავისკენ მოუხმო გრაფს და ყურში უთხრა რამდენიმე სიტყვა. ბატონ დე ბოვანს გაკვირვების ყრუ შეძახილი აღმოხდა და დაბნეულმა შეხედა მარის. მარი შეეცადა, გაეღრმავებინა გრაფში გაღვიძებული მოგონება, ბუხარს მიეყრდნო და გულუბრყვილობისა და ბავშვური უმანკოების პოზა მიიღო. გრაფმა მუხლი მოიყარა.

- მადმუაზელ, - შესძახა მან, - გემუდარებით, პატიება მიბოძეთ, თუმცა ღირსი არ ვარ.

- მე არაფერი მაქვს საპატიებელი. ახლა თქვენი სინანული ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც არ გქონდათ საბუთი, ვივეტიერში იმ თავხედური მტკიცებისა. ამის გაგება თქვენს შესაძლებლობებს აღემატება, ოღონდ, იცოდეთ, გრაფო, - მკაცრად დაუმატა მარიმ, - ჰერცოგ დე ვერნეის ქალიშვილი დიდსულოვანია და თქვენი ბედი ძლიერ აწუხებს.

- ასეთი შეურაცხყოფის შემდეგაც კი? - ჰკითხა გრაფმა რაღაცნაირი სიმწრის გრძნობით.

- ზოგიერთი ადამიანი ისე მაღლა დგას, რომ შეურაცხყოფა მათ ვერ შეეხება, მე ასეთ ხალხს მივეკუთვნები.

ქალიშვილმა ისეთი კეთილშობილებითა და სიამაყით თქვა ეს სიტყვები, რომ ტყვეს თავის მიმართ პატივისცემა აღუძრა, იულოსთვის კი მთელი ეს ინტრიგა უფრო ბუნდოვანი გახდა. მან ხელი ასწია, თითქოს ულვაშის გადაგრეხა უნდოდა, შეშფოთებით შეხედა მადმუაზელ დე ვერნეის, მან კი მჭევრმეტყველური ნიშნით მიახვედრა, რომ თავისი გეგმის ერთგული რჩებოდა.

- ახლა კი ვისაუბროთ, - თქვა მადმუაზელ დე ვერნეიმ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - ფრანსინ, გეთაყვა, მოიტანე სანთლები.

ძალიან ოსტატურად გადაიტანა ლაპარაკი იმ დროზე, სულ რამდენიმე წლის წინ რომ გახდა ძველი რეჟიმი. ცოცხალი შენიშვნებითა და დახასიათებებით შეეშველა გრაფს, წარსულში გადასულიყო და ისეთი დახვეწილი თავაზიანობით მიჰყავდა საუბარი და მიმართულებას აძლევდა მის რეპლიკებს, იმდენჯერ მისცა შემთხვევა, გონებამახვილურად ეპასუხა, რომ ბოლოს და ბოლოს დე ბოვანმა გადაწყვიტა, რომ ცხოვრებაში ასეთი სასიამოვნო მოსაუბრე არ ყოფილა. ამ დასკვნისგან გაახალგაზრდავდა და ეცადა, მომაჯადოებელი დიასახლისისთვის შთაეგონებინა ის დიდი წარმოდგენა, რაც თვითონ ჰქონდა თავის პერსონაზე. ცბიერმა ქალმა სიამოვნებით მოსინჯა კეკლუცობის ყველა ხერხი და განსაკუთრებული ოსტატობით აცდუნებდა, რადგან ეს მისთვის მხოლოდ თამაში იყო. ხან მზერით აძლევდა სწრაფი წარმატების იმედს, ხან, თითქოს ძლიერი გატაცების

შეეშინდაო, გულგრილი ხდებოდა, სულ უფრო მეტად ხიბლავდა გრაფს და ნელ-ნელა უღვივებდა ახლად ჩასახულ ვნებას. ზუსტად იმ მეთევზეს ჰგავდა, დროდადრო ანკესს რომ ამოიღებს ხოლმე, რომ ნახოს, თევზი ეგება თუ არა. გრაფი წამოეგო გულუბრყვილო სიამოვნების სატყუარას - მისმა მხსნელმა მოისმინა მისი ორი-სამი მოს-წრებული ქათინაური. ემიგრაცია, რესპუბლიკა, ბრეტანი, შუანები მისგან ათასი ლიეთი იყო დაშორებული. იულო გაჭიმული იჯდა, ღმერთ ტერმინუსივით...[13]

უტყვი, გაქვავებული, პირქუში, არასაკმარისი განათლების გამო, სრულებით არ შეეძლო მსგავსი საუბრის წარმოება. სრულიად დასაშვებად მიაჩნდა, რომ მოსაუბრენი რაღაცას ამბობდნენ, მაგრამ მთელი ძალა ჰქონდა მოკრებილი, რომ გაეგო, რას ამბობდნენ, გამოეცნო, მათ სიტყვებში რესპუბლიკის ღალატი ხომ არ იყო დაფარული.

- მადმუაზელ, - ამბობდა გრაფი, - მონტორანი ძველი გვარისაა, კარგად აღზრდილი, მაგრამ სულ არ არის გალანტური. მეტისმეტად ახალგაზრდაა, ვერსალი არ უნახავს და ამიტომ მისი აღზრდა არ არის დასრულებული. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ მოწინააღმდეგე გააშაოს, პირშავად გამოიყვანოს, მზად არის, დანით გაუსწორდეს. შეუძლება მგზნებარედ უყვარდეს, მაგრამ არასოდეს ექნება დახვეწილი სინატიფე ურთიერთობაში, ლოზენს, ადემარს, კუანინს და ბევრ სხვას რომ გამოარჩევდა. არა აქვს ნატიფი ხელოვნება, ქალებს სასიამოვნო სიტყვები უთხრას, რაც, ბოლოს და ბოლოს, მათ უფრო მეტად მოსწონთ, ვიდრე მგზნებარე გატაცება, ძალიან მალე რომ ღლით ხოლმე. დიახ, ის გულთამპყრობელების ჯიშისაა, მაგრამ არც მათი უზრუნველობა ახასიათებს და არც მათი გრაცია.

- შევამჩნიე, - დაეთანხმა მარი.

- „ოჰ, - გაიფიქრა გრაფმა, - როგორ თქვა და როგორ შემომხედა! დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ახლო ურთიერთობა გვექნება, და, ღმერთმანი, მისი რომ გავხდე, მზად ვარ, დავიჯერო ყველაფერი, რაშიც მოესურვება ჩემი დარწმუნება.“

სუფრა გაიშალა. გრაფმა ხელი შესთავაზა მარის, რომელიც დიასახლისის მოვალეობას დიდი თავაზიანობითა და ტაქტით ასრულებდა, რაც მხოლოდ აღზრდითა და კარზე ყოფნის

დახვეწილი ცხოვრებით მოიპოვება.

- ახლა წადით, - უთხრა იულოს მარიმ, სუფრიდან ადგომის შემდეგ, - თქვენი შეეშინდება, მე კი თუ მარტო დავრჩები მასთან, ყველაფერს გავიგებ, რის ცოდნაც მინდა. იმ მდგომარეობამდე მივიდა, როცა მამაკაცი ქალს ყველაფერს ეუბნება და ყველაფერს მისი თვალებით უყურებს.

- მერე? - ჰკითხა იულომ, აშკარად ეტყობოდა, ტყვის გადაცემის მოთხოვნას აპირებდა.

- ო! მერე თავისუფალი იქნება! - უპასუხა მარიმ, - ქარივით თავისუფალი.

- კი, მაგრამ, ხომ იარაღით ხელში დაიჭირეს!..

- არა, - შეესიტყვა მარი იმ სახუმარო სოფისტიკის მოშველიებით, რომელსაც ქალები მიმართავენ ხოლმე უდავო საბუთის გასაბათილებლად, - არა, მე განვაიარაღე.

- გრაფო, - უთხრა მარიმ ოთახში დაბრუნებისას, - თქვენ თავისუფლება მოიპოვეთ. ოღონდ სამსახურისთვის სამსახურს გთხოვთ, - დაუმატა, თავი ჩაღუნა, მერე ღიმილით შეხედა, თითქოს რაღაცის თხოვნას აპირებსო.

- რაც გნებავთ, მთხოვეთ, ყველაფერი, რაც მოგესურვებათ, ჩემი სახელი, ჩემი ღირსება, - შესძახა ექსტაზში შესულმა, - ყველაფერს ფეხქვეშ გაგიგებთ.

მიუახლოვდა ქალიშვილს და უნდოდა, ხელზე ხელი ეტაცა, უნდოდა, ეს სურვილი მადლიერების გამოხატულებად მიეღო. მაგრამ მადმუაზელ დე ვერნეის ადვილად ვერ მოატყუებდით. კეკლუცად გაუღიმა, იმედი რომ არ წაერთმია ახალი თაყვანისმცემლისთვის, მერე რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა და უთხრა: - ნუთუ გინდათ, რომ ვინანო თქვენდამი ნდობა?

- გოგონების წარმოსახვა, ეტყობა, უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე ქალების, - ღიმილით უპასუხა მან.

- გოგონამ შეიძლება მეტი დაკარგოს, ვიდრე ქალმა.

- ეგ მართალია! ფრთხილად უნდა იყოს, როცა განძის მფლობელია.

- ასეთ ლაპარაკს დავანებოთ თავი და სერიოზულად

ვილაპარაკოთ, - უთხრა მარიმ, - სენ-ჯემსში მეჯლისის გამართვას აპირებთ. ამბობენ, იქ საწყობები, არსენალი და თქვენი მთავრობების რეზიდენცია გაქვთ?

- ხვალ საღამოს.

- არ გაგიკვირდებათ, მესიე ბოვან, რომ ცილისწამების მსხვერპლ ქალს, ქალური შეუპოვრობით უნდა ბრწყინვალე ღირსების აღდგენა და იმ შეურაცხყოფის ჩამორეცხვა, მას რომ მიაყენეს, თანაც იმ ხალხის თანდასწრებით, ვინც მის შეურაცხყოფას შეესწრო. ამიტომ მინდა თქვენს მეჯლისზე მოხვვედრა. გთხოვთ, ჩემი დამცველი იყოთ, თქვენთან მოსვლის წუთიდან მანამ, სანამ თქვენგან წამოვალ... თქვენი პატიოსანი სიტყვა არ მჭირდება, - უთხრა მარიმ, რადგან შენიშნა, რომ გრაფმა გულზე დაიდო ხელი, - ფიცს ვერ ვიტან, გამაფრთხილებელი ზომების მიღებად მიმაჩნია. მხო-ლოდ მითხარით, რომ ვალდებულებას იღებთ, დამიცვათ დანაშაულებრივი თუ შეურაცხმყოფელი ხელყოფისაგან. დამპირდით, რომ თქვენს დანაშაულს გამოისყიდით, რომ გამოაცხადებთ, ნამდვილად ჰერცოგ დე ვერნეის ქალიშვილი რომ ვარ, ოღონდ ნურაფერს იტყვით იმ უბედურებასა და გაჭირვებაზე, უმამობამ რაც მაწვნია და ქვით ვიქნებით. მეჯლისზე ორი საათით ქალის მფარველობა განა მეტისმეტად დიდი გამოსასყიდია?.. ნამდვილად მეტი არ ღირხართ... არც ერთი ობოლი!

ამ ღიმილით გაუნელა ამ სიტყვების მთელი სიმწარე.

- და ჩემი თოფისთვის რას მოითხოვთ? - სიცილით ჰკითხა გრაფმა.

- მეტს, ვიდრე თქვენთვის.

- მაინც რას?

- მდუმარებას. დამიჯერეთ, ბოვან, ქალს მხოლოდ ქალი შეიცნობს. დარწმუნებლი ვარ, თუ სიტყვა დაგცდებათ, შეიძლება გზაშივე დავიღუპო. გუშინდელმა რამდენიმე ტყვიამ დამარწმუნა, რა საფრთხეს შეიძლება გადაეყარო გზაზე. ეგ ქალი გამოცდილი მონადირეა და არა ნაკლები მოახლე. არც ერთ მოახლეს არ გავუხდივარ ისე მარჯვედ, მან რომ მოახერხა. გეთაყვა, ეცადეთ, მსგავსი რამ არ მოხდეს მეჯლისზე...

- იქ მე დაგიცავთ, - ამაყად უთხრა გრაფმა, - მაშასადამე, სენ-ჯემსში მონტორანის გამო მოდიხართ? - ჰკითხა ნაღვლიანად.

- თქვენ იმაზე მეტის გაგება გინდათ, ვიდრე მე ვიცი, - სიცილით უთხრა მარიმ, - ახლა კი წადით, ქალაქიდან მე თვითონ გაგიყვანთ, აქ ხომ კანიბალებივით ებრძვით ერთმანეთს.

- ესე იგი, ოდნავ მაინც შეგტკივათ ჩემზე გული? - შესძახა გრაფმა, - ოჰ, მადმუაზელ! ნება მომეცით, იმედი მქონდეს, რომ ჩემი მეგობრობის მიმართ გულგრილი არ იქნებით, როგორც ჩანს, მხოლოდ ამ გრძნობით უნდა დავკმაყოფილდე, - დაუმატა ქარაფშუტულად.

- წინასწარმეტყველი ყოფილხართ! - მხიარულად უთხრა მარიმ, ისეთი სახით, ქალები რომ იღებენ ხოლმე, როცა რაღაცას აღიარებენ ღირსების შეუბღალავად და გულში დამალული საიდუმლოს გაცემაც არ უნდათ.

მერე ჩაიცვა ქურქი და ეკლიან ბუდემდე მიაცილა გრაფი.

- მესიე დე ბოვან, სიტყვა არავისთან დაგცდეთ, მარკიზთანაც კი, - და თითი მიიდო ტუჩებზე.

მადმუაზელ დე ვერნეის ალერსიანი შეხედვით გათამამებულმა გრაფმა ხელი ჩაჰკიდა და მარიმაც დიდსულოვნად დართო ნება. გრაფი ნაზად ეამბორა ხელზე.

- ო, მადმუაზელ, მიმსახურეთ, როგორც გენებოთ, სამუდამოდ თქვენი ვარ! - შესძახა გრაფმა, თავი სამშვიდობოს რომ იგრძნო, - და თუმცა თქვენგან არანაკლებ ვარ დავალებული, ვიდრე დედაჩემისგან, გამიჭირდება მხოლოდ მადლიერების გრძნობით დაკმაყოფილება, - და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს. მარიმ დაიცადა, სანამ სენ-სიულპისის კლდეზე ავიდოდა, კმაყოფილებით გადააქნია თავი და გაიფიქრა.

- ეს ღიპიანი მზად არის, სიცოხცხლის გადასარჩენად სიცოცხლეზე მეტი გაიღოს. არ გამიჭირდებოდა მაგისგან მორჩილი ქმნილება მიმეღო. ქმნილება თუ შემქმნელი - ეს განასხვავებს ერთ მამაკაცს მეორისაგან.

აზრის დამთავრება ვერ მოასწრო, სასოწარკვეთილი მზერა აღაპყრო ცისკენ და ნელი ნაბიჯით დაბრუნდა სენ-ლეონარის კარიბჭისკენ. იქ იულო და კორანტენი ელოდნენ.

- კიდევ ორი დღე! - შესძახა მარიმ, - და მაშინ... - გაჩუმდა კორანტენის დანახვაზე, - და მაშინ... თქვენი ტყვიისგან დაეცემა, - ჩასჩურჩულა იულოს.

იულომ უკან დაიხია და წარმოუდგენელი დაცინვით შეხედა ამ გოგონას: არც მანერებზე და არც სახეზე სინდისის ქენჯნა არ ეტყობოდა. ქალები შესანიშნავი თვისებით გამოირჩევიან, არ ლაპარაკობენ თავიანთ ყველაზე ცუდ ქცევებზე, როცა გრძნობით არიან შეპყრობილნი, მათ თვალთმაქცობაში, ფარისევლობაშიც კი არის რაღაც ბუნებრივი. მხოლოდ ქალს შეუძლია, ჩაიდინოს დანაშაული სიმდაბლის გარეშე. როგორც ყოველთვის, „არ იციან, ეს როგორ მოხდა“.

- მივდივარ სენ-ჯემსში მეჯლისზე, რომელსაც შუანები მართავენ...

- აქედან სენ-ჯემსამდე ხომ ხუთი ლიეა, - შეაწყვეტინა კორანტენმა, - გინდათ, გაგაცილებთ?

- არა, - უპასუხა მარიმ. - თქვენ ძალიან გაინტერესებთ ის, რაზეც მე არასოდეს ვფიქრობ... თქვენი პერსონა.

ის, რომ მარი აბუჩად იგდებდა კორანტენს, იულოს ძალიან მოსწონდა და როცა გოგონამ კარიბჭიდან სენ-ლეონარის ეკლესიისკენ გადაუხვია, სიამოვნებისაგან ჩვეული გრიმასა გამოესახა. კორანტენმა თვალით გააცილა ქალიშვილი და სახეზე ამოკითხავდით, რომ შეგნებული ჰქონდა საბედისწერო ძალაუფლება ამ მომაჯადოებელ არსებაზე. შესაძლებლად მიაჩნდა მისი დამორჩილება. მისი გრძნობების მართვა და ამ გზით ოდესმე მისი ხელში ჩაგდებაც კი. მადმუაზელ დე ვერნეი სახლში დაბრუნებისთანავე დაელაპარაკა ფრანსინს სამეჯლისო ტანსაცმლის შესახებ. მოახლე მიჩვეული იყო თავისი ქალბატონის მორჩილებას და არც უცდია, გაერკვია, რას აპირებდა. დიდხანს ეძება სკივრებში და ბერძნული ტუალეტი შესთავაზა. იმხანად ყველაფერში გაბატონებული იყო ბერძნული სტილი.

მარიმ მოიწონა არჩევანი: ჩაეტია მუყაოს პატარა, მსუბუქ ყუთში.

- ფრანსინ, ჩემო პატარა, მივდივარ. ტყე-ღრეში უნდა ვიარო. სახლში გინდა დარჩენა თუ ჩემთან ერთად წამოხვალ?

- დარჩენა! და თქვენ ვინღა მოგეხმარებათ ჩაცმაში?

- სად დადე ხელთათმანი, მე რომ მოგეცი?

- აი.

- მიაკერე მწვანე ლენტი; და, რაც მთავარია, ფული წამოიღე.

რომ შეამჩნია, ახლადგამოჭედილი მონეტები აიღო, მარიმ შეჰყვირა: - ეგღა გვაკლია! მაგისთვის დაგვხოცავენ! ჟერემი გააგზავნე, კორანტენი გააღვიძოს... არა, ეგ არამზადა კუდში გამოგვყვება. უკეთესია, გაგზავნე ჩემი სახელით, მეთაურს სთხოვე ექვსფრანკი-ანი რამდენიმე ეკიუ, - სუფთა ქალური საზრიანობით, არაფერი რომ არ გამორჩებათ ხოლმე, ყველაფერი გაითვალისწინა, სანამ ფრანსინი სამოგზაურო სამზადისს ამთავრებდა, სცადა, ბუს კივილისთვის მიებაძა და მალე უზადოდ შეძლო შუანების სიგნალის გამეორება. ქალაქიდან შუაღამისას, სენ-ლეონარის კარიბჭიდან გავიდა, მივიდა ბილიკამდე, ეკლიან ბუდემდე და ჟიბარის ღარტაფამდე თამამად წაუძღვა წინ თავის თანამგზავრს. მძიმე ნაბიჯით მიიწევდა წინ, რადგან მტკიცე ნებისყოფა სიმხნევეს ჰმატებდა, რაც სხეულსაც და სვლასაც სიმძლავრეს ანიჭებდა. მეჯლისიდან უკან დაბრუნებისას სურდოს გადაურჩე, ქალისთვის არ არის ადვილი საქმე, მაგრამ როცა მის გულში ვნება გიზგიზებს, სხეული თითქოს ბრინჯაოსი ხდება. მამაცი კაციც კი დაფიქრდებოდა ასეთი თამამი ნაბიჯის გადადგმამდე, მაგრამ როგორც კი მადმუაზელ დე ვერნეის გონებაში გაიელვა, საფრთხე სატყუარასავით გახდა.

- გზას გაუდექით და ღმერთისთვის შემწეობა არ გითხოვიათ, - უთხრა ფრანსინმა და სენ-ლეონარის სამრეკლოს გახედა.

ღვთისმოსავი ბრეტონელი ქალი გაჩერდა, ხელები შეატყუპა და ლოცვით მიმართა ანა ორეელს, შესთხოვა მოგზაურობის მშვიდობიანად დასრულება. მარი გაუნძრევლად იდგა და დაფიქრებული ხან თავისი მოახლის ალალმართალ სახეს უყურებდა, ხან მთვარის შუქის თამაშს, როცა ღრუბლიანი ციდან გამოსჭვიოდა, აღწევდა სამრეკლოს ჩრდილებში და გრანიტს ფილიგრანის სიმსუბუქეს აძლევდა.

მგზავრები მალე მივიდნენ დაასხი-კუტალის ქოხამდე, მსუბუქად მიაბიჯებდნენ, მაგრამ ხმაურმა ეზოში ძაღლი გააღვიძა, უზარმაზარი ქოფაკი, ისეთი, ბრეტონელები რომ

უბრალო რაზით ჩაკეტილი კარის დაცვას ანდობენ. ძაღლს უცხო სუნი ეცა, გამოვარდა და ისე ავად დაიწყო ყეფა, რომ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს და საშველად დაიძახეს, მაგრამ სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მადმუაზელ დე ვერნეიმ სიგნალი მისცა, ბუს კივილი გაისმა და მაშინვე გაიღრჭიალეს კარის ჟანგიანმა ანჯამებმა. გამოჩნდა ლოგინიდან წამომდგარი დაასხი-კუტალის კუშტი და ცბიერი სახე.

- საჩქაროდ უნდა წავიდე სენ ჯემსში, - უთხრა მარიმ და ფუჟერის მეთვალყურეს მარკიზ დე მონტორანის ხელთათმანი აჩვენა, - გრაფმა დე ბოვანმა მითხრა, შენ იქნები ჩემი მეგზური და დამცველი. ასე რომ, გენაცვა, გვიშოვე უნაგირიანი ორი ვირი და ჩვენს გასაცილებლად მოემზადე. დრო არ იცდის. ხვალ საღამოს თუ ვერ მოვხვდებით სენ-ჯემსში, ვერც ვაჟკაცს ვნახავთ და ვერც მეჯლისს.

- განცვიფრებულმა შუანმა აიღო ხელთათმანი, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აანთო ნეკის სიმსხო ფისის სანთელი, ფერით კვერს რომ წააგავდა. ასეთი სანთლები ბრეტანში ჩრდილოეთ ევროპიდან ჩამოაქვთ და როგორც ყველაფერი, რასაც ამ თავისებურ მხარეში შეხვდებით, ეს საქონელიც მოწმობს ვაჭრობის უმარტივესი საფუძვლების სრულ არცოდნას. დაასხი-კუტალმა ხელთათმანზე ლენტი შენიშნა, შეხედა მადმუაზელ დე ვერნეის, ყურს უკან მო-იქექა, კუტალი სიდრი გამოცალა, ერთი ჭიქა ულამაზეს სტუმარს შესთავაზა, მაგიდასთან, წაბლის ხის გაპრიალებულ მერხზე დასვა და ვირების საძებნელად წავიდა. ეგზოტიკური სანთლის მკრთალი მოიისფრო შუქი ვერ ჩრდილავდა მთვარის ციალს, ამ გამჭვარტლულ ქოხში ჩაშავებული ჭერისა და ავეჯის მუქ ტონებს ბრჭყვიალა ათინათებით ალამაზებდა. ბიჭმა ასწია ლამაზი, ხშირკულულებიანი თავი, მის ზემოთ კი გომურის ამოტეხილი კედლის ღიობში ძროხების ვარდისფერი დრუნჩები და ამომჯდარი ბრჭყვიალა თვალები ჩანდა. ძაღლი - გამოხედვა სულაც არ ჰქონდა უფრო უჭკუო, ვიდრე ამ ხალხს, თითქოს ათვალიერებდა უცნობ სტუმრებს, ისეთივე ინტერესით, როგორც ბიჭუნა. ფერმწერი დიდხანს ვერ მოსწყვეტდა თვალს ამ სურათის ღამეულ ეფექტებს. მარის სულაც არ უნდოდა ბარბეტასთან საუბარი, რომელიც მოჩვენებასავით წამოიმართა საწოლზე, თვალები გააჭყიტა და ამასწინანდელი სტუმარი იცნო; ყანჩის აუცილებელი შეკითხვების ასაცილებლად და ამ ბუნაგის სიმყრალისგან

თავის დასაღწევად, მარი ეზოში გავიდა, სწრაფად ავიდა კლდეში გამოკვეთილ კიბეზე. იმ კლდეში, რომელმაც დაასხი-კულტალის ქოხი შეიკედლა და მრავალფეროვანი ხედებით მოიხიბლა, ვინაიდან ყოველ ნაბიჯზე, ზემოთ, მაღლობისკენ, თუ ქვემოთ, ველისკენ ახალ-ახალი სურათი ეშლებოდა თვალწინ. მთვარის შუქი თხელი ნისლივით ბურავდა კუენონის ველს. არყოფილი სიყვარულით გულდამძიმებული ქალისთვის, ცხადია, ნეტარი იყო ის მელანქოლია, მთვარის მკრთალი შუქი, ფანტასტიკური მუქი კლდეები და წყალზე ფერადი ათინათები რომ აღვიძებდა სულში. ამ დროს სიჩუმე ვირის ყროყინმა დაარღვია. მარი საჩქაროდ ჩამოვიდა შუანის ქოხთან და გზას გაუდგნენ. ორლულიანი სანადირო თოფით შეიარაღებული და თხის ტყავით შემოსილი დაასხი-კუტალი რობინზონ კრუზოს ჰგავდა. ფერისმჭამელებიანი დანაოჭებული სახე ძლივს უჩანდა ფართოფარფლებიანი ქუდის ქვეშ, როგორსაც ბრეტონელი გლეხები ტრადიციულად დღემდე ატარებენ და ამაყობენ, რომ მრავალსაუკუნოვანი მონობის შემდეგ მოიპოვეს ფეოდალების ამ თავსაბურის ტარების უფლება. პატარა ღამეული ქარავანი, მეგზური რომ იცავდა, რომლის სამოსში მოძრაობასა და ფიგურაში იყო რაღაც პარტიარქალური, მოგაგონებდათ რემბრანდტის დაბინდული ფუნჯით შექმნილ „გაქცევა ეგვიპტეში“. დაასხი-კუტალი დიდ გზებს ერიდებოდა და უცნობი ქალები ბრეტანის გზების უსასრულო ლაბირინთებით ატარა.

მხოლოდ ახლა მიხვდა მადმუაზელ დე ვერნეი, რა იყო შუანების ომი. ვიწრო გზებით მიმავალს შეეძლო, სწორი წარმოდგენა შეექმნა იმ მხარეზე, რომელიც მთიდან გადმოხედვისას მომაჯადოებელი ეჩვენებოდა. მხოლოდ სიღრმეში შესვლისას შეიძლება მიხვდე, რა დაუძლეველი სიძნელეები და დაბრკოლებებია იქ ჩაბუდებული. უხსოვარი დროიდან გლეხის ყოველი მინდორი შემოფარგლულია პრიზმის ფორმის, ექვსი ფუტის სიმაღლის მიწა-ყრილით, რომლის თხემზეც წაბლის ხეები, წიფლები და მუხებია დარგული (როგორც ნორმანდიაში). ხეების გრძელი ტოტები გზის აქეთ-იქიდან იხლართება ერთმანეთში და უზარმაზარ თაღს ქმნიან. თიხნარი მიწის კედლებს შორის პირქუშად მომწყვდეული გზები ციხე-სიმაგრის თხრილებს წააგავს და თუ გრანიტი, რომელიც თითქმის ყველგან მიწის ზედაპირზეა ამოსულიო, არ ქმნის გზაზე ოღროჩოღრო ბუნებრივ

ქვაფენილს, გზები დაფარულია ისეთი გაუვალი ტალახით, რომ ყველაზე პატარა საზიდარსაც კი მყევარი ხარ-კამეჩი ან ადგილობრივი ჯიშის ორი ძლიერი ცხენი სჭირდება გასათრევად. საფლობი ტალახი ამ გზებზე ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ თავისთავად ჩამოყალიბდა ჩვეულება, ფეხით მოსიარულეებისთვის მიწაყრილის გასწვრივ, მინდორში გაეტკეპნათ ბილიკი, რომელსაც ნაკერო შეარქვეს, იწყება და მთავრდება ყოვერ ნაკვეთში. ერთი მინდვრიდან მეორესთან მისასვლელად ხშირად რამდენიმე საფეხურია ამოსასვლელი მიწაყრილზე.

ჩვენს მოგზაურებს ამ მიხვეულ-მოხვეულ გზებზე ბევრი სხვა დაბრკოლების გადალახვაც მოუხდათ. ყოველი სახნავ-სათესი ნაკვეთი გარშემორტყმულია მიწის სიმაგრით, შესასვლელი აქვს დაახლოებით ათი ფუტი სიგანისა და ეს შესასვლელი იკეტება ნაგებობით, რომელსაც საფრანგეთის დასავლეთ ნაწილში კუტიკარს ეძახიან. „კუტიკარი“ მორია ან ძელი, სქელი ტოტი, ერთ ბოლოში გახვრეტილი და წამოცმული გაუთლელ დაბალ ნამორზე, ღერძს რომ წარმოადგენს. ღერძს იქით გადაცდენილ ბოლოზე საპირწონედ მიმაგრებულია საკმაოდ მძიმე ქვა და პატარა ბავშვსაც კი შეუძლია გააღოს ეს ორიგინალური საველე შლაგბაუმი, რომლის მეორე ბოლოც ებჯინება მიწის კედელში ამონაჭერს. ზოგჯერ, საპირწონე ქვის ნაცვლად, ასეთი საკეტისთვის იღებენ მსხვილძირიან მორს, მოკლედ ასეთი საკეტის დეტალები იცვლება მინდვრის პატრონის ფანტაზიის მიხედვით. ზოგჯერ ზღუდე შედგება მხოლოდ ერთი ძელისგან, რომლის ორივე ბოლო თიხით ჩაგლესლია მიწაყრილში. ზოგჯერ ერთნაირი მანძილით დაშორებული ჯოხებისგან შეკრულ კვადრატულ ჭიშკარს ჰგავს. ეს ჭიშკარი ისევე იღება, როგორც ჩვეულებრივი ზღუდე. საგორავებლად მთლიანი ხის პატარა ბორბალი აქვს. ყველა ეს ღობე, ჭიშკარი იმ მხარეს უზარმაზარ ჭადრაკის დაფას ამსგავსებს, სადაც ყოველი მინდორი სრულიად იზოლირებული უჯრაა, სიმაგრესავით ჩაკეტილი და მიწაყრილებით დაცული. ადვილად დასაცავი შესასვლელები თავდამსხმელებისთვის ძალიან საშიში დაბრკოლებაა. ბრეტონელი გლეხი თვლის, რომ მიწის ანეულად დატოვებისას მის ნაყოფიერებას ზრდის, მიუშვებს კურდღლისცოცხას უზარმაზარ ბუჩქებს და ისე უვლის, რომ მალე ბუჩქები ადამიანის სიმაღლე იზრდება. ასეთი ცრუ აზრი სწორედ იმ

ხალხის შესაფერისია, ნაკელს ეზოში ყველაზე მაღალ ადგილზე რომ აგროვებენ და იწვევს იმას, რომ სახნავ-სათესი მიწის მეხუთედი დაფარულია კურდღლისცოცხას ხშირი ბუჩქნარით, სადაც მრავალი საფარის მოწყობა შეიძლება. დაბოლოს, სიდრის ამ მოყვარულებს ერთი მინდორიც კი არ აქვთ, რომ არ იყოს რამდნიმე ძველი ვაშლის ხე, რომლის სიმძიმისგან დახრილი ტოტებიც დამღუპველია ყველანაირი მარცვლოვანი მცენარისთვის, რაც იმ მიწაზე მოჰყავთ. თუ იმასაც გაიხსენებთ, რა პატარა ყანები აქვთ, როგორი მაღალი, ხშირი ხეებია მათ ირგვლივ მიწაყრილებზე, ყოველი ნაკრეფის მეოთხედს რომ ეპატრონება ხარბი ფესვებით, წარმოდგენა შეგექმნებათ სოფლის მეურნეობაზე და ადგილზეც, სადაც იმ ღამეს გაიარა მადმუაზელ დე ვერნეიმ.

ძნელი სათქმელია, რამ ჩააგონა გლეხებს, გაეკეთებინათ ასეთი სერიოზული ზღუდეები - ეს უთვალავი დაბკოლება, რის გამოც მხარე მიუვალი იყო და ომი წარმოუდგენელი. შეიძლება ამის მიზეზი მიწაზე დავის თავიდან აცილება იყო, ან იქნებ - ძალიან მოსახერხებელი გადაწყვეტილება ზარმაცებისთვის - საქონელი ჩაკეტილი ჰყოლოდათ, რომ საძოვარზე სადარაჯო არ ყოფილიყო, მაგრამ ასე თუ ისე ნაბიჯ-ნაბიჯ რომ შეისწავლონ იქაურობა, გასაგები გახდება ამბოხებულებთან რეგულარული ჯარის ბრძოლის წარუმატებლობის აუცილებლობა. აქ ხუთასი ადამიანი შეიძლება მთელი სამეფოს ჯარს გაუმკლავდეს. სწორედ ეს იყო შუანების ტაქტიკის საიდუმლო. და მადმუაზელ დე ვერნეი მიხვდა, რატომ იყო რესპუბლიკა იძულებული, ამბოხება უფრო პოლიტიკური მეთოდებით და დიპლომატიით ჩაეხშო, ვიდრე სამხედრო ძალის უნაყოფო გამოყენებით. მართლაც, რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც ჭკუა ეყო, რომ უარი ეთქვა ქალაქების დაპყრობაზე, მაგრამ გაინაღდეს ბატონობა უმაგრესი ზღუდეებით გარშემორტყმულ მინდვრებზე. როგორ არ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები მტერთან, თუ ამ დაბრმავებული გლეხების მთელი ძალა დახელოვნებული და ყოჩაღი ბელადი იყო?.. მარი აღფრთოვანდა იმ მინისტრის გამჭრიახობით, თავისი კაბინეტიდან რომ გამოიცნო ამ მხრის ამბოხებულთა დაშოშმინების საიდუმლო. მარის მოეჩვენა რომ გაიგო, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ ადამიანები, ასეთი მძლავრები, რომ შეუძლიათ, ერთი თვალი მოავლონ მთელ სახელმწიფოს, ხალხი, რომელთა ქმედება ხალხის

თვალში დანაშაულებრივი, ბუმბერაზული აზრის თამაშია მხოლოდ. ამ მრისხანე სულებს თითქოს გააჩნიათ რაღაც წილი ბედისა და ბედისწერის ძალისა, წინასწარჭვრეტის ნიჭი, რომლის აქა-იქ გამოვლინება ძალიან აღამაღლებს მათ: ბრბო ამ წუთას აქ, თავის გვერდით ეძებდა მათ, ახლა კი აიხედეს ზემოთ და ხედავენ, რომ ჰაერში ფრენენ. ასეთი აზრები თითქოსდა ამართლებდნენ, აკეთილშობილებდნენ კიდევაც მადმუაზელ დე ვერნეის შურისმაძიებლურ ზრახვებს, სულის შინაგანი რუდუნება და ჩასახული იმედი აძლიერებდნენ მას, შველოდნენ უჩვეულო და დამქანცველი მოგზაურობისას, ყოველი სამემკვიდრეო ნაკვეთის ბოლოში დაასხი-კუტალი ორივე მხედარს სთავაზობდა, ჩამოქვეითებულიყვნენ და ციცაბო აღმართზე აბობღებაში ეხმარებოდა და როცა მინდვრის ნაკერი წყდებოდა, ისევ ამხედრებულიყვნენ თავიანთ სახედრებზე და შარაგზებით ევლოთ, სადაც გასქელებული ტალახი მტრის მოახლოებას ამცნობდა. დიდი ხეები, მაღალი მიწაყრილებიდან გზის ღრმა თხრილები ხევში ნესტს აბუდებდნენ, დროდადრო ყინულოვან საბურველში ხვევდა ჩვენს მგზავრებს. არაქათგამოცლილებმა განთიადამდე მიაღწიეს მარინეის ტყეებს. ტყის ბილიკით სიარული უფრო ადვილი იყო, გადახლართული ტოტების თაღი და დიდი ხეების კანები იცავდნენ ცის წყრომისაგან, ყველა ის უთვალავი დაბრკოლებაც გაქრა, აქამდე რომ უხდებოდათ გადალახვა.

ტყეში ერთი ლიეც არ ექნებოდათ გავლილი, შორიდან რომ ხმების ბუნდოვანი გუგუნი და ზანზალაკის წკრიალი მოესმათ, ოღონდ ეს წკრიალი მონოტონურად წყვეტილი არ იყო, ნახირი რომ ჰგონებოდათ. დაასხი-კუტალმა გაფაციცებით მიუგდო ყური ამ მელოდიას. უცებ ქარის მოტანილი საეკლესიო გალობის რამდენიმე სიტყვა გაიგო. როგორც ჩანს, ამ ჰანგმა ისე ძალიან იმოქმედა მასზე, რომ მადმუაზელ დე ვერნეის წინააღმდეგობის მიუხედავად, დაღლილი ვირები სენ-ჯემსის გზიდან სხვა მხარეს მიმავალ ბილიკზე გადაიყვანა. ახალმა პირქუშმა პეიზაჟმა მადმუაზელ დე ვერნეის შიში კიდევ უფრო გააძლიერა. ბილიკის ორივე მხარეს ფანტასტიკური მოხაზულობის გრანიტის კლდეები ერთმანეთზე იყო აყორებული. უზარმაზარი ლოდების ნახეთქებიდან სქელი გველებივით მოიკლაკნებოდა საუკუნოვანი წიფლების ფესვები, სადღაც შორიდან რომ წოვდნენ მაცოცხლებელ წვენს. გზა, გეგონებოდათ, სტალაქტიტებით განთქმულ ორ

მიწისქვეშა მღვიმეს შორის მიდიოდა. ამ ვიწრო ბილიკით რამდენიმე ნაბიჯის გავლისთანავე მადმუაზელ დე ვერნეის თვალწინ საუცხოო სანახაობა გადაიშალა, რამაც გასაგები გახადა დაასხი-კუტალის სიჯიუტე.

ნახევარწის ფორმის ქვაბულში ტლანქი საფეხურებივით ჩანდა ამფითეატრად განლაგებული კლდის შვერილები, რომლებზედაც მწკრივ-მწკრივად იყო განლაგებული წერწეტი შავი ნაძვები და შეყვითლებული წაბლები. ეს ადგილი გიგანტურ ცირკს მოგაგონებდათ, რომლის არენეზეც ზამთრის მზე თითქოსდა უფრო ღვრიდა ბაც ფერებს, ვიდრე თავისი სხივების სინათლეს, სადაც შემოდგომას ყველგან გაეფინა ხმელი ფოთლების მოწითალო ხალიჩები. ამ დარბაზის შუაგულში, რომლის მშენებელიც თითქოს მსოფლიოს წარღვნა იყო, სამი უზარმაზარი დრუიდული ქვა იდო - ვრცელი საკურთხეველი ზეაღმართული ძველი საეკლესიო ალმით. ასამდე მუხლმოდრეკილი თავშიშველი მამაკაცი ლოცულობდა მთის ამ საფარში, სადაც რექტორი და ორი ქორეპისკოპოსი მესას აღავლენდნენ. მღვდლის ღარიბული სამოსი, მისი სუსტი ხმა, ამ დიდ სივრცეში ყრუდ დრტვინვასავით რომ ისმოდა, ერთი გრძნობით გაერთიანებული, ღრმად მორწმუნე ყოველგვარ დიდებულებას, დიდ მშვენიერებას მოკლებული საკურთხევლის წინ დამხობილი ხალხი, ტლანქი, უბრალო ჯვარი, ტაძრის ველური ძლიერება, დრო, ადგილი - ეს ყველაფერი ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს რომ გამოარჩევდა, ისეთ სისადავეს ანიჭებდა სცენას. მადმუაზელ დე ვერნეი მოხიბლული გაშეშდა. უღრან ტყეში ეს მესა, დევნის გამო პირველ ნაყოფს დაბრუნებული, უცნაურ, ფანტასტიკურ ბუნებაში თამამად აღორძინებული ძველი დროის პოეზია, ეს შუანები - შეიარაღებული და უიარაღო, სასტიკები და მლოცველები, მებრძოლები და ბავშვები - ეს ყველაფერი არაფრით ჰგავდა არც ერთ სანახაობას, თვალით რომ ენახა ან წარმოედგინა! მშვენივრად ახსოვდა, ბავშვობაში როგორ აღაფრთოვანებდა რომაული ეკლესიის ღვთისმსახურება, ასე რომ იპყრობდა გრძნობებს, მაგრამ აქამდე არ ენახა, არ იცოდა ღმერთი, ღმერთი შეულამაზებელი: ჯვარი საკურთხეველზე, საკურთხეველი მიწაზე, ტაძრების გოთური თაღების ქვაში კვეთილი ფოთლების ნაცვლად ცას შეყენებული უზარმაზარი ხეების შემოდგომის ფოთ-ლები, ვიტრაჟების ფერადი მინების უამრავი ფერადი ათინათის ნაცვლად მზის პირველი

მოწითალო სხივები, მკრთალ ანარეკლად რომ დასრიალებენ საკურთხეველზე, მღვდლებზე და მლოცველებზე. ხალხის თავყრილობა ფაქტი იყო და არა სისტემა. ლოცვა იყო და არა რელიგია. ადამიანების წამით დათრგუნული ვნებები, იდუმალი სურათის ჰარმონიას რომ არღვევდა, უცებ გაცოცხლდნენ და აბობოქრდნენ სცენაზე.

მადმუაზელ დე ვერნეი რომ გამოჩნდა, სახარების კითხვა დამთავრდა. მღვდელში ერთგვარი შიშით ამოიცნო აბატი გიუდენი და საჩქაროდ დაიმალა გრანიტის კლდის უზარმაზარი ნატეხის უკან. ფრანსინიც სასწრაფოდ წაათრია. მაგრამ ამაოდ ცდილობდა დაასხი-კუტალი წაეყვანა იმ ადგილიდან, ღვთისმსახურების ცერემონიაში მონაწილეობისთვის რომ აირჩია. მარის იმედი ჰქონდა, რომ საფრთხეს აიცილებდა, შეამჩნია, რომ ადგილმდებარეობა საშუალებას მისცემდა, შეუმჩნევლად გაპარულიყო. გრანიტის განიერი ნაპრალიდან დაინახა, როგორ ავიდა აბატი გიუდენი დიდ ლოდზე, ეკლესიის კათედრის მაგივრობას რომ გაუწევდა და წირვა დაიწყო.

- In nomine Patris et Filii et Spiritus Sankti...[14]

ამ სიტყვებზე ყველამ მოწიწებით გადაისახა პირჯვარი.

- ძვირფასო ძმებო, - ხმამაღლა თქვა აბატმა, - ჯერ განსვენებულთათვის ვილოცოთ, მოვიგონოთ ჟან კოშე გრიუ, ნიკოლა ლაფერტე, ჟოზეფ ბრუე, ფრანსუა პარკუეა, სუპის კუპიო. ყველა ჩვენი მრევლის წევრი იყო. და ყველა პელერინთან ბრძოლაში ან ფუჟერის ალყის დროს მიღებული ჭრილობებით დაიღუპა...

სინანულის ლოცვას, როგორც წესია, რიგრიგობით კითხულობდნენ ეკლესიის მსახურნი და მლოცველები და ყოველ მუხლს დიდი გულმოდგინებით წარმოთქვამდნენ, რაც ლოცვის წარმა-ტების მაუწყებლად მიაჩნდათ. როცა ფსალმუნი ჩაათავეს, აბატი გიუდენი ისევ ალაპარაკდა, მისი ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა: ყოფილმა იეზუიტმა იცოდა, რომ მეტყველების გულმხურვალე მგზნებარება მისი ველური მსმენელებისთვის ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი იყო.

- ქრისტიანებო! ღვთის ამ დამცველებმა ვალის მოხდის მაგალითი გაჩვენეს. არ გრცხვენიათ? რას იტყვიან თქვენზე სამოთხეში? რომ არა ეს ხალხი, რომელთაც სამუდამო

სასუფეველი ელით და რომელთაც წმინდანები სულითა და გულით შეხვდებიან, უფალს ეგონება, რომ ჩვენს მრევლში ურჯულოები არიან. იცით თუ არა, ვაჟკაცებო, თქვენზე ბრეტანში და მეფესთან რას ლაპარაკობენ?.. არ იცით? მართლა? მაშინ გეტყვით: „როგორ, ლურჯებმა დაამხეს საკურთხევლები, დახოცეს რექტორები, სიკვვდილით დასაჯეს მეფე და დედოფალი, ბრეტანიდან ყველა ვაჟკაცის წაყვანა უნდათ და თავისნაირ ლურჯებად უნდათ აქციონ, გააგზავნონ საკუთარი სამრეკლოდან სხვა მხარეში საბრძოლველად, სადაც შეიძლება დაიხოცონ მოუნანიებლად და სამუდამოდ ჯოჯოხეთში მოხვდებიან. მარინეის მრევლს დაუწვეს ეკლესია - მათ კი ხელები ჩამოუშვეს! ო! წყეულმა რესპუბლიკამ საჯარო ვაჭრობით გაყიდა ღმერთის ქონება და სენიორების მიწები, ფული ლურჯებს გაუნაწილა მერე, ჩვენი ფულით რომ იკვებოს, როგორც ახლა ჩვენს სისხლს სვამს. გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც ყოველი ექვსფრანკიანი ეკიუდან სამი ფრანკი უნდა აიღოს, ყოველი ექვსი კაციდან სამი უნდა წაიყვანოს ჯარში - მარინეის სამრევლოს ვაჟკაცებმა ხელი ხმალს არ იკრეს, რომ გაყარონ ისინი ბრეტანიდან! ოჰ! ოჰ! მათ სამოთხეში არ შეუშვებენ და სულის ცხონებასაც ვერასოდეს მოიპოვებენ!“ აი, ამას ლაპარაკობენ თქვენზე, ქრისტიანებო, ლაპარაკი სამუდამო ნეტარებაზეა, როგორ გინდათ მოიპოვოთ? იბრძოლეთ რწმენისა და მეფისათვის! გუშინწინ, დღის სამის ნახევარზე თვით წმინდა ანა ორეელი გამომეცხადა. აი, ისე მითხრა, როგორც ახლა გელაპარაკებით: „შენ მარინეის მრევლის მღვდელი ხარ?“ „დიახ, ჩემო ქალბატონო, თქვენს სამსახურში მიგულეთ!“ - „მაშ ასე, მე წმინდა ანა ორეელი ვარ, ღმერთს დეიდად ვერგები, ბრეტონულად, ყოველთვის ორეიში ვარ, აქ კი იმისთვის მოვედი, რომ შენს მარინეის ვაჟკაცებს ვუთხრა: საკუთარი სულის ხსნის იმედი ნუ ექნებათ, სანამ იარაღს არ აიღებენ ხელში. ცოდვებს ნუ შეუნდობ, სანამ ღმერთის სამსახურში არ ჩადგებიან. და როცა ასე გააკეთებენ, უკურთხე თოფები და ის ვაჟკაცები, რომლებსაც ცოდვებს შეუნდობ, ლურჯებს არ ააცდენენ, რადგან მათი თოფები ნაკურთხი იქნება... და გაქრა. მუხის ქვეშ კი საკმევლის სუნი დარჩა. ეგ ადგილი შემჩნეული მაქვს. სენ-ჯემსის რექტორმა იქ ხის ლამაზი ღვთისმშობელი დადგა. საღამოს იქ პიერ ლეუას დედა მილასლასდა, თქვა იარე-მიწაზემ. და ღმერთმა განკურნა რევმატიზმისგან ხეობაში შვილის კეთილი საქმეების გამო. აი, ეს ქალი, თქვენი თვალით ნახეთ, რომ თვითონ დადის

დაუხმარებ-ლად. სასწაული! ისეთივე სასწაულია, როგორიც ნეტარი მარი ლანბრეკენის მკვდრეთით აღდგომაა, ღმერთმა ეს სასწაული მოახდინა, რომ უჩვენოს, თავის ბრეტონელებს არასოდეს მიატოვებს, თუ იბრძოლებენ ღვთისმსახურებისა და მეფისათვის. მაშ, ჩემო ძვირფასო ძმებო, თუ გინდათ ხსნა და მეფის დამცველად ყოფნა, ჩვენი მიწიერი ბრძანებლისა, უნდა დაემორჩილოთ ყველაფერში ადამიანს, რომელიც მეფემ გამოგიგზავნათ და რომელსაც ვაჟკაცი დავარქვით. მაშინ თქვენ უკვე ურჯულოები აღარ იქნებით, არამედ ბრეტანის სხვა ვაჟკაცებთან ერთად, ღვთის დროშის ქვეშ დადგებით და მაშინ შეგეძლებათ ლურჯების ჯიბეებიდან იმ ფულის ამოღება, თქვენ რომ მოგპარეს, ვინაიდან სანამ თქვენ იბრძვით, თქვენი ყანები დაუთესავი რჩება და ამიტომ ღმერთი და მეფე მტრების დახოცვის ნებას გაძლევენ. ქრისტიანებო, ნუთუ გინდათ, ხალხი ალაპარაკოთ, რომ მარინეელი ვაჟკაცები ჩამორჩნენ მორბიგანის წმინდა გიორგის, ვიტრეს ან ანტრენის სამრევლოების ვაჟკაცებს, ისინი კი ყველანი აღდგნენ ღმერთისა და მეფის სამსახურად. თუ გინდათ, მთელი ალაფი მათ მისცეთ? თუ ერეტიკოსებივით გულხელდაკრეფილები ისხდებით, როცა ამდენი ბრეტონელი ცდილობს, მოიპოვოს სულის ცხონება და დაიცვას მეფე? „თქვენ ყველაფერს მიატოვებთ ჩემ გამო“. სახარებაში ჩვენ, მღვდლებმა განა უარი არ ვთქვით დესეტინაზე? მიატოვეთ ყველაფერი და ჩაებით საღმრთო ომში და მაშინ ყველაფერი გეპატიებათ. თქვენ გვერდით იქნებიან მაშინ თქვენი რექტორები და სხვა მღვდლები და თქვენც გაიმარჯვებთ! გახსოვდეთ, ქრისტიანებო, რომ მხოლოდ დღეს გვაქვს ძალაუფლება, ვაკურთხოთ თქვენი თოფები. ვინც ამ მადლით არ ისარგებლებს, მის მიმართ ანა ორეელი ისეთივე გულმოწყალე ვერ იქნება, როგორც წინა ომში და მათ ვედრებას ყურს არ მიუგდებს.

ქადაგების პათეტიკურმა ტონმა, მგრგვინავმა ხმამ და ჟესტიკულაციამ, რომლისგანაც ორატორი ოფლად დაიღვარა, ეტყობა, დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა: გლეხები უძრავად იდგნენ, ქან-დაკებებივით მქადაგებელზე თვალმიშტერებულები, მაგრამ მალე მადმუაზელ დე ვერნეიმ შეამჩნია, რომ ეს ყველასთვის საერთო პოზა ერთგვარი მაგნეტიზმით იყო გამოწვეული. აბატმა ბრბო მოაჯადოვა, დიდი მსახიობების მსგავსად, მან აიყვანა თავისი სამწყსო,

რომელიც შენივთდა, რადგან იგი შეეხო მის ვნებასა და პატივმოყვარეობას. წინასწარ შეუნდო ყველა უკიდურესობა, უხსნიდა ერთადერთ ბორკილებს, რომლებიც აკავებდა ამ ხეპრეებს და აიძულებდა, დაეცვათ რელიგიისა და საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნები, პოლიტიკური ინტერესებისთვის მან შეიბღალა ღირსება მღვდელმსახურისა. მაგრამ იმ რევოლუციურ დროს ყველა, თავისი პარტიის სასარგებლოდ, იარაღად აქცევდა ყველაფერს, რაც გააჩნდა. იესოს მშვიდობიანი ჯვარიც კი ომის იარაღად იქცეოდა, ისევე როგორც მარჩენალი გუთნის სახნისი. რაკი ირგვლივ არავინ ჰყავდა, მისი აზრები რომ გაეგო, მადმუაზელ დე ვერნეი შეტრიალდა ფრანსინისთვის შესახედად და ძალიან გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ გოგონა საერთო ენთუზიაზმს ინაწილებდა: კრძალვით ლოცულობდა.

- ფრანსინ, - წასჩურჩულა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - მაშ, შენც გეშინია ურჯულო არ გახდე?

- ოო, მადმუაზელ, - უპასუხა ბრეტონელმა გოგონამ, - შეხედეთ, პიერის დედა დადის!

ფრანსინის სახე და პოზა ისეთ ღრმა რწმენას გამოხატავდა, რომ მარიმ გაიგო საიდუმლო არსი ამ ქადაგებისა, მღვდლების ზემოქმედება სოფელზე და იმ სცენის გასაოცარი ეფექტი, იმ წუთში რომ თამაშდებოდა. საკურთხეველთან ახლოს მდგომი გლეხები თითო-თითოდ მიდიოდნენ მღვდელთან. დგებოდნენ მუხლებზე და აწვდიდნენ თავიანთ თოფებს. ის კი საკურთხეველზე აწყობდა. დაასხი-კუტალმაც საჩქაროდ მიაწოდა საკურთხებლად თავისი ძველი ორლულიანი თოფი. სამივე მღვდელმა დაიწყო ჰიმნის გალობა „Veni Criatos“, მან, ვინც მესას ატარებდა, სიკვდილის იარაღი მოლურჯო ბოლში გაახვია, სასაკმევლეს აქნევდა და მისი მოხაზული ზიგზაგები ერთმანეთს ერწყმოდა. როცა ნიავმა საკმევლის ბოლი გაფანტა, თოფები პატრონებს დაურიგეს. თოფი ყოველმა შუანმა მღვდლისგან მიიღო, თან ლათინურად ლოცვას რომ კითხულობდა. როცა ყველა ისევ შეიარაღდა და თავისი ადგილი დაიკავა, ღრმა და მანამდე მდუმარე ენთუზიაზმი მგზნებარედ და თან გულის ამაჩუყებლად გამოვლინდა.

- Domine, Salvum, fac regem...[15]

მღვდელმა დაიწყო გალობა ძლიერი, მჟღერი ხმით და ყველა

აჰყვა რაღაცნაირი გაშმაგებით და ორჯერ იმღერეს. ამ მღერაში რაღაც საზარელი და საომარი სულისკვეთება ისმოდა. ორი ნოტი, სიტყვა Regem-ზე რომ მოდიოდა, გლეხებმა ადვილად გაიგეს და ისე დასჭექეს, რომ გრძნობამორეული მადმუაზელ დე ვერნეი გონებით ბურბონების განდევნილ დინასტიასთან წავიდა.

ამ მოგონებებმა თავისი წარსული გაუღვიძეს. მეხსიერებაში აღუდგა სასახლის დღესასწაულები, სხვა ქვეყნებსაც რომ მოედო. სადაც ყოველთვის ბრწყინავდა. ამ ოცნებებში მარკიზის სახემაც გაიელვა და მაშინ მარის გადაავიწყდა მის თვალწინ მომხდარი და, ქალისთვის ჩვეული აზრთა მდინარების სწრაფი ცვლით, შურისძიების გეგმებს დაუბრუნდა, რისთვისაც სიცოცხლეს რისკავდა და რომელიც შეიძლებოდა, ერთ წამში დანგრეულიყო. მოუნდა თავისი ცხოვრების ყველაზე გადამწყვეტ მომენტში მშვენიერი ყოფილიყო, გაახსენდა, რომ არაფერი ჰქონდა სამეჯლისო ვარ-ცხნილობის დასამშვენებლად და მოუნდა, ბაძგის ტოტით შეემკო თავი, რადგან მოეწონა მისი თავნება ფოთლები და წითელი ნაყოფი.

- ოჰო, ახლა ჩემმა თოფმა შეიძლება ნადირობისას მიმტყუნოს, მაგრამ ლურჯებთან - არა!.. არასოდეს! - დაასხი-კუტალმა კმაყოფილებით გადააქნია თავი.

მარი დააკვირდა თავის გამყოლს და აღმოაჩინა, რომ ტიპური სახე ჰქონდა, ისეთივე, როგორც ყველა იმას, ვინც იქ ნახა. აზრები ამ ბებერ შუანს ალბათ ბავშვისაზე მეტი არ ჰქონდა. თავის თოფს რომ დასცქეროდა, მიამიტური სიამოვნებისგან ლოყებსა და შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა, მაგრამ რელიგიური ფანატიზმი გახარებულ გამომეტყველებას სისასტიკის ელფერს აძლევდა და წამით ამ ველურის სახეზე ცივილიზაციის ბიწიერებამ გადაირბინა.

მალე მგზავრებმა სოფელს, ანუ დაასხი-კუტალის ქოხის მსგავს ოთხ-ხუთ ქოხს მიაღწიეს და როცა მადმუაზელ დე ვერნეი კარაქიანი პურითა და რძით საუზმობას ამთავრებდა, ახლად მოქცეული შუანებიც მოადგნენ სოფელს. ამ არეულ-დარეულ რაზმს რექტორი მოუძღოდა, დროშად ქცეული ტლანქი ჯვრით, უკან კი ამაყად მოჰყვებოდა ახალგაზრდა შუანი, თავისი მრევლის საეკლესიო დროშით ხელში. მადმუაზელ დე ვერნეი შეუერთდა ამ ჯარს. რაკი ისინიც სემ-ჯემსში მიდიოდნენ და,

ცხადია, მის მცველებად იქცნენ, რადგან დაასხი-კუტალს, მისდა საბედნიეროდ, წამოსცდა და რაზმის უფროსს უთხრა, რომ ლამაზმანი, რომლის გამყოლიც თვითონ იყო, ვაჟკაცის მეგობარია.

მზის ჩასვლისთვის მოგზაურები ჩავიდნენ სენ-ჯემსში, პატარა ქალაქში, რომელიც თავის სახელს ინგლისელებს უნდა უმადლოდეს, ბრეტანში თავიანთი ბატონობისას, მეთოთხმეტე საუკუნეში რომ ააშენეს. ქალაქის შესასვლელში მადმუაზელ დე ვერნეიმ უცნაური სამხედრო სცენა დაინახა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, შიშობდა, მტერთაგან ვინმეს არ ეცნო და ჩქარობდა, ქალაქში შესულიყო. მინდორში ხუთი-ექვსი ათასი გლეხი იყო დაბანაკებული. მათი ტანსაცმელი პელერინის ტყეში გაქცეული ახალწვეულებისას რომ ჰგავდა, ომზე ფიქრსაც კი გამორიცხავდა. ეს ხმაურიანი ბრბო ბაზრობას უფრო მოგაგონებდათ, კარგად უნდა დაკვირვებოდით, რათა გაგერჩიათ, რომ ეს ბრეტონელები თოფებით იყვნენ შეიარაღებულები, რადგან სხვადასხვა „თარგით“ გამოჭრილი მათი თხის ტყავები თითქმის მალავდნენ მათ კარაბინებს და ყველაზე შესამჩნევი იარაღი ცელები იყო. ამ ჯგროში ზოგი ჭამდა და სვამდა, ზოგი ჩხუბობდა და ძიძგილაობდა, უმრავლესობას კი მიწაზე გაშხლართულს ეძინა. არაფერს ეტყობოდა წესრიგი და დისციპლინა... მადმუაზელ დე ვერნეის ყურადღება წითელმუნდირიანმა ოფიცერმა მიიქცია, ინგლისის ჯარიდან რომ ეგონა. ცოტა მოშორებით, ორი სხვა ოფიცერი, როგორც ჩანს, სხვებზე უფრო გონიერ რამდენიმე შუანს ზარბაზნის ხმარებას ასწავლიდა. ზარბაზანი ორი იყო, ალბათ მთელი არტილერია როიალისტების მომავალი არმიისა. მარინეის მრევლის ახალგაზრდობის გამოჩენამ, საეკლესიო ბაირაღით რომ იცნეს, დიდი ღრიანცელი გამოიწვია. ამ რაზმისა და მღვდლების გამოჩენით გამოწვეული ალიაქოთით ისარგებლა მადმუაზელ დე ვერნეიმ და ბანაკის გავლით მშვიდობიანად ჩააღწია ქალაქამდე. მივიდა ულაზათო სასტუმრომდე, იმ სახლთან ახლოს რომ იყო, სადაც მეჯლისი ეწყობოდა. იმდენი ხალხი მოაწყდა ქალაქს, რომ ძლივს იშოვა ამ სასტუმროში პატარა ოთახი. როცა მოეწყო, დაასხი-კუტალი გამოეცხადა, ფრანსინს მისი ქალბატონის სამეჯლისო ტანსაცმელი გადასცა მუყაოს ყუთით და გაუბედავი, მოლოდინის პოზაში გაჩერდა ზღურბლზე. სხვა დროს მადმუაზელ დე ვერნეი გაერთობოდა

იმის ყურებით, როგორ იქცევა ბრეტონელი გლეხი თავისი სამრევლოს გარეთ, აქ კი საჩქაროდ გამოაფხიზლა გარინდებიდან, საფულიდან ამოიღო ოთხი ეკიუ და თავის გამცილებელს გაუწოდა.

- აჰა, აიღე და, ძალიან გთხოვ, დაუყოვნებლივ დაბრუნდი ფუჟერში. ოღონდ ბანაკზე ნუ გაივლი და არც კი იფიქრო სიდრის დალევა.

შუანმა გამოართვა ფული და ასეთი გულუხვობით გაკვირვებული ხან ოთხ ეკიუს შესცქეროდა, ხან მადმუაზელ დე ვერნეის, რომელმაც ხელი აუქნია და ისიც გაქრა.

- გაისტუმრეთ, მადმუაზელ? როგორ შეიძლებოდა? ნუთუ ვერ შენიშნეთ, რომ ქალაქი გარშემორტყმულია. აქედან როგორ გავალთ? ვინ დაგვიცავს?

- შენი დამცველი განა აქ არ არის? - ეშმაკური, დამცინავი სახით ჩუმად დაუსტვინა, თან იარე-მიწაზეს სიგნალს და მიმოხვრას ბაძავდა.

ფრანსინი გაწითლდა და ნაღვლიანად გაეღიმა თავისი ქალბატონის მხიარულებაზე.

- ჰო, აბა, სად არის თქვენი დამცველი?

მადმუაზელ დე ვერნეიმ ხანჯალი იშიშვლა, ბრეტონელმა გოგონამ ხელები გაასავსავა და შეშინებული დაეშვა სკამზე.

- აქ რისთვის ჩამოხვედით, მარი? - წამოიძახა ვედრებით, ისე, რომ პასუხს არ ითხოვდა.

მადმუაზელ დე ვერნეი კი უკვე ხრიდა ბაძგის ტოტებს და ამბობდა: - რა ვიცი, კარგი იქნება თმაში ბაძგი თუ არა? ჩემი პირის კანის პატრონმა ალბათ შეიძლება მუქი სამშვენისი მოიხდინოს, როგორ ფიქრობ, ფრანსინ?

კიდევ რამდენიმე მსგავსი ფრაზა თქვა, სანამ იცვამდა, რაც მის უზრუნველობას მიანიშნებდა. ვინც კი გაიგებდა მის ნათქვამს, ვერ დაიჯერებდა, რომ მისთვის გადამწყვეტი წუთი დამდგარიყო და სიკვდილს ეთამაშებოდა. ინდური მუსლინის საკმაოდ მოკლე კაბა, გეგონებოდათ, სველი ქსოვილიაო, ხაზს უსვამდა მისი შნოიანი სხეულის ლამაზ ხაზებს. ზემოდან წითელი მოსასხამი მოირგო, უამრავი ნაკეცი, ნელ-ნელა რომ

გრძელდებოდა თეძოებისკენ, ბერძნული ტუნიკასავით ლამაზ ნახევარწრედ ლაგდებოდა. კერპთაყვანისმცემელი ქურუმი ქალის დიდებული სამოსი ფარავდა თამამ მორთულობას, იმდროინდელი მოდა რომ სთავაზობდა ქალებს. სითამამის შესანიღბად, მარი ტუნიკის ღრმად ამოჭრილ გულისპირს და შიშველ თეთრ მხრებს გაზის ქსოვილით იფარავდა. გრძელი ნაწნავები კეფაზე კვანძივით ისე დაილაგა, რომ მომრგვალებულბოლოიანი კონუსი გამოვიდა, თავის ფორმას ხელოვნურად რომ აგრძელებდა და განსაკუთრებულ გრაციას ანიჭებდა, ზოგიერთი ანტიკური ქანდაკების მსგავსად. თმა შუბლზე ჩამოშლოდა და გრძელ, პრიალა კულულებად ეშვებოდა ლოყებთან. ასეთი სამოსითა და ვარცხნილობით მარი საოცრად ჰგავდა ანტიკური ქანდაკების სახელგანთქმულ შედევრებს. ღიმილით მოიწონა თავისი ვარცხნილობა, ვინაიდან ყველა ეშმაკობა ხაზს უსვამდა მისი სახის მშვენიერებას, დაიხურა თავზე ბაძგის გვირგვინი და სიამოვნებით შენიშნა, რომ მისი წითელი ნაყოფი მშვენივრად ეხამებოდა მისი ტუნიკის ფერს. ზოგიერთი ფოთოლი ისე შეაბრუნა, რომ ზედაპირისა და უკუღმა მხრის შეფერილობის კონტრასტი გამოჩენილიყო. მადმუზელ დე ვერნეიმ, ეფექტურობის შესაფასებლად, სარკეში შეათვალიერა თავისი მორთულობა. - არა, ამ საღამოს საშინელი ვარ! - ისე თქვა, თითქოს მლიქვნელებით იყო გარშემორტყმული, - თავისუფლების ქანდაკებას ვგავარ!..

მერე ფრთხილად ჩაიყო ხანჯალი კორსაჟში ისე, რომ შუაში ლალებით მორთული ტარი მოაქცია: მის ლივლივს ხალხის ყურადღება უნდა მიეპყრო განძისთვის, ასე რომ შებღალა მისმა მეტოქემ. ფრანსინმა ვერ გაუშვა მარტო თავისი ქალბატონი. როცა დაინახა, მარი გასვლას აპირებდა, ათასი საბაბი მოიგონა მის გასაცილებლად და ყველა დაბრკოლება უხსენა, რის გადალახვაც შეიძლება დასჭირდეს ქალს, როცა ქვემო ბრეტანში, პატარა ქალაქში მიდის ზეიმზე. ვინ გახდის მადმუაზელ დე ვერნეის მოსასხამს და ზედა ფეხსაცმელს, ტალახისა და ნაკელისაგან თავის დასაცავად რომ დასჭირდა, თუმცა ქუჩას ქვიშა დააყარეს? გაზის პირბადეც უნდა მოხსნას, შუანების თვალთგან რომ იფარავს მის სახეს, რადგან ცნობისმოყვარეობამ მიიზიდა ისინი იმ სახლისკენ, სადაც ზეიმი უნდა ჩატარებულიყო. მართლაც, ქუჩაში იმდენი ხალხი იყო, რომ შუანების ორ მწკრივს შორის მოუხდათ გავლა.

ფრანსინი აღარ ცდილობდა, გადაეთქმევინებინა თავისი ქალბატონისთვის, მაგრამ როცა გაუსწორა მორთულობა, რომლის ხიბლი მის ორიგინალურობაში იყო და უკანასკნელად შეავლო ხელი, ეზოში დარჩა. ბედის ანაბარა რომ არ დაეტოვებინა და, საჭიროების შემთხვევაში, დასახმარებლად მივარდნილიყო. საბრალო ბრეტონელი ქალი მხოლოდ უბედურებებს ხედავდა წინ.

იმ დროს, როცა მარი დე ვერნეი ზეიმზე მიდიოდა, მონტორანის პალატაში საკმაოდ უცნაური რამ ხდებოდა. ახალგაზრდა მარკიზმა, ის იყო, ჩაცმა დაამთავრა და განიერ წითელ ლენტს იკეთებდა - მომავალ შეკრებაზე მისი პირველობის განმასხვავებელ ნიშანს, ოთახში აფორიაქებული აბატი გიუდენი შევიდა.

- ჩქარა წამოდით, მარკიზო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ქარიშხლის ჩახშობა, თქვენს უფროსებს შორის რომ იფეთქა რატომღაც. მეფის სამხედროს მიტოვებაც კი უნდათ. მე მგონი ის სატანა რიფოელია ალიაქოთის მიზეზი. ასეთ ჩხუბს ყოველთვის უმნიშვნელო რამე იწვევს! ამბობენ, თითქოს მადამ დიუ გამ შენიშვნა მისცა რიფოელს, რომ მეჯლისზე ძალიან უშნოდ ჩაცმული მოვიდა.

- გადარეული ქალი! - წამოიძახა მარკიზმა - გადაწყვიტა მოთხოვნა.

- შევალიე დე ვისარმა, - გააწყვეტინა გიუდენმა და გააგრძელა, - უპასუხა, რომ მეფის სახელით დანაპირები ფული რომ მიეცათ...

- საკმარისია, აბატო... ყველაფერი გასაგებია, ეს სცენა წინასწარ მომზადდა. ხომ ასეა? თქვენ კი დესპანად გამოგგზავნეს...

- მე, მარკიზო? - ისევ გააწყვეტინა აბატმა, - პირიქით, მე მტკიცედ დაგიჭერთ მხარს და თქვენც, იმედი მაქვს, ჩემ მიმართ სამართლიანი იქნებით და დაიჯერებთ, რომ საფრანგეთში საკურთხევლის აღდგენა, მეფის მისი წინაპრების ტახტზე აღდგენა ჩემი მცდელობისთვის ბევრად უფრო მიმზიდველი ჯილდოა, ვიდრე რენის ეპისკოპოსის წოდება, თქვენ რომ მე...

აბატმა ვეღარ გაბედა სათქმელის გაგრძელება, რადგან ამ სიტყვებზე მარკიზმა მწარედ ჩაიცინა. ახალგაზრდა მეთაურმა

მაშინვე უკუაგდო ნაღვლიანი ფიქრები, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და აბატს გაჰყვა ოთახში, საიდანაც ბრაზიანი ლაპარაკი ისმოდა.

- მე აქ არავის ძალაუფლებას არ ვაღიარებ, - ყვიროდა რიფოელი, მოელვარე თვალებით უყურებდა ირგვლივ ყველას და წამდაუწუმ ხმლის ვადაზე იტაცებდა ხელს.

- საღი აზრის ძალაუფლებასაც არ აღიარებთ? - ცივად ჰკითხა მარკიზმა.

ახალგაზრდა შევალიე დე ვისარი, მამაპაპისეული სახელით რიფოელად ცნობილი, კათოლიკური არმიის მათაურის დანახვაზე დადუმდა.

- რამე მოხდა, ბატონებო? - იკითხა ახალგაზრდა მეთაურმა და მოკამათეების გამძვინვარებულ სახეებს დააკვირდა..

- დიახ, მოხდა, მარკიზო, - უპასუხა ცნობილმა კონტრაბანდისტმა, შეცბუნებულმა როგორც მდაბიომ, დიდებულის წინაშე რომ აღმოჩნდება, თავიდან ცრუ მოსაზრებებით შებოჭილია, მერე გადააბიჯებს დაბრკოლებას, ზღუდეს, მას რომ აშორებს დიდებულისაგან, თავის ტოლს დაინახავს მასში და უკვე ყველანაირი ზღვარი იშლება, - დიახ, რაღაც მოხდა, - გაიმეორა მან, - და ძალიან დროულად მოხვედით. მაამებელი ლაპარაკი არ მეხერხება და პირდაპირ გეტყვით. წინა ომში ხუთასკაციან რაზმს ვხელმძღვანელობდი. მერე ისევ ავიღეთ იარაღი ხელში, მეფის სამსახურისთვის მოვაგროვე ათასი კაცი, ჩემსავით ჯიუტები არიან. აი, უკვე შვიდი წელია, რაც თავს ვწირავ მართალი საქმისთვის. არაფერს გსაყვედურობთ, მაგრამ ხომ იცით, ყველა შრომა მოითხოვს ანაზღაურებას. მაშ ასე, ჯერ ერთი, მინდა, რომ დამიძახონ ბატონი დე კოტრო და მინდა, რომ მომცენ პოლკოვნიკის ჩინი, თორემ მოვურიგდები პირველ კონსულს და ვაღიარებ დანაშაულს. იცით, ბატონო მარკიზო, მე და ჩემს ხალხს საშინელი გულისგამაწყალებელი კრედიტორი გვყავს და მისი მოთხოვნები აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს!.. აი, ეს, - დაუმატა კონტრაბანდისტმა და მუცელზე დაირტყა ხელი.

- მევიოლინეები უკვე მოვიდნენ? - დამცინავად ჰკითხა მადამ დიუ გას.

მაგრამ კონტრაბანდისტი უხეშად შეეხო ამ, როგორც

ანგარიშიანი, ასევე, პატივმოყვარე ხალხისთვის მეტისმეტად მნიშვნელოვან თემას, ძალიან დიდხანს რომ ელოდნენ მეფის დანაპირებს და დასტურს და ამიტომ მათი ახალგაზრდა მეთაურის შეურაცხმყოფელმა კითხვამ ვერ აუგდო კითხვა ბანზე. ფიცხმა ჭაბუკმა დიუ ვისარმა სწრაფად გადაუღობა გზა მონტორანს და ხელი სტაცა, რომ არ წასულიყო.

- ფრთხილად იყავით, მარკიზო! მეტისმეტად აგდებულად ექცევით ხალს, რომელსაც უფლება აქვს იმ პირის მადლიერებისა, ვისი წარმომადგენელიც თქვენ ბრძანდებით. ჩემთვის ცნობილია, რომ მისმა უდიდებულესობამ უფლება მოგცათ, განდოთ, დაადგინოთ ჩვენი დამსახურება, რომლისთვისაც ჯილდო გვეკუთვნის... დედამიწაზე ან იმქვეყნად, ჩვენ ხომ ეშაფოტი ყოველდღე გველის. ჩემზე კი, გეტყვით, რომ გენერალ-მაიორის ჩინი...

- პოლკოვნიკი უნდა გეთქვათ?

- არა, მარკიზო, შარეტმა უკვე მომანიჭა პოლკოვნიკობა, ჩემი უფლება იმ ჩინზე, რომელზეც გელაპარაკებით, სრულიად უდავოა და ახლა მე ჩემზე კი არ გელაპარაკებით, არამედ ყველა ჩემს მამაც თანამებრძოლზე, რადგან მათი დამსახურება უნდა დადასტურდეს. ამისთვის თქვენი ხელმოწერაა საკმარისი და გარკვეულ დრომდე დაპირებით დაკმაყოფილდებიან. და უნდა ვაღიაროთ, - ჩურჩულით დაუმატა დიუ ვისარმა, - რომ ეს ძალიან ცოტაა.მაგრამ, - გააგრძელა ხმამაღლა, - როცა ვერსალში მზე ამობრწყინდება და მონარქიის ბედნიერ დღეებს გაანათებს, განა ადვილი იქნება ერთგული ხალხისთვის, რომლებიც ეხმარებოდნენ მეფეს საფრანგეთში საფრანგეთის დაპყრობაში, ადვილი იქნება მათთვის, წყალობა მოიპოვონ თავიანთი ოჯახებისთვის, პენსიები ქვრივებისთვის, მიწებისა და სხვა ქონების დაბრუნება, მათ რომ ჩამოართვეს. არა მგონია! ამიტომ, მარკიზო, სრულიადაც არ იქნება ზედმეტი მათი დამსახურების წერილობითი დადასტურება. არასოდეს შემეპარება ეჭვი მეფეში, მაგრამ ვერ ვენდობი მის მინისტრებსა და დიდებულებს. ეს გაიძვერები ყურებს გამოუჭედავენ სახელმწიფოს სიკეთეზე, საფრანგეთის ღირსებაზე, გვირგვინის ინტერესებზე და მრავალ სხვა სისულელეზე, მაგრამ რომელიმე პატიოსან ვანდეელს ან მამაც შუანს დასცინებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ის უკვე ბებერი იქნება, ხმალი, სამართლიანობისთვის რომ იშიშვლა, გაჭირვებისგან

გამხმარ ფეხებში მოედება... აბა, თქვენ გგონიათ, რომ მართლი არ ვარ?

- შესანიშნავად ლაპარაკობთ, მესიე დიუ ვისარ, მაგრამ მეტისმეტად ადრე ლაპარაკობთ, - უპასუხა მარკიზმა.

- მისმინეთ, მარკიზო, - ჩუმად უთხრა გრაფმა დე ბოვანმა, - ღმერთმანი, რაფოელმა ყველაფერი ძალიან სწორად თქვა.

სრულიად დარწმუნებული შეგიძლიათ იყოთ, რომ მეფე ყურს დაგიგდებთ. თქვენ ხომ ნახავთ ხოლმე და, გულახდილად გეტყვით, თუ აზნაურის პატიოსან სიტყვას არ მომცემთ, რომ თავის დროზე მომიხერხებთ საფრანგეთის ობერ-ეგერმეისტრის თანამდებობას, რა ჯანდაბისთვის ჩავიგდო თავი საფრთხეში? მეფისთვის ნორმანდიის დაპყრობაც სახუმარო საქმე არ არის, ამიტომ ორედნის იმედიც მაქვს. თუმცა, - დაუმატა და გაწითლდა, - ამ ყველაფერზე კიდევ მოვასწრებთ ლაპარაკს. ღმერთმა დამიფაროს, ამ ხეპრეებივით თავი მოგაბეზროთ. დაელაპარაკეთ ჩემზე მეფეს და ჩემთვის ეს საკმარისია.

ყოველმა მეთაურმა მეტ-ნაკლებად ეშმაკური ფორმა იპოვა მარკიზისთვის დამსახურების დაფასების, სავარაუდო მოლოდინის სათქმელად. ერთი მოკრძალებულად ითხოვდა ბრეტანის გუბერნატორის პოსტს, მეორე - მამულს და ბარონის ტიტულს, მესამე - ჩინს, მეოთხე - მეთაურობას. ყველას უნდოდა პენსია.

- და თქვენ, ბარონო? - მიუბრუნდა მარკიზი დიუ გენიკს, - ნუთუ არაფერი გინდათ?

- ღმერთმანი, მარკიზო, ამ ბატონებმა საფრანგეთის გვირგვინის გარდა არაფერი დამიტოვეს, რა გაეწყობა, დავჯერდები ამას!

- ეჰ, ბატონებო! - დასჭექა აბატმა გიუდენმა, - როგორ გეჩქარებათ! გამარჯვების დღეს თქვენი სულსწრაფობით ყველაფერს გააფუჭებთ. მეფემ რევოლუციონერებსაც ხომ უნდა უწყალობოს რამე?

- იაკობინელებს, - წამოიძახა კონტრაბანდისტმა, - მეფე რომ ნებას მომცემდეს, ვპირდები, ჩემი ათასი კაცი ჩამოახრჩობდა სუყველას და უცებ მოვიშორებდით თავიდან.

- მესიე დე კონტრო, - ჩაერია მარკიზი, - ვხედავ, სტუმრები

უკვე მოდიან. ჩვენ ერთმანეთს გულმოდგინებასა და ზრუნვაში უნდა შევეჯიბროთ, ეს ხალხი მოვიმხროთ ჩვენს წმინდა საქმეში სათანამშრომლოდ. გესმით ალბათ, რომ რამდენად სამართლიანიც უნდა იყოს თქვენი თხოვნა, ახლა ამის დრო არ არის.

ამ სიტყვებით, მარკიზი გაეშურა კარისკენ, თითქოს ადგილობრივ დიდებულთა შესახვედრად, მაგრამ თამამმა კონტრაბანდისტმა მორჩილი და მოწიწებული სახით გზა გადაუღობა.

- არა, არა, ბატონო მარკიზო, ბოდიშს გიხდით, მაგრამ იაკობინელებმა 1793 წელს ძალიან კარგად გვასწავლეს, რომ ვინც პურს იმკის, ის არ ჭამს ნამცხვარს. ამ ქაღალდზე მომიწერეთ ხელი და ხვალ ათას ხუთას კაცს მოგიყვანთ, თუ არა, პირველ კონსულს მოველაპარაკები.

მარკიზმა ამაყად მიმოიხედა და დაინახა, რომ ბებერი შუანის თავხედურმა სიტყვებმა და მტკიცე ტონმა არავინ აღაშფოთა. ერთადერთი კაცი იჯდა კუთხეში, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ამ სცენაში და მშვიდად ტენიდა თიხის ჩიბუხს. ხარბი ორატორებისადმი აშკარა სიძულვილს გამოხატავდა, მორიდებულმა პოზამ და თანაგრძნობამ მის მზერაში რომ დაიჭირა მარკიზმა, აიძულა, ყურადღება მიექცია ამ უანგარო კაცისთვის. მაიორი ბრიგო იცნო, როიალისტების წინამძღოლი. სწრაფად მიუახლოვდა.

კარი IV

- და შენ? შენ რაღას მოითხოვ?

- ოო, ბატონო მარკიზო, მეფე თუ დაბრუნდება, კმაყოფილი ვიქნები.

- შენთვის?

- ჰო, ჩემთვის... ხუმრობთ?

მარკიზმა დაკოჟრებული ხელი ჩამოართვა ბრეტონელს,

მიუახლოვდა მადამ დიუ გას და უთხრა: - ქალბატონო, სანამ ბრეტანის კათოლიკური არმიის შესახებ ზუსტ ანგარიშს მივუტანდე მეფეს, შეიძლება დავიღუპო ბრძოლაში. თუ რესტავრაციას მოესწრებით, არ დაგავიწყდეთ ეს წესიერი კაცი და არც ბარონი დიუ გენიკი. ეს ორი უფრო თავდადებულია, ვიდრე ყველა დანარჩენი.

და მიუთითა წინამძღოლებზე, მოუთმენლად რომ ელოდნენ, როდის შეუსრულებდა მარკიზი თხოვნას. ყველას რაღაც გაშლილი ქაღალდი ეჭირა ხელში, ეტყობა, მათი დამსახურების დადასტურება, წინა ომების გენერლების დამადასტურებელი ხელმოწერებით. ამ ბრბოში აბატი გიუდენი, გრაფი დე ბოვენი და ბარონი დიუ გენიკი თათბირობდნენ, როგორ ეშველათ მარკიზისთვის, უარი ეთქვა გაზვიადებულ პრეტენზიებზე, რაკი ხედავდნენ, რა რთულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

უცებ მარკიზმა ირონიით მოციმციმე ცისფერი თვალები მოავლო შეკრებილ ხალხს და მკაფიოდ განაცხადა: - ბატონებო, არ ვიცი, რამდენად დიდია ჩემი უფლებამოსილება, მეფემ რომ ინება, ებოძებინა იმისათვის, რომ შევძლო თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება! იქნებ ასეთ თავგამოდებას და ერთგულებას არ მოელოდა. ახლავე, თქვენ თვითონ განსაჯეთ ჩემი მოვალეობანი და იქნებ მოვახერხო მათი შესრულება.

გავიდა და მალევე დაბრუნდა ხელში მეფის ბეჭდიანი და ხელმოწერილი გაშლილი წერილით.

- აი, სიგელი, რომლის თანახმადაც ვალდებული ხართ, დამემორჩილოთ. ეს საბუთი უფლებას მაძლევს, მეფის სახელით ვმართო ბრეტანი, ნორმანდია, მანი და ანჟუ და დავადგინო მეფის არმიის ოფიცერთა დამსახურებანი.

კმაყოფილების დუდუნმა გადაუარა ხალხს. შუანები მარკიზისკენ წამოვიდნენ და მოწიწებით შემოეხვივნენ. ყველა მეფის ხელმოწერილ სიგელს უყურებდა. ახალგაზრდა წინამძღოლმა, ბუხართან რომ იდგა, საბუთი ცეცხლში ჩააგდო. ქაღალდი აბრიალდა და თვალის დახამხამებაში ჩაინავლა.

- მე მინდა, მეთაური ვიყო მათი, ვინც მეფეში მეფეს ხედავს და არა გასაგლეჯ მსხვერპლს. თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ, დამტოვოთ... - მადამ დიუ გამ, აბატმა გიუდენმა, მაიორმა ბრიგომ, შევალიე დე ვისარმა, ბარონმა დიუ გენიკმა, გრაფმა დე ბოვანმა აღფრთოვანებულებმა იყვირეს - გაუმარჯოს

მეფეს! თუ დანარჩენები თავს იკავებდნენ ამ შეძახილისგან, მარკიზის კეთილშობილური ჟესტით კმაყოფილები სთხოვდნენ, დაევიწყებინა მათი თხოვნა და არწმუნებდნენ, რომ სიგელის გარეშეც მათი წინამძღოლი იქნებოდა ყოველთვის.

- წავედით, ვიცეკვოთ! - წამოიძახა გრაფმა დე ბოვანმა, - და რაც მოხდება, მოხდეს! ბოლოს და ბოლოს, - დაუმატა მან, - მეგობრებო, უკეთესია, მივმართოთ ღმერთს, ვიდრე მის წმინდანებს. ჯერ ვიბრძოლოთ, მერე გამოჩნდება.

- აა, აი ეს სწორია. მაპატიეთ, ბარონო, - ჩუმად უთხრა ბრი-გომ ერთგულ დიუ გენიკს, - არასოდეს მინახავს, დღის საქმის საფასურს დილიდან ითხოვდნენ.

სტუმრები გაიფანტნენ სალონებში, სადაც რამდენიმე კაცი უკვე შეკრებილიყო. მარკიზი ამაოდ ცდილობდა, დაემალა ნაღველი, ჩანდა, მეთაურებმა შენიშნეს, როგორ იმოქმედა იმ სცენამ ადამიანზე, რომლის ერთგულებასაც ჯერ ისევ სდევდა ჭაბუკური ლამაზი ილუზიები და შერცხვათ.

დამათრობელმა სიხარულმა მოიცვა როიალისტთა პარტიის ყველაზე აღტაცებული წევრები, რომელთაც ამბოხებულ მიყრუებულ პროვინციებში არასოდეს შეეძლოთ რევოლუციური მოვლენების სწორად შეფასება და სრულიად უსაფუძვლო იმედებს რეალურად იღებდნენ. გაბედულმა სამხედრო ოპერაციებმა, მონტორანმა რომ წამოიწყო, მისმა სახელმა, ქონებამ, მისმა ნიჭმა, მხნეობა შემატა ყველას და პოლიტიკური, ყველაზე სახიფათო თრობა გამოიწვია, რადგან მისი გაგრილება, განელება მხოლოდ სისხლის ნაკადს შეუძლია, როგორც წესი, ამაოდ დაღვრილს. იქ შეკრებილთათვის რევოლუცია საფრანგეთის სამეფოში წარმავალი არეულობა იყო, რომელიც ვერაფერს დააკლებდა და შეცვლიდა. ეს სამეურნეო მხარე ჯერ ისევ ბურბონებს ეკუთვნოდა. როიალისტები იქ განუყოფლად ბატონობდნენ, იმდენად, რომ ოთხი წლის წინ ოშმა უფრო ზავს მიაღწია, ვიდრე მშვიდობას. დიდგვაროვანნი არასერიოზულად უდგებოდნენ რევოლუციონერებს. მათთვის ბონაპარტი იგივე მარსი იყო, ოღონდ უფრო იღბლიანი, ვიდრე მისი წინამორბედი. ქალები დიდი სიხარულით ემზადებოდნენ საცეკვაოდ. მხოლოდ რამდენიმე მეთაურმა, ადრეც რომ უბრძოლიათ ლურჯებთან, იცოდა, ახლანდელი კრიზისი

რამდენად სერიოზული იყო. ისიც იცოდნენ, რომ ჩამორჩენილ თანამემამულეებთან პირველ კონსულზე და მის ძლიერებაზე ლაპარაკი უსარგებლო იყო, ვერ გაიგებდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, თან გულგრილად უყურებდნენ ქალებს, რომლებიც სამაგიეროს იმით უხდიდნენ, რომ ერთმანეთს გულმოდგინედ აკრიტიკებდნენ. მადამ დიუ გამ მასპინძლობა იკისრა და ცდილობდა, მოცეკვავე ქალების გაღიზიანება დაეშოშმინებინა იმით, რომ რიგრიგობით ყველას ჩვეულებრივ ქათინაურს ეუბნებოდა. უკვე ისმოდა ინსტრუმენტების მკვეთრი ხმები, მუსიკოსები რომ აწყობდნენ. როცა მადამ დიუ გამ ჯერ ისევ ნაღვლიანი მარკიზი შენიშნა და სწრაფად წავიდა მისკენ.

- მინდა იმედი ვიქონიო, რომ სრულიად ჩვეულებრივი სცენის გამო არ ხართ მოწყენილი, ამ ჩვენ ტეტიებთან რომ გქონდათ.

პასუხი არ მიუღია, რადგან მარკიზი ღრმად იყო წასული ფიქრებში და თითქოს ისევ ჩაესმოდა ყურში მარის წინასწარმეტყველური ხმა, მისი მოსაზრება, როცა ვივეტიერში, ამ მოთავეებს შორის, არწმუნებდა, თავი დაენებებინა მეფეების ხალხის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მაგრამ მაღალი სულის პატრონი იყო, ძლიერ ამაყი, მეტისმეტად მტკიცე, ურყევი შეხედულების, რომ დაწყებული საქმე მიეტოვებინა და ამ წუთში ვაჟკაცურად გადაწყვიტა, მიუხედავად დაბრკოლებებისა, გაეგრძელებინა. ამაყად ასწია თავი და ახლაღა გაიგო, რას ეუბნებოდა მადამ დიუ გა.

- გონებით ალბათ ფუჟერში ხართ? - სინანულით უთხრა, რაკი მიხვდა, რომ ამაოდ ცდილობდა მარკიზის გაცნობას, - ოჰ, მესიე, მზად ვარ, მთელი სისხლი გავიღო, ოღონდ თქვენ გვერდით იყოს და ბედნიერს გხედავდეთ მასთან.

- აბა, რატომ ესროლეთ ასე მარჯვედ?

- რადგან მინდოდა მენახა ან მკვდარი, ან თქვენს მკლავებში. დიახ, ბატონო, შემეძლო მარკიზ დე მონტორანი მყვარებოდა, რადგან მასში გმირს ვხედავდი. ახლა კი მხოლოდ მტკივნეული მეგობრობა დამრჩა, ვხედავ, რომ დიდებას ჩამოაშორა.

- სიყვარულს რაც შეეხება, - ირონიულად შენიშნა მარკიზმა, - არასწორად მსჯელობთ ჩემზე! ის გოგო რომ მყვარებოდა, მადამ, ნაკლებად მენდომებოდა.... და, რომ არა თქვენ, ალბათ, აღარც კი ვიფიქრებდი მასზე.

- აი, ისიც! - უცებ თქვა მადამ დიუ გამ.

მარკიზმა ისე სწრაფად მიატრიალა თავი, რომ საბრალო ქალს საშინლად ეტკინა გული. სანთლების ძლიერ შუქზე ოდნავ ცვლილებასაც კი ხედავდა იმ ადამიანის სახეზე, ასე მგზნებარედ რომ უყვარდა და როცა მოტრიალდა მისკენ, ამ ქალურ ხუმრობაზე მისი გაღიმებული სახე დაინახა, მადამ დიუ გას სულში ბედნიერების დაბრუნების იმედის ნაპერწკალმა გაიელვა.

- რაზე იცინით? - ჰკითხა გრაფმა დე ბოვანმა.

- გახეთქილ საპნის ბუშტზე, - მხიარულად უპასუხა მადამ დიუ გამ, - მარკიზს, თუკი მის სიტყვებს დაეჯერება, ახლა უკვირს, მისი გული ერთი წამი მაინც როგორ ფეთქავდა იმ გომბიოსთვის, მადმუაზელ დე ვერნეი რომ დაირქვა. გახსოვთ?

- იმ გომბიოსთვის?.. - საყვედურით გაიმეორა გრაფმა, - ... ქალბატონო, ბოროტებაში დამნაშავე მე ვარ და უნდა გამოვასწორო; პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ის ქალიშვილი მართლა ჰერცოგ დე ვერნეის ქალიშვილია.

- გრაფო! - წამოიძახა მარკიზმა შეცვლილი ხმით, - რომელ თქვენს პატიოსან სიტყვას ვენდოთ - მაშინდელს, ვივეტიერში, თუ დღევანდელს - სენ-ჯემსში?

ხმამაღლა გამოაცხადეს: - მადმუაზელ დე ვერნეი. გრაფი კარისკენ გაენთო, დიდი მოწიწებით შესთავაზა ხელი მშვენიერ უცნობს, გაატარა გაკვირვებულ ხალხში და წარუდგინა მარკიზს და მადამ დიუ გას.

- დაიჯერეთ მხოლოდ ის, დღეს რაც ითქვა! - უპასუხა გაოგნებულ ახალგაზრდა მეთაურს.

მადამ დიუ გა გაფითრდა, როცა ეს თარსი ქალი დაინახა. ერთხანს მადმუაზელ დე ვერნეი გაუნძრევლად იდგა და თვალი მოავლო დარბაზს, სტუმრებს შორის მათ ეძებდა, ვივეტიერში ვინც იყო. დაელოდა მეტოქის იძულებით თავის დაქნევას, მედიდურად, მფარველობითაც კი დაუკრა ოდნავ თავი, მარკიზისკენ არც კი გაუხედავს, დე ბოვანს თავი წააყვანინა საპატიო ადგილამდე და ჩამოჯდა მადამ დიუ გას გვერდით, რომელიც ქალური ინსტინქტით არ გაბრაზებულა და მეგობრული სახე მიიღო. მადმუაზელ დე ვერნეის უცნაურმა

სამოსმა და მშვენიერებამ ჩურჩული გამოიწვია. როცა მარკიზმა და მადამ დიუ გამ ვივეტიერის მაშინდელ სტუმრებს გადახედეს, შეამჩნიეს სახეზე გულწრფელი პატივისცემა და თითოეული თითქოს იმაზე ფიქრობდა, როგორ ეპოვნათ ახალგაზრდა პარიზელი ქალის წყალობის მოპოვების საშუალება, ქალისა, ასე რომ შეუარცხყვეს. მტრები შეხვდნენ ერთმანეთს.

- ეს ხომ ჯადოქრობაა, მადმუაზელ! მთელს მსოფლიოში მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ხალხის ასე გაოცება! როგორ? სულ მარტო ჩამოხვედით აქ?

- სრულიად მარტო, - დაუდასტურა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - ამ საღამოს, ქალბატონო, მხოლოდ ჩემი მოკვლა შეგიძლიათ.

- მოიღეთ მოწყალება! - განაგრძო მადამ დიუ გამ, - ვერ გამომიხატავს, როგორ მსიამოვნებს თქვენი ისევ ნახვა. მართლა მაწუხებდა იმაზე ფიქრი, რა დამნაშავე ვიყავი თქვენ წინაშე და ამ შემთხვევას ვეძებდი, გამომესყიდა დანაშაული.

- ადვილად გაპატიებთ ყველა შეცდომას, მე რაც მეხება, მაგრამ გულს მიკლავს ლურჯების სიკვდილი, თქვენ რომ დახოცეთ. სხვა რამეც შეიძლებოდა მესაყვედურა, თქვენი მკვახე მანერა კორესპონდენციისა... მაგრამ ყველაფერი მიპატიებია იმ სამსახურის სანაცვლოდ, თქვენ რომ გამიწიეთ.

მადამ დიუ გამ თავშეკავების უნარი დაკარგა: მშვენიერი მეტოქე ხელს ჰკიდებდა ხელზე, შეურაცხყოფილი თავაზიანობით უღიმოდა. მარკიზი გახევებული იდგა. მერე უცებ ხელი მაგრად ჩაავლო ხელში გრაფ დე ბოვანს.

- უღირსად მომატყუეთ და ღირსებაც კი შემილახეთ. ვიღაც ჟერონტი კი არ ვარ, კომედიიდან. ან თქვენ აგებთ პასუხს თქვენი სიცოცხლით, ან ინებეთ ჩემი.

- მარკიზო, - ქედმაღლურად უპასუხა დე ბოვანმა, - მზად ვარ, ყველაფერი აგიხსნათ, რასაც ისურვებთ.

და მეზობელი ოთახისკენ გაემართნენ. ამ სცენის საიდუმლოში გაურკვეველი ადამიანებიც კი ხვდებოდნენ, რომ რაღაც ხდება და ვიოლინოებმა ცეკვის დაწყების მანიშნებელი რიტურნელი რომ დაუკრეს, ფეხი არავის მოუცვლია.

- მადმუაზელ, რა ასეთი მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევის

პატივი მქონდა, რომ დამემსახურებინა... - თქვა მადამ დიუ გამ და გაცოფებულმა მოკუმა ბაგე.

- განა თქვენ არ ამიხილეთ თვალი, მადამ, მარკიზ დე მონტორანის ნამდვილ ხასიათზე? ამ საზარელმა ადამიანმა რა გულგრილად გამიმეტა დასაღუპად! დიდი სიამოვნებით გითმობთ.

- მაშ, რისთვის ხართ აქ? რას დაეძებთ? - ჰკითხა გაცხარებულმა მადამ დიუ გამ.

- პატივისცემასა და ღირსებას, ვივეტიერში რომ წამართვით, ქალბატონო. დანარჩენი ყველაფერი... შეგიძლიათ სრულიად მშვიდად იყოთ. მარკიზი თუნდაც დამიბრუნდეს, თქვენ ალბათ იცით, დაბრუნება არასოდესაა სიყვარული.

მადამ დიუ გამ ხელზე მოკიდა ხელი მადმუაზელ დე ვერნეის, იმ განაზებული თავაზიანობით, ქალები მამაკაცების დასანახად რომ იჩენენ ერთმანეთის მიმართ.

- ო, ჩემო საბრალო პატარავ, ძალიან კმაყოფილი ვარ, ასე გონივრულად რომ მსჯელობთ. თუ ჩემ მიერ გაწეული სამსახური სასტიკი იყო თავიდან, ახლა სრული მაინც იქნება, - თქვა და ხელზე ოდნავ მოუჭირა ხელი. მაგრამ როგორ უნდოდა ამ უნაზესი კანის დაგლეჯა ფრჩხილებით! - მისმინეთ, ვიცნობ ვაჟკაცის ხასიათს, - უთხრა ცბიერი ღიმილით, - ეჰ, მაინც მოგატყუებდათ, მას არ შეუძლია და არც უნდა არავის შერთვა.

- ჰა?

- დიახ. მადმუაზელ, სახიფათო მისია მხოლოდ იმისთვის იკისრა, რომ დაემსახურებინა მადმუაზელ დ'იუქსელის ხელი, ალიანსი იყო, რომლისთვისაც მეფე სრულ მხარდაჭერას შეჰპირდა.

- აი, თურმე რა!

მადმუაზელ დე ვერნეიმ ამ დამცინავ შეძახილს აღარაფერი დაუმატა.

ახალგაზრდა, მშვენიერ შევალიე დე ვისარს ერთი სული ჰქონდა, ეპატიებინა მარის მისთვის ხუმრობა, ვივეტიერში შეურაცხყოფის დასაწყისად რომ იქცა, მივიდა მასთან და მოწიწებით გაიწვია საცეკვაოდ. მანაც ხელი გაუწოდა და

გაფრთხიალდა კადრილში ჩასადგომად, სადაც მადამ დიუ გაც მონაწილეობდა. ქალების სამეჯლისო კაბები, საფრანგეთიდან განდევნილ სამეფო კარს რომ ახსენებდნენ, მათი დაპუდრული და დახუჭუჭებული თმა სასაცილოდ გამოიყურებოდა დახვეწილი, მდიდრული და სადა კოსტიუმის გვერდით, მადმუაზელ დე ვერნეის მოდის კარნახით რომ ეცვა. ქალები ხმამაღლა კიცხავდნენ, მაგრამ in petto...[16] ნამდვილად შურდათ. მამაკაცები აღფრთოვანებულები იყვნენ ბუნებრივი თმის მშვენიერებითა და სამოსით, რომლის ძირითადი ღირსება ის იყო, რომ ხაზს უსვამდა მის პროპორციულ, წერწეტ ტანს.

ამ დროს მარკიზი და გრაფი დარბაზში დაბრუნდნენ. ორივენი მადმუაზელ დე ვერნეის უკან გაჩერდნენ. მარი არ შებრუნებულა.

მას თავის პირდაპირ სარკეში რომც არ დაენახა მონტორანი, მადამ დიუ გას ქცევით მაინც მიხვდებოდა, რომ იქ იყო. ქალბატონი ცდილობდა, გულგრილობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ვერ მალავდა, რა მოუთმენლად ელოდა ბრძოლას, ადრე თუ გვიან შეყვარებულებს შორის რომ უნდა ამტყდარიყო. მარკიზი გრაფ დე ბოვანს და ორ სხვა სტუმარს ელაპარაკებოდა, მაგრამ მაინც შეეძლო გაება საუბარი მოცეკვავე ქალებისა და კავალერებისთვის, კონტრდანსის წესის მიხედვით, მადმუაზელ დე ვერნეისა და მისი მეზობლების ადგილი რომ დაიკავეს ერთი წუთით.

- ო, ღმერთო ჩემო, დიახ, ქალბატონო, მარტო მოვიდა, - თქვა ერთმა კაცმა.

- რა სითამამეა! - უპასუხა მოცეკვავე ქალმა.

- ასე რომ მეცვას, თავი შიშველი მეგონებოდა, - თქვა მეორე ქალმა.

- ო, თავდაჭერილი და კორექტული კოსტიუმი არ არის. მაგრამ რა ლამაზია, როგორ უხდება! - დაუმატა კავალერმა.

- უყურეთ, მე შემრცხვებოდა, ასე უზადოდ რომ ვცეკვავდე, არ გგონიათ, რომ ოპერის მოცეკვავეს ჰგავს? - ისევ ეჭვიანმა ქალმა.

- როგორ ფიქრობთ, აქ პირველი კონსულის სახელით სალაპარაკოდ მოვიდა? - ახლა მესამე ქალი ჩაერია.

- რა ხუმრობაა, - უპასუხა კავალერმა.

- მზითვად უბიწოებას ნამდვილად არ მიიტანს, - სიცილით თქვა პირველმა მოცეკვავემ.

ვაჟკაცი უცებ მოტრიალდა, რომ დაინახა ის ქალი, ასეთი ეპიგრამა ვინც გაბედა და მაშინ მადამ დიუ გამ ისეთი სახით შეხედა, აშკარად რომ ნიშნავდა: - ხომ ხედავთ, რასაც ფიქრობენ.

- მადამ, - სიცილით უთხრა გრაფმა მარის მოძულეს, - ჯერჯერობით მხოლოდ ქალები ცდილობთ მისი უმანკოების შებღალვას.

მარკიზმა გუნებაში ყველაფერი აპატია გრაფს. როგორც იქნა, გაბედა და შეხედა მარკიზმა თავის სატრფოს, რომელიც, როგორც თითქმის ყველა ლამაზი ქალი, სანთლის შუქზე კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა. მარიმ ზურგი შეაქცია, თავის ადგილს დაუბრუნდა და თავის კავალერს დაელაპარაკა, მარკიზის ყურამდე მისმა ალერსიანმა ხმამ მიაღწია.

- პირველი კონსული ძალიან სახიფათო ელჩებს გვიგზავნის, - ეუბნებოდა პარტნიორი.

- ეგ უკვე ითქვა ვივეტიერში! - უპასუხა მარიმ.

- მეფესავით კარგი მეხსიერება გქონიათ, - თქვა ახალგაზრდა კაცმა, უკმაყოფილომ, ასეთი იაღლიში რომ მოუვიდა.

- შეურაცხყოფა რომ აპატიო, უნდა გახსოვდეს, - გაუღიმა მარიმ და გამოიყვანა უხერხულობიდან.

- ეს ამნისტია ჩვენ ყველას გვეხება? - ჰკითხა მარკიზმა.

მაგრამ მარი ბავშვური აღტკინებით გაჰყვა ცეკვის ტალღას და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მონტორანი უპასუხოდ დატოვა. ცივად და ნაღვლიანად უყურებდა. ამის დანახვაზე მარიმ თავი დახარა ისეთი კეკლუცი მოძრაობით, რომ კისრის ლამაზი, გრაციოზული მოხაზულობა გამოეჩინა და ყველა ის მოძრაობა გააკეთა, რითაც თავისი სხეულის უბადლო სრულყოფილებას უჩვენებდა. მარი იმედივით იზიდავდა და მოგონებასავით ხელიდან უსხლტებოდა. ასეთ მომენტში მისი ნახვა ნებისმიერ ფასად მისი ხელში ჩაგდების სურვილით გამსჭვალვას ნიშნავდა. მარიმ ეს მშვენივრად იცოდა და

თავისი სილამაზის გააზრება წარმოუდგენელ მიმზიდველობას ანიჭებდა. მარკიზი გრძნობდა, როგორ ძლიერდებოდა მის გულში სიყვარულის, მძვინვარებისა და სიგიჟის ქარიშხალი. მან მაგრად მოუჭირა ხელი დე ბოვანს და თვალს მიეფარა.

- ოჰ, ნუთუ წავიდა? - იკითხა დაბრუნებულმა მადმუაზელ დე ვერნეიმ. გრაფი გავარდა გვერდით ოთახში, მარის თვალით ანიშნა და მარკიზი მოუყვანა.

- ჩემია, - გაიფიქრა მარიმ, სარკეში რომ აკვირდებოდა მის იმედის ნაზი მღელვარებით გაცისკროვნებულ სახეს.

მარი გამწყრალი სახით მდუმარედ შეხვდა და ღიმილით დაშორდა. ხედავდა, რომ სხვებს აღემატებოდა და ეამაყებოდა, რომ შეეძლო, ტირანულად მოპყრობოდა, უნდოდა, ძვირად დასჯდომოდა რამდენიმე კეთილი სიტყვა, ეგრძნობინებინა მათი ფასი ქალური ინსტინქტით, მეტ-ნაკლებად ყველა ქალი რომ ემორჩილება. კადრილის დამთავრებისთანავე, ვივეტიერში ნამყოფი ყველა დიდებული მიეახლა, გარს შემოერტყნენ, ყველას უნდოდა დანაშაულის გამოსყიდვა მეტ-ნაკლებად კარგად მოფიქრებული მლიქვნელობით, თავაზიანობით, მაგრამ ის, ვისი ნახვაც ყველაზე მეტად უნდოდა თავის ფეხებთან, თაყვანისმცემელთა ჯგუფს, სადაც იგი მეფობდა, არც კი უახლოვდებოდა.

- ჰგონია, რომ ისევ მიყვარს და არ უნდა, გაერიოს ჩემთვის უინტერესო ხალხში, - გაიფიქრა მარიმ.

ცეკვაზე უარი თქვა. იტყოდით, მის პატივსაცემად მოწყობილი საღამოაო, გადადიოდა კადრილის მოცეკვავეთა ერთი ჯგუფიდან მეორესთან, გრაფ დე ბოვანის მკლავზე დაყრდნობილი, რომლის მიმართაც აშკარად გამოხატავდა კეთილგანწყობას. მადამ დიუ გას წყალობით, ვივეტიერში მომხდარი ამბები ყველამ დაწვრილებით იცოდა. მან საქვეყნო გახადა მადმუაზელ დე ვერნეისა და მარკიზის ურთიერთობანი, ცდილობდა, ამით მათი შერიგებისთვის დამატებითი დაბრკოლება შეექმნა. ასე რომ, ორი გაბუტული შეყვარებული საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. მონტორანი ვერ ბედავდა თავის შეყვარებულთან მიახლოებას, რადგან დანაშაულის გრძნობა და ბობოქარი, ისევ აგიზგიზებული ტრფიალი ბოჭავდნენ და ამონებდნენ, ქალიშვილი კი, თითქოს მოცეკვავეებს აკვირდებოდა, თვალს

ადევნებდა მის ვითომდა მშვიდ სახეს.

- აქ საშინლად ცხელა, - უთხრა მარიმ თავის კავალერს, - მესიე დე მონტორანსაც შუბლი დაცვარული აქვს, გამიყვანეთ მეორე ოთახში, აქ სუნთქვა არ შემიძლია. ვიხრჩობი, - თავის მოძრაობით გრაფს მეზობელი სალონი მიუთითა, სადაც რამდენიმე ადამიანი ბანქოს თამაშობდა. მარკიზიც გაჰყვა, ტუჩების მოძრაობით გამოიცნო, რაც თქვა. თამამმა იმედმა გაუელვა, განცალკევდა ჩემთან დასალაპარაკებლადო და ამ შესაძლებელმა წყალობამ მის ვნებას მანამდე განუცდელი სიმძლავრე შესძინა და სიყვარული გაუძლიერა. მარის სიამოვნებდა შუანების ახალგაზრდა მეთაურის წვალება, მისი ალერსიანი და ხავერდოვანი მზერა, როცა გრაფს უყურებდა, უმეტყველო და პირქუში ხდებოდა, თუ შემთხვევით მარკიზის თვალებს წააწყდებოდა. მონტორანმა თავს ძალა დაატანა და ყრუ ხმით ჰკითხა: - მაშ, მე არ მაპატიებთ?

- სიყვარული ან არაფერს პატიობს, ან ყველაფერს, - ცივად უპასუხა მარიმ, - მაგრამ ამისთვის უნდა გიყვარდეს... - დაუმატა, როცა დაინახა რომ სიხარულმა გადაურბინა.

მერე ისევ დაეყრდნო გრაფის მკლავს და სწრაფად გავიდა სათამაშო დარბაზის მომიჯნავე, ბუდუარის მსგავს ოთახში. მარკიზიც შეჰყვა.

- უნდა მომისმინოთ! - შესძახა მან.

- ვინმეს ეგონება, რომ თქვენი გულისთვის მოვედი და არა ჩემი თავის პატივისცემის გამო. თუ არ შეწყვეტთ ჩემს დევნას, წავალ.

- კარგი, - თქვა მარკიზმა და გაახსენდა ლოტარინგიის უკანასკნელი ჰერცოგის გიჟური საქციელი, - ნება მომეცით, იმდენ ხანს გელაპარაკოთ, რამდენ ხანსაც შევძლებ ხელში ამ ნახშირის დაჭერას. დაიხარა, ბუხრიდან გავარვარებული ნახშირი ამოიღო და მაგრად მოუჭირა ხელი. მადმუაზელ დე ვერნეი გაწითლდა. გაითავისუფლა ხელი, გრაფს რომ ეყრდნობოდა და გაკვირვებულმა შეხედა მონტორანს. გრაფი ჩუმად გავიდა, შეყვარებულები მარტო დატოვა. ასეთმა გიჟურმა საქციელმა გული შეუტოკა მარის, რადგან სიყვარულში ყველაზე დამაჯერებელი მამაცური სისულელეა.

- ამით მხოლოდ იმას ამტკიცებთ, რომ შეგიძლიათ ჩემი

უსასტიკესი წამება, - ეუბნებოდა და თან ცდილობდა, გაეგდებინებინა ნახშირი, - ყველაფერში უკიდურესობა გიყვართ. სულელის სიტყვები და ქალის ცილისწამება დაიჯერეთ, ეჭვი შეგეპარათ მასში, ვინც სიკვდილს გადაგარჩინათ, ეჭვი შეგეპარათ იმაში, რომ გაგყიდდათ!

- დიახაც, სასტიკად მოგექეცით, - ღიმილით უთხრა, - სამუდამოდ დაივიწყეთ ეს, მე კი არასოდეს დამავიწყდება. მომისმინეთ... სულმდაბლად მომატყუეს, მაგრამ იმ საბედისწერო დღეს იმდენმა გარემოებამ მოიყარა თავი, თქვენ წინააღმდეგ რომ ღაღადებდა...

- და თქვენი სიყვარულის ჩასაქრობად ეს გარემოებები საკმარისი აღმოჩნდა?

პასუხს ვერ ბედავდა. მარიმ ქედმაღლური ჟესტი გააკეთა და ადგა.

- ო, მარი! აღარ მინდა დავიჯერო, რომ თქვენ...

- და გადააგდეთ ბოლოს და ბოლოს ეგ ნახშირი. გიჟი ხართ. გახსენით ხელი. მე ასე მინდა.

სიამოვნებდა მარის ნაზი მცდელობის წინააღმდეგობის გაწევა. სურდა, გაეგრძელებინა ძლიერი სიამოვნება, როცა ეხებოდა თლილი, საყვარელი თითები. ბოლოს, როგორც იქნა, გაახსნევინა დამწვარი ხელი. მარი მზად იყო, დაეკოცნა. სისხლმა ნახშირი ჩააქრო.

- აბა, ამით რას მიაღწიეთ? - დაძებნა თავისი ცხვირსახოცი, ჭრილობას დააფარა, რომელიც არც ისე ღრმა იყო. მერე მარკიზმა დასამალად ხელთათმანი მოირგო. მადამ დიუ გა ფეხაკრეფით შეიპარა სათამაშო ოთახში. ჩუმჩუმად უთვალთვალებდა შეყვარებულებს, მათ ოდნავ განძრევაზეც კი მარჯვედ უკან იხევდა და ემალებოდა. ძნელი იყო, გაეგო მათი სიტყვები, მაგრამ ყველაფერს ხედავდა.

- ყველაფერი, რაც ჩემზე გითხრეს, მართალი რომ ყოფილიყო, აღიარეთ, რომ ახლა შურისძიება შესრულებულად შეიძლება ჩათვლილიყო, - ღვარძლიანად უთხრა მარიმ; მარკიზი გაფითრდა.

- რა გრძნობამ მოგიყვანათ აქ, არ იტყვით?

- ჩემო ძვირფასო ბავშვო, მართლა ქარაფშუტა ხართ! ნუთუ მართლა გგონიათ, რომ დაუსჯელად შეიძლება შეურაცხყო ჩემნაირი ქალი? აქ თქვენ გამოც მოვედი და ჩემ გამოც, - მცირე პაუზის მერე დაუმატა, მკერდზე მოელვარე ლალის „მტევანს“ დასწვდა და ხანჯლის პირი უჩვენა.

- ეს ყველაფერი რას ნიშნავს? - ფიქრობდა მადამ დიუ გა.

- მაგრამ თქვენ ისე გიყვარვართ, - განაგრძო მარიმ, - ყოველ შემთხვევაში, გინდივართ მაინც, რაც ამ წუთში ჩადენილმა თქვენმა სისულელემ დამიმტკიცა, - და მისი ხელი აიღო. თქვენთვის მე ის ვარ, რაც მინდოდა და ბედნიერი მივდივარ. ვისაც ვუყვარვართ, მას მივუტევებთ კიდევაც. მე ვუყვარვარ, დამიბრუნდა პატივისცემა ადამიანისა, ჩემთვის მთელი სამყარო რომ არის. ახლა შემიძლია მოვკვდე.

- მაშ, ისევ გიყვარვართ? - შეეკითხა მარკიზი.

- განა ეგ ვთქვი? - დამცინავად უპასუხა მარიმ და სიხარულით შენიშნა, რომ მოსვლისთანავე დაწყებული წამება მარკიზისა - გაძლიერდა, - იცით, გარკვეული მსხვერპლის გაღება დამჭირდა აქ მოსასვლელად! სიკვდილს გადავარჩინე მესიე დე ბოვენი, რომელმაც, სამაგიეროდ, თავისი ხელი და ქონება შემომთავაზა. თქვენ მსგავსი რამ აზრად არ მოგსვლიათ!

ამ სიტყვებმა მარკიზი განაცვიფრა, გადაწყვიტა, რომ გრაფმა ისევ მოატყუა და ისე განრისხდა, როგორც არასდროს, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უპასუხა.

- აა! ფიქრობთ? ყოყმანობთ? - მწარედ გაეღიმა.

- მადმუაზელ, თქვენი უნდობლობა ჩემს ეჭვებს ამართლებს.

- წავიდეთ აქედან, - რადგან მადამ დიუ გას კაბის კალთას მოჰკრა თვალი და წამოდგა, მაგრამ სურვილმა, მეტოქე სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა, შეაჩერა.

- მაშ, გინდათ ჯოჯოხეთში მოვხვდე? - ჰკითხა მარკიზმა და მაგრად ჩაჰკიდა ხელი.

- ხუთი დღის წინ თქვენ განა ეგ არ გააკეთეთ? და ამ წუთშიც, განა არ მტანჯავს სასტიკი ეჭვი თქვენი სიყვარულის გულწრფელობისა?

- მე რა ვიცი, იქნებ თქვენი შურისძიების მიზანია,

დაეპატრონოთ ჩემს სიცოცხლეს, ჩირქი მომცხოთ, ნაცვლად ჩემი სიკვდილის ნდომისა?

- ოჰ, არ გიყვარვართ! ხოლოდ თქვენზე ფიქრობთ, ჩემზე კი არა! - გაცეცხლდა მარი და ცრემლები გადმოსცვივდა.

ლამაზმა ქალმა იცოდა, რა ძალა ჰქონდა ცრემლით დანისლულ მის თვალებს.

- აიღე ჩემი სიცოცხლე, ოღონდ ცრემლი შეიშრე! - თავდავიწყებით შესძახა მარკიზმა.

- ო! ჩემო სიყვარულო, - შესძახა მარიმ მოგუდული ხმით, - აი, როგორც იქნა, სიტყვები, ხმა და მზერა, ასე რომ ველოდი! ახლა შენი ბედნიერება ჩემსას მირჩევნია! ოღონდ, მესიე, გთხოვთ უკანასკნელ დასტურს თქვენი სიყვარულისას, რომელიც, როგორც ამბობთ, ასეთი ძლიერია. აქ დიდხანს არ მინდა დარჩენა. მხოლოდ იმდენი ხანი, რომ ყველამ დაინახოს, მე რომ მეკუთვნით. იმ სახლში, სადაც ის ქალი ცხოვრობს, რომელმაც ორჯერ სცადა ჩემი მოკვლა, რომელიც ალბათ, კიდევ რაღაცას ხლართავს ჩვენს წინააღმდეგ და ამ წუთშიც ყურს გვიგდებს ჩასაფრებული, - დაუმატა მარიმ და თითით მადამ დიუ გას კაბის ნაკეცების გაფრიალებაზე მიუთითა, - იმ სახლში მე ჭიქა წყალსაც კი არ დავლევ, - მერე ცრემლი შეიმშრალა, დაიხარა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში მარკიზს, რომელიც მისმა თბილმა, მოალერსე სუნთქვამ შეაკრთო.

- ყველაფერი მოამზადეთ წასასვლელად, - ჩურჩულებდა მარი, - გამაცილეთ ფუჟერამდე და მხოლოდ იქ გაიგებთ, ნამდვილად მიყვარხართ თუ არა! მეორეჯერ გენდობით. თქვენ შეგიძლიათ მეორედ მომენდოთ?

- ოჰ, მარი, იქამდე მიმიყვანეთ, რომ აღარ ვიცი, რას ვაკეთებ! თქვენი სიტყვები, თქვენი თვალები, თქვენ ისე მათრობთ, მზად ვარ, ყველაფერი შეგისრულოთ.

- აბა, მაშ, კარგი! გამაბედნიერეთ! საშუალება მომეცით, დავტკბე ტრიუმფით, ასე რომ ველოდები. მინდა ვისუნთქო იმ ცხოვრების ჰაერით, რომ ვოცნებობდი, დავტკბე ილუზიებით, სანამ არ გაფანტულან. წავიდეთ. მოდით, მეცეკვეთ.

დარბაზში ერთად დაბრუნდნენ. და მართალია, მადმუაზელ დე ვერნეის გული და პატივმოყვარეობა სავსებით

დაკმაყოფილებული იყო, რამდენადაც ეს ქალისთვისაა შესაძლებელი, მისი თვალების ამოუხსნელი თვინიერება, სიმშვიდე, ნაზი ღიმილი, ნატიფი მოძრაობები სწრაფი ცეკვისა, მალავდნენ მისი აზრების საიდუმლოს, როგორც ზღვა ინახავს ბოროტმოქმედის საიდუმლოს, მიცვალებულის სიმძიმეს რომ მიანდობს. საზოგადოებას ჩურჩულმა გადაურბინა, როცა მარი დატრიალდა და მკლავებში მოექცა თავის მიჯნურს ვალსის ცეკვისას. მიბნედილი თვალებით, გაბრუებულები, ხელებშემოჭდობილები ბზრიალებდნენ, რაღაცნაირი გაშმაგებით ჩახვეულები და ამით ამჟღავნებდნენ იმ სიამოვნების იმედს, უფრო ახლო ყოფნა რომ ჰპირდებოდათ.

- გრაფო, გაიგეთ, მოიტაცე-დიდი-კვერი თუ დაბრუნდა ბანაკში და გამომიგზავნეთ, - დაავალა მადამ დიუ გამ გრაფ დე ბოვანს, - დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ პატარა სამსახურისთვის ჩემგან ყველაფერს მიიღებთ, რასაც ისურვებთ, ჩემს ხელსაც კი. შურისძიება ძვირი დამიჯდება, - წაიჩურჩულა ქალმა და თვალი გააყოლა, - მაგრამ, ამჯერად არ ავაცდენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მადმუაზელ დე ვერნეი და მარკიზი ოთხ ძლიერ ცხენებშებმულ ბერლინაში ისხდნენ. ფრანსინი გაოგნებული, გატრუნული უყურებდა ვითომ მტრებს, ხელიხელჩაკიდებულები რომ ისხდნენ და როგორც ჩანს, სრულ ურთიერთგაგებას მიაღწიეს. იმის გაფიქრებასაც კი ვერ ბედავდა, მისი ქალბატონის ვერაგობა იყო ეს თუ სიყვარული. სიჩუმისა და ღამის სიბნელის გამო, მარკიზმა ვერ შენიშნა, ფუჟერთან მიახლოებისას, როგორ აღელდა მადმუაზელ დე ვერნეი. დაისის მკრთალ სინათლეში შორს სენ-ლეონარის სამრეკლო გამოჩნდა. და ამ დროს მარიმ გაიფიქრა - მოვკვდები. პირველ აღმართთან, მთის ძირში შეყვარებულებს ერთი და იგივე აზრი დაებადათ. ჩამოვიდნენ ეტლიდან და ფეხით აუყვნენ მაღლობს, თითქოს პირველი შეხვედრის მოსაგონებლად. როცა მარი მკლავზე დაეყრდნო მარკიზს და რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, ღიმილით გადაუხადა მადლობა იმისთვის, რომ სიჩუმე არ დაურღვია. მაგრამ როცა მაღალ პლატოზე ავიდნენ, საიდანაც ფუჟერი ჩანდა, ოცნებებიდან სრულიად გამოერკვა.

- ნუღარ წამოხვალთ, ჩემი ძალაუფლება დღეს ლურჯებისგან ვერ დაგიცავთ.

მონტორანის გაკვირვებულ მზერას ნაღვლიანი ღიმილით

უპასუხა და ხელით გრანიტის ლოდზე მიუთითა, თითქოს დაჯდომა უბრძანა, თვითონ მოწყენილი დადგა. სულის ამაფორიაქებელი მღელვარება კეკლუცობის ხალისს უკარგავდა. ამ მომენტში მუხლებით რომ დამდგრარიყო გავარვარებულ ნაკვერჩხალზე, ტკივილს ვერ იგრძნობდა, როგორც ვერ იგრძნო წვა მარკიზმა, თავისი სიყვარულის დასამტკიცებლად ნაკვერჩხალი რომ ეჭირა ხელში. მარიმ უზომო მწუხარებით შეხედა თავის სატრფოს და საშინელი სიტყვები უთხრა: - ყველაფერი, რასაც ეჭვობდით ჩემთან დაკავშირებით - მართალია!

მარკიზი შეკრთა. რაღაცის თქმა დააპირა; - თუ ღმერთი გწამთ, მომისმინეთ! ნუ შემაწყვეტინებთ, - და ვედრებით შეხედა, - ნუ შემაწყვეტინებთ. მე მართლაც ჰერცოგ დე ვერნეის შვილი ვარ, - აღელვებით დაიწყო მარიმ, - მაგრამ უკანონო შვილი. დედაჩემი, მადმუაზელ დე კატერანი მონაზონი გახდა, რომ აეცდინა წამება, ოჯახში რომ ემუქრებოდა, თხუთმეტი წელი ტირილით გამოისყიდა თავისი ცოდვა და სასოებაში გარდაიცვალა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი, დედათა მონასტრის წინამძღვარი ჩემი ძვირფასი აბატისა შეევედრა მამაკაცს, რომელმაც მიატოვა ეზრუნა ჩემზე, რადგან მტოვებდა მარტო, მეგობრების, ქონებისა დ მომავლის გარეშე... ამ კაცზე გამუდმებით ლაპარაკობდნენ ფრანსინის დედის სახლში, რომელთანაც მიმიყვანეს, მაგრამ მას გადავავიწყდი. მერე მაინც სიამოვნებით მიმიღო და მაღიარა შვილად, რადგან ლამაზი ვიყავი და ჩემში ალბათ თავის ახალგაზრდობას ხედავდა. ეს ერთ-ერთი იმ დიდებულთაგანი იყო, წინა მეფის დროს რომ მოიხვეჭა დიდება და უჩვენა, როგორ შეიძლება გეპატიოს დანაშაული, თუ დახვეწილად ჩაიდენ. მეტს არაფერს გეტყვით, ის ხომ მამაჩემია! ოღონდ, ნება მომეცით, აგიხსნათ, პარიზულ ცხოვრებას ცუდი გავლენა რატომ უნდა მოეხდინა ჩემს სულზე. ჰერცოგ დე ვერნეის საზოგადოება და ის წრე, რომელშიც შემიყვანა, გატაცებული იყვნენ გამქირდავი ფილოსოფიით, ასე რომ აღაფრთოვანებდა საფრანგეთს, მასზე ყველგან ძალიან გონებამახვილურად მსჯელობდნენ. ბრწყინვალე საუბრები ყურს სიამოვნებდა, მატყვევებდა დახვეწილი მოსაზრებები და პიკანტური ენამოსწრებული ქირდვა ყველაფრის - ჭეშმარიტისა და წმინდის. მამაკაცები დასცინოდნენ გრძნობებს, მშვენივრად ხატავდნენ მათ ისე, რომ თვითონ არაფერს მსგავსს არ განიცდიდნენ, აჯადოებდნენ

მსმენელს ეპიგრამებით, და უნარით, მთელი რომანი ერთი, კარგად მიგნებული სიტყვით გადმოეცათ, მაგრამ ხშირად სცოდავდნენ, თავს აბეზრებდნენ მეტისმეტი ენაკვიმატობით და ღლიდნენ ქალებს იმით, რომ სიყვარულს უფრო ხელოვნებად წარმოადგენდნენ, ვიდრე გულითადობად. მეც არ შევწინააღმდეგებივარ და ამ დინებას მივყევი. თუმცა საკმაოდ მგრძნობიარე ვიყავი, მაპატიეთ ჩემი სიამაყე, ვხვდებოდი, რომ გონებამ ამ ხალხს გული გაუქვავა, გამოუფიტა. მაგრამ იმჟამინდელმა ჩემმა ცხო-ვრებამ დამიტოვა მუდმივი ბრძოლა ბუნებრივ გრძნობებსა და ახირებულ, მანკიერ ჩვეულებებს შორის. ზოგიერთი გამორჩეული პიროვნება მივითარებდა თავისუფალ აზროვნებას და მიღებული წესების არადაჩაგდებას, რაც ქალს აკარგვინებს შინაგან მოკრძალებას; რაც, თავისთავად, ხიბლს ართმევს. ვაგლახ, უბედურებას არ ძალუძს სიმდიდრით შეძენილი ნაკლის გამოსწორება! - მარიმ ღრმად ამოიოხრა და განაგრძო, - მამაჩემმა, ჰერცოგმა დე ვერნეიმ სიკვდილის წინ მაღიარა და სამემკვიდრეო წილი გამიზარდა, რითაც მისი კანონიერი ვაჟის ქონება შეამცირა. ძმამ ჩემს წინააღმდეგ საქმე აღძრა, ანდერძის ნამდვილობა სადავო გახდა. და აი, ერთ დილას აღმოვჩნდი უსახლკაროდ და უმფარველოდ. სამი წლის მანძილზე შეძლებულ ოჯახში ცხოვრებამ პატივმოყვარეობა გამივითარა. ყველა ახირების შესრულებით, მამაჩემმა ფუფუნების მოთხოვნილება და დამღუპველი თვისებები გამიღვიძა, რომელთა საშიშროებასა და ტირანულ ძალაუფლებას ჩემი ნორჩი და გულუბრყვილო სული ვერ აცნობიერებდა. მამაჩემის მეგობარმა, მარშალმა და ჰერცოგმა დე ლენონკურმა, სამოცდაათი წლის მოხუცმა, შემომთავაზა, ჩემი მეურვე ყოფილიყო. დავთანხმდი. ამ საძაგელი პროცესის დაწყებიდან სამი დღის შემდეგ ისევ აღმოვჩნდი ბრწყინვალე სახლში და ვსარგებლობდი ყველა სიკეთით, რაზეც ჩემი ძმის სისასტიკემ მამაჩვენის კუბოსთან ამაღებინა ხელი. ყოველ საღამოს მოხუცი მარშალი რამდენიმე საათს ატარებდა ჩემთან და მხოლოდ მანუგეშებელ ტკბილ სიტყვებს მეუბნებოდა. მისი ჭაღარისა და მამობრივი სინაზის გამო, მის გულში იგივე გრძნობები დავინახე, რასაც მე ვატარებდი და მიხაროდა, მის ქალიშვილად რომ ვგრძნობდი თავს. ლამაზი საჩუქრებით მანებივრებდა და მეც ყველა ჩემს სურვილს ვეუბნებოდი, ვხედავდი, რა სიამოვნებით მისრულებდა. ერთ საღამოს გავიგე, რომ მთელი პარიზი ამ საცოდავი მოხუცის საყვარლად მთვლიდა. დამიმტკიცეს, რომ

ვერასგზით დავიბრუნებდი პატიოსან სახელს, რომელსაც ძალიან ადვილად მართმევდნენ. კაცმა, რომელიც ჩემი გამოუცდელობით ისარგებლა, ჩემი საყვარელი ვერ იქნებოდა, ქმრობა არ უნდოდა. იმ კვირას, როცა საშინელი აღმოჩენა გავაკეთე, იმ დღის წინადღეს, რომელიც დაინიშნა ჩემს იმ კაცთან დასაკავშირებლად, გვარის მოცემაზე რომ დავითანხმე, ცოდვის გამოსწორების ერთადერთ საშუალებად ის მოიფიქრა, რომ კობლენცში გაემგზავრა. სამარცხვინოდ გამომაგდეს პატარა სახლიდან, სადაც მარშალმა დამასახლა და რომელიც მისი არ ყოფილა. აქამდე რაც გითხარით, სრული სიმართლეა, როგორც ღვთის წინაშე, ისე გიამბეთ ყველაფერი. მაგრამ ახლა ნუღარ ჰკითხავთ უბედურ ქალს მის მეხსიერებაში დამარხულ ტანჯვაში გატარებული დღეების ანგარიშს. მოხდა ისე, რომ დანტონის ცოლი გავხდი. რამდენიმე დღის შემდეგ ქარიშხალმა წააქცია ეს უზარმაზარი მუხა, მკლავები რომ მქონდა შემოხვეული. ისევ საშინელ გაჭირვებაში აღმოვჩნდი და ამჯერად სიკვდილი გადავწყვიტე. არ ვიცი, სიცოცხლის სიყვარული თუ იმედი, რომ უბედურებას მობეზრდებოდა ბოლოს და ბოლოს ჩემი დევნა და უძირო უფსკრულის სიღრმეში დავიჭერდი ბედნიერებას, სულ რომ მისხლტებოდა ხელიდან, ჩემი არამკითხე მრჩევლები რომ აღმოჩნდნენ, თუ, იქნებ ერთი ახალგაზრდა კაცის თხოვნამაც გაჭრა, რომელიც, აი უკვე ისე მომეწება, როგორც გველი ხეს, ეტყობა, იმედი აქვს, რომ უბედურების ზღვრამდე მისული მას ჩავუვარდები ხელში, არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ დავთანხმდი, სამასი ათასი ფრანკის საფასურად მიმეღო მდაბალი წინადადება: ჩამოვსულიყავი აქ, გამეკეთებინა ისე, რომ შევყვარებოდი მავან უცნობ მამაკაცს და მთავრობის ხელში გადამეცა. როგორც კი დაგინახეთ, რაღაცნაირი წინათგრძნობით, არასოდეს რომ არ გვატყუებს, მივხვდი, ვინ ხართ. და ისე ძალიან მინდოდა, ეჭვი დამრჩენოდა; რადგან რაც უფრო მიყვარდებოდით, მით უფრო საშინელი იყო ჩემთვის დარწმუნება. გადაგარჩინეთ მეთაური იულოსაგან, უარი ვთქვი ჩემს როლზე და გადავწყვიტე ჯალათების მოტყუება, იმის მაგივრად, რომ მსხვერპლი მომეტყუებინა. შევცდი: ასეთი ქცევით ხალხის სიცოცხლით ვთამაშობდი, მათი პოლიტიკით და ჩემი თავითაც, ქალიშვილის იმ თავდაჭერილობით, რომლისთვისაც მხოლოდ გრძნობები არსებობს. ვთვლიდი, რომ შემიყვარეს, იმედი მომეცა, რომ სიცოცხლეს თავიდან დავიწყებდი, მაგრამ ყველაფერი, და ალბათ თვითონ მეც გავცემდი ჩემს უწესრიგო

წარსულს - არ შეგეძლოთ ჩემნაირი ვნებიანი ქალის ნდობა გქონოდათ. მაგრამ ვინ იქნებოდა ისეთი, ჩემი სიყვარული და გულჩათხრობილობა არ შეენდო? დიახ, ბატონო, მეგონა, ცუდი სიზმარი ვნახე, გამომეღვიძა და ისევ თექვსმეტი წლისა ვიყავი. მე ხომ ალანსონში აღმოვჩნდი, სადაც ბავშვობა გავატარე და უმანკო, სუფთა მოგონებები დამეუფლა. მე უგუნურმა გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ სიყვარული ნათლობასავით არის და უბიწოებას დაგიბრუნებს. ერთი წუთით ისიც კი ვიფიქრე, ქალწული ვარ-მეთქი, რადგან ჯერ არასოდეს მყვარებია. მაგრამ გუშინ საღამოს თქვენი გატაცება გულწრფელი მეჩვენა და შინაგანმა ხმამ შემარ-ცხვინა: „რატომ ატყუებ?“ ასე რომ, იცოდეთ, ბატონო მარკიზო, - განაგრძო მარიმ მკერდისმიერი, მაგრამ ამაყი გამოწვევა რომ ისმოდა, ისეთი ხმით, - გაიგეთ და დაიხსომეთ, რომ უღირსი ადამიანი ვარ და თქვენი ღირსი ვერ ვიქნები. ამ წუთიდან ისევ კურტიზანი ქალის როლს ვითამაშებ, დამღალა როლმა იმ ქალისა, თქვენ რომ ყველაფერი დაუბრუნეთ, რაც კი წმინდაა გულში. სათნოება მღლის. შემძულდებოდით, სისუსტე რომ გამოგეჩინათ და დაქორწინება რომ მოგესურვებინათ ჩემზე. ასეთი სისულელე ვინმე გრაფმა დე ბოვენმა შეიძლება ჩაიდინოს. თქვენ კი, მესიე, თქვენი მომავლის ღირსი იყავით და დაუნანებლად დამტოვეთ. კურტიზანი მეტისმეტად მომთხოვნი იქნებოდა, მას სხვანაირად ეყვარებოდით, ისე არა, როგორც უბრალო, გულუბრყვილო გოგონას, რომელსაც ერთი წამით ჩაესახა გულში მშვენიერი იმედი, ყოფილიყო თქვენი მეგობარი, ეზრუნა, რომ ყოველთვის ბედნიერი ყოფილიყავით, თქვენი ღირსი ყოფილიყო, გამხდარიყო კეთილშობილი მეუღლე და ამ გრძნობამ შემაძლებინა გამეცოცხლებინა ჩემს სულში მდაბალი ბუნება სირცხვილისა, მანკიერებისა და უმსგავსობის, რომ აღმემართა ჩვენს შორის სამუდამო ბარიერი. მსხვერპლად გწირავთ ღირსებასა და ქონებას. სიამაყე, რომელსაც ეს მსხვერპლი აღმიძრავს, გულს გამიმაგრებს უბედურების ჟამს და, დაე, ბედისწერამ თავის ნებაზე განსაზღვროს ჩემი ხვედრი. არასოდეს გაგცემთ. პარიზში ვბრუნდები. იქ თქვენი სახელი ჩემი მეორე „მე“ იქნება და ბრწყინვალება, რომლის შემატებასაც შეძლებთ მისთვის, მანუგეშებს ყველა ვაების დროს. თქვენ კი, თქვენ მამაკაცი ხართ, დამივიწყეთ... მშვიდობით!

მარი მოწყდა ადგილიდან, გაიქცა სენ-სიულპისის ველისკენ და

სანამ მარკიზი წამოდგებოდა და მის შეჩერებას შეძლებდა, გაქრა. მაგრამ მალევე დაბრუნდა, კლდის ღრმულში შეძვრა და თავისი სამალავიდან ინტერესით, ცნობისმოყვარეობითა და ეჭვით უყურებდა მარკიზს. დაინახა, როგორ მიდიოდა ალალბედზე, დარდით გათანგულივით.

- ნუთუ სუსტი ადამიანია? - გაიფიქრა მარიმ, როცა თვალს მოეფარა და გაიაზრა, რომ დაშორდა, - გამიგებს კი? - გააჟრჟოლა. მერე სწრაფი ნაბიჯით მარტო წავიდა ფუჟერისკენ, თითქოს შეეშინდა, მარკიზი არ გაჰყოლოდა ქალაქისკენ, სადაც მას სიკვდილი ელოდა.

- აბა, ფრანსინ, რა გითხრა? - ჰკითხა მარიმ, როცა ერთგული ბრეტონელი ქალი წამოეწია.

- საბრალო! მარი, ძალიან შემეცოდა. თქვენ, დიდებული ქალები სიტყვით უფრო დიდ ჭრილობას აყენებთ, ვიდრე ხანჯლით.

- როგორ იყო, რომ შეგხვდა?

- განა დამინახა?.. ოჰ, მარი, უყვარხარ!

- ო, ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ - ეს ორი სიტყვა ჩემთვის სამოთხეა და ჯოჯოხეთი. ამ ორ უკიდურესობას შორის ფეხის დასადგმელი ადგილი არ არის.

ახლა, როცა მარის საშინელი ხვედრი გაირკვა, შეეძლო მისცემოდა დარდს. სახეზე, რომელზეც აქამდე სხვადასხვა გრძნობა ესახებოდა, უცებ თითქოს ლოყები ჩაუცვივდა და მთელი დღის მღელვარების, ბედნიერების წინათგრძნობასა და სასოწარკვეთილებას შორის გრძნობათა მონაცვლეობის შემდეგ სადღაც გაქრა მისი ბრწყინვალება და სინორჩე, რომელთა სათავე ყოველგვარი ვნების განელებაა ან განცხრომით თრობა. ახალი დაბრუნებული იყო მარი, როცა გამოეცხადნენ იულო და კორანტენი, აინტერესებდათ მისი გიჟური მოგზაურობის ამბები, მარიმ ღიმილით მიიღო ისინი.

- მაშ, ასე, მეთაურო, - უთხრა მარიმ იულოს, რადგან შეფიქრიანებულ სახეზე შეკითხვა ეწერა, - მელას თქვენი ტყვია უკვე მისწვდება და მალე დიდებულ გამარჯვებასაც მოიპოვებთ.

- რატომ, რა მოხდა? - ვითომ უინტერესოდ ჰკითხა კორანტენმა და ისე შეხედა, მისნაირი დიპლომატები სხვათა აზრების

ამოკითხვას რომ ცდილობენ ხოლმე.

- ოო, ვაჟკაცი ახლა უფროა შეყვარებული, ვიდრე ოდესმე და ვაიძულე, ფუჟერის კარიბჭემდე მოვეცილებინე.

- ეტყობა, თქვენი ძალაუფლება მანდ შეწყდა, - თქვა ისევ კორანტენმა, - და მაგ ყოფილს ეტყობა შიში თქვენდამი სიყვარულზე უფრო ძლიერი აქვს.

მადმუაზელ დე ვერნეიმ მედიდურად შეხედა.

- თქვენი საზომით ნუ ზომავთ, - მაშ, აქ რატომ არ მოგიყვანათ? - უშფოთველად ჰკითხა კორანტენმა.

- და თუ მართლა ვუყვარვარ? - ჰკითხა იულოს ეშმაკური ღიმილით, - ძალიან გაბრაზდებოდით, რომ გადამერჩინა და საფრანგეთიდან წამეყვანა?

მოხუცი ჯარისკაცი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა და თითქმის აღფრთოვანებული ეამბორა ხელზე; მერე დაჟინებით შეხედა და პირქუშად უთხრა: - თქვენ დაგავიწყდათ? ჩემი ორი მეგობარი და სამოცდასამი ჯარისკაცი!..

- ოჰ, პოლკოვნიკო, ეგ მისი ბრალი არ იყო, - გულუბრყვილოდ მიუგო მარიმ, - ბოროტმა ქალმა მოატყუა, მაგ ქალს, მე მგონი, ლურჯების სისხლის დალევაც შეუძლია...

- ნუ დასცინით მეთაურს, - შენიშნა კორანტენმა, - თქვენს ხუმრობას მიჩვეული არ არის.

- გაჩუმდით, - უთხრა მარიმ, - და გახსოვდეთ, ის დღე, როცა ძალიან მომაბეზრებთ თავს, ჩვენი ნაცნობობის ბოლო დღე იქნება.

- როგორც ვხედავ, საბრძოლველად უნდა მოვემზადო, - მშვიდად თქვა იულომ.

- ძალა არ გეყოფათ, მათი ექვსი ათას კაცზე მეტი დავინახე სენ-ჯემსში, რეგულარული ჯარი, არტილერია და ინგლისელი ოფიცერი. ჩემი თვალით ვნახე, ამდენ ხალხს მის გარეშე რა ეშველება? მეც ფუშეს ვეთანხმები. მისი თავი - ყველაფერია.

- მერე და, მის თავს მივიღებთ? - მოუთმენლად ჰკითხა კორანტენმა.

- მე რა ვიცი! - უზრუნველად უპასუხა მარიმ.

- ინგლისელები! - გაბრაზდა იულო, - ეგღა აკლდა, ნამდვილი ბატონივით რომ იყოს! მე შენ გიჩვენებ ინგლისელებს! დამაცადე! მოქალაქე დიპლომატო, მე მგონი, ეს გოგო ხშირად გიტევს, - უთხრა იულომ კორანტენს, რამდენიმე ნაბიჯით რომ დაშორდნენ სახლს.

- ბუნებრივია, მოქალაქე მეთაურო.

კარი V

- სრულიად ბუნებრივია, მოქალაქე მეთაურო, - შეესიტყვა შეფიქრიანებული კორანტენი, - მისმა სიტყვებმა თავგზა რომ აგიბნია, ყველაფერში მხოლოდ ცეცხლს ხედავ. თქვენ, ჯარისკაცებმა არ იცით, რომ ომის სხვადასხვა ხერხი არსებობს.მარჯვედ თუ გამოიყენებ მამაკაცებისა და ქალების გატაცებებს, როგორც ზამბარებს, სახელმწიფოს სასარგებლოდ თუ აამუშავებ, ყველა კბილანა თვლებს იმ უზარმაზარი მანქანისა, „მთავრობას“ რომ ეძახიან, მის მექანიზმში თუ ჩართავ ყველაზე მოუთოკავ გრძნობებს და გულიანად ამუშავებ ბერკეტებს, განა ღმერთის მსგავსად შექმნა არ არის? ღმერთისა, რომელიც სამყაროს ცენტრშია!

- ნება მომეცით, ჩემი ხელობა თქვენსას მერჩიოს, - მშრალად უთხრა იულომ, - რაც გინდათ, ის აკეთეთ თქვენი კბილანა თვლე-ბით, მე კი სამხედრო მინისტრის გარდა სხვა ხელმძღვანელი არ მწამს. მითითება მაქვს მიღებული, ჩემი თავზეხელაღებულებით სალაშქროდ მივდივართ, მტერს შევუტევთ და პირისპირ შევხვდებით, შენ კი კუდით გინდა დაჭერა.

- შენი ნებაა, შეგიძლია სალაშქროდ მოემზადო, - უპასუხა კორანტენმა, - როგორც ამ გოგოს მიხედვით ვხვდები, რამდენადაც მიუწვდომლად და გულჩახვეულად უნდა გეჩვენოს, შებრძოლება არ აგცდება და მალე გასიამოვნებ, მაგ ყაჩაღების მეთაურს პირისპირ შეგახვედრებ.

- როგორ? - ჰკითხა იულომ და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, უკეთ რომ დაენახა ეს უცნაური ადამიანი.

- მადმუაზელ დე ვერნეის უყვარს ვაჟკაცი, - ყრუ ხმით განაგრძო კორანტენმა, - შესაძლოა, მასაც უყვარს. მარკიზი, წითელი ლენტი, ახალგაზრდა და გონებამახვილია; ვინ იცის, იქნებ ჯერ ისევ მდიდარიც, რამდენი ცდუნებაა! რა სასაცილო იქნებოდა მისი მხრიდან, თავის სასარგებლოდ არ ეზრუნა და არ ცდილიყო, ცოლად გაჰყოლოდა, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთვის გადმოეცა! ჩვენი გაცურება უნდა. მის თვალებში რაღაც დაბნეულობა შევნიშნე, შეყვარებულებს ალბათ პაემანი ექნებათ, იქნებ უკვე შეთანხმდნენ კიდევაც. ასე რომ, ხვალ ის კაცი ჩემს ხელთ იქნება და ვერც გამექცევა. აქამდე ის რესპუბლიკის მტერი იყო, ახლა, რამდენიმე წუთის წინ ჩემი მტერი გახდა და ვინც ჩემსა და ამ ქალიშვილს შორის ჩადგა, ეშაფოტზე მოკვდა.

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე, კორანტენი ისევ ფიქრებში ჩაიძირა და ვერ შეამჩნია, რა ღრმა სიძულვილი გამოეხატა სახეზე პატიოსან ჯარისკაცს, როცა იულო ჩასწვდა ამ ინტრიგის სიღრმესა და ზამბარების მექანიზმს, ფუშე რომ აყენებდა. გადაწყვიტა, კორანტენისთვის წინააღმდეგობა გაეწია ყველაფერში, რაც მთავრობის საქმეებისა და სურვილების წარმატებას არ ავნებდა და რესპუბლიკისთვის პატიოსნად მომკვდარიყო იარაღით ხელში, და არა ჯალათის ხელით, რომლის მიმწოდებელიც, თავისივე აღიარებით, საიდუმლო პოლიციის ეს ჯაშუში აღმოჩნდა.

- პირველი კონსული რომ დამიჯერებდეს, - გაიფიქრა იულომ და კორანტენს ზურგი შეაქცია, - არისტოკრატიასთან საბრძოლველად ასეთ მელიებს დატოვებდა, ერთმანეთის ღირნი არიან, ჯარისკაცებს კი სხვა საქმეებისთვის გამოიყენებდა.

კორანტენმა ცივად შეხედა მეომარს, რომელსაც ამ აზრმა სახე გაუნათა და მაშინ ამ დაბალი რანგის მაკიაველის თვალებში გესლიანმა გამომეტყველებამ გაირბინა, რაც თავის უპირატესობაში დარწმუნებულობაზე მიუთითებდა.

- ამ საქონელს მიეცით სამ-სამი წყრთა ლურჯი მაუდი, რკინის ნაჭერი დაჰკიდეთ გვერდზე, - ფიქრობდა კორანტენი, და ეგონება, პოლიტიკაში ხალხის დახოცვა მხოლოდ ერთი ხერხით

შეიძლება...

რამდენიმე წუთი მარტო მიმოდიოდა და უცებ გაიფიქრა: - დიახ, დრო მოვიდა, ეს ქალი ჩემი გახდება! ხუთი წლის მანძილზე, წრე, რომელზეც გარშემო ვუვლი, ძალიან უმნიშვნელოდ შემცირდა და ახლა ჩემს ხელშია. მასთან ერთად კი მთავრობაში ისევე მაღლა ავალ, როგორც ფუშე, და თუ დაკარგავს ერთადერთ კაცს, რომელიც უყვარს, დარდი მას სულითაც და ხორცითაც დამიმორჩილებს. მხოლოდ თვალის დევნებაა საჭირო და საიდუმლოს ამოხსნა.

მალე დაკვირვებული კაცი შეამჩნევდა კორანტენის გაფითრებულ სახეს იმ სახლის ფანჯარაში, საიდანაც ყველა ჩანდა, ვინც სენ-ლეონარის ეკლესიის პარალელურად ჩარიგებული სახლებით შექმნილ ჩიხში შედიოდა. კორანტენი თაგვის მომლოდინე კატის მოთმინებით იქ დილამდე დარჩა, ყველა გაფაჩუნებას ამჩნევდა და ყველა გამვლელს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა. ბაზრის დღე თენდებოდა. თუმცა ამ ძნელბედობის ჟამს გლეხები ძნელად მოდიოდნენ ქალაქში. კორანტენმა დაინახა ერთი პატარა, მოქუფრულსახიანი, ხისტყავიანი კაცი პატარა, მრგვალი, დაბალი კალათით ხელში, მადმუაზელ დე ვერნეის სახლისკენ რომ მიემართებოდა და აქეთ-იქით უზრუნველად იყურებოდა. კორანტენი გავიდა, გადაწყვიტა, გამოსულს დახვედროდა, მაგრამ უცებ გაიფიქრა, მოულოდნელად რომ შესულიყო მადმუაზელ დე ვერნეის სახლში, იქნებ ერთი შეხედვით შიკრიკის კალათის საიდუმლოც ამოეხსნა. თანაც ყურმოკრული ჰქონდა ბრეტონელებისა და ნორმანდიელების ეშმაკური, გაუგებარი მეტყველების შესახებ.

- დაასხი-კუტალო! - შესძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ, როცა ფრანსინმა ოთახში შეიყვანა შუანი, - ნუთუ ვუყვარვარ? - ჩაილაპარაკა.

უნებურმა იმედმა ლოყები აუღუღუნა და გული სიხარულით აუვსო. დაასხი-კუტალმა დიასახლისს შეხედა, მერე უნებურად გახედა ფრანსინს, მაგრამ მადმუაზელ დე ვერნეიმ ჟესტით დაამშვიდა.

- მადამ, - ორი საათისკენ ჩემთან იქნება და დაგელოდებათ.

მღელვარებისგან მადმუაზელ დე ვერნეიმ თავის დაქნევის მეტი სხვა პასუხი ვერ მოახერხა. ამ დროს გვერდით, სასტუმრო

ოთახში კორანტენის ფეხის ხმა გაისმა. დაასხი-კუტალმა შენიშნა, როგორ შეკრთა მადმუაზელ დე ვერნეი და თვალით საფრთხეზე მიანიშნა, მაგრამ შუანმა, როგორც კი ჯაშუშის ეშმაკი სახე გამოჩნდა, გამაყრუებელი ხმით დაიწყო ლაპარაკი.

- ო! ო! - ეუბნებოდა ფრანსინს, - ბრეტანის კარაქიც არის და კარაქიც. თქვენ ჟიბარიც გინდათ და თერთმეტ სულზე მეტიც არ გემეტებათ? მაშინ არ უნდა დაგებარებინეთ! მერე როგორი კარაქია! - ახადა კალათს და ბარბეტას შედღვებილი ორი გუნდა აჩვენა. ნამდვილი ფასი მომეცით, ჩემო კეთილო ქალბატონო, ერთი სუ მაინც დაუმატეთ!

მის სამარისებურ ხმას არავითარი ემოცია არ დასტყობია და მწვანე თვალებმაც, ჭაღარა, სქელი წარბების ქვემოდან მშვიდად გაუძლეს კორანტენის გამჭოლ მზერას.

- აბა, გაჩუმდი, ძიაკაცო, შენ აქ კარაქის გასაყიდად არ მოსულხარ, რადგან იმ ქალთან მოხვედი, რომელსაც ცხოვრებაში არ უვაჭრია. სახიფათო ხელობა აგირჩევია, მეგობარო, ეგ იქამდე მიგიყვანს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი თავით დაბალი გახდები, - მერე კორანტენმა მხარზე დაუტყაპუნა და უთხრა, - ორი ბატონის მსახური ვერ იქნები, შუანებისაც და ლურჯებისაც.

დაასხი-კუტალს მთელი თავისი ნებისყოფა დასჭირდა რომ ჩაეხშო გაცოფება და ეს ბრალდებაც არ უარყო, თუმცა თავისი სიხარბით კი დაიმსახურა. თავი მოთოკა და თქვა: - მესიეს ჩემი მასხრად აგდება უნდა.

კორანტენმა შუანს ზურგი შეაქცია, მაგრამ მადმუაზელ დე ვერნეის მისალმებისას, გული რომ შეეკუმშა, ადვილად შეძლო სარკეში მისი თვალთვალი. დაასხი-კუტალს ეგონა, ჯაშუში ვეღარ ხედავდა და ფრანსინს თვალებით ჰკითხა, მანაც კარისკენ ანიშნა და უთხრა: - ძიაკაცო, წამომყევით, ჩვენ ყოველთვის მოვრიგდებით.

კორანტენს არაფერი გამოჰპარვია, არც მადმუაზელ დე ვერნეის ღიმილით ცუდად დაფარული მღელვარება, არც ის, რომ წამოწითლდა, სახე შეეცვალა. არც შუანის შეშფოთება, ფრანსინის ჟესტი - ყველაფერი დაინახა და დარწმუნდა, რომ დაასხი-კუტალი მარკიზის გამოგზავნილი იყო, ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ თხის ტყავის გრძელი ბეწვით დაიჭირა, თავისკენ მიიზიდა, თვალებში ჩახედა და უთხრა: - სად

ცხოვრობ, მეგობარო, კარაქი მჭირდება...

- მთელმა ფუჟერმა იცის, სადაც ვცხოვრობ, ბატონო ჩემო, თითქმის...

- კორანტენ! - შესძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ და შუანს შეაწყვეტინა, - საშინელი თავხედი ბრძანდებით, ასეთ დროს რომ მოხვედით და თითქმის ჩაუცმელს მხედავთ. გაანებეთ ამ გლეხს თავი. მისთვის თქვენი ხრიკები ისეთივე გაუგებარია, როგორც ჩემთვის მათი მიზანი. წადით, ჩემო კარგო!

ერთხანს დაასხი-კუტალი ყოყმანობდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო, საწყალი კაცის ბუნებრივმა თუ ყასიდმა გაუბედაობამ, რომელმაც არ იცოდა, ვის დამორჩილებოდა, შეაცდინა კორანტენი, შუანი კი, ქალიშვილის მბრძანებლური ჟესტის თანახმად, მძიმე ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან. მადმუაზელ დე ვერნეი და კორანტენი უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს. ამჯერად მარიმ კრიალა თვალები ვერ გაუსწორა ამ კაცის მოელვარე მზერას. მტკიცე ნაბიჯით მისმა შემოსვლამ, ჯაშუშის სახის გამომეტყველებამ, მანამდე რომ არ იცნობდა მარი, მისმა წვრილმა ხმამ, სიარულის ყაიდამ, ყველაფერმა შეაშინა. მიხვდა, რომ მათ შორის ბრძოლა იწყებოდა, რომელშიც მის წინააღმდეგ თავისი ზეგავლენის ყველა ბნელ ძალას გამოიყენებდა. ამ მომენტში მარიმ დაინახა მთელი სიღრმე იმ უფსკრულისა, რომელშიც გადაეშვა, მაგრამ სიყვარულმა ძალა შეჰმატა, რომ გაეფანტა თავისი საშინელი წინათგრძნობა.

- კორანტენ, - თითქმის მხიარულად აჟღურტულდა მარი, - იმედი მაქვს, მოწესრიგების საშუალებას მომცემთ.

- მარი... ნება მომეცით, ასე მოგმართოთ... თქვენ მე ჯერ არ მიცნობთ! ჩემზე ნაკლებ გამჭრიახი ადამიანიც კი მიხვდებოდა, რომ მარკიზი გიყვართ. მე არაერთხელ შემომითავაზებია თქვენთვის ჩემი ხელი და გული, თქვენ გადაწყვიტეთ, რომ მე თქვენი ღირსი არ ვარ და იქნებ მართალიც ხართ. მაგრამ, თუ თვლით, რომ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახართ, ჩემზე მეტისმეტად ლამაზი და კეთილშობილი ხართ, მოვახერხებ და გაიძულებთ, ჩემს დონემდე დაეშვათ. ჩემი პატივმოყვარეობა და შეხედულებები პატივისცემას ვერ აღგიძრავენ, მაგრამ, გულახდილად რომ ითქვას, ცდებით. ხალხს ჩემს თვალში დიდი ღირსებები არა აქვს, თითქმის არავითარი, ამის ღირსნი არც არიან. მე, უეჭველია, მაღალ მდგომარეობას მივაღწევ,

პატივსა და ღირსებას, რაც გეამებათ. ვის შეუძლია ჩემზე მეტად უყვარდეთ? ვინ მოგცემთ ნებას, იბატონოთ მასზე, თუ არა ადამიანი, ვისაც ხუთი წელია უყვარხართ? თავს საფრთხეში ვიგდებ, ნუ შეგექმნებათ არასწორი წარმოდგენა ჩემზე, რადგან ვერ გაიგებთ, რომ შეიძლება უარი თქვა ადამიანზე, რომელიც მეტისმეტად გიყვარს, კერპად გყავს. ამ ჩემი სიყვარულის უანგარობას დაგიმტკიცებთ. ნუ იქნევთ ლამაზ თავს ასე დაეჭვებით. თუ მარკიზს უყვარხართ, გაჰყევით ცოლად, ოღონდ, ჯერ დარწმუნდით, რომ გულწრფელია. სასოწარკვეთა შემიპყრობს, თუ გავიგებ, რომ მატყუებთ, რადგან თქვენი ბედნიერება მირჩევნია ჩემსას. ჩემმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გაგაკვირვოთ, მაგრამ ეს მხოლოდ კეთილგონიერი ადამიანის სიფრთხილეა, ადამიანისა, რომელიც იმდენად სულელი არ არის, რომ უნდა ქალი მისი სურვილის გარეშე. ჩემს თავს ვადანაშაულებ, და არა თქვენ, ჩემი მცდელობის უნაყოფობაში. იმედი მქონდა, რომ დავიპყრობდი თქვენს გულს მორჩილებითა და ერთგულებით, რადგან, დიდი ხანია, და თქვენ ეს იცით, მინდა გაგაბედნიეროთ, როგორც მე მესმის, მაგრამ თქვენ არ მოისურვეთ რამით მაინც წაგეხალისებინეთ.

- ვიტანდი თქვენს ჩემ გვერდით ყოფნას, - მედიდურად თქვა მარიმ.

- ისიც დაუმატეთ, რომ ამას ნანობთ...

- ნუთუ მადლობაც უნდა გითხრათ იმისთვის, ამ სამარცხვინო საქმეში რომ გამრიეთ?..

- როცა ამ საქმეს გთავაზობდით, რომელიც მშიშარებმა, მფრთხალებმა შეიძლება გაკიცხონ, - თამამად განაცხადა კორანტენმა - მხოლოდ თქვენს ბედნიერებას ვგულისხმობდი. მე კი, სულერთია რა გველის, წარმატება თუ მარცხი, ნებისმიერ შედეგს გამოვიყენებ ჩემი გეგმებისთვის. თუ მონტორანს გაჰყვებით ცოლად, მოხარული ვიქნები, თუ ბურბონების საქმეს მოვუტან სარგებლობას: პარიზში კლიშის კლუბის წევრი ვარ. თუ გარემოებათა გამო ურთიერთობა მექნება უფლისწულებთან, რესპუბლიკის სამსახურზე უარს ვიტყვი, მაინც დეკადანსს განიცდის. გენერალი ბონაპარტი ძალიან გამჭრიახად ფიქრობს, ხვდება, ერთდროულად ვერ იქნება გერმანიაში, იტალიაში და აქ, სადაც რევოლუცია მარცხდება. უეჭველია, თვრამეტი ბრიუმერის გადატრიალება მხოლოდ

იმისთვის მოაწყო, რომ ხელსაყრელი მოლაპარაკებები ეწარმოებინა ბურბონებთან საფრანგეთის მომავალზე, რადგან ჭკვიანი, დიდი გაქანების კაცია. მაგრამ მამაცმა პოლიტიკოსებმა უნდა გაასწრონ იმ გზაზე, რასაც ადგას. მეტისმეტი წესიერება, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს საფრანგეთის „ღალატს“, კიდევ ერთი ცრურწმენაა, რომელსაც ჩვენ, გამოჩენილი ადამიანები სულელებს ვუთმობთ. არ დაგიმალავ: მომანიჭეს უფლება შუანების წინამ-ძღოლებთან მოსალაპარაკებლადაც და მათი განადგურებისაც, ვინაიდან ჩემი მფარველი ფუშე, შორსმხედველი კაცი, ყოველთვის ორმაგ თამაშს თამაშობდა: ტერორის დროს ერთდროულად რესპუბლიკის მხარესაც იყო და დანტონისაც.

- რომელიც უსინდისოდ მიატოვეთ! - თქვა მარიმ.

- დიდი ამბავი, - უპასუხა კორანტენმა, - მოკვდა. დაივიწყეთ. გულახდილად დამელაპარაკეთ, მაგალითს გიჩვენებთ. ეს ნახევარბრიგადის მეთაური უფრო ეშმაკია, ვიდრე გგონიათ და თუ გინდათ, მისი სიფხიზლე მოადუნოთ, დაგეხმარებით, გახსოვდეთ, რომ ყველა ხეობაში ჩააყენა კონტრშუანები და ძალიან ადვილად აღმოაჩენს თქვენს შეხვედრებს მონტორანთან. აქ თუ დარჩებით, მის თვალწინ, მისი პოლიციის ხელში ხართ. ნახეთ, რა უცებ გაიგო, რომ თქვენთან შუანი მოვიდა! და განა ასეთ გამოცდილ მეომარს გაუჭირდება თქვენი ნებისმიერი ნაბიჯით ინიშნოს მარკიზი, თუკი უყვარხართ?..

მადმუაზელ დე ვერნეის არასოდეს სმენია კორანტენის ასეთი კეთილი, მოალერსე ხმა, გულახდილობის გამოხატულება იყო და ნდობით იყო თითქოს აღსავსე. საბრალო გოგონას კეთილშობილურმა შთაბეჭდილებამ ადვილად მოულბო გული და მზად იყო, საიდუმლო გაენდო გველისთვის, რომელიც უკვე მჭიდროდ შემოჰხვეოდა, მგრამ უცებ გაიფიქრა, რომ ამ სიტყვების ჭეშმარიტების დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ ჰქონდა და ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე გადაწყვიტა თავისი ზედამხედველის მოტყუება.

- რა გაეწყობა, - უპასუხა მარიმ, - გამოიცანით, კორანტენ, დიახ, მიყვარს მარკიზი, მაგრამ მას არ ვუყვარვარ!.. ყოველ შემთხვევაში, ვშიშობ, რომ ასეა. იქნებ პაემანი რომ დამინიშნა, მხოლოდ ხაფანგია.

- გუშინ ხომ თქვით, რომ ფუჟერამდე მოგაცილათ... რამის დაშავება რომ სდომებოდა თქვენთვის, ახლა აქ არ იქნებოდით.

- გულცივი კაცი ხართ, კორანტენ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ეშმაკური გამოთვლები გეხერხებათ, მაგრამ ადამიანის გულს არ იცნობთ. შეიძლება ამიტომაც ვერ გიტანთ. რაკი ასეთი გამჭრიახი ხართ, იქნებ გამოიცნოთ, კაცი, რომელსაც ასე მკაცრად დავშორდი გუშინწინ, რატომ მელის მოუთმენლად დღეს, საღამოს, მაიენის გზაზე ფლორინის სახლში...

ამ აღიარებაზე, რომელიც თითქოს წამოსცდა ამ გულწრფელ და აღტაცებულ არსებას, კორანტენი გაწითლდა, რადგან ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ჩუმჩუმად გამჭოლ მზერას აპარებდა, სულში უნდოდა ჩაეხედა. მადმუაზელ დე ვერნეიმ მიამიტობა ისე კარგად გაითამაშა, რომ მოატყუა ჯაშუში, ყასიდი გულგრილობით რომ თქვა: - გინდათ, გამოგყვებით, ცოტა მოშორებით ვიქნები? გადაცმულ ჯარისკაცებს წამოვიყვან, თქვენს განკარგულებებს დავემორჩილებით...

- თანახმა ვარ... - უპასუხა მარიმ, - ოღონდ დამპირდით... პატიოსანი სიტყვა მომეცით... თუმცა, არა, თქვენი პატიოსნება არ მჯერა!.. სამუდამო ნეტარება!.. ესეც არა, ღმერთი არ გწამთ!.. თქვენი სული დაიფიცეთ! თუმცა, რას ვამბობ, სული არ გაქვთ! რითი შეგიძლიათ დამარწმუნოთ თქვენს გულწრფელობაში? და მაინც, მოგენდობით, გაძლევთ მეტს, ვიდრე ჩემი ცხოვრებაა, ჩემს სიყვარულს ან შურისძიებას!

კორანტენს გაფითრებულ სახეზე შეუმჩნეველმა ღიმილმა გადაურბინდა და მადმუაზელ დე ვერნეი მიხვდა, როგორ ხიფათს ასცდა. ჯაშუშს სიამოვნებისგან ნესტოები კი არ გაუფართოვდა, პირიქით, ჩაეჩუტა, აიღო თავისი მსხვერპლის ხელი, უღრმესი პატივისცემით ეამბორა, საკმაოდ მოხდენილად დაუკრა თავი და გავიდა.

ამ სცენიდან სამი საათის შემდეგ, მადმუაზელ დე ვერნეი, კორანტენის დაბრუნების შიშით, მალულად გავიდა სენ-ლეონარის კარიბჭით და ეკლიანი ბუდის გავლით ვიწრო ბილიკს ნანსონის ხეობისკენ გაუყვა. ეგონა, გადარჩა და მოწმეების გარეშე, ბილიკების ლაბირინთით დაასხი-კუტალის სახლისკენ მიეშურებოდა. მიდიოდა მხიარულად, იმედი მიაქროლებდა ბედნიერებისკენ, სურვილი, გადაერჩინა თავისი შეყვარებული მოსალოდნელი საფრთხისგან. ამასობაში

კორანტენი პოლკოვნიკს ეძებდა. როგორც იქნა, მიაგნო პატარა მოედანზე, სადაც რომელიღაც სამხედრო ექსპედიციისთვის ემზადებოდა და ძლივს იცნო. მართლაც მამაც ვეტერანს ისეთი მსხვერპლი გაეღო, რომლის მნიშვნელობაც ძნელი შესაფასებელია. ულვაშები მოეპარსა, ნაწნავი მოეჭრა, ეკლესიის წესდების მიხედვით შეჭრილი თმა ოდნავ დაეპუდრა. ნალებდაკრული უხეში ფეხსაცმელი ეცვა. ლურჯი მუნდირისა და ხმლის ნაცვლად, თხის ტყავი და მძიმე კარაბინი. ქამარში ორი პისტოლეტით, ფუჟერის ორას მცხოვრებს ათვალიერებდა, რომელთა კოსტიუმები ყველაზე გამოცდილ შუანსაც კი მოატყუებდა. ამ პატარა ქალაქის მებრძოლი სული და ბრეტონული ხასიათი კარგად ჩანდა ამ სცენაში. ხან აქ, ხან იქ, დედებს, დებს მოჰქონდათ თავიანთი ვაჟებისთვის, ძმებისთვის მათარით არაყი ან სახლში დარჩენილი პისტოლეტები. მოხუცები ეკითხებოდნენ ვაზნების რაოდენობასა და ხარისხზე ამ კონტრშუანებად გადაცმულ ნაციონალურ გვარდიელებს, რომლებიც სახიფათო ექსპედიციაში კი არა, თითქოს სანადიროდ მიდიოდნენ, ისე მხიარულად იყვნენ. მათთვის შუანების შეხვედრები, ანუ ქალაქელი ბრეტონელებისა და სოფლელი ბრეტონელების შეხვედრა თითქოს ძველ რაინდულ ტურნირს ცვლიდა. ამ პატრიოტული ენთუზიაზმის საფუძველი შეიძლება რაიმე სახელმწიფო ქონების შეძენა იყო. მაგრამ არანაკლებ როლს თამაშობდა აქ რევოლუციის წყალობა, რომელსაც ქალაქში უფრო აფასებდნენ, ვიდრე სოფლად, პოლიტიკური პარტიების განწყობა და ფრანგების ომის თანდაყოლილი სიყვარული. იულო აღფრთოვანებული იყო. მწკრივებს შორის დადიოდა, რაღაც ცნობებისთვის გიუდენს მიმართავდა, რომელზეც მეთაურმა მთელი მეგობრული სიყვარული გადმოიტანა, მერლისა და ჟერარის მიმართ რომ ჰქონდა. ქალაქელები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალს ექსპედიციისთვის სამზადისს. ადარებდნენ ხმაურიანი თანამოქალაქეების ტანსაცმელს და თავის დაჭერას - იულოს ნახევარბრიგადის ბატალიონისას. ყველანი უძრავად და ჩუმად იყვნენ გამწკრივებულები, ლურჯები ელოდნენ თავიანთ ოფიცერთან ერთად მეთაურის ბრძანებებს, რომელსაც ყოველი ჯარისკაცი თვალით მიაცილებდა ჯგუფიდან ჯგუფისკენ. ნახევარბრიგადის მოხუც მეთაურთან მისულმა კორანტენმა ღიმილი ვერ შეიკავა იულოს დანახვაზე, რომელიც ისე იყო შეცვლილი, როგორც ზოგჯერ პორტრეტი აღარ ჰგავს ხოლმე

ორიგინალს.

- ახალი რა არის? - ჰკითხა კორანტენმა.

- წამოდი ჩვენთან ერთად, გაისროლე და გაიგებ, - უპასუხა მეთაურმა.

- ო! მე ფუჟერელი არ ვარ.

- ეგ ნამდვილად გეტყობა, - უთხრა გიუდენმა.

აქეთ-იქით დამცინავი სიცილი გაისმა.

- შენ რა, გგონია მხოლოდ ხიშტებით შეიძლება საფრანგეთის სამსახური? - ჰკითხა კორანტენმა.

მერე სიცილის მოყვარულებს ზურგი შეაქცია და ერთ ქალს ჰკითხა, სად და რისთვის მიდიოდა რაზმი.

- ეჰ, ჩემო კეთილო, შუანები უკვე ფლორინიიში არიან, ამბობენ სამი ათასზე მეტი კაცით და ფუჟერისკენ მოდიან.

- ფლორინიი? - შესძახა კორანტენმა და მიტკლის ფერი დაედო, - პაემანი იქ არ იქნება!.. ეგ რომელი ფლორინიია, მაიენის გზაზე?

- ფლორინიი მხოლოდ ერთია, - უპასუხა ქალმა და გზისკენ მიუთითა, რომლის ბოლოშიც პელერინის მწვერვალი ჩანდა.

- მარკიზ დე მონტორანს ეძებთ? - ჰკითხა კორანტენმა მეთაურს.

- ცოტათი! - უხეშად უთხრა იულომ.

- ფლორიინიში არ არის, - უთხრა კორანტენმა, - იქ თქვენი ბატალიონი და ნაციონალური გვარდია გააგზავნეთ, დატოვეთ რამდენიმე კაცი კონტრშუანებიდან და აქ დამელოდეთ.

- არ გაგიჟებულა, ამისათვის მეტისმეტად ეშმაკია! - შესძახა იულომ და თვალი გააყოლა კორანტენს, - აი, ჯაშუშების ნამდვილი მეფე!

იულომ თავის ბატალიონს დაძვრა უბრძანა. რესპუბლიკელი ჯარისკაცები წავიდნენ ჩუმად, დოლების ბაგაბუგის გარეშე, ვიწრო გარეუბნით მოედნის გზისკენ. სახლებსა და ხეებს შორის ლურჯ-წითელი ლენტივით, მათ შუანებად გადაცმული

ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცები შეხვდნენ. იულო კი გიუდონთან და ოციოდე ყველაზე ყოჩაღ ქალაქელ ბიჭთან ერთად პატარა მოედანზე კორანტენს დაელოდა, რომლის იდუმალმა გამომეტყველებამ ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა.

ფრანსინმა გამჭრიახ ჯაშუშს თვითონ უთხრა, მადმუაზელ დე ვერნეი სახლიდან წავიდაო. ყველა თავისი ვარაუდი ნამდვილ ამბად ჩათვალა და მაშინვე გავარდა ცნობების შესაკრებად, ამ ნამდვილად საეჭვო გაქცევასთან დაკავშირებით, ჯარისკაცებისაგან გაიგო, გუშაგებად რომ იდგნენ სენ-ლეონარის კარიბჭესთან, უცნობმა ლამაზმა ქალმა ეკლიანი ბუდე გაიარა და ბულვარისკენ გაიქცაო, მარის საუბედუროდ, იქ დროულად მივიდა და შეეძლო მისი ყოველი ნაბიჯი გაეკონტროლებინა. თუმცა მწვანე კაბა ეცვა და ქუდიც მწვანე ეხურა, ძნელად შესამჩნევი რომ ყოფილიყო, მაგრამ გამალებული მოძრაობა და სკუპ-სკუპი ფოთოლგაცვენილ, დათრთვილულ ცოცხალ ღობეებს შორის, მიუთითებდა, საით მიდიოდა.

- აა! - წამოიძახა კორანტენმა, - ფლორიინში აპირებდი და ქიბარის ხეობისკენ ჩადიხარ? რა სულელი ვარ? გამაბრიყვა! დამაცადეთ, მიწიდან ამოგიღებთ!

როცა დაახლოებით მიხვდა, პაემანი სად უნდა შემდგარიყო, კორანტენი სირბილით დაბრუნდა მოედანზე სწორედ მაშინ, იულო თავისი რაზმის დასაწევად რომ აპირებდა წასვლას.

- მოითმინეთ, გენერალო! - დაუძახა კორანტენმა. იულო შემობრუნდა.

კორანტენმა წამში გააგებინა ჯარისკაცს, რა მზაკვრობაც ხდებოდა, თუმცა დაფარული იყო, მაგრამ ძაფის ბოლო იპოვა. დიპ-ლომატის გონებამახვილობით გაკვირვებული იულო მკლავში ჩა-აფრინდა.

- ეშმაკმა დამლახვროს! მართალი ხარ, ცნობისმოყვარე მოქალაქევ. ყაჩაღები მანდ თვალის ასახვევად შეტევას აპირებენ. ნაციონალური გვარდიის ორი კოლონა ანტრენსა და ვიტრეს შორის ადგილის დასაზვერად გავაგზავნე, ჯერ არ დაბრუნებულან. ასე რომ, ქალაქიდან რომ გავალთ, მაშველ ჯარს შევხვდებით და ნამდვილად ზედმეტი არ იქნება, ვაჟკაცი ისეთი ბრიყვი არ არის, რომ პაემანზე თავისი წყეული ბუების გარეშე წავიდეს. გიუდენ, - მიუბრუნდა ახალგაზრდა

ფუჟერელს, - გაიქეცი, გააფრთხილე კაპიტანი ლებრენი, უჩემოდ მოუაროს ფლორიინში მაგ ყაჩაღებს და მალევე დაბრუნდი, ბილიკებს იცნობ. დაგელოდები. ერთად წავიდეთ ამ ყოფილზე სანადიროდ და ვივეტიერში მკვლელობისთვისაც ვიძიოთ შური. ეშმაკმა წამიღოს! ნახეთ, როგორ გარბის! - წამოიძახა იულომ, როცა დაინახა, როგორ თვალსა და ხელს შუა გაქრა გიუდენი, - ჟერარს მოეწონებოდა ეს ბიჭი!

მოედანზე დაბრუნებულმა გიუდენმა დაინახა, იულოს პატარა რაზმს ქალაქის სხვადასხვა საგუშაგოებიდან წამოყვანილი ჯარისკაცები შემატებოდა. იულომ ახალგაზრდა ფუჟერელს შესთავაზა, ბნელ ხეობაში კარგად გაწვრთნილი თორმეტი თანამემამულე შეერჩია და ებრძანა სენ-ლეონარის კარიბჭისკენ წასვლა, სენ-სიულპისის მთების ფერდობების გასწვრივ, კუენონის ველისკენ დაშვება, რადგან დაასხი-კუტალის ქოხი სწორედ იქ იყო, მერე თვითონაც რაზმის დანარჩენს ჩაუდგა სათავეში და სენ-სიულპისის კარიბჭით გავიდა და მთების წვერებისკენ გაეშურა, რადგან მისი ანგარიშით იფრინდას რაზმს უნდა შეხვედროდა, რათა გაემაგრებინა გუშაგთა კორდონი, კლდეებს რომ იცავდა სენ-სიულპისის გარეუბნიდან ეკლიან ბუდემდე. როცა კორანტენი დარწმუნდა, რომ შუანების ბელადის ბედი მის ყველაზე შეურიგებელ მტერს გადასცა ხელში, ბულვარისაკენ გაქუსლა, იქიდან იულოს სამხედრო ოპერაციებს უკეთ ადევნებდა თვალს. მალე დაინახა, რომ გიუდენის პატარა რაზმი ნანსონის ველიდან გავიდა და კუენონის ველის ნაპირთან ქვიან ფერდობს გაუყვა, იულო კი ფუჟერის ციხე-დარბაზს გასცდა და სახიფათო ბილიკით სენ-სიულპისის მთაგრეხილის მწვერვალებისკენ გაემართა. ამრიგად, ორივე რაზმი პარალელურ გზებად მიიწევდა წინ. თრთვილის მდიდრული არაბესკებით მორთული ყველა ხე და ბუჩქი მოთეთრო ელფერს ჰფენდა მიდამოს, სადაც კარგად ჩანდა ზემოთ, ნაცრისფერი ზოლებივით მოძრავი ორი პატარა რაზმი. როგორც კი კლდოვან პლატოზე ავიდნენ, იულომ რაზმს უნიფორმიანი ჯარისკაცები ჩამოაცილა და კორანტენმა დაინახა, მარჯვე მეთაურის ბრძანებით, როგორ დაეწყვნენ ერთ გარკვეული მანძილით დაშორებულ გუშაგთა მოძრავ მწკრივად, სადაც პირველს გიუდენთან უნდა ჰქონოდა კავშირი, ბოლოს - იულოსთან. ასე რომ, არც ერთი ბუჩქი არ გადაურჩებოდა სამი მოძრავი ზოლის ჯარისკაცების ხიშტებს და მთებსა და ველებზე გამორეკილი ნადირივით

გაეკიდებოდნენ ვაჟკაცს.

- რა ეშმაკია ეს ბებერი მგელი, - წამოიძახა კორანტენმა, როცა ჯოჯოს ბუჩქებში უკანასკნელი თოფების პრიალა ლულები მოეფარა თვალს, - ცუდადაა ვაჟკაცის საქმე, ცუდადაა ვაჟკაცის საქმე. მარის ეს წყეული მარკიზი რომ გადმოეცა, მაშინ ყველაზე მტკიცე კავშირი იქნებოდა ჩვენ შორის - უზნეობა. მაგრამ მაინც ჩემი იქნება!..

მალე თორმეტი ახალგაზრდა ფუჟერელის რაზმი, სუბლეიტენანტ გიუდენის მეთაურობით, სენ-სიულპისის მაღლობის იმ ფერდობზე იყო, ბორცვებად რომ ეშვება ჟიბარის ხეობისკენ. გიუდენმა გზიდან გადაუხვია, მკვირცხლად გადაევლო კურდღლისცოცხათი დაფარული პირველივე შემოღობილი მინდვრის კუტიკარს. ექვსი ბიჭიც გადახტა. დანარჩენი ექვსი, მისი ბრძანებით, მარჯვენა მინდვრისაკენ წავიდა, გზის ორივე მხარეს რომ ეძებნათ. გიუდენი მაშინვე შუა ბუჩქებში, დიდი ვაშლის ხისკენ წავიდა. ამასობაში ექვსი შუანის ფეხის ყრუ ხმა მისწვდა მის ყურს. შვიდი თუ რვა კაცი, იფრინდა რომ მოუძღოდათ, ღობის გასწვრივ წამომართული წაბლის ხეების უკან დაიმალა. მიუხედავად თრთვილის თეთრი ანარეკლისა, მიწას რომ ანათებდა, მიუხედავად გამოცდილი, გაწაფული თვალისა, ფუჟერელებმა ჯერ ვერ შენიშნეს ხეებს უკან გამაგრებული მტერი.

- ჩუ! აი, ისინიც, - თქვა იფრინდამ, პირველმა რომ აიხედა, - დაგვქანცეს ლოდინით! მაგრამ, რაკი აქ არიან, არ ააცდინოთ! თორემ მაგათი... რომის პაპის ჯარისკაცებადაც კი არ გამოვდგებით!

ამასობაში გიუდენის გაფაციცებულმა მზერამ რამდენიმე მათკენ მომართული ლულა დაინახა. ამ დროს რვა როყიო ხმამ იყვირა დაცინვასავით - „ვინ მოდის?“ და რვა გასროლა გაისმა. კონტრშუანების ირგვლივ ტყვიების ზუზუნი ატყდა: ერთი მკლავში დაიჭრა, მეორე დაეცა. ხუთმა საღ-სალამათმა ფუჟერელმა ზალპით უპასუხა, თან „შინაურებიო“ - გასძახეს და ვითომ მტრისკენ გაეშურნენ, სანამ ისინი ისევ გადატენიდნენ თოფებს.

- ო, თურმე სწორად გვითქვამს! - დაიძახა გიუდენმა, როცა ნახევარბრიგადელების მუნდირები და ძველი სამკუთხა ქუდები დაინახა, - ნამდვილი ბრეტონელებივით მოვიქეცით.

დალაპარაკებამდე ვიჩხუბეთ.

რვა ჯარისკაცი გიუდენის დანახვაზე გაოგნდა.

- დედაო ღვთისმშობელო! ოფიცერი, რა ჯანდაბაა! აბა, როგორ არ გვეგონებოდით ყაჩაღები მაგ თქვენს თხის ტყავებში! - მწუხარე ხმით წამოიძახა იფრინდამ.

- უბედურება მოხდა, მაგრამ არავის ბრალი არ არის, საიდან, თქვენ ხომ არ იცოდით კონტრშუანების გამოსვლა. თქვენ აქ რაღას აკეთებთ? - ჰკითხა გიუდენმა.

- ოფიცერო, ერთ დუჟინ შუანებს ვეძებთ, რომ გვაწვალებენ. დავრბივართ მოწამლული ვირთხებივით და ამ ღობეებზე ხტუნვით ისე დავიღალეთ, რომ ფეხზე ვეღარ ვდგებით, ჯანდაბა მაგათ. დასვენება გვინდოდა, მე მგონი აქვე ახლოს უნდა იყვნენ ეგ ყაჩაღები, - აი, იმ ქოხთან ბოლი რომ ამოდის, ხედავთ?

- კარგი! - წამოიძახა გიუდენმა, - თქვენ რვანი და შენ, იფრინდა, წადით, უკან დაიხიეთ სენ-სიულპისის კლდეებამდე და გაამაგრეთ გუშაგების ჟაჭვი, იულომ რომ დააყენა, თქვენი ჩვენთან დარჩენა არ შეიძლება, მუნდირები გაცვიათ. ჟანდაბა! ამ ძაღლებს გვინდა ბოლო მოვუღოთ, მათთან არის ვაჟკაცი. ამხანაგები ყველაფერს გეტყვიან, აბა, წადით მარჯვნივ და ფრთხილად იყავით, ჩვენი ბიჭები არიან ექვსნი, თხის ტყავებით, შეიძლება შეგხვდნენ. კონტრშუანებს ყელსახვევებით იცნობთ, თოკივით დაგრეხილები აქვთ, შეუკრავად.

გიუდენმა ორივე დაჭრილი ვაშლის ხის ქვეშ დატოვა და დაასხი-კუტალის ქოხისკენ გასწია, იფრინდამ რომ უჩვენა, სანიშნად მილიდან ამოსული ბოლი ჰქონდა.

იმ დროს, როცა ახალგაზრდა ოფიცერმა შუანების კვალს მიაგნო, იულოს პატარა რაზმი მაღლობზე ავიდა იმ ადგილის პირდაპირ, სადაც გიუდენმა თავისი ხალხი მიიყვანა. მოხუცი მეომარი, თავისი კონტრშუანების სათავეში, ახალგაზრდული სიმკვირცხლით უჩუმრად მისრიალებდა ღობეების გასწვრივ. ჯერ კიდევ ყოჩაღად ახტებოდა კუტიკარებს, დაკვირვებით უყურებდა ყველა ბორცვს და მონადირესავით ყველა გაფაჩუნებაზე ყურებს ცქვეტდა. მესამე მინდორზე, სადაც აღმოჩნდნენ, იულომ ასე ოცდააათი წლის ქალი შენიშნა,

მოკაკული გულმოდგინედ თხრიდა მიწას. იქვე ახლოს შვიდი-რვა წლის ბიჭი აქა-იქ ამოსულ ჯოჯოს ტოტებს აქნევდა, თრთვილს აყრევინებდა, მოაჭრიდა მებაღის მრუდე დანით და ერთად ალაგებდა. იულო ღობეზე მძიმედ რომ გადმოხტა, დედა-შვილმა თავი ასწია. იულოს ეს ახალგაზრდა ქალი ბებერი მოეჩვენა, ნაადრევ ნაოჭებს დაეფარა ბრეტონელი ქალის შუბლი და ყელი, ისე ულაზათოდ და სასაცილოდ ეცვა თხის ტყავი, რომ არა ყვითელი ტილოს ჭუჭყიანი კაბა, მისი სქესის ერთადერთი მიმანიშნებელი, იულო ვერც მიხვდებოდა ქალი იყო თუ კაცი, რადგან ყვითელი ბუწუწები ჩაჩივით ჰქონდა დამალული ძონძებში, ძლივს რომ უფარავდა ტანს, აქა-იქ კანი უჩანდა.

- ეჰე, ბებერო, - დაუძახა იულომ ხმადაბლა, - ვაჟკაცი სად არის? ამ დროს ოცი კონტრშუანი იულოს რომ ახლდა, ღობეზე გადმოძვრა.

- ვაჟკაცი თუ გინდათ, ისევ იქით უნდა წახვიდეთ, საიდანაც მოხვედით, - უთხრა ქალმა და უნდოდ შეხედა რაზმს.

- ფუჟერში ვაჟკაცის მამულს კი არ გეკითხები, კუდიანო ბებერო! მკვახედ შეაწყვეტინა იულომ, - ანა ორეელს გაფიცებ, აქეთ გაიარა?

- ვერ გამიგია, რას მეკითხებით? - უპასუხა ქალმა, დაიხარა და მუშაობა განაგრძო.

- წყეულო დედაბერო! იქნებ გინდა ლურჯებმა გადაგვყლაპონ რომ მოგვდევენ? - დასჭყივლა იულომ.

ამ სიტყვებზე ქალმა ასწია თავი, უნდობლად შეხედა კონტრშუანებს და თქვა: - ლურჯები როგორ მოგდევენ? ახლახან დავინახე: შვიდი-რვა კაცი ქვემოთა გზით უკან მიდიოდა ფუჟერისკენ.

- ერთი ამას დამიხედეთ! არ გგონიათ, რომ ჩაგვინისკარტებს თავისი გრძელი ცხვირით, მოტრიალდი, ნახე, ბებერო!

და მეთაურმა თითით უჩვენა ორმოცდაათიოდე ნაბიჯით უკან ოთხი თუ ხუთი გუშაგი, კარგად რომ უჩანდათ ქუდები, უნიფორმები და თოფები. შენ რა, გინდა ყელები გამოგვჭრან? იარე-მიწაზემ გამოგვაგზავნა მარკიზის საშველად, ფუჟერელებს რომ უნდათ დაჭერა, - ბრაზიანად დაუმატა

იულომ.

- ოჰ, მაპატიეთ, - გააგრძელა ქალმა, - ისე ადვილია შეგეშალოს! რომელი მრევლიდან ხართ?

- წმინდა გიორგის, - წამოიძახა ორმა თუ სამმა ფუჟერელმა ქვემო ბრეტონელივით, - და შიმშილით ვკვდებით.

- მაშ კარგი, აგე იმ ბოლს ხო ხედავთ? ის ჩემი სახლია, მარჯვენა მხარეს თუ წახვალთ, ზემოდან მიხვალთ. შეიძლება ჩემი კაცი შეგხვდეთ, დაასხი-კუტალი უნდა ყარაულობდეს, რომ გააფრთხილოს ვაჟკაცი, თქვენ ხომ უკვე იცით, რომ დღეს ჩვენთან მოვა, - ამაყად დაუმატა.

- მადლობელი ვარ, აბა, წავედით! მეხი დამეცეს, ახლა კი დავიჭერთ. ეშმაკმა დალახვროს.

ამ სიტყვებზე რაზმი ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა მეთაურს, მითითებული ბილიკისკენ რომ გაეშურა. ამ შუახნის კაცის არაკათოლიკური ლანძღვა რომ გაიგო, დაასხი-კუტალის ცოლი გაფითრდა. ახალგაზრდა ფუჟერელების გეტრები და თხის ტყავები რომ დაინახა, ჩაიკეცა, დაჯდა მიწაზე, ჩაიხუტა შვილი და აღმოხდა: - წმინდაო ღვთისმშობელო ორეისა! და ნეტარო წმინდა ლაბარ, დაგვიფარეთ. არა მგონია, ჩვენი ხალხი იყოს, ფეხსაცმელები წაღებიანი არ ჰქონდათ!.. გაიქეცი ქვემოთა გზით, გააფრთხილე მამაშენი, თორემ თავს წააცლიან, - უთხრა პატარას, რომელიც ქურციკივით გაძვრა კურდღლისცოცხასა და ჯოჯოს ბუჩქნარში.

მადმუაზელ ვერნეის გზად არ შეხვედრია არც ლურჯები, არც შუანები, რომლებიც დაასხი-კუტალის ქოხის ირგვლივ მინდვრების ლაბირინთში დასდევდნენ ერთმანეთს. ამ უბადრუკი ქოხის ნახევრად დანგრეული საკვამურიდან ამომავალი მოცისფრო ბოლის დანახვაზე მარის გული აუჩქროლდა, გრძნობდა, ძლიერი ბაგა-ბუგი ტალღებივით აღწევდა ყელამდე. გაჩერდა. ხის ტოტებს ჩაეჭიდა და შეხედა ბოლს, რომელიც შუქურასავით იყო, როგორც მეგობრებისთვის, ასევე მტრებისთვის. ასეთი ძლიერი ემოცია თავის სიცოცხლეში არ განეცადა.

- ოჰ, მეტისმეტად მიყვარს, - გაიფიქრა სასოწარკვეთილმა მარიმ, - დღეს მე ალბათ ჩემს თავს ვერ მოვერევი...

თვალის დახამხამებაში გადაირბინა მანძილი ქოხამდე, ეზოში შევარდა, სადაც ლაფი ყინვისაგან შეკრული იყო, უზარმაზარი ძაღლი ისევ გამოენთო ყეფით, მაგრამ დაასხი-კუტალმა ერთადერთი სიტყვა უთხრა, მანაც კუდი გააქიცინა და გაჩუმდა. ქოხში შესვლისთანავე სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. მარკიზი იქ არ იყო. მარიმ შვებით ამოისუნთქა. სიამოვნებით შენიშნა, რომ შუანს უცდია, გაესუფთავებინა თავისი ბოსლის ერთადერთი ჭუჭყიანი ოთახი. დაასხი-კუტალმა დაავლო ხელი თავის ორლულიან თოფს, უხმოდ დაუკრა თავი სტუმარს და ძაღლთან ერთად გავიდა. მარიმ ზღურბლამდე გააცილა, დაინახა, როგორ გაუყვა ბილიკს, ქოხიდან მარჯვნივ რომ იწყებოდა და დამპალი სქელი მორით იყო გაღობილი კუტიკარივით. აქედან ხედავდა მინდვრების სქელ რიგს და გადაკეტილი შესასვლელები ანფილადასავით ჩანდა. ფოთოლგაცვენილი ხეები და ცოცხალი ღობეების ბუჩქები საშუალებას იძლეოდნენ, შორამდე შეემჩნიათ პეიზაჟის ყველა წვრილმანი. როცა დაასხი-კუტალის ფართოფარფლებიანი ქუდი თვალს მიეფარა, მარი მარცხნივ მიბრუნდა, უნდოდა, ფუჟერის ეკლესია დაენახა, მაგრამ ფარდული ეფარებოდა. მარიმ კუენონის ხეობას გახედა, სიფრიფანა ქსოვილის სუფრას რომ ჰგავდა და ამ სითეთრის გამო კიდევ უფრო მქრქალი ჩანდა რუხი, სათოვლე ღრუბლებით დაფარული ცა. ისეთი დღე იყო, როცა ბუნება უტყვი გგონია და ხმაურს ატმოსფერო ახშობს. და თუმცა ლურჯები და მათი კონტრშუანები სამ ზოლად მიდიოდნენ და სამკუთხედს ქმნიდნენ, რომელიც, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქოხს, უფრო პატარავდებოდა და ისეთი მდორე სიჩუმე იდგა, რომ თრგუნავდა მადმუაზელ დე ვერნეის, მის შინაგან სიჩუმეს რაღაცნაირი დარდი ემატებოდა. ჰაერი უბედურებით იყო გაჟღენთილი. ბოლოს, იმ ადგილს, სადაც მინდვრების ანფილადას ფარდასავით ხურავდა პატარა ჭალა, დაინახა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ციყვივით ახტებოდა კუტიკარებს და გასაოცარი სისწრაფით მირბოდა.

- ის არის, - გაიფიქრა მარიმ, შუანივით უბრალოდ ჩაცმულს მუშკეტონი მხარიღლივ ჰქონდა გადაკიდებული თხის ტყავის ზემოდან. რომ არა მისი მოხდენილი მიმოხრა, მისი ცნობა გაძნელდებოდა. მარი სწრაფად შეიმალა ქოხში, რაღაც აუხსნელი გრძნობის გავლენით, ისეთივე ინსტინქტურის, როგორც შიშია. სულ მალე მონტორანი მისგან ორ ნაბიჯზე

იდგა ბუხართან, მოგიზგიზე ბრიალა ცეცხლთან. ორივე უხმოდ იყო, ერთმანეთის შეხედვის ან განძრევის ეშინოდათ, ერთი და იგივე იმედი აერთიანებდა მათ ფიქრებს, ერთი და იგივე ეჭვი აშორებდა. ამაში იყო მტანჯველი შფოთვა, ამაში იყო ნეტარება.

- მესიე, - უთხრა ბოლოს აღელვებულმა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - აქ მხოლოდ თქვენს უსაფრთხოებაზე ზრუნვამ მომიყვანა.

- ჩემმა უსაფრთხოებამ! - სიმწარენარევი ნაღველი იყო ხმაში.

- დიახ, სანამ ფუჟერში ვარ, თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია... მეტისმეტად მიყვარხართ და ამიტომ ამ საღამოს გავემგზავრები, აღარ მეძებოთ.

- წახვალთ? ჩემო ანგელოზო!.. გამოგყვებით.

- მე გამომყვებით? რას ამბობთ? და ლურჯები?

- ოო, ჩემო ძვირფასო, რა საერთოა ჩვენს სიყვარულსა და ლურჯებს შორის?

- მე მგონია, თქვენთვის ძნელია საფრანგეთში დარჩენა და კიდევ უფრო ძნელია ჩემთან ერთად აქედან წასვლა.

- განა მისთვის, ვისაც უყვარს, არის რამე შეუძლებელი?

- არა, დიახ, მე მგონი, ყველაფერი შესაძლებელია. ხომ მეყო გამბედაობა, უარი მეთქვა თქვენზე თქვენი გულისთვის.

- როგორ! ეკუთვნოდეთ საშინელ არსებას, რომელიც არ გიყვართ და არ გინდათ, გააბედნიეროთ ადამიანი, რომელიც გაღმერთებთ! იყოთ მთელი ცხოვრება ადამიანისა, რომელიც გეფიცებათ, რომ მხოლოდ თქვენი იქნება! მარი გიყვარვარ?

- დიახ.

- მაშ, გახდი ჩემი.

- ნუთუ დაგავიწყდათ, რომ ისევ კურტიზანის საძულველ როლს ვთამაშობ და თქვენ უნდა მეკუთვნოდეთ მე? მე ხომ მხო-ლოდ იმიტომ მინდა თქვენგან გაქცევა, რომ აგაცილოთ მტრობა, მძულვარება, რომელიც მე შეიძლება დავიმსახურო. ამის შიში რომ არა... იქნებ...

- მე არაფრის მეშინია...

- ვინ დამაჯერებს მაგაში? უნდო ვარ, ეჭვიანი. ჩემს მდგომარეობაში ვინ არ იქნებოდა ასეთი?.. თუ ჩვენი სიყვარული ხანგრძლივი არ იქნება, სრული მაინც უნდა იყოს, ყოვლისშემძლე და აგვატანინოს უსამართლობა. ჩემთვის რა გააკეთეთ? გინდივართ. გგონიათ ეს აღგამამაღლებთ სხვებზე, ვისაც აქამდე შევხვედრივარ? განა ერთი საათი ბედნიერებისათვის გაბედავთ, დაივიწყოთ თქვენი შუანები, მათი ხვედრი არ გაწუხებთ? როგორც მე არ ვფიქრობდი ლურჯებზე იმ დღეს, როცა ჩემთვის თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო? და რომ გიბრძანოთ, უარი თქვათ თქვენს იდეებზე, თქვენს იმედებზე, თქვენს ძვირფას მეფეზე, რომელიც მიშლის, მავიწროებს და რომელსაც იქნებ გაეცინოს, მისთვის რომ გასწიროთ თავი იმ დროს, როცა მე თაყვანისცემით შემიძლია თქვენთვის სიკვდილი, ანდა, რომ მოვინდომო მორჩილება გამოვუცხადოთ პირველ კონსულს, მხოლოდ იმიტომ, რომ შესძლოთ გამომყვეთ პარიზში?.. ან, თუ მოგთხოვთ, რომ წამოხვიდეთ ჩემთან ერთად ამერიკაში და შორს იყოთ საზოგადოებისა და მისი ამაოებისაგან მხოლოდ იმისთვის, რომ დავრწმუნდე, მართლა გიყვარვართ თუ არა მე - ჩემ გამო, როგორც ამ წუთში მიყვარხართ? მოკლედ, ერთ დღეს რომ ვისურვო, დაეშვათ ჩემთან და არა მე ავმაღლდე თქვენამდე, მაშინ როგორ მოიქცევით?

- გაჩუმდი, მარი. შენს თავს ცილს ნუ სწამებ. საბრალო პატარავ, გამოვიცანი! დამიჯერე. თუ ჩემი პირველი ლტოლვა ვნებად იქცა, ახლა ვნება გადაიქცა სიყვარულად. ძვირფასო, ჩემი გულის გულო, ვიცი, ისეთივე კეთილშობილი ხარ, როგორიც შენი გვარია, ისეთივე დიდი ხარ, როგორიც მშვენიერი. საკმაოდ მაღალი წრის ვარ და იმდენ ძალასაც ვგრძნობ, რომ ვაიძულო საზოგადოება, მიგიღოს. არ ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ გული მიგრძნობს და ველი შენგან გაუგონარ და უსასრულო სიამოვნებას?.. იქნებ იმიტომ, რომ შენს სულში მივაგენი იმ ძვირფას თვისებას, რომელიც აიძულებს მამაკაცს, მხოლოდ ერთი ქალი უყვარდეს სამუდამოდ?.. ჩემი სიყვარულის მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ უკიდეგანოა და მგონია, რომ უკვე აღარ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე, ცხო-ვრება სიძულვილი გამიხდება, თუ ჩემ გვერდით არ იქნები.

- როგორ თქვენ გვერდით?

- მარი, არ გინდა მიხვდე, რას გეუბნება შენი ალფონსი?

- გგონიათ, დიდად მაამებთ, თუ თქვენს გვარსა და ხელს შემომთავაზებთ? - მედიდურად უთხრა, მაგრამ თვალი არ მოუშორებია მარკიზისთვის, მისი ყველა ფიქრის ამოცნობა უნდოდა, - ნამდვილად იცით, რომ ექვსი თვის მერე არ გადამიყვარებთ? მერე როგორი იქნება ჩემი მომავალი?.. არა, არა, საყვარელია მხოლოდ ის ქალი, ვინც თავისი მამაკაცის გრძნობებშია დარწმუნებული, რადგან მოვალეობა, კანონები, საზოგადოება, ბავშვების ინტერესი - მაშინ არ არის უხალისო, ნაღვლიანი დამხმარეები ქალისა და თუ მისი ძალაუფლება ხანგრძლივია, აი, მაშინ არის ამაყი და ბედნიერი, ეს გადაატანინებს ქვეყნის ყველაზე მძიმე მწუხარებას. ვიყო თქვენი ცოლი და ერთხელაც თქვენს ტვირთად ვიქცე!.. ამ შიშს წარმავალი, მაგრამ ნამდვილი სიყვარული მირჩევნია, თუნდაც ბოლო გაჭირვება და სიკვდილი იყოს. როგორ არა, შემეძლო, ვყოფილიყავი ნებისმიერზე უკეთესი, სათნო დედა, ერთგული ცოლი, მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი გრძნობები შეუნარჩუნოს ქალს, მხარში ამოუდგეს, შეეშველოს, მამაკაცი გატაცების, ვნების აფეთქებისას არ უნდა დაქორწინდეს. და მე თვითონ კი ვიცი განა, ხვალ მომეწონებით თუ აღარ? არა, თქვენი უბედურება არ მინდა, ვტოვებ ბრეტანს, - თვალებში ყოყმანი შეატყო, - დავბრუნდები პარიზში და თქვენ ჩემს საძებნელად იქ არ ჩამოხვიდეთ...

- მაშ ასე, თუ ზეგ დილას სენ-სიულპისის კლდეებზე ბოლს დაინახავ, საღამოს შენთან ვიქნები - საყვარელი თუ ქმარი, როგორც მოისურვებ, არაფრის მეშინია!

- ალფონს, მაშ, მართლა გიყვარვარ! - აღტაცებით წარმოთქვა მარიმ, - რაკი მზად ხარ, ასეთ საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე იმისათვის, რომ მე მომიძღვნა?

არაფერი უთქვამს, მხოლოდ შეხედა; მარიმ თვალები დახარა და მის აგიზგიზებულ სახეზე ისეთივე აღტაცება ამოიკითხა, როგორსაც თვითონაც გრძნობდა და ხელები გაუწოდა. რაღაც სი-გიჟემ აიტანა მარი: მკერდზე მიეკრა, გადაწყვიტა, დანებებოდა მას, რომ ეს შეცდომა უდიდეს ბედნიერებად ექცია, რადგან რისკავდა მთელ თავის მომავალს, რომლის განმტკიცებაც შეეძლებოდა, თუ ამ უკანასკნელი განსაცდელიდან გამარჯვებული გამოვიდოდა. ის იყო, მხარზე დაადო თავი შეყვარებულს, რომ გარეთ შეუმჩნეველი ხმაური გაისმა. მარი თითქოს გამოფხიზლდა, მოეხსნა უცებ მისი

მკლავებიდან და ქოხიდან გავარდა. მხოლოდ ახლა მოვიდა ცოტა გონს და შეძლო თავის მდგომარეობაზე დაფიქრება.

- ჩემს ძღვენს მიიღებდა და მერე იქნებ დაეცინა კიდევაც, - გაიფიქრა, - ეს რომ ასე იყოს, მოვკლავდი. ოღონდ, ახლა არა, - დაუმატა მარიმ იფრინდას დანახვაზე და ნიშანი მისცა, რომელიც მან მშვენივრად გაიგო.

საბრალო ბიჭი ქუსლებზე შემობზრიალდა, თავი მოაჩვენა, ვითომ არაფერი შეუმჩნევია. მადმუაზელ დე ვერნეი სწრაფად შებრუნდა ოთახში, ტუჩებზე მიიდო მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი, ანიშნა მარკიზს, ჩუმად რომ უნდა ყოფილიყო.

კარი VI - აქ არიან, - შეშინებული ხმით ძლივს გასაგონად თქვა.

- ვინ?

- ლურჯები.

- აჰ! არ მოვკვდები, სანამ არ მივიღებ...

- ჰო, მიიღე...

მარკიზმა ჩაიკრა გულში გათოშილი, დაუცველი მარი და მოსწყვიტა მის ბაგეს კოცნა შეძრწუნებითა და სიტკბოებით აღსავსე, რადგან შეიძლებოდა ყოფილიყო ერთდროულად პირველიც და უკანასკნელიც. მერე ერთად მივიდნენ ზღურბლთან და დადგნენ ისე, რომ შეუმჩნევლებს ყველაფერი დაენახათ. მარკიზმა გიუდენი შეამჩნია თორმეტიოდე კაცის სათავეში, კუენონის ველთან იდგნენ, ქვემოთ. გაიხედა მინდვრების ანფილადისკენ, სქელ, დამპალ მორთან ექვსი კაცი ყარაულობდა ბილიკს. შეხტა სიდრიან კასრზე. ყავრის სახურავი გაამტვრია, შემაღლებულზე რომ ამხტარიყო, მაგრამ საჩქაროდ ჩაიმალა ნახვრეტში, იულო იდგა ბორცვზე და ფუჟერის გზას კეტავდა. მარის შეხედა, რომელსაც სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდა, სამი რაზმის ბაგაბუგი ესმოდა, ქოხს რომ ერტყმოდნენ გარს.

- პირველი გადი, - უთხრა მონტორანმა, - დამიცავ.

ამ სიტყვებმა, მისთვის ამაღლებულმა, სიამაყით აავსო, ბედნიერი დადგა კართან, სანამ მარკიზი თავის მუშკეტონს ტენიდა. თვალით მოზომა მანძილი ქოხის ზღურბლიდან მორამდე, თვალის დახამხამებაში მიიჭრა ლურჯებთან, საფანტი მიუშვა, გზა გაიხსნა მათ შორის; სამივე რაზმი მოაწყდა კუტიკარს, რომელსაც მარკიზი გადაევლო და დაინახეს, მინდორში როგორ გარბოდა წარმოუდგენელი სისწრაფით...

- ცეცხლი, ცეცხლი, ჯანდაბა! ეშმაკმა წაგიღოთ! თქვენ ფრანგები არა ხართ! ცეცხლი მეთქი, არამზადებო! - ღრიალებდა იულო მგვრგვინავი ხმით.

როგორც კი ბორცვის წვერიდან გაისმა ეს სიტყვები, ჯარისკაცებმაც და გიუდენის ხალხმაც ზალპი დაცალეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ცუდად დაუმიზნეს. მარკიზმა უკვე პირველი მინდვრის შესასვლელს მიაღწია და იმ წუთში, როცა მას გადაახტა და უკვე მეორე მინდორზე იყო, კინაღამ დაეწია გიუდენი, გამძვინვარებული რომ გამოეკიდა. საშიში მოწინააღმდეგის ფეხის ხმა სულ ახლოს ისმოდა, რამდენიმე ტუაზის დაშორებით, ვაჟკაცმა სიჩქარეს მოუმატა. მაინც თითქმის ერთობლივად მიირბინეს მეორე კუტიკართან, მაგრამ მონტორანმა მოიქნია თავისი მუშკეტონი და ისე მარჯვედ ესროლა გიუდენს, რომ თავში მოხვდა და ფეხი შეანელებინა. წარმოუდგენელია მარის მღელვარებისა და ყურადღების გადმოცემა. ყველა ჩუმად უყურებდა და უნებურად იმეორებდა გაქცეულების ჟესტს. ვაჟკაცი და გიუდენი ერთდროულად მივიდნენ დათრთვილულ ტყენარგთან, თეთრი ფარდასავით რომ ჩანდა. მაგრამ უცებ ოფიცერმა უკან დაიხია და ვაშლის ხის უკანა დაიმალა. ოცამდე შუანი გამოჩნდა, არ ისროდნენ, ეშინოდათ, თავიანთი მეთაური არ მოეკლათ, გამოჩნდნენ და ხეს დაუშინეს ტყვია. იულოს პატარა რაზმი უიარაღო გიუდენის გადასარჩენად გაეშურა, რომელიც ხიდან ხისკენ გარბოდა, სარგებლობდა იმ დროით, მეფის ეგერებს თოფების დასატენად რომ სჭირდებოდათ. საფრთხეში დიდხანს არ ყოფილა.

კონტრშუანები, მათში შერეული ლურჯები და იულო იქ მივიდნენ, სადაც მარკიზმა თავისი მუშკეტონი გადააგდო. ამ დროს გიუდენმა თავისი მოწინააღმდეგე შეამჩნია, პატარა

კორომში ხის ქვეშ არაქათგამოცლილი ჩამომჯდარი. მიატოვა თავისი ამხანაგები მინდვრის გვერდითა ღობეს ამოფარებულ შუანებთან საბრძოლველად, შემოუარა მათ და გარეული მხეცის სისწრაფით გაექანა მარკიზისაკენ. ამ მანევრის დანახვაზე მეფის ეგერებმა არანორმალური ყიჟინით შეატყობინეს თავიანთ წინამძღოლს ახალი საფრთხე, მერე ბრაკონიერების ჩვეული იღბლიანობით ისროლეს, ეცადნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ კონტრშუანებისათვის, მაგრამ ისინი მარჯვედ აცვივდნენ მიწაყრილზე, მტერს სიმაგრედ რომ ჰქონდა და სისხლიანი რევანში აიღეს. შუანები გამოეფინნენ გზაზე, მინდვრის ღობის გასწვრივ, სადაც ჩვენ მიერ აღწერილი სცენა გათამაშდა და მაღლობი დაიპყრეს, რომელიც იულომ დაუდევრად მიატოვა. სანამ ლურჯები გონს მოვიდნენ, შუანები კლდეების ნაპრალებში და შვერილებს უკან ჩასაფრდნენ. ამ სამალავიდან უსაფრთხოდ მყოფებს შეეძლოთ ლურჯებთან ბრძოლა, თუკი იულოს ჯარისკაცები გამოხატავდნენ სურვილს, იქ ასულიყვნენ. რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით, იულო წვრილიანისკენ მიდიოდა გიუდონის საძებნელად. მინდორში დარჩენილმა ფუჟერელებმა დაიწყეს დახოცილების გახდა და დაჭრილების დახოცვა. ამ საშინელ ომში არც ერთ მხარეს ტყვეები არ ჰყავდა. მარკიზი გადარჩა. შუანებმა და ლურჯებმა გადაწყვიტეს, რომ მტრის პოზიცია მიუვალ ადგილას იყო და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დაშლილიყვნენ.

- თუ ამ ყმაწვილს დავკარგავ, - წამოიძახა იულომ და ყურადღებით მოათვალიერა ტყე, - აღარავისთან დავმეგობრდები!

- ოჰო! - წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა ფუჟერელმა, მიცვალებულს ჯიბეებს რომ უჩხრეკდა, - ამ ჩიტს ყვითელი ბუმბულები აქვს...

და თავისიანებს უჩვენა ოქროს ფულებით სავსე ქისა შავადჩაცმული ღიპიანი კაცის ჯიბეში რომ იპოვა.

- ეს რაღა არის? - თქვა მეორემ და მიცვალებულის ჯიბიდან ლოცვანი ამოაცოცა.

- ბედი არ გინდა? მღვდელია! - წამოიძახა და ლოცვანი მიწაზე დააგდო.

- ოჰ, ეს ქურდი, უფულოდ დაგვტოვა, - თქვა მესამემ, მხოლოდ

ორი ექვსფრანკიანი ეკიუ რომ უპოვა ჯიბეში შუანს, ტანსაცმლის გახდისას.

- ჰო, მაგრამ ნახე, რა ფეხსაცმელი აქვს, - უპასუხა ჯარისკაცმა, გახდა რო დაუპირა.

- დაიცა, ფეხსაცმელს მიიღებ, თუ შენ გერგება, - შეეპასუხა ერთი ფუჟერელი, მოაგლიჯა ფეხსაცმელები მიცვლებულს ფეხებიდან და უკვე თავმოყრილი ნივთების გროვას მიუმატა.

მეოთხე კონტრშუანი ფულს აგროვებდა, რომ როგორც კი ექსპედიციის ყველა წევრი შეგროვდებოდა, გაენაწილებინათ. როცა იულო დაბრუნდა გიუდენთან ერთად, მარკიზის დაჭერის უკანასკნელი ცდა ძალიან სახიფათო და უშედეგო რომ გამოუვიდა, დახვდა ოცამდე ჯარისკაცი და ოცდაათიოდე კონტრშუანი მტრის თერთმეტი გვამის წინაშე, ღობის ძირში გათხრილ ორმოში რომ ჩაეყარათ.

- ჯარისკაცებო, გიკრძალავთ ამ ძონძების განაწილებას, - მკაცრად გამოაცხადა იულომ, - დაეწყვეთ! სწრაფად!

- მეთაურო, - უთხრა ერთმა ჯარისკაცმა და იულოს პირდაღებული ფეხსაცმლიდან ხუთივე თითი უჩვენა, - ფული ჰო, მაგრამ ეს ფეხსაცმელი, - და კონდახით ნალებიან ფეხსაცმელზე მიუთითა, - ეს ფეხსაცმელი ხელთათმანივით მომერგებოდა.

- შენ გინდა ფეხზე ინგლისური ფეხსაცმელი გეცვას? - შეაწყვეტინა იულომ.

- ეგ როგორ? - მორიდებით თქვა ერთმა ფუჟერელმა, - რაც ომი დაიწყო, ნადავლს სულ ვიყოფთ.

- თქვენ არ გიშლით, შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც იქცეოდით, - მკვეთრად შეაწყვეტინა იულომ.

- აჰა, გიუდენ, აიღე ეს საფულე, ბლომად ლუიდორებია. კარგად გაისარჯე და შენი უფროსი არ გაბრაზდება, შენ თუ აიღებ, - უთხრა ერთ-ერთმა ყოფილმა ამხანაგმა ახალგაზრდა ოფიცერს.

იულომ გვერდზე გახედა გიუდენს და შეამჩნია, რომ გაფითრდა.

- ეს ბიძაჩემის ქისაა.

დაღლილობისაგან ძალაგამოცლილმა თავს ძალა დაატანა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მივიდა მიცვალებულების გროვასთან და პირველი, რაც დაინახა, ბიძამისის გვამი იყო. როგორც კი დაინახა ლურჯლაქებიანი წითელი სახე, ნატყვიარი ჭრილობა, გაშეშებუ-ლი ხელები, წამოიყვირა და მერე იულოს უთხრა: - წავიდეთ, მეთაურო!

ლურჯების რაზმი გზას გაუდგა. იულო ეხმარებოდა მის მკლავზე დაყრდნობილ ახალგაზრდა მეგობარს.

- ეშმაკმა დალახვროს, დამშვიდდი, გაივლის, - ეუბნებოდა ბებერი ჯარისკაცი.

- ის ხომ მოკვდა! მოკვდა! - უპასუხა გიუდენმა, - სხვა ნათესავი არ მყავს. შემაჩვენა, მაგრამ მაინც ვუყვარდი. მეფე რომ დაბრუნდეს, მთელი ჩვენი მხარე დასჯას მოითხოვს, ბებერი კი თავისი ანაფორის კალთის ქვეშ შემიფარებდა.

- რა სულელია! - ამბობდნენ ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცები, ნადავლის გაყოფისას, - ბებერი მდიდარი იყო და ანდერძის შედგენასა და მის მემკვიდრეობის გარეშე დატოვებას ნამდვილად ვერ მოასწრებდა.

როგორც კი განაწილებას მორჩნენ, კონტრშუანები ლურჯების ბატალიონს დაეწივნენ და შორიახლო გაჰყვნენ.

საშინელმა მოუსვენრობამ დაისადგურა შეღამებისას დაასხი-კუტალის ქოხში, სადაც აქამდე ცხოვრება ასეთი მარტივი და უზრუნველი იყო. ბარბეტა და მისი პატარა ბიჭი იმ დროისათვის დაბრუნდნენ, როცა ოჯახი ვახშმობდა ხოლმე. ბარბეტას კურდღლისცოცხას მძიმე გუდურა მოეკიდებინა ზურგზე, ბიჭს ბლომად ბალახი საქონლისათვის. დედა-შვილი ტყუილად ეძებდა ქოხში დაასხი-კუტალის. ეს საცოდავი ოთახი ასეთი დიდი არასოდეს სჩვენებიათ, იმდენად ცარიელი იყო. უცეცხლო კერა, სიბნელე, სიჩუმე, ყველაფერი ავისმომასწავებლად ეჩვენათ. რომ ჩამოღამდა, ბარბეტამ საჩქაროდ ბუხარში ცეცხლი გააჩაღა და ორი ირიბუსი აანთო, მთელ იმ მხარეში, არმორიკის[17] სანაპიროებიდან ლუარის ქვემო წელამდე, ასე ეძახდნენ ფისის სანთელს, დღემდე რომ ხმარობენ ამბუაზის მხარეს ვანდეის სოფლებში. ბარბეტას სამზადისს ის სიზანტე ეტყობოდა, დიდი გრძნობით გათანგულ ადამიანს რომ ბოჭავს ხოლმე. გაფაციცებული უგდებდა ყურს სულ მცირე ხმაურს. ხშირად ქარის ზუზუნი

ატყუებდა, გადიოდა ქოხის ზღურბლზე და უფრო დადარდიანებული ბრუნდებოდა. ორი დოქი გამორეცხა, გაავსო სიდრით და წაბლის ხის გრძელ მაგიდაზე დადგა. რამდენჯერმე შეხედა ბიჭს, წიწიბურას კვერების გამოცხობას რომ ადევნებდა თვალს, მაგრამ დალაპარაკება ვერ გაბედა. წამით ბიჭის მზერა ორ დიდ ლურსმანზე შეჩერდა, - მამამისის გრძელი, სანადირო თოფი რომ ეკიდა ხოლმე. ბარბეტა შეკრთა, მანაც დაინახა, თოფის ადგილი ცარიელი იყო. სიჩუმეს მხოლოდ ძროხების ზმუილი არღვევდა, ან სიდრის წვეთი, დროდადრო კასრიდან რომ ეცემოდა ტკაპანით. საბრალო ქალმა ოხვრით მოამზადა თიხის სამ ჯამში რძის, წვრილად დაჭრილი კვერისა და წაბლისგან სუპის მსგავსი რაღაც.

- ბეროდიერის გვერდით იყო დღეს ბრძოლა, - თქვა პატარამ.

- მაშინ, წადი ერთი, ნახე, - უპასუხა დედამ.

ბიჭი გაიქცა, მთვარის შუქზე მიცვალებულების გროვას წააწყდა, მამა იქ ვერ იპოვა და სტვენა-სტვენით მხიარული დაბრუნდა; რამდენიმე ას სუიანი მონეტა იპოვა, გამარჯვებულების ფეხით ტალახში აზელილი, შეუმჩნეველი რომ დარჩენოდათ. დედა ბუხრის წინ დახვდა, ტაბურეტზე ჩამომჯდარი კანაფს ართავდა. ბიჭმა არაო, ანიშნა, ბარბეტას კარგის იმედი აღარ ჰქონდა. სენ-ლეონარზე ათჯერ რომ დარეკა საათმა, ბიჭმა წაილუღლუღა ორეის წმინდა ღვთისმშობლის ლოცვა და დაწვა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ბარბეტას, გათენებისას კი სიხარულის ყვირილი აღმოხდა, შორიდან ნალებდაკრული ფეხსაცმლის ბრახუნი რომ გაიგო, ფეხის ხმა იცნო და მართლაც მალე კოპებშეკრული დაასხი-კუტალი გამოჩნდა.

- სენ-ლაბრეს წყალობით, ერთ კარგ კელაპტარს რომ დავპირდი, ვაჟკაცი გადარჩა! არ დაგავიწყდეს ახლა წმინდანის სამი სანთელი გვმართებს.

მერე დაასხი-კუტალმა სიდრიან კუტალს ხელი დაავლო და შეუსვენებლად ჩამოცალა. როცა ცოლმა შეჭამანდი მიაწოდა და თოფი ჩამოართვა, კაკლის ხის სკამი კერასთან მიაცურა და თქვა: - ნეტავ ლურჯები და კონტრშუანები აქ როგორ მოხვდნენ? შეტაკება ხომ ფლორინიიში მოხდა. ვინ ეშმაკმა უთხრა, ერთი ვიცოდე, ჩვენთან რომ იყო? ეს თვითონ იმან იცოდა, იმისმა ლამაზმა და ჩვენ.

ქალი გაფითრდა.

- კონტრშუანებმა მომატყუეს, ვითომ წმინდა გიორგის მრევლიდან იყვნენ, - ამოილუღლუღა აკანკალებულმა ბარბეტამ, - და მე ვთქვი, სად იყო ვაჟკაცი.

ახლა დაასხი-კუტალი გაფითრდა, ჯამი მაგიდის ნაპირზე ჩამოდგა.

- ჩვენი ყმაწვილი გამოგიგზავნე, რომ გაეფრთხილებინე, - განაგრძო შეშინებულმა ქალმა, - ვერ მოგაგნო.

შუანი ადგა და ისე დაარტყა ქალს, რომ საწყალი მკვდარივით გაფითრებული დაეცა საწოლზე.

- წყეულო დედაკაცო, დამღუპე! მერე შიშმა აიტანა, მკლავები მოხვია ცოლს. - ბარბეტა! ბარბეტა!! წმინდაო ქალწულო! მეტისმეტად მძიმე ხელი მაქვს.

- როგორ გგონია, - თვალი გაახილა ბარბეტამ, - იარე-მიწაზე გაიგებს?

- ვაჟკაცმა დაავალა, გაიგონ ვინ გასცა.

- ვის დაავალა, იარე-მიწაზეს?

- მოიტაცე-დიდი-კვერი და იარე-მიწაზე ფლორინიიში იყვნენ.

ბარბეტას ცოტა მოეშვა.

- იმათი გულისთვის ერთი თმაც რომ ჩამოგივარდეს თავიდან, შავ დღეს დავაყრი. შურს ვიძიებ!

- აღარ მშია, - ნაღვლიანად თქვა დასხი-კუტალმა.

ქალმა მეორე სავსე დოქი მიუწია. ზედაც არ შეუხედავს.

ორი დიდი ცრემლი ჩამოუგორდა ბარბეტას დაღარულ, დამჭკნარ სახეზე და სველი კვალი დაუტოვა.

- მისმინე, ქალო, ხვალ დილით სენ-ლეონარის პირდაპირ ფიჩხი უნდა მოგროვდეს სენ-სიულპისის კლდეებზე და იქ კოცონი უნდა დაინთოს. ესეთი პირობაა, ნიშანია. ვაჟკაცსა და წმინდა გიორგის მოხუც რექტორს შორის, მისთვის მესა უნდა აღავლინოს.

- მაშ, ფუჟერში ჩავა?

- ჰო, თავის ლამაზ გოგოსთან. დღეს მაგიტომ ბევრი სარბენი მექნება, ეტყობა ცოლად უნდა მოყვანა და ჩუმად გაპარება. დამავალა ცხენების დაქირავება და მათი სენ-მალოს გზაზე გაყოლა.

დაღლილი დაასხი-კუტალი მიწვა რამდენიმე საათით და მერე ისევ გაიქცა. მეორე დილით, მარკიზის ყველა დავალების გულმოდგინედ შესრულების მერე დაბრუნდა. როცა გაიგო, მოიტაცე-დიდი-კვერი და იარე-მიწაზე არ გამოჩენილანო, ცოტა დაამშვიდა ცოლი, თითქმის დაწყნარებული რომ წავიდა სენ-სიულპისის კლდეზე, სადაც გუშინ სენ-ლეონარის პირდაპირ, მომრგვალებულ ბორცვზე დათრთვილული ფიჩხის რამდენიმე კონა მოამზადა. ხელჩაკიდებული ბიჭი მიჰყავდა, ხის გატეხილი საბოთი ნაკვერჩხალი რომ ეჭირა. როგორც კი მისი ცოლი და ბიჭი ფარდულის სახურავს მიეფარნენ, დაასხი-კუტალმა გაიგო, როგორ გადმოხტა ვიღაც მინდვრის გრძელი ანფილადის ბოლო ჭიშკარზე და საკმაოდ სქელ ნისლში ჩრდილებივით ძლივს გაარჩია მათი ტლანქი, მოუხეშავი ფიგურები. მოიტაცე-დიდი-კვერი და იარე-მიწაზე არიან, - გაიფიქრა კაცმა და გააჟრჟოლა. პატარა ეზოში დიდი, გაცვეთილი ქუდების ქვემოდან მოქუფრული სახეები გამოჩნდა შუანებისა, ისეთი, ზოგი გრავიორი ზოგჯერ პეიზაჟის შტრიხებით რომ ქმნის.

- გამარჯობა, დაასხი-კუტალო! - მიესალმა დაბღვერილი იარე-მიწაზე.

- გამარჯობათ, ბატონო იარე-მიწაზე, - მორჩილად მიესალმა ბარბეტას ქმარი, - არ გინდათ, შემოხვიდეთ და ერთი-ორი ტოლჩა სიდრი მიირთვათ? ცივი კვერები და ახალი შედღვებილი კარაქი მაქვს.

- დაპატიჟებაზე უარს არ ამბობენ, ბიძაშვილო, - უთხრა მოიტაცე-დიდი-კვერმა.

შუანები შევიდნენ. ოჯახის უფროსისათვის ეს დასაწყისი საშიშს არაფერს მიანიშნებდა. გაემართა კასრისკენ და სამი კუტალი სიდრი ჩამოასხა. ამასობაში იარე-მიწაზე და მოიტაცე-დიდი-კვერი გრძელი მაგიდის ორივე მხარეს ისხდნენ გაპრიალებულ მერხებზე, დაჭრეს კვერები ნაჭრებად და უსვამდნენ მოყვითალო, სქელ კარაქს, დანის ქვეშ ბუშტუკებიდან რძის შხეფები იფანტებოდა. დაასხი-კუტალმა

ქაფმომდგარი სიდრი დაუდგა სტუმრებს და სამივე შუანი ჭამას შეუდგა. მაგრამ სახლის პატრონი თან ჭამდა და თან თვალს აპარებდა იარე-მიწაზესკენ.

- ერთი შენი საბურნუთე მომეცი, - უთხრა იარე-მიწაზემ მოიტაცე-დიდ-კვერს.

ძლიერად ჩამობერტყა ხელისგულზე რამდენიმე მწიკვი ბურნუთი, დიდი გულისყურით შეისუნთქა - ბრეტონელის ჩვეულებრივი მომზადებაა მნიშვნელოვანი საქმისთვის.

- რაღაც აცივდა, - თქვა მოიტაცე-დიდი-კვერმა, სუფრიდან ადგა და წავიდა კარის ზედა ნაწილის ჩასაკეტად.

მოჟამული ამინდის მქრალი შუქი ახლა მხოლოდ პატარა სარკმლიდან შედიოდა და ოდნავ ანათებდა მაგიდას და ორ მერხს. ამას ცეცხლის მოწითალო ათინათები ემატებოდა. ამ დროს მასპინძელმა მეორედ შეავსო სტუმრების სასმისები და დადგა მათ წინ, მაგრამ ორივემ უარი თქვა, მოიხადეს ფართოფარფლებიანი ქუდები და საზეიმო სახეები მიიღეს. მათი ჟესტებისაგან და მზერისგან დაასხი-კუტალი ათრთოლდა, მოეჩვენა, რომ შალის წითელი ჩაჩების ქვემოდან სისხლმა გამოჟონა.

- ცული მოგვიტანე, - თქვა იარე-მიაწაზემ.

- ცული? კი მაგრამ, ბატონო იარე-მიწაზე, რა გინდათ, გააკეთოთ?

- ჰო, კარგი, ბიძაშვილო, მშვენივრად იცი, - უთხრა მოიტაცე-დიდი-კვერმა და შეინახა საბურნუთე, იარე-მიწაზემ რომ დაუბრუნა, - განაჩენი გამოტანილია. ორივე შუანი წამოხტა და კარაბინები ჩაბღუჯეს.

- ბატონო იარე-მიწაზე, მე არაფერი მითქვამს ვაჟკაცზე...

- გითხარი, ცული მოიტანე-მეთქი, - უთხრა შუანმა.

უბედური დაასხი-კუტალი ბავშვის საწოლს დაეჯახა და იატაკზე სამი მონეტა ჩამოვარდა, ას-ას სუიანი და გაგორდა. მოიტაცე-დიდი-კვერმა აკრიფა ფულები.

- ოჰო! ლურჯებს ახალი ფულით გადაუხდიათ შენთვის, - წამოიძახა იარე-მიწაზემ.

- ჭეშმარიტ სიმართლეს გეტყვით, აი, წმინდანის ხატთან გეფიცებით. მე არაფერი მითქვამს. ბარბეტას კონტრშუანები წმინდა გიორგის ხალხი ეგონა, აი, ესე იყო.

- საქმეებზე ცოლს რად ელაპარაკები? - უხეშად უთხრა იარე-მიწაზემ.

- ბიძაშვილო, ახსნას კი არ გთხოვთ, ცულს გთხოვთ. საქმე გადაწყვეტილია.

ამხანაგმა ანიშნა და მოიტაცე-დიდი-კვერი შეეხმიანა, დასტაცეს ხელი მსხვერპლს. შუანების ხელში ჩავარდნილი დაასხი-კუტალი მოიმჩვარა, ძალა გამოელია, მუხლებზე დაეცა, სასოწარკვეთილმა ხელები გაიწვდინა თავისი ჯალათებისკენ: - მეგობრებო, ბიძაშვილო, - გამტკნარებულმა თქვა, - ჩემს ბიჭს რა ეშველება?

- მე ვიზრუნებ, - თქვა იარე-მიწაზემ.

- ჩემო ამხანაგებო, - ისევ ალაპარაკდა დაასხი-კუტალი და მიტკალივით გაფითრდა, - ასე უცებ ვერ მოვკვდები. ნუთუ ასე მოუნანიებელს მომკლავთ? შეგიძლიათ სიცოცხლე წამართვათ, მაგრამ სამუდამო სასუფევლის წართმევა არ შეგიძლიათ.

- მართალია, - იარე-მიწაზემ გადახედა მოიტაცე-დიდ-კვერს.

ორივე შუანი შეფიქრიანდა, არ იცოდნენ, როგორ გადაეწყვიტათ ეს საკითხი. დაასხი-კუტალი ქარის მცირედ ქროლვასაც კი უგდებდა ყურს, თითქოს რაღაცის იმედი კიდევ ჰქონდა. წვეთების დაცემის მონოტონურ ხმაზე კასრისკენ გაიხედა და ნაღვლიანად ამოიკვნესა. უცებ მოიტაცე-დიდმა-კვერმა ხელი სტაცა სიკვდილმისჯილს და კუთხისკენ წაიყვანა.

- აღსარება მე მითხარი, მე ყველაფერს ნამდვილი ეკლესიის მღვდელს ვუამბობ, ის კი ცოდვებს შეგინდობს და თუ ეპიტიმიას დაგაკისრებს, შენ მაგივრად მე შევასრულებ, - დაასხი-კუტალმა ასეთი პატარა გადავადება მიიღო, მაგრამ როცა გაიაზრა თავისი ცოდვები და გარემოებანი, როცა ისინი ჩაიდინა, გრძელი ჩამონათვალიც ამოიწურა.

- ეჰ, - თქვა ბოლოს, - ბიძაშვილო! რაკი ისე გელაპარაკები, როგორც აღსარებაზე, გარწმუნებ, ღმერთს გეფიცები, არაფერი მაქვს ჩემი თავისთვის სასაყვედურო, ზოგჯერ სულ ცოტა თაღლითობისა, ცოტა მეტი კარაქი მინდოდა პურზე, ვაჟკაცზე

კი არაფერი მითქვამს... აი, წმინდანს დავიმოწმებ, ბუხარზე რომ დგას. არა, ძმებო, მეგობრებო, მოღალატე არა ვარ!

- ჰო, კარგი ბიძაშვილო, ადექი, ამ ყველაფერზე ღმერთს მოელაპარაკები, როცა დრო მოვა.

- გამომშვიდობების საშუალება მაინც მომეცი ბარბე...

- გეყოფა, - შეაწყვეტინა იარე-მიწაზემ, - თუ გინდა, რომ აუგად არ მოგიხსენიონ, ბრეტონელივით მოიქეცი და გეყოფა წუწუნი.

შუანებმა ისევ სტაცეს ხელი, დააწვინეს მერხზე, სადაც უკვე არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ოღონდ ინსტინქტური ცხოველური შიშით კრთებოდა მხოლოდ. ბოლოს რამდენჯერმე ყრუდ ამოიოხრა, რაც ცულის მძიმე დარტყმამ შეაწყვეტინა. თავი ერთი დარტყმით მოეკვეთა. იარე-მიწაზემ თმაში ჩაავლო ხელი, გაიტანა თავი ქოხიდან, თვალი მოავლო იქაურობას, კასრის ნაპირზე დიდი ლურსმანი შენიშნა, შემოახვია თმა, რომლითაც ეს გასისხლიანებული თავი ეჭირა, თვალებიც კი არ დაუხუჭა, ისე ჩამოკიდა თავი ქოხის კარზე. ორივე შუანმა ნელ-ნელა დაიბანა ხელები წყლით სავსე თიხის დიდ ჯამში, დაიხურეს ქუდები, აიღეს კარაბინები, გადაახტნენ მორს, გაუყვნენ ბილიკს და თან უსტვენდნენ „ბალადას კაპიტანზე“. მინდვრის ბოლოს მოიტაცე-დიდმა-კვერმა ხრინწიანი ხმით ამ მარტივი სიმღერიდან აქა-იქ, რომელიღაც სტროფიც გაიხსენა და ქარმა შორს წაიღო ეს უბრალო მელოდია: პირველ ქალაქში

საყვარელმა გამოაწყო

თეთრ ატლასში.

მეორე ქალაქში

საყვარელმა მორთო

ოქროთი და ვერცხლით

და ისეთი ლამაზი იყო

რომ აფრებით ესალმებოდა

მთელი არმია.

შუანები შორდებოდნენ, მელოდიაც სულ უფრო ცუდად ისმოდა, მაგრამ ირგვლივ ისეთი მდუმარება იყო გამეფებული,

რომ მელოდიის ნაწყვეტებმა ბარბეტას ყურამდე მიაღწია, რომელიც შინ ბრუნდებოდა და თავისი პატარა ხელჩაკიდებული მოჰყავდა. საფრანგეთის დასავლეთში ეს ბალადა ძალიან პოპულარულია, ვერც ერთი გლეხის ქალი გულგრილად ვერ ისმენს და ბარბეტამაც უნებურად დაიწყო ბალადის პირველი სტროფის ღიღინი.

წავიდეთ ომში, წავიდეთ, დროა.

მამაცო კაპიტანო, ამაზე არ იფიქრო, მამაცი ხარ, მაგრამ ჩემი გოგო შენთვის არ არის.

ის არც მიწაზე იქნება შენი, არც ზღვაზე გეყოლება, თუ არა ვისიმე ღალატი.

მამას მიჰყავს თავისი გოგო, ხდის ტანსაცმელს

და წყალში აგდებს.

კაპიტანი უფრო ჭკვიანია, გადაეშვება წყალში

და გამოჰყავს ნაპირზე.

აბა, წავედეთ, ლამაზო, წავედით, ომში.

წავედით, დროა.

პირველ ქალაქში და ა.შ.

როცა ამ სიტყვებს ღიღინებდა, საიდანაც მოიტაცე-დიდი-კვერმა ბალადა დაიწყო, ბარბეტა ეზოში შევიდა, მაგრამ ენა თითქოს გაეყინა, ადგილზე გაქვავდა და საზარელი ღრიალი აღმოხდა ფართოდ გაღებული პირიდან, რომელიც მაშინვე ჩაახშო.

- რა მოგივიდა, დედიკო? - ჰკითხა ბავშვმა.

- წადი მარტო, - ყრუ ხმით წამოიძახა ბარბეტამ, გამოგლიჯა ხელი და წინ უბიძგა მისთვის უჩვეულო სიმძაფრით, - აღარც მამა გყავს, აღარც დედა.

ბავშვმა ყვირილით მოისროლა მხარზე მოკიდებული ტვირთი და ამ დროს დაინახა ლურსმანზე დაკიდებული თავი. მის ნორჩ სახეს უხმოდ შერჩა ნერვული კანკალი, რომელიც მტირალ სახეს აქვს ხოლმე. ბიჭმა თვალები დაჭყიტა, დიდხანს უყურა მამამისის თავს გამოშტერებული სახით, არანაირი ემოცია რომ არ ეტყობოდა, ბოლოს უვიცი ადამიანის ჩლუნგ სახეზე

ცნობისმოყვარეობა გამოიხატა.. უცებ ბარბეტამ ისევ ჩაჰკიდა ხელი, მაგრად მოუჭირა, გაექანა ქოხისკენ და ბავშვიც წაათრია. როცა იარე-მიწაზე და მოიტაცე-დიდი-კვერი დაასხი-კუტალის მერხზე აწვენდნენ, ფეხიდან ხის საბო გაეხადა, მისი კისრის ქვეშ იატაკზე დაეცა და სისხლით გაივსო. პირველი ნივთი, რაც ქვრივმა ოთახში შესვლისას დაინახა, ეს იყო.

- ფეხიდან საბო გაიხადე, - უთხრა შვილს, - ახლა აი, აქ ჩაყავი ფეხი. აი, ასე. სამუდამოდ დაიხსომე მამაშენის ფეხსაცმელი, - განაგრძო სევდიანი ხმით, - ყოველთვის, როცა ფეხზე ჩაიცვამ, გაიხსენე მისი სისხლით სავსე ფეხსაცმელი, სისხლით, შუანებმა რომ დაღვარეს და დახოცე შუანები!

ბარბეტამ დაიწყო თავის ქნევა და ისე მაგრად იქნევდა, რომ შავი თმა ჩამოეშალა, რამაც მის სახეს ავბედითი გამომეტყველება მიანიჭა.

- მოვუწოდებ მოწმედ წმინდა ლაბრს და გაკურთხებ ლურჯად. ჯარისკაცი იქნები და მამის შურს იძიებ. დახოცე, დახოცე შუანები! ჩემსავით მოიქეცი, მათ ჩემს კაცს მოკვეთეს თავი, მე ვაჟკაცის თავს ჩავაბარებ ლურჯებს.

ერთი ნახტომით საწოლზე აღმოჩნდა, სამალავიდან ფულიანი პატარა ტომსიკა გამოიღო, ჩაავლო გაკვირვებულ ბავშვს ხელი და სწრაფად წაათრია, ფეხზე საბოს ჩაცმაც კი არ აცალა. სწრაფად გაეშურნენ ფუჟერისაკენ ისე, რომ არც ერთს, არც მეორეს თავი არ მოუტრიალებია ქოხისკენ, რომელსაც ტოვებდნენ. სენ-სიულპისის მწვერვალზე რომ მივიდნენ, ბარბეტამ მოჩხრიკა მოგიზგიზე ნაკვერჩხლები, მისმა კაცუნამ თრთვილიანი კურდღლისცოცხას ტოტები დააფარა, უფრო სქელი ბოლი რომ ავარდნილიყო.

- ეს უფრო დიდხანს იქნება, ვიდრე მამაშენი იყო, ჩემს მერეც იქნება და იმ კაცზეც, ვაჟკაცს რომ ეძახიან, - პირქუში რისხვით თქვა ბარბეტამ, კოცონზე მიანიშნა შვილს.

იმ დროს, როცა დაასხი-კუტალის ქვრივი და მისი სისხლიანფეხიანი ვაჟი, დაბღვერილები, შურისძიების სურვილითა და ინტერესით უყურებდნენ ბოლის ბოლქვებს, მადმუაზელ დე ვერნეი თვალს არ აშორებდა კლდეს, ცდილობდა დაენახა, მაგრამ ამაოდ, მარკიზის დაპირებული სიგნალი. ნისლი, უფრო და უფრო რომ სქელდებოდა, სქელ საბურველში ხვევდა ყველაფერს და მისი რუხი ნაფლეთები

უახლოეს პეიზაჟსაც კი უხილავს ხდიდა. ნაზი მღელვარებით რიგრიგობით შესცქეროდა კლდეებს, ციხე-კოშკს, ნაგებობებს, რომლებიც ნისლში კიდევ უფრო შავად შედედებულ ნისლს ჰგავდა. მის ფანჯარასთან რამდენიმე ხე მოლურჯო ფონზე მშვიდ ზღვაში თვალმოკრული მარჯნებივით ჩანდა. ნისლიან ცას მზე ჩამუქებული ვერცხლის ფერს აძლევდა და მისი სხივები შემღვრეულწითლად აფერადებდნენ ხეების შიშველ ტოტებს, აქა-იქ რომ შერჩენოდა უკანასკნელი ფოთლები. მარის სულს მეტისმეტად საამური ფიქრები აფორიაქებდა იმისათვის, რომ რაიმე ავისმომასწავებელი შეემჩნია ამ უხალისო სპექტაკლის დეტალებში, ასე რომ არ ეხამებოდა იმ უზარმაზარ ბედნიერებას, წინასწარ რომ ტკბებოდა. ბოლო ორი დღის მანძილზე ამბები უცნაურად შეიცვალა. მკვეთრი, შმაგი ვნება ნელ-ნელა ექვემდებარებოდა თანაბარ ტემპერატურას, რომელიც ნამდვილი სიყვარულით ათბობს სიცოცხლეს. მრავალი სახიფათო განსაცდელის გამოვლის შემდეგ მარი დარწმუნდა, რომ მარკიზს ის მართლა უყვარდა და მაშინ სურვილი გაუჩნდა, დაბრუნებულიყო იმ საზოგადოებრივ პირობებში, სადაც ნებადართულია ბედნიერება და საიდანაც სასოწარკვეთილებამ აიძულა, გამოსულიყო. სწრაფწარმავალი სიყვარული უბადრუკობად მოეჩვენა. მერე წარმოიდგინა, რომ საზოგადოების ფსკერიდან, სადაც უბედურებამ ჩააგდო, უცებ ავა ისევ იმ მაღალ წრეებში, სადაც ცოტა ხნით მამამისმა შეიყვანა. ვნების ხან სასიხარულო, ხან მწუხარე მღელვარებით მტანჯველი მოვალეობისაგან დათრგუნულმა პატივმოყვარეობამ ისევ გაიღვიძა მასში და მაღალი მდგომარეობის აშკარა უპირატესობანი ნათლად წარმოუდგინა. ასე იყო თუ ისე, მარკიზად დაბადებული თუ მონტორანს გაჰყვებოდა ცოლად, ეს ნიშნავდა, რომ იმოქმედებდა და იცხოვრებდა იმ გარემოში, რომელიც ეკუთვნოდა! ბობოქარი ცხოვრების უკუღმართობის განცდის მერე მას უკეთ, ვიდრე ნებისმიერ ქალს, შეეძლო, შეეფასებინა ოჯახის შესაქმნელი გრძნობათა სიდიადე. ქორწინება და დედობა, ამასთან დაკავშირებული საზრუნავი მისთვის უფრო დასვენება იყო, ვიდრე მოვალეობა. უკანასკნელად გადაგრიალებული ქარიშხლის მიღმა სიყვარულით უყურებდა სათნო და მშვიდ ცხოვრებას, როგორც ზოგჯერ თავისი სათნოებით დაღლილი ქალი შურით უყურებს აკრძალულ ვნებას. სათნოება მისთვის ახალი ცდუნება იყო.

- იქნებ მეტისმეტად ვეკეკლუცე? - ფიქრობდა მარი, ფანჯარას მოშორდა ისე, რომ ვერ დაინახა ბოლი სენ-სიულპისის კლდეზე, - აბა, სხვანაირად როგორ გამეგო, ვუყვარვარ თუ არა?.. ფრანსინ, ეს სიზმარი არ არის, ამ საღამოს მარკიზა დე მონტორანი გავხდები. ნეტავ რითი დავიმსახურე ასეთი ბედნიერება? მიყვარს და მხოლოდ სიყვარულით შეიძლება სიყვარულის გადახდა. როგორც ჩანს, ღმერთს ჩემი დაჯილდოება უნდა იმისათვის, რომ მიუხედავად ყველა გაჭირვებისა, შევინარჩუნე გამძლეობა და ახლა საშუალებას მაძლევს, ყველა უბედურება დავივიწყო... შენ მაინც ხომ იცი, ძვირფასო, რამდენი ტანჯვა გამოვიარე.

- ამ საღამოს მარკიზა დე მონტორანი გახდებით, მარი? თქვენ, მარი? ოჰ, სანამ ეს არ მოხდება, სიზმარი მგონია. ვინ თქვა, რომ ამის ღირსი ხარ?

- ჯერ ერთი, ჩემო ძვირფასო გოგონა, მას მარტო ლამაზი თვალები კი არა აქვს, შესანიშნავი სულიც აქვს. ოჰ, რომ გენახა გაჭირვების ჟამს, როგორც მე ვნახე! ო, სიყვარულშიც კარგი უნდა იყოს, ისეთი გაბედულია!

- ასე თუ გიყვართ, რატომ მიეცით ნება დღეს ფუჟერში მოსულიყო?

- დალაპარაკება ვერ მოვასწარით, როცა ალყა შემოგვარტყეს. და მერე განა ეგ სიყვარულის დამტკიცება არ არის? ჩვენ, ქალებს, დამამტკიცებელი საბუთი არასოდეს გვყოფნის. მანამდე კი დამვარცხნე.

მაგრამ ასჯერ მაინც შეაცვლევინა მოხდენილი ვარცხნილობა, მშფოთვარე, აფორიაქებული აზრები ჯერ კიდევ უშლიდა ხელს კეკლუცობის ეშმაკობებს, ხრიკებს. ხან კულულს დაახვევინებდა, ხან თმის ბუნებრივი მბზინვარების უკეთ გამოსაჩენად, ნაწნავებს აწნევინებდა, ჯერ ისევ უნდობლად ფიქრობდა, ხომ არ მატყუებსო მარკიზი, მაგრამ მაშინვე პასუხობდა, რომ ასეთი თავხედობა წარმოუდგენელი იყო, რადგან მასთან ფუჟერში გულადად მოსვლით თავს გარდაუვალი შურისძიების საფრთხეში არ იგდებდა, განა? სარკეში ეშმაკურად სწავლობდა ორჭოფულ გამომეტყველებას, ღიმილს, შუბლის შეკვრას, გაბრაზებულ სახეს, სიყვარულის ან მედიდურობის ეფექტს. რაიმე ქალურ ხრიკს ეძებდა, ახალგაზრდა მეთაურის გული ბოლო წუთამდე რომ

გამოეცადა.

- მართალი ხარ, ფრანსინ. მეც შენსავით მინდა, ქორწინება უკვე შემდგარი რომ იყოს. ეს ჩემი უკანასკნელი გაურკვეველი დღეა, ან სიკვდილს მომიტანს, ან ორივეს ბედნიერებას. საზიზღარი ნისლია და ისევ ნისლმობურულ სენ-სიულპისის მწვერვალებს გახედა.

თვითონ დაალაგა აბრეშუმისა და მუსლინის ფარდის ნაკეცები ფანჯრებზე, ცდილობდა, შეერბილებინა დღის სინათლე და ოთახში სასიამოვნო ბინდბუნდი ყოფილიყო.

- ფრანსინ, აალაგე ბუხრიდან ეს დახვავებული სამშვენისები, მხოლოდ საათი დატოვე და ორი საქსონური ლარნაკი, მე თვითონ ჩავალაგებ ზამთრის ყვავილებს, კორანტენმა რომ მიშოვა.... ყველა სკამი გაიტანე. აქ მხოლოდ კანაპე და სავარძელი დატოვე. როცა მორჩები, ჯაგრისით მოაწესრიგე ხალიჩა, ფერები რომ გაცოცხლდეს, მერე სანთლები ჩადგი ბრებში ბუხართან და კანდელაბრებში...

მარი დიდხანს ყურადღებით უყურებდა კედელზე გაკრულ გობელენს. თანდაყოლილი გემოვნების კარნახით გამოარჩია ოსტატური ნაქარგის ბრწყინვალე ნიუანსებიდან ფერები, როცა ეს ძველი დროის სამკაული ბუდუარის ავეჯს უხდებოდა ფერების შეხამებით ან კონტრასტის ხიბლით. იმავე მოსაზრებით განალაგა ყვავილები მოხატულ ლარნაკებში, ოთახს რომ რთავდნენ. კანაპე ცეცხლთან ახლოს მისწია, საწოლის ორივე მხარეს, ბუხრის მოპირდაპირე კედელთან ორ პატარა, მოოქრულ მაგიდაზე საქსონური ლარნაკები დადგა ფოთლებითა და ყვავილებით, ნაზ სურნელს რომ აფრქვევდნენ. რამდენჯერმე შეკრთა, როცა საწოლის ზემოთ ყვავილებიანი ფარდის ნაოჭებს ასწორებდა. ასეთ სამზადისს ენით აუწერელი ბედნიერება სდევს და ისეთ აღტაცებას იწვევს, რომ ხშირად ეს სასიამოვნო სამზადისი ავიწყებს ქალს ეჭვებსა და შფოთვას, სწორედ ასე დაავიწყდა მადმუაზელ დე ვერნეისაც. რაღაც მოწიწებული, მოკრძალებული გრძნობა ახლავს ამ უსასრულო სამზადისს, საყვარელ ადამიანს რომ უკავშირდება, რომელსაც ელიან, რომელსაც ჯერ არ შეუძლია დანახვა და შეფასება, მაგრამ მალე კმაყოფილი ღიმილით დააჯილდოებს, რადგან ის ყოველთვის ამჩნევს ამას! ამ დროს ქალი თითქოს წინასწარ ექცევა სიყვარულის ტყვეობაში და არ არსებობს არც ერთი ქალი, იმასვე რომ არ ფიქრობდეს, რასაც

მადმუაზელ დე ვერნეი: „ამ საღამოს ბედნიერი ვიქნები!“ ყველაზე უბიწოც კი ამ ოცნებას აბრეშუმის ან მუსლინის ნაკეცებში მალავს და იმ ჰარმონიას, თავის ირგვლივ რომ ქმნის, ნელ-ნელა მსჭვალავს სიყვარულით. ამ სასიამოვნო, გრძნობად გარემოში ნივთები არსებად იქცევიან, მოწმეებად და ყველა მომავალი სიხარულის თანამონაწილეებად. ყოველი აზრი, ყოველი მოძრაობა მომავლის განჭვრეტაში მეტ სითამამეს ჰმატებს. მალე ძალა აღარ ჰყოფნის ლოდინისა და იმედის, აღიზიანებს სიჩუმე და უმცირესი ჩქამიც კი რაღაცის მომასწავებელი ჰგონია და ბოლოს ეჭვი გულზე უჭერს დაკლანჭულ ხელს, ცეცხლი ეკიდება, ბორგავს, გადარეულია და გრძნობს, რომ ერთადერთი აზრი გადაიზრდება ნამდვილ ფიზიკურ ძალად და აწვალებს. ხან ბრწყინვალე გამარჯვებას გრძნობს, ხან ტანჯვას, და რომ არა სიამოვნების იმედი, ნამდვილად ვერ გაუძლებდა. ოცჯერ მაინც გადასწია ფანჯრის ფარდა იმ იმედით, რომ ბოლს დაინახავდა კლდეზე, მაგრამ ნისლი ყოველ წუთში განსხვავებულ რუხ ელფერს იღებდა, რაც მადმუაზელ დე ვერნეის წარმოსახვაში ცუდის მაუწყებელი ნიშანი იყო. მტანჯველმა შფოთვამ შეიპყრო. ფარდას შეეშვა და გადაწყვიტა, ხელი აღარ ეხლო. გაბრაზებულმა მოავლო თვალი ოთახს, რომელსაც სულიც შთაბერა და ხმაც ჰქონდა, გაიფიქრა, ყველაფერი ამაო ხომ არ არისო და ამ ფიქრმა რეალობაში დააბრუნა.

- ფრანსინ, გეთაყვა, მოდი აქ, - მარიმ შეიყვანა ბუდუარის მომიჯნავე ტუალეტის ოთახში, რომელსაც მხოლოდ პატარა, მრგვალი სარკმელი ანათებდა და რომელიც ბნელ კუთხეში გადიოდა, სადაც ქალაქის სიმაგრე ბულვარის ბოლოში კლდეებს უერთდებოდა, - მიალაგე აქაურობა, ყველაფერი რომ სუფთა იყოს! სასტუმრო ოთახი, კი შეგიძლია დატოვო მიულაგებელი, თუ გინდა, - დაუმატა მარიმ იმ ღიმილით, ქალები მეგობრებისათვის რომ ინახავენ ხოლმე და რომლის პიკანტურ დახვეწილობას მამაკაცი ვერასოდეს გაიგებს.

- ოო, რა ლამაზი ხართ! - წამოიძახა პატარა ბრეტონელმა.

- რა მერე, მაინც სულელები ვართ ქალები. ჩვენი ყველაზე კარგი სამკაული - ჩვენი შეყვარებულია, - მარი მიბნედილი წამოწვა ოტომანზე, ფრანსინი ფეხაკრეფით გამოვიდა და გაიფიქრა, მარკიზს ეყვარება თუ არა ჩემი ქალბატონი, მაინც არ დაასმენსო.

- დარწმუნებული ხარ იმაში, რასაც მელაპარაკები, ბებრუხანა? - უთხრა იულომ ბარბეტას, რომელიც ქალმა ფუჟერში შესვლისთანავე იცნო.

- თვალები არა გაქვთ? თქვენ თვითონ შეხედეთ კლდეს სენ-სიულპისის პირდაპირ, აი, იქ, გენაცვა, სენ-ლეონარის გასწვრივ.

კორანტენმა გაიხედა იქით, საითაც ქალი თითით უჩვენებდა და რაკი ნისლი ცოტა შეთხელდა, საკმაოდ მკაფიოდ დაინახა მოთეთრო ბოლის სვეტი, დაასხი-კუტალის ცოლი რომ ამბობდა.

- მერე, აბა, როდის მოვა, ბებერო! ამ საღამოს თუ ღამე?

- აი, ეგ კი აღარ ვიცი.

- შენიანებს რატომ ასმენ? - შეეკითხა იულო და კორანტენისგან რამდენიმე ნაბიჯით განზე გაიყვანა.

- აჰ, ჩემო ბატონო გენერალო. შეხედეთ ჩემი ბიჭის ფეხს! იცით, რა არის? მამამისის, ჩემი კაცის სისხლია. შუანებმა მოკლეს, ხბოსავით გამოჭრეს ყელი იმ სამი სიტყვისთვის დასაჯეს, თქვენ რომ მათქმევინეთ გუშინ, მიწას რომ ვამუშავებდი. წაიყვანეთ ჩემი ბიჭი, რაკი მამაც წაართვით და დედაც, ნამდვილ ლურჯად გაზარდეთ, გენაცვა, რომ რაც შეიძლება ბევრი შუანი დახოცოს. აი, თქვენ ორასი ეკიუ, შეუნახეთ, თუ ამ ფულს მოუფრთხილდება, დიდხანს ეყოფა, მამამისი თორმეტი წელი აგროვებდა.

იულო გაკვირვებული უყურებდა გლეხი ქალის გაფითრებულ, დანაოჭებულ სახეს: თვალებში ცრემლი ვერ შენიშნა: - და შენ, შენ თვითონ რა მოგივა, დედი? შენთვის დაიტოვე, უკეთესია ეს ფული.

- რა მე? მე აღარაფერი მჭირდება, - ნაღვლიანად გააქნია თავი, - თუნდაც მელუზინის კოშკში დამმალოთ (და ციხის ერთ-ერთ კოშკზე მიუთითა). შუანები მაინც მიპოვიან და არ მაცოცხლებენ, - დაღვრემილი მოეხვია ტკივილისაგან დაღრეჯილი სახით თავის ბიჭს, შეხედა, ორი ცრემლი ჩამოუგორდა. ისევ შეხედა და გაქრა.

- მეთაურო, ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვათ, ამ საქმეს ორი თავი უკეთ მოაგვარებს, ვიდრე ერთი! - წამოიძახა კორანტენმა, - ყველაფერი ვიცით და არაფერი ვიცით.

სასწრაფოდ რომ შემოვარტყათ ალყა მადმუაზელ დე ვერნეის სახლს, ნიშნავს, რომ ჩვენს წინააღმდეგ განვაწყობთ. ხომ იცი, ვერც მე, ვერც შენი კონტრშუანები და ორი ბატალიონი ვერ შევებრძოლებით ასეთ ქალს, თუ გადაწყვეტს თავისი ყოფილის გადარჩენას. ეგ ბიჭი მეფის კარზე ტრიალებდა და, მაშასადამე, კაი ეშმაკიც იქნება, თანაც ახალგაზრდაა და გულადიც, ფუჟერის კარიბჭესთან ვერ დავიჭერთ. თანაც, იქნებ უკვე ქალაქშია, სახლებში მოვჩხრიკოთ? სისულელეა! ვერაფერს მივაგნებთ, ხმაურს გამოვიწვევთ და ხალხს შევაშინებთ.

- საყარაულო პოსტზე წავალ სენ-ლეონართან, - მოუთმენლად თქვა იულომ, - გუშაგებს ვუბრძანებ, დისტანცია გაზარდონ სამი ნაბიჯით და მადმუაზელ დე ვერნეის სახლამდე მივალ. ყველა გუშაგს პირობით ნიშანს მივცემ, მე სამორიგეოში დავჯდები, როცა გამაგებინებენ, რომ ქალაქში ვინმე ახალგაზრდა შემოვიდა, წავიყვან კაპრალს და ოთხ ჯარისკაცს და...

- დაიცა.. - გააჩერა კორანტენმა აჩოჩქოლებული ჯარისკაცი, - რომ აღმოჩნდეს, რომ ის ახალგაზრდა მარკიზი არ არის... თუ მარკიზი კარიბჭით არ შემოვა ქალაქში, თუ უკვე მადმუაზელ დე ვერნეისთან არის, თუ, თუ...

და კორანტენმა იულოს ისეთი უპირატესობით შეხედა, მედიდურად, რამაც ისე შეურაცხყო მეთაური, რომ ძველმა ჯარისკაცმა შეჰყვირა: - ეშმაკმა დამლახვროს! ჯანდაბამდე გზა გქონია, ჯოჯოხეთის მოქალაქევ! ნეტავ რა თავს ვიტკიებ! ეს მაისის ხოჭო თუ რომელიმე ჩემს საგუშაგოზე მოხვდება, იძულებული ვიქნები, დავხვრიტო. თუ გავიგე, რომ რომელიმე სახლშია, მომიხდება იმ სახლის ალყა და ისევ დახვრეტა ამ ვაჟკაცისა. მაგრამ ახლა რატომ ვიჭყლეტ ტვინს და რატომ უნდა გავისვარო მუნდირი!

- სამი მინისტრის ხელმოწერილ წერილში ნაბრძანები გაქვს მადმუაზელ დე ვერნეის დაემორჩილო.

- მოქალაქევ, მაშინ ის თვითონ მოვიდეს და მე გადავწყვეტ როგორ მოვიქცე.

- ასე იყოს, მოქალაქევ, - ქედმაღლურად თქვა კორანტენმა, - როგორ არა, ახლავე მოვა. თვითონ გეტყვის საათსა და წუთს, როცა ის ყოფილი უნდა მოვიდეს და იქნებ ვერც მოისვენოს,

სანამ არ ნახავს, რომ გუშაგები დააყენე და სახლს ალყა შემოარტყი!

ხორცშესხმული ეშმაკი - მწარედ ჩაილაპარაკა ნახევარბრიგადის ჭარმაგმა მეთაურმა და თვალი გააყოლა კორანტენს, რომე-ლიც დიდი ნაბიჯებით ადიოდა დედოფლის კიბით, სადაც ეს სცენა მიმდინარეობდა, მერე სენ-ლეონარის საგუშაგოსკენ გადაუხვია. ეგ მოახერხებს და ხელფეხშეკრულ მოქალაქე მონტორანს მომიყვანს, ფიქრობდა იულო, გულის გამაწყალებელი საქმე მელის, არ ამცდება სამხედრო ტრიბუნალის თავჯდომარეობა. ეჰ, ბოლოს და ბოლოს, - მხრები აიჩეჩა იულომ, - ვაჟკაცი რესპუბლიკის მტერია, ჟერარი მომიკლა, თანაც ერთი არისტოკრატით ნაკლები დარჩება... ჯანდაბას ყველაფერი!

ჩექმების ქუსლებზე მსუბუქად შემობზრიალდა და „მარსელიოზას“ სტვენით წავიდა ქალაქის საყარაულო პოსტების შესამოწმებლად.

მადმუაზელ დე ვერნეი ფიქრებში იყო ჩაძირული, რომელთა საიდუმლოებები თითქოს სულის სიღრმეშია ჩამარხული და მათი ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები, მაშინ რომ ეუფლებიან ადამიანს, ამტკიცებენ, რომ ბობოქარი და ვნებიანი სიცოცხლე, შესაძლოა, ოთხ კედელს შუაც არსებობდეს, ოტომანიდან აუდგომლად. ხედავდა, რომ დრამის კვანძის გახსნა ახლოვდებოდა, რის ამოსახსნელადაც იყო წამოსული ამ მხარეში, მეხსიერებაში აღადგენდა სიყვარულითა და მრისხანებით აღსავსე სცენებს, ასეთი სიმძაფრით რომ აღავსო მისი სიცოცხლე ამ ათი დღის განმავლობაში - მარკიზთან მისი პირველი შეხვედრის შემდეგ. ამ დროს სასტუმრო ოთახში, მისი ოთახის გვერდით მარიმ მამაკაცის ფეხის ხმა გაიგო. შეკრთა, კარი გაიღო. მარიმ უცებ მოატრალა თავი და კორანტენი შერჩა.

- პატარა მატყუარა! - სიცილით უთხრა პოლიციის აგენტმა, - არ გეყოფათ ჩემი მოტყუება? ოჰ, მარი, მარი! ძალიან სახიფათო თამაში წამოიწყეთ. ძალიან ცდებით, რომ არ გინდათ თქვენი გეგმები გამაცნოთ და თამამ ნაბიჯებს დგამთ ჩემთან შეუთანხმებლად. თუ მარკიზი გადაურჩა...

- თქვენი ბრალი არ იყო, არა? - ირონიულად ჰკითხა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - ბატონო, განაგრძო სერიოზული ხმით, რა

უფლებით მოხვედით ისევ?

- თქვენთან? - ნაწყენივით უთხრა კორანტენმა.

- ოჰ, ასე არა? გინდათ, გამახსენოთ, რომ ჩემს სახლში არა ვარ, ხომ? - მედიდურად შენიშნა მარიმ, - იქნებ საგანგებოდ შეარჩიეთ ეს სახლი თქვენი მკვლელობებისთვის? ახლავე წავალ აქედან, მზად ვარ უდაბნოში გადავიხვეწო, ოღონდ ვიღაც...

- ჯაშუშები. არა? დაამთავრეთ, ნუ გრცხვენიათ! მაგრამ ეს სახლი არც თქვენია და არც ჩემი, მთავრობისაა. თქვენი აქედან წასვლა კი... არა, თქვენ ამას არასდიდებით არ გააკეთებთ! - და სატანური მზერა ესროლა.

მადმუაზელ დე ვერნეი აღშფოთებული წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისკენ, მაგრამ უცებ შეჩერდა, რადგან დაინახა, რომ კორანტენმა ფანჯრის ფარდა ასწია და ფანჯრისაკენ მიიწვია.

- ხედავთ იმ ბოლის სვეტს? - სრულიად მშვიდმა ჰკითხა. მისი გაფითრებული სახე სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, რაც უნდა აღელვებული ყოფილიყო.

- რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ჩემს წასვლას იმ სარეველებთან, ვიღაც რომ წვავს?

- ხმა ასე რატომ შეგეცვალათ? - შეესიტყვა კორანტენი, - საბრალო გოგონა, - ალერსიანად დაუმატა, - ყველაფერი ვიცი! დღეს მარკიზი მოვა ფუჟერში და სულაც არა იმისათვის, რომ ჩვენ გადმოგვცეთ, ისეთი სიყვარულით მოგიმზადებიათ თქვენი ბუდუარი: ეს ყვავილები, სანთლები...

მადმუაზელ დე ვერნეი გაფითრდა, მარკიზის სიკვდილი დაინახა ამ ადამიანის სახიანი ვეფხვის თვალებში და თავისი სატრფოს მიმართ სიგიჟემდე მისული სიყვარული იგრძნო. თმის ყოველი ბეწვი თავზე ისეთ ტკივილს აყენებდა, რომ დაეცა ოტომანზე. ერთი წუთი კორანტენი გულხელდაკრეფილი იდგა ნახევრად კმაყოფილი, რადგან საბრალო ქალის ტანჯვა შურისძიება იყო მისი სარკაზმისათვის, იმ ზიზღისათვის, რასაც მის მიმართ გრძნობდა, - სანახევროდ დადარდიანებული, რადგან ხედავდა ტანჯვას იმ არსებისას, რომლის დესპოტური უღელი, რაც უნდა

მძიმე ყოფილიყო, ყოველთვის სიამოვნებდა.

- უყვარს, - ჩაილაპარაკა ყრუ ხმით.

- სიყვარული? - წამოიძახა ქალმა, - რას ნიშნავს ეგ სიტყვა? კორანტენ, ის ჩემი სიცოცხლეა, ჩემი სულია, ჩემი სუნთქვაა!..

ფეხებში ჩაუვარდა ადამიანს, რომლის გულგრილი სიმშვიდე თავზარს სცემდა.

- ბინძურო სულო, მირჩევნია დავეცე და სიცოცხლე შევუნარჩუნო, ვიდრე ისე დავეცე, რომ წავართვა სიცოცხლე. მისი გადარჩენა მინდა, თუნდაც ჩემი სისხლის ფასად... მითხარი, რა გინდა?..

კარი VII კორანტენი შეკრთა.

- თქვენგან განკარგულებების მისაღებად მოვედი, მარი, - თქვა თვინიერი ხმით და დახვეწილი თავაზიანობით წამოაყენა, - ოჰ, მარი, ვერავითარი თქვენი შეურაცხყოფა ვერ შემიშლის ხელს, სულითა და ხორცით თქვენ გეკუთვნოდეთ, ოღონდ ნუღარ მომატყუებთ. ხომ იცით, მარი, ჩემი მოტყუება დაუსჯელად არ შეიძლება.

- ო, თუ გინდათ რომ გიყვარდეთ, კორანტენ, მომეხმარეთ, გადავარჩინო.

- მაშინ მითხარით, რომელ საათზე მოვა მარკიზი, - ძალიან ეცადა, მშვიდად ეკითხა.

- ეჰ, არაფერი ვიცი.

უხმოდ შეხედეს ერთმანეთს.

- დავიღუპე, - ფიქრობდა მადმუაზელ დე ვერნეი.

- მატყუებს, - ფიქრობდა კორანტენი, - მარი, ორი წესი მაქვს: ქალის არც ერთი სიტყვა არ მჯერა და, მაშასადამე, ვერც გამაბრიყვებს და მეორე, ყოველთვის ვეძებ, რაიმე ინტერესი ხომ არა აქვთ, იმის საწინააღმდეგო გააკეთონ, რასაც ამბობენ.

გავაკეთო მათი სურვილის საწინააღმდეგო, რომლის საიდუმლოც ვითომ გაგვანდეს. მე მგონი ერთმანეთის გვესმის, არა?

- შესანიშნავად, - უპასუხა მადმუაზელ დე ვერნეიმ, - თქვენ გნებავთ ჩემი გულწრფელობის დასტური, მაგრამ შემოვინახავ მანამ, სანამ თქვენს გულწრფელობაში არ დამარწმუნებთ...

- მშვიდობით, მადმუაზელ, - მშრალად უთხრა კორანტენმა.

- კარგი, გეყოფათ, ნუ იბუტებით, - ღიმილით უთხრა მარიმ, - აი, აქ დაჯექით, თორემ უთქვენოდაც მოვახერხებ მარკიზის გადარჩენას. ის სამასი ათასი ფრანკი კი, სულ რომ გელანდებათ, შემიძლია ოქროთი მოგცეთ, აი, აქ, ამ ბუხარზე, იმ წუთში, რო-გორც კი მარკიზს საფრთხე არ დაემუქრება.

- მალე გამდიდრდით, - ცუდად დამალული ბოღმით თქვა კორანტენმა.

- მონტორანს გაცილებით მეტის შემოთავაზება შეუძლია, - სიბრალულის ღიმილით განაგრძო მარიმ, - თავის გამოსასყიდად. ასე რომ, დამიმტკიცეთ, რომ საშუალება გაქვთ, დაიცვათ ყოველგვარი საფრთხისაგან და ...

- თქვენ არ შეგიძლიათ მაშინვე გაიყვანოთ ქალაქიდან, როგორც კი მოვა? - წამოიძახა უცებ კორანტენმა, - იულომ ხომ არ იცის, რომელ საათზე მოვა და...

გაჩუმდა, თითქოს ნანობდა, რომ საჭიროზე მეტი წამოსცდა.

- ეშმაკობა არ გესწავლებათ, - სრულიად ბუნებრივად გაუღიმა, - მისმინეთ, მარი, თქვენს ერთგულებაში დარწმუნებული ვარ. თქვენ თუ დამპირდებით, რომ ამინაზღაურებთ ყველაფერს, რასაც დავკარგავ, ამ ბებერ ჩურჩუტ იულოს ისე ადვილად გავაცურებ, რომ მარკიზი ფუჟერში ისევე თავისუფალი იქნება, როგორც სენ-ჯემსში.

- მაგას გპირდებით, - ერთგვარი ზეიმურობით უთხრა ქალიშვილმა.

- არა, მასე არა! დედა დაიფიცეთ.

მადმუაზელ დე ვერნეი შეკრთა, მაგრამ ასწია აკანკალებული ხელი და დაიფიცა ისე, როგორც ამ კაცს უნდოდა და უცებ ეს კაცი სრულიად შეიცვალა.

- შეგიძლიათ მიმსახუროთ, ოღონდ ნუ მომატყუებთ და ამ საღამოს ჩემი მადლიერი იქნებით.

- მჯერა თქვენი, კორანტენ, - წამოიძახა გულაჩუყებულმა მარიმ. მსუბუქად დაუკრა თავი გამოსამშვიდობებლად და გაუღიმა ალერსიანად, მაგრამ ცოტა გაკვირვებით, რადგან სახეზე ნაღვლიანი სინაზე შენიშნა.

- რა მომხიბვლელი არსებაა! გაიფიქრა კორანტენმა წასვლისას. ნუთუ ჩემი არასოდეს იქნება და ვერ ვაქცევ ჩემი სიმდიდრის ინსტრუმენტად და ჩემი სიამოვნების წყაროდ? ფეხებში ჩამივარდა! ეგ ქალი! ჰო, მარკიზი დაიღუპა! და ამ ქალს შეიძლება დავეუფლო, თუ ლაფში ჩავაგდებ. ჩავაგდებ კიდევაც, მგონი როგორც იქნა, უნდობლობა გაუქრა ჩემ მიმართ, - ფიქრობდა კორანტენი, როცა თავისდაუნებურად გავიდა მოედანზე, - ასი ათასი ეკიუ! ახლავე! ძუნწი ვგონივარ, ეს ან ეშმაკობაა, ან უკვე მისი ცოლი გახდა, - კორანტენს აზრები აერია და მტკიცე გადაწყვეტილება ვერ მიეღო. შუადღისთვის მზემ თითქმის გაფანტა ნისლი, მაგრამ მერე ნელ-ნელა ისე გახშირდა, რომ კორანტენი სულ ახლოს ხეებსაც კი ვეღარ ხედავდა.

- აი, ახალი უბედურება, - ფიქრობდა კორანტენი და ნელა ბრუნდებოდა შინ, - ექვს ნაბიჯზე არაფერი ჩანს. ამინდი მფარველობს ჩვენს შეყვარებულებს. მიდი და უთვალთვალე სახლს, ასეთი ბურუსი რომ იცავს.

- ვინ მოდის? - წამოიძახა უცებ და ხელი სტაცა ადამიანს, რომელიც, როგორც ჩანს, ბულვარზე ყველაზე სახიფათო კლდეებით ამოცოცდა.

- მე ვარ, - გულუბრყვილოდ უპასუხა ბავშვის ხმამ.

- აა, ეს წითელფეხა ბიჭუნაა? არ გინდა, მამაშენზე შური იძიო? - ჰკითხა კორანტენმა.

- ჰო!

- კარგია. ვაჟკაცს იცნობ?

- ჰო!

- კიდევ უკეთესი. ჩემთან დარჩი, ზუსტად გააკეთე, რასაც გეტყვი, დედაშენის საქმეს დაასრულებ და ბევრ ფულს მიიღებ.

გიყვარს ბევრი ფული?

- ჰო.

- გიყვარს ბევრი ფული და გინდა ვაჟკაცი მოკლა! მე ვიზრუნებ შენზე. აბა, მარი, - ჩაილაპარაკა კორანტენმა პაუზის მერე, - მარი, შენ თვითონ გადმოგვცემ! მეტისმეტად ფიცხი და აჩქარებულია, რომ გამოთვალოს ის დარტყმა, რასაც ვუმზადებ, თანაც, ვნება არასოდეს ფიქრობს. ის მარკიზის ხელწერას ვერ სცნობს. აი, დადგა დრო, ხაფანგი დავუგო, მარის ხასიათი რომ ვიცი, თავით გადაეშვება. ამ ოინის წარმატებისთვის იულო მჭირდება. გავიქეცი მასთან!

ამ დროს კი მადმუაზელ დე ვერნეი და ფრანსინი მსჯელობდნენ, როგორ გადაერჩინათ მარკიზი კორანტენის საეჭვო დიდსულოვნებისა და იულოს ხიშტებისაგან.

- წავალ, გავაფრთხილებ, - წამოიძახა პატარა ბრეტონელმა ქალმა.

- სულელო, განა იცი სად არის? მეც კი, გულის კარნახით რომ ვეძებო, შეიძლება ბევრი ვიარო და მაინც ვერ შევხვდე.

მადმუაზელ დე ვერნეი ნაირ-ნაირ გიჟურ გეგმებს აწყობდა, ბუხართან რომ გეჩვენება, რომ ადვილი განსახორციელებელია, ბოლოს წამოიძახა: - როცა დავინახავ, საფრთხე შემაძლებინებს!

როგორც მგზნებარე სულის ადამიანებს სჩვევიათ, ის აზრი მოეწონა, რომ გადაწყვეტილებას ბოლო წუთში მიიღებდა თავისი ბედის ვარსკვლავის ან ქვეშეცნეული გამჭრიახობის წყალობით, ქალებს იშვიათად რომ ღალატობთ. მაგრამ მის გულს ასე არასოდეს უკვნესია. ხან გაუნძრევლად იჯდა გაქვავებულივით, ერთ წერტილს მიშტერებული, ხან ოდნავ გაფაჩუნებაზე გული უსკდებოდა და ისე, როგორც თითქმის ფესვებიანად ამოგლეჯილი ხე, რომელსაც ხის მჭრელები თოკგამობმულს მაგრად ანჯღრევენ, მალე რომ წააქციონ. უცებ შორს საშინელი გრუხუნი გაისმა - თორმეტი თოფის ზალპი. მადმუაზელ დე ვერნეი გაფითრდა, ფრანსინს ხელი სტაცა და წამოიძახა: - ვკვდები!.. მოკლეს!!!

სასტუმრო ოთახში ჯარისკაცის მძიმე ფეხის ხმა გაისმა. ფრანსინი შეშინებული წამოხტა და ოთახში კაპრალი შემოიყვანა. რესპუბლიკელმა სამხედრო სალამი მისცა

მადმუაზელ დე ვერნეის და გადასცა ორი საკმაოდ შელახული წერილი. პასუხისთვის არ დაუცდია, კაპრალი გავიდა. გასვლისას უთხრა: - მადამ, ჩვენი მეთაურისგან არის.

მადმუაზელ დე ვერნეი საშინელი წინათგრძნობით დათრგუნული კითხულობდა ეტყობა იულოს მიერ საჩქაროდ დაწერილ წერილს: - მადმუაზელ, ჩემმა კონტრშუანებმა ეს-ეს არის დაიჭირეს ვაჟკაცის ერთ-ერთი შიკრიკი და დახვრიტეს. გიგზავნით ხელში ჩაგდებული წერილებიდან ერთ-ერთს, რომელმაც შეიძლება დაგაინტერესოთ, და ა.შ.

- მადლობა ღმერთს, ის არ მოუკლავთ! - წამოიძახა მარიმ და წერილი ცეცხლში შეაგდო.

თავისუფლად ამოისუნთქა და ხარბად წაიკითხა ბარათი, რომელიც გამოუგზავნეს: მარკიზისგან იყო და, როგორც ჩანს, მადამ დიუ გას სწერდა: „არა, ჩემო ანგელოზო, ამ საღამოს არ წავალ ვივეტიერში. დღეს თქვენ ნაძლევს წააგებთ გრაფთან, მე კი გავიმარჯვებ რესპუბლიკაზე თქვენთვის ცნობილი მშვენიერი გოგოს სახით და ალბათ დამეთანხმებით, რომ ერთ ჩემს ღამედ ღირს. ეს იქნება ჩემი ერთადერთი რეალური გამარჯვება, მთელი კამპანიის განმავლობაში, რადგან ვანდეამ გადაწყვიტა დამორჩილება. საფრანგეთში აღარაფერია გასაკეთებელი და წავალთ უეჭველად ერთად, ინგლისში. მაგრამ სერიოზული საქმეები ხვალისთვის გადავდოთ!“

მარის წერილი ხელიდან ჩაუვარდა. თვალები დახუჭა. ხმა არ ამოუღია და იჯდა ასე უკან გადახრილი, ბალიშზე თავმიყრდნობილი. კარგა ხნის პაუზის შემდეგ საათს შეხედა, ოთხ საათს უჩვენებდა.

- მესიე გვალოდინებს, - სასტიკი ირონიით თქვა მარიმ.

- რომ შეეძლოს, სულ არ მოვიდეს! - შესძახა ფრანსინმა.

- თუ არ მოვა, - ყრუ ხმით განაგრძო მარიმ, - მე თვითონ წავალ! ახლა უკვე დიდხანს არ დასჭირდება ლოდინი.

- ფარსინ, ლამაზი ვარ?

- ძალიან გაფითრებული.

- თქვი, - განაგრძო მადმუაზელ დე ვერნეიმ, - ეს სურნელოვანი ოთახი, ეს ყვავილები, ეს სანთლები, ეს დამათრობელი

განცხრომა - აფიქრებინებს თუ არა ციურ ნეტარებაზე იმას, ვინც მინდა, ამაღამ სიყვარულით გავაბრუო?

- რა მოხდა მადმუაზელ?

- მიღალატეს, მომატყუეს, გამსვარეს, დამამცირეს, გამაბრუეს, დამღუპეს და მინდა მოვკლა, გავფატრო! მის მანერებში ყოველთ-ვის გამოსჭვიოდა დაფარული სიძულვილი, მაგრამ მე არ მინდოდა, დამენახა. მოვკვდები!.. არა, არა, რა სულელი ვარ! - სიცილით წამოიძახა, - მოვა, წინ მთელი ღამეა და დავუმტკიცებ, რომ მამაკაცი, რომელიც ჩემთან იქნება, ქმარი თუ საყვარელი, ვეღარ მიმატოვებს. შეურაცხყოფისთვის გადავუხდი და სასოწარკვეთილი დაიღუპება. დავიჯერე მისი სულის სიდიადე, მაგრამ ალბათ ლაქიის შვილია. რა თქმა უნდა, ძალიან ოსტატურად მატყუებდა, ჯერაც ვერ ვიჯერებ, რომ ადამიანი, რომელმაც შეუბრალებლად ჩამაგდო მოიტაცე-დიდი-კვერის ხელში, შეიძლება დაეშვას კაპიტნის საკადრის გაიძვერობამდე. რა ადვილია მოსიყვარულე ქალის გულით თამაში, მაგრამ ეს ხომ საშინელი სიმდაბლეა! მოვეკალი, კი ბატონო! მაგრამ ასე მოტყუება!.. შეუძლია მომატყუოს, მე კი ისე მაღლა ვაყენებდი! არა, ეშაფოტზე! ეშაფოტზე! როგორ მინდა, გილიოტინაზე ვნახო! განა სასტიკი ვარ? მოკვდება ბაგეზე ჩემი კოცნის გემოთი და ისევ ეხსომება ჩემი მოფერება, რაც ოცი წლის სიცოცხლის ფასად დაუჯდება...

- მარი, - უთხრა ფრანსინმა ანგელოზური სათნოებით, - როგორც ბევრი, ძალიან ბევრი ქალი, იყავით საყვარელი მამაკაცის მსხვერპლი, და არა საყვარელი ან ჯალათი. მისი ხატი გულში გქონდეთ და ნუ აქცევთ სასტიკ მოგონებად. უიმედო სიყვარულს არავითარი სიხარული რომ არ მოჰქონდეს, რა გვეშველებოდა ჩვენ, საწყალ ქალებს? ღმერთი, რომელზეც თქვენ არასოდეს ფიქრობთ, მარი, დაგვაჯილდოებს ჩვენი მოწოდებისათვის დედამიწაზე: სიყვარულისა და ტანჯვისათვის.

- ფისუნია, - უთხრა მადმუაზელ დე ვერნეიმ და ხელზე მოეფერა ფრანსინს, - როგორი ნაზი და მაცდუნებელი ხმა გაქვს! რა მიმზიდველია გონება შენი სახით! როგორ მინდა დაგიჯერო...

- აპატიებთ? არ გასცემთ?

- გაჩუმდი, მაგ კაცზე ნუღარ მელაპარაკები! მასთან

შედარებით, კორანტენი კეთილშობილი არსებაა. ხომ გესმის ჩემი? - წამოდგა. საშინლად მშვიდი სახე მალავდა უზომო დაბნეულობას და შურისძიების დაუცხრომელ წყურვილს. ნელი, მოზომილი მოძრაობა რაღაც მძიმე გადაწყვეტილების მიმანიშნებელი იყო. ფიქრებში ჩაძირული, შურაცხყოფილი და მეტისმეტად ამაყი იმისათვის, რომ თავისი ტანჯვა გაემჟღავნებინა, წავიდა სენ-ლეონარის კარიბჭესთან საგუშაგოზე, რომ ეკითხა, სად ცხოვრობდა მეთაური იულო. როგორც კი მარი სახლიდან გავიდა, კორანტენი შევიდა.

- ო, ბატონო კორანტენ, თუ ის ახალგაზრდა კაცი გაინტერესებთ, გადაარჩინეთ, მადმუაზელ დე ვერნეი მის დასმენას აპირებს. ამ წყეულმა ქაღალდმა დაანგრია ყველაფერი.

კორანტენმა დაუდევრად აიღო წერილი და ჰკითხა: - და სად წავიდა?

- არ ვიცი.

- გავიქეცი, იქნებ გადავარჩინო საკუთარი სასოწარკვეთილებისაგან.

გაიქცა და წაიღო წერილი, სწრაფად გავიდა სახლიდან და პატარა ბიჭს უთხრა, კარის წინ რომ თამაშობდა: - საით წავიდა ქალბატონი, ახლა რომ გამოვიდა? დაასხი-კუტალის ვაჟმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა კორანტენთან ერთად და დაღმართი უჩვენა სენ-ლეონარის კარიბჭისკენ მომავალი.

- აი, იქით გაუხვია, - უყოყმანოდ უთხრა ბიჭმა, შურისძიების გრძნობის კარნახით, დედამ რომ ჩაუდო გულში.

ამასობაში მადმუაზელ დე ვერნეის სახლში ოთხი გადაცმული კაცი შევიდა, მაგრამ არც კორანტენს და არც ბიჭს არ შეუმჩნევიათ.

- დაბრუნდი ისევ იქ და ვითომ თამაშობ, - უთხრა ბიჭს ჯაშუშმა. დარაბის რაზა ატრიალე, ვითომ ერთობი და ყურადღებით ათვალიერე ყველგან, სახურავებზეც კი.

კორანტენი გაექანა ბიჭის ნაჩვენები მიმართულებით, მოეჩვენა, რომ მადმუაზელ დე ვერნეი დაინახა და დაეწია სწორედ მაშინ, სენ-ლეონარის საგუშაგოს რომ უახლოვდებოდა.

- სად მიდიხართ? - ჰკითხა და მკლავი შესთავაზა, გაფითრებული ხართ, - რა მოხდა? განა უხერხული არ არის ასე მარტო გამოსვლა? დამეყრდენით მკლავზე.

- იულო სად არის? - ჰკითხა მარიმ.

მაგრამ ვერ მოასწრო ამ სიტყვების თქმა, რომ შემოესმა ხმაური და ბრაგაბრუგი სენ-ლეონარის კარიბჭის გარეთ - იულოს რაზმი დაბრუნდა დაზვერვიდან და იულოს ხმაც გაისმა.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიძახა იულომ. არაფერი ჩანს. ასეთი ნისლი არასოდეს ყოფილა. რა კარგი ამინდია იმ ყოფილისთვის, თითქმის საგანგებოდ.

- რას უჩივით, - უპასუხა მადმუაზელ დე ვერნეიმ და მაგრად ჩაჰკიდა ხელი მკლავში, - ეს ბურუსი შურისძიებასაც კარგად დამალავს და ვერაგობასაც. მეთაურო, - ჩუმად დაუმატა, - ჩემთან ერთად ყველა ღონე უნდა იხმაროთ, რომ ვაჟკაცი დღეს არ გაგისხლტეთ.

- თქვენთან არის? - აღელვებულმა იულომ გაკვირვებით იკითხა.

- არა, მაგრამ საიმედო კაცი გამაყოლეთ, რომ შეგატყობინოთ, როცა მოვა.

- რას ამბობთ, - ჩაერია კორანტენი, - თქვენს სახლში ჯარისკაცი რომ დაინახოს, მონტორანს შეეშინდება. ჯობია, ბავშვი წაიყვანეთ, ვიპოვი გონიერ ბიჭუნას, ვერაფერს იეჭვებს.

- მეთაურო, ბურუსის გამო ახლავე შეგიძლიათ ჩემს სახლს ალყა შემოარტყათ. ყველგან ჩააყენეთ ჯარისკაცები. ერთი საგუშაგო სენ-ლეონარის ეკლესიაში მოაწყვეთ, რომ თქვენ ხელს იყოს ესპლანადა, რომელზეც ჩემი სასტუმრო ოთახის ფანჯრები გადის. ბულვარზეც დააყენეთ: თუმცა ჩემი საძინებლის ფანჯრებიდან მიწამდე ოციოდე ფუტია, მაგრამ ზოგჯერ სასოწარკვეთილება ძალას მატებს ადამიანს უფრო საშიში სიმაღლიდანაც ჩამოხტეს. მისმინეთ, მე მარკიზს ალბათ კარიდან გამოვუშვებ, ვინმე მამაცს დაავალეთ მისი დაცვა, მონტორანი გულადია, მაგას ვერ წაართმევთ, - სიტყვებს ოხვრა ამოაყოლა, - თავს დაიცავს!

- გიუდენ! - დაუძახა მეთაურმა.

ახალგაზრდა ფუჟერელი მწკრივიდან გამოვიდა, იულოსთან ერთად დაბრუნებული რაზმი ცოტა მოშორებით ისევ მწკრივად იდგა.

- მისმინე, ჩემო ბიჭო, - უთხრა მოხუცმა მეომარმა ჩუმად, - ამ ალქაჯმა გადაწყვიტა, ვაჟკაცი გადმოგვცეს. რატომ? არ ვიცი, ეგ ჩვენი საქმე არ არის, წაიყვანე ერთი ათი კაცი და დააყენე, ჩიხს უყარაულონ. მის სიღრმეში გოგოს სახლია, ოღონდ ნახე, არც შენ და არც შენი ბიჭები არ გამოჩნდეთ.

- მესმის, მეთაურო. მაგ ადგილს კარგად ვიცნობ.

- მაშ, ასე, შვილო, - განაგრძო იულომ, - იფრინდას გამოვაგზავნი, როცა ხმლების ქნევის დრო მოვა, ეცადე, თვითონ დაეწიო მარკიზს და თუ მოახერხებ და მოკლავ, რომ აღარ დაგვჭირდეს სასამართლოს გზით დახვრეტა, ორი კვირის შემდეგ ლეიტენანტი გახდები, იულო არ ვიყო! მადმუაზელ, აი, თქვენ, გულადი ბიჭი, არ დაგაღალატებთ. თქვენი სახლის წინ იდგება და თუ ყოფილი მოისურვებს შემოსვლას ან კარიდან გამოვა, ეს ლომგული არ ააცილებს.

გიუდენი წავიდა და ათი ჯარისკაცი გაიყოლა.

- კარგად გესმით, რასაც აკეთებთ? - ჩურჩულით ჰკითხა კორანტენმა მადმუაზელ დე ვერნეის.

ქალმა არ უპასუხა და თითქმის კმაყოფილი სახით იყურებოდა, როგორ მიდიოდნენ ჯარისკაცები სუბლეიტენანტის მეთაურობით ბულვარისკენ, სხვები კი, იულოს მითითებით, სენ-ლეონარის მუქი კედლების გასწვრივ დგებოდნენ.

- რამდენი სახლია ჩემს სახლთან, - უთხრა მარიმ იულოს, - მათაც შემოარტყით ალყა. ფრთხილად უნდა ვიყოთ, მერე სანანებელი რომ არ გაგვიხდეს.

- რამ გადარია! - გაიფიქრა იულომ.

- აბა, წინასწარმეტყველი ვარ თუ არა, - ჩასჩურჩულა კორანტენმა, - ის წითელფეხა ბიჭი მინდა მივაგზავნო. გახსოვთ? და მაშინ...

დამთავრება ვერ მოასწრო. მადმუაზელ დე ვერნეი გაექანა თავისი სახლისკენ. კორანტენი სწრაფად გაჰყვა სტვენით, ბედნიერი კაცის სახით, როცა მარის დაეწია, ის უკვე კარის

ზღურბლთან იყო, სადაც კორანტენმა დაასხი-კუტალის ბიჭი დაინახა.

- მადმუაზელ, - უთხრა მარის, - თან წაიყვანეთ ეს ბიჭი, ამაზე ყოჩაღ და უბიწო შიკრიკს ვერ იპოვით. მისმინე, როგორც კი დაინახავ, რომ ვაჟკაცი სახლში შევიდა, რაც გინდა გითხრან, გამოიქეცი, მიპოვე კორდეგარდიაში და მაშინ იმდენ ფულს მოგცემ, რომ მთელი სიცოცხლე იტკბარუნო პირი კვერებით.

კორანტენმა ერთი ამოსუნთქვით უჩურჩულა ბიჭს. პასუხად კორანტენმა იგრძნო, რომ პატარა ბრეტონელმა მაგრად მოუჭირა ხელი და შეჰყვა სახლში მადმუაზელ დე ვერნეის.

- ახლა, ჩემო მეგობრებო, როცა მოგინდებათ, მაშინ გაარკვიეთ, რაც გინდათ! - წამოიძახა კორანტენმა, როგორც კი კარი მიიხურა, - ძვირფასო მარკიზო, თუ სიყვარულს იგემებ დღეს, ეგ შენს სუდარაზე მოხდება.

კორანტენს არ უნდოდა, თვალი მოეშორებინა ამ ფატალური სახლისთვის და ბულვარისაკენ გაემართა, სადაც იულო დახვდა, გუშაგებს ბრძანებებს რომ აძლევდა. ორი საათი გავიდა, მაგრამ არც ერთ გუშაგს შეუმჩნევია გვერდი-გვერდ რომ იდგნენ, რომ მარკიზს გაევლო მიყუჟულ ფხიზელ ყარაულებს შორის, სამი მხრიდან რომ იცავდნენ თუთიყუშის კოშკს და მის ყველა მისადგომს. ოცჯერ მაინც გადაირბინა კორანტენმა ბულვარიდან საყარაულოში და მისი მოლოდინი ყოველთვის ცრუვდებოდა, პატარა ჯაშუში არ ჩანდა. ჩაფიქრებული ჯაშუში ნელ-ნელა დადიოდა ბულვარზე და საშინელ წამებას განიცდიდა, რადგან სამი ძლიერი გრძნობა ტანჯავდა, საშინელი ძალა რომ არის შეჯახებისას: სიყვარული, სიხარბე და პატივმოყვარეობა. ქალაქის ყველა საათმა რვაჯერ დარეკა. მთვარე გვიან ამოდიოდა, ნისლი და ღამე ხევდნენ შემაძრწუნებელ სიბნელეში იმ ადგილებს, სადაც ამ კაცის მოფიქრებული დრამა უნდა გათამაშებულიყო. კორანტენმა გრძნობების დამალვა იცოდა. გულხელდაკრეფილი თვალს არ აშორებდა კოშკს ზემოთ განათებულ ფანჯარას, მოელვარე მოჩვენებასავით რომ ჩანდა. როცა სახიფათო ადგილისაკენ, ხეობების მხარეს, უფსკრულის პირამდე მიდიოდა, მექანიკურად აშტერდებოდა ნისლს, აქა-იქ მკრთალი სინათლეები ჩანდა ქალაქში და გარეუბანში, სიმაგრის ზემოთ და ქვემოთ. ღრმა მდუმარებას მხო-ლოდ ნანსონის ჩხრიალი არღვევდა. ზარის პერიოდული, ავის მომასწავებელი რეკვა,

საათს რომ ატყობინებდა, გუშაგების მძიმე ფეხის ხმა და იარაღის ჟღარუნი, ყოველ საათში გუშაგების ცვლას რომ სდევდა. ყველაფერი დიდმნიშვნელოვანი გახდა - ხალხიცა და ბუნებაც.

- ისე ბნელა, როგორც მგლის ხახაში, - თქვა ამ დროს მოიტაცე-დიდმა-კვერმა.

- მიდი, - უპასუხა იარე მიწაზემ, - მკვდარი ძაღლივით ჩუმად იყავი.

- სუნთქვასაც ვერ ვბედავ, - უპასუხა შუანმა.

- კენჭი ვინ ჩააგდო? თუ ვიღაცას უნდა ხანჯალი გავურჭო გულში, აბა, სინჯოს კიდევ ერთხელ, - თქვა იარე-მიწაზემ ისე ჩუმად, რომ მისი ხმა ნანსონის წყლის ჩქამს შეერწყა.

- მე ვიყავი, - უპასუხა მოიტაცე-დიდმა-კვერმა.

- ფულის ტომარავ, - განაგრძო, - მუცელზე იხოხე გველივით, თორემ ჩვენი ჩონჩხი აქ დროზე ადრე დარჩება.

- ჰეი, იარე-მიწაზე, - გააგრძელა გამოუსწორებელმა მოიტაცე-დიდმა-კვერმა, ხელების დახმარებით მიცოცდა მუცელზე ხოხვით იქამდე, სადაც მისი ამხანაგი იყო და ისე ჩუმად უთხრა ყურში, რომ მათ უკან რომ მოდიოდნენ, იმ შუანებს ერთი ხმა არ გაუგიათ.

- ეი, იარე-მიწაზე, მთავარ ვარიკას თუ დავუჯერებთ, იქ კარგი ალაფი გველის. გინდა შუაზე გავიყოთ?

- მომისმინე, მოიტაცე-დიდო-კვერო, - უთხრა იარე-მიწაზემ და პირქვე დამხობილი შეჩერდა. მთელმა რაზმმაც იგივე გააკეთა, შუანები გაწამდნენ უფსკრულიდან ამოსვლისას, - გიცნობ, ვინც ხარ, მომხვეჭელი, თუმცა მუშტიკრივსაც არ ერიდები, ხშირად ხელსაც გიბრუნებენ, როცა არჩევანი არ გრჩება. ჩვენ აქ მკვდრების ქონებისთვის კი არ მივდივართ, მათი ფეხსაცმელები კი არ გვინდა, ჩვენ ვიბრძოლებთ ეშმაკები - ეშმაკებთან და ბრალი იმისი, ვისაც მოკლე ბრჭყალები აღმოაჩნდება. მთავარმა ვარიკამ ვაჟკაცის გადასარჩენად გამოგვიშვა. ის აქ არის, ასწიე შენი ძაღლის დრუნჩი და შეხედე, დაინახე ეს ფანჯარა კოშკის ზემოთ! იქ არის!.. - ამ დროს შუაღამემ ჩამოჰკრა. მთვარეც ამოვიდა და ბურუსი თეთრ ბოლს დაემგვანა. მოიტაცე-დიდმა-კვერმა მაგრად ჩაავლო ხელი იარე-

მიწაზეს მკლავზე და უჩუმრად მიახედა, იქვე მათგან ათ ნაბიჯში რამდენიმე სამპირა ხიშტი პრიალებდა.

- ლურჯები უკვე იქ არიან, - თქვა მოიტაცე-დიდმა-კვერმა, - ძალით ვერაფერს გავხდებით.

- დაიცადე, - უპასუხა აირე-მიწაზემ, - ამ დილას თუ კარგად გავარჩიე, თუთიყუშის კოშკთან, ქვემოთ, გალავანსა და ბულვარს შორის პატარა მოედანია, სადაც ყოველთვის ნაკელს ყრიან და იქ შეიძლება ჩავცვივდეთ, ისე რბილად დავეცემით, როგორც ლოგინში.

- აი, სენ-ლაბრმა რაც ამაღამ აქ სისხლი დაიღვრება, სიდრად რომ აქციოს, დილისთვის ფუჟერელებს დიდი მარაგი დახვდებათ, - იარე-მიწაზემ ხელი დააფარა მეგობარს პირზე და ოდნავ გასაგონად საფრთხის სიგნალი მისცა, ამ ნიშანმა მწკრივიდან მწკრივს გადაუარა და ბოლო შუანამდე მიაღწია, ჰაერში რომ იყო ჩამოკიდებული, ფიქალზე ამოსულ მანანას ჩაბღაუჭებული. მართლაც, კორანტენს ძალიან მახვილი სმენა ჰქონდა იმისათვის, რომ არ გაეგო ბუჩქების შრიალი, ან მსუბუქი ჩქამი უფსკრულში ჩაგორებული კენჭისა, იქვე იდგა, ესპლანადაზე. იარე-მიწაზეს სიბნელეში დანახვის ნიჭი ჰქონდა, ალბათ გამუდმებულმა ვარჯიშმა გაუმახვილა და კორანტენი გამოარჩია, ან იქნებ, კარგად გაწვრთნილი მონადირე ძაღლივით იყნოსა. პოლიციელმა დიპლომატმა ამაოდ უსმინა სიჩუმეს, უყურა ფიქლის კლდის შვეულ კედელს, ვერაფერი აღმოაჩინა. მთვარის მჭრქალ შუქზე თითქოს გაარჩია რამდენიმე შუანი, მაგრამ ბოლოს კლდედ ჩათვალა, იმდენად შეერწყა მათი სხეულები ინერტულ ბუნებას. რაზმი საფრთხეში ცოტა ხანს იყო. კორანტენის ყურადღება მკაფიო ხმაურმა მიიპყრო, ბულვარის მეორე ბოლოში რომ გაისმა, სადაც მისი საყრდენი კედელი მთავრდებოდა და იწყებოდა კლდის ციცაბო ფერდობი. ფიქალზე გაკვალული ბილიკი, რომელიც დედოფლის კიბეს უკავშირდებოდა, მთავრდებოდა ზუსტად მათი გადაკვეთის წერტილში. იმ დროს, როცა იქ მივიდა, კორანტენმა ბილიკზე რაღაც მისნობით მიწიდან ამოზრდილივით ადამიანის ფიგურა დაინახა და როცა ხელი გაიწოდა, რომ შეეხო ამ ფანტასტიკურ თუ რეალურ სხეულს, რომელსაც, როგორც მიხვდა, კეთილი ზრახვები არ უნდა ჰქონოდა, ქალის მრგვალი და რბილი ფორმები მოხვდა ხელში.

- ეშმაკმა წაგიღოთ, ჩემო კეთილო! - ჩურჩულით უთხრა კორანტენმა, - მე რომ არ შემხვედროდით, ტყვიით გაგიხვრეტდნენ თავს... კი მაგრამ, საიდან მოდიხართ, ან სად მიდიხართ ასეთ დროს? მუნჯი ხართ? - ნამდვილად ქალია, ისევ გაიფიქრა.

სიჩუმე საეჭვო ხდებოდა. უცნობმა ძალიან შეშინებული ხმით უთხრა, - აჰ, კაი კაცო, ღამისთევიდან მოვდივართ.

- ეს მარკიზის ვითომ დედაა, ვნახოთ ერთი, რას იზამს.

- კარგი, იქით წადით, მოხუცო, განაგრძო ხმამაღლა, ვითომ ვერ იცნო. მარცხნივ იარეთ, თუ არ გინდათ, რომ მოგკლან!

გაუნძრევლად იდგა ერთხანს. მერე, როცა დაინახა მადამ დიუ გა, თუთიყუშის კოშკისკენ წავიდა, შორიახლოს ფეხაკრეფით გაჰყვა.

ამ ფატალური შეხვედრის დროს შუანები ოსტატურად დაიმალნენ ნაკელის გროვებში, სადაც იარე-მიწაზემ მიიყვანა.

- მთავარი ვარიკა მოვიდა, - თქვა ჩურჩულით იარე-მიწაზემ და კოშკის კედელთან უკანა ფეხებზე დამდგარი დათვივით გაჩერდა.

- აქ ვართ, - უთხრა მადამ დიუ გას.

- კარგი, - თუ მიაგნებ იმ სახლის კიბეს, რომლის ბაღიც მთავრდება ნაკელის გროვიდან ექვსი ფუტით, ქვემოთ, ვაჟკაცს გადავარჩენთ. ხედავ იმ პატარა მრგვალ სარკმელს? ტუალეტის ოთახისაა, საძინებლის გვერდით. იქ უნდა მიხვიდეთ. კოშკის მხოლოდ ეგ გვერდია თავისუფალი, რომლის ქვეშაც ხართ, დანარჩენი ალყაშია. ცხენები მზადაა. თუ ნანსონის გასასვლელში ხალხი ჩააყენე, თხუთმეტ წუთში, მიუხედავად მისი სიგიჟისა, სამშვიდობოს შევძლებთ გაყვანას. თუ ის კახპა მოინდომებს გაყოლას, ხანჯალი გაუყარეთ.

კორანტენი, გაურკვეველი ფორმები რომ შენიშნა ბნელში, თავიდან ქვები რომ ეგონა, ახლა ცოცხლად ამოძრავდნენ. მაშინვე სენ-ლეონარის კარიბჭეს საგუშაგოსკენ წავიდა. იულოს ჩაცმულს ეძინა გასაშლელ საწოლზე.

- მაგას თავი დაანებეთ, ახლა დაწვა, - უხეშად უთხრა იფრინდამ.

- შუანები ქალაქში არიან! - ყურში ჩასძახა იულოს კორანტენმა.

- შეუძლებელია, მაგრამ მით უკეთესი, - წამოიძახა იულომ ძილ-ღვიძილში, - შევებრძოლებით მაინც!

როცა იულო ბულვარზე მივიდა, კორანტენმა სიბნელეში უცნაური პოზიცია უჩვენა, შუანებს რომ ეჭირათ.

- ალბათ მოატყუეს ან დააბრჩვეს გუშაგები, დედოფლის კიბესა და ციხე-კოშკს რომ დავუყენე! - წამოიძახა იულომ, - ჯანდაბა! რა ნისლია! თუმცა, დაიცადე, ახლავე გავაგზავნი ორმოცდაათ კაცს ლეიტენანტის მეთაურობით კლდის ძირში. აქ არ ღირს მაგათი შეტევა, ეგენი ისეთი მაგრები არიან, ქვებივით ისე ჩაგორდებიან უფსკრულის ძირამდე, არაფერი მოსტყდებათ.

კოშკის გახეთქილმა ზარმა ღამის ორი საათი დარეკა. ამ დროს იულო ბულვარზე დაბრუნდა, უმკაცრესი ზომები მიიღო იარე-მიწაზეს რაზმის ხელში ჩასაგდებად. გუშაგების რაოდენობა ყველა პოსტზე გააორმაგა. მადმუაზელ დე ვერნეის სახლი პატარა არმიის მოქმედებათა ცენტრი გახდა. იულომ შენიშნა, რომ კორანტენი თვალმოუშორებლად უყურებდა თუთიყუშის კოშკის ზემოთ განათებულ პატარა ფანჯარას.

- მოქალაქე, - თქვა იულომ, - მე მგონი, ეგ ყოფილი გვაბრიყვებს, ჯერ არაფერი განძრეულა.

- იქ არის, - წამოიძახა კორანტენმა და ფანჯარაზე მიუთითა, - კაცის ჩრდილი დავინახე ფარდაზე! არ მესმის, ბიჭს რა დაემართა. მოკლეს თუ მოისყიდეს? ნახე, მეთაურო, ხედავ? აი, კაცი! წავედით!

- არ მინდა ლოგინში დავიჭირო, ეშმაკმა დალახვროს! რაკი შევიდა, გამოვა კიდევაც. გიუდენს ვერ გაუძვრება, - წამოიძახა იულომ, რომელსაც თავისი მოსაზრებები ჰქონდა, ფეხი მოეთრია.

- წავედით, მეთაურო! კანონის ძალით გეუბნები, ახლავე დაიკავო ეგ სახლი.

- ძაღლის ლეკვო, ჯერ ადრეა მიბრძანო.

მეთაურის მრისხანებას კორანტენი არ შეუწუხებია. ცივად უთხრა - დამემორჩილები! აი, სამხედრო მინისტრის ხელმოწერილი ბრძანება, გაიძულებს დამემორჩილო, -

კორანტენმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და განაგრძო! - ნუთუ გგონია ისეთი მიამიტები ვართ, რომ მაგ გოგოს რასაც უნდა, იმას გავაკეთებინებთ? სამოქალაქო ომი გვაქვს ჩასახშობი და დიდი მიზანი მდაბალ საშუალებებს ამართლებს.

- ჩემს თავს ნებას მივცემ, გაგიშვა... გაიგე? საკმარისია! მარცხნისააკენ! იარ! მოუსვი აქედან! ცოცხლად!

- შენ ბრძანება წაიკითხე! - შეეწინააღმდეგა კორანტენი.

- შენი უფლებამოსილებით ნუ მეტენები! - წამოიძახა იულომ, იმით აღშფოთებულმა, რომ ისეთ საზიზღარ არსებას უნდა დამორჩილებოდა, კორანტენი რომ იყო.

ამ დროს სოროდან გამოვარდნილი ვირთხასავით მათ შორის დაასხი-კუტალის შვილი გაჩნდა.

- ვაჟკაცი წავიდა! - დაიყვირა მან.

- რომელი ქუჩით?

- სენ-ლეონარის.

- იფრინდა, - ჩასჩურჩულა იულომ კაპრალს, გვერდით რომ ედგა, - გავარდი, გააფრთხილე ლეიტენანტი, სახლისკენ წავიდეს არეული სროლით, გესმის? მარცხნიდან თითო-თითოდ კოშკისკენ, სწრაფად! - წამოიძახა მეთაურმა.

ყველაფერი რომ ნათელი იყოს, აუცილებელია მადმუაზელ დე ვერნეისთან დავბრუნდეთ, შინ.

როცა ვნება უკიდურესობას აღწევს, გვათრობს, მაგრამ ამასთან რა მოსატანია ღვინითა და ოპიუმით თრობა. ტვინი ნათდება და აფორიაქებულ გრძნობათა გამძაფრებული სიმახვილე სრულიად უჩვეულო და მოულოდნელ მოვლენებს იწვევს. ერთადერთი აზრით შეპყრობილი ადამიანები ნათლად ხედავენ ყველაზე შეუმჩნეველ საგნებს, ხოლო ხელშესახები ნივთები მათთვის თითქოს არ არსებობენ. ასეთმა თრობამ, რეალურ ყოფას მთვარეულის ცხოვრებად რომ აქცევს, მოიცვა მადმუაზელ დე ვერნეი, როცა მარკიზის წერილი წაიკითხა და ეცადა, სასწრაფოდ მოეწყო ისე, რომ მისი შურისძიება არ ასცდენოდა, ზუსტად ისე, როგორც ცოტა ხნის წინ ცდილობდა ყველაფერი მოეწყო თავისი სიყვარულის პირველი ზეიმისთვის. მაგრამ როცა დაინახა, რომ მისი მოთხოვნით

სახლი ხიშტების სამი წყებით იყო გარშემორტყმული, მის სულში თითქოს შუქმა გაიელვა. გაიაზრა, რაც გააკეთა და დაზაფრულმა გაიფიქრა, რომ დანაშაული ჩაიდინა. სინანულის გრძნობამ გააქცია კარისკენ და წუთით ზღურბლზე შეჩერდა, ცდილობდა, რაღაც მოეფიქრებინა, მაგრამ აზრებს თავი ვერ მოუყარა. იმდენად იყო დაბნეული, რომ ვერ გაიხსენა, რატომ იდგა თავისი სახლის წინკარში ხელჩაკიდებული უცნობი ბავშვით. მის თვალწინ ათასობით ნაპერწკალი ბრიალებდა, ერთდებოდა, ცეცხლის ვნებად იქცეოდა. მარიმ გონს მოსასვლელად ოთახებში დაიწყო სიარული, გაოგნებულს გამოფხიზლება უნდოდა, მაგრამ როგორც სიზმარში, ირგვლივ ყველაფერმა დაკარგა ჩვეული ფორმა და ფერი. ბავშვის ხელი ძალიან მაგრად ეჭირა, გაჩქარებული დადიოდა და თან დაარბენინებდა ბავშვს, იტყოდი, გონება აერიაო. სასტუმრო ოთახშიც გადაირბინა, მაგრამ ვერავინ შეამჩნია, თუმცა ოთახში სამი კაცი იყო. გზა, რომ მიეცათ თავდახრილებმა, უკან დაიხიეს.

- აი ისიც, - თქვა ერთ-ერთმა.

- რა მშვენიერია, - წამოიძახა მღვდელმა.

- ჰო, - ისევ პირველმა, - მაგრამ, რა გაფითრებულია, აღელვებული!

- და რა დაბნეულია! - მესამემ, - ვერც კი შეგვამჩნია.

თავის საძინებლის კართან მადმუაზელ დე ვერნეიმ ფრანსინის თვინიერი, გახარებული სახე დაინახა. ბრეტონელმა ქალმა ჩასჩურჩულა: - ის აქ არის, მარი.

მადმუაზელ დე ვერნეი გონს მოვიდა, დაჟინებით შეხედა ბიჭს, ხელჩაკიდებული რომ ჰყავდა ისევ, იცნო, ფრანსინს უთხრა: - თუ გინდა, რომ ცოცხალი დავრჩე, ჩაკეტე ეს ბიჭი, კარგად უდარაჯე, არ გამექცეს.

ეს სიტყვები ძალიან ნელა წარმოთქვა, თან კარს არ აცილებდა საშინელ, გაშტერებულ მზერას, თითქოს სქელი ფიცრების მიღმა თავის მსხვერპლს ხედავდა. ჩუმად გააღო კარი და არ შებრუნებულა, დაკეტა. შეამჩნია, რომ მარკიზი ბუხართან იდგა. მონტორანის კოსტიუმი ძალიან დახვეწილი არ იყო, მაგრამ მაინც საზეიმო პეწი ჰქონდა და ბრწყინვალებას მატებდა სილამაზეს, ქალები საყვარელ ადამიანებს რომ

მიაწერენ. მონტორანის დანახვაზე მადმუაზელ დე ვერნეის გონება დაუბრუნდა, მჭიდროდ მოკუმულ ბაგეთა შორის მოელვარე კბილები მოუჩანდა და გაყინული ღიმილი უფრო საშინელი იყო, ვიდრე სასიამოვნო. მარი ნელა მიუახლოვდა მარკიზს, საათზე მიუთითა: - მამაკაცი, რომელიც სიყვარულის ღირსია, რა თქმა უნდა, იმსახურებს, რომ დაელოდონ! - ყასიდი მხიარულებით უთხრა.

მაგრამ გრძნობათა სიმძლავრისაგან ღონემიხდილი მარი ფეხზე ვეღარ იდგა, დაეცა სოფაზე ბუხართან.

- მარი, ჩემო ძვირფასო, განრისხებული მომაჯადოებელი ხართ! - უთხრა მარკიზმა და გვერდით მიუჯდა, აიღო მისი ხელი. მარის ხელი არ წაურთმევია, ვაჟმა თვალები შეანათა, მარიმ არ უპასუხა, - იმედი მაქვს, - განაგრძო მარკიზმა ნაზი და მოალერსე ხმით, - რომ სულ მალე მარი ინებებს, თავის მიბრუნებაც რომ არ ისურვა თავისი ბედნიერი ქმრისკენ.

მადმუაზელ დე ვერნეიმ მკვეთრად მოატრიალა თავი და შეხედა თვალებში.

- ეს მრისხანე გამოხედვა რას ნიშნავს? - ისევ იღიმებოდა მარკიზი, - რა ცხელი ხელი გაქვს! ჩემო სიყვარულო, რა მოგივიდა?

- სიყვარულო? - გაიმეორა მარიმ ყრუ, ათრთოლებული ხმით.

- დიახ, - უთხრა და მუხლებზე დადგა მის წინ, იაღო ორივე ხელი, კოცნით დაუფარა, - დიახ, ჩემო სიყვარულო, სამუდამოდ შენი ვარ.

მარიმ მაგრად ჰკრა ხელი, წამოხტა. სახე მოეჭმუჭნა, გიჟივით გადაიხარხარა: - შენ თვითონ არ გჯერა, რასაც ამბობ, ყველაზე საძაგელ ბოროტმოქმედზე უფრო გაიძვერა ხარ! - წამოხტა, ხელი სტაცა ხანჯალს, ყვავილების ლარნაკის გვერდით რომ იდო და სატევარმა გაოცებული კაცის გვერდთან სულ ახლოს გაიბრწყინა.

- არა, - მარიმ იატაკზე დააგდო ხანჯალი, - არ მოგკლავ, საკმარისად არ გცემ პატივს, რომ მოგკლა! შენს უღირს სისხლს ჯარისკაცებიც კი არ დაღვრიან, ალბათ მხოლოდ ჯალათს შეუძლია.

ეს სიტყვები გაჭირვებით წარმოთქვა ხმადაბლა, თან ფეხებს

აბაკუნებდა განებივრებული, სულწასული ბავშვივით. მარკიზი მიუახლოვდა და მოხვევა სცადა.

- არ შემეხოთ! - წამოიყვირა და შეშინებულმა დაიხია უკან.

- გაგიჟდა! - სასოწარკვეთილმა ჩაილაპარაკა მარკიზმა.

- დიახ, გიჟი ვარ, ოღონდ არა იმდენად, რომ შენი სათამაშო გავხდე. ჭეშმარიტი ვნების გამო რას არ გაპატიებდი, მაგრამ ჩემი დაუფლება უსიყვარულოდ და თან ამის მიწერა იმ...

- კი მაგრამ, ვის მივაწერე? - იკითხა მარკიზმა მართლა გაკვირვებით.

- იმ უბიწო ქალს, ორჯერ რომ უნდოდა ჩემი მოკვლა.

მარკიზი გაფითრდა და ისე ჩააფრინდა სავარძლის ზურგს, რომ კინაღამ მოატეხა და წამოიყვირა: - კიდევ რაიმე სისაძაგლის გაკეთება თუ შეეძლო მადამ დიუ გას...

მადმუაზელ დე ვერნეიმ წერილის ძებნა დაიწყო, ვერ იპოვა და ფრანსინს დაუძახა, ბრეტონელი ქალი მოვიდა, - ის წერილი სად არის?

- მესიე კორანტენმა აიღო.

- კორანტენი! აჰ! ყველაფერი გასაგებია, მან შეადგინა წერილი, მომატყუა, როგორც სჩვევია სატანური ხელოვნებით.

საშინლად დაიყვირა მარიმ, დაეცა დივანზე და ცრემლი წასკდა, დარწმუნებულობა ეჭვზე საშიში არ იყო.

მარკიზი ფეხებში ჩაუვარდა შეყვარებულს, გულში ჩაიკრა და ათჯერ მაინც გაუმეორა სიტყვები: - რატომ ტირი, ჩემო ანგელოზო? რა მოხდა? შენი შეურაცხმყოფელი სიტყვები სიყვარულით იყო აღსავსე. ნუ ტირი, ნუ ტირი! მიყვარხარ, ძველებურად მიყვარხარ!

უცებ იგრძნო, რომ მარიმ არაადამიანური ძალით ჩაიკრა გულში და წამოიქვითინა: - ისევ გიყვარვარ?..

- ეჭვი გეპარება? - თითქოს ნაღვლიანად ჰკითხა ვაჟმა.

მარიმ თავი გაითავისუფლა მისი მკლავებიდან და გაიქცა. ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა შეშინებულმა და დარცხვენილმა.

- ეჭვი თუ მეპარება?

მარიმ დაინახა მარკიზი ისეთი ნაზი ირონიით იღიმებოდა, რომ სიტყვები ტუჩებზე შეაცივდა. ხელის ჩავლების ნება მისცა და კარის ზღურბლამდე მივიდნენ. მარიმ შენიშნა სასტუმრო ოთახის სიღრმეში საჩქაროდ მოწყობილი საკურთხეველი. მღვდელმა უკვე ჩაიცვა სამღვდელო სამოსი. ანთებული სანთლები ჭერს იმედივით რბილი შუქით ანათებდნენ. ის ორი კაციც იცნო, რომ მიესალმნენ: გრაფი დე ბოვანი და ბარონი დიუ გენიკი, მონტორანის შერჩეული ორი მოწმე.

- ნუთუ ისევ უარს მეტყვი? - სულ ჩუმად ჰკითხა მარკიზმა.

ხმა ჩაუქრა, თავი უკან გადაუვარდა, თვალები დახუჭა და უგონოდ დაეცა ფრანსინისა და მარკიზის მკლავებში. თვალები რომ გაახილა, მონტორანის თვალები დაინახა - სიყვარულითა და სინაზით სავსე მზერა.

- მოთმინება, მარი, მოთმინება! უკანასკნელი ქარიშხალია, - უთხრა ვაჟმა.

- უკანასკნელი! - გაიმეორა მარიმ.

ფრანსინმა და მარიმ გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ მარიმ ანიშნა, ჩუმად ყოფილიყვნენ.

- დაუძახეთ მღვდელს და მარტო დამტოვეთ მასთან.

ისინი გავიდნენ.

- მამაო, - უთხრა მარიმ მღვდელს, რომელიც უცებ გაჩნდა მის წინ, - მამაო, ჩემს ბავშვობაში თეთრთმიანი მოხუცი კაცი, თქვენ რომ გგავდათ, ხშირად მიმეორებდა, რომ როცა ადამიანს მხურვალე რწმენა აქვს, ღმერთი ყველაფერს უსრულებს. ასეა?

- მართალია, - უპასუხა მღვდელმა, - შემოქმედისთვის ყველაფერი შესაძლებელია.

მადმუაზელ დე ვერნეი წარმოუდგენელი ენთუზიაზმით დაეცა მუხლებზე: - ღმერთო! - თქვა მარიმ, - ჩემი შენდამი რწმენა ჩემი მის მიმართ სიყვარულის ტოლია! მომეცი ძალა! მოახდინე სასწაული ან ჩემი სიცოცხლე წაიღე.

- სურვილი შეგისრულდებათ, - უთხრა მღვდელმა.

მღვდლის მკლავზე დაყრდნობილი მადმუაზელ დე ვერნეი სასტუმრო ოთახში შევიდა. ღრმა, დაფარული მღელვარებით ემზადებოდა, თავი მიეძღვნა საყვარელი ადამიანისთვის და არასოდეს ყოფილა უფრო მშვენიერი, რადგან ნათელი მსგავსი იმისა, მხატვრები წამებულების სახეებზე რომ აღბეჭდავენ ხოლმე, მის სილამაზეს დიდებულ იერს ანიჭებდა, მან ხელი გაუწოდა მარკიზს, ერთად წავიდნენ საკურთხევლისკენ და მუხლებზე დაეშვნენ. ეს ქორწინება, რომელიც საქორწინო სარეცელის გვერდით უნდა ეკურთხებინათ, ეს სახელდახელო საკურთხეველი, ეს ჯვარი, ლა-რნაკები, მღვდლის მიერ საიდუმლოდ მოტანილი ბარძიმი, საკმევლის სუნი ლავგარდანამდე მიღწეული, სადაც მხოლოდ კერძის ოხშივარი თუ ასულა მანამდე. ეს მღვდელი, ანაფორის ქვემოდან ოლარი რომ ამშვენებდა, ყველაფერი ეს ქმნიდა ამაღელვებელ და უცნაურ სცენას, ასრულებდა იმ ნაღვლიანი დროის მოგონებას, როცა სამოქალაქო შუღლმა ყველაზე წმინდა ინსტიტუტების რღვევა მოიტანა. რელიგიურ ცერემონიებს მაშინ რიტუალების მადლი და ხიბლი ჰქონდა, ბავშვებს განბანვით ნათლავდნენ, ოთახში, სადაც დედა ისევ კვნესოდა, როგორც ოდესღაც უფალი ღმერთი, ისევ მოდიოდა და ამხნევებდა მომაკვდავებს. და ბოლოს, ქალიშვილები პირველ ზიარებას იქ იღებდნენ, სადაც გუშინ თამაშობდნენ. მარკიზისა და მადმუაზელ დე ვერნეის კავშირი აღიარებული იყო აქტით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ახალ კანონმდებლობას, მაგრამ მოგვიანებით ყველა მსგავსი ქორწინება კანონიერად აღიარეს. მოხუცი მღვდელი, ძველი ადათ-წესების დამცველი, იმ ხალხს განეკუთვნებოდა, რომელიც უბედურების დროსაც კი თავიანთი პრინციპების ერთგულნი რჩებიან. მას ფიცი არ დაუდია, რესპუბლიკამ რომ მოითხოვა, თუმცა მისი ხმა ქარიშხლის დროს მხოლოდ მშვიდობას ავრცელებდა. ის აბატი გიუდენივით ხანძარს კი არ აღვივებდა, არამედ როგორც ბევრმა სხვამ, თავი სახიფათო მისიას მიუძღვნა. მღვდლის მოვალეობას ასრულებდა იმ ხალხისათვის, ვინც გულში კათოლიკედ დარჩა. ამ ძნელი საქმის შესასრულებლად, ათასნაირ ფანდს ხმარობდა, რის საშუალებასაც ღვთისმოსაობა აძლევდა დევნის პირობებში. მარკიზმა ის იმ გამოთხრილ გამოქვაბულში იპოვა, რომელსაც დღესაც აბატების სამალავს ეძახიან. გაფითრებული, ტანჯული სახე მოხუცისა, პატივისცემას შთაგაგონებდათ, სალოცავად განგაწყობდათ და მისი იქ ყოფნა საკმარისი იყო, ეს მაღალი საზოგადოების

დარბაზი წმინდა ადგილად რომ ჩაგეთვალათ. ყველაფერი მზად იყო ქორწინებისთვის, ბედნიერებისა თუ უბედურების აქტი მზად იყო. ცერემონიის დაწყებამდე ჩამოვარდნილ ღრმა სიჩუმეში აბატმა პატარძლის სახელი იკითხა.

კარი VIII - მარი-ნატალი მადმუაზელ ბლანშ დე კასტელანის, რომელიც სეეზის ღვთისმშობლის მონასტრის აბატისას რანგში გარდაიცვალა და ვიქტორ-ამადეი ჰერცოგ დე ვერნეის ქალიშვილი.

- დაბადებული?

- შატრიში, ალანსონთან.

- არ მეგონა, - ჩუმად უთხრა ბარონმა გრაფს, - რომ მონტორანი ასეთ სისულელეს ჩაიდენდა და ცოლად ჰერცოგის უკანონო შვილს მოიყვანდა.

- მეფის რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო! - ღიმილით უპასუხა დე ბოვანმა, - მაგრამ არ გავკიცხავ, თუმცა სხვა უფრო მომწონს. აი ფაშატი-შარეტი რომ ყოფილიყო, შევკაზმავდი და ვიომებდი. ამან ღუღუნი არ იცის!..

მარკიზის სახელი წინასწარ იყო ჩაწერილი, ნეფე-პატარძალმა ხელი მოაწერეს, მერე მოწმეებმა. ღვთისმსახურება დაიწყო. მხოლოდ მარიმ გაიგო ჯარისკაცების მოზომილი ფეხის ხმა და თოფების ჟღარუნი. ყარაული, რომელიც მისი მითითებით სენ-ლეონარის ეკლესიაში დააყენეს, იცვლებოდა. მარი შეკრთა და თვალები საკურთხეველზე აღმართული ჯვრისკენ აღაპყრო.

- ნახეთ!.. წმინდანივით არის!.. - ჩუმად თქვა ფრანსინმა.

- მომეცით ბევრი ასეთი წმინდანი და ღვთისმოსავი გავხდები, - ჩურჩულით უთხრა გრაფმა.

როცა მღვდელმა ჩვეული კითხვა დაუსვა, უპასუხა „დიახ“ და ღრმად ამოიოხრა. მერე მეუღლის ყურისკენ გადაიხარა და უჩურჩულა: - მალე გაიგებთ, რატომ დავარღვიე ფიცი, არასოდეს გამოგყოლოდით ცოლად.

რიტუალი დამთავრდა და ყველა დარბაზში გავიდა, სადაც სადილი იყო გაშლილი. როცა სტუმრები დასხდნენ, გულგახეთქილი ჟერემი მოვიდა. საბრალო პატარძალი სწრაფად ადგა და ფრანსინის თანხლებით მისკენ გაემართა, თან რაღაც მოიმიზეზა, რასაც ქალები ასე იოლად ახერხებენ, მარკიზს უთხრა, მარტო გაეწია მასპინძლობა და გაიყვანა მსახური, რომელიც გაუფრთხილებლად შეატყობინებდა ამბავს, რომელიც ფატალური გახდებოდა.

- ოჰ, ფრანსინ, გრძნობდე, რომ კვდები და ვერ თქვა, რომ კვდები!.. - წამოიძახა მადმუაზელ დე ვერნეიმ. სასადილო ოთახში აღარ დაბრუნებულა.

ამ არყოფნის ახსნა შეიძლებოდა შემდგარი ქორწინების მიზეზით. ვახშმის ბოლოს, როცა მარკიზის მღელვარებამ ზღვარს მიაღწია, მარი გამოჩნდა პატარძლის ბრწყინვალე კაბაში გამოწყობილი. სახე მშვიდი და მხიარული ჰქონდა, სამაგიეროდ, ფრანსინს, უკან რომ მოსდევდა, სახეზე ისეთი შიში ეწერა, სტუმრებს მოეჩვენათ, რომ ეს ორი სახე საოცარ სურათს წარმოადგენდა, სურათს, რომლის შექმნაც შეეძლო სალვადორ როზას ექსტრავაგანტულ ფუნჯს და სადაც ხელიხელჩაკიდებული სიცოცხლე და სიკვდილი იქნებოდა გამოსახული.

- ბატონებო, - უთხრა მარიმ აბატს, ბარონს, გრაფს, - ამ საღამოს ჩემი სტუმრები იქნებით, რადგან მეტისმეტად სახიფათო იქნება ფუჟერიდან გასვლა. ამ ღვთისნიერ გოგონას ვუთხარი გაგაცილოთ თქვენს ოთახებში. წინააღმდეგობას ნუ გამიწევთ, - უთხრა მღვდელს, რომელსაც ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა. იმედი მაქვს, არ გააწბილებთ ქალს მისი ქორწილის დღეს.

ერთი საათის შემდეგ მარტო დარჩა საყვარელ მამაკაცთან ერთად ოთახში, ასე სასოებით რომ გაალამაზა. ბოლოს იმ საბედისწერო საწოლს მიუახლოვდნენ, სადაც, როგორც საფლავში, იმსხვრევა ამდენი ოცნება, საიდანაც გაღვიძების შემდეგ ნეტარი ცხოვრების დაწყება ასეთი ბუნდოვანი და არასაიმედოა, სადაც კვდება ან იბადება სიყვარული. გააჩნია ხასიათს, რომლის გამოცდაც იქ ხდება. მარიმ საათს შეხედა: „ექვსი საათის სიცოცხლეღაა დარჩენილიო," - გაიფიქრა.

- ნუთუ დამონება შემეძლო? - წამოიძახა მარიმ, როცა

გათენებისას გაიღვიძა რაღაც შინაგანი ბიძგისაგან, როგორც ხდება ხოლმე, როცა წინა საღამოს გადაწყვეტ გარკვეულ დროს გაღვიძებას.

- ჰო, მძინებია, - ჩაილაპარაკა, როცა სანთლის შუქზე შენიშნა, საათის ისრები ღამის ორ საათს უჩვენებდნენ. მიტრიალდა და დიდხანს უყურებდა ჩაძინებულ მარკიზს, ბავშვივით თავქვეშ ამოდებული ხელით, მეორე კი ცოლისათვის ჩაევლო მომღიმარს, თითქოს შუა კოცნაში ჩაეძინაო.

- ოჰ, - ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა, - ბავშვივით სძინავს! განა შეიძლება არ მენდოს, როცა უზომო ბედნიერება მომანიჭა? ოდნავ უბიძგა. გაიღვიძა, ღიმილმა სახე გაუნათა, იმ ხელზე აკოცა, სიზმარშიც რომ ხელი არ გაუშვია და უბედურ ქალს ისეთი გაბრწყინებული თვალებით შეხედა, რომ მარიმ მის ელვარებას ვერ გაუძლო და თვალები ნელა დახარა, თითქოს თავის თავს უკრძალავდა სახიფათო რამის ყურებას. მაგრამ წამწამებით ვერ დაფარა ცეცხლი თავისი მზერისა, აღაგზნებდა სურვილს, რომელიც თითქოს უარს ამბობდა და რომ არა საშინელი შიში, რომ უნდა დაემალა, ქმარი კეკლუცობაში ჩამოართმევდა. ერთდროულად ასწიეს მშვენიერი თავები და ერთმანეთის მიმართ განცდილი სიამოვნების გამო მადლიერება გამოხატეს. მაგრამ ცოლის მშვენიერ სახეზე ერთი თვალის შევლებით მარკიზმა დაინახა ღრუბელი, შუბლზე რომ გადაუარა მარის და, რომელიც სევდას მიაწერა, ნაზად უთხრა: - რატომ ხარ სევდიანი, ჩემო სიყვარულო?

- საბრალო ალფონს, ჩემო ალფონს, როგორ ფიქრობ, სად მიგიყვანე?

- ბედნიერებასთან.

- არა, სიკვდილთან.

შიშისაგან გააკანკალა, ლოგინიდან წამოხტა და ფანჯარას მივარდა. გაკვირვებული მარკიზი მიჰყვა, ცოლმა ფანჯარასთან მიიყვანა, სასოწარკვეთილად გაიქნია ხელი, მერე ფარდა ასწია და მოედნისკენ გაახედა, სადაც ოციოდე ჯარისკაცი იდგა. ნისლი გაიფანტა და მთვარის თეთრ შუქზე მკაფიოდ ჩანდა მუნდირები, თოფები, აღელვებული კორანტენი და რესპუბლიკელების მეთაური - გულხელდაკრეფილი გაუნძრევლად იდგა და ტუჩებმოკუმული, თავაწეული ნაღვლიანად და ყურადღებით შეჰყურებდა სახლს.

- მაგათ გავანებოთ თავი, მარი, დაბრუნდი!

- ნუ იცინი, ალფონს. ეგენი მე დავაყენე მანდ.

- ბოდავ?

- არა.

ერთ წამს შეჰყურებდნენ ერთანეთს, მარკიზი ყველაფერს მიხვდა, გულში ჩაიკრა მარი და უთხრა - ისევ ისე მიყვარხარ.

- ალფონს, მაშინ ყველაფერი არ არის დაკარგული, იმედი არის!

ამ დროს გარკვევით გაიგონეს ბუს კივილი და ფრანსინი გამოვიდა ტუალეტის ოთახიდან.

- პიერი აქ არის! - სიხარულით გადარეულმა უთხრა.

თვალის დახამხამებაში, მხოლოდ ქალებს რომ შეუძლიათ ისე, მარიმ და ფრანსინმა მონტორანს შუანის სამოსი გადააცვეს. როცა მარკიზამ დაინახა, რომ მისი ქმარი ფრანსინის მოტანილ იარაღს ტენიდა, მრავლისთქმელი მზერა ესროლა ფრანსინს და ოთახიდან გავიდა. მაშინ ფრანსინმა მარკიზი საძინებლის გვერდით, ტუალეტის ოთახში გაიყვანა. ახალგაზრდა მებრძოლმა მაგრად გადაბმული ზეწრები შენიშნა და დარწმუნდა მზრუნველი ბრეტონელი ქალის ერთგულებაში, - ჯარისკაცების სიფხიზლის მოსადუნებლად გაეკეთებინა.

- მე აქ ვერ გავძვრები, - დაასკვნა მარკიზმა პატარა მრგვალი სარკმლის დათვალიერების მერე.

სწორედ ამ წუთში განიერმა, მუქმა სახემ მთლიანად დაფარა ღიობი და ხრინწიანმა, ფრანსინისათვის ასეთმა ნაცნობმა ხმამ ჩუმად დაუძახა: - იჩქარეთ, ჩემო გენერალო, ლურჯი გომბეშოები ამოძრავდნენ.

- კიდევ ერთი კოცნა, - მოისმა მთრთოლვარე, ნაზი ხმა.

მარკიზი უკვე მხსნელ კიბეზე იდგა, მაგრამ ბოლომდე გამძვრალი არ იყო სარკმელში, ამ დროს იგრძნო, სასოწარკვეთით ჩაებღაუჭა ვიღაც. წამოიყვირა, როცა დაინახა, მარის მისი ტანსაცმელი ჩაეცვა. მისი დაჭერა უნდოდა, მაგრამ ხელიდან გაუსხლტდა და ისიც იძულებული გახდა, ჩამოსულიყო, ხელში ქსოვილის ნაგლეჯი შერჩენოდა და მთვარის შუქზე იცნო, წინა დღეს რომ ეცვა, იმ ჟილეტის

ნაგლეჯი.

- სდექ! ზალპი!

იულოს ამ ბრძანებამ დაარღვია მდორე სიჩუმე, რომელსაც მოეცვა ხალხიც და ბუნებაც. იმავე წამს ბულვარზე განლაგებული, ლურჯების მძვინვარე ზალპის საპასუხოდ, ხევის სიღრმიდან კოშკისკენ სეტყვასავით წამოვიდა ტყვია. რესპუბლიკელთა ცეცხლი არ წყდებოდა, საშინელი და შეუბრალებელი იყო, მსხვერპლის მხრიდან ერთი წამოყვირებაც არ ყოფილა. ზალპებს შორის ჩამოვარდნილი სიჩუმე შემზარავი იყო.

კორანტენმა გაიგონა, რომ კიბის თავიდან რაღაც ფიგურა გადმოვარდა, მეთაურს ანიშნა და რაღაც ხაფანგი იეჭვა.

- არც ერთს იმათგან ხმა არ ამოუღია! - თქვა კორანტენმა, - შეყვარებულებს თავისუფლად შეუძლიათ, ჩვენი ყურადღება მოადუნონ და იქნებ სხვა მხარეს გაიქცნენ...

ჯაშუშს რაც შეიძლება ჩქარა უნდოდა საიდუმლოს ამოხსნა. დაასხი-კუტალის ბიჭი გააგზავნა ჩირაღდნებისათვის. კორანტენის ვარაუდი იულოს სრულიად შესაძლებლად ეჩვენა. შეშფოთებული უსმენდა სროლას სენ-ლეონარის კარიბჭის მხრიდან, სადაც ეტყობა, სერიოზული შეტაკება იყო და წამოიძახა: - მართალია! შეუძლებელია, ორნი იყვნენ!

და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა კორდეგარდიისკენ.

- ვაჟკაცს თავში ჩააჭედეს ტყვია, მეთაურო, - უთხრა იფრინდამ, - მან კი გიუდენი მოკლა და ორი კაციც დაჭრა. აჰ, გაცოფებული იყო! სამი მწკრივი გაარღვია ჩვენი ბიჭებისა და ნამდვილად გაძვრებოდა მინდვრისკენ, რომ არა გუშაგი სენ-ლეონარის კარიბჭესთან, თავის ხიშტზე რომ წამოაგო.

ამის გაგონებაზე იულო გაექანა საყარაულოსკენ და დაინახა დასისხლიანებული სხეული, იმ წუთას რომ დააწვინეს საველე საწოლზე. მიუახლოვდა ვითომ მარკიზს, ასწია შლაპა, სახეს რომ უფარავდა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

- ასეც ვიცოდი! - გულხელი დაიკრიფა ძლიერად, - ჯანდაბა! ძალიან დიდხანს ჰყავდა იქ!

ჯარისკაცები გახევდნენ. იულომ გააშლევინა ქალის გრძელი

შავი თმა. უცებ სიჩუმე რაზმის ფეხის ბრაგაბრუგმა დაარღვია. კორანტენი შემოვიდა საყარაულოში და უკან ოთხი შემოჰყვა თოფებისაგან გაკეთებული საკაცით, რომელზედაც მონტორანი იწვა. მრავალ ტყვიას ორივე ბარძაყი და ორივე მკლავი დაეგლიჯა. მონტორანიც საველე საწოლზე დააწვინეს, დოლის გვერდით. შეამჩნია, ძალა მოიკრიბა და ხელი ჩაჰკიდა. მომაკვდავმა ქალმა გაჭირვებით მიატრიალა თავი, იცნო ქმარი, საშინლად გააკანკალა და თითქმის ჩამქრალი ხმით ძლივს თქვა: - დღე მეორე დღის გარეშე.... ღმერთმა ძალიან მალე შეისმინა ჩემი თხოვნა.

- მეთაურო, - მარკიზმა მთელი ძალები მოიკრიბა, მარისათვის ხელი არ გაუშვია, - თქვენი პატიოსნების იმედი მაქვს, გთხოვთ, ჩემს უმცროსს ძმას შეატყობინოთ ჩემი სიკვდილის ამბავი. მისწერეთ, თუ უკანასკნელი სურვილის შესრულება უნდა, იარაღს ნუ აიღებს საფრანგეთის წინააღმდეგ და მეფის სამსახურზეც ნუ იტყვის უარს.

- შესრულებული იქნება, - თქვა იულომ და მომაკვდავს ხელზე ხელი მოუჭირა.

- აქვე, საავადმყოფოში გადაიყვანეთ, - წამოიძახა კორანტენმა.

იულო ჩააფრინდა მკლავებში ჯაშუშს ისე, რომ ფრჩხილების კვალი დაეტყო და უთხრა: - შენი საქმიანობა აქ დამთავრებულია. დაიკარგე აქედან! და ეცადე, მეთაური იულოს სახე კარგად დაიხსომო, ეცადე, არსად გადამეყარო, თორემ ჩემს ხმალზე წამოგაგებ.

და მოხუცმა ჯარისკაცმა ხმლის ვადას სტაცა ხელი.

- აი, კიდევ ერთი წესიერი კაცი, ვერასდროს რომ ვერაფერს მიაღწევს, - გაიფიქრა კორანტენმა, როცა საყარაულოდან უკვე შორს იყო.

მარკიზმა ძალა იპოვა, თავის დაქნევით მადლობა გამოეხატა მოწინააღმდეგისათვის, რითაც გამოხატა პატივისცემა, ჯარისკა-ცები პატიოსანი მტრის მიმართ რომ გრძნობენ.

1827 წელს ფუჟერის ბაზარზე ერთი ბებერი ცოლთან ერთად საქონელს ყიდულობდა და აუგი სიტყვა მისთვის არავის უთქვამს, თუმცა ასზე მეტი კაცი ჰყავდა მოკლული, ძველი მეტსახელიც კი არავის შეუხსენებია - იარე-მიწაზე. პიროვნება,

რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ისტორიის ძვირფას ცნობებს, ხედავდა, როგორ მიჰყავდა ბაზრიდან ძროხა და ისე უბრალოდ, გულუბრიყვილო სახით მიაბიჯებდა, იტყოდით: - აი, კაი კაცი!

რაც შეეხება სიბოს, მეტსახელად მოიტაცე-დიდი-კვერი, - უკვე ვნახეთ, როგორ დაასრულა სიცოცხლე. იარე-მიწაზე იქნებ ეცადა კიდევაც, მაგრამ უშედეგოდ, ეშაფოტისაგან რომ დაეხსნა თავისი ამხანაგი და იქ იყო, მოედანზე, ალანსონში, იმ საშინელი შეხლა-შემოხლის დროს, რიფოელის, ბრიონისა და ლა-შანტრის ცნობილი პროცესის ერთ-ერთი მოვლენა რომ იყო...

ფუჟერი.

1827 წლის აგვისტო.

[1] რექტორი - 1. იეზუიტთა კოლეჯის დირექტორი. 2. არასამრევლო კათოლიკე მღვდელი.

[2] Merle – (აქ კაპიტნის გვარია), ფრანგულად შაშვს ნიშნავს. (მთარგმნ).

[3] le compas - ფარგალი; ჟარგ. ფეხები.

[4] les Juncroyables- მეტსახელი კოხტაპრუწა ახალგაზრდებისა, დირექტორიის დროს, ექსტრავაგანტული ჩაცმულობითა და მეტყველებით (მთარგმნ).

[5]a adenette - ლუი XVIII-ს დროს ინფანტერიის ჯარისკაცები ნაწნავს ატარებდნენ.

[6] le maris - ისტ. მესამე პარტია (რევოლუციის დროს), „ზომიერები“ (მთარგმნ.).

[7] Le toise - ძველი ფრანგული სიგრძის საზომი (მთარგმნ.).

[8] Le syndic – 1. ისტ. სინდიკი; 2. პარიზის მუნიციპალური საბჭოს ბიუროს წევრი.

[9] Echevin - ისტ. ეშევენი, მუნიციპალური მაგისტრატის წევრი (მთარგმნ.).

[10] კურთხეულო ანა ორეელო, გიხაროდენ, ღმერთი შენთან არს... (ლათ).

[11] Les princes - უფლისწულები: ბურბონები: რაფი დ'არტუა, პროვანსის გრაფი (მეფეხ გამოცხადებული ლუი XVIII-ს სახელით, ტახტზე ავიდა მხოლოდ 1814 წ. და პრინცი კონდე, სათავეში ჩაუდგა კონტრრევოლუციურ ემიგრანტთა ბრბოს, ჯერ კდევ 1789-1992 წ. კოგლენცში (მთარგმნ.).

[12] Ozemus - კათოლიკური ლოცვა.

[13] Termius - სოფლის მეურნეობის მფარველი, ძველბერძნული ღმერთი.

[14] სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. (ლათ.).

[15] ღმერთო, მეფე იხსენ! (ლათ.).

[16] in petto - ფარულად, მალულად (იტალ).

[17] არმორიკა - ბრეტანის ძველი სახელწოდება (მთარგმნ.).